ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

ენათმეცნიერება

9

1990

ᲫᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 66-Ე № 9 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1990 Წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲚᲗᲥᲛᲐ — ᲙᲐᲕᲚᲔ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔᲑᲘ. გაგრძელება. თარგმანი ძველბერძნულიდან 3

ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲐᲠᲐᲜᲐᲣᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 18
ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ — ᲬᲧᲐᲚᲐ ᲜᲐᲤᲝᲢᲘ ᲩᲐᲛᲝᲬᲙᲝᲜᲓᲐ. რომანი. 23
ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲯᲣᲚᲣᲮᲘᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 50
ᲯᲐᲜᲝ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 53
ᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲔᲬᲐᲫᲔ — ᲒᲕᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲙᲕᲘᲔᲛᲘ. მოთხრობა. 56
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 75
ᲒᲣᲚᲝ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲗᲔᲥᲕᲘᲛᲔᲢᲘ. მითხრობა 77
ᲔᲓᲒᲐᲠ ᲞᲝ — ᲖᲐᲠᲔᲑᲘ. ლექსი. ინგლისურიდან თარგმნა პორფილე იაშვილმა 83
ᲚᲣ ᲘᲐᲝ, ᲕᲔᲘ ᲘᲣᲔ — ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ. თარგმნა მანანა მიქელაძემ 86
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲝᲗᲣᲐ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲝᲗᲣᲐ — ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲗᲣᲐᲡᲘ. გაგრძელება. 93

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐ — ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲛᲓᲘᲜᲔᲨᲘ 102
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲕᲘᲚᲐᲫᲔ — ᲛᲝᲜᲝᲚᲝ�გᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲓᲐᲜ. ესაუბრა აკაკი მინდიაშვილი 105
ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ — ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲕᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ. გაგრძელება 120
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲤᲝᲣᲠᲘᲫᲔ — ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲫᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ 120
ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲝᲥᲠᲝᲙᲘᲠᲘᲫᲔ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲙᲔᲤᲐᲚᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ. პუბლიკაცია გიორგი გოჩიტაშვილის 140

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ — „ᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲜᲐᲥᲠᲝᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 145

იხ. მეორე გვერდი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონებები, ფაქტები

კალისტრატე ცინცაძე — ჩემი დაკითხვა. პუბლიკაცია მოამზადა [illegible]
სიმონ ბოგიბერიძე — ბრძოლა ამშოგლოსათვის. დასასრული
წერილები — პუბლიკაცია მოამზადა [illegible]

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. გვერდწითელი, ალ. ბოჟიაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, ბ. კალანდია, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), **რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. ფულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული** (პ/მგ. მდივანი), **რ. ჯაფარიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი აღთქმა

პავლე მოციქულის ეპისტოლენი

ფილიმონის მიმართ

თავი პირველი

1. პავლე, ტყვე ქრისტე იესოსი, და ტიმოთე ძმა — ფილიმონს, საყვარელსა და თანაშემწეს ჩვენსას,

2. და აპფიას, საყვარელ დას, და არქიპოსს, თანამოსაგრეს ჩვენსას, და ეკლესიას, რომელიც არის შენს სახლში:

3. მადლი თქვენდა და მშვიდობა ღმერთისა და მამისა და უფლის იესო ქრისტესაგან.

4. ვმადლობ ღმერთს ჩემსას, და ჩემს ლოცვებში გიხსენებ მარადის,

5. მესმის რა შენი სიყვარული და რწმენა, რომელიც გაქვს უფლის იესო ქრისტესა და ყველა წმიდის მიმართ.

6. რათა ზიარება შენი რწმენისა შეეწიოს ყოველივე კეთილის შემეცნებას, რომელიც არის ჩვენში ქრისტე იესოსათვის.

7. რადგანაც დიდი სიხარული გვაქვს და ნუგეში შენი სიყვარულის გამო, ვინაიდან წმიდათა გული მოსვენებითაა შენს მიერ, ძმაო.

8. ამიტომ, თუმცა ქრისტეს მიერ მაქვს სითამამე, გიბრძანო შენ, რისი ქმნაც გმართებს,

9. მაგრამ სიყვარულის გამო უფრო გთხოვ, ვიდრე გიბრძანებ, არა სხვა ვინმე, არამედ — მე მხცოვანი პავლე, ხოლო აწ იესო ქრისტეს ტყვეც;

10. ჩემი შვილის ონისიმესათვის გთხოვ, რომელიც შემეძინა ტყვეობაში.

11. და რომელიც ოდესღაც ურგები იყო შენთვის, ხოლო აწ სარგოა შენთვისაც და ჩემთვისაც; გიგზავნი მას.

12. ხოლო შენ შეიწყნარე იგი, როგორც ჩემი გული.

13. მინდოდა გვერდით მყოლოდა, რათა შენს ნაცვლად მომმსახურებოდა ჩემს ტყვეობაში სახარების გამო,

14. მაგრამ შენთან შეუთანხმებლად არაფრის ქმნა არ ვისურვე, რათა იძულებითი კი არ ყოფილიყო შენი სიკეთე, არამედ ნებსითი,

15. ვინ იცის, იქნებ დროებით იმიტომაც განგეშორა, რათა საუკუნოდ შეიწყნარო იგი.

16. მაგრამ უკვე არა როგორც მონა, არამედ მონაზე უმეტესი, საყვარელი ძმა, მეტადრე ჩემთვის, და, მით უმეტეს, შენთვის, ხორცულადაც და უფლის მიერაც.

17. ამრიგად, თუ თანაზიარად მრაცხ, შეიწყნარე იგი, როგორც შემიწყნარებდი მე.

18. ხოლო თუ რამე შეგცოდა, ან მართებს შენი, მე მომკითხე.

19. მე, პავლემ, დავწერე ჩემი ხელით: მე გადავიხდი, რათა არ გითხრა, რომ ამაზე მეტიც გმართებს ჩემი: შენივე თავი.

20. ჰო, ძმაო, შენ შემეწიე უფალში; ახარე ჩემი გული უფალში.

21. შენს მორჩილებაში დარწმუნე-

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 8.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულმა მოგწერე ეს. რადგანაც ვიცი. რომ უფრო მეტსაც შემისრულებ. ვიდრე მე გთხოვ.

22. ხოლო ამასთან გამიმზადეთ მე სადგომიც, რადგანაც იმედი მაქვს, რომ თქვენი ლოცვით მოგემადლებით.

23. მოგიკითხავენ ეპაფრა, ანანა-ტყვე ქრისტე იესოში,

24. მარკოზი, არისტარქე, დემასი და ლუკა, თანაშემწენი ჩემნი.

25. მადლი უფლის ჩვენის იესო ქრისტესი თქვენს სულებს. ამინ.

ებრაელთა მიმართ

თავი პირველი

1. ღმერთი, რომელიც ძველთაგან მრავალგზის და მრავალგვარად ელაპარაკებოდა მამებს წინასწარმეტყველთა მიერ, ამ უკანასკნელ დღეებში გველაპარაკა ჩვენ ძის მიერ.

2. რომელიც დაადგინა ყოვლის მემკვიდრედ, და რომლითაც შექმნა საუკუნენი;

3. რომელიც არის ბრწყინვალება დიდებისა და მისი არსების ხატი, თავისი ძალმოსილების სიტყვით ყოვლისმტვირთველი, თავისი თავით ჩვენი ცოდვების განმწმენდი, და ზესკნელს სიდიადის მარჯვნივ მჯდომელი;

4. ანგელოზებზე იმდენადვე უზენაესი, რამდენადაც მათზე უდიდებულესი დაიმკვიდრა სახელი.

5. რადგან რომელი ანგელოზთაგანისათვის უთქვამს ოდესმე ღმერთს: ჩემი ძე ხარ შენ, და დღეს მიშობიხარ შენ? და მერე: მამა ვიქნები მისი, და ის იქნება ჩემი ძე?

6. ასევე, როცა პირმშო შემოჰყავს ქვეყნად, ამბობს: დე თაყვანი სცეს მას ყველა ანგელოზმა ღმრთისა;

7. ხოლო ანგელოზთათვის ამბობს: რომელიც ქმნის თავის ანგელოზებს სულებად და თავის მსახურთ — ალად ცეცხლისა.

8. ძისთვის კი: საყდარი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე. კვერთხი სიმართლისა — შენი სუფევის კვერთხი.

9. შეიყვარე სიმართლე და მოიძულე ურჯულოება: ამიტომაც გცხო შენ, ღმერთო, შენმა ღმერთმა სიხარულის ზეთი უფრო უხვად, ვიდრე შენს თანაზიართ.

10. და: თავდაპირველად, დააფუძნე უფალო, მიწა, და ხელთა შენთა საქმენი არიან ცანი.

11. ისინი გარდაცვლენ, ხოლო შენ წარუვალი ხარ, და ყოველივე დაძველდება, როგორც სამოსი,

12. და, როგორც სამოსს, შეახვევ მათ და შეიცვლებიან: ,ხოლო- თავად უცვლელი ხარ, და არასოდეს დასრულდება შენი წლები.

13. რომელი ანგელოზთაგანისათვის უთქვამს ოდესმე: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე ფეხქვეშ დაგიმხობ მტრებს?

14. განა ყველანი მომსახურე სულები არ არიან, მათდა მსახურებად მოვლინებულნი, რომელთაც უნდა დაიმკვიდრონ სიცოცხლე?

თავი მეორე

1. ამიტომაც გვმართებს მეტი ყურადღება მივაქციოთ მონასმენს, რათა არ განვდგეთ.

2. რადგანაც თუ ანგელოზთა ნათქვამი სიტყვა მტკიცე იყო, და ყოველი შეცოდება და ურჩობა იღებდა კუთვნილ სასჯელს,

3. ჩვენ როგორღა დავაღწევთ თავს, თუკი უგულებელვყოფთ ესოდენ დიად ხსნას, რომელიც თავდაპირველად იქადაგა უფლის მიერ, და მის მსმენელთაგან დამკვიდრდა ჩვენში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ღმერთის თანამოწმობით, სასწაულებითა და ნიშებით, და ნაირგვარი ძალითა და სულის წმიდის განწილვით, მისი ნებისამებრ?

5. რადგანაც ანგელოზებს როდი დაუმორჩილა ღმერთმა მომავალი ქვეყანა, რომელზედაც ვმსჯელობთ,

6. არამედ ვიღაცის მოწმობით სადღაცა ითქვა: რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი? ანდა ძე კაცისა, რომ მოიხილავ მას?

7. დიდად როდი დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით გვირგვინოსანი ჰყავ, და

8. ყველაფერი ფეხქვეშ დაუმხე მას: და რაკი ყველაფერი დაუმორჩილე, დასამორჩილებელი აღარა დარჩა რა. ხოლო აწ ვერ ვხედავთ, რომ ყველაფერი ემორჩილება მას;

9. არამედ ვხედავთ, რომ სიკვდილის ვნების გამო დიდებითა და პატივით გვირგვინოსანი ქმნა იესო, რომელიც დიდხანს როდი დამცირდა ანგელოზთა წინაშე, რათა, ღმრთის მადლით, ყველას გულისთვის ეხილა სიკვდილის გემო.

10. რადგანაც ასე შეჰფეროდა მას, ვისთვისაც არის ყოველი და ვისგანაც არის ყოველი, რომ მრავალი ძის დიდებად მიმყვანებელი და მათი ხსნის წინამძღოლი სრულეყო ვნებით.

11. რადგან განმწმენდიცა და განწმენდილიც ერთისაგან არიან ყველანი: ამიტომაც არ რცხვენია, ძმები უწოდოს მათ, და ამბობს:

12. ვაუწყებ შენს სახელს ჩემს ძმებს, და საკრებულოში გიგალობ შენ.

13. და მერე: მე ვიქნები მისი მოსავი. და კვალად: აჰა, მე და ყრმანი, რომელნიც მომცა მე ღმერთმა.

14. და რაკი ყრმანი ხორცისა და სისხლის მოზიარენი არიან, თავადაც ეზიარა მათ, რათა სიკვდილით განექარებინა სიკვდილის ხელმწიფების მქონე, ანუ ეშმაკი.

15. და დაეხსნა ესენი, ვისაც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლის ძილზე მონობის უღელი ედგა.

16. რადგანაც ანგელოზებს კი არ იღებს, არამედ იღებს აბრაამის მოდგმას.

17. ამიტომაც ყოველნაირად უნდა დამსგავსებოდა ძმებს, რათა მოწყალე და სარწმუნო მღვდელმთავარი ყოფილიყო ღმერთის წინაშე, ხალხის ცოდვათა სალხინებლად.

18. რადგან, როგორც თავად ევნო და გამოიცადა, სწორედ ამიტომ განსაცდელში მყოფთა შეწევნაც ძალუძს.

თავი მესამე

1. ამრიგად, ძმანო წმიდანო, ზეციური ხმობის ზიარნო, დაუკვირდით მოციქულსა და მღვდელმთავარს ჩვენი აღსარებისას, ქრისტე იესოს,

2. რომელიც ერთგულია მისი შემოქმედისა, ისევე როგორც მოსე მთელს მის სახლში.

3. რადგან მოსეს წინაშე მით უფრო მეტი დიდების ღირსი გახდა, რაც უფრო მეტი პატივი აქვს სახლთან შედარებით მის ამშენებელს.

4. ვინაიდან ყველა სახლს ვიღაც აშენებს; ხოლო ყოვლის აღმშენებელი არის ღმერთი.

5. და მოსეც ერთგული იყო მთელს მის სახლში, როგორც მსახური, რათა ემოწმებინა, რაც უნდა თქმულიყო.

6. ხოლო ქრისტე — როგორც ძე მის სახლში. მისი სახლი კი ჩვენა ვართ, თუკი ბოლომდე მტკიცედ დავიმარხავთ სითამამესა და სასოების სიქადულს.

7. ამიტომ, როგორც იტყვის სული წმიდა, დღეს, როცა მოისმენთ მის ხმას.

8. ნუ გაიკერპებთ თქვენს გულებს, როგორც დტრვინვისას, უდაბნოში გამოცდის დღეს,

9. სადაც მცადეს მე თქვენმა მამებმა, გამომცადეს მე, და ხედავდნენ საქმეებს ჩემსას ორმოც წელს.

10. ამიტომაც მოვიძულე ეს მოდგმა.

და ვთქვი: მარადის სცდებიან ისინი გულით, და ვერ შეიცნეს ჩემი გზანი;

11. ამიტომაც დავიფიცე ჩემი რისხვით, რომ ჩემს განსასვენებელში ვერ შევლენ ისინი.

12. ფხიზლად იყავით, ძმანო, ნურცერთ თქვენგანში ნუ იქნება გული ურწმუნო და უკეთური, რათა არ განუდგეთ ცოცხალ ღმერთს.

13. არამედ ყოველდღე შეაგონეთ ერთმანეთს, ვიდრე არ ითქმის — დღესო, — რათა არცერთი თქვენგანი არ გაკერპდეს ცოდვის საცდურით.

14. რადგანაც ქრისტეს თანაზიარნი ვიქმენით, თუკი არსებობის დასაბამს მტკიცედ დავიმარხავთ ბოლომდე.

15. ვიდრემდის ითქმის: დღეს, როცა მოისმენთ მის ხმას, ნუ გაიკერპებთ გულებს, როგორც დრტვინვისას.

16. რადგანაც ზოგმა ისმინა, და დრტვინვა დაიწყო; მაგრამ არა ყველამ, ვინც გამოვიდა ეგვიპტიდან მოსეს მეოხებით.

17. მაშ, ვის გამო მრისხანებდა ორმოც წელს, თუ არა შემცოდეთა გამო, რომელთა ძვლებიც დაცვივდნენ უდაბნოში?

18. ან ვის მიმართ დაიფიცა, რომ ვერ შევლენ მის განსასვენებელში, თუ არა ურჩთა მიმართ?

19. და ვხედავთ, რომ ურწმუნოების გამო ვერ შესძლეს შესვლა.

თავი მეოთხე

1. მაშ, გვეშინოდეს, რათა, ვიდრემდის რჩება აღთქმა მის განსასვენებელში შესვლისა, რომელიმე თქვენგანი დაგვიანებული არ აღმოჩნდეს.

2. რადგან ჩვენც მათსავით გვეხარა იგი, მაგრამ მოსმენილი სიტყვა ურგები დარჩა მათთვის, მსმენელთა რწმენით შეუზავებელი.

3. ვინაიდან განსასვენებელში ჩვენ შევალთ, მორწმუნენი, მისივე სიტყვით: როგორც დავიფიცე ჩემი რისხვით, ვერ შევლენ ჩემს განსასვენებელში; თუმცაღა მისი საქმენი დასრულებულ იყვნენ ქვეყნის [illegible]

4. რადგან მეშვიდე დღისათვის სადღაცა უთქვამს ასე: და განისვენა ღმერთმა მეშვიდე დღეს ყველა თავისი საქმისაგან.

5. და შემდეგ კვლავ: ვერ შევლენ ჩემს განსასვენებელში.

6. ხოლო რაკი ზოგიერთს კვლავ უწერია მასში შესვლა, ზოგიერთნი კი, რომელთაც უწინ ეხარათ, ვერ შეიდნენ ურჩობის გამო, —

7. კვლავ აწესებს დასაზღვრულ დღეს, და დავითის მიერ ამბობს — დღესო, — ამდენი ხნის შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა: დღეს თუ მოისმენთ მის ხმას, ნუ გაიკერპებთ გულებს.

8. რადგანაც იესო ნავეს ძეს რომ განესვენებინა მათთვის, სხვა დღისათვის აღარ იტყოდა ამის შემდეგ.

9. ამიტომ ღმრთის ხალხს კვლავ რჩება შაბათობა.

10. რადგან ვინც შეიდა მის განსასვენებელში, მანვე განისვენა თავის საქმეთაგან, როგორც თვისთაგან ღმერთმა.

11. მაშ, ვესწრაფოთ ამ განსასვენებელში შესვლას, რათა მათი მაგალითისამებრ ურწმუნოებაში არვინ ჩავარდეს.

12. რადგან ცოცხალია სიტყვა ღმრთისა, ქმედითი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უმკვეთრესი: და უწევს ვიდრე გაყოფამდე სამშვინველისა და სულისა, ნაწევართა და ტვინთა, და განიკითხავს აზრთა და გულის ზრახვათ.

13. და არ არის ქმნილება, დაფარული რომ იყოს მისთვის, არამედ ყოველივე გაშიშვლებულია და გამოაშკარავებული მის თვალთა წინაშე, ვისადმიც მიმართულია ჩვენი სიტყვა.

14. ასე რომ, გვყავს მღვდელმთავარი დიდი, რომელმაც განვლო ცანი, იესო, ძე ღმრთისა; მივსდიოთ მტკიცედ ჩვენს აღსარებას.

15. რადგან ისეთი მღვდელმთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდი გვყავს, რომ არ შეეძლოს თანაგვიგრძნოს ჩვენს უძლურებაში, არამედ თანაბრად გამოცდილი ყველაფერში, გარდა ცოდვისა.

16. მაშ, თამამად მივეახლოთ საყდარს მადლისას, რათა მივიღოთ წყალობა, და ვპოვოთ მადლი დროული შეწევნისათვის.

თავი მეხუთე

1. რადგან ყოველი მღვდელმთავარი, კაცთაგან არჩეული, კაცთათვის დადგება ღმრთისმსახურად, რათა სწირავდეს შესაწირავთა და მსხვერპლთა ცოდვათა შესანდობლად;

2. შემძლე იმისა, რომ ჯეროვნად შეეწიროს უმეცართა და შეცდომილთ, ვინაიდან თვითონ მისთვისაც უცხო არ არის უძლურება.

3. და ამიტომაც მართებს როგორც ხალხისთვის, ისე თავისი თავისთვისაც შესწიროს მსხვერპლი ცოდვათა გამო.

4. და თავისთავად ვერავინ მიიღებს ამ პატივს, არამედ ვინც ხმობილია ღმერთის მიერ, არონის მსგავსად.

5. ასე ქრისტემაც თვითონვე კი არ მიიკუთვნა მღვდელმთავრად ყოფნის დიდება, არამედ მისი წყალობით, ვინც უთხრა მას: ძე ხარ შენ ჩემი, დღეს მიშობიხარ შენ.

6. ისევე როგორც სხვაგან ამბობს: შენა ხარ მღვდელი უკუნისამდე, წესისამებრ მელქისედეკისა;

7. რომელმაც, მისი ხორციელად ყოფნის დღეებში, ხმამაღალი ყვირილითა და ცრემლების ფრქვევით შესწირა ლოცვა-ვედრება მას, ვისაც შეეძლო სიკვდილისაგან ეხსნა იგი; და შესმენილ იქნა მისი ღმრთისმოშიშების გამო.

8. თუმცაღა ძეა, მაგრამ ვნებით ისწავლა მორჩილება.

9. და სრულ იქმნა, და მისადმი მორჩილთ საუკუნო ხსნის მიზეზად ექმნა,

10. და იწოდა ღმრთის მიერ მღვდელმთავრად, წესისამებრ მელქისედეკისა.

11. ბევრი რამის თქმა შეგვეძლო ამის გამო, მაგრამ ინელია განსამარტავად, რადგანაც აღარ შეგიძლიათ სმენა.

12. და რადგან, თუმცა, დროის მიხედვით, მოძღვრები უნდა ყოფილიყავით, მაგრამ თვითონვე გჭირდებათ მოძღვარი, რათა ისწავლოთ ღმრთის სიტყვის პირველსაწყისნი; და კვლავინდებურად რძე გჭირდებათ, და არა უხეში საჭმელი.

13. მაგრამ ყველა რძის მსმელი სიმართლის სიტყვაში უცადია, რადგანაც ჩვილია ჯერაც.

14. ხოლო უხეში საჭმელი სრულთა კერძია, რომელთა გრძნობებიც გაწვრთნილია ჩვევით, რათა კეთილისა და ბოროტის გარჩევა შესძლონ.

თავი მეექვსე

1. ამიტომაც დავუტევოთ სიტყვა ქრისტეს დასაბამისა, და ვისწრაფოთ სრულყოფის მიმართ; და კვლავ ნულარ დავსდებთ საძირკველს სინანულისას მკვდარ საქმეთაგან და ღმერთის რწმენისას,

2. ნათლისღების სწავლისას, ხელთდასხმისას, მკვდართა აღდგომისას და საუკუნო სასჯელისას.

3. ამასაც ვიქმთ, თუკი ინება ღმერთმა.

4. რადგანაც შეუძლებელია, რომ ერთხელ უკვე განათლებულნი, რომელთაც იგემეს ციური ნიჭი, და ეზიარნენ სულს წმიდას,

5. და იხილეს ღმერთის კეთილი სიტყვის გემო, და ძალნი მომავალი საუკუნისა, —

6. დაეცნენ, და კვლავ განაახლონ სინანული, რაკიღა კვლავინდებურად აცვამენ ჯვარს თავიანთ თავში ძეს ღმრთისას, და აგინებენ მას.

7. რადგანაც მიწა, რომელიც ისრუტავს მასზე მრავალგზის დადენილ წვიმას და აღმოაცენებს მიწის მუშაკთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის სარგო ნათესს. კურთხევას იღებს ღმერთისაგან.

8. ხოლო ნარ-ეკლის აღმომაცენებელი ურგებია და ლამის დაწყევლილი, რომლის აღსასრულიც არის დაწვა.

9. მაგრამ თქვენთვის, საყვარელნო, გვწამს, რომ უკეთესნი ხართ და ხსნად მიწევნილნი, თუმცა ამას კი ვამბობთ.

10. რადგანაც ღმერთი უსამართლო როდია, რომ დაივიწყოს თქვენი საქმენი და შრომა სიყვარულისა, რაც გამოავლინეთ მისი სახელისათვის, რაკიღა წმიდათ მსახურებდით და კვლავ მსახურებთ.

11. მაგრამ გვსურს, რომ თითოეული თქვენგანი სასოების სავსებისთვის იჩენდეს იმავე გულმოდგინებას აღსასრულამდე.

12. რათა მცონარენი არ გახდეთ, არამედ ბაძავდეთ მათ, რომელნიც რწმენითა და დიდსულოვნებით დაიმკვიდრებენ აღთქმათ.

13. რადგანაც ღმერთმა, აბრაამს რომ აძლევდა აღთქმას, რაკიღა თავისზე უმეტესი არავინ ჰყავდა დასაფიცებლად, თავისივე თავი დაიფიცა,

14. და თქვა: ჭეშმარიტად, კურთხევით გაკურთხებ შენ, და გამრავლებით გამრავლებ შენ.

15. და ასე მან, დიდსულოვნებით, მიიღო აღთქმა.

16. რადგანაც კაცნი უმეტესს იფიცავენ, და მათი ყოველი ცილობის დასასრული ფიცია.

17. ამიტომ ღმერთმა, რომელსაც უპირატესად სურდა ეჩვენებინა აღთქმის მემკვიდრეთათვის თავისი ნების ურყევობა, შუამდგომლად იხმარა ფიცი.

18. რათა ორ ურყევ საქმეში, რაშიაც შეუძლებელია ეცრუა ღმერთს, მტკიცე ნუგეში გვქონდეს ჩვენ, რომელთაც ვისწრაფეთ დავუფლებოდით ჩვენს წინ მდებარე სასოებას.

19. რომელიც გვაქვს, როგორც მტკიცე და სანდო ღუზა სულისა, და შიგნით, ფარდის მიღმა აღწევს.

20. სადაც ჩვენდა [illegible] შევიდა იესო. და წ[illegible] სედეკისა, მღვდელმთავარი გახდა უკუნისამდე.

თავი მეშვიდე

1. რადგანაც მელქისედეკი, მეფე შალემისა, მღვდელი მაღალი ღმერთისა, რომელიც შეეგება აბრაამს, მეფეთა შემუსვრის შემდეგ მობრუნებულს, და აკურთხა იგი,

2. და რომელსაც ყველაფრის მეათედი უწილადა აბრაამმა, პირველად განიმარტება, როგორც სიმართლის მეფე, ხოლო შემდეგ შალემის მეფედაც, რაც ნიშნავს მშვიდობის მეფეს;

3. უმამო, უდედო, უგვარტომო, დღეთა დასაბამისა თუ სიცოცხლის დასასრულის არმქონე, ღმერთის ძის მსგავსი და მღვდლად შთენილი სამარადისოდ.

4. მაშ, იხილეთ, რაოდენ დიდი იყო ის, ვისაც მამათმთავარმა აბრაამმა უწილადა მეათედი თავისი უკეთესი ნადავლისაგან.

5. ლევის ძეთაგან მღვდლობის მიმღებთ აქვთ მცნება, რჯულისამებრ მიიღონ მეათედი ხალხისაგან, ესე იგი, თავიანთი ძმებისგან, თუმცაღა ესენიც აბრაამის წიაღიდან არიან გამოსულნი.

6. ხოლო მან, რომელიც დასაბამს არ იღებს მათი გვარიდან, აბრაამისაგან მიიღო მეათედი, და აკურთხა აღთქმის მქონე.

7. ხოლო ყოველგვარი ცილების გარეშე უმცირესი იკურთხევა უმეტესის მიერ.

8. და აქ მეათედს იღებენ მოკვდავი კაცნი, ხოლო იქ — ვისაც აქვს მოწმობა, რომ ცოცხალია,

9. და, ასე ვთქვათ, ლევიმაც, რომელიც იღებს მეათედს, აბრაამის სახით გასცა მეათედი,

10. ვინაიდან ჯერ კიდევ მამის წიაღში იყო, როცა შეეგება მელქისედეკი.

11. ამრიგად, სრულყოფა რომ ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტელთა მღვდლობის მეშვეობით მიიღწეოდეს (ვინაიდან ხალხი ამ ეროვნებისა რჯულდებული), რაღა საჭირო იქნებოდა მელქისედეკის წესისამებრ აღმდგარიყო სხვა მღვდელი, და არა აარონის წესისამებრ წოდებულიყო?

12. რადგან მღვდლობის შეცვლასთან ერთად უთუოდ უნდა შეიცვალოს რჯულიც.

13. რადგან ვისზედაც ეს ითქვა, სხვა ტომს ეკუთვნოდა, საიდანაც არავინ მიახლებია საკურთხეველს.

14. ვინაიდან ცნობილია, რომ უფალი ჩვენი აღმობრწყინდა იუდას ტომიდან, რომელზედაც მოსეს არაფერი უთქვამს მღვდლობის გამო.

15. და ეს მით უფრო ცხადია, რომ მელქისედეკის მსგავსად დგება სხვა მღვდელი.

16. რომელიც ხორციელი მცნების რჯულისამებრ კი არ გახდა მღვდელი, არამედ წარუვალი სიცოცხლის ძალისამებრ.

17. რადგანაც მოწმობს: შენა ხარ მღვდელი უკუნისამდე, წესისამებრ მელქისედეკისა.

18. ხოლო უწინდელი მცნების გაუქმება მისი უძლურებისა და ურგებობის გამო ხდება.

19. რადგანაც ვერაფერი სრულყო რჯულმა; მაგრამ შემოდის უმჯობესი სასოება, რომლის მეოხებითაც მივეახლებით ღმერთს.

20. და რამდენადაც ეს არ მომხდარა ფიცის გარეშე,

21. (ვინაიდან ისინი ფიცის გარეშე იყვნენ მღვდელნი, ხოლო ეს — ფიცით მის მიერ, რომელმაც უთხრა მას: დაიფიცა ღმერთმა და არ შეინანებს: შენა ხარ მღვდელი უკუნისამდე, წესისამებრ მელქისედეკისა), —

22. იმდენადვე უმჯობესი აღთქმის თავმდები იქმნა იესო.

23. ეგეც არ იყოს, ისინი მრავალნი იყვნენ მღვდელნი, ვინაიდან სიკვდილი ხელს უშლიდა მათს დამკვიდრებას.

24. ხოლო მას, როგორც [illegible] მყოფს, მღვდლობაც წარუვალი აქვს:

25. ამიტომაც ძალუძს ყოვლითურთ იხსნას ისინი, რომელნიც მის მიერ მიეახლებიან ღმერთს, რადგანაც მარად ცოცხალია მათდა მეოხად.

26. ასეთი გვშვენოდა მღვდელთმთავარი: წმიდა, უმანკო, უმწიკვლო, ცოდვილთაგან განშორებული და ზეცათა უზენაესი,

27. რომელსაც არ სჭირდება, იმ მღვდელთმთავართა მსგავსად, ყოველდღე შესწიროს მსხვერპლი ჯერ თავისი, ხოლო შემდეგ ხალხის ცოდვების გამო, ვინაიდან ერთხელ აღასრულა ეს, როცა შესწირა თავისი თავი.

28. რადგანაც რჯულმა მღვდელმთავრებად დაადგინა უძლურების მქონე კაცნი, ხოლო ფიცის სიტყვამ, რჯულის შემდეგ. — ძე. უკუნისამდე სრულქმნილი.

თავი მერვე

1. ხოლო ნათქვამთაგან უმთავრესი ეს არის: ისეთი მღვდელთმთავარი გვყავს, რომელიც დაჯდა ზეცას დიდების საყდრის მარჯვნივ.

2. და არის მსახური წმიდათა და ჭეშმარიტი კარვისა, რომელიც ააშენა უფალმა და არა კაცმა.

3. რადგანაც ყველა მღვდელთმთავარი მსხვერპლთა და შესაწირავთა მისართმევად არის დადგენილი; ამიტომ საჭიროა, რომ მასაც რაიმე ჰქონდეს მისართმევი.

4. მიწაზე რომ დარჩენილიყო, მღვდელიც აღარ იქნებოდა, რადგან აქ არიან მღვდელნი, რომელნიც სწირავენ შესაწირავთ რჯულისამებრ,

5. და რომელნიც მსახურებენ ზეციურის ხატსა და ჩრდილს, როგორც ებრძანა მოსეს კარვის დასრულებისას: იცოდე, — იყო თქმული, — ყველაფერი აღასრულე იმ ხატის მსგავსად, რომელიც გიჩვენე მთაზე.

6. ხოლო აწ ქრისტე მით უკეთეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურებას ეწია, რამდენადაც თავმდებია უკეთესი აღთქმისა, რომელიც რჯულიერად ეფუძნება უკეთეს აღთქმათ.

7. რადგან პირველი აღთქმა რომ უნაკლო ყოფილიყო, მეორის ადგილი საძიებელი აღარ იქნებოდა.

8. ვინაიდან წინასწარმეტყველი ყვედრებით ამბობს მათ მიმართ: აჰა, მოდიან დღენი, იტყვის უფალი, და დავუდებ ისრაელის სახლსა და იუდას სახლს ახალ აღთქმას.

9. არა იმ აღთქმისამებრ, რომელიც დავუდე მათ მამებს იმ დღეს, როცა ხელი ჩავკიდე მათ ეგვიპტის ქვეყნიდან გამოსაყვანად: მაგრამ რაკი ჩემს აღთქმაში არ დამკვიდრდნენ, მეც უგულებელვყავ ისინი, ამბობს უფალი.

10. რადგან ეს იქნება აღთქმა, რომელსაც აღვუთქვამ ისრაელის სახლს იმ დღეთა შემდგომ, ამბობს უფალი: ჩავდებ ჩემს რჯულს მათს გონებაში, და მათს გულებზე დავაწერ მას: და ვიქნები მათი ღმერთი, ხოლო ისინი იქნებიან ჩემი ხალხი.

11. და აღარ ასწავლის თვითეული მოყვასს თვისას, და თვითეული ძმას თვისას, და ეტყვის: იცან უფალი: რადგან ყველა მათგანისათვის, დიდიან-პატარიანად, ცნობილი ეიქნები მე.

12. რადგანაც მოწყალე ვიქნები მათი უსამართლობის მიმართ, და აღარ გავიხსენებ მათს ცოდვებს და მათს ურჯულოებათ.

13. ახალიო, რომ თქვა, პირველის სიძველე გვიჩვენა; ხოლო ის, რაც ძველდება და ბერდება, გაქრობაზე მიწევნილია.

თავი მეცხრე

1. ხოლო პირველ აღთქმასაც ჰქონდა წეს-განგება მსახურებისა, და ამქვეყნიური საწმიდე.

2. რადგანაც პირველი კარავი გამზადებული იქმნა ისე, რომ შიგ იყო სანთელი და ტაბლა და შესაწირავი პური; და ერქვა მას წმიდა.

3. ხოლო მეორე ფარდის შემდეგ კარავი, რომელსაც ერქვა წმიდათა-წმიდა,

4. და ჰქონდა მას სასაკმეველე ოქროსი, და ყოველი მხრიდან ოქროთი მოჭედილი კიდობანი აღთქმისა, რომელშიაც იყო მანანით სავსე ჭურჭელი, და აარონის კვერთხი, რომელიც განეღლდა, და აღთქმის ფიცარნი,

5. ხოლო მათ ზემოთ — ქერუბიმნი დიდებისა, სალხინებლის საჩრდილობლად; რომელთათვისაც ცალ-ცალკე ვერ ვილაპარაკებთ ამჯერად.

6. რაკი ამნაირადაა გამართული, პირველ კარავში ყოველთვის შედიან მღვდელნი ღმრთისმსახურების აღსასრულებლად.

7. ხოლო მეორეში წელიწადში ერთხელ შედის მღვდელთმთავარი. მაგრამ არა სისხლის გარეშე, რომელსაც სწირავს თავისი თავისა და ხალხის ცდომილების გამო.

8. ამით სული წმიდა გვიცხადებს, რომ ჯერ კიდევ არ გამოჩენილა საწმიდის გზა, სანამდის კვლავ დგას პირველი კარავი.

9. იგია ხატი აწმყო დროისა, როცა შეიწირებიან მსხვერპლნი და შესაწირავნი, რომელთაც არ ძალუძთ სრულყონ შემწირველნი სინიდისით,

10. რაკიღა ესაა მხოლოდ საჭმელი და სასმელი, სხვადასხვაგვარი განბანა და ხორციელ წესთა აღსრულება, გამოსწორების დრომდე დადგენილნი.

11. ხოლო ქრისტე, მომავალ სიკეთეთა მღვდელმთავარი, მოვიდა უფრცესი და უსრულქმნილესი კარვით, არა ხელთქმნილით, ესე იგი, არა ამნაირად შექმნილით,

12. და არც ვაცთა თუ ზვარაკთა სისხლით, არამედ თავის სისხლით შევიდა ერთხელ საკურთხეველში, და საუკუნო გამოხსნა ჰპოვა.

13. რადგან თუ ვაცთა და ზვარაკთა სისხლი, და დეკეულის ფერფლი, პკურებით გაწმენდს შებილწულთ, რათა წმიდა იყოს ხორცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. რაოდენ უფრო მეტად სისხლი ქრისტესი, რომელმაც სულით მარადიულით შესწირა თავი უბიწოდ ღმერთს, გაწმენდს თქვენს სინდისს მკვდარ საქმეთაგან, ცოცხალი ღმერთის სამსახურებლად!

15. და ამიტომაც ახალი აღთქმის შუამდგომელია, რათა სიკვდილით, რომლითაც მოკვდა პირველი აღთქმისას რჯულის შებღალვის გამოსასყიდად, საუკუნო მკვიდრობისათვის ხმობილთ მიიღონ აღთქმული.

16. რადგან სადაც არის ანდერძი, იქ აუცილებელია, რომ მოკვდეს მეანდერძე.

17. ვინაიდან ანდერძს ძალა აქვს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, მაგრამ არა აქვს ძალა, ვიდრე ცოცხალია მეანდერძე.

18. ამიტომ არის, რომ პირველი აღთქმაც უსისხლოდ როდი დაემტკიცა.

19. რადგანაც მოსემ, ყველა მცნება რომ წარმოსთქვა ხალხის წინაშე რჯულისამებრ, აიღო სისხლი ზვარაკთა და ვაცთა, წყალსა, მეწამულ მატყლსა და უსუპთან ერთად, და ასხურა როგორც თვით წიგნს, ისე მთელს ხალხსაც.

20. და თქვა: ესაა სისხლი აღთქმისა, რომელიც გამცნოთ თქვენ ღმერთმა.

21. და თვით კარავსაც და საღმრთისმსახურო ჭურჭელსაც ასხურა სისხლი.

22. და თითქმის ყველაფერი, რჯულისამებრ, განიწმინდება სისხლით, და სისხლის დათხევის გარეშე არ არსებობს მიტევება.

23. ამრიგად, ზეციურთა ხატნი ამით უნდა განიწმინდებოდნენ, ხოლო თვით ზეციურნი — ამაზე უკეთესი მსხვერპლით.

24. რადგანაც ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ, ესე იგი, ჭეშმარიტის ხატად შექმნილ საკურთხეველში, არამედ თვით ცაში, რათა სჩვენებოდა სახეს ღრმთისას ჩვენთვის.

25. არა იმიტომ, რომ მრავალგზის შეეწირა თავისი თავი, როგორც მღვდელმთავარი შედის საწმიდეში ყოველწლიურად სხვისი სისხლით.

26. ასე რომ არა, მრავალგზის უნდა ვნებულიყო ქვეყნის დასაბამიდან. ხოლო აწ ერთხელ, ჟამთა დასასრულს, თავისი მსხვერპლით ცოდვათა გასაქარწყლებლად გამოჩნდა.

27. და როგორც კაცთ ერთხელ უწერიათ სიკვდილი, და შემდეგ სამსჯავრო,

28. ასევე ქრისტეც, ერთხელ რომ შესწირა თავი მრავალთათვის, ცოდვათა წარსახოცად, მეორედ გამოჩნდება არა ცოდვის განსაწმენდად, არამედ მათთვის, რომელნიც მოელიან მხსნელად.

თავი მეათე

1. რადგანაც რჯულს, მომავალ სიკეთეთა მხოლოდ ჩრდილისა და არა თვით საგანთა ხატების მქონეს, ყოველწლიურად გამუდმებით შეწირული ერთი და იმავე მსხვერპლით, არასდროს არ ძალუძს შემწირველთა სრულყოფა.

2. ასე რომ არა, ვინღა შესწირავდა მსხვერპლს, რადგანაც ერთხელ განწმენდილთ წარმოდგენაც აღარ ექნებოდათ, რა არის ცოდვა.

3. მაგრამ მსხვერპლის წყალობით ყოველწლიურად იხსენებენ ცოდვებს,

4. რადგანაც შეუძლებელია ცოდვათა წარხოცა ხართა და ვაცთა სისხლით.

5. ამიტომაც ქვეყნად შემოსვლისას ამბობს: მსხვერპლი და შესაწირავი შენ არ ისურვე, ხოლო სხეული განმიმზადე მე.

6. ყოვლისშეწვა და მსხვერპლი ცოდვისათვის არ ინდომე.

7. მაშინ მე ვთქვი: აჰა, მოვდივარ (როგორც წიგნის დასაწყისში სწერია ჩემთვის), რათა აღვასრულო, ღმერთო, ნება შენი.

8 ზემოთ რომ ამბობს: მსხვერპლი და შესაწირავი და ყოვლისშეწვა და მსხვერპლი ცოდვისათვის, რომელნიც იწირვიან რჯულისამებრ, შენ არ ისურვე და არ ინებეო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. შემდეგ დასძეხს: აჰა, მოვდივარ, რათა აღვასრულო, ღმერთო, ნება შენი. აუქმებს პირველს, რათა მეორე დაადგინოს.

10. სწორედ ამ ნებით განწმენდილნი ვართ ჩვენ, იესო ქრისტეს სხეულის ერთგზის შეწირვით.

11. და ყველა მღვდელი ყოველდღე დგას მსახურებად, და მრავალგზის სწირავს ერთსა და იმავე მსხვერპლს, რომელიც ვერასოდეს ვერ წარხოცს ცოდვას.

12. ხოლო მან ერთადერთი მსხვერპლი შესწირა ცოდვათათვის, და სამარადისოდ დაჯდა ღმრთის მარჯვნივ,

13. და მას მერე მოელის, ვიდრემდის მისი მტრები დაემხობიან მის ფეხქვეშ.

14. რადგანაც ერთადერთი მსხვერპლით სამარადისოდ სრულქმნა განწმენდილნი.

15. ხოლო გვემოწმება ჩვენ სული წმიდა, რადგან მას შემდეგ, რაც ითქვა:

16. ეს არის აღთქმა, რომელსაც აღვუთქვამ მათ იმ დღეთა შემდეგ, ამბობს უფალი, ჩავდებ რჯულს ჩემსას მათს გულებში, და მათს გონებაში ჩავწერ მას;

17. და მათს ცოდვებსა და ურჯულოებას აღარ გავიხსენებ.

18. ხოლო იქ, სადაც ცოდვათა მიტევებაა, ძღვენი საჭირო აღარ არის მათთვის.

19. ამრიგად, ძმანო, რაკი გვაქვს სითამამე საწმიდეში შესვლისა იესოს სისხლით,

20. ახალი და ცოცხალი გზით, რომელიც გაგვიხსნა ჩვენ ამ ფარდით, ესე იგი, თავისი ხორცით,

21. და გვყავს მღვდელმთავარი დიდი ღმრთის სახლში,

22. მივეახლოთ მას წრფელი გულით, რწმენით აღვსილით, უკეთური სინიდისისაგან სხურებით გულგაწმენდილნი და წმინდა წყლით ტანგანბანილნი,

23. მტკიცედ მივსდიოთ აღსარებას სასოებისას; რადგან [illegible] მელი.

24. დავეკერდეთ ერთმეორეს, რათა წავაქეზოთ ერთმანეთი სიყვარულისა და კეთილ საქმეთათვის.

25. და ნუ დავუტოვებთ ჩვენს შესაკრებელს, როგორც სჩვევია ზოგ-ზოგს: არამედ შევაგონოთ ერთმანეთს, და მით უმეტესად, რაც უფრო მეტადა ვგრძნობთ, რომ ახლოვდება დღე იგი.

26. რადგან თუ ამას შემდეგ, რაც მივიღეთ ჭეშმარიტების ცოდნა, კვლავ ვცოდავთ ნებსით, აღარა რჩება მსხვერპლი ცოდვათათვის,

27. არამედ რაღაც საშინელი მოლოდინი მსჯავრისა, და მძვინვარება ცეცხლისა, მტერთა შთასანთქმელად გამზადებულის.

28. თუკი მოსეს რჯულის უარმყოფელი, ორი თუ სამი კაცის მოწმობით, შეუწყალებლად უნდა მოკვდეს,

29. როგორ გგონიათ, რამდენად უფრო მძიმე იქნება მისი სასჯელი, ვინც თრგუნავს ძეს ღმრთისას, და არაღირსად რაცხს აღთქმის სისხლს, რომლითაც განიწმიდა, და აგინებს მადლის სულს?

30. რადგანაც ვიცნობ მას, ვინცა თქვა: ჩემია შურისგება, და მე მივაგებ, ამბობს უფალი; და მერე: უფალი განიკითხავს თავის ხალხს.

31. საშინელია ჩავარდნა ცოცხალი ღმერთის ხელში.

32. გაიხსენეთ უწინდელი დღენი, როცა, განათლებულნი, დაითმენდით ვნებათა დიად ღვაწლს;

33. როცა, თვითონ გმობითა და ურვით ქვეყნის სასეიროდ ქცეულნი, თანაუგრძნობდით სხვებსაც, თქვენსავე დღეში მყოფთ;

34. რადგან ჩემს ტყვეობასაც თანაუგრძნეთ, და თქვენი ქონების იავარყოფას სიხარულით შეხვედით, ვინაიდან იცოდით, რომ გაქვთ ცაში საუნჯე უმჯობესი და წარუვალი.

35. მაშ, ნუ დაუტოვებთ თქვენს სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხნევეს, რომელსაც ელის დიადი საზღაური.

36. მოთმინება გმართებთ, რათა ჰყოთ ნება ღმრთისა, და მიიღოთ აღთქმული.

37. რადგან ცოტაც, სულ ცოტაც, და არ დაყოვნდება, მოვა მომავალი.

38. ხოლო მართალი რწმენით იცოცხლებს; და თუ ვინმე განდგება, არ შეიწყალებს მას სული ჩემი.

39. მაგრამ ჩვენ არა ვართ განდგომილნი წარსაწყმედლად; არამედ ვდგავართ რწმენით, რათა ვიხსნათ სული.

თავი მეთერთმეტე

1. ხოლო რწმენა არის ხორცშესხმა იმისა, რასაც მოველით, და ცხადყოფა უხილავისა.

2. რადგან მასში მიეცა მოწმობა უხუცესთ.

3. რწმენით შევიცნობთ, რომ საუკუნენი ღმრთის სიტყვით არიან დამყარებულნი, და რომ უხილავისაგან შეიქმნა ხილული.

4. რწმენით შესწირა აბელმა უკეთესი მსხვერპლი ღმერთს, ვიდრე კაინმა; მისითვე მიიღო მოწმობა, რომ მართალია, როგორც იმოწმა ღმერთმა მისი მსხვერპლისთვის; და, სიკვდილის შემდეგ, მისითვე მეტყველებს კვლავაც.

5. რწმენით გარდაიცვალა ენოქი ისე, რომ არ უხილავს სიკვდილი; და აღარ იქმნა, რადგანაც ღმერთმა წაიყვანა იგი. ვინაიდან სიკვდილამდე მიიღო მოწმობა, რომ ესათნოვა ღმერთს.

6. ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია სათნო ყოფა, რადგან მას, ვინც უახლოვდება ღმერთს, უნდა სწამდეს, რომ ის არის, და რომ სანაცვლოს მიაგებს მის მაძიებელთ.

7. რწმენით მიიღო ნოემ ჩვენება იმის გამო, რაც ჯერ კიდევ უხილავი იყო, და ღვთისმოშიშებით ააგო კიდობანი თავისი სახლის სახსნელად; რწმენით განიკითხა ქვეყანა, და რწმენითვე გახდა სიმართლის მემკვიდრე.

8. რწმენით დაემორჩილა აბრაამ ხმობას, წასულიყო იმ ადგილას, რომელიც სამკვიდრებლად უნდა მიეღო, და წავიდა, თუმცა არ იცოდა, სად მიდიოდა.

9. რწმენით ცხოვრობდა აღთქმულ მიწაზე, ისე, ვით უცხო ქვეყნად, და მკვიდრობდა კარავში ისაკსა და იაკობთან, იმავე აღთქმის თანამემკვიდრეებთან ერთად.

10. რადგანაც მოელოდა ქალაქს, რომელსაც აქვს საფუძველი, და რომლის ხელოთმოძღვარი და შემოქმედი არის ღმერთი.

11. რწმენით სარამაც, რომელიც უნაყოფო იყო, მიიღო ძალა თესლის შეწყნარებისა, და ხანგადასულმა შვა, რადგანაც სარწმუნოდ შერაცხა მისი აღმთქმელი.

12. ამიტომაც ერთისაგან, და ისიც ლამის მკვდრისაგან, იშვნენ მრავალნი, როგორც მრავალი ვარსკვლავია ცაზე, და როგორც ქვიშაა ზღვის პირას ურიცხვი.

13. ყველა ისინი რწმენით მოკვდნენ, და ვერ მიიღეს აღთქმული, არამედ შორით ხედავდნენ, სწამდათ, მოიკითხავდნენ და აღიარებდნენ, რომ სტუმარნი და წარმავალნი არიან ამ ქვეყნად.

14. რადგანაც ამრიგად მეტყველნი ცხადყოფენ, რომ სამშობლოს ეძებენ.

15. იმ სამშობლოს მხსოვნელნი რომ ყოფილიყვნენ, საიდანაც გამოვიდნენ, მოასწრებდნენ იქ მიბრუნებას.

16. მაგრამ უკეთესისკენ მიილტვოდნენ, ესე იგი, ზეციურის მიმართ; ამიტომაც ღმერთს არ რცხვენია მათ გამო, და მათს ღმერთს უწოდებს თავის თავს, რადგანაც განუმზადა მათ ქალაქი.

17. რწმენით შესწირა აბრაამმა, გამოცდის ჟამს, ისაკი; და აღთქმის მიმღებმა შესწირა მხოლოდშობილი,

18. რომლის მიმართაც ითქვა: ისაკის მიერ იწოდება შენი მოდგმა.

19. რადგანაც სწამდა, რომ მკვდრეთით აღდგინებაც შეუძლია ღმერთს; ამიტომაც წინასწარ მაუწყებლად უკანვე მიიღო იგი.

20. რწმენით ისააკმა აკურთხა მომავლისათვის იაკობი და ესავი.

21. რწმენით აკურთხა სათითაოდ მომაკვდავმა იაკობმა იოსების ძენი, და თაყვანი სცა, თავის კვერთხს დაყრდნობილმა.

22. რწმენით იოსებმა, აღსასრულისას, მოიხსენია ისრაელის ძეთა გამოსვლა, და ბრძანება გასცა თავისი ძვლებისთვის.

23. რწმენით მოსეს, დაბადებისას, სამი თვე მალავდა დედ-მამა; რადგანაც ხედავდნენ, რომ ყრმა მშვენიერია, და არ შეუშინდნენ მეფის ბრძანებას.

24. რწმენით მოსემ, როდესაც წამოიზარდა, აღარ ინება ფარაონის ასულის ძედ წოდებულიყო.

25. და ამჯობინა ღმრთის ხალხთან ერთად ტანჯვა, ვიდრე ჰქონოდა მცირე ცოდვილი განცხრომა,

26. და ქრისტესავით გმობა უფრო დიდ სიმდიდრედ შერაცხა თავისთვის, ვიდრე ეგვიპტის მთელი საუნჯე, რადგანაც ხედავდა ნაცვლისგებას;

27. რწმენით დაუტევა ეგვიპტე, და არ შეუშინდა მეფის რისხვას, რადგანაც მტკიცე იყო, როგორც მხილველი უხილავისა.

28. რწმენით აღასრულა პასექი და სისხლის პკურება, რათა პირმშოთა მომსვრელი არ შეხებოდა მათ.

29. რწმენით გადავლეს მათ მეწამული ზღვა, როგორც ხმელეთი; ხოლო ეგვიპტელები, იმავეს ქმნა რომ დააპირეს, უფსკრულს დაინთქნენ.

30. რწმენით დაემხნენ იერიხონის ზღუდენი, შვიდ დღიანი ალყით.

31. რწმენით მეძავი რაჰაბი არ დაიღუპა ურჩებთან ერთად, მშვიდობით მიიღო რა მსტოვარნი.

32. მეტი რაღა ვთქვა? რადგან დრო არ მეყოფა გედეონის, ბარაკის, სამსონის, იეფთაეს, დავითის, სამუელისა და წინასწარმეტყველთა [illegible] ბად.

33. რომელნიც რწმენით სძლევდნენ მეფეებს, იქმოდნენ სიმართლეს, იღებდნენ აღთქმას, პირს უკრავდნენ ლომებს,

34. შრეტდნენ ცეცხლის ძალას, თავს აღწევდნენ მახვილის პირს, ძლიერდებოდნენ უძლურებისგან, მძლავრობდნენ ბრძოლაში, აოტებდნენ უცხოთესლთა ლაშქარს;

35. ქალებს აღმდგარნი უბრუნდებოდნენ თავიანთი მკვდრები; ხოლო სხვები თავის მოკვეთით აღესრულნენ, და ვერ ეღირსნენ თავისუფლებას, რათა გამხდარიყვნენ უკეთესი აღდგომის ღირსნი.

36. სხვებმა დაითმინეს წამება და გვემა; სხვებმა კიდევ — ბორკილები და საპყრობილე;

37. იყვნენ ჩაქოლილნი, შუაზე გადახრილნი, ხმლით განგმირულნი; ცხვრისა თუ თხის ტყავებით მოარულნი, გაჭირვებულნი, ურვილნი, ძვირხილულნი,

38. (რომელთა ღირსიც არ იყო მთელი ქვეყანა), უდაბნოებსა თუ ტყეღრეში მოხეტენი, მღვიმეებსა თუ მიწის ხვრელებს შეფარებულნი.

39. და ყველა მათ, რომელთაც მიეცათ მოწმობა რწმენით, ვერ მიიღეს აღთქმული.

40. რადგანაც ღმერთმა წინასწარ განჭვრიტა ჩვენთვის უკეთესი, რათა უჩვენოდ ვერ ყოფილიყვნენ სრულქმნილნი

თავი მეთორმეტე

1 ამიტომ ჩვენც, რაკიღა გარს გვახვევია ესოდენ მრავალი მოწმე, ჩამოვიშოროთ ყოველგვარი სიმძიმე და ხელ-ფეხ შემკვრელი ცოდვა, და მოთმინებით გავლიოთ ჩვენს წინაშე მდებარე სარბიელი,

2. და ვხედავდეთ რწმენის ჩვენის წინამძღვარსა და აღმსრულებელს იე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოს. რომელმაც მის წინაშე მდებარე სიხარულს წილ დაითმინა ჯვარი, სირცხვილი უგულებელყო, და დაჯდა ღმრთის საყდრის მარჯვნივ.

3. იფიქრეთ მასზე, ვინც დაითმინა ყოველივე ეს ცოდვილთაგან, რათა არ დაუძლურდეთ და არ დაკარგოთ სულის სიმხნევე.

4. ჯერ კიდევ სისხლამდე არ ალმდგარხართ ცოდვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

5. და დავიწყეთ ნუგეში, რომელიც გეუბნებათ, როგორც ძეთ: შვილო ჩემო, ნუ უგულებელყოფ აღზრდას უფლისას, და ნურც სულით დაეცემი, როცა გამხილებს შენ.

6. რადგან ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის; ხოლო შოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს.

7. თუ აღზრდას ითმენთ, იმიტომ, რომ ღმერთი გეპყრობათ, როგორც შვილებს, რადგანაც არის კაცი შვილი, რომელსაც არ ზრდიდეს მამა?

8. ხოლო თუ შორსა ხართ აღზრდისაგან, რომელიც საზიარია ყველასათვის, ნაბუშრები ხართ და არა შვილები.

9. და მერე, ხორციელი მშობელი რომ გვყავდნენ აღმზრდელად, ნომ მოგვერიდებოდა მათი? განა მით უფრო მეტად არ უნდა ვემორჩილებოდეთ სულების მამას, რათა ვცხონდეთ?

10. რადგან ისინი ორიოდე დღისათვის გვზრდიდნენ თავიანთი ნებით, ხოლო ეს — ჩვენივე სიკეთისათვის, რათა ვეზიარებოდეთ მის სიწმიდეს.

11. ყოველგვარი აღზრდა სიხარულად კი არ გვეჩვენება ამჟამად, არამედ მწუხარებად; მაგრამ შემდეგ მის მიერ წვრთნილთ მიაგებს ნაყოფს მშვიდობისა — სიმართლეს.

12. მაშ, გაამართეთ დაშვებული ხელნი და მოუძლურებული მუხლნი,

13. და იარეთ გამართულად თქვენივე ფეხით, რათა კოჭლი კი არ გამრუდდეს; არამედ განიკურნოს.

14. ეცადეთ მშვიდობა გქონდეთ ყველას მიმართ და სიწმიდე, სოდაც ვერავინ იხილავს უფალს.

15. ფრთხილად იყავით, რათა არავინ, მოაკლდეს ღმრთის მადლს, და რაიმე ფესვმი სიმწარისამ აღმოცენებით, არ შეგაფუჭოთ, და რათა არ შეიბილწონ მისით მრავალნი;

16. რათა არ იყოს თქვენს შორის ვეძრუშე ანდა ბილწი, როგორც ესავი, რომელმაც საჭმლის წილ გაყიდა პირმშოება თვისი.

17. რაკიღა იცით, რომ შემდეგ, როცა ისურვა დალმკვიდრებინა კურთხევა, დგომილ იქნა; ვეღარაფერი გააწყო სინანულით, თუმცაღა ცრემლით ითხოვდა მიტევებას.

18. რადგანაც თქვენ მიადექით არა მთას ხელით შესახებელს და ცეცხლით გზნებულს, არა ბნელს, წყვდიადს თუ გრიგალს,

19. და არა ხმას საყვირისა და ხმობას სიტყვისას, რომლის მსმენელნიც ითხოვდნენ, რომ აღარ გაგრძელებულიყო სიტყვა,

20. რადგანაც ვერ უძლებდნენ იმას, რაც ნაბრძანები იქმნა: მხეციც რომ გაეკაროს მთას, ქვით ჩაიქოლება, ანდა ისრით ვანიგმირებაო.

21. და ისე საშინელი იყო ეს ხილვა, რომ მოსემაც თქვა: შეშინებული ვარ და შეძრწუნებული.

22. არამედ მიადექით თქვენ სიონის მთას და ქალაქს ცოცხალი ღმრთისას, ზეციურ იერუსალემს და ანგელოზთა ურიცხვ სიმრავლეს.

23. მოზეიმე საკრებულოს და ცაში ჩაწერილ პირმშოთა ეკლესიას, და ყოველისმსაჯულს ღმერთს, და სრულქმნილებას მიწევნილ მართალთა სულებს.

24. და ახალი აღთქმის შუამდგომელს, იესოს, და სისხლს სხურებისას, რომელიც უკეთ მეტყველებს, ვინემ ابელის სისხლი.

25. ეკრძალეთ, რათა არ მიიქცეთ თქვენც მეტყველისაგან, რადგან თუ ისინი, რომელთაც არ ესმინეს ქვეყნად მეტყველს, ვერ განერიდნენ სასჯელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უმეტეს ვერ განვერიდებით ჩვენ, თუკი მივიქცევით ზეცით მეტყველისაგან,

26. ვისმა ხმამაც ქვეყანა შესძრა მაშინ, ხოლო აწ ამგვარად გვამცნო, ერთხელაც შევძრავ არა მარტო ქვეყანას, არამედ ცასაც.

27. ხოლო ეს ერთხელაც გვაუწყებს შეძრულთა, როგორც შექმნილთა ცვლილებას, რათა უცვლელად ეგოს შეუძვრელი.

28. მაშ, ვიუფლოთ შეუძვრელი სასუფეველი, და გვექნება მადლი, რომლითაც სათნოდ ვემსახურებით ღმერთს მოშიშებით და მოწიწებით.

29. რადგანაც ჩვენი ღმერთი არის ცეცხლი შთანმთქმელი.

თავი მეცამეტე

1. ძმათმოყვარეობა იყოს.

2. სტუმართმოყვარეობას ნუ დაივიწყებთ, რადგანაც მის მიერ ზოგიერთებმა, ისე, რომ თვითონ არც გაუგიათ, ისტუმრეს ანგელოზნი.

3. გახსოვდეთ ტყვენი, თითქოს თქვენც მთთან ერთად იყოთ ტყვეობაში, და ტანჯულნი, რადგან თვითონაც ხორციელნი ხართ.

4. ქორწინება ღირსეული და სარეცელი უმწიკვლო იყოს ყველასი; ხოლო მემრუშეთა და მეძავთ ღმერთი განსჯის.

5. ვერცხლისმოყვარენი ნუ იქნებით ზნით, იკმარეთ, რაც გაბადიათ, რადგან თვითონ თქვა: არ დაგიტევებ, არც დაგაგდებ შენ.

6. ასე რომ, თამამად ვამბობთ: უფალია ჩემი შემწე, და არ შევდრკები: რას დამაკლებს კაცი?

7. გაიხსენეთ თქვენი წინამძღვარნი, რომელნიც გიქადაგებდნენ ღმრთის სიტყვას, და, მათი სიცოცხლის აღსასრულის შემყურეთ, მიჰბაძეთ მათ რწმენას.

8. იესო ქრისტე გუშინ და დღეს და უკუნითი უკუნისამდე იგივეა.

9. ნუ აჰყვებით მრავალ-ფეროვან უცხო მოძღვრებას, რადგანაც სასიკეთოა მადლით განიმტკიცოთ გული და არა საჭმლით, რომელსაც ვერას გამორჩნენ ჭამას გადაყოლილნი.

10. გვაქვს ჩვენ საკურთხეველი, საიდანაც ჭამის უფლება არა აქვთ კარვის მსახურთ.

11. რაკიღა ხორცი ცხოველებისა, რომელთა სისხლიც ცოდვის განსაწმედად საკურთხეველში შეაქვს მღვდელთმთავარს, დაიწვის ბანაკს გარეთ.

12. ამიტომ იესოც, რათა თავისი სისხლით განეწმიდა ხალხი, ბჭის გარეთ ევნო.

13. მაშ, გავიდეთ მასთან ბანაკს გარეთ, და მისი შეურაცხყოფა ვიტვირთოთ.

14. რადგანაც არა გვაქვს ჩვენ აქ მკვიდრი ქალაქი, არამედ მერმისისას ვეძებთ.

15. ამიტომაც მის მიერ გამუდმებით ვწირავდეთ ღმერთს მსხვერპლს ქებისას, ანუ ბაგეთა ნაყოფს, რომელნიც აღიარებენ მის სახელს.

16. და ნურც ქველმოქმედებასა თუ კეთილის ქმნას დაივიწყებთ, რადგან ამნაირი მსხვერპლი სათნო უჩანს ღმერთს.

17. დაემორჩილეთ თქვენს წინამძღვართ და ქედი მოუხარეთ მათ, რადგანაც ფხიზლობენ თქვენი სულებისათვის, თითქოს ანგარიშს აბარებდნენ ვინმეს; რათა სიხარულით აღასრულებდნენ ამას, და არა ოხვრით, რადგანაც ეს უსარგებლოა თქვენთვის.

18. ილოცეთ თქვენთვისაც, რადგანაც გვწამს, რომ წრფელი სინდისი გვაქვს, და გვინდა ყოველთვის წრფელად ვიქცეოდეთ.

19. უმეტესად გთხოვთ ამის აღსრულებას, რათა დაგიბრუნდეთ მალე.

20. ხოლო ღმერთმა მშვიდობისა, რომელმაც მარადიული აღთქმის სისხლი მკვდართაგან აღადგინა ცხვართა მწყემსი, უფალი ჩვენი იესო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. დაე, სრულგქმნათ თქვენ ყოველი კეთილი საქმის მისი ნებისამებრ აღსასრულებლად, და ყოს თქვენში ის, რაც სათნო ჩანს მის წინაშე, იესო ქრისტეს მიერ, ვისიცაა დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

22. ხოლო გევედრებით თქვენ, ძმანო, თავს იდვათ ეს სიტყვა შეგონებისა; თუმცაღა მოკლედ მოგწერეთ თქვენ.

23. იცოდეთ, რომ ძმა ტიმოთე გათავისუფლდა, და მეც, მასთან ერთად, თუკი მალე მოვა, გიხილავთ თქვენ.

24. მოიკითხეთ ყველა თქვენი წინამძღვარი და ყველა წმიდა. მოგიკითხავენ თქვენ იტალიელნი.

25. მადლი ყველა თქვენგანთან. ამინ.

თარგმანი ძველბერძნულიდან

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ — ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

ორი ქალი

— უკაცრავადო!... მხარზე ხელის ფრთხილი შეხებით
შეაჩერდება ხოლმე მუდამ, როდესაც ფიქრში
მასთან შეხვედრას და საუბარს წარმოიდგენდა:
თითქოს სიმშვიდით სიმშვიდისკენ იპატიჟებდა.
რადგანაც სხვა რამ — ნერვიულობა და განცდები ისედაც ჰქონდათ,
ისედაც ჰქონდათ სულის შემძვრელი ღამეები, მოლოდინი და სიმარტოვე...
ახლა კი, როცა ყველაფერი უკვე ადებოდა,
ამ წამის იყო და უკან ვერ დაიბრუნებდა.
როდესაც უკვე წარმოითქვა პირველი სიტყვა
და როცა თავი მოაბრუნეს იმისკენ უკვე
და თვალებშიც შეხედეს და იცნეს კიდევაც.
მიხვდა, თუ როგორ უცხო იყო მისთვის ეს როლი
და ეს სცენაც, მთელი მისი ცხოვრებიდან ამოვარდნილი...

ის დაიბადა, გაიზარდა, ორმოც წელსაც გადააბიჯა
და ყველაფერი, რაც აქამდის მომხდარიყო მის ცხოვრებაში,
მის პიროვნებას ეკუთვნოდა, არაფერი არ იყო უცხო...
თვალის ერთი გაპარებითაც
თავის თავი რომ დაინახა,
იმ წამის წამში, ერთი რამე საქციელიც კი ვერ იპოვნა,
თავის ჩვეულ არსებიდან ამოვარდნილი,
დავიწყებული თითქოს უკვე. მაგრამ მუდმივად
მასთან შეხვედრის მომლოდინე და მონატრული...
რადგან ბუნებრივ დროის გარდა, ჩვენს არსებაში,
არის წამები — უჩინარი და უჩუმესი:
როცა საკუთარ სინდისს უნდა გადაეყარო...
და ახლა კი,
ამ ერთი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ,
მიხვდა თუ როგორ გადაშალა სულ სხვა ფურცელი.
პატარა გოგოს რომ აგზავნის ლოთი მამა არყის საყიდლად
და ამას კი, დახლის წინ მდგარს, სიკვდილი უნდა,
ცრემლებმომდგარი ართმევს არაყს და მწარედ იცის,
რომ ასეთ სასჯელს არაფრით არ იმსახურებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურაცხყოფა და სიმტკიცე ერთად აიტანს,
და მზად არის — გინდაც დაკალი...

როგორ უცბად მორჩა მისთვის ძველი ცხოვრება!
ახლა მეორე სიტყვას იტყვის. მერე მესამეს
და არ ექნება სიტყვებს ბოლო, რადგანაც საქმე
მისთვის უმთავრეს. სასიცოცხლო ამბავს ეხება.
მოასწრო და კიდევ ერთხელ გააპარა ქმრისაკენ თვალი:
— განა ამას ვიმსახურებდი.
განა ცუდი ცოლი ვიყავი.
ეგ სითამამეც განა ჩემგან არ ისაკუთრე!..
სასაკლაოზე დაყენებულ საქონელივით
შეხედა ქმარსაც. ცხოვრებასაც. იმათ სამართალს
და ცრემლებით დაებერა უცებ თვალები.
იმის გამოც აეტირა. ტირილი რომ მოუნდა უცებ
და ჩანთაში ცხვირსახოცის ძებნით უთხრა თავის სახელი...
რას იფიქრებდა — წესიერი — თუკი ოდესმე
ასეთნაირად მოუწევდა თავის გაცნობა.
ისე, როგორც იმასაც ვერ წარმოიდგენდა,
თუ ასეთი გულახდილი შეიქნებოდა:

— იცით, კარგა დიდი ხანია,
რაღაც უაზროდ და ჩემთვისაც მოულოდნელად
(მე ქმრის უჯრაში არასოდეს ვიხედებოდი
და იმასაც დამალვაზე არ უფიქრია),
მოულოდნელად და სიჩქარით იმის საბუთს რომ დავეძებდი,
უეცრად იქ
თქვენი ფოტოსურათი ვნახე.
ნახვით კი ვნახე. მაგრამ რაკი მეჩქარებოდა,
მიმავიწყდა ლამის კიდევაც.
მაგრამ რაღაცა ჩვენია და ჩვენს ნაცვლად ფიქრობს
და ერთ ღამითაც გამაღვიძა იმ გახსენებამ.
გამაღვიძა, გამომაბა ფრთხილი ფეხები,
ფრთხილი ხელებით უჯრა ისევ გამახსნევინა
და მაგიდის ნათურის შუქზე
მაჭვრეტინა თქვენი სახისთვის.

როგორც კურდღელს უცაბედი შუქი დაიჭერს,
ისე იყავით.
აწყდებოდით სინათლის წრეს, მაგრამ გარეთ ვერ გადიოდით,
ვიდრე ისევ ჩემს თვალებს არ დაედოთ ბინდი.
მაშინ კი გაჰქრით.
და ის სახეც დაუბრუნდა თავის სამალავს.
მე კი მძიმე საიდუმლოს თრევამ დამღალა.
თუმც, ნაწილობრივ, და ასევე ჩემს უნებურად,
აღშფოთებას ინტერესი ენაცვლებოდა:
— აი, ვის გამო ხდება თურმე ეს ყველაფერი —
ვფიქრობდი ხოლმე, თქვენს სურათთან შეხვედრის შემდეგ —

ბუსიკ ხარანაული
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი, თურმე, როგორის გამო...
და მგონი კიდეც გაგიცანით, დაგიახლოვდით.

აქ მან თავი გადააქნია —
საბელისაგან რომ შეეცდება საქონელი თავის დაღწევას
თითქოს ნათქვამი
გაცნობისთვის გაღებული ღიმილი იყო —
და ახლა უკვე შეუვალად და საქმიანად:
— წინააღმდეგი თუ არა ხართ,
მაშინ მე ტაქსს გავაჩერებდი.
თორემ ჩვენი აქ ასე დგომა
ხალხს უფრო მეტად გააკვირვებს.
ვიდრე თქვენი და ჩემი ქმრისა —
უფრო მეტიც დაგვინახავს,
უფრო მეტსაც იპორავებენ...

აქ, რა თქმა უნდა, გაღიმება იყო საჭირო
და გაეღიმა...
— წავიღეთ სადმე, რესტორანში, მაგალითად,
თუმცა ჩემს ქმარს არასოდეს არა ვყოლივარ
და მეგზურად ვერ გამოვდგები.
იქნებ თქვენ გქონდეთ ამ საქმეში გამოცდილება...
და გაეღიმა... ძველი ჩვევა იყო იმისი,
როცა თავის საკუთარ აზრს ეთანხმებოდა.

ერთ აზრზე იყვნენ.
იგრძნეს, ცოტა კიდეც დამშვიდდნენ.
მაგრამ როდესაც ტაქსში ჩასხდნენ
და შოფერმაც ჰკითხა — საითო,
— არსაითკენ — გაიფიქრეს თავიანთ გულში,
თავიანთ გულში ნაკვერჩხალი თითო ჩააგდეს
და გაეცინათ,
დააბნიეს ტაქსის შოფერი,
ნათლად გამოჩნდა,
სიტყვა უმცროსს რომ ეკუთვნოდა
და ისიც მიხვდა:
სადმე სხვაგან წასვლა ერჩიათ,
განა მხოლოდ დამალვისათვის,
უბრალოდ, სხვა გარემოში,
სხვა ჰერქვეშ... სხვაგან...
და წავიდნენ.

ბევრი ამბავი მოესმინა — სასაცილოც, აღსაშფოთებიც,
იმის შესახებ,
თუ ქალები როგორ იცავენ
თავის ცოლობის სახელს ვიღაც სხვების წინაშე,
მაგრამ ახლა თავს მშვიდად გრძნობდა,
მშვიდად კი არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცნაირი სიმსუბუქით უყურებდა თითქოს ყველაფერს.
რაღაცნაირად ენდობოდა კიდეც გვერდით მჯდომს.
თითქოს ეს ქალი
მისი გერი ყოფილიყოს და არა ქმრის შეყვარებული...

და მანქანაც იმდაგვარად მიარწევდათ. მსუბუქად. უხმოდ.
რაღაცნაირად ეს წუთებიც ორივეს თავს დაჭანკალებდა.
ინდობდა და საფენს ადებდა
და გრძნობდა ეს ორივე ქალი.
რომ ღირსნი იყვნენ ამ წუთების, ამ პაუზისა.
რადგან არც ერთს. სინამდვილეში
მშვიდი ცხოვრება არ ჰქონიათ
და ერთურთის არსებობაც ორივესთვის იყო მეტად მნიშვნელოვანი.

* * *

ყოველი დილა გაზაფხულია.
რადგანაც იგი არ არის გუშინ.
თუმცა უკვალოდ არ ჩაუვლია.
თუმცა ნაცარი დატოვა გულში.
მაგრამ ნაცარი
უაზრობის ნაშთი როდია.
იქ რაღაც იწვოდა.
იცოდა ღმერთმა.
რომ ცხოვრება მძიმე ლოდია.
ტანჯვა როა, იცოდა
და გამოგვიწოდა
ეს იმედი.
რომელიც გულში,
როგორც ნაცარში ნაღვერდალი
- დამარხულია...
ყოველი დილა გაზაფხულია.
რადგანაც იგი არ არის გუშინ.

* * *

— ოჰ, დედავ! — თუ ფუჰ, დედავ?! —
მითხარი, სულო!
ან, იქნება, მირჩევნია მოვიკლა თავი,
რომ დავასრულო

ეს წამება.

რადგან ცოცხალი
მოვალეა, ყოველივეს შეეკრას ზავით
— როგორც კი ინათებს!
იმ თავისი სიცოცხლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება ნაცხოვრებისა

როგორი ღრმა იყო,
როგორი უაზრო,
როგორი ბნელი...

ყველა კირკიტ წამით
როგორ იყო
უთავებელი...

ლეჩაქი

როგორ გიხდება, ტყემალო,
ეგ ბებოჩემის ლეჩაქი,
როგორც კი თვალი მოგკარი,

ცრემლი მომადგა ბეჩავი,
მიტომაც გაცლა ვარჩიე,
ვითომც საითმე ვეჩქარი.

ერთი-მეორის იყო ბადალი

ერთს მეორესთან
როდესაც სწუნობ,
მაშინ მეორე
ზეობს
და სრულობს...
მაგრამ არ გავა

ერთი ზამთარიც
და გამოჩნდება
ტყუილ-მართალი.
რომ განსხვავება კი არა,
თურმე
ერთი — მეორის
იყო ბადალი.

მე უშენოდ...

მე უშენოდ ვერ ვიქნები,
თუნდაც თვალი ვერ გხედავდეს,
თუნდაც სხვაგან სადმე ვიყო
და გვერდითაც ვინმე მყავდეს.
მე უშენოდ ვერ ვიქნები,
თუ არა გწამს, უნდა გწამდეს.

მე უშენოდ ვერ ვიქნები,
ბრმას ვინ გამომიყვანს გზამდე,
ისეთ ცრემლებს ვინ დამაყრის,
მკვდარსაც გული დამიამდეს.
მე უშენოდ ვერ ვიქნები,
თუ არა გწამს, უნდა გწამდეს.

მე უშენოდ ვერ ვიქნები,
თუნდაც ხელი ავყო ცამდე,
თუნდაც ჯოჯოხეთის კუპრში
ჩავიძირო ზედ ყელამდე.
მე უშენოდ ვერ ვიქნები,
თუ არა გწამს, უნდა გწამდეს.

ტყუილია ყველაფერი,
რას ვირჯები ნეტა ამდენს,
ათას გზაში გზას დავეძებ,
რომე შენთან მომიყვანდეს.
მე უშენოდ ვერ ვიქნები,
თუ არა გწამს, უნდა გწამდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

ფყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა

რომანი

კაპპანი

ოდიხა და ნალიის გადალმა, ღარდებიდან, უფერული ნისლის ბოლქვები ბავშვებივით არბოდნენ ფლატეებზე. შუქრის დილა ეცივა, ტიტველ ჭლიკებზე ბილები მიიტყაპუნა. ბიჭს წელქვეშით არ ეცვა. მარტო ტილოს დამოკლებულ-დაჯღურკული პერანგის დაფრეწილი ბოლოები უპორწიალებდა ჭიკთან.

ახალგამოღვიძებულმა ეზოში რომ ვერავინ დაინახა, თვალების სრესით ახორისკენ გაბაჯბაჯდა. იქ ნენეი ეგულებოდა. ნენიო, ეძახდა კიდეც უხმოდ, მარტო ტუჩების ბურცვით.

ფუნით შელეხილ კარში გამოძვრა ქალი. რძიან კაპპანს მოაკრავდუნებდა ხელით. დაბალი ქალი, ოდნავ მხრებშიც მოხრილი, მთლად დაჩიავებული ჩანდა.

ბიჭი რომ დაინახა, კაპპანი ზემოთ, დაფერდებულ მერდევანზე შემოდგა და ხული მოითქვა.

— დაშრენ ოხერი ბერწები, შვილო... ამოდი შენ მაინც გეყოფა. ჩაგიფუნჩხავ და...

ბიჭი მობრუნდა, მორჩილად გაყვა ნენეს. ცალი თვალი კაპპანში მოთქაფუნე რძისაკენ გაპარა.

შუქრი ხმელი იყო და სუსტი, მაგრამ თვალები, წარბები, წამწამები ისე შავ-შავი, ისე ხოროშ-ხოროში და ისე მეტყველი ჰქონდა, იმ დაფხრეწილ გონჯ პერანგშიც კი, საბრალოაო, ვერ იტყოდი.

რა იცოდა ბიჭმა მაშინ, რომ...

არა, არ მინდა იმ ბიჭზე ახე შორიდან ვილაპარაკო. მირჩევნია ახლავე გავამხილო: ის ბიჭი მე ვიყავი.

სროლა უანაში

ის, შემოდგომის ერთი დღე, მოწყენილ, დამყღნარ ყვავილივით მუხლებზე მიდევს. დავცქერი და მეყურება დიდი ხნის ჩანაქროლი ქარების ფშუტუნი.

პირველი, რაც ახლა მაგონდება იყო ის, ეზოში გასულს რომ ბაბამ დამიძახა:

— შედი, ჰო, შინ, სალახანა ტყვია არ მოგხვდეს. — ამწია და უშუშებო ფანჯრიდან ხელქვიან ოთახში შემაგდო.

ჭუკრუტანიდან ეზოში ვიცქირებოდი. საიდანღაც სროლა ისმოდა.

ალი, ალიო, ვიღაცამ მამას დაუძახა და შალე კედელზე ბრახუნი ატყდა. ჩემი ჭუკრუტანიდან კარგად გავარჩიე ორი კაცი. ორივე ძიგვახ ჩაქურებში გამოწყობილნი, შავწვეროსნები, შავყაბალახიანები, მხარზე მაჭახელა გადაკიდებულები. წვერებში და ყაბალახებში სახეებს გვიმალავდნენ. უკან-უკან და გარე-ირგვლივ მფრთხალად თუ რაღაცნაირი ეკვით იყურებოდნენ.

მამაჩემი გამოეგება ეზოს მეორე კუნჭულიდან და აკრეფილი, მოზომილი, იკვნარევი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— ხელამალეიკუმ, ალი ემიავ! — მიესალმნენ მამაჩემს ისლამურად. ერთი, თეთრყაბალახანია, დაბალი იყო, დიდცხვირა.

— ჰო, რა იყო, რამბავია?! — პირდაპირ შეაგება სიტყვა მამამ.

მე ბავშვური ჭკუით შევატყვე, — მამას არ მოეწონა იმ კაცების მოსვლა.

— რამბავია და, ავდექით... ხუუველაი ავდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქით. ჭვანა თლათ ადგა. ალი ემიავ. შენ ჩვენი ხარ. წამოი!..

— ქადნა წამოვიდე?! რას ირჯებით. იცით?! გადეირიეთ?! — მოხულებმა ერთმანეთს გადა-ხედეს.

— ის. დიდი რომაა. ცაკის თავმჯდომარე... ჩამოვიდა. დავბორკეთ. ახორში შევაგდეთ. იქაა ახლა... — ყაბალახიანმა ფილინთის კონდახით მიწაზე მრგვალი თავი შემოხაზა. მრგვალ თავზე — მრგვალი თვალები. თვალებზე — მრგვალი სათვალე.

— რას ირჯებით თუ იცით. მემრე რაი?.. — ჯავრობდა მამა.

— ნახავ. ალი ემიავ. რასაც ვირჯებით... წამოი. მემრე გვიან იქნება. ჩვენ რუმ მოვერევით და ჩვენ რუმ გამარჯვებას დევირიგებთ და შენ რუმ დაგჩება ხვიტი. მემრე თავს ააბრალებ. ასეა!...

ხწორედ ამ დროს ხაიდანღაც შაშხანამ იჭექა. ერთს მეორე მოპყვა. მამაჩემი ჩვენთან იდგა უკვე აივანზე და აქედან სროლის არედ ქცეულ ნაყანევს ხედავდა.

ბოლოს შაშხანებმა ერთად ამოიდგეს ენა. შიგადაშიგ ტყვიამფრქვევმაც მოკლე-მოკლე ჯერი მიაკაკანა. ჩალის ღერტებში მიმავალნი შედრკნენ. ალაგ-ალაგ თითო-ოროლა კიდეც მოცელილივით ნაიქცა. აი, ამან შეაყენა და შეაკრთო მოჯანყეთა რიგები.

პირველი ნაქცეული თითქოს სანახევროდ წამოიწია, კიდეც წამოდგა. ცოტაზე ალაგი გადაინაცვლა, მაგრამ ისევ დაეცა. თოფი დაუვარდა. ოდნავ შეფართხალდა, ყაბალახი, თეთრი ყაბალახი თავზე წაძვრა და თეთრად გაიშალა იქვე. მგონი ვიცანი ის უბედური, გული დამეწვა. ტირილი მომინდა. წინ, აჭრილი ჩალის აბზეკილ ღეროებში, ნაქცეულს ნაქცეული მიემატა. მეგონა სახროლად წვებოდნენ, მაგრამ წასულები მირბოდნენ, ესენი კი აღარ დგებოდნენ და რაღაც უცნობი, დიდი შიში ჩამოწვა ირგვლივ. ბაბი, რატომ აღარ დგებიან ისინი-მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ დედას ცრემლები შევნიშნე. მივვარდი, მივეხუტე და ეს იყო სულ.

რა ვიცოდი მაშინ, — თუ კარგა ხნის მერე მეც კარგად გავიგებდი, რომ ის მწოლიარენი მოკლულები იყვნენ, ხოლო რომლებიც მირბოდნენ, საბედისწეროდ გზაგაბნეულები, ამა-იმას აყოლილები, იმავე წლის ზამთრის ერთ-ერთ უკუნეთ ღამეს, თავთავიანთ ფაცხებიდან რომ „ასწიეს", წაიყვანეს და შინ აღარასოდეს დაბრუნებულან.

უცებ, რაღაცამ ბზიკივით გაიბზუვლა ყურთან ჰაერში და სადღაც მოშორებულზე ჩაკვდა. მამამ შინ შეგვყარა და ლამფის ფარღალალა კარი მოაჯახუნა... ვითომ ის ფამფალა კარი, კანაფის ძაფის ნაგლეჯით რომ მიაკრა დირეს. ბავშვებს ტყვიისაგან დაგვიფარავდა.

მამა ბუხართან მივიდა. დაიჩოქა. გუშინდელ ჩადებულ წიფლის ჯირკს სული გადაუბერა. აბლი გადაბერტყა და ცეცხლი გააღვივა.

გარეთ დარჩა დანდალოს ანალული ხაუანევები. ფილინთებისა და შაშხანების სროლა. გაუგებარი შეძახილები. ჩალის ღერტებში ჩარჩენილი. შავ-შავად განოლილი ჩაქურებიანი კაცები. ბოლოს. შემოდგომის დიდი სიჩუმე. თეთრი ნისლის ლეჩაქებით თავწაკრული რომ იდგა. დაბნეული. ტკივილიანი. მოწყენილი აკვირდებოდა ღრუბლებში. დაკრილივით. მძიმედ მიმავალ მზეს.

* * *

არ ვიცი რამდენი დღის მერე. მამაჩემმა ჩვენი ოდის ყავრის დეფენიკქვეშ ნაბლის კოკში გარკობილი ტყვია აღმოაჩინა.

გამთენიისას დედის ქვითინი ჩამესმა და შიშმა გამომაღვიძა. ნენი ჩემთან აღარ იწვა. ამდგარიყო. ცეცხლაპირს ჩაცუცქულიყო. ლეჩაქით ცრემლებს იმშრალებდა. ტირილს გვიმალავდა. მოპირდაპირე ხექვზე მამაჩემის აბურდულ-აშლილი ლოგინი ცარიელი ჩანდა.

— ნენი. ქადაა ბაბაი? — აფლიკვინებული მივეუუდე დედაჩემს.

— სუ. შვილო. სუ... ტირილი რომ გაგვიგონ. მამაშენს აღარ გამოუშვებენ. — ვერ მივხვდი. რა მითხრა ნენემ. მაგრამ ისევ ლოგინში ჩავძვერი და გავიტრუნე. ხაიდანღაც უფროსი ძმა მურთაზი დაბრუნდა. ისე ანიშნა დედას. — მივხვდი. რაღაცას მიმალავდნენ.

გამთენიას მამა დაეკირათ და წაეყვანათ.

თავზე საბანწაბურულს ჩამესმა ნაგლეჯ-ნაგლეჯად: ჭვანელი ფილინთიანების მოსვლა დაუნახავს ვიღაცას და... დაუდგენიათ. ალიიაც მოჯანყეებს გაყოლიაო.

მერე. ერთ ქარაშოტიან დღეს. დაბრუნებული მამა დავინახე ეზოში. წითელღილკილოიანი კაცები ახლდნენ. ჩვენებურები იყვნენ, მაგრამ უცხოდ იყურებოდნენ; ისე ლაპარაკობდნენ, ვერაფერს ვხვდებოდი. ორი მამასთან იდგა და არ ცილდებოდა, დანარჩენებმა ფაცხას შემოუარეს ირგვლივ. გარედან კედლებზე რაღაცას ათვალიერებდნენ. მამა ხმას არ იღებდა. ჭე გავედი. მივუახლოვდი. იქნება ჩავეხუტო-მეთქი. მამამ აწითლებული, უძინარი თვალებით უსიტყვოდ მანიშნა, ახლოს არ მოხვიდეო. იმათ კი სახლს რომ ირგვლივ უვლიდნენ, მამა რაღაცას აჩვენებდა. ბოლოს ერთმა კედელზე კიბე მიაყუდა. მაღლა აცოცდა. ნაბლის კოკზე ნატყვიარს ხელი დააჭირა. გასინჯა. დასუნა კიდეც. ძელის შუაგულში გაჩენილ ტყვიას ჩაუკვრიტინა და ნელა, თავის ქნევით უკან დაეშვა.

ვერავინ მიხვდა. რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. მამაჩემი მიაბრუნეს და უკანვე წაიყვანეს. მერე საბძლიდან გამოძვრა დაშალული მურთაზი, დებიც ახორიდან მაღლა ამოიკრიბნენ, ბუხართან თავი მოვიყარეთ. დედაჩემი ცრემლად იღვრებოდა და ჩურჩულებდა: დიდო გამჩენო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის მასკვლავის მადლო, შენ გეხვეწები, ნუ დამიქცევ ოჯახს. ნუ დამიტიე ბაღვებს ობლად. ნუ დაუკარკვავ მარჩენალ ბაბას ამათ... შენ გეხვეწები, დიდო გამჩენო ღმერთო.

არ ვიცი რამდენი დღის შემდეგ, ერთ საღამოს მამაჩემი დაბრუნდა. ფეხაკრეფით, უხმაუროდ და, თითქოს, უხალისოდ შემოვიდა სახლში. ახლა ვიგონებ იმ წუთებს და ვრწმუნდები, რომ მამას არ უნდოდა იმ ხანმოკლე პატიმრობიდან დაბრუნება შინაური ზეიმად ექცია. მაშინ უკვე სიხარულით ყველანი ხმამაღლა ავტირდით.

ბაბამ თქვა, იმ ახალშენებელმა სალაბანა ტყვიამ გადამარჩინაო.

იმ ღამეს მუცლის ტკივილმა არ მაძინა, ეკუნკულებდი და ეკვნესოდი, მამაჩემის მეხათრებოდა. გავუტეხე ძილი უძინარს. დედამ პირქვე ჩამამხო და მუცელი დამიზილა, თან ლოცვას აყოლებდა:

იავო, თიავო,
ქედქედ ძაღლი ჩამორბოდა,
ფეხწითელა ბავუში,
შენ, ურჯულო თათარხანო,
ნუ სტკივი და გაუშვი.

გაკვეთილი, მაწონი, ანბანი

სოფლის სკოლა ბალაძის სახლში იყო გახსნილი. ორი ოთახი ეკავა. ჩვენი ეზოდან კარგად ჩანდა, ბავშვები რომ შესვენებაზე გამოეფინებოდნენ ეზოში და იწყებოდა ათასნაირი თამაში. მშურდა. მინდოდა. მეც იმათში ვყოფილიყავი. ჩვენგან სკოლაში მურთაზი და ფადიმე დადიოდნენ მხოლოდ. ჩემი უფროსი დები თავიდან მამას არ გაუშვია სკოლაში. ეს მაკლია ახლა, გოგოები სკოლაში ვარბენინო და ბალხი ვალაპარაკოო. მერე იქ ნასიარულებ ციცებს ვინღა შეინახავს ოჯახშიო.

ხოლო შემდეგ, ფადიმეს ჯერიც რომ მოვიდა, მამა შეშინდა, გაუშვა, ოღონდ ქალ მასწავლებელთან. იმ წელიწადს გურიიდან სწორედ ერთი ქალი მასწავლებელი გამოგზავნეს დუბეში.

აგვისტო იწურებოდა, ის გოგო რომ სოფელში ამოიყვანეს, ცხელოდა. კაბინის უწვიმარი მიწა, სიმინდის ყანები, მოწყენილები და მოწყურებულები, განაბული ლოდინით შეხცქეროდნენ ზეცას.

მოკლესახელოიან ჩითის კაბაში გამოწყობილი მასწავლებელი, მართლა ფერიასავით შემოვიდა და ერთბაშად გულები აუფორიაქა ბიჭებს.

ერთი ჩემოდანი შარაგზიდან ზურგით ამოუტანა „ზედაურების ნურიამ", რომელსაც ხარაძის ბიჭს ეძახდნენ თანასოფლელები.

მურთაზი, ჩემი უფროსი ძმაც, შარაზე შეხვდა ახალმოსულს და უცნაურად გამოშტერებით შეაცქერდა იმ ხეშტერა გოგოს. მეც გავჩერდი და ძმას დავუწყე ყურება.

— წეეთრიე, ჰო, შინ! — დამიყვირა მურთაზამ. მივხვდი, — ჩემი მოცილება უნდოდა, მე კი ფეხიც არ მოვიცვალე. ძალიან მაინტერესებდა, რა მოხდებოდა. მურთაზამ, ხელი ხელზე მეორე ჩემოდანს და მასწავლებელს ხეირიძეებისკენ წაუძღვა, სადაც საბჭოს ბრძანებით უნდა ეცხოვრა ჩამოსულ გოგოს. სოფელში სამანქანო გზა მაშინ არ იყო. მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით ჩაქონდათ და ამოქონდათ გლეხებს ყველაფერი.

ქეთო! ასე ერქვა ახალმოსულს. საკვირველი იყო ეს სახელიც ჩვენთვის. რას ნიშნავდა? რამე ქატოსთან ხომ არ აკავშირებს? სახლთან რომ მივედით, ხეირიძე რეჯიბის ქალი გამოეგება. სახეზე ისე მაგრად შემოეხვია ლეჩაქი, რომ მხოლოდ ვიწროდ დარჩენილი ჭუჭრუტანიდან გვსინჯავდნენ მისი მოციმციმე თვალები. არ მოეწონა დიასახლისს ისე მუხლებ და მხრებ-მოშიშვლებული მასწავლებლის მოსვლა კაცებით სავსე ოჯახში. ქალმა ერთი მწარედ ამოიხვნეშა, ღმერთო გვიშველეო. ჩაიჩურჩულა და, კიბეზე აიყვანეთო, ჯავრიანი თვალებით გვიბრძანა.

ქეთო წინ გაემართა, ორი-სამი საფეხურით რომ ამაღლდა, მურთაზიც დაიძრა. ქვემოდან ვხედავდი, ქეთოს თეთრი ფეხები რომ სულ მთლად გამოუჩნდა. დიასახლისი კი იმაზე უფრო გადაირია. მურთაზი არ გაუშვა, ჯერ ავიდეს და მერე წადიო. მურთაზა სახეზე უმალ გაყირმიზდა, დაიხია და ახალ მითითებას დაელოდა. თანაც შევატყვე, განაწყენდა.

მობრუნდა, მომავლო ხელი და თავდაღმართში წამომაფაცფაცა ჩქარ-ჩქარა.

ჩემოდანი კიბის ძირას მიატოვა. ქეთო კი შინ იყო უკვე. უკან აღარც მოგვიხედავს.

— ნუ მეწებები ლობიას ეკერივით, ჰო! — დამიყვირა და ოდნავ გვერდით მიბიძგა. თავად კი სოფლის შუაგულისაკენ გაუხვია.

სექტემბრის პირველიდან მურთაზი და ფადიმე კვლავ სკოლაში წავიდნენ. წინა დღეს ორივემ ხარის ტყავისაგან ახალი ქალამნები შეიკერა.

იმხანად სკოლიდან მურთაზი კარგ ხასიათზე ბრუნდებოდა. ერთ დღეს დიდი, ფართო და სქელი თეთრი ქაღალდი მოიტანა. ჯიბიდან ფერადი ფანქრებიც ამოაძრო, ტახტზე დაყარა, ქაღალდიც დაფინა და დიდის მოწადინებით რაღაცის ხაზვა-ხატვას შეუდგა.

რაც მართალია, ჩემს ძმას ხატვა ეხერხებოდა. ამას მთელი სოფელი ლაპარაკობდა. ახალმა მასწავლებელმა, ქეთომ, ეს თავიდანვე შენიშნა თურმე და პირველი კედლის გაზეთის გაფორმება მიანდო. ძმა უკვე მეოთხე კლასში იყო, თანაც ტანაყრილი, ყანაში მუშაობით და საქონლის მწყემსივით ადრე დაკაცებული. ამიტომ იგი გამორჩეულად სერიოზული ჩანდა.

ფურცელზე ჯერ რაღაცები დახაზა, მერე თავზე და გვერდებზე ფერადი ფანქრებით ბევრი რამ მიახატა. ერთგან სკოლაში მიმავალი სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელი ბავშვები დაეხატა, სკოლის ეზოში კი ბოკივით მაღალი მასწავლებელი ჩანდა, იგი პირით მობრუნებულიყო და ღიმილით ხვდებოდა მიმავალ მოსწავლეებს. მაშინ გამიელვა თავში, ეს ქეთო მასწავლებელია-მეთქი.

დიდი რომ გავხდი, ჩვენმა ფადიმემ ხუმრობით გაიხსენა ის ამბავი და მერე, სიცილით თქვა: ქეთომ მურთაზას ნახატში თავისთავი იცნო და უჩუმრად ესიამოვნაო.

გაკვეთილი, გაკვეთილიო, სულ ამას გაიძახოდნენ მურთაზი და ფადიმე. დედა რომ მაწონის ჩაკვეთას ამბობდა, ჩაკვეთას გაკვეთილთან რამე საერთო ჰქონდა თუ არა, ვერ მივხვდი.

ერთ დღეს და-ძმას სკოლისაკენ ავედევნე. ვერ დამაბრუნეს უკან. ქეთო მასწავლებელმა დამინახა, შევებრალე და უთხრა, შემოიყვანეთ კლასში, მოიჯინეთ გვერდითო. ანბანს უკვე ვიცნობდი, ზოგიერთს კიდეც ვწერდი. დაიწყეს წიგნიდან ლექსის გადმოწერა, მეც ფურცელი დამიდო ქეთომ. მეც იგივე ლექსი უნდა გადმომეხატა. ლექსი სამკუთხედად იყო განლაგებული. ერთი კუპლეტი მარცხნით, მეორე — მარჯვნივ, მესამე — შუაში, ქვემოთ. მარცხენას მერე რომელი უნდა გადამეწერა, არ ვიცოდი, არც შეკითხვა ვიკადრე. შევუდექი გადახატვას. რავარც გული მკარნახობდა.

ჩემს კალამს ძალიან ხოშორ-ხოშორი ანბანებს გამომყავდა. ორი სიტყვა მთელი გვერდის სიფართოვეს იკავებდა. ამერია, ამეჩხუბა ლექსის სტრიქონები. ჩავხერგე, გავაბნიე, გავფანტე ასოები. მაშინაც ახე მემართებოდა ხშირად, საქონელს რომ საბალახოზე გავდენიდი. ძროხა ცალკე, მოზვერი ცალკე, ხბორები ცალკე, თხაცხვარი ცალკე მიმომეკარგებოდნენ. ისე გამიჭირდა, ქეთო მასწავლებელი მურთაზასთან მივიდა და რაღაც უჩურჩულა. ალბათ უთხრა, ამ შენს უწლოვან, ანბანის უცოდინარ, ხულელ ძმას მოკიდე ხელი, გაიყვანე გარეთო. მაგრამ ამისთანა არაფერი არ მომხდარა.

ქეთომ ყავარივით სქელი ქაღალდის მოზრდილი ნაჭერი მომიტანა და წინ დამიდო. მერე ანბანის წიგნი გადამიშალა და მითხრა. აი, შუქრი, თითო-თითოდ, მოზრდილ-მოზრდილად გადმიხატე, შენ რომ გინდა, ისეთ ფერებშიო.

გვერდით გავაჩოჩე დაპუწკულად გადაწერილი ლექსი და ახალ ხაქმეს შევუდექი.

ჩავარიგე მუყაოზე ფერად-ფერადი ქართული ასოები. მეგონა, ჩემს თავს ვხატავდი. კალმისტარს თითებს ვუჭერდი და ხულის შებერვითაც ვათბობდი, რომ უფრო ცოცხალი გამომსვლოდა ნაწერი. თითებს კი იმიტომ ვუჭერდი, მინდოდა, უფრო მეტი გამოდენილიყო მელანი და უფრო მსუქანი, დარჯაგში ჩამოსხმულივით წონიანი ახო გამომსვლოდა, რომ მერე იგი ადგილიდან ველარავის ამოეფხაკნა.

ზარი დაირეკა. ბავშვები მერხებიდან გრიალით აცვივდნენ და გარეთ გაიკრიბნენ. მე კი ვიჯექი და ქეთო მასწავლებლის მითითებას ველოდი. ჯერ ხომ მოწაფეც [illegible] ხომ მე არ მეხებოდა. მე არ შემეძლო ხხვებივით მეზიანკრა, ბოდა, ვიჯექი კლასში დამფრთხალივით. ხახლი კი ზანზარებდა, კრაკუნობდა, ირწეოდა. გეგონებოდა, ფეხი აიდგაო. ვხედავ, — შემოიკრა ხახლის პატრონი, ბალაძის შეთრაშული ბიკი. იყვირა, გაჩერდით, ბაბაი ავადა�ა. ბავშვები გარეთ გაიკრიბნენ, მე კი ვიჯექი. იგი მოვიდა და თავზე დამადგა, — ქეთო მასწავლებელი. შიშით ველოდი. რას მეტყოდა მასწავლებელი, ვუყურებდი და ვერც კი ვუყურებდი ხახეში. უცებ, გადაპარსულ ხოტორა თავზე, რბილი, თბილი ხელის შეხება ვიგრძენი.

— შუქრი, წაიღე ახლა ეს ანბანი შინ და ისწავლე. შენ ძალიან კარგი ასოები დაგიხატია...

ავდექი, იღლიაში ამოვიჩარე მუყაო და სირბილით გავეშურე შინისაკენ, რომ ეს ამბავი ნენესთვის მიმეხარებინა.

დედას აიშე ერქვა. ყველა აიშეს ეძახდა. მიკვირდა, — როგორ შეიძლება დედას ნენეს გარდა სხვა სახელიც ერქვას-მეთქი.

— ნენი! — მივაძახე. — ე, ნახე სკოლიდან რაი მოგიტაი. ეს მე დავწერე.

დედამ წერა-კითხვა არ იცოდა.

ჩემი დაწერილი ანბანი ხელში დაიჭირა, დაკვირდა. ატირდა. ღადარში ერთი კაკალი კვერცხი ჩაფლა, შემიწვა და მარტო მე შემაჭამა. აი, ამოდენა საჩუქარი და პატივი მომიწია იმ დღეს.

დედაჩემს ისე შეუყვარდა ჩემი ხელით დახატული ქართული ასოები, იმ მუყაოს ნაჭერს ბალიშქვეშ იდებდა და ისე იძინებდა. — ჩემი ბიჭის ნაფიქრი ტკბილად დამაძინებსო. ერთ დღეს კი ის ჩემი ხელით დაწერილი ფერადი ქართული ასოები ცალ-ცალკე მაკრატლით გამოჭრა, ძაფზე აასხა და ყელზე სამკაულად დაიკიდა.

საუდარი

რადგან ზამთარმა იზამთრა, გაზაფხული დროული და კარგი დადგა. ჩემი სოფელი, დუბე, მთაშია და აქ ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა თავთავისი ფერებით, თავთავის ხამოსელში გამოწყობილები, თავთავისი მარიფათებით ხელდამშვენებულები მოდიან და მიდიან. იქ, ქვემოთ, ზღვისპირას, ჩაქვში მაგალითად, სადაც დიდი ნენეი და ბიძაჩემები ცხოვრობენ, წლის დროთაცვლას ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები, ვერ იგრძნობ. ხიდან ყვერი არ ცვივა, სულ, ყველაფერი მთელ წელს მწვანეა და ზამთარ-ზაფხულის მოსვლა-წასვლას რას გაიგებ იქა?

იმ ზაფხულს, გორაკზე, საუდარს რომ ეძახიან იქ, ახალი ფიცრული სკოლის აგება დაიწყეს. ბაბაი მეტყოდა, აჰა, ეს შკოლა აშენდება. შუქრავ, და შენც შკოლაში მიგიყვან. მედრეხეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე ახლოა. იარე და ისტავლე. იარე და ისტავლე. ერთად ორივეო... მაშინ ბოჯა ბოჯობდა. ჯამე-მედრესეც გაზიზინებული იყო მლოცველებით. ჯერ სკოლისთვის ფიქვის მორებს მხოლოდ ხერხავდნენ. მამაჩემი და ზაალის მამა, რიზალა, ხიზარით ხერხავდნენ. ზევიდან მამაჩემი დგებოდა, ქვეშ — რიზალი. ძალიან მეშინოდა იმოდენა ხერხის ახორხიალებ-ჩამოხორხიალებისას მამაჩემი არ გადმოვარდნილიყო. მეც თან ვახლდი ხშირად და იქვე, ნახერხში ვბურგლაობდი.

— ბაბი, რატომ ქვია ამას საყდარი? — შეკაშტერდი ქვემოდან, ნახერხში ამოგონგლილი.

— ახლა მაგის ვახტი მაქ, შუკრავ? — ჩამომძახა და თანაც შევნიშნე, ცხვირის წვერიდან და შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამოდიოდა. ხიზარი ფიცრის აღმადაღმა სახერხად სახმარ ხერხს ჰქვია ჩვენში. მამა მორზე ზემოდან რომ იდგა, ხიზრის კბილები მისკენ იყო მიქცეული. მორზე, რამდენი ფიცარი უნდა გამოხერხილიყო იმდენი ჩილფით დარტყმული ხაზი ჩანდა წითლად. ძაფი ღაზლის უნდა ყოფილიყო, რომ წარნაქის საღებავი ბევრი შეეხვა.

ის ერთი ხაზი რომ ჩახერხეს და ბოლოში ჩაიღწიეს, მეორეზე რამდენიმეჯერ ჩამოუსვეს, ხიზარი შიგ ჩატოვეს და მამა ძირს ჩამოხტა დასახვენებლად.

— საყდარზე გინდა, ბაბი, ბომ? — მკითხა უცებ. წიაპა ზაალის მამას მიუბრუნდა. — რიზალავ, ჰო, გახსოვს, ამ კოჟორაზე რომ ძველი საყდრის ქვები ეყარა და ბაღნები ხათამაშოდ ამოვძვრებოდით ხანდახან?

— მე — არა, ალიავ, მე შენზე უმცროსი რომ ვარ, გავიწყდება შენ.

— ჰო, შენ ბაღვი ხარ, კი... — ერთგვარი მობოდიშებით დაუდასტურა მამაჩემმა და იქ, რიზალის თანდასწრებით, მიამბო, მაშინ ჩემთვის ძნელად გასაგები ამბავი.

ჩვენ, ბავშვები, აქ საყდარში რომ ამოვძვრებოდითო, ამბობდა მამაჩემი, ძველი საყდრის ჩამონანგრევ ქვებში ჩამჯდარი დედაბერი დაგვხვდებოდაო.

ის დედაბერი, ამბობდნენ, ასოცდათორმეტი წლისა ყოფილა. ძველი ჩვენი რწმენა, ქრისტიანობა, ბოლომდე შეუნახავს, არ გამუსლიმანებულა. თურქებს და გამუსლიმანებულ ადგილობრივთ ამ საწყალი დედაბრისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. აღარაფრად ჩაუთვლიათ. იგი ნიყარაძეთა დიდნენი იყო, ნიყარაძეები ხინოდან გადმოსულნი არიანო, იტყოდნენ.

ხინოში კი დიდი ეკლესია ყოფილა ძველად, ჩვენ რომ სუყველანი ქრისტიანები ვიყავით მაშინ. და იქიდან ალბათ მაგარი რწმენა წამოყოლია იმ დედაბერს.

დახავსიებული, დახვეული, დამურგული, ბობჩახავით გამოკოჭილი დედაბერი იყო.

თვალშიც აღარ უჩანდა, ყურშიც აღარ ეყურებოდა. ეტყობოდა, მარტოდმარტო, ხელისცეცებით, შეჩვეული გზაბაწრით ახოხტებდა საყდრამდე. მონახავდა იმ ძველი საყდრის ფანტულად შემორჩენილ რამდენიმე ქვას, ... თეულ მათგანს ხელს მოუსვამდა. მოეფერებოდა, პირჯვარს გადაიწერდა და რაღაც ლოცვების ჩურჩულით იმ ქვათა შორის ჩაჯდებოდა.

თვით საყდარი კი კაიხნის წინათ, აქაურობის დაპყრობიხთანავე, რწმენაშეცვლილ აქაურთ დამპყრობელთა თავგამოდებული, ერთგული დახმარებით, ნებაყოფლობით დაუშლ-დაუნგრევიათ და ჩვენი ძველების ხელით გაწიწკინებულ-გაპატიოსნებული ქვები ამ გორის ძირში ჩაუზიდიათ, ჯამე-მედრესის ასაგებად რომ ეხმარათ. ა, გადახედე, რიზალავ, ჯამეზე წელქვეშაი ხომ სულ გათლილი ქვითაა (წელზედაია მარტო ხისა)? ჰოდა, ის ქვა ამ საყდრის კედლებში ეწყო თავის დროზე.

ის, ნიყარაძის დედაბერი, თავისთავს ელაპარაკებოდა რაღაცებს. ჩვენი არც ესმოდა და არც ჩვენ გვეტყოდა რამეს. იგი სხვა დროში, სხვა მემლეკეთში, სხვა დუნიაში ცხოვრობდა. აქ იყო მისი წმინდა სამყოფი ხავანე და სამოთხე, ის იმ დაკარგულ ძველს შესტიროდა, მისი სჯეროდა. იმას ემსახურებოდა. მარა ერთი კია, მისი ლოცვა-კითხვა ჩვენთვისაც, ბავშვებისთვისაც, გასაგებ ჩვენებურ ენაზე იყო და არა უცხო არაბულზე, როგორც მერე, მუსლიმმა მოგვიტანა.

კარგა დაბნელებამდე, აქ, საყდრის ნანგრევების ხავსმოდებულ ქვებში, დამობლაობდა ის დედაბერი და ქრისტე-ფეიღამბერს ემსახურებოდა. აქ მაინც საყდარი ეგულებოდა, აქ ეს ალაგი საყდრად სწამდა. ის რამდენიმე ქვა თურმე იმ დედაბრის ხათრით დატოვეს აქა, აღარ წაართვეს, დაუტოვეს. მოუსვამს ხელი საყდრის გრილ, ძველ, ხაოიან ქვებსა და ილოცოს მისებურადო.

იქ, დაბლა, კოჟორას ძირას, ახალაშენებულ ჯამეში, ჯუმის სალოცავად მოხულ მამაკაცთა გუგუნი სულ უფრო მატულობდა. ჰოდა, იქ ქალთა ჯაჯანებაც აღარსად იყო. გასაგებია. ქალი მამაკაცთან ერთად ხომ ვერ ილოცავდა ჯამეში. ქალი ხომ მამაკაცთა შორის ველარ გამოაჩენდა სახეს, იგი იმათმა მოტანილმა ჩადრმა დაფარა. ამ გორას ირგვლივ, ფერდობებზე ძველ მესაყდრეთა მიერ მიმორგული ბზები ეარეკვალობს ახლაც. ა, ხედავთ რამდენია და რაფრათაა გადელებული ის ბზები? ეგენი საყდრის გარშემო იყო დარგულ-მოშენებული, მერე კი ჯამეს შერჩა. ჯამეს აღარ ჭირდება ბზა. ბზის შტო მადლის ნიშანი იყო წინა რელიგიობაზე. ლოცვასავით უხმოდ შრიალებდა ქარში, მაგრამ თქმით თითქოს ბევრს ამბობდა. იგი წმინდა მცენარედ, სიცოცხლის ხედ, სულის სინედლედ ითვლებოდა, მერე ეკალბარდი მოედო ბზის ბუჩქებს, დაჩაგრა, დაალარიბა, დაიპყრო იგი.

ახლა, ამას რომ ვწერ, თვალწინ მიდგას მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩემი, ალი, მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა წვერით, ძალიან ცოცხალი მოციმციმე თვალებით, დაძარღვული, დაბალნული, დანაოჭებული, დაბაყლული კისრით. დაკოჭრილი, დაფხაჭილი ფაშარ-ფაშარი ხელებით და პირში მოუცილებლად გარეკობილი მუშტუკით, რომელშიც სუნოვანი ძიგარა, მატყლის ნართსავით გრიხავდა და გრიხავდა ზეცაში ამავალ, საუდრის ქვებისფერ კვამლს. კი, თვალწინ მიდგას მამაჩემი, ალი, და ახლაც ცხადად მეყურება მისი ბუბუნა, რბილი, ქვაკორტეში გამოვლილ წყაროსავით მომჩქეფარე ხმა. მისი მაშინდელი სიტყვები ჩემს გონებაში, ახლა, ფირზე ჩაწერილივით ხელმეორედ, სუფთად ხმიანდებიან და ამდენ ყალბ, უაზრო, უშნო, უგულო, ხმაურს შეჩვეულ ყურებს, რაღაცნაირი ამამაღლებელი, აღმადგენელი, პირველყოფილ სინათლეებადქცეულ ეღერით მივსებენ.

საუდრის დედაბერი საუდრის ნანგრევებშივე მოკვდაო. იმ დღეს, საღამოზე, შინ რომ აღარ მისულა, მოუძებნიათ და ღამით აქ, ქვებს შორის უნახავთ გარდაცვლილი. აქვე დაუმარხავთ, ნასაუდრალზეო. ასე აღუსრულებიათ ანდერძი იმ დედაბრისა.

საუდარი დასტურ გამორჩეულ ადგილზე დაუდგამთ დალოცვილ ჩვენს ძველებს. აქედან მთელი სოფელი — დუბე, გადაღმა-გადმოღმა, ხელისგულივით მოჩანს. თითქოს სწორედ საუდრისთვის გააჩინა ღმერთმა ეს გორა სოფლის შუაგულში. თანაც ისე ამომაღლებული ალაგია, გეგონება, ზეციერთან დასაახლოებლადაა, სიტყვა, ლოცვა, მუდარა რომ ადვილად გააგონო. არა, არ უნდა განიზრახო კაცმა რელიგიის მოკვლაო, ამბობდა მამაჩემი, მოკვლით მაინც ვერ მოკლავ, საქმე კი საააქოშიც წაგიხდებაო. რელიგია საიქიოსი, ესე იგი, სიკვდილის სამსახურია, მაგრამ, — იტყოდა მამაჩემი, ალი, — სიკვდილში ხომ უფრო დიდხანს ვართ, ვიდრე სიცოცხლეში?! საიქიოს საქმეებსაც არანაკლები მოვლა-პატივი ჭირია, ვიდრე სიცოცხლისას. მთელი წარსული, კაცთა განაკეთები, და მთელი ისტორია, თითქოს მართლაც საიქიოშია, სიკვდილშია, მაგრამ განა იმაზე უფრო ცოცხალი. სიცოცხლით რაიმე ცოცხლობს თვითეულ ჩვენთაგანში? ისევ იმ ჩვენი წამებული, მაგრამ წაუქცეველ წარსულის მძლავრმა სიცოცხლემ უნდა აცოცხლოს ეროვნული თავისთავადობის დღევანდელი იმედი და გადაარჩინოს მშობელი ქვეყნის ხვალინდელობაც.

მართალია, ქართული წერა-კითხვა არ ვიცოდი, ამბობდა მამაჩემი, მაგრამ, განა ამ მთა-გორების სახელებს რომ ვიმეორებ გულში, იგი ჩვენი ისტორიის წაკითხვას არ ნიშნავსო? აჰა, გახედეთ, ნახეთ, გაიმეორეთ: გადაღმა იმ ხეობის ალაგებს ბერთვენახები ჰქვია, ქვევით, ბარში, ზედზედ არიან: ლიე, შამბაური, გობაი, წილობანი, ჭანჭახი, ხოხობაი, ნაპურვალაი, საძირულაი, საქერქიაი; მერე, ზეით: ლეღვათაი, ხაასლევი, ნაბაკევი, გვიმბარი, ნამიდერევი, ჭერულები, გვანცა, მელიაანი, ორხანა, [illegible] რიათი, აკვანეთი, ღმაი, ბეთლემი, ჯვარიმინდორი... აჰა, ამ სახელთა უბრალო ჩამოთვლა ჩვენი ისტორიის კითხვა არაა?

მე ცალკე მითხრა იმ დღეს მამაჩემმა, — შუქრავ, ერთი რამე იცოდე, შვილო, ამ საუდარსაც, ამ მიწასაც და ამ მიწაზე სახელიან ყოველ ალაგსაც მუდამ პატრონი ყავდა. ახლაც ყავს პატრონი. ამიტომ, თუ იმ ძველს — ქვა იქნება თუ რამე ნატეხი სიძველისა. — უწმინდურ, უნამუსო, ქურდულ ხელს წააკარებ, ის პატრონი ამოხეთქავს მიწას, ამოანგრევს ლოდებს და ძირზე მოგაკრის მკლავებს... კო, ახლა ესაო, მეტყოდა.

მამიდა, სიყვარული, წასვლა

იმ ზაფხულის დღეებიც, აი, ახლა, ახალდაკრეფილ სახელას კაკლებივით წინ მიწყვია. ვხედავ და ვგრძნობ თვითეულის ფერს, ხურნელს სიმხხოს, სიმწიფესაც. მახსოვს მთავარი. მახსოვს უბრალო წვრილმანი რამეებიც, თუმცა მახსოვს ალბათ მხოლოდ ჩემით შეთვისებული და ნახულ-ნაგრძნობი, ჩემით გარკვეული და მინახვედრი.

ბაბუა, მამაჩემის მამა, მამაჩემზე დაბალი იყო ჰქონდა სულ თეთრი, სულ ნისლივით ქათქათა თმა-წვერი, მეწისქვილესავით თითქოს ფქვილით გადაპენტილი.

იგი ზღვისპირის სოფლიდან ხაზაფხულოდ ამოსულიყო და ერთი ხანობა ჩვენთან დაიდო ბინა, მერე მეორე შვილთან, ჩემს ბიძასთან გადავიდოდა, მამაჩემი, უფროსი შვილი, სხვანაირად უყვარდა, სხვანაირად მინდობილი იყო მასზე. ჩემთვის ორივენი ღრმა მოხუცები იყვნენ. ბაბუა რომ ეზოში შემოვიდოდა, იქ ვთამაშობდი, — სადღაც მოძეულ მსხვილი მავთულის გორვალას ჯოხით ვაგორავებდი. შევხედე მოსულს და შევკრთი. გამექცა გორვალა. ეზოდან გადახტა ყანითავში, იქ, დაღმართში ხომ მთლად ფრთები შეიხხა თითქოს, — თვალის დახამხამებაში გადაიქროლა ღობე-ყორე, გადაევლო დანემსილ ლობიოების ბუჯგებს, შუაში წაამტვრია რამდენიმე სიმინდი, დაქელა ძირს კიტრები და შარშანდელ გახარებულ დემირა ვაშლის ცალ ნამყენს დაეჯახა. გახარებული, ტანაურილი ნამყენი ადგილზევე მოტეხა და სქელ-სქელ მუქლურჯ ფოთლებიანი დემირას კაცისიმაღლე ლორთკო ტოტ-ნამშალი მოკლულივით წაიქცა და ჩაწვა ბალახებში. მავთულის გორვალაც, თითქოს ამის მეტი არაფერი აინტერესებდა, შედგა, დაისვენა, იქვე გადაბრუნდა და სამყურებში გაუჩინარდა. ბაბუა კი ვიცანი და მოსვლა კი გამეხარდა, მაგრამ ბაბუასთვის აღარ მეცალა. ის წელანდელი საშინელი სურათი საკუთარი თვალით დავინახე და წამში ნათლად წარმოვიდგინე ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. სულ შვილივით უყვარდა იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგახარებულ დემირა ვაშლის ნამყენს მურთაზიც.

მისი ხელით იყო დამყნილი. მამა თავზე ადგა, მაგრამ საქმე ძირითადად, დამოუკიდებლად, მურთაზმა შეასრულა, კიდევაც გაუმართლა. წყვილად ჩამყნილმა კალამმა წყვილადვე გაიხია კვირტი, ამოიყარა მწვანე ციცქნა ფოთლები. ორივე ტოტმა დაიწყო სიცოცხლე. ეს განსაკუთრებით მურთაზს უხაროდა, — მისი საკუთარი შრომის პირველი ზეიმი იყო. ძმას ეწყინა, გაჯავრდა, გასალახავად გამომეკიდა, მაგრამ ვერ დამეწია, ბაბუასთან დაბეზღებით დამემუქრა და ახალმოსულ ბაბუას მოეხვია. მე კი როგორ მოვეხვეოდი. დამწყდა გული. მუხაზე გასული, ციყვივით ტოტზე გამოკონწიალებული, ფრთხალი თვალებით გადმოვყურებდი ეზოს. ძმამ ბაბუას აჩვენა მოტეხილი ვაშლის ბოლი, ბაბუამ თავი გააქნია მწუხარედ და არ გამიგონია ჩემზე რა თქვეს, კაის რას იტყოდნენ, ერთს კი მოვკარი უური, ძმა გამოცდილ კაცივით ეუბნებოდა სტუმარ ბაბუას: ეს ჩვენი შუქრაი, ბაბუ, ძალიან ხელბოროტა გვეზრდება. უყურე ახლა, მაგას ჯერ ერთი წკეპლის ფახი არაფერი გაუკეთებია და აგერ გახარებული ნამშალი ვაშლისა კი მოამშრალა. ეს ჩემი ნახელავი რომ იყო, იმიტომ... — მგონი ცოტათი ცრემლიც მოერია თვალებზე.

ბაბუამ დატუქსა. ვხედავ, მეორე კალამი გადარჩენილაო, არა უშავს, გაიზრდება ეგ კენტად, გადაფარავს მონატეხ ადგილსაც და მთლიან ხედ მაღლა აიმართება. კაი ვაშლის ხე იქნებაო. დააშოშმინა, დაარიგა, დაამშვიდა მურთაზი. ეხ, მაგ სიტყვებს ბაბაიც ისმენდეს ახლა, — ვფიქრობდი ჩემთვის. ბაბუა ეზოშივე, ჯორკოზე ჩამოჯდა. მამაჩემის მოსვლას ელოდა ალბათ.

მამაჩემი აღმართში ამოდიოდა. გარეუანიდან ბრუნდებოდა, ჯერ ხომ ჩვენი უანები სულმთლად ჩვენი იყო, კოლექტივს ჯერ არ წაეღო. უაბალახში რაღაცები ჩაეწყო და უურებით განახკვული მხარზე გადაკიდებული მოჰქონდა. მე მუხის ხეში ჩამალული ყველაფერს, რაც ეზოში ხდებოდა, ნათლივ ვხედავდი.

მამაჩემი მოვიდა და თავის შამას მოეხვია.

უაბალახი ღობის ხარზე ჩამოკიდა.

— რაა, ჭო, ალიავ, მაგ უაბალახში? — სიცილით ჰკითხა ბაბუამ.

— კაი ნიყვი შემხვდა და ჩავაწყეევი. შუქრას უყვარს ძალიან და...

— შუქრამ.. — უნდა დაეწყო მურთაზას, მაგრამ ბაბუამ ხელი აუქნია და გააჩერა. დაუშალა, არ ათქმევინა.

იმ წუთიდან მთელი სიცოცხლე ბაბუაჩემს ვლოცავ. წითელ-წითელ ნიყვებს მართლაც ზემოდან ვხედავდი. მართლაც ვგიჟდებოდი, ისე მიყვარდა ნიყვის კოკობები.

ღადარს გამოჩხრეკდა მამა, ხოკოს შიგნიდან თეთრ აპკს ამოახვევდა, ძირის ძირში მარილს ჩააპნევდა, ისე, ამობრუნებულად, ცალტოტიანად აწყობდა. რამდენიმე წუთში მომჯადოებელი სუნი მოედებოდა ოდას; დავიწყებდით ყველანი ნერწყვის ყლაპვას. მამის მითითებით, შემწვარ კოკობებიდან ერთი პირველი ყოველთვის უმცროსის იყო.

ნუ ეფერებით მაგას, თვარა ისეთი ზარმაცი გაგეზრდებათ, თავს დაიწყეველითო, აფრთხილებდა მურთაზა დედ-მამას. ჩემზე გადმოწოდებულ ხოკოს მურთაზას მივურბენინებდი და ხელში ჩავუდებდი. მაგრამ არ იკადრებდა ჩემი ნაწყალობევის აღებას და უკანვე მომიგდებდა.

იმ დღეს მამაჩემს მურთაზამ, კაიგაყოლა ხლაფორთის შემდეგ, მაინც აჩვენა გადატეხილი დემირა. მამა მართლაც ისე გაჯავრდა, ველარაფერმა დააწყნარა. ჰადაა ეგ ვირიშვილი, რომ დავაბიჯო და გავჭყლიტოო, ყვიროდა ჩემი მისამართით.

ეჰ, რა იცოდა მამაჩემმა, წელიწადების შემდეგ, გახურებულ ომის დღეებში, როცა ფინაგენტი გაზრდილ, ტანაყრილ ჯერმოუსხმელ დემირა ვაშლის ხეს რომ დაბეგრავდა და გადასახადს შეაწერდა, ბაბაი განწირულივით წყევლით ჩაიგურგულებდა: ნეტა სულ მოგეტეხათ და ძირიანა მოგეგლიჯათ ეს ოხერი ვაშლის ხე, რა ჯანდაბად მინდოდა, რომ გავზარდეო, ღმერთო!

მეორე დღეს ქალაქიდან მთელი თავისი ამალით გვეწვია ის მამიდა, ვიზეც ათასნაირი და ათასფერი მითქმა-მოთქმა მესმოდა შინ და გარეთაც. მამიდას მაშინ ჩვენში ბიბის ეძახოდნენ. ეს ალბათ თურქულის გავლენით; თუმცა, როგორც მერე, გვიან გავიგე, იმ ენაზე მამიდას სულაც არ ეძახიან ასე. ეტყობა, ჩვენს მხარეში თავიდან შეცდომით გაავრცელეს ეს სიტყვა. ჩვენ, ბაღნები, ისე მიგვაჩვიეს „ბიბის" და „ხალას" ძახილს, რომ ამა, აქამდე ვიმეორებთ ხოლმე.

— ბიბი, ბიბი ამოვიდა! — იყვირა ვიღაცამ და ჭიშკრისაკენ გავცვივდით სუყველანი.

მე ვიცოდი, რომ ჩვენში ქალი მამაკაცის წინ ვერ გაიკვლიდა. ახლა კი ვხედავდი, ბიბი უცხოდ, არაჩვენებურად, გამოწყობილი, მოკლეკაბიანი, მაღალქუსლებიანი ტუფლებით, თავზე კი ფართოფარფლებიანი შლაპით, არხეინად, ლაღად, აშკარა სიამაყითაც მამაკაცის წინ მოაბიჯებდა. უკან მოყვებოდა, ინით შეღებილივით, წითელულვაშა კაცი. ისიც არახოფლურად ჩაცმულ-დახურული, ხოლო, პატარა, ჭრელ-ჭრელებში გამოპრანჭული ციცაი, ხტუნვითა და რაღაცნაირი შეფერებული ყოყლოჩინობით, ქედმაღლურად, მოფაცფაცებდა. მათ შორის დავინახე უფრო მოზრდილი გოგოც. ყაჭის აბრეშუმივით თმა წყვილ ნაწნავად დაბწნილი წინ ჰქონდა გადმოყრილი და დიდრონ ლაჟვარდისფერ თვალებს გაოცებით ავლებდა იქაურობას.

გაკვირვებით და, მგონი, ერთგვარი ზიზღით თუ შებრალებით, გვაკვირდებოდა ის ცისფერ

თვალება უცნობი გოგო თვითეულ ჩვენთაგანს. მე ჩემი, მაშინდელი ბავშვური ჭკუით თუ მიხვედრილობით, უსაშველო ხირცხვილსა და უხერხულობას ვგრძნობდი, დაფრეწილ, დახვრილ შარვალზე და დაჯღურკულ, დაქლექილ „ბლუზაზე“ ხშირ-ხშირად დავიხედავდი, მაგრამ რა მექნა, ხად დავმალულიყავი. მოხულთ უცხო და მრავალი ნეტარი სუნები მოჰყვათ.

შეიშმუშნა, დაიბნა, აირია მამაჩემი. დედაჩემი ხომ მთლად გაოგნდა, ხად უნდა წაეყვანათ, ხად უნდა დაეწვინათ ამდენი, ამნაირი სტუმარი?!

გეფიცებით, მეც კი, ჩემი ბაღნური ჭკვით, მეც კი საშინლად შევწუხდი მაშინ.

— თენზილე-ბიბი, თენზილე-ბიბი! — იმეორებდნენ ჩემი დები, ზიქრი და ფადიმე, თანაც ყველანი რაღაცნაირი გაურკვევლობით, გაოცებით, ქვეშქვეშა გალიმებით ვუცქეროდით დიდფარფლებიან შლაპას, რომელიც თენზილე-ბიბის, ხანდახან, მთელ სახესაც კი უფარავდა. მაგრამ შინ რომ შევიდა, შლაპა თმაში გახლართული საკოპავებიდან აიხსნა, თავზე გადაიძრო და ორივე ხელით, უდიდესი სიფაქიზით, მახანდარაზე დადო. მახანდარა ცარიელი იყო. იქ მუდამ აკეცილი ლოგინი ეწყო, მაგრამ ახლა აღარაფერი ჩანდა, ეტყობა, დედაჩემს დაქლექილ-გამოხუნებული ლეიბები და დაფუშული საბნები აეხვეტა და გადაემალა. მაშინ ჯერ კიდევ ჩვენს ოდაში სკამი არ გვქონდა, წიფლის ჯირკიდან გამოკრილი სამიოდე დაბალი ჯორკო იყო და ორიც ნაძვის ფიცრის მომაღლო ჯორკო, რომლებიც მურთაზამ შარშან გამოხერხა და გამოკედა. ახლა ის მაღალფეხებიანი ჯორკოები თვითონ მურთაზამ გამოაძვრინა საიდანღაც და მთავარ სტუმარს მიაგება, წინ დაუდგა, თენზილე უმალვე დაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. კაბაც უფრო მაღლა აიწია და ბიბის მუხლები მთლად გამოუჩნდა, თანაც პატარა ჩანთიდან პაპიროსის დიდი კოლოფი დააძრო, ერთი ცალი გრძელი, ლამაზი პაპიროსი ამოიღო, პირში ჩაიდო, ახანთის წითელთავიანი ღერი კოხტად ამოჭრა კოლოფს, აანთო და ცხვირპირიდან თუთუნის კვამლი ლაღად, ხვავრიელად ამოაბოლა.

თავზე გადახდილი, პირმოხდილი, წინ კაბაჩაუფარებელი, ახე „გაგიაურებული“ ქალი პირველად მოხვდა ჩვენთან. აბდი-ჩაში კი, უფრო წყნარად, მოკრძალებით დაჯდა, სულ იღიმებოდა, სულ რაღაცების გამო ბოდიშობდა, სულ ჯიბიდან წითელ-ყვითელ ქაღალდებში გამოხვეულ კამფეტებს იღებდა და ბავშვებს გვირიგებდა.

— ღმერთო, ღმერთო, ეს რამბავია! რავარ გადარეულა ეს ქალი! თლათ გაგიაურებულა. ტანისამოსიდან გარეთ გამოსულა სულ. გაგიჟდა ქვეყანა თუ რაა?.. — ჩურჩულებდა დედა-ჩემი და აქეთ-იქით ასკდებოდა, რომ სტუმრებისათვის რითიმე ესიამოვნებინა.

ზიქრი და ფადიმე თენზილე-ბიბის გვერდზე ამოეტუზნენ. სულ გულმკერდზე, თმაზე და ათასგვარ მოხართავ-საკიდარ ძვირფასეულობაზე ჰქონდათ თვალები მიტეხილი. ბიბი იჯდა თავაწეული, გოგოებს ვითომ ვერც ამჩნევდა. თუთუნს აბოლებდა.

ზეინაბი, ვატყობდი, ჩემი ტოლა იყო. მინდოდა სათამაშოდ გარეთ გამეყვანა, მაგრამ ჩემთან სიახლოვეს მგონი არ კადრულობდა თუ ერიდებოდა. ალბათ, ეშინოდა, არ მივკარებოდი, არ დამესვარა ან არ დამეგონჭენინა მიხილამაზი, სუფთა, თვალისმომჭრელი სამოსელი. ტანია კი, როგორც ეძახოდნენ იმ ჩასუქებულ, ლურჯთვალებიან გოგოს, აღარსად ჩანდა. იგი მურთაზას სახლსუკან, თხილებთან გაეყვანა, უწყვეტდა თითო მწვანე ბუჯგ თხილს, უტეხავდა და გარჩეულ, თითო გულს ტანიას აწოდებდა. ტანიაც სიამოვნებით ახრამუნებდა. გოგონამ რუსულის მეტი არა იცოდა რა, მაგრამ, უცნაურია, მურთაზას თავისუფლად ელაპარაკებოდა, მე ყველანი მივატოვე და თხილებთან გავვარდი. მურთაზამ შემომიბღვირა, მაგრამ არ შემშინებია, ადგილიდან ფეხიც არ მოვიცვალე. მეც მინდოდა იმფერი „უცხო“ გოგოს დანახვა, ტანიასაც არც შეუმჩნევია ჩემი მისვლა.

— ია, ია, ია! — შესძახა მურთაზს. ახლა მე დამაცადე თხილის ჩამოწყვეტაო და ხეზე ფეხი შეაბიჯა. იქ, მაღლა რაღაცა როკზე მოუჭირა ხელი და თავისი ჭიბონივით გაპიპინებული გლუვი სხეული მაღლა შეიქნია. ისე მოკლე და ვიწრო იყო კაბა, ფეხის აბიჯებაზე სულ მაღლა, წელამდე აუხოხდა. ტანიას თეთრი, ხორციანი ჭლიკები ჩვენი თხილის ერთი ბუჩქიდან მეორეზე გაიბოგა და იმ ქერა გოგოს მთელი ავლადიდება, ჩვენდა გადასარევად, ჩვენს თვალწინ გადაიშალა.

— გებნევი, გიეთრიე აქიდან, ჭო! — დამიყვირა დაბნეულმა მურთაზამ. — შენ ბაღანა ხარ, ხირცხვილია... წაი აქიდან!

გულში ვთქვი, რა ხდება? ჩემთვის რატომ უნდა იყოს „ხირცხვილი“, მე ხომ არ მიჩანს რამე-მეთქი, ხელი მოვისვი უკან, წინ. გაფრეწილებზე ხელი დავიფარე და ძალლივით ძუნძულით უკანვე მოვკურცხლე.

სახლის კედელს რომ საიმედოდ ამოვეფარე, ფიცრებზე ლოყა მივაჭირე და ისე, უჩუმარა, ისევ იმათკენ ცქერა დავიწყე.

ტანია ძირს ველარ ჩამოდიოდა, ხოლო თხილის ორი ძირი, რასაც გოგო ჩაბღაუჭებოდა, ველარ ზიდავდა მათზე გასულ ციცას და ისე ფართხალებდა აქეთ-იქით, საცა იყო თავის ცოცხალ ტვირთთან ერთად ლაწანით ძირს დაენარცხებოდა, არ ვიცი, თხილის ძირები მოსატეხად შეებრალა თუ ტანიას ჩამოვარდნისა შეეშინდა, — მურთაზამ სწრაფად, გაბედულად შეაშველა ხელები, გოგო სიმაღლიდან ჩამოხსნა და მკლავებში გადაწვენილი, კვნესა-კრუსუნით, ხაღ-ხალამათად ძირს დასვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიფრიფანა ჩითის კაბა გულმკერდზე მთლად ჩახსნოდა, და, ვაი, სირცხვილო. — ბაბას დაკრეფილი მარკვალის კოკობებივით, თეთრყარმზია, გლუვ-გლუვი მკვრივი ძუძუები ზევით ამოცვენოდა. შეშფოთებული, არეულ-ალეწილი და აფაკლებული მურთაზი ირგვლივ აცეცებდა თვალებს. ყველაფერ ამას მარტო მე ვხედავ, თუ კიდევ ვინმე უკვიტინებსო. დარწმუნდა თუ არა, რომ მდგომარეობის ბატონ-პატრონი მარტოდმარტო თავად იყო, შიში, შებორკილება, გაუბედობა უცებ სულ შორს გადაიყარა და ახლა უფრო თავისუფლად, უშუალოდ, ვითომდა მაპატიებლად, მოუთათუნა ხელები ტანთან. დაიღუნა, წამძვრალ-ჩამოვარდნილ ფეხსაცმელში ფიქალივით ქათქათა ფეხი ჩაეყოფინა. სხეულიდან გადაცურებული კაბაც მიუხწორ-მოუხწორა, და სტუმარი გოგონა, როგორც ახლა ვამბობთ, თავის საწყის მდგომარეობას დაუბრუნა.

მე ადგილს მოვწყდი. მურთაზას რომ არ დავენახე, საჩქაროდ იქით, ნალიის ბოძს ამოვეფარე.

დედაჩემი რატომღაც გაბადრული და კმაყოფილი ამოძვრა ბოსტნიდან, ყალთაში ახალდაკრეფილი კუინტი ლობიოს პარკები ჩაეყარა. კაბაზე, ალაგ-ალაგ, ლობიოს ბოლიანი ფოთლები მიკრობოდა, იღიმებოდა, რაღაცა უბაროდა. დედას ალბათ უფრესი ბიჭის დავაჟკაცება ენიშნა იმ დღეს. მისი მალე დასახლების (დაქორწინების) აუცილებლობა იგრძნო და ამით გახარა. ეს სწორედ ზაფხული გახლდათ, როცა მურთაზა სოფლის სკოლაში უკვე აღარ დადიოდა, დაწყებითი კარ ხნის მოთავებული ჰქონდა და ამიტომ კაცივით მამის მხარში ამომდგარი, თავისთავზე ოჯახის დაწოლასაც გრძნობდა.

მამაჩემი და მამაჩემის მამა, დიდი (ბაბუა), მატყლის ქულებივით ფაქიზი წვერი რომ შემოფენოდა თავ-პირზე, აივანზე იხსდნენ და, მამა-შვილურად კი არა, ისე, როგორც თანატოლნი, ორივე ერთნაირად შეხნიერებულები, ზიარი დარდით თუ ზიარი სიხარულით, რაღაცაზე მრისხანედ, ბმამოგუდულად ბკობდნენ.

— წავალო, იძახის... წავა, მარა, სამუდამო იქნება ეგ წასვლა, ვატყობ. — ჩიოდა ბაბუა.

მამაჩემი თავს უქნევდა, ეთანხმებოდა. მე მხოლოდ ახლა, დღეს, ვხვდებოდი ვიზე, რაზე ბკობდა მაშინ ორი ბერიკაცი.

— მაგ თავყირმიზა ჩაუშს წაუვა, არ ვაძლევდი, მარა წაუვა და ახლა რაღაი. ნახე ახლა რაფრათ აკორწილებს ბლიკებს, რაფერ აუკიმებს ძიგარას, რაფერ ლაპარაკობს. პირზე არ გინდა, იმაზე დეფფარებდეს ჩამეს. არა... სულ გეფიერია ეს უბედური. სულ გაგიავრდა, სულ...

მამაჩემმა ყაბალახის ქვეშ თითები შეიყო და თავი შეიფხანა. თენნილი მიხი-დაა, აგერ კი მობუცი მამა ელაპარაკება. რა ქნას, რა თქვას, ვისი მხარე, რომელი ხიმართლე აირჩიოს, ვის მიუდგეს, ხალთკენ ეძებოს სიბრძნე, ძეთე? მე კი ორივენი ბერიკაცები ბრალეულნი გრამ მამაჩემი მაინც შვილი იყო და ბავშვივით უსმენდა.

— კი, მარა, ბაბი (რა უცნაურად მესმოდა მამაჩემისაგან „ბაბი". მეგონა ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთადერთი თვითონ იყო „ბაბაი"), ბადი-ჩაუში თურქია ხომ? ბაბა, რაფერ გაგიაურდებოდა თურქი, ა?

— არ შემშალო ახლა, ალიავ. — გაუკავრდა ბაბუა მამაჩემს, — რაის თურქია ბადი? მაი, ჯო, ჩვენებურია, დიასამიძე. კი, სტამბოლში ცხოვრობს მამამისი, მაგი ასკერში იყო, ათი-თხუთმეტი წლის წინ, ბათუმში შემოყვა ასკერს... ტყვედ დარჩა, ჰოდა, დარჩა და დარჩა მემრე. გაუშვეს, მარა აღარ წევდა უკან. მოძებნა აქ ვინცხა-ვინცხა ნათესავები თავისიანები. არ ვიცი ვისით და რაფრათ, ყველადღეი ჩაქვში დარბოდა. ჰოდა, დეინახა ეს ჩემი თენზილეი, გედიეკიდა და გედიეკიდა. არ იქნა, ვეღარ მოვგლიჯეთ ერთიმეორეს... რანდა მექნა, ვინ დაგიჯერა, მიყვარს და მიყვარსო, დეიჩემა ამ ჩვენმა ფანძაკმა. ეიხადა პირზე ფეჩა, გადაგდო ჩერჩეფი, ეივარცხნა აღმა თმები, გეეღელა გულმკერდი, დეიმოკლა კაბა, დეიმფხო თავზე მაი, ლენგერივით ფრიალა თავსახური, გეიჩარა პირში თითისიხოშრე ძიგარაი და გუუყვა განდაგან. რანდა მექნა, ვიღან მისმენდა მე. შენი ძმებიც, ალიავ, კი იცი რა ჭკვიანაც არიან. მაგ დაკარგულეთიდან მოსულ უნათესავო, გაღლეტილ ფუხარაზე მიცემას, ვინცხას ზეგნელს მოვნახავდი და გავატანდი და მევხვენებდი. ერთი კაპიწაი იაღი-ყველი მაინც ექნებოდენ და მეც თითს გევლოკავდი ხანდროს. ახლა? აფერი! ახლა ატეხილია, იქ წავალთო, იქ ჩემ კაცს ქონება აქვსო. იქ ბაბაი მომკვდარი ყოლია და სიმდიდრეც დარჩენია ბევრიო.

რა სიმდიდრე ექნება ალქედან წასულ კაცს უცხო ქვეყანაში ახლა, მიხტი შენ... მარა მე მაგის ჯანი აღარ მაქ ახლა, მაგენს რომ ველაპარაკო, აბა, უფროსი შვილი შენ მყავხარ, აგერ ვართ ხუყველაი, ადექი და თქვი სათქმელი, უთხარი, ნუ დაგეხათრება, უთხარი მაგრათ! აგერ ჩვენში ვთქვათ, ალიავ, ხომ ვხედავთ, ეს უბედური ქვეყანა ჰიმკენ წევიდა. ამ ჩვენი თავრობის ხელში წასვლა-წამოსვლა შეგჩება და შეგერგება? ა, ნახავთ აგერ. წევდეს, წევა და აქავრობის ბურდღუსაც ვეღარ ნახავს. ეს მე დღეკანდელ დღესავით ვიცი და ვხედავ.

ერთიმეორის დაკარქვა გვაკლია ჩვენ?! ძვილაი ჩვენ-ჩვენ კერებზე ცეცხლი მოვანთეთ. ძვილაი ერთმანეთი მოვძებნეთ, ძვილაი ამ ჩვენმა, სხვისი ქუსლით გაჭეჭყილმა აკარამ, პაწაი სული ამეოთქვა, ძვილაი თავისი თავი იცნა. ძვილაი თავისი მემლეკეთი, თავისი ნენეი თავისთან დეიგულა, ძვილაი ჩვენი სიხლის და ხორცის ხალხთან ერთად ვართ და ახლა კიდო აქედან სხვაგან-სხვაგან გეეიქც-გამოვიქცეთ?!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ თურქსაც თავის დერდები აწუხებს, ძიავ, აბა! შენთვის ვიღას ცალია დღეს. ყველაი თავის ხულის დერდშია ყველამ ჩვენ-ჩვენ თავს მივხედოთ უნდა. ჰო, ახეა ეხა... — მამაჩემი მოთმინებით და გატაცებით უსმენდა მამამისს. — წავა. აბა, წავალო, იძახის. კი, წახვალ, მარა მერმე? მე აგერ რაღაი დამრჩენია. ჩემი სიცოცხლე ახლა ხიდან ჩამოხავარდნელ გაყვითლებულ ყვერივით ფართქალობს და, ჰა და, მიწყდება და წაყვება ქარაშოტებს იმ ქვეყანაში, ჰოდა, გებნევი: მისი წახვლა ჩემთვის სიკვდილია, ალიავ, გეიგევით ეხა და ისე იფიქრეთ მაგის ბედ-იღბალზე. ხომ გეიგევი ახლა, მე რაცნა მეთქვა შენთვის, ა? შენ, ალიავ, ეს ყოლიფერი კაი ხანია იცი, მარა ახლა ჩემით მომინდა ხელმეორედ, ჩემებურად, მეთქვა. რა ხანია თენზილემ ბედი გადეიწყვიტა. აგერ ერთი ფაციაიც ყავან და მივცემ იქა ერთ ყურ ხაკარმიდამოს და იყვონ ისე. კი ვირჩენთ თავს. თუ არ ჩამოგვართვა ყოლიფერი ამ ჩვენმა ფუხარა მთავრობამ. მეშინია ძალიან. ვატყობ, ჩამოგვართმევს...

მამაჩემი უცებ რაღაცამ შეაკრთო.

— ეგ „ფუხარა თავრობა" ჰაიდან მეიტაი ახლა, ა? გაზაფხულზე გაღმელმა ომერ კონცელიძემ, იმ ხაწყალმა და გაჭირვებულმა, აქ, სირაბიძის ქორწილში, უსაშველო ხვეწნის და მიძალების მერე, ერთი სიმღერა დაამღერა ჩონგურზე. ძალიან არ უნდოდა, მაგრამ დააძალეს და იმღერა. ჰოდა, სიმღერაში, ერთ ალაგას გამოურია ეგა. — „ჩვენს ფუხარა თავრობასო..." ჰოდა ღამე იქიდან გეიპარა. ხაბჭოს კაცებისა შეეშინდა. მარა ჰად გეიქცეოდა. მეორე დღეს ხაწყალი ომერ კონცელიძე ნიფხავ-პერანგით გაკოჭეს შვაღამით და წეიყვანეს. აბა, შენი „ფუხარა თავრობა". აღარ თქვა მაგი, ბაბი! — გააფრთხილა მამაჩემმა ბაბუაჩემი.

ზეინაბი, ჩემი უცნობი მამიდაშვილი, ფაქიზი, უკარება, ფაფის ორთქლივით ნაზი, მხუბუქი, ჰაეროვანი ციცაი, ამახობაში შემეჩვია, მომენდო, თანდათან ეზოში შევითამაშე. დავიყოლიე ტყისპირისკენაც წამყოლოდა. იქ, უფროსების თვალთაგან მოცილებულად, მინდოდა ხეებზე ასვლა-ცოცვის ჩემეული გმირობანი მეჩვენებინა, აღმართ-დაღმართ კოხებზე ფეხშიშველა სირბილი და იბრეხას ბაწრებით ხეებზე კონწიალიც მესწავლებინა. მაგრამ როგორც კი ეზოდან იქვე, ტყისპირის კაპანზე გავედით, ზეინაბი რაღაცას წამოედო, წაიქცა და თავდაღმა დაგორდა. სანამ მიგორავდა, ხულ გახუხული იყო. ხმა არ გაუღია, ხელფები არც გაუნძრევია. არ ვიცი, რაიმე უბედურების მოლოდინის შიშმა დაამუნჯა თუ რაღაცა ხახწაულს მოელოდა, ვხედავდი, მიგორავდა, მაგრამ არც ტიროდა, არც ყვიროდა. აი, ამან დამაფრთხო სწორედ.

ვიფიქრე, ეს სტუმარი ბაღანა აგერ ჩამაკვდა-მეთქი. მაგრამ, როგორც კი დაბლა, პაწია დუბეზე შეჩერდა, აკუიკლდა, აკუიპინდა, ისეთი ალიაკოთი ატეხა, მგონი, მთელი ხოფელი შეიძრა. თავზე ხელების ცემა. [illegible] ლე-ბიბი, დედაჩემი, ჩემი დები. ზეინაბმა იმათი კივილი რომ გაიგონა, ჭუკიანს ოდნავ უკლო, თუმცა, როგორც კი დარწმუნდა, ჩემს საშველად მორბიანო. ისევ მოუმატა ტირილს. წამოდგომა რატომღაც არ უცდია. ბალახებში იწვა და უფროსების მოსვლას ელოდა. შემეძლო მივსულიყავი, მაგრამ ისეთი კივილით, წყევლით, მორბოდა დედამისი, შევშინდი. — ვიცოდი, ყველაფერს მე დამაბრალებდნენ, ამიტომ თავის ხაშველად პირდაპირ ტყისკენ მოვკურცხლე.

ცოტა ხანში, ყველაფერი რომ მიწყნარდა, დედა გამომედევნა. მეძახოდა, მეეთრიე შინ, ჭადი გამოცხვა, გახკდიო (გახკდომა გაძღომას ერქვა გაჭავრებულთა ენაზე).

ხადილი ბუხრიან ხექვებიან ოთახში გაეწყო დედაჩემს. ის ჩვენი გობისხელა ტაბლასუფრა, თავისი მოხვეწილი მრგვალი ფეხით ჯორკოზე შეედგა, რომ მაღალი გამოჩენილიყო. ორი მხრიდან ხექვებზე დახხდებოდნენ, ორიდან კი ჯორკოები მიედგათ.

ტაბლაზე, შუაგულში, დიდი ხანაყელა ხის ჯამი იდგა და შეკმაზული, ჭყინტი ლობიოს გამაბრუებელი, ნერწყვისმომგვრელი რეჭნის, კაკლის, ქინძის, მწვანე წიწაკის და კიდევ დედაჩემის ჯადოიანი დიდხელობის ხურნელი და ოხშივარი მთელ ოდაში ბრუნავდა.

კეციდან ახალამოღებული მტკაველის ხიხქე ჭადი დედაჩემმა ხტუმრების დახხდომამდე, კარგად მახხოვს, არ დატეხა, რათა ლუკმა არ გაციებულიყო. ჯამის ირგვლივ ტაბლაზე რამდენიმე პატარა თიხის ჯამი შემოერიგებინა. ჩვენ ყველანი იმ ერთი ხის ჯამიდან ვჭამდით, თიხის ჯამები კი არახოდეს მინახავს შინ. ალბათ ვიღაცისგან თუ ინათხოვა დედამ. თიხის ჯამებზე, ჩვენი ბოსტნიდან ამოტანილი, ბუსუსებიანი ქორფა კიტრები ეწყო და რამოდენიმე მწვანე წიწაკაც ალაგ-ალაგ ეგდო. დიდ ჯამში პატარა ციცხვი ჩაეტოვებინა დედას.

ყველანი რომ სუფრას შემოუსხდნენ, ნენემ ჭადიც დატეხა და გაანაწილა. ერთი პატარა ჩამონატეხი ყუა, გარეთ, დერეფნისკენ გამოაქანა და მე შემაჩერა ხელში. ისედაც ვიცოდი, იქ ხტუმრებთან დაჯდომა აღარ მომიწევდა, ჯერ ახეთი რამ არც მერგებოდა. მე ჩემი კერძი ლობიო ხაილენძის ძველი, გაპეპყილი ჯამით მუხლებზე შევიდგი და ლუკმა ლუკმას მივადევნე, ერთი პატარა, მოღრეცილი ჭიპა-კიტრიც მერგო და იგი ისე ჩავახრამუნე, კბილებმა ისეთი ხმა გამოიღეს, დედა შორიდან დამემუქრა, ჩუმად ჭამე, ხირცხვილიაო.

— ხადაა თქვენი შუქრია-ყაზახი, ზეინაბი რომ გადამიგორა ფლატეში? — გავიგონე მამიდა თენზილეს, ქალაქურად დაკაპიწეულები ხიტყვები. ვიფიქრე, ახლა კი წამიხდა ხაქმე, გამიმწარდა ლუკმა პირში და კიტრის ხრამუნიც შევწყვიტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გუჯავრდი და აქ რაფერ გაბედავს შამოსლას. — დაამშვიდა მამიდა დედაჩემმა. ამ დროს ზეინაბის ხმაც ჩამესმა:

— ნენიკო, შუქრაი მინდა!

— რატომ გაუჯავრდით? ბავშვია, რა იქნა მერე! — ბრძანა ბრძნულად თენზილე მამიდამ და ყველაფერი უმალვე თავთავის ადგილას დალაგდა. დამყარდა ოდაში მშვიდობა და ჩემი, ბებუთივით მკერელი კბილები ისევ გაბედულად ამუშავდნენ.

ყველაფერი რომ გათავდა, მამიდა გამოვიდა, ჩემდა გასაოცრად, იმხელა ბიკი, ხელში ამიყვანა, მომეფერა და კიდეც მაკოცა ღაწვზე.

— აბა, წაიყვანე და ათამაშე. — მომბაძარა ისევ თავისი ზეინაბი. მიხაროდა, ასეთი კობტა გოგონა ჩემთან რომ ითამაშებდა.

ბოლო ტანია ვინ იყო, ან საიდან და რატომ წამოიყვანეს, ვერც მაშინ გავიგე და არც ახლა ვიცი. ტანიას რომ უყურებდა, დედაჩემი წუხდა. — ეგ ტიტველი პრატი მურთაზას თლათ გადამირევსო. „ბიბის" შეეხვეწა, რაცხა გრძელი, ჩვენებური, გადავაცვათ მაგ რუსის პრატსო.

მე კი მამიდის მოფერებამ გამაჩუმა, დამაყრიოზულა. მამიდის ნაკოცნ ლოყაზე ხელსაც არ ვიხვამდი, რომ ის ცხელი და სათუთი ამბორი არ ჩამომეხოცა...

რა იცოდა მაშინ მამიდა თენზილემ, ან, მითუმეტეს რა ვიცოდი მე, რომ მხოლოდ ორმოცდაათი წლის შემდეგ,ბედისწერის ნებით, შორეულ ბურუსში, ხელმეორედ, საბოლოოდ და ერთადერთხელღა შევხვდებოდი, უოჯახოდ, უშვილძიროდ, უთავისიანებოდ, უთვისტომოდ დარჩენილ, გადავიწყებულ, გადახხვაფერებულ, გადაბერებულ, დაძაბუნებულ, სიბერეში დაობლებულ მამიდას და მისი მეორე, თანაც უკანასკნელი კოცნა შეხნიერებულ ღაწვს კვლავ გამითბობდა.

მაშინ კი, ისინი, სტამბოლში წასასვლელად ატეხილები, ვეღარავინ შეაჩერა. ადდი-ჩაუში და თენზილე, თავიანთი ზეინაბით, ბათუმში გემზე აიბარგნენ და შორეულ გზას გაუყვნენ. მამაჩემმა, ალიმ, სხვა ძმებმა და დებმა, ახლობლებმა გააცილეს. იმ გაცილების ამბებს წლების მერეც მოყვებოდნენ ჩვენში.

ადდის მამა გარდაცვლილი იყო. ხახლი სხვებს დაეპირათ. დავაში, ძიებაში, მტრობაში წლები გადიოდა. ზეინაბი გათხოვდა, მაგრამ პირველ მშობიარობას გადაეყვა. დარდებით სულ დაილია და ადდი-ჩაუშ დიასამიძეც გარდაიცვალა. მარტოდმარტო დარჩენილი მამიდა თენზილე, ბურსა-იზნიკ-ინეგოლში, ძველგადასახლებულ მუჰაჯირ თანამემამულეებში ახლობელთაგან შველას დაეძებდა. რამდენი გონჯი, რამდენიც ვარგებული მადლიანი ვინმე შეხვედრია ბედის გზაზე. აი, იქ, მუჰაჯირთა იმ ახალ სამყოფელში, უცხო მიწაზე რის ვაივაგლახით და წვალებცოდვილობით. შორეულ მემლექეთ-საქართველოზე მიმსგავსებული, სევდით შეყუყული, თავიანთი ცრემლებით მორწყული სოფლები რომ აუშენებიათ და ბევრისათვის სამშობლოდან წაღებული სახელებიც კი დაურქმევიათ. აი, იქ, იმათ ყოველდღიურ საზრუნავ-საწამებელში გაბმულთ, საკუთარი სულის დარდში მყოფთ, სადღა ჰქონდათ უნარი და ღონე ჩემი გულგატეხილი მამიდისათვის მიეხედათ. მთელი თურქეთი ფეხით მოიარა. იმდენი წალმა-უკუღმა სიარული დედასამშობლოსაკენ იყო თითქოს, მამული კი სულ უფრო შორდებოდა. იქ კი, მუჰაჯირებს, მუსლიმან ქართველებს, თავის დროზე, რელიგიური მოწყალებით შემოთავაზებულ სხვის მიწაზე, სხვის ხევხუკებში, ღელეღურდნებსა და მთა-გორებზე, ციცქნა-ციცქნა სოფლებად თავისი პატარ-პატარა სამშობლოები გაუშენებიათ.

ბოლოს ცრემლამომშრალი და იმედგადაწურული ქალი გადაეყარა კაცს, მასავით უსამშობლოს, უშვილძიროს, პარტახსა და მარტობელას. სადაური ხარო, ჰკითხავდა ქალი, არსადაური ვარ, დედამიწელი ვარო, პასუხობდა ის კაცი და სევდიანად იცინოდა. ბიკი ეყოლათ. მაგრამ ის „არსადაური დედამიწელი" მალე ამა ქვეყნიდან, თენზილეს საუბედუროდ, მიუსავლეთში გადასახლდა. პატარა ფაცხა კი დაუტოვა თენზილეს.

ფაცხა, სადღაც იზნიკთან ახლო იყო. გაიზარდა, მაგრამ გალოთდა უმამოდ აღზრდილი ბიკი. ერთხანს, რაღაც ელექტროსაქმით შინ ლუკმა მოაქონდა. ბოლოს ესეც გვერდზე მიაგდო, მალულად გაყიდა ფაცხა, რომელშიც დედა ცხოვრობდა. სადღაც, ვიღაცამ ბიკიც მოკლა. უბედური დედა გარეთ დარჩა, იმიტომ, რომ ბიკის მიერ გაყიდულ ფაცხას ახალი პატრონი დაეპატრონა.

ჰოდა, იმაზე ვამბობდი, — ბედისწერის უნებური ნებით-მეთქი, ამ რამდენიმე წლის წინათ, შორეულ მშვენიერ სევდიან ბურუსში, ხახელმოხვეული პოეტის ნაჯდომ ციხის ქალაქში, თურქეთის პირველ ნადედაქალაქეში, სადაც ყოველ ნაბიჯზე, ახლაც, სამშობლოსგან მოგლეჯილ ნამუჰაჯირალთა, მუსლიმან ქართველთა ნათქვამ მშობლიურ სიტყვას გაიგონებ, აი, იმ ბურუსში, საბოლოოდ ერთადერთხელღა შევხვდი თენზილე-ბიბის. ეს ამბავი და ამ ამბავთან დაკავშირებული სხვა ბევრი ამბავი, ალბათ, კვლავაც მრავალჯერ აგვატკივებს გულს და ბევრ რამესაც გვათქმევინებს.

ის, ვინც იმდენი ბნის უნახავი ძმისშვილი და მამიდა ერთმანეთს შეგვახვედრა, იქაური ჩვენებური იყო. ხმელი, ნატანჯი, გაფშეკილი, მაგარ-მაგარ, დაძარღვულმკლავებიანი, თვალებამოღამებული, თან მოციაგე სინათლეებით ამეტყველებული თვალებით, ძველ სპილენძივით დაჟანგული, მაგრამ სპილენძივით ალაპლაპებული ქართული სიტყვით შეიარაღებული, კოჭლი,

ფრიდონ ხალვაში
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ კოკლიც რომ სხვას სიარულს ასწავლიდა.

აფლიკვინებული მამიდა მემლეკეთზე მეკითხებოდა, მოუღლელი მასპინძელი კი იქაურ მუსლიმან ქართველთათვის გამოსაცემად მომზადებულ თავის წიგნს მასინჯებდა. წიგნის უდაზე წმინდა გიორგის სურათი დაეწებებინა. დედამიწაზე დაბჯენილი ვეება მახვილით გველეშაპს თავს უჭეჭყავდა. ეს ხომ ქრისტიანობის ემბლემადაა ჩვენში მიღებული-მეთქი. რას იტყვიან მუსლიმანი აქაური მოძმეები?

— არ ვიცი! რაც აქ ხატია. ეს ჩემთვის საქართველოა! — მკვახედ მიპასუხა.

მამიდას ერთმა ვიღაცა სახეგაყვითლებულმა, ჭორფლიანმა, საწყალმა კაცმა მოაკითხა.

— ეს ჩემი ზეინაბის კაცი იყო და... — ჩაიკვნესა მამიდამ.

— ჩვენებურია? — ვკითხე.

— თურქია! — მითხრა და ამოიგვნეშა.

— მერე, რაი?

— არაფერი! რაც მოგვიკვდა ზეინაბი. ეს ერთადერთი ბელგამწოდე დამრჩა და...

— თავისი ოჯახი?

— ჰად ყავს ოჯახი!? უარი თქვა ყველაფერზე ჩემი ხათრით. გიგიკვირდებიან და ამ თურქმა აქ, თურქეთში, ჩემი გულობიზა და ზეინაბის სიყვარულის ხათრით, ქართული ლაპარაკი ისტავლა და... ჰო, მარა მე მაინცა წევდე ჰაცხა, მაინც წევალ ჰაცხა, მარა ჰად, ეს აღარ ვიცი... — სათქმელი ოდნავ აერია ჩემს საცოდავ მამიდას.

მერე იმ ნასიძარ თურქს შებრალებით შეხედა ისევ და მომიბრუნდა:

— ახლა ეს უბედური მეცოდვება, თვარა, ჩემ თავს რაცხას ვუშველი. ეს მეცოდვება...

ნასიძარს თავი ჩაეკინდრა და ძირს რაღაცას გაშტერებით დასცქეროდა. ხმას არ იღებდა.

— მე მაიცნა წევდე ჰაცხა... — იმეორებდა მამიდა. — იქ მინდა ისევ, იცით? იქ, შინ, ახლა მალე მეც დევხარჯები, ვიცი და... იქ მინდა, ნენე-ბაბას ძვლებთან ჩამფლათ ჰაცხა. ეს ერთი თხოვნა მაქ ყველასთან. იქ მინდა, ნენე-ბაბას ძვლებთან ჩამფალით... მეტი ააფერი და...

მასპინძელი კი ისევ იმ წმინდა გიორგის დასცქეროდა, თავის შედგენილ კრებულზე გარედან რომ ეხატა და თავისი ხელით, მთელ სიბრტყეზე, მსხვილად, თურქულად, აწერდა — „გურჯისტან". მერე კი, ქვემოთ, წელში გამოყვანილი, ჩვენებური წერწეტა-წერწეტა ასოებით გამოიყვანა სიტყვა — „საქართველო".

ამასობაში სამუშაოდან ცოლიც დაბრუნდა და პატარა შვილებიც, გოგო-ბიჭი, თამარი და ივერი! იქ, ბურსაში, თურქია ნადედაქალაქეში! იდო წიგნი მაგიდაზე „საქართველო".

ხოლო შინ რომ დავბრუნდი და რამდენიმე წელიწადი გავიდა, შემაზრზენი ამბავი შევიტყვეთ. ბურსაში, დილით, თავის სახლის კარებთან, ვიღაც უცნობებმა, ავტომატის ჯერით დახვრიტეს კრებულ „გურჯისტანი" [illegible] სამი ტყვიით მძიმედ დაჭრეს მისი ვაჟი, ივერი..."

ვერც თენზილე-მამიდას შევუსრულეთ თხოვნა, ნენე-ბაბას ძვლებთან ახლოს, მშობელ, მონატრებულ მიწაში ვერ „ჩავფალით".

მამიდაც, მალე, იქვე „დაიხარჯა".

მიწების წაღება

გაზაფხული იყო, დილა. მოვიდნენ კაცები, მოჰყვათ ქეთო მასწავლებელი. მამაჩემს დაუძახეს, ეზოში გაიყვანეს. მურთაზიც თავისით გავარდა გარეთ და ქეთო მასწავლებელს ამოეტოლოშინა გვერდით. ოთხი კლასი შარშანდელი დამთავრებული ჰქონდა, სკოლაშიც ხომ თავიდან ათი წლისა შეიყვანეს და ახლა უკვე მთლად კაცობდა, მით უმეტეს, მოწაფედ რომ აღარ ითვლებოდა, ყოფილ თავის მასწავლებელთან უკვე მეტი გაბედულებით იქცეოდა.

ქეთოს კი გაუხარდა მურთაზის ნახვა, მაგრამ ის კაცი, ვისაც მამაჩემი თავმჯდომარეს ეძახოდა, გადაეღობა წინ. მასწავლებელს ანიშნა, ახლოს მოდი, საკითხები უნდა ჩაგაწერინოო.

თავმჯდომარეს ჩექმები ეცვა, გალიფე და ზევით ოთხჯიბიანი ბლუზა. ალიავ, მიწებს ვზომავთო, განაცხადა თავმჯდომარემ და ღობეზე გადააბიჯა.

— მიწას აზომვა რათ უნდა, ჯო?! — გაიკვირვა ბაბამ.

— წამოი, მასტავლებელო, გადმოი აქეთ. — მიმართა თავმჯდომარემ.

— ვერ გადმოვალ, ჯემალ. ამ ჭუსლებით მანდ როგორ გავივლი. — ჩაიკისკისა ქეთომ. — თქვენ აზომეთ, იქიდან მიბრძანეთ და მე აქ ქე ჩავწერ. მოუბრუნდა უცბათ ჩემ ძმას ქეთო: — შენ ჩაუევი პატივცემულ თავმჯდომარეს. აი, რვეული და ფანქარიც. ქე ხარ ახლა შენ იმდენად განათლებული, რომ ასეთი რამე გააკეთო.

— მიწას აზომვა უნდა? — გაუმეორა მამაჩემმა უფრო დამფრთხალი ხმით.

— კოლექტივში რომ შედი, ალიავ, მიწას გაერთიანება უნდა, არ იცოდი?

— ეი, აგერაა და წეიღეთ, რათ უნდა აზომვა, თქვენი თქვენ წეიღეთ, ჩემი მე დამიტიეთ.

— წევიღო რა, გოდორში ჩავყარო და წევიღო?! — ხმა აიმაღლა ჯემალმა. — მიწა ადგილზე იქნება, მაგრამ შენი აღარ იქნება. ჩვენი იქნება. ახლა ყველაფერი საერთოა, კოლექტივისაა, ხომ იცი? — აქ კი ვეღარაფერი გაიგო მამაჩემმა და მორჩილად თავი დაუქნია.

— აბ! — ვეღარ მოითმინა დედაჩემმა, ხახლის კედელს ამოფარებული რომ იმალებოდა და იქიდან დაიძახა: — თხმელების ადესაები დიმიტიეთ, ძიავ, მეტი ხილი რაღა მრჩება. ადესაის ლეჩერით ბაღნებს ვარჩენ თელი ზამთარი.

— აქ ადესას სადაც დარგავ, გადელდებ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ალიოვ! — დაგვალვიდა თავმჯდომარეს და ზეაკანაში ჩავიდა.

— ადესა ხად დეიორგვება ძაგი კი ვიცი ფე. — შებედა ისევ ბაბამ.

— ხამეტანი ვოში ხარს უკულმა წვიეკანს. — დაასკვნა ბრძნულად თავმჯდომარემ. რადგაც ანიშნა ბესამე ბხლებელს, რომელსაც ნიკოს ეაბნიდა. ნაუზარში იავიდა. მოხნულ-დაფარცხულ-ხამანდამობინინებელ ნაგეზარში, უსეშად, მოურიდებლად, ჩაბიჯა ჩექმა და ხაზოთი ლენტიც გორვალა-ეუთიდან ამოსწია-ამოაბრიალა, ეუთა თავად ლაიკარა ბელში, წვერი ნიკოს მიაჩერა და უთბრა, დადეკი აკეთ. თვითონ, პირდაპირ, გადაფარცხნილ, გადალამაზებულ ნაბნავში სიმინდები რომ ამოიბინდებულიეო, გადაეშვა. სიმინდები ალაგ ჩაკრდა. ჩექმებმა ფართო, ღრმა კვლები დაჩიხა მიწაა. მამაჩემი შეწუხდა.

— კაცო, ყანა არ გეცოდებიან?! ეხე ნაპირნაპირ ჩაგეარეთ, რა იქნებოდა.

— ყანა კი არა, ხალხიც... კაციც არ გვეცოდება, თუ ბელს გვიშლის! — ახალსიმინდამობინებულში ჩექმებით ჩამდგარი თავმჯდომარე მამაჩემს გაეცურებდა, მაგრამ ამ სიტყვების წარმოთქმისას თან იღიმებოდა. თუმცა ის ღიმილი ისეთი მომეჩვენა, რომ ცოტა შემეშინდა კიდეც.

— ეთი! — დაწერე! — უბრძანა ჭემალმა ქეთო მასწავლებელს. ქეთოს რვეული უკვე მურთაზისათვის გადაეცა. ჩემი ძმა დამბეული და მოჯადოებული მზოლოდ ქეთოს მიშტერებოდა. თავმჯდომარისა არც გაუგონია, ამიტომ მასწავლებელმა რვეული უკანვე გამოართვა და, თავმჯდომარე არ გამოჯავრდეს, ციფრი თავადვე იაწერა.

ნაბნავი სულ ჩექმებით მოიგლეკნა.

დედაჩემი აფლიკვინდა, ბაბა კბილებს აკრაჭუნებდა და ბრაზით ჩხირებს ამტვრევდა თითებში. სამი ჩეთვერი გეოგებაო. განუცხადეს მამაჩემს.

არავინ იცოდა, რამდენი იყო „სამი ჩეთვერი".

ნათესი ყანის ნახევრამდე რომ ჩაიწიეს, შეჩერდნენ. კიდეში ჯოხი ჩაასეს, მეორე ჯოხიც მეორე კიდეში ჩაასეს და მორჩნენ. ქვემოთ ალარ აუზომიათ, მე ჩემი ნაღმური ჭკვითაც მივხვდი, რომ ჩვენთვის დასატოვებელი „სამი ჩეთვერი" იქ, იმ ორ ჯოხთან მოათავეს. დანარჩენი რაცაა, — სათიბები, ნაპურვალები, ვაშლებიანი ხეიკანი, იფნის ხეც, ზედ ბოლოა ყანი რომაა, ისიც, წაბლებზე ყანი-კლარიოული ორომაა, აქეთ. — ბოზანი, ხამომავლოდ მამაჩემი ჭკვის დათესვის რომ ამირებდა, ეს ეველაფერი ალბათ, კოლექტივს გადაეცემოდა. მამაჩემი ეზოში, ღობეზე მიეუდებული, იდგა ენაჩავარდნილივით.

ქეთო მასწავლებელიც აქ იდგა. ნაბნავში ალარ ჩაეყოლია. რადგან მაღალქუსლიანები ეცვა და ცალკეთ უფოთიალდეოდა. ... უნგარიაში რვეულში და აქედან ... თავმჯდომარეს, ალბის უკვე ხმა ჩეთვეთია ... სწორედ მაშინ ჩასხა ჭეშალმაც ის ორი ჯოხი.

ხასლის უკან ამოფარებული, ხანგზე ნაზმაბაბეული დედაჩემი მოთქმით ტირიდა, რადგაც თვალს ამირებდა, მაგრამ უცბო ხალხში გამოსვლა ჩვენებურ ქალს არ შეეძლო. უფრო ალბათ ეშინია ეშინოდა, მაგრამ ჯოხები რომ ჩაეხეს „ბახჩის" შუაგულზე, მაშინ ვეღარ ძოითმინა, ლაბდავით ხალიის ბოლამდე მიიწია და მამაჩემის გასაგონად ამოთქვა:

— კაცი ხარ ბოლოს! და ბოლოს, დარეგაკეთ რომ ჩასობილხარ აქა, ერთი ჩადი, რაცხა ეთხარი, ის ჯოხი ცოტა ქვეკით ჩაწევეე. ... ...

აქ ცოტაი მოდის ყოლისფერი და რანდა ვქნათ შიერი ამოვწყდეთნა?!

— რატომ, აიშე ნენე, კოლექტივში ბევრს მოვუვანთ და მოგცემთ, რათ გინდა შინ მარტვაი იმუშავო, — გაწყდები წელში. ბაღნებს ასტავლე. დიდი კაცები გახდებიან.

— მაქობამდი ჭამა არ უნდებიან ბაღნებს? — ჩაიწუწუნა ნენემ. მაგრამ მისთვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. ის, რაიკომელი ნიკო, ხხვანაირი, შეწუხებული თვალით უყურებდა დედაჩემის იაზმით შეხვეულ თავ-პირს და ქეთოს ეჩურჩულებოდა რაღაცებზე.

მეც ჩემი წილი სირცხვილისა მაწუხებდა იმ დღეს. მიწის წაღება არ მეწვოდა იმდენად, უფრო დედაჩემის უბადრუკობისა და ხახეზე ჩამოფარებული იაზმისა მრცხვენოდა. ქეთომ მოპარხულ თავზე თავისი ბამბასავით რბილი და თეთრი ხელი მომისვა, მერე ნიკაპზეც ამომკრა ხელი, თან ყველას გასაგონად თქვა: — შუქრი მომავალ წელს სკოლაში წამოვა! — თბილმა ერუანტელმა დამიარა მთელ სხეულში. სიხარულით ზეცას ვეწიე, ქეთო მასწავლებელი ისევ შემიყვარდა... აბა, რას ვერჩი. მამაჩემის მიწა მაგას ხომ არ წაუღია.

„მომავალი წელი" როდის იქნება? კიდევ ერთი ზამთარი, კიდევ ერთი გაზაფხული და მერე? ოჰ, როდის გავა ამხელა დრო? კარგი, მოვითმენ, მამას დავუჯერებ, დედას დავუჯერებ, მურთაზასაც დავუჯერებ. დები? კაი ახლა, დებმა მე დამიჯერონ, მეც ხომ ხახლში ერთი კაცი ვარ?

თვალები ჩუმ-ჩუმად მაინც დედაჩემისაკენ გამირბოდა, ის ყველაზე უთქმელი, ნაღვლიანი, გულდაბეგვილი და ჯავრიანი იყო.

მამაჩემი მიყვარდა, მაგრამ დედაჩემი უფრო მიყვარდა, ის უფრო მეცოდებოდა, მეგონა, მისი ტკივილი და წუხილი ჩემი საკუთარი იყო. მე მისი სიცოცხლის ერთი განუყოფელი ნაწილი ვიყავი ალბათ, იქნებ ჩემი სიცოცხლე ჯერ კიდევ მთლიანად გამოყოფილ-გამოცალკავებული არც იყო დედაჩემის სხეულისაგან, სულისაგან, სიცოცხლისაგან. ამისთანა აზრებს და დასკვნებს ახლა, რა თქმა უნდა, დღეს ვაკეთებ. თორემ მაშინ რას მივხვდებოდი, თუ რატომ მეწვოდა სხეული, გული და რატომ მეტირებოდა, როცა ჩემი ნენეს საცოდაობას შევხედავდი. შორიახლო მიმოდიოდა აშფოთებით. მამაჩემს უყურებდა, მურთაზას, იმ კაცებსაც გადაავლებდა იაზმაში ჩაძირულ თავის ალმოდებულ თვალებს. მიწა მისთვის ჭადი, რძე, ხიტყვა და ხუნთქვაც იყო, მარჩენალი იყო. იტანჯებოდა, ბორგავდა, თითებს იმტვრევდა. მგონი, მის ტანჯვას მე უფრო ვგრძნობდი.

ბოლოს, მოხულებმა ნასვლა დააპირეს, უცებ დედამ ვეღარ მოითმინა, წინ გადაუდგა, პირზე მოხვეული იაზმა შეიძრო და აკანკალებულმა ამოთქვა:

— ამფერი მიწაა... კოხი, ჭლე. გვერდი, ცარა, ტალაგანი მიწა და... [illegible]

— მე, მე დედა ვარ, ამ მიწის დედაც ვარ მე. ჰო. მე ვარ დედა ამ მიწისა. ეს მიწა ჩემი მოვლილ-გამოზრდილია, ჩემი შვილია. ამ მიწას მე თქვენ ვერ გაგატან, ვერა! მიწა-მეთქი, გებნევი, მიწას ვერ გაგატან, მიწას ვერვინ წეიღებს, ჩემ მიწას. ჩემი ცრემლია და სისხლია ჩათესილი იცით? ვერვინ გეიხარებს იმაზე, იმ ჩემს მიწაზე!

ნიკოს მეტად შევატყვე შეწუხება. მამაჩემს შეხედა ნიკომ, რამე მოგვეხმარე, გაიჩუმე ეს დედაკაცო, მაგრამ მამა ენას ვერ იღებდა. არ ელოდა დედაჩემისაგან ასეთ ამბავს. ქეთოს თვალზე ცრემლი მოწოლოდა, ალბათ, შეშინებოდა, ქალი ხომ არ შეიშალაო.

— აბა, ეგერ, გაღმა ისმეთაია ბელაძე და არ შედის კოლექტივში და თლათ მიწები თავისა დეიტია, რაფრათაა ეს!? — მამაჩემს მიადგა. — შენ გინდა ყოლისფერს წინწინ მიეგებო და წაიკლა თავი. რა ჯანდაბამ შეგათრია კოლექტივში. გეცალა პაწაი, გეცალა პაწაი?!

ის ყვიროდა, თავმჯდომარე და მისი ხალხი კი დაიძრნენ. ნენეი, ხარამოცვენილ ღია ყეროსქვეშ გაძვრა და მგლოვიარესავით მდუმარე, ჩავიდა თავის ყანაში. დაიხარა, გოროხი აიღო, უყურა, უყურა, მერე ალერსით მიმოფშვნა ხელებში მიწა, იქვე ახალაბიბინებულ სიმინდებზე მიმოაბნია. დაიხარა, წელანდელი ჩექმის ნაკვალევები ხელითვე ნაზად წააფარა.

მამაჩემმა ჩვენს დახამშვიდებლად თქვა:

— ჭალმა რა იცის, რა ხდება დუნიაზე. ისმეთაი ბელაძეო რომ იძახის, ისმეთაი გაიკულაკეს, ბოდა, ხვალ ნახეთ. რას დამართვენენ. ამ გაღლეტილ მიწებს ოხრად დაატიებინებენ. რაი, ახლა მე სტალინს მეკერეევი თუ? ან ჭემალაი მიერევა სტალინს თუ? გინდა ის ნიკოი რომაა, რაიკომელი, იგი მიერევა სტალინს? ვერვინ! მე რანდა ვუქნა აქედან ერთმა ღირდველა ფუხარამ. ჯერ ბად ხართ, სტალინი? მაგი იქს საქნელს...

ყანაში გადავიხედე. დედაჩემი თავმჯდომარის მიერ ჩასობილ ჯოხამდე ჩასულიყო. იქ შეჩერებულიყო. იმ ჯოხის ქვემოთ ფეხი აღარ გადაუბიჯებია. ჩაჯდა იქვე და თავჩაქინდრული ჩაეცქერდა დედამიწას.

* **

გაზაფხულის თეთრი ნისლებით თავშეჭყეული დღეები ლეჩაქიან სოფლელ ქალებივით მიდიოდნენ და მთების გადაღმა იკარგებოდნენ. იმ დღეს ნისლებს წვიმაც თან მოყვა. შუადღე შეღამებულივით ბინდიანი იყო. ყველანი შინ ვიყავით.

ეზოდან ვიღაცამ დაიძახა. პირველი გარეთ მე გავვარდი. ნალიასთან უცნობი, აღმა აწკეტილულვაშიანი კაცი იდგა.

— ბადაა, ჭო, შენი ბაბაი?! — მკითხა უცნობმა. პასუხის მაგიერ რატომღაც უკან, ბუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიან ოთახისაკენ გავიქეცი. მურთაზაი დერეფანში იმ თავის ფილთას უხიტინებდა. თავი არ აუღია, ისე გასძახა:

— მობრძანდი. სტუმარი გამჩენელი ღმერთისაა. მობრძანდი!

დედაჩემი, ზიკრი და ფადიმე, ეზოსკენ რომ ოთახია. იქ შეკუკულიყვნენ და ჭუკრუტანიდან ამოწმებდნენ, ვინ მოვიდაო.

— მაი იმისი ბაბაია. ეტყობა, ხვვას ელჩობა არ ენდო, თვითონ მოვიდა. — ჩაიჩურჩულა ნენემ. ზიკრი ისევ ისე კედელზე თავმიკირებული ეზოში იცქირებოდა, არაფერს ამბობდა. შუამავალს ჩვენში ელჩსაც ეძახიან. როგორც მერე, გვიან გავიგე, ქალებმა წინასწარ იცოდნენ, რომ ზიკრის შერთვას ვიღაც ზენდიდელი მაღლაძის ბიკი აპირებდა. იმ ბიკის მამა, დიდულვაშა, ისკენდერ ზენდიდელი იყო იმ დღეს ჩვენს ეზოში მოსული.

ფადიმემ ჩაიკიკინა, ერთი ის ბიკი დაგვენახა, თვარა ულვაშწკენტილი რათ გვინდაო.

— ამნაირ კაცს გონჯი ბიკი ეყოლება თუ? — შეკადუკვე. უფრო ზიკრის გასაგონად თქვა ნენემ. და გოგოებს ისევ ბუხრიანში შეუძღვა. ზიკრი, ვამჩნევდი, აჩქარებით აფეხურებდა თვალებს და პირზე ოდნავ წამოყირმიზებული, რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო. ხუმრობა საქმე არ გახლდათ. მისი ბედისწერა უნდა გადაწყვეტილიყო. უნდა დაენიშნათ.

ზენდიდელი ულვაშწკენტილი სტუმარი მამამამ შინ შემოიპატიჟა და სეკვეზე დაგებულ ნოხზე დიდი პატივით დაბრძანა.

მეზობელ ოთახში დიდი ფაციფუცობა გაჩაღდა. ზიკრი ვერ ისვენებდა. ნენი, ნევ, რაცხა საჭმელი მოვაფეროთ, თვარა ისეთი ქიბარი კაცია თურმე, დიდხანს არ მოიცდის. ჰოდა, სირცხვილი იქნებაო, ეუბნებოდა დედას.

— მოვაფეროთ, მარა რით, რით მოვაფეროთ. — აწუხდა ნენეი. — რა გაქ, ორი კვერცხმადებალაი დედალი მყავს. მაგას ხელს ვერ წავაკარებ. — კო, მართლა, მოცვის ეკვერის ჩაი გვაქვან. — შეებრალა მაინც ზიკრი და მოლბა დედაჩემი. — მუუდეღოთ ჩაი. შექერიცაა ორი ნატეხი, მიდი, ჩამოარტაი ჭალიქვა და ჩამოტიხე.

— გოვ! — დაიძახა ამ დროს მამაჩემმა მეზობელი ოთახიდან. ისეთი ხმით დაიძახა, ყველამ ყური ცქვიტა. ზიკრი იმწამსვე წამოიჭრა და გაქანდა, მაგრამ დედაჩემმა შეაჩერა, შენ არ გამოჩნდე ხიახლოვესო. დედა კართან მივიდა, პირაბვეული იყო. მამამ გამოსძახა, წყალი გვახვითო.

ცივი წყლით სავსე თუნგი და მაშრაფა მე გამატანეს. პირველად სტუმარს მივაწოდე. ზენდიდელმა ულვაშზე ხელი აისვა და ისედაც აბზეკილი ულვაში უფრო აბზიკა. ულვაშის ბოლოები თითქმის თვალებამდე აღწევდა. კინაღამ სიცილი წამსკდა. კარგი, ოვის შეკავება მოვახერხე, თორემ მამაჩემი რას თქვამდა, ეგერ[illegible] იცის.

— ეს შენი სიბერის ხაჩუქარია, კო? — უთხრა ჩემზე მამას და სტუმარმა ხელი მომითათუნა ზურგზე.

ბაბამ დასტურად ჩაიხითხითა.

— აბა, სიბერეში რაცხა მოფერდა და... — ახლა ორივემ ერთად ხმამაღლა გადაიბარხარა. მე ვითომ ვერაფერს მივხვდი. თუნგი იქვე დავდგი, მაშრაფა თავზე დავახურე და დავიწყე კუთხე-კუთხე ძუნძული.

ფეხს ვითრევდი. იქნება რაიმე ხაინტერესოს მოვკრა ყური და იქით ქალებს გადავცე-მეთქი. ვიცოდი, რომ უფროსები ზიკრის გათხოვებაზე ლაპარაკობდნენ. ისიც ვიცოდი, ჩვენი ხიძე, აი, ამ ულვაშაბზეკილი კაცის შვილი უნდა ყოფილიყო. ზენდიდელს სახეზე ახლოდან რომ შევხედე, გული გამითბა. მომეწონა. მივენდე, მისგან სიკეთის სინათლე მომეთბუნა ვითომ და გულში ჩემი წილი ზიკრი გავიმეტე.

ის ამბობდა, ჩემს ბიკს გურჯას შენი გოგო დაუნახია, ჩვენ ვიცნობთ შენი ოჯახის ნამუსიანობასო. ჩემი დისშვილი ამ სოფელშია გამოთხოვილი. ბელაძეებთან, და იქ დაუნახავს გურჯას შენი ციცაიო.

— ბაღანკაცია ჩემი ბიკი, მარა მეტი არ მყავს. დასახლება მეჩქარება და მეხალისება. ქალებს პაწ-პაწაი უთქვამენ რაცხა, მარა საქმე შენს იქით, ჩემო ალიავ, არ წავა.

— ქალებს? ვინ ქალებს? — შეიშმუშნა ბაბაი, თანაც, მგონი, ოდნავ გაჯავრდა.

— არა, — წააფარცხა ხაჩქაროდ ისკენდერ ზენდიდელმა, — თქვენებს არა, ალი, ეს ჩვენ ქალებზე ვთქვი. მე ახლა აქ მოსვლას ხვვას ვერ ვანდობდი... რათ გვინდა ჩვენ აქ ხვვისი ელჩობა? შვილების საქმეს ჩვენ შევხედოთ თვითონ, არ კობს? — მამამ თავი ჩაღუნა, არაფერი უპასუხა.

ისკენდერმა თვალი მოატარა ოთახში. იქით, კედლის ძირას მიგდებული ყავრისაგან გამოჩორტნილი ჩემი ჩონგური შენიშნა. უხერხული სიმყუდროვე რომ გაენელებია და რაღაცით შეევხო, წამოდგა, იმ ჩემს ყავრის ჩონგურს მიწვდა, აიღო, საქმიანად შეათვალიერა, თითიც ჩამოუსვა და მე მომიბრუნდა:

— ჩანგური გიყვარს, კო? მე შენ ნამდვილ ჩანგურინა ამოგიტანო. ისტავლე დაკრა-დამღერება და გაგვაძღე სიმღერით.

იმ ნათქვამის მთავარი მუღამი ის იყო, რომ მამაჩემისთვის მიეხვედრებინა, — შენს ბიკს ჩანგურს თუ ამოვუტან, იმიტომ, რომ აქ ამოსვლის პირი მექნება, ხოლო „გაგვაძღე სიმღერით" იმიტომ ვუთხარი, რომ მე აქ ერთხელ კი არა, მრავალჯერ ამოვალ, რადგანაც ეჭვიც არ მეპარება, ჩვენ ნამდვილი მოყვრები გავხდებით.

ისკენდერისთანა ლამაზი და ხაყვარელი კაცი ქვეყნიერებაზე აღარავინ მეგულებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიკო, — მიკვირდა ჩემ დან, — იცი, რა კარი ბიჭი ყოლია მაგ კაცს? შენ დიგინახა თუ-რმე და შენ მოეწონე თურმე და ახლა შენი წა-ყვანა უნდა თურმე... წაყევი, ბიკრი, კარი? წა-ყევი გურჯან, რომ ისკენდერ ბიძიამ ჩანგური ბალე ამოშიტანოს...

ხაქმე მართლაც გაკეთდა. ერთმანეთის დანა-ხვა რათ ესნდაო, წეიყვანს და შეუყვარდებაო, თქვა ბაბამ.

ქორწილიც იმავე შემოდგომაზე დანიშნეს. ზიკრიმ მთელი ზაფხული წინდები ქსოვა ხაჩუ-ქოებად. ქვრის ოჯახში თავისი ხაკუთარი ხე-ლით ნაქსოვ-ნაკეთ-ნაქარგი ნივთები უნდა მი-იტანოს. ზიკრის დედაჩემი ან ფალიმეც კი ხან-დახან წაეიმარებოდნენ, მაგრამ ეს წახმარება არ მოსწონდა. მე მარტო ხაკუთარი გაკეთებუ-ლით უნდა შევიდე ზენდიდელის ოჯახშიო.

წაყვანის ქორწილი მოკლე და მუუდრო გა-მოდგა. ხახიძო ჯერ დანიშნულთან ვერ მოდი-ოდა. ქორწილზე ბიკის მაუარს გურჯა არ მო-მყოლია. უკელაფერი ძველებურად. რელიგიუ-ი ხელფეხშეკრულობით ჩაატარეს. შეღამებუ-ლზე ზიკრი, პირგამოკეთებული, ფერწასმული და ჩაცხულ-გამოწყობილი, ხახლიდან გარეთ გა-იყვანეს. ეზოში დედაჩემს მოეხვია და პაწა-პაწა ცრემლებიც გადმოღვარა.

მე კი ხული მიკანწკანწებდა, ყველა რაც შეი-ძლება მალე გაკრეფილიყო ეზო-კარიდან, რომ მურთაზისთვის ხაჩუქრად მოტანილ ზენდიდე-ლი ისკენდერას ჩონგურს მივჯდომოდი. ძველ ფეშტამალში გამობვეული ჩანგური დედაჩემის ხკივრის თავზე იდო.

როცა ჩანგური მუხლებზე დავიდე, ქვეყანა ჩემი მეგონა თითქოს. სიმი არ აკლდა. ოქროს-ფერი გაბანთლული აბრეშუმის ძაფები კოხტად გაეკიმათ და ჯორაც ქვეშიდან გაერჩოთ.

ჯორა ფაკიზად გამოვაძვრე, ფეხზე შევაყენე და ზემოთ ოთხ ამოკბილულში, ოთხი ძაფი თან-მიყოლებით ჩავაწყვე. მომართვა-აწყობა ჯერ რა ვიცოდი, მაგრამ ჩანგური თითქოს თვითონ მკარხახობდა თავისი ხმების საიდუმლოებათა ამობსნის წესრიგს. ახე თანდათან ვიგრძენი, რომ თითოეულ სიმს, გაკიმეა-მოშვებით, ჩემს ნებაზე ხახურველ ხმას გავაღებინებდი. ჯერ ცალ-ცალკე, თითო-თითოდ, ძაფი-ლარი შევაჩ-ვიე, გავიგე, დავიმორჩილე, მერე სინჯვა გავუ-ბედე იმახაც, თუ როგორ, რანაირად მოვახერ-ხებადი, როგორ შეიძლებოდა ცალკეული სიმის ეღერადობის შეწყობა-შეთანხმება.

ბიყვარდა ჩვენებური სიმღერა. ბაღნები ხან-დახაი სიმღერებში უფროხებს ვბაძავდით. გე-მრიელია ჩვენებური სიმღერა, რომელიც, რო-გორც სინათლის ნიაღვარი, როგორც მაინის -ყვავებულ ბევხუკებიდან წამოქროლილი ხურ-ნელოვანი ნიავქარი, დაიძრება ეოველი მიმარ-თულებით, გადაეკვლება ჯაგნარ-ბუჩქნარებს, ბებერ წიფლნარებს, ღარდა-ფლატეებს, კლდე-ღრეებს, ამოავსებს ღელე-ღურდეებს, მთლიან მთას მიეხეთქება. ადულებ[illegible] ჩარე ეკოებად გადაგრეხილ-გადაკეხილი. [illegible] კვლავ უკან გვიბრუნდებოდა და რაღაცნაირი ამამაღლებელი ხიდიადით თუ ნეტარების გრძნობით, თვითეულს უსაზღვროდ გვამდიდ-რებდა. გულთა და მთათა მაყრობელი იყო მკუ-ხარება ჩვენებური ნადურიხა.

მაშინ მეგონა, გავიზრდები, ნადურებიც ჩემ-თან ერთად უფრო გაიზრდებიან და ვიცოცხ-ლებთ, ვიგრიალებთ ერთად-მეთქი.

მაგრამ ცხოვრება ახალმა პროგრესულმა, ხო-ციალურმა თუ ეველახაირმა განვითარებამ ისე „გაკულტურულა", რომ ნადურ სიმღერას ახლ-ეანაში, ნადში კი არა, მუზეუმის ექსპონატი-ვით, მხოლოდ რომელიმე გუნდში იხმიღე-ამ გუნდ-ანსამბლებში კი ჩვენს ნადურს უკვე ჩამორეცხია. ჩამოცვეთია ბუნებრივ-თავისთავა-დობის, მიწიერების ის სიმღერა და სიხათუთე, როგორც მას ჩვენი მთების, ჩვენებური ადამი-ანების ხასიათმა მიანიჭა.

დღეები გადიოდნენ, მე და ჩანგური თანდა-თან შევეთვისეთ და მივეწდეთ ერთმანეთს. და იგი, ისკენდერ ზენდიდელის მიერ ნაჩუქარი ჩანგური, ჩემი პირველი, უხაუკარლესი, უტკ-ბილესი სულიერი მეგობარი გახდა. იმდენად ავეწყვეთ და იმდენად შევეწყვეთ მე და ჩან-გური ერთიმეორეს, რომ ხანდახან, მამაჩემთან და სხვა შინაურებთანაც, ბუხრის წინ, ვბედა-ვდით ჩვენი ნაცოდვილარი, ჩვილ-ჩვილი სიმღე-რები, გაგვემხილა.

სოფელში თანატოლებთან ხათამაშოდ გაპა-რულს, მალე ჩანგური მომაგონდებოდა. ხელი არავინ მოკიდოს, არავინ წამართვას-მეთქი, ში-შით უკანვე მოვრბოდი. შევვარდებოდი ბუხ-რიანში, ჩანგურს მოვძებნიდი, ავიღებდი, შევა-თვალიერებდი, დარწმუნებული კი, რომ ყველა-ფერი ხალხალამათადაა, გულზე მივუხუტებდი.

მახხოვს, ზღვისპირელი ბებიაჩემი ბავშვებს გვეტყოდა, ვინც ძაღლაღორულად ცხოვრობს, იმას მაინცდამაინც არავინ ემტერება. მტერი ბედნიერს მეტი ყავსო. და აი, ბოლოს გამო-უჩნდა ჩემს ბედნიერებასაც მტერი.

ცეცხლაპარ ხშირად ჯდომით, ყოლის ხის თხელი ხფერო ჩანგურიხა გაიბზარა. ჩანგურხაც ხმა ჩაუტყდა, ჩაუწყდა. ვიტირე, ვიყვირე, ვი-ჩივლე, შველა ვითხოვე. კაი ხელის უსტა ისეკ მურთაზა მეგულებოდა. კიდეც წაავლო ხელი ჩემს ავადმყოფ ჩანგურს და ფრთხილად, აზი-ზად გაიტანა ნალიის ქვეშ. შეშის ნაპობებზე დაალაგა დანა, ცაცხვის თუ წიფლის ფიცრებზე ანახლეჩი თხელი ბწკალები, წებო და ნელ-ნე-ლა ხაქმეს შეუდგა.

ამ დროს, ხაიდან იყო ხაიდან არა, ეზოში მოლა ეედერი შემოვიდა. დავინახე და, რაღაცა გონჯი მენიშნა. ისე უცებ დაგვადგა თავზე, ვერც მოვასწარი მურთაზასთვის მეთქვა, ბოჯაა-მეთქი.

ჯერ მოგვეხალმა, შეგვაქო, ალალი ღიმილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაგვხედა. ოპოპოპო. რა ბიჭები ყოლიხართ ალიასო. ჩაიბუბუნა და ისევ ღიმილით გაიწია ჩვენი ჩანგურისკენ. მურთაზამ უმალვე გაუშვა ხელი და ჩანგური ყედირ ეფენდისთან აღმოჩნდა. მაგრამ ხოჯამ ჩანგურისთვის მარჯვენაც არ გაიმეტა. წვრილი სიმებგაჭიმული ტარით იგი მარცხენა ხელში ეჭირა და შორიდან, ირიბად, სიძულვილით უყურებდა.

— რაა გინდებიან თქვენ ეს ცოდვიანი: ალიას შვილებს. რაა გინდებიან ეს ცოდვიანი ღორის თავი. ეს რომ შინ შეიტანო, იქ. დიდი ცოდვა და უბედურება დატრიალდება. ბა ხედავთ? — ღორის თავი! რაა გინდებიან ეს თქვენ, ალიას შვილებს. აა?!

წვერები მეჩხერი და შავი ჰქონდა ხოჯას. ტუჩებთან რატომღაც ბალანი წენგოსფრად შეჭრეშებულ-შეუვითლებოდა.

— გამეიწი აქეთ, ჯო. — მიმართა მურთაზას. ჩემი ძმა გამოიწია. აი, მაშინ მაღლა აზიდული ჩემი ჩანგური დაპობილ შეშაზე დაახეთქდა, დაიფშვნა. დაცემისას ძაფებმა მწარედ შეიწივლეს, მწარედ ამოიკვნესეს, გაინაბნენ. დაწყნარდნენ.

ყედირ ეფენდის მარცხენა ხელი, როგორც წაბილწული, განზე გაშვერილი ჰქონდა. ვიდრე ზედ ღარის წყალი არ გადაივლო.

მამაჩემი შინ არ დახვდა. ის კი მამაჩემთან მოვიდა საქმეზე. ნეტა ყოფილიყო მაბანი შინ. სათქმელს ეტყოდა. იქნებ კიდეც გაწეულიყო. მამაჩემი ვერ იტანდა მოლას. მოლასაც თურმე ხშირად უთქვამს ჯამიკარს შეყრილ მორწმუნეებში. ალიაი სწორედ რამაზანს შეარჩევს და მაინცდამაინც მაშინ წვავ ოზურგეთში. ვიღაცვიღაცეებთან, დამალულად, ღვინოს წრუპავსო. იმის მაგიერ, რომ ჩვენს გვერდით თარავი იდოცოს, დაეთრევა იქ. გიაურებშიო.

დედის ძმა

ატირებულ-აცრემლებული ახორში ჩავედი, იქ დედაჩემი ფუნას ხვეტავდა.

— ხოჯის ნათქვამი დეიჯერე. ნაქმარს ნუ გაიკეთებ. შვილო. — ამ დარიგებაში ხეირიანი მაინცდამაინც ვერა ვნახე რა და გულგატეხილი, ნაწყენი, დაობლებულივით, ფუნით შელესილ კედელს ძივეეუდე. სანათურიდან ქვეით, კოლექტივის მიერ წაღებულ ჩვენს ყანებს გავხედე. გზაბაწარს კაცი მოუვებოდა აღმა, მბრგანიერი, ბუხრისკუდიანი, ბრგე და მარდად მოსიარული კაცი.

— ნეკ, ეს? — გამოეძახე დედას და სანათურში დაგავაჩედე.

— ხენეკ! ჩემი ძმა აბდი მოდის! ღმერთო გამჩენელო. შენი სახელის ჭირიმე! კაი ამბავი. ყოლიფერი კაი მომე, ღმერთო! სიხარულით ატაცებული ბარეთ გავარდა. ხელები ღარის წყალზე დაიბანა. დასვრილი ეუშტამალი შემოიძრო და კიბეზე მიაგდო. შინ შევიდა. ლეჩაკი გამოიცვალა. თვალები თითებით ამოიწმინდა. კვლავ ეზოში გამოსული, ხელგაშლილი [illegible] ვალ ძმას შეეგება.

ეს ალბათ ზაფხულის მიწურულს მოხდა, სექტემბერ-ოქტომბრის ზღვარზე. მახსოვს, იმ დღეს დედამ ხაშრებზე აკა-იქ შემორჩენილი შავშურა ლობიოს მწვანე პარკები გამოწყვიტა და უკანასკნელად იმ წელიწადში მოხარშა, რომ თავისი გაზრდილი საყვარელი ძმისთვის მიერთმია.

— ჩემი შუკრი რაფერ ამაღლებულა, რაფერ გაზრდილა! — მიპარტყუნა ზურგზე თავისი ლაფერივით ფართო ხელი და მისრისა და მისრისა ყურები. უცებ სახეზე დამაკვირდა, მოოღუშა. — რაი, ხომარ გაგლახა ვინმემ, ჯო?

— არა, ჩემი ჩანგური... — ვთქვი და ტირილი ამიტყდა. დედაჩემს შეხედა გაკვირვებით.

— ყედირ ეფენდიმ აართვა, — ცოდვაოო... ჩანგური ღორის თავიაო და... — უპასუხა დედამ დამწუხრებით.

— აბდი ტაიავ, ერთი ჩანგური არავის ექნება?

— კი, კი. ვნახონა ჩანგური და მოგიტანონა, შუკრავ. ჰო, მაგის უნახავს არ ვიქ. ახლა მალე ბათუმ მივალ და აუცილებლად ამოგიტან ჩანგურს. მეიხოცე ახლა კურცხლები. ვაუკაცი ხარ ახლა შენ. არ შემარცხვინო, ჯო!

აბდი ტაიას შერცხვენა მართლაც სირცხვილი იყო ჩემთვის. ძალიან შემიყვარდა აბდი ტაიაი.

დავმუწე პირი, დავაჭირე კბილი კბილზე, დავაძალე თავს, რომ აღარ მეტირა. კიდეც შევძელი ეს. აბდი ტაიას ხათრით ვქენი ეს. ვიყუჩე. ჩავიბრუნე სული. მაინც რაღა მენაღვლებოდა. აბდი ხომ დამპირდა, ჩანგურს ბათუმიდან აუცილებლად ამოგიტანო. აბდი ბიძიაი სხვა კაცია. არ მეიტყუვილებს. იმან თქვა, გათავდა. აღსრულდება. მადლიანია ჩემი აბდიო, იტყოდა დედაჩემი. კიდევ იმას იტყოდა, აბდი იმფრათ ხეირიანია. მაგის შექნეულ ქვას რომ თავი შეუშვირო. არ გატეხსო.

დედაჩემს კიდევ უავდა ძმები. უფროსები, სხვანაირები, დიდოჯახიანები, ცალკე დიდი ხნის გამოყოფილები, თავიანთი სახლკარებით, თავიანთი ყანა-ბაღჩებით, თავიანთი მთა-ბარებით, საქონლით, საზრუნავ-საადარდებლებით და თავიანთი ანგარიშებით. იმათ აღარავისთვის აღარ ეცალათ. ჩვენთან, ეხე იგი, აიშესთან, თითქმის სრულებით არ მოდიოდნენ. მე იმათ თითქმის სრულებით არ ვიცნობდი. დედა იტყოდა, იმათ იმდენ-იმდენი ბაღვები ყავან. ჩემთვინ აღარ ცალიათო.

კაკლების მორეკვისას ჩადიოდა დედაჩემი ძმებთან. მამაჩემის დატოვებულ კაკლებისაგან მეც ჩემი წილი მეკუთვნისო და ამოხვეტავდა თავისი ძმების, მამუდისა და ილიასის ბაღლის ხაროებიდან, როგორც თავად იტყოდა, თითო კალთა ნიგოზს, ჩაჩბრიალებდა მამაჩემის საკისურგაკერილ ძველ პერანგში. გაუკოკავდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს, მოიხუტებდა გვერდიდან ფერდზე და გა-
მოუყვებოდა გზას სოფელ დუბისაკენ. რა თქმა
უნდა, ფეხით.

აბდის, როგორც უმცროსს, ძველი კერა, —
მამის სახლკარი და ეზო-მიდამო დარჩა, მაგრამ
კაკლისხეები იმ ძველ სახლთან ახლოს, იღბა-
ლზე, სრულებით არ იყო. ბაბუაჩემს, დედაჩე-
მის მამას, ეტყობა კაკლის ხეები სახლიდან მო-
შორებულზე, ქვაღორღიან და წყლიან ალაგებ-
ში მოუშენებია. ასეთი ალაგები უყვარს ნიგვ-
ზის ხესო. უიღბლოა აბდიო, იჩივლებდა დე-
და. ერთი ხრენგი, ძველი სახლი დარჩა, ისიც
გამოცარიელებული, დამპალ ყავარში წვიმა ჩა-
დის. გადასახური არაა, ფარა არაა, გასაყიდი
არაა. მარტო თუთუნი, მარტო ის წყეული, მწა-
რე თუთუნის იმედით ფიქრობს ჩემი ძმა რაც-
ხაები მოითადარიგოს და ქალი მეიყვანოსო. ერ-
თი მაგის ქალი. მაგის დაოჯახება მომეხტრე-
ბოდეს და ისე მოვკვდებოდეო, თავისთვის. და-
რდიანად ჩაიჩურჩულებდა ნენეი.

იმ დღეს აბდი ბიძიას ამოსვლა რაღაცა ცუ-
დად მენიშნა. ვერ იყო წინანდელ ხასიათზე.
შეწუხებული და ერთგვარად გულაპუწკული
იყო. დასთან ცალკე, საჩუმათო სალაპარაკო
ჰქონდა, მაგრამ მურთაზი და ფადიმე არ ცილ-
დებოდნენ. ჩემი ყოფნა იმდენად არაფერს ნიშ-
ნავდა, — მე მაინც ვერ მივხდებოდი ყველა-
ფერს. მამა კი წიხქვილში იყო წასული.

შავშურაი ლობიო მოიხარშა, შეიკმაზა, ჭადი
კი ვერ გამოაცხო ნენემ, ფქვილი ვერა და ვერ
ამოიტანა მამაჩემმა. ნენე თან აბდის ემუსაი-
ფებოდა, თან ეზოსკენ იყურებოდა, იქნება გა-
მოჩნდეს კაცი ფქვილითო.

მურთაზას უთხრა, გაეგებე მამაშენს, რა
ჭირს, რა დაემართა. ფქვილი მაინც მომირბე-
ნიეო. მურთაზაი გაიქცა, მეც წავყევი,. რო-
გორც კი დამინახა მივდევდი, გაჯავრდა, მიყ-
ვირა, რას მეწებები ხოზიკასავითო, მობრუნ-
და და უკან წამოვიდა. წაი აბა შენ და მეიტაი
ფქვილიო. მერე რაი,წავალ -მეთქი. წავედი,
არც მოვბრუნდი და არაფერი. წავედი. ფეხ-
შიშველა მივრბოდი. ისე მიყვარდა ის გზა,
სახლიდან სოფლის დოლაბა-წისქვილამდე,
ისე მიყვარდა და ისე მიჩვეული იყვნენ ჩემი
ფეხები იმ გზაზე ტაშატუშს, იმდენჯერ იყვნენ
იმ გზის ამოშვერილ ფარეხებზე დაგლილები,
იმდენჯერ იმ გზის ჯვეტებზე წამონაკრავ-წა-
მონაწყვეტები, იმდენჯერ დასისხლიანებულან
ჩემი ფეხები იმ გზაზე, რომ უმიზნოდ მაინც
ვერ ისვენებენ. ჩაცმული ფეხი იშვიათად და-
მიბიჯებია, მაგრამ ჩაცმულით ხომ ისე კარ-
გად ვერც ვიგრძნობდი გზას. უცბათ წისქვი-
ლთან აღმოვჩნდი. ზემოთ, ღურნის თავზე მა-
მაჩემი ლაფერს იღებდა, ღურნეში წყალს უშ-
ვებდა ბორბლის ასაბრუნებლად, აუშვა, აბ-
რუნდა, ახმაურდა წისქვილი. მამამ დაკიბუ-
ლი ბილიკი ჩამოირბინა, წისქვილში შევიდა,
მომართა, რომ ფქვილი რიგიანი დაფქვეს.
ლიყო.

ქვის ბორბალი უხვად ყრიდა ფქვილს; მა-
მამ ხელის გული შეუშვირა. ცოტა რომ მო-
იყარა, ფქვილი თითებით მოსრისა, მოეწონა,
უკანვე ჩაყარა და მობრუნდა. კარზე მე მივ-
დგომოდი. არ გამჯავრებია, მაგრამ არც მომ-
ფერებია. გაბრაზებული მეჩვენა. როცა გაბ-
რაზებული იყო, რაიმეს კითხვა მეშინოდა.
მთლად გადაირეოდა, იმხელას დაიყვირებდა,
ტანში დაგზარავდა. ისე კი ვატყობდი, ვერ
იყო კაი ხასიათზე. მეც ბოლმა შემომაწვა.
გულში ვფიქრობდი, — ეჰ, მაცოდინა ახლა,
ვინ გამიჯავრა ბაბაი და იმას ვაჩვენებ სეირს-
მეთქი.

— ფქვილზე გამოგაგზავნა? — მკახედ მკი-
თხა.

— აბდი ტაია გვესტუმრა და... — შევბედე.

უცებ გამოიამინდა თითქოს, ერთობ შეიც-
ვალა.

— აბდი? რამ ამეიყვანა ასე უდროო დროს
აბდი? — სიმინდით სავსე ვიღაცის ტომარა
წიხლით მიახოხა კუთხეში. აიღო ძირს დავარ-
დნილი ბოქლომი და ქვეით მოისროლა. — ეგ
წამხდარი, ეგა! — მიაყოლა თან, ვერ მივხვდი,
ვისზე ამბობდა „წამხდარს", მაგრამ ვიღაცაზე
გამორჩეულად რომ ამბობდა, ამას ნაღდად
ვგრძნობდი. მიხურა კარი და წინ გამიშვა,
ცოტა ხანში მოვბრუნდეთ,—სამკადე გამოფქული
იქნებაო. ამ დროს წინ ქვედაური ხასია შემო-
გვეფეთა. მოკლე ხასიას ეძახდნენ სოფელში.
მეც ვიცოდი, მართლა მოკლე იყო, რაღაცნაი-
რი დაჭმუჭნილი, დამრგვალებული გეგონებო-
და. წაი შენო, მითხრა ბაბამ, და იმ მოკლე ხა-
სიას წინ აღუდგა. შეაჩერა, სიტყვა არ უთხ-
რა, ხელი შეავლო ჩია გულმკერდზე, მომუჭა
მთელი მისი სამოსი ერთად, და ეს კაცუნა
მაღლა ააპორწიალა.

— შენ უნამუსო ვირიშვილო, რაფერ გი-
მიბედე და ჩემი სიმინდი რაფერ ამომიყარე
ხვიმირიდან, ა!? — და ისროლა ის კაცუნა
იქით, საითაც წელან წისქვილის კარზე ჩამო-
გლეჯილი ბოქლომი გადაეგდო. — რაფრათ
გაბედე ჩემ ზიარ წისქვილზე შენი გაჭეჭყილი
ბოყვის დადება, ა!? — მოკლე ხასია ძლივს
გამოძვრა ბუძგნარიდან. ბარდის ეკლიანი ღე
რწები სხეულიდან გაჭირვებით მოიცილა და
ფეხზე წამოდგა. სულ კანკალებდა და მომ-
ლილ, დაკონკილ ყაბალახს თავზე იხვევდა
ხელმეორედ.

მიიხედ-მოიხედა, სიახლოვეს ვერავინ დაი-
ნახა და ამნაირი სირცხვილის ატანა მგონი
ამიტომ ეადვილა.

მოკლე ხასიამ ენა ჩაიგდო მუცელში და
კუდამოძუებული, გალახულ ძალლივით, თავ-
დაღმა ძუნძულით დაეშვა. თან რაღაცებს
იმუკრეტოდა, მაგრამ სიტყვა გამორჩეულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამიგონია. როცა კარგად გაგვშორდა და თავი სამშვიდობოზე დაიგულა, იქიდან კი შემოუძახა ბებას, არ შეგარჩენო. ისევმც თავი ჰკარი... ჩოჩიასო, უპასუხა მამაჩემმა.

ახლა, მურთაზი ხის კოდით მოგვეგება. დედას იგი ისევ ფქვილზე გამოეგზავნა. მამა ცოტა ხნით ჩამოჯდა გზისპირას აბიბინებულ სამყურას ბალახზე. მერე ისევ წისქვილში შებრუნდა. ფქვილი ბედაურად მოყრილიყო. ლაფერით მიმოხვეტა, ცოცხითაც მოგავა დ. კოდში ჩაყარა, კოდი მურთაზას მისცა და ორივეს გვითხრა:

— ჰაით, წაით. მემრე მუვალ მე...

ჰადი რომ უკვე გამოცხვა და კეცზე ცეცხლი ასაყრელი შეიქნა, სწორედ მაშინ დაბრუნდა მამაჩემი. მანამდე კი, რაც მოხდა, შინ მოვყევი ყველაფერი. დედაჩემი აწუწუნდა. მოკლე ხასიათი უძახე შენ, ტყვიას ერთი თითის გამოწევა უნდაო. სტორეთ მაგნაირებისნა გეშინოდესო. ეს რა უქნია ბერს, — დუშმანი გუჩენიაო. მაგრამ, როგორც კი მომავალი მამა დაინახა, იყუჩა.

ნავახშმევს უმცროსები ლოგინებში შევძვერით. ცეცხლაპირ კი მამაჩემის, დედაჩემისა და აბდის საუბარი კიდევ კაიხანს გაგრძელდა.

ისე მოულოდნელად და, მამაჩემის თქმით, უდროო დროს, აბდი თურმე გაჭირვებამ ამოიყვანა ჩვენთან. ქედაში, — რაიცენტრში, ჩავლისას მილიციელები გადაუდგნენ, გაჩხრიკეს და ბათუმში გასაყიდად წაღებული ღაჭრილი თუთუნი მთლიანად ჩამოართვეს. თუთუნი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს, კერძოდ მისი გაყიდვა აკრძალულიაო. ჩამოართვეს კი არა, თურმე, თავადაც დააკავეს, მთელი კვირა ბაღლინჯოებით გამოტენილ და ადამიანის ყოველგვარი გამონაყოფით ამყრალებულ ვიწრო დილეგში გამოამწყვდიეს. ცემეს, აწამეს, თანაც, შენ თურქეთში გადაპარვას აპირებდიო, დაბრალეს და სამუდამო გადასახლებით, ესე იგი, „იატაფით" ციმბირში გაგზავნას დაპირდნენ. გულგახეთქილი და გაუბედურებული, მთელი დღეების განმავლობაში სიმწრისაგან ვბღაოდიო, იჩივლა აბდიმ.

ის, ახორისნაირი, ერთოთახიანი დილეგი პატიმრებით ისე ყოფილა გამობეჭსნილი, კაცს ძირს ჩაჯდომაც არ შეეძლო, მაგრამ ერთ დილას, გაულიათ კარი, მიუყენებიათ დაბურული სატვირთო ავტომობილი და ყველანი, გარდა აბდისა, მანქანაში შეუყრიათ. კარი მანქანისა რომ მიკეტეს, ზედ „პური" ეწერაო, ყვებოდა აბდი ტაია. გადასარევი ის იყო, რომ პატიმრები წაუყვანიათ, ხოლო ციხის კარი გაღებული დაუტოვებიათ. ვიდექი შიგა და ველოდი, როდის მოხურავდნენ და ჩაკეტავდნენ კარს. ვიდექი, ვიდექი, ვიდექი. ისე დაღამდა, აღარავინ მოსულაო. მაღლა, ხადღაც მორიგე მილიციელები ხმაურობდნენ. ფეხის შორეული რაკარუკიც ისმოდა ხანდახან. მაგრამ ტიმარი და ციხე, რატომღაც ყველას დავიწყდა.

არც კაი, არც გონჯი აღარავინ მითხრა. ერთი ფიქრი ვიფიქრე, თავად მივხურავ ციხის კარსა და ჩავიკეტავ, მაგრამ ამისაც შემეშინდა. იქნება სწორედ ამის გამო კიდევ უარესად მომხვდესო, — ყვებოდა აბდი.

ღამე კოწახურივით გაშავდა. მოაცივა. მილიციის ძაღლები ღრენითა და თამაშით, კარისწინ ჩაივლიდნენ, შიგ აყუდებულ პატიმარს შეხედავდნენ, გზას გააგრძელებდნენ. მერე ის ძაღლებიც გაქრნენ. აღარს სხვაგნიდან ჭაჭანება აღარ ისმოდა. შუაღამე გადავიდა, გამთენია ახლოვდებოდა. გაღებულ ციხეში პატიმრის ყოფნა უმეთვალყუროდ? სანამდე? ანდა, რას ნიშნავს ეს? ხომ არ ცდიან? რამე ჩაწყობილი ხომ არაა? წასვლა გაქცევას ნიშნავს, გაქცევა კი, ჩვეულებრივად, რით მთავრდება ყველამ იცოდა. რა თქმა უნდა, — აბდიმაც. მთელი ღამე მდინარე აჭარისწყალი გულისწამღებად ჩხრიალებდა. გამთენიას კი, როგორც იტყვიან, ხანდახან წყალიც კი იძინებსო, სწორედ ასეთი წუთებიც დადგა, — თითქოს მდინარის ხმაც მიწყდა, დედამიწა გაინაბა, გული ძალუმად აბაგუნდა. ისე უცემდა გული აბდის, მთელ სხეულს უზანზარებდა თითქოს იქ, გაღმა, წაბლნარიანი გორები ცისკრის სიმრეშეში უკვე ილვიძებდნენ. აბდის აღარ ახსოვდა, როგორ გადააბიჯა ზღურბლად გადებულ მორს ფეხი, როგორ გაიარა ნაფოტებიანი რაღაც საზიზღარი სითხით ატალახებული ვიწრო ეზო, როგორ გადახტა კაცისსიმაღლე ღობეზე, როგორ ჩაიღწია მდინარისპირამდე და როგორ შეერია თრიმელის ბუჩქნარებს.

სულ ბუჩქნარ-ბუძგნარებში ირბინა აქუცის ჭოკამდე. იქ აძვრა ზემოთ, დაკიდულ ჭოკზე გაირბინა. მდინარის გაღმა, ტუე-ტუე, ალმა, მთის წვერისკენ შეუყვა, ერთხანს ეჩვენებოდა, თითქოს ვილაცა დაედევნა, ესმოდა ფეხისხმები, გასროლაც კი. ასეთ დროს ხის ძირას ჩაჯდებოდა, სულს ჩაიბრუნებდა, ამონარბენ თავდაღმართებს თვალს მოავლებდა. არავინ ჩანსო — გულს გაიმაგრებდა. საით მიდიოდა ჯერ თავადაც კარგად არ ჰქონდა წარმოდგენილი. ერთი კი ნაღდი იყო, — შინ, თავის სახლში დაბრუნება ყოვლად შეუძლებლად, საშიშად ეჩვენებოდა. ციხიდან გაქცეულს ხომ უწინარესად შინ მიადგებოდნენ? მეორენაირად, იმასაც ფიქრობდა, — რატომაა ეს გაქცევაო. ხომ არ გამიტეხია კარი, ხომ არ მომიკლავს ვინმე. გამიღეს, ღია დამიტოვეს, მიმატოვეს, მიმივიწყეს. წავიდოდი, აბა ხომ არ შეეხვეწებოდი, თქვენი ჭირიმეთ, მობრძანდით, როგორმე ციხის კარები ჩამიკეტეთ, რომ ვიჯდე დილეგში-მეთქი?

რა ვქნა ახლა, ვის მივადგე? ვინ მყავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისედაც. ამნაირ „იქიდან" წამოსულს ვინ შემიფარებს. ვინ გაიმწარებს წუთისოფელს? სოფელ აქუცას გვერდი აუარა. მთის წვერზე ააღწია. იქ. რცხილისა და წიფლის სიგრილეებში სულმოთქმულმა, მეტი თავისუფლებით. მეტი გაბედულებით შეიგრძნო საკუთარი სიცოცხლის გემო და აზრი.

რა საუვარელია, რა სუფთაა. რა ბედნიერია მშობელი ბუნება. ეტრფი მის მშვენიერებას და თან გშურს მისი ძალისა, დამოუკიდებლობისა, მისი თავისთავადობისა, ხელშეუხებლობისა. როგორც უნდა ისე შრიალებს. გრიალებს, სუნთქავს, მუუდროვდება. იშმუშნება. თავის გულმკერდზე. თავის კალთებზე. სხვა ბევრი ფერის ყვავილები პატარ-პატარა მზეებივით აუკამკამებია და მადლიერი ერთგულებით შესცქერის ზეცას, — ახალი სიცოცხლეების ჩამოფრქვევას ელოდება. თავისთავს თავადვე ხელმძღვანელობს. თვითონვე არსებობს თავისი არსით და ღონიერი სულით. ვერავინ შეეხება, ვერავინ ჩაერევა. ვერავინ გადაათქმევინებს ერთხელ განზრახულს. განსაზღვრულ-გაანგარიშებულს და გამიზნულ-აწონილს. შენც, ადამიანი, თუ გაუგონებ და შეერწყმი, ბუნებას მიენდობი, მიესათუთები, დაუჯერებ, იგიც თავისად მიგიღებს, მოგეფერება, თავის უსაზღვრო სილამაზეებს გაგიზიარებს და უძირო, უსასრულო სიახლეებისაკენ წაგიძღვება.

გადაჰყურებდა ადი მთის სიმაღლიდან ხეობებს, კლდეებს, ტყეებს, ყანებს, ჩანჩქერებს. უყვარდა, უხაროდა და შურდა კიდეც. მაინც უფრო ფრინველებისა შურდა. რა ლაღად, რა თავისუფლად დაფრინავენ გამოღმიდან გაღმისაკენ, ანდა პირიქით. ფრინველებს ხომ არა აქვთ საპატიმრო. სამშობლო? — კი! აქვთ თურმე შენაძლება, გქონდეს სამშობლო უსაპყრობილეებოდ.

წიფლის ხეზე ფესვებიდან ჭიანჭველების გრძელი მწკრივი ადი-ჩამოდიოდა. აღმა მიმავალთ თითი გადაუღობა ადიმ. შედგა ზევით მიმავალი, შედგა ქვევით მიმავალიც. აუქციეს თითს, ოდნავ განზე გაიარეს, მობრუნდნენ, ისევ იმ არჩეულ გზასთან იურიდნენ თავს, ისევ დასახული გასავალით უნდოდათ. ზოგი უკან წავიდა, თავისიანებს გადასცა მომხდარი ამბავი. შეწუხდნენ. შეჯგროვდნენ, აირ-დაირიენ, — მაგრამ არ დაბნეულან. ადიმ ველარ აიტანა იმათი ტანჯვა. თითი აიღო. ჭიანჭველები თავისი გზით ასიარულდნენ. ეს განუწყვეტელი ორმხრივი სვლა ისეთი შეუცდომელი წესრიგით და ჰარმონიით სრულდებოდა, ისე წარმტაცი, ისე მომხიბვლელ-მიმზიდველი იყო მათი შრომა, მათი სწრაფვა, თანადგომა. რომ ადიმ ერთ იმათგანად, — ჭიანჭველად ყოფნაც კი ინატრა. მაგრამ მალე ისევ თავის ნამდვილ მდგომარეობას ჩაუკვირდა, ნანობდა. მაინც ციხიდან გაქცეულივით იქცეოდა. ნაცნობთა სახლებში მისვლაც, სახიფათოდ ჩათვალა, ვიღაცა შარში რ-ტომ [illegible] ფიქრობდა. აი, მაშინ კი მერისი გაიხსენა. თავისი დანიშნული ნაილე. ხეირიანად არც იცნობდა დანიშნულს, სასიმამროსაც კარგად ვერ იცნობდა. ისევ ნაილეს იმედი ჰქონდა. — შორი-ახლოდან ენახულებოდა.

გოგო მაშინ თავის დეიდასთან სტუმრად იმყოფებოდა. სოფელში, დეიდამ დაანახა ნაილეს ადი და ადის — ნაილე. ამაზე მეტის გაკეთება მაშინ აღარ მოხერხდებოდა. არც შეიძლებოდა. აქ, ამ წიფლის ტყეში. თვალწინ ახლად აღმოცენდა ნაილეს სახე. ლეჩაქამოხვეული სახე. ლურჯი თვალები. უაჭისფერი თმა, იაზმის კიდეებიდან გადმოჩრჩებული ლამაზი იყო, მუუდრო, ვარსკვლავივით შორი. თან ვარსკვლავივით ახლო.

სასიმამროს სახელი? მევლუდი! ამბობენ, კარგი კაციაო. ჰოდა, რომ მივიდეს იმათთან? რა მოხდება, რა იქნება, არ მიიღებენ? რატომ? ხომ დაინიშნა ნაილე? ხომ მისია ნაილე? აბა, რაღა აბრკოლებს. ადათი? ადათების დრო აღარაა, ჯობია. გაბედოს. დაარღვიოს ადათები. მიადგეს მევლუდის სახლს, ეწვიოს ნაილეს და თავი იქ შეაფაროს. აი, ასე ჯობია, ეს ნაღდია.

თუმცა მერისისკენ გაპარულს თუ გამოიჭერენ, უფრო მეტი ეჭვებით იტყვიან, მაგი ნამდვილად თურქეთში აპირებდა გადასვლახო. თურქეთში?..

ეჰ, ტკივილით იგონებდა ადი თავის მამის ნაამბობს იქაური „ნაქართლი" ალაგების შესახებ. ძველ ძეგლებს. ძეგლთა ნანგრევებსაც იქ ნაქართლს ეტყვიან ხოლმე. მამამისს სულ ფეხით მოუვლია ართვინი, ყარსი, არდაანი, შავშეთი, მთელი ერეშეთი, მთელი ჭორობის ხეობა ფეხით აუვლია თავამდე. რა მიწებია. რა ძეგლებია, რა ხიდები ჯთასწლიანები. ახლა ვის მიახვდენ. ვის გააგონებ, რომ იქ. იმ უცხოეთში ჩვენებურეთიც ბევრია.

მერისში ღამით ააღწია. მევლუდის სახლი სოფლის შუაგულში იდგა. სოფელს ჯერ არ ეძინა, მაგრამ ლოდინის და მოფარება-მალვის დრო აღარ იყო. გული უბორგავდა, სისხლი მდუღრავდა, — ეჩქარებოდა, ნაილე დაენახა. დანარჩენი ყველაფერი, ალბათ, თავისთავად გაიწილადებდა. გაირკვეოდა. შინ მევლუდი და ბავშვები დახვდა. მევლუდი შეცბა, ჯერ ვერ იცნო. მერე მოიღუშა, გადელდა. აქ რამ მოგიყვანა, შინ რატომ არა ხარო. ადი დაიბნა, ეწყინა, ვერ გაიგო, რა ხდებოდა. შეატყო, — მევლუდი გაჯავრდა, როგორ გაბედა სასიძომ შინ, ჩემთან მოსვლა, მაშინ როცა ჯერ დანიშნული გოგო, ჩემი ქალიშვილი, წესითა და რიგით, არ წაუყვანიაო.

რა ვქნა, ამფერი იღბალისა დავრჩი, ნუ გამიჯავრდებით. — საქმე წამიხდაო. აუხსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისხმანყალითა და ოდიოოისი დაძაბეით ამ-
დიმ.

შევლუდი გაოცებული და გადარეული ახ-
ლოს მივიდა, თვალებში ჩააცქერდა.

— ჭოვ, ქალი მოგიყვანი, დაგიტიე და შენ
აქ რაზე მომადექი ახლა, ა?! — მიახალა ამ-
დის. ამდიმ ვირაფერი გაიგო, გაწითლდა, ბავ-
შვივით აილეწა და ეამიანივით პირი მოიკუმა,
ენა ჩაუვარდა. რას ამბობს ეს კაცი, ქალი მო-
გიყვანეო? სად, როგორ, სადაა ნეტავ ნაილე?
რატომ არსად ჩანს ნაილე? გული გაუსკდა კი-
ნალამ. არადა, კითხვაც კი ველარ ბერბდებო-
და. რას კითხავ, რას მოთხოვ. კაცი გეუბნება,
ქალი, ესე იგი. ჩემი გოგო შენთან გამოვიყ-
ვანეო.

— არ მოგწონს ნაილე!? ტიეტ ქალს? თქვი
დროზე, რომ ან თავი დავიჩეხო და ან შენ
გიქნა საქმელი. რა დამმართე, რა წამკიდე,
შე, მუდრეგო!. მალე ამოლლოდნე რამე პი-
რიდან, თვარა ჩამევლებ ახლა ყამას და ახე
იცოდე!

აქ უკვე სახუმარო საქმე აღარ იყო.

— ვერ მივხტი, ბაბი! — პირველად სიცო-
ცხლეში თითქმის უცნობ კაცს მამა, მამიკო
დაუძახა. თავადვე ეხამუშა და ეუხერხულა,
რაღაცნაურად შეუფერებლადაც მოეჩვენა,
რომ მევლუდს, ნაილეს მამას, თვითონაც მა-
მა უწოდა. ამდიმ იმაზე მიანიშნა, რომ ნაილე
თავის მეულლედ მიაჩნია, თავის სიცოცხლედ
სჯერა და ამიტომ, მხოლოდ ამიტომ მიმართა,
როგორც მამას. თანაც ეს — „ვერ მივხტი,
ბაბი", გულიდან ამომსკდარი სასოწარკვეთილი
მუდარაც იყო. მაპატიე, ვერ მიგიხვდი, გამარ-
კვიე, მომეხმარე, მიშველეო. აბა, როგორ წა-
რმოიდგენდა ამდი, რომ..

— ჰიდან მოხვალ შენ? შინ არ ყოფილხარ?

— არა! — დამნაშავესავით შეეპასუხა ამ-
დი.

— შამოი შინ! შამოი და ვილაპარაკოთ, —
მოკვეთით განუცხადა მევლუდმა. შევიდნენ.
სიდედრმა იცნო, მოეხვია. ნაილეს ორი დაც
მოგოგმანდა, აკოცეს სიძეს, აჩურჩულდნენ.
მაგრამ ყველანი აციტებულ-ამნეულები იყვ-
ნენ. არ ელოდნენ ახლა ამდის, ვერ გაეგოთ,
რას უნდა მოასწავებდეს მისი ამგვარი მოუ-
ლოდნელი გამოცხადება. ქალი, სიდედრი, ოფ-
რო ზვიადი ჩანდა, შეუდრეკელი და საქმიანი.
თავი გაუქნია ქმარს, იქით, მეორე ოთახში
გადადით კაცებმა და სათქმელი თქვით, ყო-
ველი გაარკვიეთო.

როგორც მამაკაცები გვერდით ოთახში შე-
აგზავნა, თავად სასიდედროც მალე იმათ შე-
ეერთდა.

ამდიმ თავსგადანახადი მშვიდად, დაწყობი-
ლად აუხსნა. მევლუდიც მომზადარი თანაგრძ-
ნობით, მოფერებით გააცნო, ნაილეს თურ-
მე მერისელმა, საკანდელიძის ბიჭმა მოტაცება
დაუპირა. ხახლს დაიკარნენ, მიეფოლი ეზოშივე
დაიწია. დაატოვებ ნა. ხროლაც
კიბაკ, ვინაბაც. გაიქცნენ, ვიცი და ვიცნო
ვინცაა. მაგრამ მე კოლექტივის ბრიგადირად
დამაყენის და არაა ლამაზი რომ ეს შარი გა-
ვამწვავო. შევშინდი, ისევ არაფერი მომხდარ-
ყო და ნაილე დეიდამისთან გავაქციე, შენს
სოფელში რომაა, იმასთანა, ალბსნა ამოის.

— ჩომ იცი, დანიშნული გოგოს შინ ყოლა
სახიფათოა მუდამ... გუშინ შენთან უნდა მიე-
ყვანეს ნაილეი. ახლა აღარ ვიცი, რა მოხდე-
ბოდა.

— ამ! — შეიკივლა სიდედრმა, — მევლუ-
დავ, წაი და ეგ ციცაი ისევ შინ მომგვარე.
თვარა...

შეკრთა ამდი.

— ამა და მეც ნაილეს წასაყვანათ ვარ მო-
სული... მიბერს, მარა მთავარი გული და სუ-
ლია.

— გული და სული! ცარიელი გული და
სული რათ უნდა ჩემ გოგოს! ბოხჩა — ნიშანი
თუ ხეირიანი არ იქნა, უკანვე წამვიფაცეცე-
ცებ! — მუქარით განაცხადა სასიდედროს.

ამდიმ თავი ჩაქინდრა. ერთადერთი, რითაც
ეწყალა „ბოხჩა — ნიშანის" ყიდვა, მწარე თუ-
თუნი იყო. ისიც გასაყიდად არ გაატანეს, წა-
ართვეს, მუქთად წაილეს, თავადაც.. ახლა კი
ცარიელ-ტარიელი დარჩა. სადაა სახსარი, ბო-
ხჩა-ნიშანი იყიდოს? არა და სიდედრი ისევ
ეფოფრილი...

— რაცხანა შევძლო, ნენი. ამა, ნაილეს
გულს ხომარ ვატკენ, დევსხეხე, ვიშოვ, მემ-
რე, გაჭაფხულზე ორივეი ერთად, დავრგავ,
დავთესავთ. ღმერთით, უკეთესი წელიწადი
მეკნება. წავალ, ჩილს შევიბრუნებ. ვალებს
მეშრე გეეისტუმრებ.

— იმფერი გოგო გაგატაი და ბოლჩა-ნიშა-
ნი, — ააფეი?! — ჩაიგმინა ისევ სიდედრ-
მა. — არა, თავი რაფერ გამოვყო, თვარა —
კი! ერთი კაბისმეტი ააფეი აქს ციცას. მცხვე-
ნია, თვარა, — კი! ასე თუ იყო, ნეტაი გეშე-
ტანებია იმაზე... იმას, შენი ჭირიმე, ყოლიხ-
ფერი სკივრში აქვს ჩაკეცილი, ჩაჭახტული,
აბა!

ნუთუ ყველა სიდედრი ასე უგულოა? ნუ-
თუ ნაილეც ასეთი იქნება?

კაი, ახლა, ამდი, გული არ გაიტეხო! —
არიგებდა თავს.

შუალამე გადასულიყო. ადგა. მე წავალო,
თქვა. მევლუდი შეწუხდა, დარჩი, დილა იქ-
ნება, ხეირი იქნებაო. მაგრამ ამდი აღარ დამ-
ჯდარა. წავა, ღამით სიარული ჯობს, ვერავინ
დაინახავს, დილით კი შინ იქნება. იქ თავის
სოფელში, ერთ სახლში ნაილე გაუგებს, ამ-
ტიებს, მოითმენს. მერე ბოხჩა-ნიშანიც იქ-
ნება, მთავარი გული და სულია. სიყვარული-
ოს, სიზმარივით შორეული, ცასავით სუფ
თვალები, მისი ლეჩაქგადაფრქვეული, ყაჭ-
ვით თმა, მისი ყელი, მისი ბაგეები, რომლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც, ალბათ, ჩურჩულით წარმოთქვამენ იმ სიტყვას, სულს რომ დამდგურავს, მაგრამ სიცოცხლეს კი გადაარჩენს.

ეზოში მევლუდი დაეწია. აბდი, არ გეწყინოსო. საკინიბოდან პატარა ტანის შავი ცხენი გამოუშვა, კეხი დაადო (უნაგირი არაა), აეშარა აბდის ხელში შეაჩერა. ჰა, შეჯექი და გავარდიო. მერე წამოვიყვან ცხენსო. მადლობა, მადლობა! ოჰ, როგორ ამაღლდა ყველაფერი, როგორ იძირება ფსკერზე ყოველი გონჯი. სასიმამრო კაცური კაცი ყოფილა.

წავიდა. ღამის სიჩუმეში ნაცნობ გზაზე ცხენიც ფეხაკრეფით, ფრთხილად, თანაბრად მიაბიჯებდა.

თავის სოფელში თავის სახლს რომ მიადგა, აბდი ცხენიდან ჩამოხტა, დაღლილი ცხენი ცარიელი ახორის კარს გამოაბა გარედან, თივის მომცრო ბოლქვი დაუგდო და კიბეს აუყვა. ცივი, მოწყენილი, საშიში და მიუკარებელი დაუხვდა უკაცრიელი სახლი. სახლიც ადამიანივითაა, გული ტკენს, იჩაგრება, იტანჯება და სევდიანდება მარტოობაში. ახლა, ფეხისხმაზე გამოილვიძა თითქოს, კიბე, კედლები, ქირიშები აკრიჭინდა, აწკიპინდა, აძიგძიგდა. ეჰ, ებრალებოდა აბდის მარტოხელა სახლი, — ამას ჩემი ნაილე, რომ იყოს, სულს ჩაუდგამდა, გამოაცოცხლებდა, კერიას გამითბობდა, სარკმელში შუქს ამიკამკამებდა, საკვამურიდან ზეცას ფუტს ააგზავნიდა, რომ იქ, ზეით, ჩემი ყოფნა-გადარჩენის ამბავი შეიტყონ. ჩანახშირებული მუგუზლები მაინც მიახოხოლა ერმანეთს, ოდნავ ნაცარიც გაჩხრიკა, კერისთავიდან კვარის მომცრო ნახლეჩი ბწკალი ჩამოიღო, შუაში გატეხა, ორი ნატეხი შეაწყვილა. ასანთს გაჰკრა, კვარი დააბრიალა, შეუყენა ჩაშავებულ მუგუზლებს და, ცოტა ხანში მშობლიური ოთახი ცეცხლის ენაზე დედასავით ტკბილად ამეტყველდა. გადაქანცული, გალახული სხეული გაუთბა და აბდის იქვე, ცეცხლიპირას, მიეძინა. გათენებამ გამოაკრთო, გამოალვიძა, წამოიკრა, თვალები მოისრისა, თავი გამოიფხიზლა, წამში გონებამ განცდილ-გადატანილი განუმეორა, საწუხ-საგანგაშო უფრო მეტი შემოაწვა გულს, ვიდრე სიამე, მაგრამ გათენების მადლმა მაინც თავისი ქნა, — შიში, ეჭვი, წყენა, უიმედობა სულ დააფრთხო, გაფანტა. რაღაცნაირი მაღალი, ძლიერი და სანდო საყრდენი შეუყენა აბდის. შეჭკრა, გაამაგრა, კაცი თავისთავს დაუბრუნა.

ნაილეს დეიდის სახლი ზევით იყო, სოფლის თავში. ნაილეს დეიდის ქმარი, ფელული, შარშან, ჯუმადღეს, ჯამიკართან მოჭკლეს. კაცმა, მეჩეთის ეზოს გადაღმა რომ ჯორთმანიძის ბოსტანია, აი, იქ ჩასაფრებულმა კაცმა, იმდენ ხალხში, იმდენ მლოცველთა შორის, გამოარჩია ის საწყალი ფელული, სალოცავად ხელფეხგანბანილნი რომ ჯამეში შედიოდნენ, სწორედ მაშინ, ამოარჩია, დაუმიზნა, გაისროლა და ზურგიდან პირდაპირ [illegible] ყა. იმდენი სისხლი და ლეკერტი ამოასკდა, სულ გადაღვარა ქვის მომრგვალებული კიბეხალხი შეშინდა, დაფრთხა, გაიფანტა. დარჩა მოკლული კაცი კიბეზე მარტოდ მიგდებული. ხოჯა გარეთ არც გამოსულა. სალოცავად დამდგარი ხალხის თავმყრას ელოდებოდა. რადგან სროლა აღარ განმეორდა. მილიციელნი გამოიკრიფნენ. მკვდარი გადააბრუნეს, ახწიეს, მოშორებულზე გაიტანეს და მოლზე დაასვენეს „ბისმილით". მკვლელიც მოინახა. ვიღაცამ თვალი მოჰკრა. გაიეონა ამბავი. გაიგეს, დაეცნენ. ფანჯრიდან გადახტა. გაქცევა დააპირა. ესროლეს, ჭლიკი მოსტეხეს. შეიპყრეს. ჯაბნიძის ბიჭი იყო თურმე ჯაბნიძეებიდან. უთქვამს: მამაჩემი მოჰკლა ფელულას ძმამ. ოცი წელიწადია მაწვალებს შურისძიებაო. რა მექნა, სისხლი ასაღები მჭონდა და ავიღე სისხლიო. ამიტომ ნაილეს დეიდა გამწარებული, გაწიწმატებული ქალი იყო. წვრილ ბაღნებიანი, უკაცო და უვაეიშვილო ოჯახს მარტო უძღვებოდა, უჭირდა, უმძიმდა; სულ ოხვრა, წყევლა და უემური ჩამოსდიოდა ცხვირპირიდან, სულ უკმაყოფილო, ულიმილო, უხასიათო იყო. არავის ერჩოდა, მაგრამ ახლოსაც არავის იკარებდა დასახმარებლად, ხელის გასაწოდებლად მოსულსაც უკან გამოაგდებდა. თავი დამანებეთ, არავინ მინდიხართ, არავისი მჭერა, არავის ვენდობიო. მოვკდები თუ მოვრჩები, ჩემთვის ვიქნებიო.

აბდიმ ეს ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ მევლუდის სიტყვებით, სიმამრის კაიკაცობის იმედით შემაგრებული, გაბედულად მიადგა გაუბედურებულ-დაქვრივებული ქალის ეზოს.

ნაილე უმალვე იცნო. ეზოში, ღარის წყალზე მწვანილს რეცხავდა. გული კინაღამ ამოასკდა აბდის. აი, ნაილემაც გამოიხედა, მოხული დაინახა, მაგრამ მშვიდად გააგრძელა რეცხვა. ნუთუ ვერ იცნო? ეზოში შევიდა, მაგრამ კარაპანში ძაღლმა დაუეფა. შედგა, ოდნავ შეკრთა, დაელოდა, რა მოხდებოდა. ძაღლის ყეფაზე ნაილემ მწვანილი იქვე, ქვაზე დაუარა, სტუმარს გამოეგება. დეიდა ყანაშიაო, უთხრა მოსულს. ალბათ ვერ მიცნო, — ფიქრობდა აბდი. ნაილეს ლეჩაქი მხარზე გადავარდნოდა, სახე და თმა ღიად უჩანდა.

— ნაილე, ვერ მიცანი? — შეევედრა აბდი.

— ვაიმე! — შეჭკივლა ქალიშვილმა და ლეჩაქის კალთა წამსვე თავზე გადაიქნია.

— წუხელი მამაშენთან ავედი, მითხრა, იქ, დეიდასთან გავგზავნეო. ვიცი, რაც მოგსვლია, ნაილე. მეწყინა, შევშინდი, მარა არ გავჭავრებულვარ. ვიცი, მაინც ერთადნა ვიყოთ, მე და შენ... ჰოდა, ამ ვედი შენთან, ნაილე. — რომ მიუახლოვდა ძაღლი უფრო აეეფდა. ღარიდან წყალიც მწურალად ჩხრიალებდა. — ახლა აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირვინ გვიანლავს და გითხრანა რაცხა. ნაილევ. ახლავენა გითხრა.

— ჰო, რანა მითხრა, ამდი, რაი? — ათრთოლებული, დამფრთხალი და დაძაბული ეკითხებოდა გოგო.

— უშენოდ არაფერი არ მერგება. ნაილევ ჯერ ვეფერი მოგიტანი და ასე ფუხარა ვარ, მარა ძალნ შეიყვარხარ. ნაილევ, ერთად რომ ვიყნებით. მემრე ყველაფერი იქნება. ნაილევ.

— შენმეტი არაფერი მინდა. დეიდა არ იჯება. რა ვქნა მე. ველარ ვძლებ ასე. ხალხმა ენად ამიღო... იმ ოხერმა... ფეხი დიმაბიჯა ნამუსზე...

— არა, ნაილევ. შენი ნამუსი ჩემთვის ვარსკვლავის სხივსავით ხელუხლებელია. ჰო, ასეა. გოგო ჩაფიქრდა.

— ამდი. ჩემი უფროსი დის ქმარი. დავითი. ზესოფელელია. ბერიძე. გიცნობს შენ.

— უფროსი დის ქმარი? ეგ არ ვიცოდი. დაინტერესდა ამდი.

— იმან ჩემი დერდები იცის. ჩემი გაყიდვა უნდებიან ამათ. ვინცხაი ბევრ ბოხჩას და ძვირფას ნიშანს მეიტანს. ვინცხაი ბევრ ფარას დადებს კარიდასამყრელოს. იმას გაატანებენ ჩემ თავს... წადი. ნახე ის. დავითაი. ზესოფელელი. ნახე ისა...

სიტყვა ჩაელია ბაგეებში. იქით-აქეთ მიმოთვალიერა ეზო-კარი. ღელავდა.

— მიიხედა იქით, ე. დეიდა მოდის. ნახე. უთხარი. მე წავალ. თვარა გაჯავრდება. — მიბრუნდა, გარეცხილ მწვანილს ხელი წაავლო. შინ შეიმალა. ქალს გოდრით ლეშში მოჰკონდა. ნალიასთან ჩამოდგა გოდორი. ამდი მაშინვე იცნო. შინ წამოდიო. უთხრა.

— მე ჩემი სახლიდან გოგოს უაღდოდ და უბოხჩანაშნოდ არ გაგატან!

ჩაუშწარდა ამდის ყველაფერი. ნაილე დეიდის უკან იდგა. იქიდან თანაგრძნობით და წუხილით შეხედავდა ბოლმე.

ეჰ, აღდიო? სიყვარულს რად უნდა ბოჯის ლოცვა. — ოღონდ გული იყოს ნაღდი. — ამბობდა თავისთვის ამდი.

— ახლა მაგის ნენეი-ბაბაი მე ვარ! — თვალებიდან ცეცხლებს აკვესებდა ქალი. ამდიმ თვალი მოავლო ნაილეს და წამოდგა. მართლაც ცოდვაა ნაილე უბოხჩოდ. უნიშნოდ. მეც არ ვიკადრებ ამას. — ჯიჯგნიდნენ ფიქრები ამდის.

ინგრევა ყველაფერი. შინ ყოფნა საშიშია. იქნება ეძებენ? ხვალ დუბეში წავა, აიშესთან. ის ბომ დედის მაგიერია? იქნებ შეეხვეწოს ნაილეს დედას, დაითანხმოს და წამოაყვანიოს ნაილე. ბოხჩა და ნიშანი მერე იყოს. ქალი კერასთან დასვას, ხალკარი ჩაბაროს. მერე ვერც ეს ქვეყანა, ვერც მტერ-მოყვარე, ვერც ვალები. ვერც სიფუბრე ველარ შეაშინებს. ბოლოს და ბოლოს ხმელ თუთუნს ისეხებს, დაჭრის, ჩაალაგებს ჭვირთებად და ერთხელ კიდევ წავა ბათუმში. ტუე-ტუე მოა, შემოვლით ივლის. რომ ველარ ჩამოვიტანენ, ველარ დაიჭირონ. შემოდგომაა. სიჩქარე სჭირდება. მთებზეც თოვლი დაწვება. მერე ზეიდან ველარ გადავა.

მეკლუდის ცხენი ახორში შეიყვანა. ბაგაში თივა ჩაუყარა და იქვე მიაბა. რაღა გაათუნებს ამ ღამეს? მარტოობავ. შენი ჯანი გაყარდეს! სიღარიბეე. შენი ჯანი გავარდეს! ჭრაქი აანთო. სექვეზე წამოგორდა. საიდანღაც. გარედან. მსუბუქი ხმა მოესმა. ფეხისხმა. იგი ხმა თითქოს კიბეზე ამოცოცდა. აი, კარი იღება. თითქოს. თავადაც წამოდგა. გული გონჯად აუბაგუნდა. ვინღაა? მილიციამ ბომ არ მოაკითხა? ამბა, ეგენი რას მოგასვენებენ. ვინ დაივიწყებს და ვინ გაპატიებს... დერეფანი ვიღაცამ გამოიარა. გაბედულად დაიძრა ამდი შესახვედრად. ჯანდაბას. — ჩაბარდება. მოხდეს. რაც ბედს დაუწერია. ახლა აქედან გაქცევა ყველაფრის დაღუპვა იქნება. თავგამეტებულად. ჯიქურ გააღო კარი და მკვეთრად გადადგა ნაბიჯი. რომ ვაუკაცური თავგანწირვით ჩაბარებოდა. იმას, ვინც მოვიდა.

— ჩემით ჩამველი... არ დამზრახო ამდი. — ბინდბუნდში გაიჩუჩუნა ნაილემ. ამდიმ ხმაც ვერ გაიღო. წამით ისე გაითიშა. ისე ეშძიმა ეს. თითქოს ნაილეს მოსვლას მილიციის მოსვლა ერჩივნა. თუმცა მალე უბილავი ძალა შეიჭრა ძარღვებში. კაცი მთლიანად შეცვალა. ბედნიერების სიახლოვე აგრძნობინა. მძლავრი ხელი ამდიმ გოგოს მოხვია და ჭრაქიან ოთახში შეიყვანა. ნაილემ პატარა ბოხჩა სექვეზე დადო. ლეჩაქი შემოიძრო და შუა ოთახში გაჩერდა.

— მკვდარს თუ გამიტანებენ აქედან. თვარა ცოცხალი აქედან აღარ წავალ. — აქვითინდა ქალი. — შენ რომ წამოდი. ვინცხა კაცები მოვიდენ. მაგიო. შენზე უთხრა დეიდამ. იმფრათ გაფხეკილი ფუხარაა. მაგას ქალი რათ უნდაო. ამასო. ჩემზე უთხრა. მე რავარც მინდა ისე გავათხოვებო. მომიტანონ მოსატანი რაცაა და ხაქმეს მე ვეპატრონებიო. — არა, ამდი. მე არ მინდა მაგათი ქონება, არა! ავდგეთ და წევდეთ ზესოფელში, ჩემ დასთან დევმალოთ. ჩემი სიძე, დავითაი, სხვანაირია, იმას ვენდობი... თვარა, იცოდე, ახლა ელბეთ აქ ჩამოვარდება დეიდა და გადაგწვავს.

— არსად მე არ წავალ! შენ თუ მეყოლები, ფეილამბერიც ვერ მომერევა.

ველარ მოითმინა, წაიწია, ნაილეს ჩაეხუტა. მადლობა ღმერთს. — სიბნელე იყო, — ქალი ამდის თვალებზე კურცხალს ვერ დაინახავდა.

შუალამე იქნებოდა, როცა კვარის მაშხალებით მართლაც ჩამოყაიმეთდა ნაილეს დეიდა. იკივლა, შეიცხადა, ეს რაწამკიდე, შე უნამუსოო, — ლანძღა ნაილე. მეზობლები შეეყარა. მართლაც სახლის გადაწვა მოინდომა. მაშხალები მიანთო, მიაყარა კედლის ძირებს. მაგრამ შეკოჭეს. გაიჩუმეს, გაძევეს ეზოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ნაბიჯის [illegible] ოთახში. ამბავს [illegible] ეფიანოვანი [illegible] ნაბიჯის [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოვარდი. — შეეშინდი. ხომ არ მოხდა-მეთქი რამე.

ასე ნელ-ნელა დღეები დღეებს ცვლიდნენ. ბებერ ტაიას ხსენება უფრო და უფრო გახშირდა. ბაბა. დღეს ამოვა, ბაბა. ხვალო. ნენეს შფოთი და ნერვიულობა დაეტყო. ეს, რა თქმა უნდა, საკუთარ შინაურობაზე დარდითაც იყო გამოწვეული. ხულ იმეორებდა. მურთაზაი და ფადიმე ნეტავ რას ირჯებიან. ჩემი კაცი (მამაჩემი) მარტვაი ალბათ დილხორდებაო. დუბეში, თავისი სახლი მოენატრა. მეც გამიხშირდა ჩემი ეზო-კარის მოჩვენებები. დუბელი ბაღნები მესიზმრებოდნენ. თენდებოდა, ღამდებოდა, ბებერ ტაია კი არა და არ ჩანდა.

ფემიშმაც უფრო უმატა ჩვენთან შემოვლას. დაჯდებოდა, ანგარიშობდა, — დღეებს გამოითვლიდა. ამდენი იქით, ამდენი აქეთ. ამდენი კი იქ. ბაზარში დასჭირდებოდაო. ხულ რაღაც ისეთი ვარაუდები და დასკვნები გამოპკავდა. ქალები დაიმედებულნი რჩებოდნენ. მგონი მეთხუთმეტე დღეს ნაილეს ზესოფელელი და გვესტუმრა. დები ერთად. მარტონი გამოიკეტნენ. რაღაცები იჩურჩულეს დიდხანს. ბოლოს დედაჩემიც შეუერთდა. მე გავჯავრდი. კარს დავუწყე ჯაჯგური. გამოგვიარა ფემიშ ტაიამ. ახალი ამბები იკითხა. და თქვა:

— ხვალინა წევდე ბათუმში. ჩავალ. მოვიკითხავ. ალ უნდა იყოს. არ ვიცი. კარტს არ თამაშობდა. რომ რაცხა გლახა იფიქრო კაცმა. — ნაილესკენ გაიხედა. — რძალო, ნუ გეშინია. ჩავალ. ვნახავ და გამოვდენი შინისკენ.

მე მხოლოდ მეორე დღეს. დილით მოვკარი ყური დედაჩემის და ნაილეს საუბარში, რომ ღამით მილიციელი მოსულა. ბებერ სად არიო უკითხავს. დედაჩემს უპასუხნია. ბებერ ტყეშია სახადიროდო. ამ მოკითხვამ ახალი შიში და მოახლოებული უბედურება გვაგრძნობინა თითქოს.

ხამი დღეც გაძვრა ამასობაში. ფემიში დაბრუნდა. უბასიათო იყო. იქ არავის დაუნახავსო. ელბეთ ოზურგეთში წაიღეს თუთუნი გასაყიდად. იქ უკეთესად იყიდებაო. მთებში უკვე დიდი თოვლია. ახლა ქვეიდან, დიდი გზით ამოვლიანო. ხელი გაცლილი ექნებიან. რაღა ენაღვლებიან. ვიღან დეიჭირავსო. ოზურგეთში აღარ წავედი. რაღა საჭიროა ძებნა. — ნაღდია, იქ არიან... მეც ამდენი დრო არ მქონდა. შარი ევტეხე. თავჯდომარე გავხდი. რეიკომის გარეშე ბადმე ვეღარ წავალო.

მე ჩემი ბაღნური ბკვითაც ვატყობდი, — იმდენს ლაპარაკობდა. თავჯდომარე ქალებზე პეტად იყო შეწუხებული და შეშინებული.

ერთ დილას დედაჩემი ნაილეს ეუბნება:

— რძალო, ერთნა ევრბინო დუბეში, ჩემი შინაი ვნახონა. და ჩამვალ ისევ ხვალ. — წამიჭირა ხელი მაჯაში და გავუევით გზას. მამაჩემი თითქმის გადარეული დაგვხვდა.

აგინა და აგინა დედაჩემს.

მაგრამ ხალამოს ბებერ ტაიას გამო დარდიანმა ჩემიც დაფიქრა და დაალონა. მეორე დღეს ვადაც მოლბა. მოტყდა, — დედას გამოუცხადა ფრთხილად.

— ადე ბაბა და წაი, რაღას უყურებ, ბებერ ქალი მარტვაია...

წამიჭირა მაჯაში ხელი დედაჩემმა და ახლა ისევ ჭვეით დავეშვით თავდალმართებში.

ასე ამგვარად, ზუსტად, თვენახევარი გავიდა. ფემიშმა ოზურგეთიც მოინახულა. ბათუმი, ჩაქვი, ქობულეთი, კახაბერი, გონიო, მახინჯაური და სხვა სოფლებიც მოიარეს, მოიკითხეს, აქ ხომ არ გაუვლიათ ბებერ ტაია და დავითს, ორ ახალგაზრდას. ამდაგვარად ჩაცმულ-დახურულებს, ამნაირ მოსიტყვე-მოუბართ, ზემოურებს, ზურგზე ჭვირთაკიდულებს, ან უკვირთოებს, ნაყიდ რამერუმეებითო. არა, არავინ არაფერი იცის. არ დაუნახავთ, არ გაუგონიათ.

ჩაქვის წყლის ბეობაში თოვლი დამდნარიყო. ფერდობ-გორები შემშრალიყო. ფემიშმა ორი-სამი სოფელი წაიყვანა ჩაქვისთავში. იქ, დაყოლებაზე, გათოვებამდე, ვინმე ორ კაცს ხომ არ ჩაუვლია, ან ვინმესთან ღამე ხომ არ გაუთევია? არა, არ იციან, არ დაუნახავთ. ყველა დიდი თუ პატარა ასე პასუხობს. ბაბა, რაშია საქმე, რა მოხდა, სად წასულან, მიწამ ჩაყლაპა?

ერთ დილაზე ფემიში შემობაგუნდა, ახლა ააზანზარა იმისმა ბარაქიანმა ნაბიჯებმა.

— აიშევ, ვეღარ მაქ საქმე კარქათ. თავმჯდომარეობიდან გამომაგდეს, პარტიაშიც რას მიზამენ ვინ იცის. შენაო ხულ ალმა-დალმა დაეხეტებიო. აჰა, გაზაფხული დგება, შენ კი ერთი გლეხიც ჯერ ყანაში არ გაგიყვანიაო... რა ვქნა, აიშევ, ამ ბებიმ მეცნა დამკარქოს. — იტკიცა შუბლზე ხელი, ჩაქინდრა თავი. ჩაიგმინა და თავი გააქ-გამოაქნია.

არცერთს ენა ალარ ამოუღია. ისხდნენ ისე დაღვრემილ-თავჩაკიდულები. ადგა ბოლოს ფემიშ ბიძია და უსიტყვოდ გავიდა. დედა გაუვა. არა უთქვამს რა, ისე გაუვა. იქ, ეზოში, ხეს მიეყუდა. მგონი ტირილს მალავდა. ნაილეც თავის ოთახიდან ალარ გამოდიოდა. იქ იმალებოდა, იქ ჩუმად ტიროდა. ასე, დედაჩემი ცალკე ტიროდა, ნაილე — ცალკე. მგონი ერთმანეთს ცრემლებს უმალავდნენ. დედას ხულ ამოუწითლდა გუგები, მოეშვა თვალის უპეები, დაუნაოჭდა ლოყები. იმ ორ თვეში ხულ დაბერდა დედაჩემი. ჩემი ალერსიც ალარ შეეძლო. ისეც ბელს ნელა მომიჭერდა, თითქოს ამით მეუბნებოდა, რა გიყო, შვილო, შენ მყავხარ... იმახ რა ეშველება, ვინც არსად ალარაა.

დრო შეუმჩნევლად მიიპარებოდა. მზემ თანდათან აკრიფა მთებზე თეთრი თოვლები, ხეებს კვირტები დაუბერა. დაუხეთქა, ტყეები ჭრელ-ჭრელ ხამოსლებში გამოაწყო. გზისპირებზე, მწვანე, ლორთქო ბალახები წამოვარდა. ყანები გადაიხნა-გადაიფარცხა. ჩიტები შარშანდულად ჭიკჭიკებდნენ. ბუნება ყველაფერს შარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანდელს ინეორებდა. ბუნებამ ყველაფერი შარშანდელი გაზაფხულისა დაიბრუნა, მხოლოდ ამდენ ვეღარ დაიბრუნა.

ფერი წაერთვა ნაილეს ლოყებს, ქალი უღიმილო, უხალისო, უაიცოცხლო გახდა. დეიდამისი აღარ ჩამოსულა, აღარც ბოხჩის ითხოვდა, აღარც ნიშანს. ერთადერთი ჩითის კაბა ნაილეს ტანზე შემოადნა, ნეხეს ერთი თავის დაძველებული, გაცვეთილ-გათხელებული ოქროს რგოლის ბეჭედი წაიძრო და ნაილეს შუათითზე წამოაცვა ეს იყო და ეს მისი მთელი მორიულობა.

შემიშა და მისი ამალა მორიგი ექსპედიციიდან საბოლოოდ გულგატეხილი დაბრუნდნენ ჩაკვიხთავში ასეთი კაცები არც ავლილი, არც ჩავლილი არავის უნაბავს.

ერთხელ კი დედაჩემმა ძმას გაუმზილა, ნაილეს შემომაჩივლა, ფეხმძიმედ ვარო. ფემიშმ ჯავი ჩაღუნა. მეგონა, ეს სახიბარულო იყო. იმათ კი რაღაც ბოლოდ მოაწყვინეს.

ზაფხულის კაკანაქება იდგა. ვერ ვიტუკი, როგელი თვე იქნებოდა, მახსოვს კი, — სიმინდებს პატარა ტაროები ესხათ. ალაგ — ყვინტით მოიტეხებოდა. სასელა მსხლები მოსულიყო. ზოგან ალაგებში ნაგვიანევი ბლები ჯერ კიდევ მოიცეცებოდა აკა-იქ.

აგვისტოს სიცხეში ფემიში, დილით, შემობრაგუნდა ოდაში.

— აიშეკ, ქედაში კაცმა მითხრა, ამდი და დავითი ბათუმის ბაზარზე ყნაბეო.

— როის? — აკოშინდა დედაჩემი.

— როის და გასულში... ეგ თუ სტორია, მაშინ აქეთ წამოსულები... არ ვიცი. დეკარქე კაცი და ესაა.

— ელბეთ ნაყიდები მოკონდენ და ელბეთ ვინცხეებმა... მარა ბეთლემიდან რაღატომ?..

ელბეთ შეშინდნენ. გზაზე მილიციამ არ გვკითხოს, რაით იყიდეთ ეს საკონელიო და წამოვიდნენ ტუე-ტუე... მარა, აიშეკ, შენ და მე ვიცოდეთ. ერთმა მითხრა, ამდი და დავითაი დაჭერილები არიან. ტუეში დაუჭერიან. ელბეთ ბაზარზე გადაკარვა დეებრალათო.

ეზოდან ვიღაცამ დაიძახა. ფეშიშას ეძახოდნენ. თავისი ფართო და მძიმე ნაბიჯებით გაიარა დერეფანი. ჩვენც თან წავეეთ.

— ფემიშ ბიძავ! — მიმართა ბიჭმა, როგელსაც ძმარზე თოფი ეკიდა. ბელში გარგანი ეკირა, ორი მასავით ბეკი. უკან დამდგარიყო. — ზეგნიდან, ბეთლემიდან, გამოვქეცით. ფემიშ ბიძავ, დღეს ტუეში ხარებს ვაძვებდით და ერთმა უცბათ ხაშინელი ბღავილი ატეხა. ჰოდა, გვეკეცით, რამია საქმეო, გაგვიკვირდა. ბერწიფელასთან კაცის ძვლები ეყარა. ხარი წინა ფეხით მიწას თხრიდა. ბღაოდა ხაოდავად... ჭეეთ გამეკეცით.

ჩაფიქრდა ფემიში.

— კაცებს წეეყვან და წეეკალ. — უკან აღარ მობრუნებულა, აღმართს შეუდგა. ბიკებიც ეზოდან გაიკრიბნენ. დედა ნაილესთან შევიდა. ქალი ჯერ არ ამდგარიყო. ბიბინა იწვა. მალე დაბნეული დედაჩემი უკანვე გამობაჩაჩდა და შემომაშტერდა.

— რანდა იქნას, ქალს მუცელი ატკივდა. — მერე მითხრა. — შინ იყავი, არსად გახვიდეო. წავალ — ვინმეს მოვნახავ. ბებიაქალია საჭიროო. ბებიაქალი რას ნიშნავდა, არ ვიცოდი, მაგრამ აღარაფერი ვკითხე. — იმდენს კი მივხვდი, რომ ეს უველაფერი ნაილეს მუცლის ტკივილის გამო ხდება.

საცოდავი ნაილე! დაკვნესებისაც რცხვენოდა, ისე მალულად კრუსუნებდა, წუხდა. იცოდა, შინ მარტო მე ვიყავი. ჩემი რცხვენოდა. ამას კარგად ვგრძნობდი. ვწუხდი მეც მასთან ერთად, მაგრამ, შიგადაშიგ. — ჩუმად მაინც მხიამოვნებდა, მეამაყებოდა, რომ ჩემი ერიდებოდა. თუმცა რა დიდი უნდა ყოფილიყო ჩემთვის ეს იდუმალი სიამოვნება. ნაღველი, ტკივილი, თანაგრძნობა და შიშიც უფრო დიდი, უფრო ყოვლისმპყრობელი მკირდა. ნაილეს ფიკრებშიც კი, ჩემი ჭკუით, რაღაცებს ვარკვევდი, რაღაცებს განვიცდიდი. ვგრძნობდი, ვხსნიდი. იქნებ, ვამბობდი ჩემთვის, იქნებ ნაილეს ურჩევნია მართლაც დაჭერილი იყოს ამდი, ვიდრე... დაჭერილის დაბრუნების პატარა იმედი ხომ მაინც არსებობს. ძვლები კი ყველანაირად გაცოცხლდება.

კვნესა და გლოშინი თანდათან ძლიერდებოდა. გული შემიღონდა. ვთქვი, შეკალ, ვკითხავ, რამე ხომ არ ჭირია-მეთქი. კარის ზღურბლზე ფები შევდგი და ჩავახველე. ნაილე მიხვეული იწვა, თავი არ უჩანდა. უცებ ხაბნის ბოლო გადაიძრო, ხახე გამოუჩნდა, თვალები დახუჭული ჰქონდა, შუბლზე ოფლის მარცვლები ელავდა.

— შუკრი, წყალი! — მისუსტებული ბმით, მორცხვად გადმომძახა. წამსვე ეზოში გავვარდი. თუნგით ავადინე ცივი წყალი და თუნგითვე მივუტანე. ხელი გადმოკიდა, გამომართვა, თუნგის ტუჩი ბაგეზე მიიდო, ორი-სამი ყლუპი მოხვრიპა, ცოტა წვეთებიც ყელზე ჩამოეღვარა.

დედა მოვიდა, მგონი ჯვრიანი თვალებით შემათვალიერა, ალბათ ეგონა, მე ჩემი ნებით შევედი მელოგინესთან. არა, ნები ჩემი ნებით არ შევხულვარ-მეთქი. ვუთხარი. დამიძახა, წყალი მოწყურდა და დამიძახა. ამა, არ შეშეტანა წყალი?

შემოჩვეული ბავშვები ხათამაშოდ ეზოში მოყრილიყვნენ. ვანიშნე, მელოგინეა და ამლა არ შეიძლება მეთქი. გაცუნცულდნენ და წავიდნენ. მე, როგორც სტუმარს, ბაღნები მორიდებულად მექცეოდნენ.

ბებიაქალად, ნაშუადღევს, ნენეს მოპატიჟებით, თვითონ ნაილეს ზემოურელი დეიდა გვეწვია. ყურმოკრულად, ჩემებურად, ბაღნურად, მეც ვიცოდი დეიდამისის დამოკიდებულებაზე ნაილესთან და ამიტომ ძალიან გამიკვირდა ასეთი ჯვრიანი, თანაც გაუბედურებული ქალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარ ხასიკეთო-ხამშვიდობო ხაკმეზე გამოცხადება.

ეეო, რავარც კი დავინახე, მეგონა, ნაილეს ხალხმძღვავად და, იქნებ, გახალხადაც მოვიდა მეთკი. მაგრამ, როცა ნენეი კიბეზე ჩაეგება და ხულ მობრძანდ-წამრძანებებით ელაპარაკა, მიკბედი, თვითონ მეხი მოწვეული იყო.

ნაილეს ხალაი, როგორც ეძახოდა მას დედაჩემი, ლოყებჩაცვენილი, შავი თავშლით თავგაკოკილი, დიდრონი რიხბვიან-ჯავრიანი თვალების ელვებით, რაღაცნაირი ოდნავ ხაშიში, უცხო, პირკუში და გულგოროზი ქალი. ბრაგაბრუგით ამოვიდა კიბეზე, არაფრისთვის, არაკისთვის შეუხედია, პირდაპირ შეაბიჯა, ნაილესთან შევიდა.

— როის ატკივდა? — ჰკითხა დედაჩემს.

— ჰა, ტკივა და, რა ვიცი!... — ჩაილაპარაკა ნენემ. ჩემი ბაღნური კაკვით შევატუვე. ეწეინა, ნაილეს ხალაი რომ ასე გოროზად დიდურობდა. უხეშობდა ხალა. მგონი, დედაჩემის წუენას მიხვდა. ნაილეს რაღაცები ლმობიერად გამოკითხა. მოფერებით, თავთან ჩამოუჯდა ერთხანს. მერე წამოდგა, ქვაბი ხადაა. წუალს დავადგამ ცეცხლზეო, ეს მკვირია, ის მკვირიაო და თავადაც დატრიალდა. მაგრამ ახლა უკვე დედაჩემმა აღარ დააცალა. ხელი მოხვია, შეეხვეწა, შენ ნუ ირჯები. შებრძანდი ნაილესთან, მე თვითონ ყველაფერს მოგიტანო. მარტო რომ დარჩნენ, ხალამ ნაილეს უთხრა:

— ნუ ტირი, ფლიკვინი არ გამაგონო, გესმის?! არ შეიძლება შენი ტირილი, არცაა ხატირალი, რა გატირებს, მაი შენი ახდი დააკავეს ელბეთ. მეიხდის და მუვა, დაბრუნდება. ახა, ახალგაზრდას რა მოუვა. დაწყნარდი ახლა, მო, ტირილი არც მაგას მუბდება, — მუცელზე დადო ხელი. — ბიღვი დაგონჯდება, შენც წახდები. არ უნდა მაგას ტირილი. არც კაცის დაკერიზა უნდა ტირილი. ვის არ იკერენ დღეს. კარგებული ვინცაა, ყველას იკერენ. ელბეთ იქნა, აიწყონ უკეთესი ქვეყანა, ახა, რა ვიცი... ჩემსას აღარაფერი ეშველება, თვარა.

ცხელი ჯარი უცნობი მხრიდან ქროდა. ხეებს და სიმინდებს უშნოდ, უხეშად, უდიერად აჯარჯგვალებდა. ჯახე-ჯახე მხხლები, ვაშლები, ქლიავები ზაპაზუპით ცვიოდა ძირს. ხაბურავში ყავრები თითქოს ცვნესოდნენ. ზოგიც ადგილიდან ადგილიჯებოდა. ამძვრალი კი ფრაფაფრუნით მიფრიალებდა. ხან რას შეასკდებოდა. ხან რას.

დედაჩემი ბუბარში ცეცხლს უჯდა, რომ ხალას მითითებით, რაღაცები გაეთბო, გაეცხელებინა. მოეხარშა, მოემზადებინა. მე ვერსად ადგილს ვერ ვპოულობდი. ხან ეზოში გავირბენდი, ხან ისევ ნენეს მიკუჯდებოდ-პირას. ჯარი კვამლს გრინავდა. უკან ბრუნდებოდა. თვალებს გვიმწარებდა. გვიცრემლებდა. ეს დღე ხიცხიანი იყო. მაგრამ ვითომ ყველაფერს ცოდა. ჯარი რომ უბერავდა. მცენარეები ვითომ კანკალებდნენ. წუხდნენ. ხელებს იშვერდნენ. მოგვეხმარეთო. მერე, ნაშუადღევს, ის ზაფხულის ცხელი აშარი ჯარი უცებ ჩადგა. ქვეყანა გაისუნა. თითქოს რაღაცის მოლოდინში ხული გაქცდა. ეზოში ხეთა ჩრდილები დაგრძელდნენ. — მზე მთებზე გადავიდა.

გავიხედე. — ჩვენი ეზოსკენ გამოშვერილ ორღობეში. იქით, ჩამოლმართზე, კაცები მოგიჯებდნენ. ვუყურე, გამიკვირდა. რაღაც ხსენაირად მოდიოდნენ. ჩუმად. თავდაბრალები, მოქამულები, მოწყენილები, დამძიმებულები. ისე მოსაუბრობდნენ. ერთმანეთისკენ არც იყურებოდნენ. მხოლოდ ძირს იცქირებოდნენ. აი, ჩამოეშვნენ პირდაპირზე. ეზოში შემოხულ საცალფეზოზე. მეწინავენი დამწკრივდნენ უნებურად, მაგრამ ჩამოლმართებაზე კვლავ ჩამოდიოდნენ და ჩამოდიოდნენ. ხალხი ბევრი ჩანდა. მწკრივს თავში მოუძღოდა ფემიშ ბიძაი. დედაჩემის უფროსი ძმა. უნახავი რამ იყო, უცნაური გაუგებარი. ფემიშს ორივე ხელით გულზე მიდებული მოგრძო და მოძველო კალათი მოჰკონდა.

ხახლს რომ გაუსწორდნენ, მგონი, ხვლას უფრო მოუნელეს.

მე შემეშინდა, მსხლის ხეს ავეკარი და ხმენად ვიქეცი.

უკვე ეზოში შემოხვლა დაიწყეს. ფემიშ თვალებგაშტერებით ხახლის აივნისკენ იყურება ვიღაცის გამოჩენას ელის, ვიღაცას ეძახის თითქოს. ველარ გავუძელი იმის თვალების გზგზს, იმის გადახხვაფერებული ხაბის ცქერას. კალათი ორივე ხელით მკერდზე უფრო მაგრად მიებუტებინა და ტუჩებს ახავხავებდა. მგონი, დაძახებას აპირებდა. მე კიბეზე ავვარდი, მაგრამ ამ დროს კარში გამოიკრა გადარეული დედაჩემი და მკვახედ გულისგამაპობელად შეკივლა. ფემიშმა თავისი ხმა, ჩამტუდარი ხმით მოაძახა:

— აიშევ, აგერ მყავს შემი ძმა, ეს აგერაა, აიშევ, ჩვენი ბიდი, ეს — და კალათს მაღლა წევდა. მე აივნიდან თვალი მოვკარი, კალათში თეთრი ძვლები ეწყო.

დედაჩემის კიკილს ახალდაბადებული ჩვილის წვივილ-ტირილი ჩაერთო და ის ორი ხაშინელი ხმა ახლაც ჩემს ყურებში მეორდება. ნაილე ვერ ტიროდა. მისი ხმა ხადღაც შორს, თითქოს ხევხუვებში იკარგებოდა.

კალათში ჩაწყობილი ბიდის ძვლები ნელ-ნელა შინ შეახვეინეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჯულუხიძე

ცნობილ პოეტს გრიგოლ ჯულუხიძეს 50 წელი შეუსრულდა. „მნათობის“ რედაქცია ულოცავს მწერალს ამ შესანიშნავ იუბილეს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

ღია წერილი

ზამთარი. კაფე „გაზაფხული...“ ვიხსენებ იმ დღეს:
რუს მეგობრებთან საუბარში ვიყავ გართული...
შენ გამეცანი და ღვარძლიან ღიმილით მკითხე:
— რა ღირს ბაზარზე, მეგობარო, ვარდი, ქართული?

ალბათ, იმ წუთში მე ყველაზე უბედურს ვგავდი,
დავტოვე სუფრა, მორიდებით, „ნახვამდის“ გითხარ,
როგორც ატომის აფეთქება, ის სიტყვა — „ვარდი“,
გაუნელებლად გუგუნებდა ყურებში დიდხანს.

მე ვერ ავიტან უსაბუთოდ გამოცრილ ქირქილს. —
კრძალვა და რიდი მოუხდება ჭირნახულ სახელს...
ვინც ვარდებს ყიდის საქართველო არ არის იგი,
შენ საქართველო არ გინახავს, მოდი და ნახე!

განახებ ქართულ საოცრებებს ხსოვნაში მიმწვარს,
ბოლნისის მხრიდან წამოფრენილ ღვთაებრივ არწივს,
მოდი და ნახე, საქართველოს უძველეს მიწას
მირონის გარდა, რა მდუღარე ცრემლები აწვიმს.

განახებ ჩვენთან, ჩაის კვლებთან, დაშაშრულ ხელებს,
ვენახის ზვრებში — სეტყვისაგან გულმოკლულ კახელს,
ქართველის ოფლით დასველებულ ბაღებს და ველებს...
შენ საქართველო არ გინახავს, მოდი და ნახე!

გიგზავნი ბარათს, ვერ გაგეცი პასუხი დიდხანს...
გიგზავნი ბარათს და მგონია ბრალდებას ვიხსნი.
ე, მაგ მიწისთვის, მეგობარო, ფეხი რომ გიდგას,
ალალი იყოს, დაღვრილია ქართული სისხლიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაურ ვარ მარად მიგიბარო, ვინც ვარ და რაც ვარ.
შინს ნაძს და ძველს აყვავილებს ქართული თესლი...
ვარდები იყოს, მთავარია, ვარდების ნაცვლად
ეკლმსა და ტალახს ნეტარაოთის ერთმანეთს ვისვრით!

მე ვერ ავიტან უსაბუთოდ ნამოცრილ ქირქილს,
კრძალვა და რიდი მოუხდება ჭირნახულ სახელს...
ვინც ვარდებს ყიდის, საქართველო არ არის იგი.
შენ საქართველო არ გინახავს, მოდი და ნახე!

ენაო, სრულიად ქართველთა

რაც გაჩნდი
და ასე ნაზიანლალობ,
მეოცე საუკუნე ვათენდა,
შენ, ჩემო
ბასრო იარაღო, —
ენაო,
სრულიად ქართველთა!

ენაო საბას და
თამარისა,
და დღემდე
დაუმხობ ჩატთა.

ბევრჯერ უბედობამ გადაგნისლა.
მაინც
ღორძინობ და
ხარავ.

ოცი საუკუნე ოქროპირობ
ავერ,
ოცდაერთიც გათენდა...
ლესვით, ლესვით უნდა მიეფერო,
ბასრო იარაღო,
ქართველთა!

სევდიანი ლექსი

ვზივარ და ჩემთვის ვაჭრელებ
ფურცელს,
ასე ვაოცნე ღამე წუხელის...
ვგრძნობ, ჩემში ვილაც ჯიუტად
უსტვენს:
— არ გაურიო სიტყვას წუხილი!

არ შეაჩვიო დარღი ბავშვობის,
არ შეგეპარის სევდის ფიქრი,
წერე, ცხოვრება რა ლამაზია,
რა ბაშვნიერი და რა იოლი.

ვილაცა მიმღერევს აზრის სათავის. —
ქვის მტიხელია ეს ბრძანება
და სიტყვა ასე ჩიმგან ნათქვამი,
არ მგავს არათრით და მეჯავრება.

სხვა რომ არ იყოს,
როგორ აღმაგზნებს
დრო და მიდინა ოქმად ამცდარი...
იწვის დღეები,
რჩება ქაღალდზე
ლექსის მაგივრად, ლექსის ნაცარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი თბილისის დაბრუნება თბილისში

ტუსა მკედრეთით წამომდგარა
დუქნებად და ჩარდახებად,
რიკულები ნოხებმა და ფარდაგებმა
გადაღება...
იგალობონ, იჩახჩახონ, კრამიტებმა,
აგურებმა...

ტყვეობიდან,
ტყვეობიდან,
ტყვეობიდან დაბრუნება!

დაბრუნდება ძველი სისხლი,
მტერზე მტრული შემართება...
თუმცა ახლა სულ სხვა დროა, მე რა
მტრობა შემართება...

თუ ნატერაა,
თუ ნატერაა,
სანატრელიც არ გაჭრება...
იოცნებონ,
იოცნებონ,
საქართველოს ქალაქებმა!

ამოიდგა ენა სტვირმა,
არღნებმა და დაირებმა...
იმ თბილისთან ეს თბილისი
რა ვქნა, მესხვანაირება.

უბრუნდება კედელს ფერი,
სახლს — ლიბო და ჰერი ტაძარს...
ამ თბილისმა ის თბილისი
დავიწყებას გამოსტაცა!

მამის ლიმილი

დათოს

რა უცებ წამომეწია,
ჩემი პერანგი გამართე,
ძმასავით გვერდში დამიდექ,
თავდავიწყებით ამანთე,
შენ დგეხარ გზების მწვერვალზე,
მე ბივუყვები დალმართებს.

და მზატავ საყდრის ფრესკებთან,
ფრთებშემართულს და დაფნებით,
მჩრებზე ბეღურებს მიცოცხლებ
საწუთროს ქარში გაფრენილს.

მაინც რა მალე გაგისწარ,
რა მალე ჩავიდალმართე...

აწ მე ვერ ავუყვავდები
ამ ჩემს დალოცვილ სახატეს.

შენ მზე დაგნათის, უმზირე,
ღრუბლები არ გაიკარო!
თვალებში ზეცა გერწევა,
გულში ჩიტები გიგალობს.

არ გაიხუნო ფერები,
ოცნებებს ჰერი ახადე,
თუ სევდის ხატვა მოგინდეს
მოხუცი მამა დახატე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე

მაინც უკვდავი რჩება ის ერთი

ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე: ესე მთნავს: აქა დავემკვიდრე მე.

დავით აღმაშენებლის ეპიტაფია

მან აღაშენა აღსაშენები,
მან დაანგრია დასანგრეველი,
მაღალი ნიჭით, მძლავრი ხელებით
და დაიმკვიდრა სასუფეველი.

და დაიმკვიდრა სასუფეველი,
ბინა მყუდრო და ბინა მარადი
და მის საფლავზე ღამის მთეველი
მთვარე სიზმრებში უბმოდ გადადის.

ის იყო მეფე საქართველოსი,
მეფე აფხაზთა, კახთა და რანთა
და უკვდავების ნათლით შემოსილს
აწყალობებდა თვით ღმერთის კალთა.

მეფე ყოფილა აღმოსავლისა,
ტაოისა და მესხეთ-ჰერეთის,
ახლა მიწა ჭამს მის ბეჭს ნაისარს,
მაინც უკვდავი რჩება ის ერთი.

თითქოსდა გულის მე ვისმენ
ფართქალს,
ო, გულო, წამით დადექ საგულეს,
თუკი ცოდვაა, ო, ღმერთო, მართლაც
მხოლოდ ასეთი ცოდვა მარგუნე.

მან აღაშენა აღსაშენები,
მან დაანგრია დასანგრეველი,
მაღალი ნიჭით, მძლავრი ხელებით
და დაიმკვიდრა სასუფეველი.

იის სურნელი

ყველა სანთელი დაიწვა, ვხედავ
და ჩაქრა ბედის ყველა კანდელი,
სევდის უდაბნოს ფიქრებით ვხერგავ,
მდუმარებს ზეცა ცრემლდანადენი.

მომელანდება აჩრდილი დედის
დაჭრილი გულით და ვარდით ხელში,
ცას გასწოლია სიფითრე ელდის
და ოწიხარი ქალივით კვნესის.

ყველა სათქმელი თქმულია უკვე,
ყველა სიმღერა უკვე იმღერეს,
მთვარე ბარბაცით მიჰყვება ქუჩებს
და ქალწულივით თეთრ ყელს
მიღეცებს.

რა შემრჩა? — გემო ზღვის და
მარილის,
რა შემრჩა? — იის სურნელი ტუჩზე
და ფეხშიშველა მისდევს ქალივით
ქარი თიბათვის მთვარეს და ქუჩებს.

ჯანო ბანელიძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლურჯი სინაზე

ცრემლები წვეთდა.
ცრემლები წვეთდა.
ცრემლები წვეთდა სევდის მინდორზე
და ცაც წვეთავდა ცრემლებთან ერთად
და განუწყვეტლივ გზები ვიღოდნენ.

და შენ მოხვედი ოქროს სიცილით
და შენ მოხვედი ოქროს მტევნებად.

შემომაფრქვიე შენი მზის წილი
ჩემდა განწირვად და მიტევებად.

და იყო მინის ლურჯი სიჩუმე
და იყო მინის ლურჯი სინაზე.
ტკივილი მაინც ვერ დავიყუჩე
და შევუეროდი ცისფერ მირაჟებს.

წაილო წყალმა

სუყველაფერი წაილო წყალმა.
წაილო წყალმა და მეწყერს მისცა
და რა ამაოდ დავეძებ წამალს.
უკვე რანდავენ ჩემს კუთვნილ ფიცარს.

დედა-ბუნებაც თალხით ირთვება
და ჟამი იქცა სისხლის წამებად.
უკვე შემარეთს ჩანგი ნიმფებმა.
რომ უგალობონ ჩემს წაბრძანებას.

უკანასკნელად

თავს ნუ იტყუებ, სისულელეა,
არ შეხორცდება ძველი იარა,
წინ გასაველელი ცეცხლის ველია,
მან კი დღეს ისევ დაიგვიანა.

საოცარია, ვის დაუწნეს ღა
ვის მიაკუთვნეს გვირგვინი დაფნის?!
ვის დაებადა დიდების ელდა
და ოქროს ეტლით ცაში ვინ დაქრის?!

თქვი. წყვილი ცრემლით ვინ
დაფასდება,
ვის უერთგულებს სიმები ჩანგის?!.
თქვი. პროცესია უკანასკნელად
ვის გააცილებს დიდებით დაღლილს?!.

თავს ნუ იტყუებ, სისულელეა.
არ შეხორცდება ძველი იარა.
წინ გასაველელი ცეცხლის ველია.
შენ კი იმღერი კელავ ნაღელიანად.

სისხლის ხალებით

ჩემი ცხოვრება რა იყო? ჯანყი
და ნიღბიანი მასკარადები
და სიმახინჯე ათასი სახის,
მიუსაფრობით, სევდით, დარდებით.

თითქოს თოლია იგრძელებს კისერს.
გადმოიხედა ნისლმა ფოფინამ

ახალგაზრდობა დამშორდა ისე.
რომ ახალგაზრდა არც კი ვყოფილვარ.

საკუთარ გულსაც ველარ ვერევი
და ვგრძნობ. ეს სისხლი თუ როგორ
ბებრობს.

თავიდან დამყვა სევდა ვერლენის
და თავგანწირვა ამაყი რემბოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა ქარი და ისევ გამშოლტავს.
როგორც კეთილი ჩემი გადია.
ყველა აპრილი ისე დამშორდა.
არც შევხვედრივარ აპრილს მადლიანს.

წავ ვილაცა და თან წაიღებს
ამ ჩემი გულის უწმინდეს ნაწილს
და შლის ვილაცა ძვირფას თარიღებს.
დარია, მაინც მათოვს და მაწვიმს.

აქ შედგა ჩემი დიდების ეტლ
შემორკალული ზღვით და მითებით
და გასისხლული სწუხს აიეტი —
გადათელილი ვარდი წითელი.

და მცემს სურნელი ყავაბანების.
სად ერთადერთი ლირიკა მეფობს
და მიბარბაცებს სისხლის ხალებით
აჭრელებული აჩრდილი რეშბოს.

ნაკვალევი

თითქოს ნავი ვარ, რომელიც დადგა
და დაინისლა თავთხელა წყალში,
შენ ნუ იჩქარებ, ნუ მაქცევ დარდად.
მალე აღვადგენ დიდ წყალთან
კავშირს.

და შემდეგ ერთად ავუყვეთ ალმა
(იქ წეროები იფრენენ ცაში).
შემდეგ წამოვა ცრემლების წარღვნა
და ჩვენს ნაკვალევს პირწმინდად
წაშლის.

მონაცვლეობა

ვერ გავიტანე, ვერ იქნა, ლელო
და ცამ მრავალგზის გადამიგრგვინა,
რადგანაც გველი გარედან ჭრელობს,
ძე ადამის კი ჭრელობს შიგნიდან.

და ნათვალევი მეც დამყვა მთვარის —
ყოფნა-არყოფნის მარადი ლანდი,
მაინც რამდენი ზიგზაგი არის
სინამდვილიდან იმ ოცნებამდის.

უკანდახევა, ხანაც შეტევა, —
ეს არის კაცის ყოფა ორფერი
და მდევს კვალდაკვალ, განუწყვეტელად
ჩემი ცბიერი მეფისტოფელი.

მითხარ, ცხოვრებას რა ჰქვიან მგოსნის,
რას ნიშნავს მაინც დაცინვა იღბლის,
როცა მასხარა და კომიკოსი
თვით ტრაგიკოსის მხვდებიან ნიღბით?!

წუთისოფელი ბასრი ცელია
და პირწმინდად რომ გვცელავს,
რად გიკვირთ?!.
და ვინც გაჩენას ვერ გაქცევია,
ვერ გაექცევა იგი თვით სიკვდილს.

და გარიყული ცხოვრების მიღმა,
ვარ თუთიყუშის ბედის მსურველი
და მონაცვლებით ვატარებ ნიღაბს
ბრძენის, თაღლითის, გიჟის, სულელის.

და დავალ ასე მთვარის იარით,
ცხოვრებით მრუდით,
ცხოვრებით მართლით,
სად დასაწყისი და სად ფინალი
არის ნაცნობი სუყველასათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

გვიანი რეკვიემი

> მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო, იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდახან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს...
>
> ნიკოლოზ ბარათაშვილი.

არის საგანი — თვალის მოკვრითაც კი უმალ გაგონებს ნანახ თუ გაგონილ შორეულ ამბავს. ჩემთვის ასეთია სანადირო ერთლულიანი თოფი. საკმარისია დავლანდო და მაშინვე თვალწინ გამიელვებს ორი მკვლელობა და კაეშანმოძალებულ სულს მიფორიაქებს ჩემივე ყმაწვილკაცობისდროინდელი შეკითხვა: რატომ, რატომ, რატომ?!

ეშმაკმა უწყის, ღმერთმაც უწყის, რამდენი სისხლია დაღვრილი ადამიანის გაჩენიდან დღემდე — უცოდველი და ცოდვილი, ბრალიანი და უბრალო. სისხლითაა მორწყული კაცობრიობის გზა და... კვლავ იღვრება, იღვრება და იღვრება.

მე ფრონტული დიდი გზა გავიარე და, ბუნებრივია, ჩემი თვალითაც ბევრჯერ ვნახე, ადამიანი ადამიანს რომ კვლავს, მაგრამ ადამიანი ადამიანს მხოლოდ ომში როდი ესვრის ტყვიას! რამდენჯერ დავფიქრებულვარ რისთვის იმეტებს ერთი მეორეს მოსაკლავად არა მარტო ომში, სხვა დროსაც?!

გასაგებია, როცა ადამიანი ბუნების წესით, თავისი დღით ეთხოვება წუთისოფელს, მაგრამ როდესაც კაცი კაცსა კლავს, ხშირად ეს შემაძრწუნებელი გაუგებრობაა, თავზარდამცემი. არის ადამიანი — პროფესიით ჯალათი. ზემდგომი ჩინოსანის განკარგულებით უსწრაფებს სიცოცხლეს მავანს, მაგრამ ისეთიც ხომ არის, ამას თავისი ნებით რომ სჩადის გონმიუცემლად თუ გამიზნულად. თანაც, რა დამნაშავეც უნდა იყოს, თავის ჩადენილ ცოდვას ან სხვას აბრალებს, ან — იძულებას — შემომაკვდაო, აქაოდა, მე მართალი ვარო. არის ადამიანი, უფრო სწორად — მხეცი-ადამიანი, სადისტური სიამოვნებით რომ უსწრაფებს სიცოცხლეს მეორე ადამიანს...

თუ მხეცი მეორე მხეცს შესაჭმელად კლავს, თვითონ შიმშილით რომ არ მოკვდეს, ადამიანი კლავს მხოლოდ იმიტომ, რომ სამზეოს გამოასალმოს.

ადამიანს დამბადებელმა, ბუნებაა თუ ღმერთი, გონიერება მისცა, მხეცს — არა. ამიტომ გამხეცებული ადამიანი ყოველგვარ მხეცზე უარესია. ყველაზე საშინელია სწორედ ასეთი — სისხლის წყურვილით მთვრალი ადამიანი, სულ ერთია, თავისას სვამს თუ სხვისას.

მავანს გინდა ბუზი მოუკლავს და გინდა ადამიანის შთამომავალი, თანაც ყოვლად გაუმართლებლად. აქ ისმის კითხვა: არის კი სიცოცხლის ღირსი ასეთი ვაი-ადამიანი?!

ხდება ხოლმე: მკვლელი და მოკლული, მსხვერპლი და მომსხვერპლე ერთ სასაფლაოზე ნვებიან, გვერდი-გვერდითაც კი. რა არის ეს, პარადოქსი თუ ბედის განაჩენი ან ბედისწერა?

ომი თავისთავად მკვლელობისთვისაა გაჩენილი და მაშინ ნანახი ბევრი მკვლელობა დავიწყების ბურუსში გაეხვია, მაგრამ ჯერ კიდევ ყმაწვილმა ვნახე ორი მკვლელობა, დრო-ჟამმა მეხსიერებიდან რომ ვერ ამომიშალა. ეს ორივე მკვლელობა სანადირო თოფის დაუნახავადაც ხშირად მახსენებს თავს და მას შემდეგ, რაც მწერლობას მოვკიდე ხელი, კალმის წვერზე მიზის და მეხვეწება — დამწერეო, იმ ორ მკვლელობას რაღა ეშველება გვიანი, შორეული რეკვიემით, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგება სხვებს მაინც ჭკუის სასწავლებლად წაადგესო.

მცირემინიან რაჭველთა უმრავლესობა საშოვარზე დადიოდა მთების გადაღმა, ზოგი ოკეანის მიღმაც. ჩემი სოფელი წესი რაჯაშია. მამაჩემი ძალიან შორს არ წასულა საშოვარზე, კავკასიონის ქედის გადაღმა კავკავში მეპურეობდა. 1929 წელს, გაზაფხულზე, მე ექვსისა რომ ვიყავი, მამაჩემმა ისმაილმა ბაბუაჩემ სამსონს შემოუთვალა: ცოლშვილი გამომიგზავნეო. ბიძაჩემმა წაგვიყვანა კავკავში: დედაჩემი ოლღა, ჩემი უფროსი ძმა, ვასილი, და დები — თინა და ნათელა. წამოგვყვა მამიდა ლუბაც. მაშინ გრძელი გზა იყო რაჭიდან კავკავამდე. ქუთაისის, თბილისის და ბაქოს გავლით ვიმგზავრეთ. აღარ მახსოვს რამდენ დღეს და მივადექით მამაჩემს.

ორი ოთახი დავიქირავეთ ხინჩაგაშვილი ალექსის დიდეზოიან სახლში. ამ ორ ოთახს შუაში საკარე ჩარჩო ჰქონდა დატანებული, ოღონდ კარი არ ება.

მამიდაჩემი ლუბა გაეცნო ქალაქს და გაბრუნდა შინ. ერთი წლის შემდეგ, 1930 წლის აგვისტოში მეც დავბრუნდი სოფელში. ჯერ ერთი, არ მომიხდა კავკავი, და, მეორეც, ბაბუაჩემს ეწადა, ერთი შვილიშვილი მაინც ჰყოლოდა შინ. სწორედ იმ შემოდგომაზე ჩვენს სოფლში გაიხსნა სკოლა და შვიდი წლის ბიჭუნა პირველ კლასში შემიყვანეს.

1932 წლის თებერვალსა თუ მარტში ბაბუამ ისევ კავკავში წასასვლელად გამამზადა. უმცროსმა მამიდამ, ლუციამ (მოგვიანებით გავიგე, ძველი კოლხური სახელი რქმევია), 16-17 წლისა რომ იყო, აიჩემა, ჩემი უფროსი და თუ იყო კავკავში ძმასთან, მეც რომ გამასეირნოთ, ქვეყანა ხომ არ დაიქცევაო. დედ-მამამ უარი ვერ უთხრა და ისიც წამოგვყვა.

კავკავში ჩვენებურები მრავლად ცხოვრობდნენ, რა თქმა უნდა, სხვა რაჭველებიც. ზოგი მეპურეობდა, ზოგი მზარეულობდა, ზოგი დურგლობდა.

იქ იყო ჩვენი სოფელი შალიკოც — საბა მერკვილაძის უმცროსი ვაჟი.

შალიკომ ლუციას თვალი დაადგა და... ერთ დღეს ჩვენს ოჯახში შეიკრიბნენ ჩვენებურები და სხვა რაჭველებიც, ასე ვთქვათ, ცოლქმრობის ამბის გასარიგებლად. მაშუავლობდა ვასო ბოჭორიშვილი, ეხმარებოდა ვარლამა გოგობერიშვილი. სუფრას უსხდნენ აგრეთვე ანთიმოზ და ვალოდია გოგობერიშვილები, ვარლამას მამა არჩილა და სხვები.

ნაბოლარა და ნათელა ცოცხალი აღარ დამხვდა. ხოლო მე და თინა, აგრეთვე თინაზე ერთი წლით უფროსი ვარლამას გოგოლენა მეორე ოთახში გაგვიყვანეს, სადაც გვაძინებდნენ ბავშვებს. იქ ვთამაშობდით, სუფრასთან უფროსებმა რა ილაპარაკეს, ბავშვებს, რა თქმა უნდა, არ მოგვისმენია. [illegible] დააწვინეს. მე კი არ ვისურვე ჯერ დაძინება და იქვე, სანოლთან თამაში განვაგრძეთ მე და ლენამ.

ის-ის იყო თინამ დაიძინა, წინა ოთახში გაისმა სროლა და კივილი. ლუცია ჩვენს ოთახში შემოვარდა, შალიკო ნაგანით მოსდევდა. ლუციამ ლოგინს მიაშურა, ალბათ, გაიფიქრა, ბავშვის მოერიდება და არ მესვრისო, თინას საბანს წაეტანა რომ შიგ გასუსულიყო, მაგრამ ვერ მოასწრო. შალიკომ კიდევ ესროლა სამჯერ, ლუცია ჯერ საბანზე დაემხო, მერე სანოლიდან გადმოვარდა, წამოიმართა, უნდოდა კედელს მიყრდნობოდა ზურგით, მაგრამ... კი არ ჩაიკეცა, ჩაჯდა, თანაც ისე უხმოდ, ერთი „ვაიდედაც" არ წასცდენია. ეს ყველაფერი წამისწამ მოხდა. უცებ ნათურა ჩაქრა. სიბნელეში კვლავ გაისმა სროლა. მეორე ოთახში ატყდა ყვირილი და სინათლე ისევ აინთო.

ლუცია თავჩაქინდრული იჯდა კედელთან და პირიდან ორტოტად სდიოდა სისხლი. აღარ ინძრეოდა. ფიცრის იატაკზე, მუქწითლად რომ გვქონდა შეღებილი, სისხლის დიდი გუბე იდგა და შიგ ელექტროშუქი უცნაური ციმციმით ელვარებდა. მე ყურთან თმა მქონდა გარუჯული. ეტყობა, მამიდაჩემს რომ ესროლა შალიკომ, ერთმა ტყვიამ ჩემსა და ლენას შუა გაიქროლა (ბავშვები ხომ გაოგნებული ვიდექით იმ წუთას), ლენას ასცდა, მე კი საფეთქელთან გამიარა და მხოლოდ თმა გამირუჯა.

საბანში, თინას რომ ეხურა, ორი ტყვია იპოვეს. რომ გაელწია, ვარაუდით, ერთი, ალბათ, თავში მოხვდებოდა, მეორე მუცელში.

მამიდას ერთი ტყვია მკერდზე ჰქონდა დახლილი, ზედ მარცხენა ძუძუსთავთან. მისმა დაღვრილმა სისხლმა ის სამუდამოდ დაადუმა, სტუმარ-მასპინძლები კი ააზრიალა. ატყდა წივილ-კივილი, მოთქმა და ვაიუშველებელი.

ბავშვები სასწრაფოდ გაგვხიზნეს ხინჩაგაშვილებთან.

მე ვიგრძენი, რომ მოხდა დიდი უბედურება — მომიკლეს მამიდა, მაგრამ რატომ, ეს კი ვერ გამეგო. ვკითხე დედას, პასუხი არ გამცა თუ ვერ გამცა, მხოლოდ ამოიგმინა.

— რატომ, რატომ, რატომ მოკლა ბიძია შალიკომ მამიდა ლუცია? — რამდენჯერმე ისევ გავიმეორე.

დედამაც რამდენჯერმე კვლავ ამოიგმინა, ბოლოს ჩამიხუტა და მოთქმით მითხრა:

— დაიძინე, ბიჭო, დაიძინე! არც მე ვიცი, რატომ მოკლა და შენ რა გითხრა? დაიძინე, დაიძინე!..

ჰაუუუ, რა შორს დარჩა ის წყეული ღამე და მაშინდელივით ისევ ვკითხულობ:

— რატომ, რატომ, რატომ მოკლა შალიკომ ლუცია?!

მაშინ დედამ ვერ გამცა პასუხი. მაგრამ მერეც ევრ გამარკვია დროკამმა და სამოც წელს გადაცილებული კაცი უწინდლურად ვეკითხები ჩემსავე თავს:

— რატომ, რატომ. რატომ მოკლა ბიძია შალიკომ მამიდა ლუცია? საერთოდაც. რატომ კლავს ხოლმე ადამიანი ადამიანს? რა მოხდა მაშინ ისეთი, საცოლე ბიჭმა გასათხოვარი გოგო ასე უღმერთოდ რომ გაიმეტა და ტყვია დაახალა სწორედ იმ ძუძუსთან, დედის ძუძუდ რომ უნდა ქცეულიყო, ახალი სიცოცხლე გაეჩინა და გაეზარდა, ეგებ მისი შვილებიც, ვინც ასე ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე?!

იმ ღამეს მე მამიდაჩემის დაღვრილი ცხელი სისხლის ოხშივარი შევისუნთქე. ეს იყო ჩემი ნანახი პირველი სიკვდილიც, აქამდე რომ სულს მიფორიაქებს.

ადამიანი რომ დაიღუპება, მანამდე ნათქვამი მისი ყოველი სიტყვა თუ საქციელი სხვანაირად გვიცნობიერდება. უფრო ხშირად წინათგრძნობად აღვიქვამთ, ასე ვთქვათ, ბედისწერის წამოყივლებად, თითქოს არსებობს სიკვდილის ან დიდი ხიფათის წინასწარი იდუმალი ხილვა, მაგრამ ის ისე უბრალოდ ითქმის ხოლმე, იმ წუთას არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. სამაგიეროდ, უბედურების დატრიალებისთანავე აღმოვაჩენთ, რომ ეს ყოფილა წინასწარმეტყველური მინიშნება ბედისწერისა. მოსალოდნელის ჭვრეტით თუ აღთქმით ნაკარნახევი განწყობილების ქვეშეცნეული, იდუმალი გამოხატულება. ახლაღა ვახერხებთ მის ახსნას, თანაც მისტიკურად.

იმ დღეს ლუცია ვარლამას ოჯახში იყო სტუმრად და მთელი საღამო ჩამავალ მზეს გაჰყურებდა. მარჯვენა იდაყვი ფანჯრის რაფაზე დაეყრდნო და ნიკაპი ხელის გულზე ჩამოედო. მზე რომ ჩაიწურა, ფანჯარას მაინც არ მოშორდა, კვლავ სადღაც შორს, ცის მიღმეთში იყურებოდა დაფიქრებული. კვკავი მაშინ, გარდა ერთი მთავარი ქუჩისა, ბულვარს რომ ეძახდნენ, ერთსართულიანი ქალაქი იყო. სახლების ფანჯრები დარაბებით იხურებოდა შებინდებისთანავე. მზე რომ ჩავიდა, ვარლამის მეუღლემ, ოლიამ, დარაბების დახურვა მოინდომა და ლუცია შეემუდარა:

— შენი ჭირიმე, ხომ ხედავ, ჯერ მთლად არ დაღამებულა და ნუ დამიხურავ ფანჯარას, შენ რა დაგაკლდება, მე რომ დღის სინათლეს ცოტა ხანსაც ვუყურო.

შინ წასვლის დრო რომ დაუდგა, დაეზარა და ფეხს ითრევდა, მაგრამ სტუმრად დარჩენაც ეუხერხულა: ჩემი ძმისშვილ[illegible]ლებაა და მე რომ იქ არ ვიყო, ვაითუ ეწყინოსო.

მეორე დღეს და შემდეგაც ხშირად იხსენებდნენ ლუციას ნათქვამს, ოლიას დარაბების დახურვა რომ დაუშალა, და დასძენდნენ: ადრე უგრძვნია, ეს მისი უკანასკნელი მზის ჩასვლა და უკანასკნელი დღის სინათლის ყურება რომ იყოო.

ეგებ მართლაც არსებობს წინათგრძნობა? ხომ ამბობენ: ტანი მიგრძნობდაო ან გული შემომჩიოდაო?

ანდა: ეგებ მერე ვნათლავთ ამგვარ რამეს წინათგრძნობად?

ასე იყო თუ ისე. მამიდაჩემმა ჩამავალი მზე ნახა და ამომავალი — ვეღარ... ცის თვალის გახელას ის სამუდამოდ თვალდახუჭული დახვდა.

იმ დღეებში მე ისიც გავიგონე, რომ შალიკოს ერთი ავი ზნე სჭირდა: ფხიზელიც კი ჩხუბის მიზეზს ეძებდა მუდამ, ხოლო ღვინოს თუ დალევდა, მეტად ჭირვეულობდა ყველგან. მისი ავი ზნის მცოდნეებმა ისიც იცოდნენ, ნაგანი რომ ედო ჯიბეში და უშლიდნენ ამხანაგურად: მაგ ეშმაკის მოგონილს ნუ დაათრევ, ხიფათს გადაეყრებიო. მაგრამ ყურს არავის უგდებდა. იმ ღამესაც, სანამ თამადა სადღეგრძელოს იტყოდა, რამდენჯერმე აუწევია ჭიქა თავისით და უცხაურად ნამოუძახნია:

— მისი ხსენებისა იყოს. ვინც ამაღამ მოკვდესო! — და ჭიქა წაუქცევია ჰურზე.

ეტყობა, მოქეიფეებს ეგონათ, ეს უბრალოდ ეკვიატაო, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის აქ მარტო ღვინის დასაქცევად კი არა, სისხლის დასაღვრელადაც რომ ემზადებოდა.

მე ალბათ სიკვდილის მეტი ვერაფერი დამავიწყებს იმღამინდელ სურათს. თავჩაქინდრული ზის თეთრ კედელზე ბეჭებით მიყუდებული 17 წლის ქალიშვილი, სიყვარულისა და ალერსისათვის დაბადებული და, რაც მთავარია, სადედაოდ გაჩენილი, ზის და მის წინ სისხლის გუბე დგას და იმ გუბეში სიკვდილი ხარობს უხმო სიცილით. გაციებულია ის ტუჩები, ვაჟკაცის მხურვალე კოცნა რომ უნდა ეგემა და თვითონაც დაეტკბო ვაჟკაცი, გაციებულია ის ქორფა სხეული, მამაკაცი ნეტარებით რომ უნდა გაეთბო, თვითონ მამაკაცმა გააცივა ცხელი უგუნური ტყვიით...

დაქცეული სისხლის ანონვა ყოვლად შეუძლებელია, როგორც ვერ ანონი დარბეული სიცოცხლის ბუდეს... უგუნურებას ემსხვერპლა სიცოცხლის სიკეთე და სილამაზე... შალიკომ ლუცია მოკლა გაზაფხულზე, როცა ბუნება იღვიძებს და მოკლა იმ ასაკში, როცა გოგო თვითონაც გაზაფხულსა ჰგავდა. კოკორ ვარდს, ასაყვავებელს...

ქართული ენციკლოპედია

როცა გაუთხოვარი გოგო კვდება, ეს ხომ ერთი სიცოცხლის სიკვდილი არაა. სამზეოდან მიდის ხვალინდელი დედა, ისაობა ბუდე, რომელშიც მრავალი სიცოცხლე უნდა გამოჩეკილიყო... და ემმაკმა უწყის, უგუნურმა ტყვიამ ერთბაშად რამდენი სიცოცხლე მოკლა იმ გოგოში, მომავალ დედაში.

ახლა კი სიცოცხლის გასაამრავლებლად გაჩენილი ბუდე ნაადრევად უნდა დაიმარხოს მინაში.

დაწყეველილი კაცია სიავე! ვინ უწყის, რამდენი სიცოცხლის და სიყვარულის ბუდეს ანგრევს ასე!

ამას ახლა ვნაღვლობ, თორემ ცხრა წლის ბიჭმა მაშინ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მოგიკლეს, მამიდა. ოღონდ. რატომ, ეს ვერ გამეგო.

და მე ახლაც ისევ ჩამესმის ჩემივე მაშინდელი ბავშვური გაოცების ხმა: რატომ, რატომ?! და დღეს პასუხს კვლავ ვეძებ, ოღონდ მეტი კაეშნით: რატომ გონებას არ მოუხმობს ადამიანი, როცა ვინმეს მოსაკლავად იარაღს ჰკიდებს ხელს? რომ კლავს, ვის კლავს? დედამ, ვინ იცის, რა ნამებით დაბადა, რომ მზე დაენახვებინა, რამდენი იჭირვარამა მისი მოვლით, რამდენი იდავიდარაბა მის გასაბრდელად, თვითონ იქნებ შიოდა და შვილს კი ლუკმას არ აკლებდა, თვითონ იქნებ სციოდა, შვილს კი სითბოს არ ულევდა, ავად თუ გაუხდებოდა, ღამეებს უთევდა, და როცა იგულისგულა, ამიერიდან აღარაფერი უჭირს, უკვე მოწიფულია და გაინავარდოს, მალე თვითონაც დედა უნდა გახდესო, შენ გონმიუცემლად შემართავ ნაგანს, გამოჰკრავ სასხლეტს თითს და... ტყვიებით დაცხრილავ იმ მკერდს, ორიოდე წელიწადში ჩვილი რომ უნდა ჩაეხუტებინა, იქნებ შენი შვილიც...

რატომ, რატომ და ათასჯერ რატომ?!

ისეთი რა დააშავა ჩვიდმეტი წლის გოგომ, სასიკვდილოდ რომ გაიმეტეს? ჰქონდა შალიკოს ამის თუნდაც წვეთი მიზეზი?!

საბედისწერო ამბამდე ორიოდე დღით ადრე ერთ წვეულებაში (კაკკავში ჩვენებურები ერთად თავშეყრის მიზნით წვეულებებს ხშირად წართავდნენ), ბაბუაჩემი, მამაჩემი და ხუთიოდე სხვა კაცი რომ უსხდნენ სუფრას, შალიკოს უთქვამს ბაბუაჩემისათვის: შენი უფროსი ქალიშვილი ლუბა მინდოდა და სხვას გაპყვა, უმცროსი მაინც მომათხოვეო. ბაბუაჩემს აღრინდელი ამბისა არაფერი სცოდნია. თურმე ერთხელ ჩვენი ოჯახის ნათესავის, არქიფო გოგობერიშვილისათვის შალიკოს უთხოვია. სამსონ გეწაძის ქალიშვილი ლუბა გაძირიგეო, არქიფო ჯერ შალიკოს მაბასთან, საბასთან სისულა: შენს ბიჭს სამსონ გეწაძის ქალიშვილი ლუბა მოსწონებია, სამაშუამავლოდ მაგზავნის და ... საბას ქვა აუგდია და თავი შეუშვერია. არ გამაგონოთ, რა დროს მაგის ქალის მოყვანაა, უთხარი. რომ სამსონი ჯერ ქალიშვილს არ ათხოვებს და უარი შემოგითვალა-თქო. გავიდა ცოტა ხანი და შალიკომ გაიგო: ლუბა სამსონის კარის მეზობელს, ხოვეთისუბნელი იუსტი მაისაშვილის ცოლისძმას, ფარახეთელ ლავრენტი ერაძეს უთხოვია. გული დახწყვეტია და არქიფოსთვის უსაყვედურნია: რატომ მომატყუე. რომ სამსონ გეწაძე ჯერ ქალიშვილს არ ათხოვებს, მაშასადამე, მე სიძედ დამიწუნაო. არქიფოს მაშინლა გაუმხელია, რომ მისი მაშუამავლობა მამამისმა საბამ ჩაშალა. დიახაც მოსვლია მამამისზე გული. მაგრამ ჩავლილ ამბავს, მდინარისა არ იყოს. უკან ხომ ვერ დააბრუნებდა, შერიგებია ბედს მაშინ. ახლა კი შალიკოს მეორე ქალიშვილის ხელი უთხოვია ბაბუაჩემისათვის. ბაბუაჩემს უარი არ უთქვამს. მამაჩემს შეჰკითხვიან: მე ყაბულსა ვარ, ოღონდ, თვითონ ლუციასაც ვკითხოთო.

მერე ჩვენთან გაიმართა ვახშამი და შალიკოც გვეწვია თავის მაშვალ ვასო ბოჭორიშვილთან ერთად: ბარემ გადავწყვიტოთ ჩვენი ამბავიო.

როგორც ადრევე დათქვეს, ჰკითხეს გოგოს: ასე და ასეა ამბავი და შენ რას გვეტყვიო?

აბა, რომელი თავმოყვარე გოგო იზამს, რომ ხელის თხოვნაზე ერთი პატარა უარი მაინც არ თქვას ყასიდად, ქალური მოკრძალებით, თუნდაც საქმრო ძალიანაც მოსწონდეს. ლუციას წყნარად უთქვამს: ორიოდე კვირის ჩამოსული ვარ კავკავში, აქაურობისა არაფერი ვიცი, გავიხედ-გამოვიხედავ, ცოტა რუსულსაც ვისწავლი... ქუჩის ქალივით უცებ ხომ არ წავყვები კაცს, თანაც ჯერ პატარა ვარ, ადრეა ჩემი გათხოვება, ერთი წელიწადი თუ მომიცდის, პირობას ვაძლევ, სხვას არავის მივთხოვდებიო. მხოლოდ და მხოლოდ ეს ჩვეულებრივი ქალიშვილური უარი უთქვამს ლუციას, სხვა არაფერი.

კაცმა რომ თქვას, მართლაც ორიოდე კვირა იყო, რაც გოგოს ბიჭი ენახა, რიგიანად არც იცნობდა, ჰოდა, უმალ ხომ არ დათანხმდებოდა წაყოლაზე?!

სათქმელი ითქვა უდავიდარაბოდ და ქეიფი ჩვეულებრივ გაგრძელდა. შალიკო ღვინოს მიეძალა. ნაქეიფარი სტუმარ-მასპინძლები ეზოში გავიდნენ, გაპყვა შალიკოც. შინ დავრჩით ბავშვები, დედაჩემი და ლუცია. დედაჩემი სუფრას დასტრიალებდა თავს. შალიკო მალე შემობრუნდა და დედაჩემს უთხრა: ქალს ჯერ არ მატანთ, არ მატანთ, ჩემი ფული მაინც მომეციეთ!

შალიკოს დანაზოგი ფული დედაჩემისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ჰქონია მიბარებული. მაშინვე მისცა სრულად. შალიკომ ნაწილი აიღო, დანარჩენი დივანზე დაყარა. დედაჩემმა აკრიფა და ხელახლა დაითვალა: ამდენი და ამდენია, რაკი შეტი ჯერ არა გქონდება, ამას შეგინახავო. ლუცია შუაკარში იდგა დედაჩემის შალმოხურული და მკლავები ისე ჰქონდა აწეული, თითქოს ჩარჩო უჭირავსო, მარჯვნივ თავგადახრილი ცარიელ სუფრას უყურებდა.

შალიკომ უცებ შიგნიდან ჩაკეტა შემოსასვლელი კარი, ნაგანი დააძრო და ლუციას ესროლა. დედაჩემი მყისვე ხელებში ეცა, ბაგრამ შალიკო ჩასკვნილი კაცი იყო, მსხვილმკლავება. ღონიერი, ქალი რას მოერეოდა, წამისწამ მოიშორა და ლუციას დაედევნა... ნაგანის შვიდივე ტყვია დასცალა და, რა თქმა უნდა, არ დაუცდია იმის დასანახად, როგორ დაეცა ლუციამ სული. არც იმის გაგება უცდია, სხვაც ხომ არავინ მოკალიო, ჩამქრალი სინათლით ისარგებლა და გავარდა გარეთ.

ეზოში მყოფნი უმალ მიხვდნენ, რომ შალიკომ ოჯახში თავქარიანულად რაღაც უბედურება დაატრიალა და მოინდომეს მისი დაჭერა. ყველას გაუსხლტა ძახილი:

— არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ ახლა! ვისაც ჩემი ნახვა ენდომება, მეძებოს ამა და ამ დუქანშიო! — და გავარდა ქუჩაში კუტკარით.

რაკი შალიკოს დაჭერა ვერ შეძლეს, ყველანი სახლში შემოცვივდნენ ამბის გასაგებად. გაქცეულს მხოლოდ ჩემი ძმა გაედევნა ღრიალით (მაშინ ცამეტი წლისა იყო და ვაჭკაცობდა უკვე). ეტყობა, ჩვენიანთა ყვირილმა ქუჩაშიც გააღნია უმალ და იქ ხალხი ანაზდეულად დადგა ფეხზე. დაინახეს, ვიღაც თავქუდმოგლეჯილი გარბის, იფიქრეს: მაშასადამე, ალიაქოთის ამტეხი დამნაშავეაო, და დაიჭირეს... ჩემი ძმა. სანამ სინამდვილეს დაადგენდნენ, ამასობაში, ეტყობა, შალიკომ სიბნელეში ისარგებლა (მაშინ ქუჩები არ ნათდებოდა) და გაუჩინარდა.

ძმა შემოვარდნილმა ბაბუაჩემმა დაინახა ლუცია. პირიდან სისხლი ისევ რომ სდიოდა და წინაც სისხლის გუბე ედგა და მხოლოდ ეს იკითხა: იმ ნადირს სხვაც ხომ არავინ მოუკლავსო.

ანთიმოზა გოგობერიშვილი გაიქცა მილიციაში. მალე მოვიდა მილიციის უფროსი, ქართველი იყო, ლობჯანიძე. გამოიკითხა, შალიკოს რა ეცვა, რა ეხურა, რანაირი გარეგნობის კაციაო. აუწერეს. ისიც უთხრეს, თვითონ მოგვაძახა, ამა და ამ დუქანში მეძებეთო. ლობჯანიძე გაიქცა. მალე მოვარდა ჯვრიანი მანქანა და ცხედარი წაასვენეს.

შალიკო მილიციას მართლაც იქ დახვდა, სადაც დაიბარა. ასე რომ, მისი დაჭერა არ გასჭირვებიათ. თურმე [illegible] მარტო სვამდა.

ჩვენი ოთახის კედელი (სადაც ლუცია ჩაჯდა) ორგან იყო გახვრეტილი. ერთხანს აჩრდა ეს ნატყვიარები, მერე დედაჩემმა ამოგლისა და კირით გაათეთრა. ვინ იცის, ეგება ერთერთი ის ტყვია იყო იქ მოხვედრილი, ვარლამის გოგოს ლენას რომ ასცდა და მე თმა გამირუჯა თავსა და ყურს შუა?!

ცხედარი ბავშვებს მხოლოდ მესამე დღეს გვაჩვენეს. ეზოში ორ ტაბურეტზე დადეს წითლად შეღებილი კუბო (ეტყობა, ასე ამჯობინეს, რაკი გაზაფხულის მზიანი დღე იყო).

აი, წამიერად კვლავ გამიელვა მაშინდელმა სურათმა. კუბოში იმდენი ყვავილი ყრია, მიცვალებულს პირისახელა უჩანს. არ ვიცი, ვინ მოიტანა ამდენი ყვავილი მაშინ. როცა გაზაფხული ესა-ესაა ფეხს იდგამს. ყვავილებში სისხლისფერი სჭარბობს, თუმცა, შავიც ბევრი ურევია. ეზოში ალუბალი ჰყვავის, მაღალი მსხალი — ჯერ არა. მზე და თეთრკაბიანი ალუბალი დაჰყურებენ ცხედარს — საპატარძლო გოგოს. ბუნება ხარობს. მისხლადაც არ ედარდება არც ცხედარი, არც მისი ჭირისუფალი, ბუნებას არ სცალია ადამიანის კაეშნის გასაზიარებლად. ის მხოლოდ გვიან შემოდგომაზე ჰგავს ხოლმე მგლოვიარეს, როცა განიძარცვება. ახლა კი სიცოცხლის ახალი აფეთქების ფამი უდგას და თეთრ ღიმილად პირგაბადრული ალუბალი დასცქერის ნაირფერი ყვავილებით სავსე კუბოს, რომელშიც უმანკო ქალიშვილი ნევს — ტყვიით გულგახვრეტილი.

ვინც კი სამძიმარზე მოდის, ყველა თითქმის ერთსა და იმავეს იმეორებს:

— ცოდვაზე ცოდვა არ არის ამ უცოდველი ანგელოზის ასე ნაადრევად ცოდვილ მიწაში ჩაწოლა?

— ეს მზეთუნახავი იმ მხეცმა ძოსაკლავად როგორ გაიმეტა?!

— ერთობ მძიმე ცოდვა უტვირთია, ერთობ მძიმე, სხვა თუ არაფერი. ეს ცოდვის ტვირთი გასრისავს!

მავანი ამბობს, გულქვა ყოფილაო, მავანი — რეგვენიო, მავანიც — უგულოო. წყეულაკრულვას უგზავნიან შალიკოს.

ზოგი ამასაც ამბობს:

— ბედისწერას ჩამოუყვანია აქ, ბედისწერას, თორემ ეს საცოდავი იმ სიშორიდან კავკაზში სასიკვდილოდ რამ წამოიყვანაო.

ბავშვები სასაფლაოზე არ წაგვიყვანეს და მე არ მინახავს, ლუცია როგორ დაკრძალეს, ვინ როგორ დაიტირა, არც მერე მინახავს მისი საფლავი. მოგვიანებით კი გავიგე: ის სასაფლაო გაუქმებულა. ბალად უქცევიათ, ასე დაგვეკარგა სამუდამოდ ულვთოდ დალუპული მამიდაჩემის საფლავიც.

იმ დღეებს რომ ვიგონებ, სამძიმარზე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთა სიტყვების გარდა თვითონ ლუციას ხმაც მესმის:

— ჯერ ნუ დამიხურავთ ფანჯრის დარაბებს, თქვენ რა დაგაკლდებათ, დღის სინათლისათვის ცოტა ხანსაც მაყურებინეთო!..

და იმ ხმას ჩემი მაშინდელი შეკითხვა მოსდევს:

— რატომ მოკლა ბიძია შალიკომ მამიდა ლუცია, რატომ, რატომ, რატომ?

შალიკოს ნასროლმა ტყვიამ ლენა გოგობერიშვილს გამოუქროლა, მე კი მხოლოდ თმა გამირუჯა, ორიც ჩარჩა იმ საბანში, ჩემ დას თინას რომ ეფარა. სამი ბავშვი დაგვინდო ტყვიამ და მხოლოდ ლუცია იმსხვერპლა.

ეგებ ეს სიკვდილი მართლაც განგების მოვლენილ ბედისწერას მიეწეროს, მაგრამ მე ახლა სხვა რამესაც ვფიქრობ: ეს თვითონ ადამიანის უგუნურების ბრალიც იყო, იმ ადამიანის, ტყვიით რომ ეძებს რაღაცას.

მე ისე არაფერი მძულს, როგორც თოფ-იარაღი. ომის გარდა, როცა გაჯარისკაცებული იძულებული ვიყავი მჭეროდა, თოფი არასდროს მისროლია, ტირშიც კი. ამჟამად რომ ვუფიქრდები, მგონია, რომ იარაღისადმი სიძულვილი სწორედ იმ ღამეს ჩამისახლდა სულში, მამიდა რომ მომიკლეს, ოღონდ, ამის გაცნობიერება ყმანვილს მაშინ არ შემეძლო.

შალიკოს რომ ასამართლებდნენ, დარბაზი გაჭედილი იყო თურმე. გარეთ განცხადებაც კი გამოუკრავთ — სასამართლო ღიააო. რვა წლის ციხე მიუსაჯეს. ყველა მკვლელი ცდილობს თავი იმართლოს რაღაცნაირად. შალიკოც ასე მოქცეულა, უთქვამს: სამსონ გენაძის უფროსი გოგოს თხოვა მინდოდა და გამაწბილეს, უმცროსი უცებ შემიყვარდა, ამანაც უარი გამიცხადა და იმიტომ მოვკალი.

რა ფუჭი თავისმართლებაა!

თუ შალიკოს ლუცია ნამდვილად შეუყვარდა, ეს თავისი ნამდვილი სიყვარული მოკლა ასე გონმიუცემლად, ერთი ყასიდად, ქალური თავდაჭერილობით თქმული უარის გამო? საერთოდ, შეიძლება ჭკუათმყოფელმა ადამიანმა მოკლა ადამიანი, ვინც გიყვარს, თუნდაც მან შენი სიყვარული არ გაიზიაროს? ვითომ რატომ, რატომ, რატომ? რა არის ეს? მართლა სიყვარული თუ სიგიჟე? იცოდა კი ტყვიის მსროლელმა რა იყო ნამდვილი სიყვარული? თუ ჭეშმარიტად შეუყვარდა გოგო, რატომ ჰქონდა ნაგულები წინასწარ გატენილი ნაგანი, რატომ? მაშასადამე, ჯიბეში ნაგანი იმიტომ ედო, რომ გულში ედო გოგოს მოკვლის ავი ზრახვა ადრევე. თვითონ ხომ ყველაზე უკეთ იცოდა თავისი ჭირვეული ხასიათი, ის ნაგანი შინ რომ დაეტოვებინა, მაშინ ხომ აიცილებდა უგუნურ მკვლელობას და, ვინ იცის, ცხოვრებაც და მისიც კეთილად დაგვირგვინებულიყო.

წამოგყვებოდა, შალიკო, ის გოგო. იცხოვრებდით ერთად, ერთი უღლით გაიელდით წუთისოფელს... არ წამოგყვებოდა და... სხვა გამოგიჩნდებოდა, ეგებ უკეთესიც... რიგიანად არ გიცნობდა, რაღაც ორი კვირა იყო, რაც შეგხვდა, მეტი ხომ არა?!

თუნდაც უარი ნამდვილად ეთქვა, არც ამისათვის უნდა მოგეკლა, არა!

ისიც დაღუპე და შენც... შენც ვერ გაიხარე!

ლუციას ქვეყნიერებაზე სიარული და გახარება უნდოდა, ამიტომაც ვერ უთხრა უარი მამამ და გრძელ გზაზე გამოიყოლა... და, ვაი რომ ახლა უამისოდ უნდა გაბრუნდეს. რა იცოდა უბედურმა მამამ, ქალიშვილი აქ სასიკვდილოდ რომ მოჰყავდა, თორემ ოჯახიდან ფეხს არ გამოადგმევინებდა.

მაშინ არც გამიგია კავკავიდან ბაბუას გამგზავრება, ახლა კი ცრემლმორეული ვხედავ, როგორ ემშვიდობება ის არა მარტო კავკავს, უღვთოდ მოკლული ქალიშვილის საფლავსაც, ვხედავ, როგორ ალაგებს ხურჯინში ლუციას ტანსაცმელს, სისხლიანსაც და უსისხლოსაც, ნაცვამსაც და უხმარსაც. მიაქვს სოფელში, რომ დედამ შვილის ტანსაცმელი მაინც დაიტიროს. რაკი მის ცხედარსა და საფლავზეც ცრემლების დაღვრა არ ეღირსა... და არც არასოდეს ეღირსება...

ვინ აწონოს, იმ ტანსაცმელთან ერთად გულზე დაწოლილი რამხელა ჭირვარამის ლოდი მიაქვს შინ და რაც უფრო უახლოვდება თავის სოფელ-ქვეყანას, თავის სახლკარს, თანდათან როგორ მძიმდება ეს ხურჯინიც და გულზე დაწოლილი ლოდიც. ტანსაცმელთან ერთად ბაბუამ, მგონი, ლუციას ნაწნავიც ნაიღო მაშინ. ის ნაწნავი ხურჯინში იდო და... ალბათ, ყელზეც ეხვეოდა და ახრჩობდა კაცს. ძნელზე ძნელია შინ ასე დაბრუნება — დედას ქალიშვილის სისხლიანი ტანსაცმელი და შეჭრილი ნაწნავიღა დაუდო წინ და უთხრა, აი, ასეღა დაგიბრუნდა შინ, აღარა გყავს გასათხოვარი ქალიშვილი და ესღა დაიტირეო...

მწამს: ბაბუაჩემი შინ იმაზე დამძიმებული გულით მივიდოდა, კავკავიდან რომ წაიღო, გზაზე მარტო მიმავალს სევდა-ნაღველი უფრო და უფრო მოემატებოდა... და წარმოდგენით დღეს კვლავ ვხედავ, როგორ შედის ამ მძიმე ხურჯინაკიდებული კაცი შინ და ვინემ რაიმეს იტყვის, მისი ჩამომეწყრილი პირისახე ამხელს ყველაფერს... ვხედავ იმასაც, როგორ იცხადებს ოჯახი ლუციას ასე მოულოდნელად დაღუპვას... დედა ალბათ პირველად ოგნდება, ვერ იჯერებს ამ უბედურებას, მერე კი შვილის სისხლიან ტანსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცმელსა და ნახნავს იხუტებს გულში, და ღელეში ცხრაჯერ დასტირის, რადგან ცრემლილაა მისი ნუგეში...

ასე გამოიგლოვებს საპატარძლო ქალიშვილს, ხოლო დრო რომ გავა სანუგეშოდ სხვა რასესაც მოიშველიებს:

— ეფუტში ამოვიკითხე (ასე ეძახდნენ ნინათ ეფრეთ ვერდის წიგნს ჩვენში), ჩემი ლუცია თოფით უადა მოკვდარიყო და კავკავში სნორედ ამ ბედისწერამ წაიყვანაო.

ბევრის აზრით, ბედისწერის ვერავინ გაექცევა. ბებიაჩემი ფედოსიაც ამითღა იცავრებს ძმიმე კაეშანს.

ბაბუაჩემი მაშინ სოფელ წესის განაპირა უბანში ცხოვრობდა, ხოვეთს რომ ეძახდნენ. იქ, ლუხუნის ხეობაში, განცალკევებით ესახლა ოთხი კომლი — ერთი საძოონ გენაძის, სამიც მისაშვილების: იუსტისი, გიორგისი და ერმალოზის. იუსტის მეუღლე, პუპლია, როგორც ადრე გაუნყეთ, მამიდაჩემ ლუბას მული გახლდათ.

ძალე ხოვეთისუბნელი ოთხივე კომლი, სოფლის შემჭიდროების მიზნით, გადაასახლეს სნორედ იმ უბანში, სადაც მამიდაჩემის ძკვლელის მამა, საბა, და მისი მოგვარეები ესახლენ.

ბაბუაჩემმა ახალ ადგილას ორთვალიანი ხის სახლის გადატანა და დადგმა კი მოასწრო, ბუხრის აშენება კი — ვეღარ. თქვეს: რაღაც სახადმა მოიწელაო. ბაბუაჩემი კატივით კაცი იყო და მე დღემდე არ მჯერა, რომ ასე ჯანმაგარს სახადი მოერია, ის, ალბათ, უფრო იმან მოკლა, კავკავში გასახარებლად წაყვანილი ქალიშვილი, იქ ტყვეთ გულგახვრეტილი რომ დაბარხა და შინ მისი სისხლიანი ტანსაცმელიღა წაიღო. გზაზე ალბათ თავისი უბედურება ვერავის შესტირა და მერეც ვერაფრით გაიხალვათა გული. განა ის კი ავად არ იმოქმედებდა, ქალიშვილის მკვლელის მამას ყოველდღე რამდენჯერმე რომ დაინახავდა! ბაბუაჩემის ახალი სამოსახლოდან საბა მერკვილაძე ასიოდე მეტრში ესახლა, შორს კი არა, საბა დიდი გზის ზემოთ, სამსონი — ქვემოთ. ასე რომ, ლუციას მამაც შალიკოს უგუნურად გასროლილმა ტყვიამ შეინირა. ის ისე წავიდა ამქვეყნიდან, ვერც მამაჩემმა დაიტირა, ვერც ოომელიმე შვილიშვილმა.

გავიდა სამი წელინადი. ჩვენი ოჯახი კავკავიდან წესში დაბრუნდა.

სამი ძმა: მამაჩემი, მიხეილი და სანდრო გაიყვნენ. მამაჩემი კვლავ კავკავში გაბრუნდა საშოვარზე. მერე ჩემი ძმა ვასოც წავიდა იქ.

ამ დროს მამის კერას დაუბრუნდა შალიკოც.

გვიკვირდა, ასე მალე რატომ გამოუშვეს, რვა წლით ციხეში ჯდომის სასჯელი ოა შეღავათით გაუკაბალეთ. [illegible] იყო ამის ბკითხველი.

ის ღელისპირა ორლობე, სადაც შალიკო შიხიდან გამოდიოდა თუ შინ ბრუნდებოდა, ჩვენი კარმიდამოდან პირისპირ ჩანდა. დილით, როგორც კი გამოჩნდებოდა, უეჭველად შეჩერდებოდა, მიმოიხედავდა და შერეღა დაუყვებოდა გზას, ჩვენკენ რომ ოოემარსებოდა.

წარმოიდგინეთ, როგორი ასატანია ყოველდღე, ზოგჯერ კი დღეში რამდენჯერმეც, დედამ უყურეს თავისი შვილის მკვლელს, ძმებმა — თავისი დის სიცოცხლის ნაადრევად მომსწრაფებელს, არადა, შალიკო არავის ეპუებოდა, თავი გამომწვევადაც კი ეჭირა, თითქოს განგებ გვახელებსო. იმ ორლობეს დღეში სამ-ოთხჯერაც კი ჩამოიკლიდა და აივლიდა: აქაოდა, მიყურეთ, დედამიწაზე რა ლაღად დავდიკარ, არავისიც არ მეშინიაო.

გაღიზიანდა ჩვენი ოჯახი. განსაკუთრებით ბებიაჩემი ფედოსია. არადა, თვალს ხომ არ დაიბრმავებდა ან სულ სახლში ხომ არ გაძოიკეტებოდა.

ერთხელ თურმე ბებიაჩემს ბინულის წყალი ძოჰქონდა სპილენძის თუნგით და ხრამისპირა საცალფეხო ბილიკზე უცებ პირისპირ შეეფეთა შალიკოს. ორივე გახევდა. ბებიაჩემმა გაშტერებით უყურა ერთხანს, კრინტი კი ვერ დასძრა. შალიკომ, ვითომ აქ არაფერიო, გზა განაგრძო და მუნჯივით ჩაუარა გვერდით იმ ქალს, მოწიფული ქალიშვილი რომ მოუკლა. ძერე სადღაც უთქვამს: ხელი რომ ეკრა ერთი ან თუნგი ეთხლიშა თავზე, უეჭველად ხრამში გადამიძახებდა, მე ხომ ხელს ვერ გავიღებდიო.

მაგრამ შალიკოს მხოლოდ ბებიაჩემთან პირისპირ შეხვედრა არ ეწერა ბედად.

ჩემი ბიძები, მიხეილი და სანდრო, მონადირეობდნენ და ერთლულიანი, თექვსმეტყალიბიანი თოფიც ჰქონდათ ზიარად.

იმ წლის ზამთარს ამ თოფის ორი გასროლა დამამახსოვრდა განსაკუთრებით, ჩვენი სახლის მახლობლად. ფერდობზე ბელურების დიდი გუნდი დაჯდა. ეს დაინახა ჩემმა ძმამ, ვასომ (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო კავკავში წასული), ჩამოხსნა კედლიდან თოფი, მიეპარა ფრთოსნებს და ესროლა. იმ დიდ გუნდში ერთი ბელურაც ვერ მოკლა. ბიძაჩემმა მიხეილმა ხელმოცარულ მონადირე დაარიგა: ბელურების გუნდს საფანტიანი თოფი მაშინ კი არ უნდა ესროლო, რიცა მიწაზე ზის, არამედ, ჯერ აქშენით უნდა დაააფრთხო და როგორც კი აფრინდებიან, სასხლეტს თითი გამოაკრაო. გვიან იყო ამის სწავლება, ჩემ ძმას ეს თოფი მეტჯერ აღარ გაუსროლია.

ერთი კვირაც არ გასულა, სოფელში განმოქმედმა მონადირემ, ნათლიაჩემმა ესაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისაშვილმა. მთაში მგელი დაიგულა (მაშინ მგლის მკვლელს კოლმეურნეობა სამ თუ ხუთ მრომადღეს უნერდა და მონადირეთა კავშირიც აჯილდოებდა ცალკე) და რამდენიმე გამოცდილი მონადირე ნაიყვანა, გაიყოლია ახალბედა. თვრამეტი წლის სანდროც. ბუნაგიდან გამოვარდნილ მგელს გამოცდილმა მონადირეებმა ესროლეს და ვერაფერი დააკლეს, ეგონათ, გაგვეექცაო. მაგრამ სანდრო პირისპირ დაუხვდა, ესროლა და პირველივე ტყვიით გააცხებინა სული. იმარჯვა ახალბედამ და ნათლიაჩემმა ბიძაჩემს მონადირული აღლო და თვალი შეუქო. თვითონ სანდროც გახარებული იყო, რადგან სწორედ ჯგუფური ნადირობისას გამოიჩინა თავი ასე კარგად. იმ თოფს მრავლად ჰყავდა მოკლული კურდღელი, კვერნა და ძელა, მგელს კი პირველად აუგო ანდერძი. ამან გაათამამა ბიძაჩემი და ნადირობას მოუხშირა.

და. აი, ერთ დღეს საკურდღლაოდ გაეშურა მეძებრით, ჩვენი უბნის ზემოთა ტყეში. ჩხიკარს რომ ეძახიან.

თექვსმეტი ყალიბის თოფს ტყვია ორას მეტრზე მიაქვს. საფანტი — მხოლოდ 100-150 მეტრამდე, იქ კი მეტრნახევრის რადიუსით იშლება, ასე რომ, კურდღლის მოკვლა. თუ ახლოს მოუშვებს კაცი, საფანტით უფრო ადვილია, მაგრამ სანდრომ იმ დღეს რატომღაც ტაკნით გატენილი ვაზნები წაიღო.

აი, მეძებარმა ნაცარა კურდღელი ჩირგვებიდან გამოახტუნა და დაედევნა. ყურცქვიტა აღმა-დაღმა დარბის. სანდრო თოფმომარჯვებული ჩაუსაფრდა. კურდღელი ტყეში შეეარდა და მალე ისევ გამოცუნცულდა. აქ თოფიანი კაცი დაინახა, გრძელი ყურები ზურგზე გადაიგდო და ჰერი! გაჰკურცხლა განზე, ხევისკენ მიმავალ ბილიკს მისცა თავი. სანამ ნაცარა თვალს მიეფერებოდა, სანდრომ თოფის დამიზნება მოასწრო და ის-ის იყო, სასხლეტისათვის თითი უნდა გამოეკრა, ზუსტად იმ ბილიკია ბორცვთან, კურდღელი რომ გარბოდა, თავი ამოყო არხეინად მომავალმა შალიკომ. ხელში ნაჯახი ეჭირა, ეტყობა. შეშის მოსაჭრელად მიდიოდა. დის მკვლელი სანდროს თოფს უნებლიეთ თვითონ დაუჯდა კორაზე კურდღელთან ერთად. წამით ჩახმახის დაცემინება და... ტაკნის ერთი ტყვია ერთდროულად გააგორებდა მინაზე მოკლულ კურდღელსაც და მოკლულ კაცსაც, მაგრამ სანდროს სასხლეტთან მიტანილი თითი გაუშეშდა და თვითონაც შემცბარი გაშტერდა. არა, არ შეშინებია მონადირეს. აქ შეშინება არაფერ შუაში იყო. რაღაც სხვა მოხდა, იდუმალი.

კურდღელმა დრო იხელთა, ერთი ძაღლისა და ორი კაცის ალყაში მოქცეულმა ქედისაკენ გაჰკურცხლა.

ერთმანეთის პირისპირ დარჩენილ თოფმომარჯვებული სანდრო და ხელნაჯახიანი შალიკო. სანდრო ერთხანს გახევებული იდგა და მერე თოფი ნელა დაუშვა ძირს, ოღონდ ადგილიდან არ დაძრულა.

შალიკომ, არ ვიცი, ადრევე დინახა თუ არა თოფშემართული სანდრო ან მიხვდა თუ ვერა, ეს თოფი მისთვისაც რომ იყო დამიზნებული, ჯერ ყურცქვიტას გააყოლა თვალი. უკვე ქედისკენ რომ გარბოდა, მერე ერთი შეხედა სანდროს, თავი ჩაღუნა, შებრუნდა და ვითომ აქ არაფერიო, აღმა აუყვა კლდოვან ბილიკს, მხოლოდ მოგვიანებით გამოიხედა უკან სამიოდეჯერ.

იმ დღეს მშვიდობიანად გაშორდნენ ერთმანეთს მონადირე და მისი დის მკვლელი. შალიკო მერკვილაძემ თავისი თავის გარდა კურდღელიც გადაარჩინა იმ ადამიანის ხელში დაჭერილი თოფის სროლისაგან. ოთხიოდე წლის წინათ და რომ მოუკლა.

სანდროს თოფი რომ ესროლა იმ წამს, ნამდვილად მოკლავდა ორივეს, თავისი დის მკვლელსაც და უცოდველ კურდღელსაც. მერე ამ ამბავს, ალბათ, ათასნაირ კუდს გამოაბამდა ხალხი, ზოგი ასე მონათლავდა, ზოგი ისე, მაგრამ, მწამს, საბოლოოდ ვერავინ დაადანაშაულებდა სანდროს, რომ მან შალიკოს განზრახ ესროლა ტყვია.

— მე კურდღელს დავუმიზნე და ვესროლე კიდევაც, ხოლო რა ჩემი ბრალია, თუ იმავ წამს ვიღაცამ ამოყო თავი ბექობიდან და ისიც მოვკალი. ჩემი დის მკვლელი იყო თუ სხვა ვინმე, ეს მე აღარ დამინახავსო, — იტყოდა სანდრო და ცამდე მართალიც იქნებოდა.

ოღონდ, იმ წუთას, ეტყობა, ამაზე არც უფიქრია, ვინმეს წინაშე თავი ემართლებინა. მოხდა ის, რომ არ ესროლა თუ ვერ ესროლა, ხოლო რატომ მოხდა ასე, თვითონაც ვერ გაერკვა ბოლომდე.

ახლა ძნელია იმის გაგება, რა ფსიქოლოგიური ამბავიც დატრიალდა. მაშინ მე ცამეტისა ვიყავი და ამგვარი ამბის ფსიქოლოგიური განსჯით თავი არ შემინუხებია და კიდევაც რომ დავინტერესებულიყავი, ვერაფერს მივაგნებდი, ალბათ, ვერც თვრამეტი წლის ბიძა ამიხსნიდა მაშინ. სანდრო ახალგაზრდა გარდაიცვალა, ოცდაშვიდი წლისა და ამ ამბის საიდუმლოც მასთან ერთად მარხია, მაგრამ ცოცხალიც რომ იყოს, ეგება ვერც ახლა აეხსნა, რატომ მოხდა ასე.

ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ ზოგი რამ.

ეგებ კურდღელთან ერთად დის მკვლელიც რომ დაინახა, ანაზდად ეს სინამდვილედ ვერც დაიჯერა, ეგონა, ალბათ, ორივე ერთდროულად მელანდებაო და გაოგნებული თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოცებული დაიბნა და იმიტომ არ ესროლა?

იქნებ ადრე დაქადილიც ჰქონდა: ჩემი დის მკვლელს ჩავუსაფრდები და ჩავაძაღლებო, მაგრამ დის მკვლელს უნებლიეთ რომ გადაანყდა და ის კი თვითონ დაემიზნა — მესროლეო, ამან დააბნია?

ასე იყო თუ ისე, იმ დღეს კაცის სისხლი იქ არ დაღვრილა, არც კაცის და არც კურდღლის.

ბედისწერას თუ ვინამებთ, იმ დღეს სიკვდილი არ ეწერა იქ არც შალიკოს, არც კურდღელს. კაცმა კურდღელი გადაარჩინა, კურდღელმა — კაცი, ორივე კი იმან, რომ მონადირემ თითი არ გამოჰკრა თოფის სასხლეტს.

ამ ამბავს მავანმა შემდგომ სხვა კუდი გამოაბა. ამის ბრალია, რომ ზოგს ჩვენს სოფელში ასეც ახსოვს: თითქოს სანდრომ შალიკო შეშის საჭრელად წასული დაიგულა, აიღო თოფი და ვითომ საკურდღლაოდ გასწია ძაღლებით, თან ჟაკნით გატენილი ვაზნები ჩაიდო ჯიბეში. მივიდა იქ, სადაც შალიკო შეშას ჭრიდა და თოფი ჟაკანიანი ვაზნით გატენა. მაგრამ გულმა სროლა არ დაანება: ასე ამის მოკვლა რა ვაჟკაცობაა და უკან გამობრუნდაო. ნამდვილად როგორც იყო, ეს სანდროს მონაყოლითვე მე კარგად მახსოვს, ასე რომ ამ ამბის ამგვარი ვარიანტი მართალი არ არის. ხალხს საერთოდ სჩვევია ამბის გადასხვაფერება, ყველა რაღაცას უმატებს ან აკლებს თავისი დამახსოვრებისდა მიხედვით.

თოფი მარტო ჩვენს ოჯახს არ ჰქონდა, შალიკომაც ჩამოიტანა, თანაც არა მარტო თოფი (როგორც შემდეგ გავიგეთ, რევოლვერიც, ბებუთიც და ფინური დანაც).

ჩემმა დამ თინამ გაიხსენა ერთხელ:

— ესაოს ჭიშკართან ვდგავართ მე და ევგენია (ესაოს მეუღლე, სადმელელი გურგენიძის ქალი, ბაბუაჩემ სამსონს დედულეთის ბიძაშვილად ერგებოდა). საბა მერკვილაძის სახლთან გაჩერდა სატვირთო მანქანა და გადმოვიდა კაცი, რომელსაც ბარგი-ბარხანასთან ერთად ბრეზენტში გახვეული თოფიც ეკიდა. ევგენიამ შეძრწუნებითი მომკიდა ხელი: უიმე, შალიკუნა დაბრუნდა, ციხიდან გამოუშვიათო. მე შალიკო მარტო იმ წყეულ ღამეს მყავდა ნანახი და რაღას ვიცნობდი, ერთხელ ფიჩხი მომაქვს ტყიდან და შემომხვდა, მივაშტერდი. თავჩაღუნული გამშორდა. მერე რამდენჯერმე კიდევ შემხვდა. დანახვისთანავე ვჩერდებოდი და კარგა ხანს ვერ ვაშორებდი თვალს მდუმარედ. თავჩაღუნული რომ გამშორდებოდა, მაინც ვუყურებდი მის ზურგს და ორიოდეჯერ ბრაზიანადაც მომხედა. მერე გავიგე, თავისიანებში უთქვამს: მე აქ ველარ ვიცხოვრებ, ლუციას დედის და იმ პატარა გოგონას უხმო შემოხედვას ველარ [illegible] ჩემი მოკლულის მაგივრად ახლა ისინი მომჩერებიან და მრისხავენო...

იმავე ზაფხულს შალიკომ ჩვენს უბანშიე მოსახლე ღალაკო მელაშვილს ქალი მიუგზავნა: შენი უფროსი ქალიშვილი მომათხოვეო. ღალაკომ შეიცხადა და სასტიკი უარი შეუთვალა. მაშუალს პირდაპირ უთხრა: უბედურის ერთი ქალია. უზნეო, ჭინჭყლი, ქალხაკლავი. მაგისთვის გოგოს როგორ გავიმეტებო. შალიკო დაექადნა: თუ ნებით არა გამომატანს, მაგის გოგოს ჩემ სახლში მკვდარს შევათრევო. მოტაცება დაუპირა. ღალაკოს გატენილი თოფი ეკიდა ტახტთან. — შალიკო თუ ქალის მოსატაცებლად მოუხტებოდა, უნდა მოეკლა. ეს გაიგო შალიკომ და სიკვდილის შეეშინდა თუ დანამუსდა, ჩამოხსნა ღალაკოს ქალიშვილს თამარს (ოთოულას)

მერე რამდენიმე ქალი აჩვენეს სხვა სოფლებში. ერთი თვითონ დაინუნა. სხვებმა ის დაინუნეს სხვადასხვა მიზეზით. მაგრამ მიხვდა, რომ მიზეზს იგონებდნენ — ცოდვილიანს ერიდებოდნენ, ხელსისხლიანის ცოლობას გაურბოდა ყველა ქალი. მაშინ უთქვამს სინანულით: ეტყობა, ჩემი ნამდვილი საცოლე მევე მოვკალი და სხვა აღარავინ წამომყვებაო.

ერთობ გვიან ეწვია სინანული, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ამ სინანულმა მოაშლევინა ავზრახვული ჭირვეულობა.

იმავე წლის შემოდგომაზე დროის გასატარებლად ჩვენს სოფელში თბილისიდან ჩამოვიდნენ პუპლიას ძმები, გერასიმე და ლავრენტი თავთავიანთი ცოლ-შვილით. გერასიმეს უნგრელი ქალი ჰყავდა. მანია. პუპლიას ერთი ძმა, ერმილე, რაჭაშიევე ჰყავდა, ფარახეთში, და თბილისიდან წესში ჩამოსულ ძმებს იმანაც ჩამოაკითხა.

მოგეხსენებათ, ნათესავები ერთად თავს რომ შეიყრიან, თავისთავად მრავლდება ნეულებები. ლხინი ლხინს გადაეება. ისინი ჩვენც გვეწვივნენ, მაგრამ უფრო ხშირად სტუმრებს იუსტის ოჯახი მასპინძლობდა.

იუსტის სახლი და საბას სახლი პირისპირ იდგნენ, მხოლოდ შუაჩამავალი საავტომობილო გზა ჰყოფდა მათ.

არ ვიცი, შალიკო იმან გააღიზიანა, იუსტის ოჯახში მამიდაჩემი ლუბა და მისი მეუღლე ლავრენტიც რომ ლხინობდნენ თუ სხვა რამემ აუმღვრია ისედაც აფორიაქებული გუნება. კვირა დღეს დილიდანვე გაჭირვეულდა. იმ დღეს საბასაც ჰყავდა სტუმრები. შალიკო ღვინოს მიეძალა. მთვრალს რამდენჯერმე დაექცა კიდევაც ახ განგებაც დააქცია და ნამოიძახა: ეს მისი შესანდობარი იყოს, ვინც ჩვენ საიქიოში გეელოდებიან.

ეგებ ლუციაც გაახსენდა და მისი შესანდობარიც დალია, ვინღაა ამის მაცნე. თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცა, ლუციას, კაცმა რო თქვას, რა ჰქონდა შესანდობარი!

შალიკოს ღვინომ თანდათან გაუხელა ისედაც აგანგაშებული სისხლი და გაკაირია, სტუმრების თანდასწრებით სცემა მამას, ერთი სტუმარი საბას გამოექომაგა და იმასაც მუშტებით გაუმასპინძლდა.

ოჯახში რომ ასეთი დავიდარაბა ატყდება სტუმრებს იქ რაღა გააჩერებთ, გაიქცა-გამოიქცნენ. შალიკომ მოასწრო და ერთ სტუმარს სისხლისფერი ცხენი ხელიდან გამოგლიჯა, თვითონ მოახტა, დიდ გზაზე გამოაჭენა და დაიწყო მთელი სოფლის გასწვრივ, აქეთ-იქით ჯირითი.

ცხენს არ უყვარს, როცა უდიერად ექცევიან ან ფუჭად დააჭენებენ, მით უმეტეს ვერ იტანს, თუ ზედ გულაღრენილი ადამიანი ამხედრდება. რამდენჯერმე სცადა სისხლისფერმა ცხენმა შალიკოს გადმოგდება და ბოლოს მოახერხა კიდევაც, მთვრალი მხედარი შუა სოფელში, ზედ მაღაზიის წინ დაანარცხა ძირს, მაგრამ თითქოს აქ არაფერიო, შალიკო ისევ მოახტა ცხენს და დაათხა. პატრონმა, როგორც იქნა, წაართვა ცხენი და უკან მოუხედავად გაქუსლა.

უცხენოდ დარჩენილი შალიკო განა შინ შევიდა, დადარაჯდა, გზაზე გადაუდგა ამბროლაურის ბაზრობიდან მომავალ შარდომეთელ ნაცნობ კაცს და ცხენი სთხოვა. არ ათხოვა იმ კაცმა, იძალა და წაართვა, შავი ცხენიც წაართვა და ჭრელი მათრახიც. ისევ დაიწყო თავაწყვეტილი ჯირითი აქეთ-იქით.

მანამდე ცხენზე ამხედრებული შალიკო არასდროს მინახავს, იმ დღეს კი რამდენჯერმე მოვკარი თვალი, შავ ცხენს გამეტებით რომ დააჭენებდა. წამდაუწუმ სავსავებდა უხსენებელივით ჭრელი მათრახი ჰაერში, ჭახა-ჭუბი ახმაურებდა ქვა-ღორღიან გზას და ნალები ნაპერწკლებს აქეთ-იქით აბნევდნენ.

ნაშუადღევს ამბროლაურის ბაზრობიდან მობრუნებულმა ხალხმა დაიწყო დენა, მოდიოდნენ ურავლები, ლიხეთლები, ბარველები, სორელები, სამთისლები, მუხლელები. გზას მოუმრავლდა მგზავრი. შალიკო კი კვლავ დააჭენებდა შავ ცხენს გონმიუცემლად. წრიალებდა, ღრინავდა, ყმუოდა და ბორგავდა შალიკოს სული და ეს სული დააჭენებდა ოფლადგაღვრილ, შავად მოლაპლაპე რაშს.

— ნამეტანი ატროვებული ხარ, შვილო, ნამეტანი! ბედისწერას ხომ არ აუტანიხარ. ასე გიჟივით რას დაჭენაობ! მოისვენე, დედაშვილობამ, მოისვენე! — მიაძახა ხანში შესულმა ქალმა, როცა შალიკო მის გვერდით ორჯერ გაჭენ-გამოჭენდა და ცხენი კინაღამ დააჯაახა.

— ისეა ატეხილი, რაღაცა ფათერაკს გადაეყრება, აგერ ნახავთ თუ არა! — თელ ჩაბალახმოხვეულმა მგზავრმა.

— საბედისწეროდ დაჭენაობს, საბედისწეროდ, ეს ცოდვის შვილი! ეტყობა, მანამდე არ დაშოშმინდება. სანამ სისხლს არავის დააღვრევინებს, ან თავისას არ დაღერის! ვილაცას გასრისავს მატლივით ან თვითონ გადმოვარდება ცხენიდან და ტვინს ქვიან გზას დაასხამს. — ეს ჩვენებურმა თქვა, სტუმარს რომ აცილებდა.

მეორე ჩვენებურმა თვითონ მოჯირითეს მიაძახა:

— შალიკო, ერთი ცოდვის ლოდი ხომ აიკიდე, კაცო, იკმარე, იკმარე, ცოდვის კლდეს ნულარ მიიმატებ სათრევად, თვარა გაგსრისავს!

შალიკო ყურს არავის უგდებდა. ისევ სავსავებდა უხსენებელია პერანგივით ჭრელი მათრახი ჰაერში და ნალები ნაპერწკლებს აკვესებდნენ მოროჭკილ გზაზე.

მზემ რომ დაისამხრა, შალიკომ მხოლოდ ჩვენს უბანში დაიწყო ჯირითი, უფრო ხშირად იუსტის ჭიშკრის გასწვრივ. მის ეზოს უთვალთვალებდა. დაინახა, იქიდან ლაბადიანი კოჭლი კაცი რომ გამოვიდა და მასპინძელი, იუსტი მოაცილებს. ეს ერმილე იყო, იუსტის ცოლის ძმა. ფარახეთელი.

ის-ის იყო სიძე-ცოლისძმა დაემშვიდობენ ერთმანეთს და იუსტი ჭიშკრისკენ გაბრუნდა, შალიკომ გააქანა ცხენი და იუსტის სტუმარს ისე გაპკრა, კინაღამ წააქცია ეს კოჭლი კაცი.

— ჰეი, ჰეი, ვილაცა ხარ, ასე გიჟივით რას დაჭენაობ? ხომ ხედავ, რამდენი მგზავრია, ბავშვი არავის გაურისო! — შეუძახა დამფრთხალმა ერმილემ.

— მე ვარ გიჟი? მე ვარ გიჟი? — წამისწამ ჩამოხტა ცხენიდან მხედარი, დააძრო ბებუთი და გადაუქნია.

რაკი კოჭლი იყო ერმილე, ბებუთის ასაცილებლად ცალი მხრის წინ წამოქანებით დაიხარა, ბედად დანის წვერი ან პირი კი არა, ზურგი მოხვდა მარჯვენა მხარზე და მხოლოდ ლაბადა ჩაეფხრიწა ბეჭზე, შალიკოს მეორედაც უნდოდა ბებუთის მონაცვლება, მაგრამ იქ სწრაფად მივარდნენ იუსტი და მისი და კატო, ეცნენ და ხელები გადაუგრიხეს. იუსტიმ შალიკოს ბებუთი წაართვა, მესერს მაგრად მიარტყა გასატეხად, მხოლოდ გაიღუნა ისედაც მოხრილი ბებუთი და, აქაოდა, გავეშებულმა შალიკომ ისევ არ წამართვასო, თავის კარმიდამოში გადაჭისროლა. იქ სასილოსე ორმო იყო ცემენტით გალესილი და დანა შიგ ჩავარდა.

იუსტიმ ლაბადაგადაფხრენილი, შიშით გამინისფერებული ერმილე მარტო აღარ გაუშვა შინ, ისევ თავის ჭიშკარში შეაბრუნა.

— ეს რა მაკადრესო! — უფრო აბობოქრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შალიკო და იუსტის ეზოსკენ მიიწევდა. უცებ იქ შეყრილი ადამიანები აკავებდნენ.

— შალიკო, წადი შინ და მოისვენე! — ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ ბიძაშვილები ვალოდია და ალიკო.

— არა, ჯერ იქ უნდა შევიდე და ვკითხო, ბებუთი რატომ წამართვეს და გადამიგდესო! — დაჟინებით გაიძახოდა გაკავებული შალიკო.

ამ განევ-გამოწევასა და დავიდარაბაში შალიკომ ხალათი შემოიხია და დარჩა ჟორსეს მაისურის ამარა.

შავი რაში თვალსა და ხელს შუა გაქრა, ალბათ, პატრონმა დრო იხელთა და გააპარა.

უცხენოდ და უბებუთოდ დარჩენილი ხალათშემოხეული შალიკო ვერავინ დააბოლმინა. ხალხის ტალღა გაარღვია და იუსტის ეზოს მიაშურა.

იუსტიმ ერმილე საღორეში დამალა, ეგებ ამ კაცს რომ ვეღარ დაინახავს, დაცხრეს და მოგვეშვასო.

შალიკო ვითომ ერმილეს ეძებდა ისევ, ნამდვილად კი იქაურობა დაზვერა, სადც იყვნენ სტუმრები. ჯერ სამზადში შეიხედა, მერე იქიდან დიდ ოთახშიც, სადაც სტუმრები ისხდნენ.

გერასიმე ძველი პარტიული იყო, უნგრეთის სოციალისტური რევოლუციის მონანილე და ნაგანი ჰქონდა, მაგრამ იარაღი არ ამოუღია: ვაითუ ეს ვიღაც გადარეული ამით უფრო გახელდესო. უბრალოდ სთხოვა შალიკოს, თავი დაგვანებე, შინ ნადი და ჭკუას მოუხმეო.

შალიკომ კარგად დაზვერა იქაურობა და მუქარით გამობრუნდა:

— მაშ თქვენ გიჟსა და გადარეულს მეძახით, დედას გიტირებთ ყველას, აქ დღეს რამდენიმე ქალს დავაქვრივებ და მერე ქვრივ ქალებსაც თავიანთი ქმრების გვერდით დავანვენ, თუ შალიკო მქვიაო!

მუქარა არ დაუმალავს. ასე რამდენჯერმე მიაძახა სახლს. ის, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მამიდაჩემს და მის ქმარს ემუქრებოდა, ("აგრამ ან იმათ რა დაუშავეს, ან სხვებმა, ეს ეშმაკმა უწყოდა.

შალიკო კუტკარით თავის სახლში შევიდა და ბევრს ეგონა, რომ დაწყნარდა. მაგრამ არ გასულა ათიოდე წუთი, ისევ გამოჩნდა დიდ გზაზე. უკან მოდევნებული ბიძაშვილები აკავებდნენ. ნუ მიხვალო. ის ისევ მაისურის ამარა იყო, ვალოდიამ შალიკოს უცებ გალიფე შარვლის ჯიბეში ჩაუყო ხელი, რევოლვერი ამოაცალა და თავის ჯიბეში იტუსა.

ამასობაში ხალხმა თანდათან ბლომად მოიყარა თავი იქ. ზოგი ამბროლაურის ბაზრიდან მოდიოდა, ზოგიც — სამუშაოდან, ბავშვები კი სამწყემსურიდან ბრუნდებოდნენ. იქ შეყრილ ხალხში [illegible] პირა ბექობზე ვიდექი და ყველაფერს ვხედავდი, ოღონდ ჩარევა არ შემეძლო.

შალიკო ვალოდიას ჯიბეს წაეტანა, ბიძაშვილმა იარაღი არ მისცა.

— კარგი, ხელცარიელი წავალ!

— არ გინდა! შენ იქ არაფერი გესაქმება!

— მესაქმება. მოველაპარაკები.

— რაზე?

— ის მე ვიცი... გამომყევი!

— მე რატომ გამოგყვე?

— ეგება დამჭირდე უცებ!

— არა, მე არ გამოგყვები. ვიცი, რატომაც გინდა გამოგყვე!.. აი, მე ბიძაჩემთან შევალ და შენც წამოდი შინ. იქ მოვილაპარაკოთ...

ვალოდიამ დაჭკრა ფეხი და კუტკარით მართლაც საბას ეზოს მიაშურა, გაჰყვა ალიკოც.

— მიმატოვეთ მარტო, ხომ? მაინც შევალ იქ, მაინც, უთქვენოდ!..

არავინ გამოჩნდა შალიკოს დამჭერი (ეგებ იმიტომაც, მის ჯიბეში იარაღი რომ აღარ ეგულებოდათ). მაისურის ამარა დარჩენილი ისევ იუსტის ცარიელ ეზოში შეეარდა. იუსტის სტუმარ-მასპინძელთაგან არავის გამოუხედია. შალიკომ ისევ ჯერ სამზადში შეიხედა, მერე დიდ ოთახშიც. არავინ გასცა ხმა. ლუბას რომ შეხედა, ყველას გასაგონად წამოიძახა: მაგასაც მოკლავ და სხვებსაც მივაყოლებო: ეზოში გამოსული კვლავ იმუქრებოდა: დედას გიტირებთ, დღეს აქ რამდენიმეს დავაქვრივებ! დიდი გზა გადაჭრა და ისევ თავის სახლს მიაშურა, სადაც წართმეული თავისი იარაღი ეგულებოდა.

ხალხი მიდი-მოდიოდა და აქ შეყრილი მაინც არ ილეოდა, თითქოს სეირს უყურებდა, რა მოხდებაო.

შალიკო ისევ მაისურის ამარა დაბრუნდა, ოღონდ ახლა გალიფე შარვლის ორივე ჯიბეში ღრმად ეწყო ხელები, მარჯვენა ჯიბე ერთობ გამობერვოდა, აშკარად ეტყობოდა. შიგ რევოლვერი კვლავ რომ ედო. ადრინდელივით მოსდევდა ორივე ბიძაშვილი. ვალოდია ჩუმად რაღაცას ეუბნებოდა: ალბათ, იარაღით ნუ მიდიხარ, მომეცით, არ მისცა. გაკავება დაუპირეს, ღონიერი იყო, გაუსხლტათ და იუსტის ეზოში შეჯლაგუნდა მესამედ.

მგზავრთაგან მავანი ჩერდებოდა და კითხულობდა, რა ამბავიაო, ზოგიც არხეინად განაგრძობდა გზას, ეტყობა, დიდ გზაგასავლელს მიეჩქარებოდა, შინ დაღამებამდე რომ მიეღწია. ბავშვები ბექობიდან გადავყურებდით იუსტის ეზოს და მოჩოჩქოლე ხალხს.

როგორც კი დამუქრებული შალიკო თავის სახლისკენ გაიქცა მიმხვდარა იუსტი, რომ ის იარაღის მოსატანად მიეშურებოდა და თუ იარაღითვე არ გაუწევდნენ წინააღმდეგობას, უთუოდ მის სტუმრიან ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავ ამბავს დაატრიალებდა, რომ ლუციას მოკვლა არ იმყოფინა და ახლა სხვების დახოცვასაც იზრახავდა. მასპინძელს კი მართებდა სტუმრების გადარჩენა და თავისი ოჯახის ღირსების დაცვა.

იუსტი, ასე ვთქვათ, ვენახის და ყანის კაცი იყო. ზოგჯერ ხეებსაც ჭრიდა და მორებს ნესის სახერხი ქარხნისთვის ეზიდებოდა ღონიერი ხარებით. ხამუშ-ხამუშ მორება მდინარე ლუხუნითაც აცურებდა რიონის შესართავამდე, სადაც ქუთაისელი მეტივეები უხვდებოდნენ ხე-ტყეს. მის ხელში გუთნის, თოხის, ბარის და ნაჯახის მეტი არავის არაფერი უნახავს, თოფი არაასდროს სჭერია, ისიც არავინ იცოდა, ოდესმე თუ უსროლია. მაგრამ ახლა კი შალიკოსათვის ნინააღმდეგობის გასაწევად მხოლოდ თოფი სჭირდებოდა და რაკი თვითონ არ ჰქონდა, ჩვენი სახლისკენ გამოქცეულა. ოღონდ, გზით კი არა, საკარმიდამოების უკანა მხრის შემოვლით. იუსტის სახლიდან ჩვენს სახლამდე მხოლოდ სამი კომლი ესახლა, ისიც მიჯრით — ევა მაისაშვილი, ესაო მაისაშვილი და ლადიმერი გოგშელიძე, რაღაც ასი-ასოცი ნაბიჯი იყო. მეტი კი არა.

ბიცოლაჩემი ვარა იგონებდა შემდეგ:

— იუსტი რომ მოვარდა გაფითრებული, პირველი მე შევხვდი, შინ იყვნენ დედაშენი და სანდროც. ფედოსია არ მახსოვს, სად იყო წასული, უგზო გზით რომ მოგვადგა. გამიკვირდა და ვკითხე: რა ამბავია-მეთქი? მითხრა: შალიკუნა სამგლე გოჭივით არის ატროვილი, დახოცვით გვემუქრებაო. მივარდა და სანთიობო ოთახის კედელზე ჩამოკიდებული თოფი თვითონ ჩამოხსნა. ნახა რომ ვაზნა დევს შიგ. მეტი ვაზნა არც უძებნია, გაქცევა დააპირა. ხელი ვუტაცე თოფზე და შევეხვეწე: ოღონდ ჩვენს თოფს ნუ ნაიღებ, ახლავე გავიქცევი საბჭოში, მიშა ახლა იქ არის, ვიცი. (ბიძაჩემი მიხეილი წესის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე იყო მაშინ), მილიციას გამოიძახებს და შალიკოს ისინი მოუვლიანმეთქი. ამბროლაურიდან მილიციის მოსვლამდე ის მგელი თავისას იზამსო, არ დამიჯერა. მე სანდროს და დედაშენს ვუთხარი, ასეთი და ასეთი ამბავია და იუსტის თოფს ნუ გაატანთ-მეთქი. დავკარი ფეხი და საბჭოში გავიქეცი...

მერე ლუსტის ოურმე სანდრომაც დაპირა თოფის წართმევა და გაექცა. დედაჩემი დაენდა. მაგრამ ამაოდ — ოთხი წლის წინათ ვერც შალიკოს წაართვა ნაგანი და ვერც ახლა თოფი იუსტის. ის ისევ იმ უგზო-გზით გაიქცა, რომლითაც ჩვენს სახლში მოვიდა.

კვლავ ვარა ბიცოლას მოგონება:

— მეც მივარდი საბჭოში და თოფიც გავარდა... თოფი კი გავარდა, მაგრამ რა მოხდა?! შევშფოთდით მეც და მიშაც... მიშამ სასნრაფოდ დარეკა ამბროლაურში, [illegible] მოგვაშველეთო... ჯერ არ ვიცით, [illegible] მაგრამ მილიცია უეჭველად გვჭირდებაო...

* * *

იუსტი ცარიელ ეზოში შეჯლაგუნებული, ჯიბეში ცელებჩაწყობილი შალიკო სამზადს დაემზადა. საიდანაც კიბით დიდ ოთახში იყო ასასვლელი, იქ იუსტის სტუმრები რომ იყვნენ აეფარებულნი, ეს უკვე იცოდა ნათლიასთან მიახლოებულს მოესმა:

— გაბრუნდი უკან, თვარა გესვრი!

შალიკომ გაიხედა იქით, საიდანაც ხმა მოესმა. ბოსლის გვერდით, ღობურთან თოფს მოჰკრა თვალი. იქ, სანეხველესთან. იუსტი იყო ჩასაფრებული, მხოლოდ აგზნებული პირისახე უჩანდა.

იმის მაგივრად, რომ უკან დაეხია, შალიკო იუსტისკენ ჯიქურ წავიდა, რა თქმა უნდა, თოფის წასართმევად.

— გაბრუნდი, ცოდვის შვილო, თვარა, გაგაცხებიებ სულს! — ხელახლა გააფრთხილა იუსტიმ.

შალიკო უფრო შეუპოვრად გაემარჯა მისკენ, თან მარჯვენა ჯიბიდან რაღაცას იღებს. რაღა რაღაცას. იუსტი ხედავს, რომ რევოლვერია. ალბათ უნდა ჯერ იუსტი მოკლას და თოფს დაეპატრონოს. მერე, მერე კი — სხვებიც დახოცოს.

— მოდი ახლოს, უფრო ახლოს, თუ ვაჟკაცი ხარ! — აკანკალდა იუსტი.

მართალია, თოფი არასდროს უსროლია. მაგრამ მომხდური ისე მიუახლოვდა, აქ დამიზნება ზედმეტია, განგებაც რომ მოინდომოს, ვერ დააცილებს, სასხლეტს თითს ოდნავ გამოჰკრავს და მორჩა. ეს კი ერთობ იოლია... ახლა მთავარია, ვინ ვის დაასწრებს. შალიკო იარაღის კაცია. იუსტი — თოხის... თუ შალიკომ დაასწრო რევოლვერის სროლა, თოფსაც დაეპატრონება და... ამ თოფითაც კი მოკლავს ერთ ვინმეს... დაყოვნება აღარ შეიძლება!

სასხლეტზე თითის გამოკვრამ ნამისნამ გადაწყვიტა ყველაფერი, იქუხა თოფმა. იუსტიმ რვა-ცხრა ნაბიჯის მანძილიდან საფანტი პირდაპირ გულზე დაუხალა შალიკოს. ამ მცირე მანძილიდან ნასროლი საფანტი, რა თქმა უნდა, არ გაიფანტებოდა.

ხალხი აქამდე თითქოს სეირს უყურებდაო, მაგრამ როცა თოფი გავარდა, უცებ შეშაძრწუნებული სიჩუმე ჩამოწვა. ახლალა მიხვდნენ ადამიანები, რომ აღრევე უნდა ეღონაა რაიმე. უბედურება რომ არ მომხდარიყო, შალიკო რომ არავის მოეკლა და არც შალიკოს მოეკლა ვინმე. მიხვდნენ. მაგრამ, გვიან იყო, სეირი დამთავრდა.

შეშაძრწუნებული დუმილი მალე დაირღვა, ატყდა ჩოჩქოლი. აქაიქ ნივილ-კივილიც გაისმა. ზოგი ეზოსკენ გაეშურა, ზოგიც უმალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განერიდა იქაურობას, შარში არ გავეხვიოო.

იუსტის ეზოს გვერდით სხვისი ვენახი იყო, თოფნასროლი კაცი ღობეზე იქით გადახტა და საბჭოს მიმართულებით გაიქცა. ვალოდია და ალიკო გაეკიდენ.

— ნუ მომდევთ, ნუ მომდევთ, მომშორდით, თქვენს სისხლსაც ნუ დამაღვრევინებთ! — თოფი შემოატრიალა იუსტიმ.

მეორე ვაზნა არ ჰქონდა, თორემ ეგება მათთვისაც მართლა ესროლა გახელებულ კაცს.

ხოლო იუსტის ცარიელი თოფიღა რომ ეჭირა, ყოვლად შეუძლებელია ეს რომელიმე მდევარს სცოდნოდა და უკან გამობრუნება ამჯობინა ორივემ.

ცხრა წლისამ ვნახე შალიკოს მოკლული, თეთრ კედელთან ჩამჯდარი, თავჩაქინდრული მამიდაჩემი წინ, იატაკზე სისხლის გუბე რომ ედგა. ცამეტი წლისამ ვნახე, თოფდახლილი, მაისურისამარა შალიკო როგორ მიეყუდა ნალიის შავ ბოძს და მოწყვეტით კი არ დაეცა ძირს, ნელ-ნელა ჩაცურებით ჩაჯდა და თავი ჩაჰკიდა. მის წინ, მიწაზე, სისხლის ნითელი დიდი გუბე გაჩნდა, რომელმაც შემოდგომის ჩამავალი მზის სხივები წამიერად აირეკლა და მალე, მზის ჩაწურვისთანავე, გამინისფერდა. შალიკომაც თითქმის იმნაირადვე დალია სული, რანაირი სიკვდილითაც გამოასალმა მან წუთისოფელს ლუცია ოთხი წლის წინათ, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ლუცია ოთახის თეთრ კედელს მიეყრდნო ზურგით და სისხლი იატაკზე დაღვარა, შალიკო კი ნალიის შავ ბოძზე ზურგმიყრდნობილი ჩაჯდა მაისურისამარა და სისხლით მიწა შეღება.

არ ვიცი, ეგებ ესეც ბედისწერის განაჩენი თუ თამაში იყო, მამიდაჩემის მკვლელი სწორედ ჩვენი ოჯახის თოფით რომ მოკვდა, თანაც იმ თოფით, ერთხელ თვითონვე რომ დაემიზნა კურდღელთან ერთად და რაღაც იდუმალი ძალით არ ესროლა მოკლული გოგოს უმცროსმა ძმამ, იმ თოფით რომ მოკვდა, შემოდგომაზე, იმავე წლის შუა ზამთარში ახალბედა მონადირემ, სანდრომ, მგელს რომ გააცხებია სული. ეგება ესეც ბედისწერის თამაში იყო, ლუციას მკვლელი ლუციას ძმების თოფით თვითონ ლუციას რომელიმე ძმამ კი არ გამოასალმა სიცოცხლეს, არამედ ლუციას უფროსი დის, ლუბას, მულის ქმარმა იუსტიმ, მანამდე თოფი ხელში სიზმარშიც რომ არ სჭერია.

ეს თოფი იუსტიმ მაგიდაზე მშვიდად დაუდო საბჭოს თავმჯდომარეს... საბჭოს თავმჯდომარესაც და ამ თოფის პატრონსაც.

მიხეილმა უკვე იცოდა, ეს თოფი იუსტიმ რატომაც ნაილო. მაგრამ კონკრეტულად რა მოხდა, ის ხომ არ იცოდა ჯერ, იუსტის სიმშვიდემ გააკვირვა და ჰკითხა:

— რატომ მომიტანე ჩემგან თოფი?

— კაცი შემომაკვდა.

— ვინ?

— შალიკუნა მერკვილაძე.

მიხეილი აცახცახდა. თითქოს მას მოეკლა თავისი დის მკვლელი. აღარ იცოდა, გახარებოდა ეს თუ სწყენოდა.

იუსტისაც ახლაღა დაერღვა სიმშვიდე, ისიც აკანკალდა.

— ბეჩა, იუსტი, ქვე შალიკუნა მოკალი? — ჰკითხა იქ მყოფმა ზემოწესელმა ერთმა ხნიერმა ქალმა.

— კი, ის მოვკალი, ჩვენი ოჯახის გაუბედურებაც უნდოდა და ჩემ ეზოში გავაცხებინე სული. — აცახცახებულმა ეს ზედიზედ რამდენჯერმა გაიმეორა და ბოლოს თქვა:

— დამიჭირეთ, თქვენი ჭირიმე!

დუმილი ჩამოწვა. ეს დუმილი ისევ იუსტიმ დაარღვია. რატომღაც აქღა მოაგონდა, სროლის შემდეგ თოფს ლულაში სულს რომ უბერავენ და მიხეილს გულუბრყვილოდ ჰკითხა:

— ლულაში სულის ჩაბერვა დამავიწყდა და ხომ არ გაგიფუჭდება თოფი?

მიხეილს გულში გაეცინა.

— გაფუჭებულია უკვე.

— ასე მალე?! აღარ გაიწმინდება?!

— გაწმენდა რაღას უშველის, სხვანაირადაა გაფუჭებული. ამ თოფს ბევრი კურდღელი ჰყავს მოკლული, მელაც, კვერნაც, ჩხართვიც, ერთხელ მგელსაც დააკრეჭია კბილები, ახლა კი კაციც მოკლა... ავი თუ უწყინარი, ეს სულერთია. ამ თოფს შენთან ერთად დააპატიმრებენ დღეს...

— რატომ?! — ისევ გულუბრყვილოდ იკითხა იუსტიმ.

— ეს უკვე თოფი აღარაა, სასამართლოსათვის ნივთიერი მტკიცების საბუთია, საქმეებს დაურთავენ...

— ვაიმე, არ ვიცოდი?!

კიდევაც რომ სცოდნოდა, არ მოჰკიდებდა ამ თოფს ხელს?!

მიხეილმა დიახაც იგუმანა, რომ ამ თითქოსდა ჩახლართულ საქმეში არც იუსტი იყო დამნაშავე, არც ეს თოფი და არც ამ თოფის პატრონი ოჯახი, მაგრამ სწორედ ამ ამბის დასაზუსტებლად საჭირო იყო იუსტის დაუყოვნებლივ დაპატიმრება. კვლავ დარეკა მილიციაში: კაცი მოკლეს, მკვლელი დაკავებულია და სასწრაფოდ წაიყვანეთ, ახალი უბედურება რომ არ მოჰყვესო. მილიციის მოსვლამდე კი იუსტი თოფიანად სხვაგან დამალა და მართალიც გამოდგა. მალე მოუხტა საბჭოს თავმჯდომარეს შალიკოს ქმაგი რამდენიმე კაცი. მკვლელი მოგვეცით, ჩვენვე [გავასამართლებთო. საბჭოს თავმჯდომარემ] მშვიდად მიუგო. ის უკვე წაიყვანა მილიციამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეგიძლიათ მაგ თხოვნით იქ მიაკითხოთო.

მალე მოვიდა მილიცია და იუსტი მანქანით ნაიყვანეს. ახლა მისთვის მილიცია საიმედო თავშესაფარი იყო, რომ ის ცხელ გულზე არავის მოეკლა და არა მარტო ის...

იუსტის ოჯახსაც და ჩვენს ოჯახსაც ურჩიეს, სანამ ვნებები არ ჩაცხრება და დაძაბულობა არ განელდება, ბავშვები და მოხარდები ნათესავ-მოყვრებში გადამალეთო. მე და ჩემი და, თინა, ზემო ნესში მცხოვრებ დეიდა ვერიჭკასთან ვათევდით ღამეებს, სანამ შალიკოს დაკრძალავდნენ.

თავისებური დაძაბულობა მერეც კარგა ხანს გაგრძელდა.

ამ მიზეზით მე არ მინახავს, როგორ გააცვენეს შალიკო, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ მის ცხედარს უეჭველად ჩვენი ჭიშკრის წინ გაატარებდნენ, რადგან ასაქცევი გზა არ ჰქონდათ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რას განიცდიდა ბებიაჩემი ფედოსია, როცა მისი ქალიშვილის მკვლელს კუბოთი თვალწინ ჩაუტარებდნენ. მორწმუნე ქალმა იმ წუთს ალბათ დალოცა ღვთისსამართალი, მისი ქალიშვილის მკვლელს სიკვდილითვე რომ მიეზღო მალე, ცოდვისმტვირთელი დაუსჯელი რომ არ დატოვა დიდხანს. მაგრამ ამ სიხარულს, ვიცი, იდუმალი სევდაც ახლდა. ამას მაფიქრებინებს ის, რომ შემდეგ რამდენჯერმე გავიგონე კაეშნით მისი ნათქვამი: რა იქნებოდა, შალიკო უგუნურად რომ არ მოქცეულიყო და არც ჩემი ქალიშვილი დაეღუპა, არც თავისი თავი! ჩვენი ოჯახის მტრად კი არ ქცეულიყო, მოყვარედ. ლუციას მკვლელად კი არა, ქმრად... აი, რა დამღუპველია უგუნურება არა მარტო სხვებისთვის, ჩამდენისთვისაც...

ჭირისუფალი ოჯახი ალბათ ჩვეულებრივ დაუნთებდა ცხედარს თავთით სანთელს, რომ მისთვის საიქიოს უკუნეთი გაენათებია, სული გაუნათლოსო, ამასაც ჩვეულებრივ იტყოდნენ საცრემლო პურისჭამაზე, ქელეხი რომ ჰქვია, იგლოვებდა ჩვეულებრივი წესითა და რიგით. მაგრამ იქვე, ყოვლად შეუძლებელია, ამ გლოვას იდუმლად ის კაეშანიც არ შეზიარებოდა: ნეტავ გონიერება მოეხმო ჩვენს შალიკოს და არც სხვა გაეწირა ასე გონმიუცემლად. არც საკუთარი თავი, მტრობის მაგივრად მოყვრობის ცეცხლი გაეჩაღებინა და მეზობლებ შორის სიძულვილის დათესვის მაგივრად სიყვარული ეთესაო. მჯერა, იქნებოდა იმ ოჯახშიც ეს იდუმალი სინანული, მჯერა!

მაგრამ ასე იყო თუ ისე, ნაადრევად დამარხა თავისი სოფლის სასაფლაოზე უცოლშვილო კაცი, რომლის გასროლილმა ტყვიამაც თავისი სოფლიდან შორს, ცხრა მთის გადაღმეთში, უცხო სასაფლაოზე დააშარხვინა ჭირისუფალს საპატარძლოდ აყვავებული ოჯახ[illegible]

კავკავში შალიკოზე რამდენჯერმე თქვეს: უგულო ყოფილაო. აქ კი გავიგონე: ექსპერტიზათვის რომ გაჭრეს, ორგულა გული აღმოაჩნდაო. ვერ გეტყვით, როგორია ასეთი, ხორციელად ორგულა გული, მაგრამ მერმე მართლაც დავრწმუნდი, რომ ნამდვილად არსებობს ფიზიკურადაც ორგული ადამიანი. აი, რა წერია თურმე გიორგი სააკაძის ერთ სურათზე: „ბედმა უმუხთლა. თავისი მოკავშირეების მიერ მიტოვებულმა თურქებს შეაფარა თავი, ხოლო იქ მისი ძლიერებისა და დიდებისადმი შურის გამო მოწამლული გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ მისი სხეული გაკვეთეს, ამოუღეს გული, ადამიანთა გულისაგან განსხვავებული, რამეთუ ორმაგი გახლდათ — შეტყუპებული“ (ილ. ტაბაღუა. „კომუნისტი“. 1988 წლის 7 დეკემბერი).

გიორგი სააკაძემ თავისი ორგულა გულით ვის უორგულა, ეს, დაე, სხვებმა გაარკვიონ, მაგრამ შალიკომ ორგულობა რომ გამოიჩინა ბევრ რამეში, ეს ჩემთვის ეჭვს არ იწვევს. უპირველეს ყოვლისა კი მან სიცოცხლეს უორგულა, სიცოცხლეს უღალატა იმით, რომ სიყვარულით სიცოცხლის გამრავლების ნაცვლად, სიცოცხლის ორი ბუდე მოსპო.

სოფელში იყვნენ ადამიანები, შალიკოს რომ ზრახავდნენ, მაგრამ მოსაკლავად მაინც ენანებოდათ. მავანსაც მიაჩნდა, რომ ის არ იყო სიცოცხლის ღირსი, რადგან ავად ატრფოვილს შეიძლებოდა ახალი ცოდვა ეტვირთაო.

— შალიკომ კავკავში სასამართლოზე განაცხადა: ისეთ სიზმრებს ვნახულობ, ვიცი, მეც ტყვიის წერა გავხდები. სიცოცხლე მაინც აღარაფრად მიღირს და, დაე, ღვთის ნება მალე აღსრულდესო! — ეს თქვა სარა კერესელიძემ, კავკავში სასამართლოს მოწმედ რომ ესწრებოდა (მაშინ ისიც ქმარ-შვილთან ერთად ხინჩაგაშვილების სახლში ცხოვრობდა მდგმურად, ხოლო ახლა ისიც სოფელში იყო დაბრუნებული). — შალიკოსთვის სიკვდილი მაშინ უნდა მიესაჯათ, უმანკო გოგო ასე ხელალებით რომ გამოასალმა სიცოცხლეს. მაგრამ ვინაიდან მაშინ გადაურჩა ამ სამართლიან განაჩენს, მოვიდა სოფელში და სიკვდილი აქ თვითონ მიისაჯაო. ლუციას ცოდვა იუსტი მაისაშვილის ნალიის ბოძთან დაენია და ისევე ჩააჯინა სიკვდილმა, როგორც თვითონ წაართვა გოგოს უმანკო სული. შალიკომ სიკვდილთან დააწერინა ჯვარი საპატარძლო გოგოს და მერე სასიძო კაცმა ჯვარი თვითონაც სიკვდილთან დაიწერაო.

მავანი რას ამბობდა და მავანი რას.

— იმ დღეს ხან წითელ და ხან შავ ცხენს დაუზოგავად რომ დააჭენებდა, თითქოს ცას და მიწას ეხვეწებოდა, ხომ ხედავთ, რა საშიში ვარ ყველასთვის, სანამ ძველ ცოდვას ახალს მივუმატებდე, მოისხით მადლი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომკალითო! იუსტიმ სწორედ ეს სურვილი აუსრულაო.

— შალიკო იუსტიმ კი არ მოკლა, ღმერთმა მიუზღა კუთვნილი, თავისივე ჩადენილი ცოდვის სიმძიმემ გასრისაო.

— იმ კვირა დღეს, მგზავრმრავალ გზაზე მარტო შავ ცხენს კი არ დააჭენებდა სახიფათოდ, ლუციას უმანკო სისხლით დამძიმებულ სულსაც, ახალ მსხვერპლს ეძებდა, ადრე დაღვრილ სისხლზე ახალი სისხლის მიმატება ეწადა. ჯერ ერთი ცოდვა არ ჰქონდა მონელებულ-მონანიებული, ცოდვების გამრავლება განიზრახა და ეს აღარ აპატია არც ღმერთმა, არც კაცმა, მანამდე მოუკლა ის შავი სურვილი, სანამ მის ასრულებას მოასწრებდა. ისე იყო ატეხილი, იუსტის რომ არ მოეკლა, სხვა დაადუმებდაო.

მავანი თვითონ შალიკოს ნათქვამსაც იხსენებდა: ჩემი სიყვარული, ჩემი საცოლე მე-ვე მოვკალი, და ჩემ სიცოცხლეს რაღა ფასი აქვსო. ეტყობა, ვერ შეძლო ვერც ციხეში და ვერც მერე ლუციას მოკვლის მონანიება, ეს ტანჯავდა და სიცოცხლე მოძულებულმა ამ ტანჯვისაგან გათავისუფლება მხოლოდ იმით მოახერხა, რომ თავი ვაუკაცურად შეაკლა იუსტის, რომელსაც ლუციას ძმების თოფი ეჭირაო.

ვინც ასე ფიქრობდა, ეკამათებოდნენ:

— თუ მართლა ვაუკაცური სიკვდილი ეწადა, ციხიდან გამოსვლისთანავე მოენახა ლუციას საფლავი და თავი იქ მოეკლა, მაშინ ყველა აღიარებდა, რომ ჭეშმარიტად მოინანია დიდი შეცდომაო. ის კი აქ ახალი დანაშაულის ჩასადენად აღზევდა და თავიც უხეიროდ წააგო. თანაც მაინცდამაინც იმ მუშაკაცს გაასვრევინა სისხლში წმინდა ხელები. თოფი რომ არასდროს სჭერია, უცოდველ ადამიანს გაუცოდვილიანა სული . და ამით თავის ადრინდელ ცოდვას ესეც მიუმატაო.

მოკლული თვითონ რომ იყო დამნაშავე და მკვლელი — უდანაშაულო, ამას ბევრი ამბობდა, მოკლულის ზოგიერთი ნათესავ-მოყვარეც იძულებული იყო ეს ეღიარებია. ყველაზე ნათლად კი ამას მართლმსაჯულება ხედავდა.

მართალია, ბიძაშვილებმა ერთხანს დაიჟინეს: იარაღი არ ჰქონდა, უბრალოდ, იმ ოჯახში მოსალაპარაკებლად შევიდა და ტყუილად მოკლესო, მაგრამ რამდენიმე მოწმემ მათი ჩვენება გააბათილა და დამტკიცდა, რომ შალიკოს ჯიბეში ნამდვილად ედო რევოლვერი და თუ ის მერე აღარ აღმოაჩნდა, როცა მოკლეს, ეს იმიტომ, რომ მობრუნდნენ თუ არა იუსტიზე გადევნებული ბიძაშვილები ნალიის ბოძთან ჩაკეცილ შალიკოსთან, მაშინვე რევოლვერი თვალსა და ხელს შუა გააქრეს, აქაოდა, მერე რომ ემტკიცებინათ — უიარაღოდ იყოო. შალიკოს ფინური დანაც უნახეს მერე. ეტყობა, ბიძაშვილებმა [illegible] ნენ, რევოლვერის გარდა ფინური დანაც რომ წამოიღო სახლიდან, თორემ იმასაც დამალავდნენ უმალ.

სხვათა შორის, იუსტიმ თავიდანვე განაცხადა: მე არ შემეძლო ის არ მომეკლა, ცამდე მართალი ვარ, მაგრამ რაკი მოვკალი, მთლად დაუსჯელად ნუ დამტოვებთ. ჩემთვის უარესი იქნება, მთელი სიცოცხლე ვერ მოვისვენებ, სასჯელი კი მეშეღავათებაო... მე არც სასჯელის შემსუბუქებას მოვითხოვო.

კანონისთვის აშკარა იყო: რომ იუსტი კი არ მიხტომია შალიკოს შინ, არამედ შალიკო შემოეჭრა სახლში სამჯერ. თანაც მესამედ აშკარა ავი განზრახვით, იარაღით, და ოჯახის უფროსს, რომელსაც სტუმრები ჰყავდა, მასპინძლის პასუხისმგებლობამ პირველად დააჭერინა ხელში თოფი, რომ დაეცვა თავისიანების სიცოცხლე მომხდურის ხელყოფისაგან, დაეცვა ოჯახის სინდისი და ღირსება. სიკეთეს თავი დაეცვა ბოროტებისაგან და ვინაიდან ავისმზრახველი სხვანაირად ვერ მოიშორა, თოფი ესროლა. თანაც იუსტი იმ დროს მთვრალი არ იყო, ფხიზელმა ესროლა, ეს კიდევ უფრო ამართლებდა. კაცი მოკლა არა წინასწარ განზრახული შურისძიებით, არამედ — იძულებით. შურისძიება სულს აწყნარებს ხოლმე, ამ ამბავმა კი ერთდროულად რამდენიმე ოჯახის ადამიანთა სული ააფორიაქა.

ამ აზრისა იყო თითქმის ყველა. გამომძიებელიც, პროკურორიც და მოსამართლეც. ამიტომ ფაქტიურად არ დაუსჯიათ შალიკოს მკვლელი, ასე ვთქვათ, დაყვავებით უთხრეს: ჯერჯერობით სოფელში შენი გამოჩენა არ ვარგა და დროებით ციხეში დაგმალავთო.

მიუსაჯეს ექვსი თვის ციხე და ექვსი თვის იძულებითი მუშაობა შალიკოს დაკრძალვის ხარჯების გადასახდელად. ეს იყო და ეს.

წესისამებრ რომ ჰკითხეს, საბოლოო სიტყვით რას გვთხოვო, მიუგო:

— მე რომ დამიჭირეთ, ოჯახისთვის ხარები ჩამოურთმევიათ, აქაოდა, უღლის დამდგმელი აღარავინ ჰყავსო. ხოდა, ციხიდან რომ გამოვალ, ჩემივე ხარები დამიბრუნონ და ექვსი თვის იძულებას ტყიდან მორების ჩამოთრევით ხელად გადავიხდიო.

იუსტი ქუთაისის ციხეში გაგზავნეს პატიმრობის მოსახდელად, მაგრამ იქ ექვს თვესაც არ მჯდარა, შრომისმოყვარე გამრჯე კაცი იქაც მუყაითობდა და ოთხ თვეში გამოუშვეს.

პატიმარი კი გამოუშვეს ციხიდან მალე, ჩვენი ოჯახის თოფი დააპატიმრეს სამუდამოდ, კაცის მკვლელი ჩვენი სანადირო თოფი აღარ დაგვიბრუნეს და კარგიც ქნეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევაც რომ დაებრუნებიათ, ვინღა იყო მისი შინ გამჩერებელი.

— გაგიჭირდა, იუსტი, ციხეში? — განგებ ეკითხებოდნენ ხოლმე.

— ციხე, ციხეა, ბევრს ვმუშაობდი. ეს არაფერი, მუშაობის მეტი რა ვიცი, მარა, სხვა რამე უფრო გამიჭირდა. იმ ოხერ ციხეში ერთობ ბევრი იყო ღანდალა თუ კედლიტილა. ისე დამესიენ კინალამ ცოცხლად შემჭამეს. (ღანდალას თუ კედლიტილას იუსტი, ეტყობა, ბაღლინჯოს ეძახდა).

შინ დაბრუნებისთანავე დაუბრუნეს ხარები. რაც მართალი მართალია, კარგი ხარები ჰყავდა, თავის ზნეზე გაზრდილი, ყოჩაღი და ღონიერი. მდინარე ლუხუნიდან მორები გამოჰქონდა ნესის სახერხი ქარხნისთვის. დღეღამეს ასწორებდა ციხეში გაცდენილი დროის ასანაზღაურებლად. შინ ქურდულად შედიოდა, ერიდებოდა შალიკოს მამასთან შეხვედრას, მაგრამ კარის მეზობლების შეხვედრა მაინც მოხდა. საბამ თვითონ შეაჩერა გზაზე მიმავალი იუსტი:

— მომიცადე, ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა!

იუსტი თავდახრილი გაუჩერდა.

— ჩემი ბიჭი ისე იყო თავგასული, ვიღაცას თავს რომ შეაკლავდა, ვიცოდი. თვითონაც მოისწრაფა სიცოცხლე უბედურმა, თავისი მოკვლის ცოდვა კი შენ აგკიდა... მე მამა ვარ და ყველაზე მეტად მეცოდება შვილი, მარა, რა ვქნა... ვერ გადავარჩინე, ვერა... მაჯობა, მაჯობა... სასამართლომ დამარხვის ხარჯი რომ დაგაკისრა, გინდა გადამიხადე და გინდა არა. რაც იყო იყო... მე ორი პარასკევიღა დამრჩენია, მალე მივუწვები შვილს გვერდით და თუ საიქიო ცხოვრება არის, ეგება იქ მაინც მოვარჯულო... აქ კი მეზობლობას ნუ მოვშლით. ერთმანეთის პირისპირ ვასახლივართ და აწი კერას ვერც შევიცვლით, შენ შვილები გყავს, მეც მყავს შვილები და შვილიშვილი, იმათ მაინც ნუ გადავკიდებთ სამტროდ და ახალ ცოდვას ნუღარ ჩავადენინებთ... შევუნდოთ ჩემ შვილს ჩვენი გამწარება, შევუნდოთ! — მხოლოდ ეს უთხრა საბამ და ცრემლმორეული გაშორდა იუსტის.

ეს ანდერძივით იყო.

სახერხი ქარხნის დახმარებით იუსტიმ საბას მალე გადაუხადა შალიკოს დაკრძალვის ხარჯი. (დღევანდელი ფულით რომ ვიანგარიშოთ, რაღაც ოთხმოცი თუ ასი მანეთი. მაშინ სოფელში ასეთი დიდი გასვენება კი არ იცოდნენ, ახლა ორას-სამასი და ზოგჯერ ხუთას კაციანი საქელეხო ტრაპეზი რომ იმართება).

ვერ გეტყვით, რომ შვილებმა საბას ანდერძს მთლად დაუჯერეს და იუსტის ალმაცერად აღარ უცქერდნენ, მაგრამ დაძაბულობა კი თანდათან შენელდა. დრო ... შემაგუებელი მალამო წასცხო იმას, რაც მოხდა.

ნალიასთან დაღვრილი სისხლი მიწამ შეიწოვა. იმ დღეებში წვიმა არ მოსულა, რომ ის სისხლი გადაერეცხა.

მაინც რა სისხლი იყო ეს, ცოდვით დაღვრილი თუ ცოდვილის? რასაკვირველია, ცოდვილის. ცოდვის სისხლი შალიკომ დაღვარა კავკავში, იატაკზე, უცოდველი გოგოს სისხლი. ის სისხლი მოწმინდეს, მაგრამ დარჩა მოსიარულე ცოდვა. ახლა კი ნალიის ბოძთან მიწას დაეღვარა იმ ცოდვის მტვირთველი სისხლი.

იუსტის გვერდით მეც მითოხნია ხოლმე მთაში სიმინდის ყანა და ერთხელ, როცა საუბარი იმ ამბავზეც ჩამოვარდა, გვითხრა:

— კი, მე ვესროლე, მარა, მე არ მომიკლავს. ის თვითონ მოვიდა და გული მომიშვირა, თოფი დამახალეო. მისი მოკვლის ცოდვას, ღმერთი თუ სადმეა, ვიცი, მე არ მომკითხავს, დაე, თვითონ მოკლულმა გასცეს ღმერთს პასუხი!

განგებამ თუ ვიღაცამ ისურვა, რომ მე ორივეს სიკვდილი ჩემი თვალით მენახა — მამიდა ლუციასიც და მისი მკვლელი შალიკოსიც. ვიმეორებ: ერთი ოთახის თეთრ კედელთან ჩაჯდა. მეორე — ნალიის შავ ბოძთან. ახლაც ასევე ვხედავ ორივეს, ბურუსში კი არა, მკაფიოდ... და ამ ამბავს ვწერ ნახევარი საუკუნის შემდეგ.

მამიდა რომ მომიკლეს, ყმაწვილი ვიყავი და ცოდვა-მადლისა, თუნდაც სიკვდილისა, ბევრი არაფერი გამეგებოდა. ბუნდოვნად დამრჩა ჩემივე შეკითხვა, თუ რატომ მოკლა ბიძია შალიკომ მამიდა ლუცია. შალიკო რომ მოკლეს, მაშინ უკვე ცამეტისა გახლდით და მივხვდი, რომ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — ცოდვამ უყელა მკვლელს, თუმცა გარკვევით იმ დღეს არც სიხარული მიგრძვნია, არც სიბრალული, ეს იყო უფრო რაღაცის შეცნობის სურვილით გამოწვეული გაოცება, რა თქმა უნდა, მეტნაკლებად კვლავ ბუნდოვანი.

ერთხანს რატომღაც მე შალიკოს საფლავთან გავლისა უფრო მეშინოდა, ვიდრე ადრე თვითონ ცოცხალი შალიკოსი.

ამბობენ: მკვლელი უეჭველად მიდის იმ ადგილას, სადაც მკვლელობა ჩაიდინა, მავანი მოკლულის საფლავსაც მოინახულებსო.

შალიკო რომ ლუციას საფლავს ვერ მოინახულებდა, ვიცი. ციხიდან მისი გამოსვლისას ის სასაფლაო უკვე ბაღად იყო ქცეული. ხინჩაგაშვილების სახლში რომ მისულიყო, სადაც მკვლელობა ჩაიდინა, ამასაც როგორმე გავიგებდით.

ხოლო იუსტი იმ ადგილას, სადაც კაცი შემოაკვდა, არა მარტო მივიდა, იქ ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა. (რა ექნა, სხვაგან ხომ არ გადასახლდებოდა!).

რა გუნებაზე დგებოდა, როცა ჩაუვლიდა ნალიის იმ ბოძს, რომელსაც ზურგით მიეყუდა მისი მოკლული კაცი? ან იმ მინას რა თვალით უყურებდა, რა გრძნობით მიმოდიოდა იმ ეზოში, სადაც შალიკოს სისხლი დაღვარა? თანაც, ყოველდღე, ვინ იცის, რამდენჯერ უხდებოდა იქ გავლა-გამოვლა!

რას ფიქრობდა, რას განიცდიდა?

ახლა ვკითხულობ ამას, თორემ მაშინ ეს არც გამხსენებია.

ეტყობა, ყველაფერს ეჩვევა ადამიანი, ამგვარ ამბებსაც კი. ტყუილად როდი ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო.

ენა მისწრება წინ და ბარემ აქვე გამცნობთ: იუსტი, რომლის ხელში იმ ერთი საათის გარდა თოფი არავის უნახავს, სამამულო ომში დაიღუპა. ვერ გეტყვით, ფრონტზე კაცი მოკლა თუ არა, ის კი ნამდვილად ვიცი, ერთი ჩვენებური, პოლიაქტორ მელაშვილი გადაარჩინა. როცა პოლიაქტორი მძიმედ დაიჭრა (ცალი ხელი ყუმბარამ მხართან მოაგლიჯა, რამდენიმე სხვა ჭრილობაც ჰქონდა და სისხლისაგან იცლებოდა), სწორედ იუსტიმ, ამ ძალგულოვანმა ადამიანმა, ზურგზე შეიგდო და ხან ხოხვით, ხანაც ისე, წინა ხაზიდან შვიდ კილომეტრზე ატარა, სანიტარულ ბატალიონს ჩააბარა და თვითონ გაბრუნდა ცეცხლის ხაზზე. პოლიაქტორს რამდენჯერ უთქვამს ჩემთვისაც: იუსტიმ მე გადამარჩინა. თვითონ კი შინ დაბრუნება არ ეღირსაო.

მარად მსრბოლავი წუთისოფელი მიდის და მიდის. ნესელი შალიკო მერკვილაძის მოკლული წესელი ლუცია გენაძე ცხრა მთის გადაღმეთში დაიმარხა და მალე დაიკარგა მისი საფლავი. თვითონ შალიკო თავის საფლავში დაიმარხა, ბარაკონის ეკლესიასთან. აი, ვეძებ მის საფლავს და თუმცა აქ სასაფლაო არ გაუქმებულა, როგორც კავკავში, შალიკოს საფლავზე ეკალ-ბარდებს გადაუვლია და ისიც დაკარგულივითაა უკვე. ლუციას მკვლელსაც დაეკარგა საფლავი. ან ერთს, ან მეორეს ნაშიერი რომ დარჩენოდა, ალბათ, არც საფლავი დაეკარგებოდა, არც სხვა რამ.

შალიკოს მკვლელის საფლავი ომმა დაკარგა.

ქალიშვილის უდროო სიკვდილით გულმოკლული ბაბუაჩემი და ბებიაჩემიც ბარაკონზე მარხიან, სადაც შალიკო. ვისი თოფითაც შალიკო მოკვდა, ორივე ჩემი ბიძაც ბარაკონის მიწაში განისვენებენ, ბარაკონზე ნვანან შალიკოს დედ-მამაც და ძმებიც. ერთმა მიწამ გააერთიანა ისინი — სასაფლაოს მიწამ.

სად დაიმარხა მამიდაჩემის მკვლელი შალიკოს ნაგანი? სად დაიმარხა შალიკოს მკვლელი თოფი? ეს აღარ ვიცი.

ეჰეი, რა ზნე გჭირს, წუთისოფელო!

და ახლაც, სამოც წელს გადაცილებულ კვლავ მესმის იმ ბიჭის ხმა, ცხრა წლისა რომ კითხულობდა:

— რატომ მოკლა ბიძია შალიკომ მამიდა ლუცია, რატომ, რატომ, რატომ?!

ცმანვილკაცობისას და მერმეც ხშირად გამიგონია: თავისებური ხერხით, საიქიოდან სულების გამოძახება და მათთან საუბარი შეიძლებაო. სპირიტუალიზმის სეანსებს გულისხმობდნენ. რატომღაც ყველას გვნადია გვნამდეს, ჩვენი ხორცი რომ მინად იქცევა, სული მაინც ცოცხლობდეს ისევ.

მაშინ არადა, ამჟამად რამდენჯერ მიფიქრია, ნეტავ ეს მართლაც შეიძლებოდეს და ერთმანეთს შევახვედრო ლუციას, შალიკოს, იუსტის და სხვათა სულები, მათი არა მარტო აღსარება, დავაც მომასმენია-მეთქი. რაკი ვიცი, ეს შეუძლებელია, ამ შეხვედრას ფიქრით წარმოვიდგენ ხოლმე.

— რას მერჩოდი, ბიჭო, რატომ მესროლე ტყვია?

— არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი... ახლაც არ ვიცი. რამ ამირია გონება... დაგინახე თუ არა, შემიყვარდი და გამაგიჟა იმ სიყვარულმა. მერე უარი რომ მითხარი... გონმიუცემლად...

— ახლა მაინც აღიარე, ადრევე რომ მოემზადე ჩემს მოსაკლავად, ვინემ ცოლობაზე თანხმობას მთხოვდი... ამბობ, სიყვარულმა გამაგიჟაო, მერე და, განა სიყვარული მხოლოდ სიგიჟეა?! ვინც გიყვარს, რატომ უნდა მოკლა, რატომ, რატომ, რატომ? რა იოლად კლავს ადამიანი ადამიანს, ზოგჯერ დაუფიქრებელი ჟინიანობითაც — ჩახმახზე ერთი თითის გამოკვრა და აღარ არის ადამიანი, ხშირად სრულიად უდანაშაულოც კი... ახლა მაინც ნუ იწყებ თავის მართლებას, როცა თავი თვითონაც უგუნურად ნააგე, აღიარე დანაშაული სხვის წინაშეც და საკუთარი თავის წინაშეც... რაკი ეს არ გინდა, მისმინე, მე ვიქნები შენი მსაჯული!.. აი, ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს: შენ — უცოლო, მე — უქმრო. მე ხომ შენს ცოლობაზე უარი არ მითქვამს, ყასიდად, ქალური მოკრძალებით თუ თავმოყვარეობით დავიჭირე თავი — ჯერჯერობით ჩემი გათხოვება ადრეა-მეთქი, შენ კი აჩქარდი, არ დაუცადე ჩემს ნამდვილ პასუხს და... მესროლე. რატომ, რატომ, რატომ აჩქარდი? მეორედ ან მესამედ რომ შევხვდებოდით ერთმანეთს, განა არ დაგეთანხმებოდი, მე ხომ ცოლ-ქმრობის პირობა არავისთვის მიმიცია ადრე. ხოდა, არ ჯობდა დედამიწაზე წყვილად გეევლო? მე ქალად გავჩნდი, ქალი კი, იცი, რისთვის მოდის ქვეყნად? ჯერ დედა გახდეს, მერე — ბებია, მერე შვილიშვილთა შვილებს მოეფეროს... და შენ ის ხელი, ქალის სააღერსოდ რომ უნდა მოგემარჯვე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბია, იარაღის სასროლად გამოიყენე, ჩემთან ერთად ტყვიით მოკალი ჩემი ქალობის მადლი, ადრევე გადამიჭერი დედობისა და ბებიაობისკენ მიმავალი წუთისოფლის გზა... მერედა, რა მოიგე ამით? მართალია, ჩემი მოკვლის მერე კიდევ ოთხ წელიწადს იარე მიწაზე, მაგრამ ერქვა კი ამ სიარულს სიცოცხლე? ჩემი მოკვლისთანავე შენც გათავდი როგორც ადამიანი, სანამ ორგულა მკერდს თოფს მიუშვერდი, მანამდეც მკვდარი იყავი უკვე, ეს ვეღარ აიტანე ბედგამწარებულმა თუ თავმოძულებულმა და ჩემი ძმების თოფი დაიხალე გულში. მერე რა, ეს თოფი სხვამ რომ გესროლა, მაინც შენ დაიხალე... ახლა ისიც ვიკითხოთ, კაცი ქვეყნად რისთვის მოდის? რომ ჯერ მამა გახდეს, მერე — ბაბუა, შენც შეგეძლო გყოლოდა ცოცხალ-შვილი და გაგემრავლებია სიცოცხლე. ამის მაგივრად კი ჩემი მოსპობით თავიც გაინადგურე, მეც დამლუპე, თავის დაიღუპე და არა მარტო ჩემი, შენი სიცოცხლეც დაუკარგე სამზეოს... როცა საპატარძლო გოგო ან სასიძო ბიჭი კვდება, კვდება მომავალი დედა ან მამა, ნადგურდება ახალი სიცოცხლის გამოსაჩეკი ბუდე... და შენ სიცოცხლის გამრავლების ნაცვლად ტყვიით დაარბიე და სამუდამოდ მოშალე სიცოცხლის გამოსაჩეკი ორი ბუდე, ერთი დედობისა და მეორე მამობისა, გაწყვიტე სიცოცხლის ჯაჭვის ორი რგოლი. ჩასკვნილი კაცი იყავი, ძალგულოვანი, შრომა-გარჯისათვის გაჩენილი, რატომ აირჩიე მაინცდამაინც მკვლელის გზა? გეთესა სიკეთე, ბედნიერი ყოფილიყავი და სხვაც გაგებედნიერება. ჭეშმარიტად შეგეყვარება და ასევე ჭეშმარიტად ჰყვარებოდი სხვასაც. გვეცოცხლა ორივეს სიყვარულით. შენ კი ნაგნის უგუნური გასროლით ერთდროულად მოკალი ორი სიყვარული — ჩემიც და შენიც. ეს არის ყველა ცოდვაზე დიდი ცოდვა. ამ დიდი ცოდვის ჩადენასაც არ დასჯერდი, მოინდომე სხვათა უკვე დაწყვილებული სიყვარულიც მოგეკლა... თავიდანვე გადაემტერე სიყვარულს, ყველას სიყვარულს... და შენთან ერთად მოკლეს აღვირახსნილი, გაეშებული სიძულვილი — სიყვარულის დაუნდობელი მტერი სიძულვილი. შენ გააცოდვილიანე ერთი პატიოსანი, გულწმინდა, გამრჯე კაციც, ასე რომ, რამდენიმე ცოდვაკიდებული დაადექი საიქიოს გზას... არა, შენი სიკვდილით ჩემი სული არ ხარობს, ჩემი სული მხოლოდ მაშინ გაიხარებდა, მე და შენ მხოლოდ სულეთში რომ არ შეეხვედროდით ერთმანეთს. შენ იმის იმედიღა გქონდა, ალბათ, რომ სულეთში მაინც შეერთდებოდა ჩვენი სულები, რაკი სამზეოში არც ერთს არ გველირსა, აქ გადავიხდით ქორწილს, სულთა ქორწილს. აკი ამბობდი ხოლმე: ჩემი საცოლე, ჩემი სიყვარული ჯერ ბ[illegible] მოვასალმე სიცოცხლეს და აქ [illegible] ამაოდ იმედოვნებდი ასე და იუსტისაც ფუჭად შეიკალი თავი აქ ნაადრევად წამოსასვლელად. ვინაიდან სამზეოში ვერ შეერთდნენ ჩვენი სულები, სულეთში, მით უმეტეს, ვეღარ შეერთდებიან. შენ ჯერ მე დამაქორწილე სიკვდილზე. მერე კი თვითონაც სიკვდილზე იეორწილე, თვითონ სიკვდილი კი ჩვენ ვერ დაგვაქორწილებს. ჩემი და შენი სული მარად ცალ-ცალკე იფრენენ. რამდენიც უნდა მდიო, შენი სული ამიერიდან ჩემ სულს ვეღარასოდეს დაენევა! აი, მე ცაში მივფრინავ, ახლა, შენი ადგილი კი არ არის ცაში!..

ხო, მგონია, რომ ასე შეუწყრება ლუციას სული შალიკოს სულს...

და ამ ორი სულის დავას, ასე ვთქვათ, სასამართლოს, მოწმეებად დაესწრებიან ეშმაკებიც და ანგელოზებიც, ეშმაკები იცინებენ, იქირქილებენ, იხარხარებენ. ხოლო ანგელოზები იტირებენ, ბევრს იტირებენ, თანაც არა ლუციას, ბედდაწყევლილ შალიკოსაც...

და დღეს ანგელოზებთან ერთად ორივეს დავტირით, მამიდაჩემსაც და მის მკვლელსაც — სიცოცხლის ორ სამუდამოდ დანგრეულ ბუდეს.

რა თქმა უნდა, მე შალიკო მაშინ არ შემბრალებია და არ მიტირია, ახლა მებრალება და ვტირი. მაშინ სხვები ამბობდნენ: ახია, რომ მოკლესო და. ალბათ, მეც ვეთანხმებოდი, ახლა კი დროგადასული, შორეული, დაგვიანებული რეკვიემით ვგლოვობ.

მაგრამ ყმაწვილს ჭირისუფლის ნამდვილი ცრემლით არც მამიდა დამიტირებია.

დიდი ხნის შემდეგ კი ორივეს სიკვდილი მტკივა. ორი ცხედარი თითქოს ერთ კუბოში წყვილად მისვენია წინ და ერთნაირი წუხილით, ერთნაირი კაეშნით ვაყრი ცრემლებს ორივე დაღუპულს. რადგან მკვლელიც და მოკლულიც ერთი უგუნურების მსხვერპლად მიმაჩნია. გულს მიკლავს ის ამბავი, რომ შალიკოსთანა ადამიანები გონმიუცემლად კლავენ უდანაშაულო ადამიანებს და მერე სვეგამწარებულნი თვითონაც მალე ისწრაფებენ სიცოცხლეს, თავსაც უგუნურად იღუპავენ.

სასიძოდ გამზადებულმა ჭაბუკმა მოკლა საპატარძლო შეღერებული გოგო და თვითონაც ქარაფშუტულად შეეწირა ამ ამბავს. იგი არა მარტო მამიდაჩემის, საკუთარი თავის მკვლელიცაა.

სხვისი ჭეშმარიტი სიყვარულის მკვლელმა თავისიც მალე დაასამარა ნამდვილი სიყვარულის უგემებლად. აი, ამ დაღუპულ სიყვარულს დავტირი დღეს მე.

შალიკოს უგუნური ატროვება რომ არა, ეგებ ორივენი ახლაც ცოცხლები ყოფილიყვნენ და მზიანეთში მათ შვილებსა და შვილიშვილებსაც ეცლოთ — მამიდაჩემის ნაშიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს. დიღი მადლი მოჰყოლოდა ამ ორი ადამიანის შეუღლებული სიყვარულის სიცოცხლეს.

დრო-ჟამის დიდი გადასახედიდან რომ გადავყურებ ამ უბედურებას, ერთობ მრავალნაირი სინანული მიპყრობს:

— ადამიანო, რატომ მოკალი ადამიანი, რატომ, და იმასთან ერთად შენი თავიც რატომ მოიკალი? ეშმაკმა უწყის, რამდენი ამგვარი უგუნურებაა ჩადენილი ცისქვეშეთში?! რატომ ხარ, ადამიანო, ასეთი თავგანუსჯელი, რატომ? — ჩაქუჩივით მირტყამს საფეთქლებში ეს ჩემივე შეძახილი.

მოკვდა შალიკო მერკვილაძე, მოკლა... იმ გოგოს ძმების თოფმა, ბოლოს... ლა ნაგანით, მაგრამ მისი ჩადენილი ცოდვა არ მომკვდარა, არც დამარხულა, დრო-ჟამს აემგზავრა. ის კვლავ დადის ქვეყნად და ეძებს ორ დაკარგულ საფლავს, ერთს კავკასიონის ქედის გადაღმა, მეორეს — გადმოღმა.

ცხრა წლის ბიჭმა ვიკითხე:

— რატომ მოკლა შალიკო ბიძიამ ლუცია მამიდა?!

ამბობენ: ბავშვის პირით, მისი გულუბრყვილო გულით ღმერთი ლაპარაკობსო. მე თითქოს კვლავ ის ბავშვი ვარ და მაშინდელივით ვკითხულობ:

— რატომ?! რატომ?! რატომ?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კლდიაშვილი

ცნობილ პოეტს გურამ კლდიაშვილს 60 წელი შეუსრულდა. „მნათობის" რედაქცია ულოცავს მწერალს ამ შესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

როცა თვალი მითამაშებს

ვიცი, თვალის
თამაში
რაღაც ამბის მაცნეა.
ზოგს მარჯვენა
აშინებს,
ზოგსაც კიდევაც მარჯვენა.

ზოგჯერ თვალის
თამაშის
მჯერა, თანაც არ მჯერა,
ზოგს მარცხენა
აშინებს,
ზოგსაც კიდევ მარცხენა.

მე კი თვალის
თამაში
ავადა მაქვს დაცდილი,
მითამეშებს
ხშირ-ხშირად
უძილარი კაცივით.

ღმერთო! თვალის
თამაში
თუ რამ ცუდის მაცნეა,
ანაცვალე
ჩემს მამულს
მარჯვენაც და მარცხენაც.

შემოდგომის ესკიზები

ჩაგვიარა ზაფხულმა... შემოდგომა იწყება...
ხეთა გრძელი ჩრდილები ღობის ძირში მიწვება.

გაგვიყვითლდა ზაფრანა, თითქოს ჰქონდეს ბოტკინი;
აუცვიათ პილპილი — შემოდგომის მოტივი;

სურო ცაზე გასულა. — ვინ ეშმაკმა ურჩია:
ეგერ, ხაპებს მესერზე თავი ჩამოუხრჩვიათ;

აქ, ბუერა ფოთლებში გაბლეჩილან ლეღვები;
ნაქურჩალა სიმინდით ვერ სუნთქავენ ბეღლები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზესუმზირა-ქალბატონს მზემ იმდენი უმზირა,
მზესუმზირას კიარა, გაასწორებს კუზიანს;

გოგრა ჩრდილში გაგორდა, ვითომ იყოს ნაჯაფი;
ჩარჩენილა ხის კუნძში ჩარჭობილი ნაჯახი;

ბროწეული შაქარა, ვითომ იყოს მიცლილი,
(ძველი შედარებაა) ლამის მოკვდეს სიცილით;

ხიდან ჭროლა თვალებით იმზირება უნაბი;
თავს გვაწონებს ქარვისფრად დათაფლული გულაბი;

ქარმა, გადარეულმა, ჩალა ისე აჩალა,
ვითომ ჩამოუარა ნამგლიანმა ყაჩაღმა;

მეტიჩარა გვირილას თავი ისე უჭირავს,
ვითომ ქვეყნად უმისოდ ყველაფერი ფუჭია.

შრიალებენ ალვები დასაწერი ნოტივით
და გრძელდება ზამთრამდე შემოდგომის მოტივი...

რომ შეგეძლოს...

უკვე მიხველ
იქამდე,
რომ თავს არვის
უყადრებ:
შენ არავინ გიყვარდეს,
შენ კი ყველას უყვარდე!

რომ შეგეძლოს,
გასცემდი
მოწონების
მოწმობებს:
თავს გეხვიოს კაცები,
შენ კი არვინ მოგწონდეს!

ნუ გგონია
უბრალ ვარ,
შენს ჭკუაზე
წამიყვან:
ვისაც მე არ ვუყვარვარ,
იგი არც მე არ მიყვარს!

თვითონ თუ არ
იკადრებ,
მე ვერ გკადრებ
უკადრებს,
ვნატრობ: ვინმე გიყვარდეს,
შენ კი სულ არ უყვარდე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულო კოგიაშვილი

ოცდამეთექვსმეტე

მოთხრობა

ხელებში თავჩარგულმა შიომ მძიმედ ამოიოხრა, გადაშალა მერე უბის წიგნაკი, უყურა კარგა ხანს დანანებით ნომერ ოცდამეთხუთმეტეს, გაუკეთა ბოლოს შავი არშია, გადააქნია თავი ერთხელ კიდევ გულდაწყვეტით და ყურადღებით ჩაიკითხა ნომერი ოცდამეთექვსმეტე: ვარ 31 წლის ქერა, ცისფერთვალება, სიმპათიური ქალიშვილი. სიმაღლე 169 სმ. კარგი ხასიათის. განათლება უმაღლესი. ვმუშაობ შემნახველ სალაროში. ვცხოვრობ ერთოთახიან ბინაში. ვეძებ საქმროს: მაღალს, კარგი გარეგნობისას, ვაჟკაცური ხასიათისას. უმაღლესი განათლებით. დარეკეთ ტელეფონით: 28-21-11. ია.

შიომ თავი მარცხნივ შეატრიალა, თქვა „ფუი, ფუი, ფუი". გადაიწერა პირჯვარი და ყურმილს დასწვდა.

— გისმენთ — უპასუხა 28-21-11-მა.

— ია ბრძანდებით?

— დიახ

— მე... მე... — ენა დაება შიოს.

— გისმენთ.

— მე... მე... — ისევ გაჩუმდა შიო.

იამ კარგა ხანს უსმინა გაჩუმებულ შიოს და მერე ისევ თვითონ ამოიღო ხმა.

— ვინ ლაპარაკობს?

— ერთ-ერთი... მე... — ველარ მოაბა წინადადებას თავი შიომ და ჭერისკენ უმწეოდ თვალაპყრობილმა სუნთქვა მთლად შეწყვიტა.

— საბელ-გვარი არა გაქვს, შე კაი კაცო? — გაცხარდა უცებ ია.

— მაქვს... შიო... ოდიკაშვილი. — ამოისუნთქა და ნეკზე წამოზრდილ ფრჩხილს დახედა შიომ.

— მერე, რა საკითხზე რეკავთ?

— იმის... აი... გაცნობის... — როგორც იქნა, თქვა, სათქმელი შიომ და ასე თუ ისე დამშვიდდა.

— მონაცემები?

— თქვენი? — დაიბნა შიო.

— თქვენი. ჩემი ხომ ისედაც კიცი, — გაიცინა იამ.

— ჩემი... ამ რამდენიმე თვის წინათ დაიბეჭდა ხელახლა, მაგრამ შეიძლება არ გახსოვდეთ. დეკემბრის ათში.

— გვარი? ჰო, თუმცა ხომ მითხარით უკვე. მოითმინეთ, ერთი წუთით, მიწერია წიგნაკში და მე თვითონ ვნახავ... ო... ო... ოდიკაშვილი შიო. ვიპოვე. ოცდათვრამეტი წლის, მაღალი, სიმპათიური, შავგვრემანი. ხელოვანი. ეძებთ ოცდარვა წლამდე ქალიშვილს. პასპორტი XI-TN № 551221. ფოსტა № 2. მოკითხვამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეეხვდეთ? — ამოილუღლუღა შიომ.

— კი, ბატონო.

— სად და როდის?

— დღესვე, მეტრო „რუსთაველის" წინ, ზუსტად ექვსზე.

— როგორ ვიცნოთ ერთმანეთი... თუმცა განცხადებებში ხომ არის ჩემი აღწერილობაც და თქვენიც.

— არა, არა, — რატომღაც შეეშინდა უცებ ია. — სად ვდგეთ, რამდენი მაღალი და სიმპათიური ხელოვანი გაიელის, ხელში რაიმე დაიკავეთ, მაგალითად წიგნი.

— თქვენ?

— მე მეცმეევა ყვითელი კაბა, ყვითელი ფეხსაცმელი, მწვანე ქამარი, ხელში მეკავება ასევე მწვანე ჩანთა. მე მგონი საკმარისია, არა?

— დიახ.

— ნახვამდის, აბა.

— ნახვამდის.

შიომ ყურმილი დადო, ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა, წამოდგა და უცებ ცხვირი კინაღამ ცხვირზე წაარტყა მის წინ ჯალათივით ასვეტილ, დოინჯშემოყრილ და სიბრაზისაგან წარბებაჯაგრულ შინაბერა დას.

— ოთხმოცდამეცხრამეტეს ურეკავ, არა?!

— ოცდამეთექვსმეტეს, — დაიბნა და უკან დაიწია შიომ.

— რა მნიშვნელობა აქვს, იმასაც მოვესწრები ცხრაასოთხმოცდამეცხრამეტე ნომერს კრეფდე, — ცხმამაღლა აწიკვინდა და ხელი შიოს მაგიერ ტელეფონს წაკრა ქალმა. — აღარ შემიძლია მეტი, რა ყველა უბედურება მე უნდა მჭირდეს. მე ვარ და ასეთი, ძმა არის და ასეთი. რაო, რაო, ოცდამეთხუთმეტემაც დაგიწუნა? დაგიწუნებდა, აბა რას იზამდა... უბედურო! დაბდურო! ღმერთო, ვინც ეს გასაცხობი განცხადებები გამოიგონა, ის არ გაახარო და იმას არ აღირსო ქვეყანაზე არაფერი. გაცხობა და ცხობა! ქე მაინც, თუ არავის [illegible] ფერის ზონაც ეგდებოდი და არ იწონწალებდი გზირივით კარიდან კარზე, მისამართიდან მისამართზე. მაგ ბელატი თავით გინდა მოხიბლო ვინმე, მაგ სტეორივით ცხვირით, ბაკ მოქარგული ენა-პირით, თუ რითი, რითი? წაბრძანდი, ბატონო სოფელში, რომ მიაგდე იმხელა სახლ-კარი ორი გასაცოდავებული მოხუცის იმედზე და აქ რომ დაეძებ სხვისი დედ-მამის სახლკარს. დაგდებულიყავი, სადაც დაიბადე და სადაც გაიზარდე. შე არდასაბერებელო და არგასაზრდელო. აქამდე ხომ ცოლიც გეყოლებოდა და ჭიანჭველასავით დახვეული წვრილშვილიც. უჯიშო! დეგენერატო! რეგვენო! ეს კიდევ, მეორედ აღარ დაგინახო ამ ოთახში შემოტანილი, თორემ თავზე გადაგასხამ ყველანაირ და ყველაფრის საღებავს, ამათმა სუნმა ხომ მთლად ბოლო მომიღო. ეგ კირში ამოთხვრილი შარვალ-ხალათიც გაათრიე, სანამ სულ ნაკუწებად არ მიქცევია. — დამ უცებ თვითონვე დასტაცა ხელი წითელი საღებავით სავსე ვედროს, კირიანი შარვალ-ხალათიც ზედ მიაყოლა და სულ წყევლა-კრულვით გააქანა შემოსასვლელისაკენ. უკან შემობრუნებულმა მზაკვრული იერით გახსნა ჩანთა, ამოიღო იქიდან ფული, გადათვალა და მაგიდაზე დაუტყიპა დამნაშავე მოწაფესავით ხელებჩამოშვებულ და გაშეშებულ შიოს. — დიახ ახლისი ბრძანდებოდა დღეს. — ქირა გადაიხადეო, აი ჩემი ორმოცდაათი, დაამატე შენი ასი მანეთიც და დღესვე მიუტანე. დაიქცეს ჩემი დაბადების დღე, დაიქცეს, როდის შენ ბინიან ქალს იშოვი, როდის შენ შვილს გააჩენ, ყოველი განცხადების გამოქვეყნებისას თითო წელს რომ იკლებ კახპა ქალივით. ფუჰ! — ხორცშესხმული შოოისდებულივით დააგვირგვინა მონოლოგი დამ. კიდევ ერთხელ წაკრა ხელი ტელეფონს, რატომღაც ფეხი ამოუქნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისედაც გაუბედურებულ — დაფეხვილ სკამსაც და თავზე ხილაბანდის წაკვრის შემდეგ ძმისკენ ზურგშექცეული საკერავს ჩაუჯდა.

შიომ უხმოდ მოიწმინდა ცხვირ-პირზე მიშხეფებული შორისდებული. ფეხსაცმელზე დაიხედა. გაიხადა. თითისწვერებზე აწეული მიუახლოვდა საწოლს და ქვემოდან შედარებით მაღალქუსლიანი და სქელლანჩიანი ფეხსაცმელი გამოაჩოჩა.

— შენმა მზემ, ყარამან ყანთელის სიმაღლე არ გაგხადოს უცებ სამი სანტიმეტრით მაღალმა ქუსლმა, — დაგესლა დამ ისე, რომ თავი არ შემოუტრიალებია. — ფეხსაცმელსაც რომ განცხადებების მიხედვით იცვამს ეს საცოდავი?! — „ვარ მეტრა-სამოცი". — მიცუნცულებს ეს უბედური ჩვეულებრივი ქუსლით „ვარ მეტრასამოცდაათი" — მიკუნკულებს ეს საწყალი ბაკა-ბუკით! აი, აი, მიწა კი დავაყარე იმ განმცხადებელ მეტრსამოციანებსაც მეტრსამოცდაათიანებსაც და რაც მთავარია შენც — მეტრანახევრიანო! ნეტა სად მიდიხარ, რომ მიდიხარ ერთბაშად. ვიღაცაა უკან არ გამოგეკიდოს, გაგიცნობს თუ არა!

შიომ კვლავ უხმოდ, გმირულად გაუძლო მეტრასამოცდარვიანი დის მორიგ თავდასხმას, გავიდა სამზარეულოში, ჩაიცვა იქ ქუსლიანი ფეხსაცმელი, საგარეო კოსტიუმი და გახარებულმა, რომ ოთახში შებრუნება აღარ დასჭირდებოდა, ზედ არ დაუხედავს, ისევ დაავლო ხელი იქვე, მაგიდაზე მიგდებულ სქელტანიან, ფართოფორმატიან წიგნს.

მეტრო „რუსთაველის" წინ შეჩერებულმა შიომ საათი შეამოწმა, გაიარ-გამოიარა და მერეღა დახედა უჩვეულოდ მძიმე წიგნს: „ტორტები", — ეღდა ეცა შიოს.

„ღმერთო, ოღონდაც დღეს არ შეუკვეთოს ვინმემ ნაირას ტორტის გამოცხობა, ოღონდ ისე მიმატანინა სახლში, ნაირამ ვერ გაიგოს წამოღებული რომ მქონდა... რა დღეა დღეს, პარასკევი. ვაიმე, შაბათ-კვირისთვის თითქმის ყოველთვის უკვეთავენ... ვაიმე!— ხელახლა შემოეყარა უცებ გულზე შიოს და წიგნს ისევ ელდანაცემი დააჩერდა, — რას იფიქრებს ის გოგო, „ტორტებით" ხელში რომ დამინახავს, თუ იფიქრა რომ მე ვაცხობ..."

— უკაცრავად, თქვენ შიო ხომ არ ბრძანდებით? — ჯერ წიგნს შეხედა, მერე შიოს დაქნეულ თავს, მერე ისევ წიგნზე გადაიტანა მზერა და უცებ აღფრთოვანებით გაშალა ხელები ქალმა. — ღმერთო ჩემო, რასაც მე ამ წიგნზე ვოცნებობდი, რას ვიფიქრებდი თუ პირველი შეხვედრისთანავე ასე გამახარებდით!

„ოცდათვრამეტის ისე იქნება, როგორც არაფერი, — უაზროდ მიაყოლა იღლიიდან ართმეულ წიგნს თვალი შიომ, — ქერა კი არა მთლად ცეცხლისფერი... ვაიმე ცხვი-რი!.. იელის ბუჩქს ჰგავს, იას კი არა... საწყალი ფარნაოზის ხარი იელის მსხვერპლი გახდა — სრულად უადგილო ადგილას გაახსენდა უცებ შიოს ფარნაოზის ხარი და წიგნის თვალიერებით გართული ქალისათვის არ მოუცილებია, ისე დაამთავრა იელთან დაკავშირებული მჭმუნვარე ფიქრი, — შეხედავ, ერთი ყვითელი ბუჩქია, ვითომ უვნებელი, არა და რას უშვრება ეს იელი საცოდავ სულელ საქონელს.

— გეგონებათ ჩემს გულში იჯექით, რომ იცოდეთ, რა მადლობელი ვარ! — ქალმა წიგნი დახურა, მკერდზე მიიხუტა და დაკვირვებით შეათვალიერა აწითლებული, ნირწამხდარი და ენაჩავარდნილი შიო, — რა ვქნათ ახლა ჩვენ, ბატონო ხელოვანო?

„რა ვქნათ და არაფერი, თქვენ თქვენი გზით წადით, მე ჩემი გზით წავალ." — შვებით გაიფიქრა და თანაც ამოიოხრა შიომ, — გაახსენდა, სწორედ ასე რომ უთხრა გუშინ ოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამეთბუომეტე. ნაბიჯი არ გადაუდგამთ იქიდან, სადაც შეხვდნენ, თავაზიანად მოუხადა ბოდიში შიოს, შეტრიალდა და წავიდა. „აი, ვინ ჰგავდა მართლა იას“.

— კარგით, — უპასუხა შიოს დუმილს ქალმა და რატომღაც გაიცინა. — გავიაროთ, აბა ვნახოთ...

შიომ ქალის იღლიაში მყარად ამოდებულ „ტორტებს“ შეხედა და თავზარდაცემულს ახლალა გაახსენდა დოინჯშემოყრილი, თავწაკრული და.

— ძალიან მძიმეა, — გაუღიმა ქალმა და წიგნი კეკლუცად გაუწოდა შიოს, — რაღაი მაჩუქეთ. ბარემ წამოღებაში ხომ არ მომეხმარებოდით?

წელმოწყვეტილმა შიომ წიგნი გამოართვა, დაკარგული ახლობლის პორტრეტივით სასოებით მიიხუტა გულზე და თავჩაქინდრული უხმოდ გაჰყვა გვერდით ქალს.

ქალმა მწვანე ქამარში გარჭობილი წითელი ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირი მოიწმინდა და შიოს გაუცინა.

— მშვენიერი ამინდია, არა?

— დიახ. — თავი დაუქნია შიომ.

— შიოს სალამი! — ხელი გაუწოდა ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ორი კაციდან ერთ-ერთმა. — ე, ბიჭო, რა ბედზე შეგხვდი, აი, ვახო. — მიუტრიალდა იგი ზორბა შეგობარს. — ამაზე გეუბნებოდი, ოჭროს მარჯვენა აქვს, ამისთანა ხელოსანს მთელ ქალაქში ვერ ნახავ. ტყუილია! რემონტი აქვს გასაკეთებელი. — მოუბრუნდა კაცი ისევ შიოს და მის გვერდით მდგომ ქალს თავაზიანად დაუკრა თავი. — უკაცრავად, სულ ერთი წამით წაგართმევთ. მეტით არა, ქალბატონო. — ნუ ეტყვი უარს, არ გაწყენინებს, ფული ჩეჩქივით აქვს. შენთვისაც კარგია, ამისთვისაც. დაიმახსოვრე ვახო, ამისი მისამართი: ოქტომბრის ხუთი — ოქტომბერს რა დაგივიწყებს, — რატომღაც ამოიოხრა მან და ეს კიდევ, სულ [illegible] დასამახსოვრებელია. შემომხედე, ა! — და კაცმა ისე გაფარჩხა ხუთივე თითი, ლამის თვალები წამოაყრევინა ნაზად თავაღერილ იას. — უკაცრავად, ქალბატონო, — მორცხვად მოიხადა მან ბოდიში და ამჯერად ვახოს თვალებისაკენ წაიღო გაფარჩხული ხუთეული, — ოღონდ ნომრის გასახსენებლად ორივე ხელი არ ასწიო,ერთიც გეყოფა. — ჩაბჟირდა იგი თავისივე ხუმრობაზე და უცებ კვლავ დასერიოზულებულმა ისე ჩამოჰკრა ტორი შიოს ისედაც გალეულ ბეჭს, „ტორტებმა“ ასფალტზე მოიღო ზღართანი. — კარგად, აბა, მასალის საშოვნელად მივდივართ ახლა და თუ გავახერხეთ, მოგაკითხავს ვახო ამ დღეებში.

— საძაგელი, — ცხვირი დამანჭა იამ და წიგნის ფერთხვით გართულ შიოს ხელი წააშველა. — ზოგი მაინც რა ველურია, არა? ისე, ღმერთო ჩემო და რა ყველა ტყუის. წაიკითხავ განცხადებას, ალენდელონობას აღარ უკლია არაფერი. ყველა ლამაზი, ყველა განათლებული... სიმაღლეზე აღარაფერი გითხარი წეღან და... ეს კიდევ მეორე. — აკი ხელოვანი ვარო?

— ჩემი ბრალი არ არის ეგ ვ, ჩაიბურტყუნა შიომ.

— რა არ არის შენი ბრალი? — მკაცრად ჩაჰკითხა ქალმა.

— ვ...

— რა ვ, რის ვ? — განერვიულდა ქალი. — ვერაფრით ვერ გავიგე რას ამბობ რას ნიშნავს ვ?

— ს მივუტანე, იმათ კიდევ ვ-უო.

—ღმერთო, ნუ გადამრევ, კარგად გამაგებინე რა გინდა.

— მე არაფერი... ხელოსანი მივუტანე, იმათ კიდე ხელოვანი დაბეჭდეს განცხადებაში.

— აა... — კისკისი აუტყდა ქალს. — მეც არა ვთქვი, რას ამბობს? გეთქვა მერე. შე კაი კაცო, კორექტურის ბრალია-თქო, რომ აგიჩემებია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ვ-ვ. კორექტურული შეცდომა ჰქვია მაგას. — შიოს გადახედა და რატომღაც ძალიან ამაყად დასერიოზულდა ქალი. — განათლება სულ არა გაქვს?

— ტექნიკური.

— ოო, არა უშავს, — ჩაფიქრდა ქალი. — ჰო, მართლა, რაო, რა თქვი, რამდენი ქალი გყავს ამ განცხადებებით ჩემამდე გაცნობილი? თუ არ მიკითხავს ჯერ.

შიომ პასუხად თავი დასწია და მხარი ასწია.

— რაო, რატომ გიწუნებენ?

შიომ ისევ უხმოდ აიჩეჩა მხარი.

— არ იტყვი?

— უბინაო ხარო, ფული კი მაქვს მართალია, მაგრამ...

— ფული?! გაქვს?! — მთქნარება შუაზე გაუწყდა და უცებ გამოცოცხლდა ქალი. — ფული თუ გაქვს, ბინის შოვნას რაღა უნდა?

— ჩაწერა, აღრიცხვა.

— ოო... ჰო,მაგრამ ფული თუ გაქვს. არც ეგაა დიდი პრობლემა, ბოლოს და ბოლოს თუ ვერ აიშენებ. იყიდი მაინც, კერძოს. კერძო მე მგონი, უკეთესიცაა, პატარა ეზოთი, ბაღით.. ისე, ბევრს გიხდიან ხელობაში?

— საკმაოდ, — „ტორტები" მეორე იღლიაში გადაიტანა და ამოიოხრა შიომ.

— ეგ ვახოა თუ რაღაც ჯანდაბა. ფულიანი ჩანს. მე მგონია, არ წააგებ. თუ...

— ვნახოთ. — ჩაიბუტბუტა შიომ. — ჯერ სადაც ვმუშაობ. ის ხომ უნდა დავამთავრო.

— აბა, დღესვე ვახოსთან გაიქეცი-მეთქი. არც მე მითქვამს. ნაყინი ვჭამოთ. გინდა? — შესთავაზა უცებ ქალმა და პასუხისთვის არც დაუცდია. ისე შეაღო კაფეს კარი.

კარგა ხნის რიგში დგომის შემდეგ შიომ ნაყინი და ჭიქა კოქტეილი მიართვა ქალს. თვითონაც ჩამოჯდა. მაგიდიდან „ტორტები" აიღო და რატომღაც საგულდაგულოდ დაიდო მუხლებზე.

— შენ? — გაოცებით ჰკითხა ქალმა, პირში კოქტეილის საწრუპი ჩაიდო და თვალით მოსუფთავებულ ადგილზე ანიშნა შიოს.

— მე არ მინდა, — მხარი აიჩეჩა შიომ. — არ მიყვარს და...

— გიყვარს თუ არა. წესია. — ქალმა კოვზს მოჰკიდა ხელი და ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეათვალიერა აწითლებული შიო. — არა უშავს, ისწავლი ნელ-ნელა. ეგ არაფერი.

შიო კიდევ უფრო მეტად გაწითლდა და რატომღაც თავი დაუქნია.

— გემრიელია! — ტუჩები გააწკლაპუნა ქალმა. — რა უნდა მეკითხა, ბავშვობაშიც ასეთი იყავი? აი, წყნარი?

შიომ თვალები დახარა და უხმოდ დაუქნია თავი.

— უიმეე. — თავშეუკავებლად აკისკისდა უცებ ქალი და გაშლილი ხელი გულიანად დაიტყაპუნა მუხლზე. — ბავშვობაშიც, კაცო?

შიომ ტუჩები მაგრად მოკუმა, მუხლებზე დადებული წიგნი გადაფურცლა და უაზროდ შეუდგა ფერადი, ნაირ-ნაირად მორთული ტორტების სახელწოდებათა კითხვას: „კუნძი ჭოტით", „შავი ღამე", ქორი და წიწილა"... როგორ აცხობენ ნეტა ამისთანა რამეებს. ან ამ სახელებს ვინ იგონებს... ვაიმე. ნაირა"...

— კარგი ახლა. საწყენად კი არ მითქვამს, მერე რა. მე იცი, რა საძაგელი ბავშვი ვიყავი? ნამდვილი ყაჩაღი.

შიომ ერთხელ კიდევ დახედა ფრთაგაშლილ ქორსა და აბუზულ წიწილას, ამოიოხრა და თვალი უჩუმრად გააპარა საათისაკენ.

კაფედან გამოსვლის შემდეგ იამ კინოში შესვლა მოინდომა. კისკისით, მთელი სულით და გულით ჩაერთო ფილმის მდინარებაში. აღტაცების გამოსახატავად რამოენჯერმე შიოსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუტყაპუნა ხელი მუხლში და ყოველივე ამით დაამტკიცა, ხასიათი მართლაც რომ კარგი ჰქონია.

უკვე კარგა გვიანი იყო, შიომ სახლამდე რომ მიაცილა ია.

— ზემოთ ვერ აგიყვან, — რვა სული ვცხოვრობთ ერთ ოთახიანში, — თქვა ქალმა, თითი პირში ჩაიდო და უცებ მისი გარეგნობისათვის სრულიად შეუფერებელი ნაზი ხმითა და რხევა-რხევით დაამატა, — როდის შევხვდეთ?

შიომ მოსისხლესავით შეხედა იას ცეცხლმოკიდებულ თმას, კაკადუს ნისკარტივით ცხვირს, ყოველგვარ ზომიერებას გადაცილებულ გულმკერდს და ქვასავით დადუმდა.

— შენ გგონია, მე მელოტზე ვოცნებობდი? — პასუხად წარბი ამაყად აწკიპა და ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა, — ან ხელოსანი მინდოდა?

— მე... მე არაფერი მითქვამს, — „ტორტები“ შეისწორა და თავი გააქნია შეცბუნებულმა შიომ, — როგორ გეკადრებათ.

— მაშინ... მაშინ არც მე მითქვამს არაფერი, — მოულოდნელად ისევ კარგ გუნებაზე დადგა ია. — შაბათამდე თუ არც დამირეკე და არც მოხვედი, ესე იგი სამუშაო გაქვს და მაშინ მე მოგაკითხავ თვითონ. ნახვამდის. — ქალმა ხელი გაუწოდა შიოს, ჩამორთმევისას ოდნავ მოუჭირა, წასვლამდე პერანგის [illegible] გაუსწორა, იღლიიდან „ტორტები“ გამოიღო, კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ძვირფასი საჩუქრისათვის რა რამდენადაც მის სავსე სხეულს შეესაბამებოდა, კეკლუცი ბაკა-ბუკით შეუყვა სადარბაზოს კიბეებს.

„გადავრჩი“. პირველი რამაც თავში გაუელვა სიხარულისგან ანთებულ შიოს ეს სიტყვა იყო. „დიდი-დიდი, ნაირამ რამე ჩამარტყას წიგნის გაქრობისათვის. რა ბედნიერებაა, რომ განცხადებაში არც ტელეფონის ნომერი მიწერია და არც მისამართი. ფოსტაში ხომ არ დაჯდება „მოკითხვამდე“.

შიომ ნიავივით თავისუფლად აიქროლა აღმართი. თექვსმეტი წლის ბიჭივით ლაღად შეახტა ახლადდაძრულ ტროლეიბუსს და მგზავრთა გასაოცრად ხმამაღლა და მოურიდებლად აღიღინდა.

X X X

შაბათს ზორბა ვახომ შიო ოდიკაშვილის კარზე ორჯერ დარეკა ზარი, დოლბანდით თავშეხვეული ხელოსნის დანახვაზე ყურებამდე გაიღიმა და ფართოდ გაფარჩხა ხუთი თითი:

— ადვილად მოგაგენი, რა დამავიწყებდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედგარ პო

ზარები

I

უსმინე მარხილებს მოკაზმულს ზარებით,
ო, ვერცხლის ზარებით!
რა ლხენას გვპირდება ეკვნების ყღარუნი, ხინკმიუკარები!
ხმა ზანზალაკების წკრიალებს, წკრიალებს,
არ აკრთობს სუსხი და წყვდიადი ღამის!
ვარსკვლავთა კრებულიც — გუნდად რომ იალებს,
ცის ტატნობს ვერცხლისფრად გადააკრიალებს,
ციმციმებს მკვირვალი სხივების გამმით,
შესისხლხორცებია ამ ყღერას მკაფიოს,
ვითარცა რუნების რამ ეპიტაფია,
შერწყმია მუსიკას უმანკო ციალი სხივთა ჩქერალების —
სიმღერას ზარების, ზარების, ზარების,
ზარების, ზარების,
ზარ-ზეიმს წკრიალით, ხალასი კრიალით აყოლილ ზარების.

II

უსმინე, ჯვრისწერას უმღერენ ზარები,
ო, ოქროს ზარები!
ქვეყანას სიხარულს მოჰფენს მოძახილი ზეციურ ქნარების!
დაგათრობს საამო სურნელი ღამის,
ზარებით მიმოქრის სიამე გამმის!
ვით ოქრო გამდნარი — ჰანგები ლამუნით
აავსებს არეს!
ვაჟი მოხიბლულა, წვავს ტრფობის ალმური,
ასული თვალების ჯიქური ბრიალით — წილხვედრი ამურის —
შეჰყურებს მთვარეს!
პალატნი გალობენ ხმის აელვარებით,
და ირგვლივ გუგუნით გულუხვად იღვრება სიმღერა ღვარებად!
მძლე, შეუდარები!
და რა მღელვარებით
ჰყვებიან ჰანგები: ყამი ნეტარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს მოვა განგებით, ჯვრისწერის ზარების
რეკვად დადგებიან, მიმოქანდებიან
ზარები, ზარები, ზარები,
და რეკენ ზარები, ზარები, ზარები,
ზარები, ზარები,
ხმათა შერითმებით და მწყობრი რიტმებით დარეკენ ზარები!

III

უსმინე, განგაში ამტყდარა ზარების,
ქუხს რვალის ზარები!
ნეტავ რას გვაუწყებს უამურ ხრიალით ხმა ავად მარები!
ღამეც შეუშინდა წყვდიადში ატეხილ
ზარების ფეთიან ღრიალს და ქარტეხილს!
ო, ალბათ შიშისგან მათ ენა ებმებათ,
ქცეულან მხოლოდღა ხიფათის ემბლემად,
ხმა აქვთ არეული,
ცეცხლს ეგედრებიან, სთხოვენ მოწყალებას ჯიუტი ხმაურით,
ო, ყრუს და უჯიათს უნდა შეასმინონ შეშლილი ხმაურით,
სულ უფრო ძლიერი ხმით, აურზაურით,
თავგამოდებული ზრახვით, საცნაურით,
მედგარი კვეთებით სურთ ცეცხლი დალახვრონ:
— ახლავე ჩადგესო, ახლა ან არასდროს,
ფერმკრთალს გაეკიდოს მთვარეს, გალეული,
ო, რეკენ ზარები!
ნუთუ ვერ დათრგუნეს რიალი ალების,
დავრჩით უიმედოდ!
რა რიგ ზრიალებენ, რა რიგ ღრიალებენ!
ცის ტატნობს კივილით ააწრიალებენ,
თრთოლვით შეიშმუშნა ღამე, მათ მიენდო!
რამეთუ სმენია, იცის — უთავბოლო
ზრიალით, ჭახანით
ხრიალით, ჯახანით,
ცეცხლი ჩანავლდება, ჩაქრება დაბოლოს;
რამეთუ სმენია, ცეცხლი საზარელი,
ამ კაპას ხმაურში,
ავ ხმათა ზღვაურში,
ბოლოს უკუგდება მანჭვით, დაზარებით,
მას აფრთხობს, აშინებს ხმათა აზვირთება, სიშმაგე ზარების,
ზარების,
ზარების, ზარების, ზარების,
ზარების.
მჭახე და ხაფი ხმა, გრგვინვით გაშმაგება და ზათქი ზარების.

IV

უსმინე, მწუხრისას რეკავენ ზარები,
ო, რკინის ზარები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდორედ დუდუნებენ და მონოტონურად, ქუშ იდუმალებით
ღამის სიჩუმეში თვალებსღა ვაცეცებთ,
შიში გვაცახცახებს, ვით უძლურ ნამცეცებს.
ზარები გაბმულ ხმით იმუქრებიან— მრისხანე დრტვინვაა!
ბგერა თვითეული — ვით ავი ტაროსი,
ზარების ეანგიან ყელს რომ დააოსებს —
კვნესაა, გმინვაა.
ის ხალხი, ის ხალხი — მსახურნი ღვთისანი,
ეულად მცხოვრებნი, სამრეკლოს ხიზანნი —
სად მათი ბინაა,
ვინც დროზე მწუხრს რეკავს, განა აგვიანებს,
რეკავს ყრუ ბგერებით, ხმით ერთფეროვანით,
და ესახელება ქვით როცა ხმიანებს
პირღია სამარე ჩვილის თუ მხცოვანის,
განა კაცებია, განა ქალებია,
არცა მხეცს, არც ღვთისშვილთ არა მგვანებიან.
სულების ჯარია: —
მეფეც ჰყავთ, ვისთვისაც აქ მიწყივ ზარია,
აქ მიწყივ რისხვა და მწუხრის სიზმარია,
მწუხრის სიზმარია —
და კვნესა ზარების!
ვის გული ევსება ლხენით, მჩქეფარებით,
როს კვნესენ ზარები!
და ცეკვავს, გაჰკივის დაჰქრის გაჩქარებით,
შესისხლხორცებია ამ კვნესას მკაფიოს
— ვითარცა რუნების რამ ეპიტაფია —
ამ, კვნესას ზარების,
ზარების —
შესისხლხორცებია ის კვნესას მკაფიოს
— ვითარცა რუნების რამ ეპიტაფია —
ო, თრთოლვას ზარების,
ზარების, ზარების,
ო, ზლუქუნს ზარების,
შესისხლხორცებია მათ კვნესას მკაფიოს,
— და მოთქვამს, მოთქვამს, მოთქვამს, მწუხარებით —
ვითარცა რუნების რამ ეპიტაფია,
საწუხარს შეეწყო ზარების:
ზარების, ზარების,
ზარების, ზარების: —
და გლოვას ზარების
ზარების, ზარების, ზარების
ზარების,
ურვას და სამდურავს, სევდიან გოდებას, ო, მწუხრის ზარების.

ინგლისურიდან თარგმნა
ჯორჯირე იაშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვე ჩინური მოთხრობები

ლუ იაო

მთვარიან ღამეს სიჩუმე მეფობს

სანარმოო ბრიგადის პარტკომის მდივნის ქალიშვილი გასათხოვრად ემზადებოდა. ხმა გავარდა მამამისმა ვაჭრობის სარაიონო სამმართველოს მძღოლს გაურიგა, ის კი თავად სამმართველოს უფროსის ვაჟიშვილიაო. იმასაც ამბობდნენ, სამმართველოს უფროსმა სარძლოს ნაცნობობით სამსახური უკვე გამოუძებნაო.

ერთ დღესაც ეს ახალი ამბავი საბოლოოდ დადასტურდა: პარტკომის მდივნის გაო მინლოუს სახლის კართან ვაჭრობის სამმართველოს მანქანა გაჩერდა, იქიდან კოხტად გამოწკეპილი ყმანვილი გადმობრძანდა და სახლში შევიდა. ისევ ახმაურდა სოფელი, გაო მინლოუმ ქალაქიდან ხორცის მოზრდილი ნაჭერი ჩამოიტანა, ალბათ სიძეს უნდა გაუმასპინძლდესო. იმასაც ამბობდნენ, ახალგაზრდებმა ხელი უკვე მოაწერეს და ხვალ ლანლანი საქმროსთან ერთად მიემგზავრებაო.

სოფელი ამ ამბავს საკმაოდ გულგრილად შეხვდა, თუმცა აქა-იქ შურით ალნიშნეს, ზოგს რა იღბალი აქვს, ჩვენ, უბრალო ხალხს ასეთი წარმატება სიზმრადაც არ მოგველანდებაო.

თავად ლანლანს სოფელი კარგი თვალით უცქეროდა. საშუალო სკოლა მან ორი წლის წინ დაამთავრა და თუმცა ორგზის სცადა, უმაღლესში ვერა და ვერ მოეწყო. ამ დროისათვის აღარც ქალაქიდან ამოდიოდნენ სოფლად მუშათა ძალების შესაკრებად, ჰოდა, ქალიც შინ ჩარჩა და მინდვრის სამუშაოებზე გავიდა. კოხტა გოგონა იყო ლანლანი, ჭკვიანი და გონიერი, თანაც ძალიან თავაზიანი გახლდათ. უფროსებს, თუნდაც უკანასკნელი ბოგანო ყოფილიყო, ყველას ბიძიას და დეიდას ეძახდა. თუ გიჭირდა, ფულითაც დაგეხმარებოდა. ვთქვათ, ბავშვი გაგიხდა ავად და ფული დაგჭირდა, გაო მინლოუსთვის ჯობდა არ გეთხოვა, ლანლანს კი, თხოვდი თუ არა, უსიტყვოდ სწორედ იმდენს გამოგიტანდა, სახლიდან, რამდენიც გჭირდებოდა. ასე რომ მისი წასვლა ბევრს ენანებოდა.

შებინდდა თუ არა, სოფლის ქოხები ბინდში ჩაიძირა, მონლოუს სახლი კი მკვეთრად გაჩახჩახდა. სოფლის წინ გაჭიმული და სადღაც მდინარის იქით ჩაკარგული გზა მთვარის შუქით თეთრად ქათქათებდა. ლურჯი ცის ფონზე ბინდით შემოსილი ქედები თითქოს ქაღალდისგან გამოჭრილს დაემსგავსნენ. ხილის ბაღები სიბნელეში ისე ჩაიკარგა, თითქოს რიდე გადაეფარა. შრომით დაღლილმა გლეხებმა თიხის საწოლებში ჩვეულებრივ ადრიანად ჩაიძინეს.

სოფლის კიდეზე მდგარ ქოხში კი უსინათლო ქვრივის ერთადერთ შვილს, და ნიუს, ცხოვრებაში პირველად, უძილობის სენი შეეყარა. ეს გლეხის ბიჭი მთელი ცხოვრება დაუზოგავად შრომობდა, საღამოსთვის ისე იღლებოდა, რომ თავს ბალიშზე დადებდა თუ არა, მაშინვე ხვრინვას ამოუშვებდა და ვერც დააჯერებდი, რომ უძილობას შეიძლება ვინმე შეეწუხებინა. ამ საღამოს კი საქმე სხვაგვარად დატრიალდა.

მაშ, რა უფრთხობდა ძილს ამ ჯანმაგარ, სოფლელ ყმაწვილს? არა, სიხარული როდი აფორიაქებდა, უშველებელი დარდი გულზე ლოდად აწვა, ხვალ ხომ ლანლანი სოფლიდან მიდიოდა. მის სადარდებელს ვერავინ ხვდებოდა, რადგან ტკივილი გულის სიღრმეში ჩაემარხა.

და ნიუ ბუღასავით ღონიერი იყო, მაგრამ მძიმედ აზროვნებდა და მხოლოდ შავი სამუშაოსათვის ვარგოდა. მთელი დღის მანძილზე მისგან გონიერ სიტყვას ვერ გაიგონებდი. სკოლაში მხოლოდ ერთი წელი იარა და თავის გვარს თუ რიცხვებს შრომადღეების დათვლაში ძლივს არჩევდა. სიღატაკის გამო მუდამ ერთი და იგივე ტანსაცმელი ეცვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოსი ისე გასცვეთოდა, ფერს ველარც კი გაარჩევდი და ზედ მუდამ ნეხვი და თავა აკვროდა. ბიჭი მუდამ მოწყენილი დადიოდა და ყველაზე მხიარული ხუმრობაც კი ვერ აცინებდა. სოფლელები აგდებულად ექცეოდნენ. თუმცა მის განსაკუთრებულ ღონეს და და დამთმობ ხასიათს აფასებდნენ. უმძიმეს სამუშაოსაც კი, რომლისგანაც ყველა თავის დახსნას ცდილობდა, იგი უსიტყვოდ ასრულებდა. თუკი სადმე გაქცევა იყო საჭირო, მას აგზავნიდნენ. რადგან ნებისმიერ თხოვნას სინდისიერად ასრულებდა და არც ზედმეტი ლაპარაკი უყვარდა.

სიმართლე თუ გნებავთ, ბავშვობიდანვე დუსჭირი ცხოვრება ჰქონდა. სკოლაში სწავლა დაიწყო თუ არა, მამამისი მძიმე სენმა გატეხა. ბიჭმაც ძალაუნებურად სკოლა მიატოვა, მთელი ოჯახის სიმძიმე ამ ჯერ კიდევ სრულიად ბავშვის მხრებს დაანვა. რამდენიმე წლის შემდეგ მამა გარდაიცვალა და უამრავი ვალი დაუტოვა. სახელმწიფო პოლიტიკა სოფლად დაუსრულებლად იცვლებოდა, სოფელი სულ განადგურდა და ბიჭმაც ცხადია, ვალები ვერა და ვერ გადაიხადა.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, ამბობენ. მამის სიკვდილის შემდეგ დედამ თვალის ჩინი დაკარგა. ყოველ დღე მინდვრიდან დაბრუნებული ბიჭი კიდევ საოჯახო საქმეებს აკეთებდა და არსებობაც უფრო ულიმლამო გახდა. უსინათლო დედას კერვა აღარ შეეძლო. ბიჭი ტანსაცმელს თავად კემსავდა და ასე დადიოდა. ფეხსაცმელს კი პირი ლომის ხახასავით დაეღო. უკვე ოცი წლის იყო, მაგრამ მაჭანკლები სახლის კარს არ აუტალახებდნენ. მეზობლები, მთელი ცხოვრება უცოლოდ დარჩებაო, ფიქრობდნენ. ამ მივარდნილ სოფელში საცოლე რომ გეპოვნა, ცოტა შეძლება მაინც უნდა გქონოდა. მხოლოდ საჩუქრებს 600-700 იუანი მაინც ჭირდებოდა, ასეთ ღატაკ ოჯახში კი აბა ვინ შემოვიდოდა. თანასოფლელები ხანდახან ბიჭს დამცინავად ეკითხებოდნენ: „და ნიუ, საცოლე არ გინდა?" ბიჭი ჩვეულებრივ ხმას არ იღებდა, თითქოს არაფერი ესმოდა, მაგრამ ხანდახან „მე კი მინდა. მაგრამ საცოლეებს არ ვუნდივარო", ჩაილაპარაკებდა და საერთო ხარხარს გამოინვევდა.

თავში აზრად არავის მოსდიოდა, რომ ბიჭი ამას გულით ამბობდა. თავადაც ვერ შეამჩნია პარტკომის მდივნის ქალიშვილი ლანლანი როდის შეუყვარდა. ეს დიდი უბედურება იყო, ნამდვილად სიცხიანის ბოდვას გავდა. მაგრამ ეს ხომ ყველას შეეძლება დაემართოს. თავადაც კარგად ესმოდა, რომ აუხდენელ ოცნებას ეპოტიანებოდა. მაგრამ ერთი აიკვიატა თუ არა, ვერა და და ვერ მოიშორა.

და ნიუს ცხადია თავადაც ესმოდა, რომ ლანლანის ცოლად თხოვა მისთვის [illegible] რმოუდგენელი იყო, როგორც ზეციურ ფერიასთან დაქორწინება. მაგრამ რა ექნა, ისე უყვარდა! საკმარისი იყო ქალს გაეღიმა, მთელი ქვეყანა იღიმებაო, ეჩვენებოდა, ხოლო თუ მოიღუშებოდა, მთები და მდინარეები გაუვალი ბინდით იმოსებოდა.

ჯერ კიდევ სარაიონო საშუალო სკოლის მოსწავლე ლანლანი არდადეგებზე სახლში ჩამოვიდოდა თუ არა. და ნიუ მაშინვე უფრო ყოჩაღად დაქროდა და გასაგებად ალაპარაკდებოდა. დროდადრო მდინარეზეც ჩარბოდა და ნეხვით გათხერილ ტანსაცმელს რეცხავდა. შემდეგ სასწავლო წელი კვლავ ინყებოდა, ლანლანი ქალაქს მიემგზავრებოდა, სიხარულით ცაში აჭრილი და ნიუ კი, თითქოს მასში სიცოცხლე ჩამქრალიყოს, ნასეტყვ ყანას ემსგავსებოდა. ამ უსამანო, აბობოქრებულ გრძნობას ვერავინ ამჩნევდა, გაო ლანლანი ხომ მითუმეტეს ვერაფერს ხვდებოდა.

ბოლოს და ბოლოს ლანლანმა საშუალო სკოლა დაამთავრა და შინ დაბრუნდა. ინსტიტუტში ვერ მოხვდა და ძალაუნებურად სოფელში ჩარჩა, მამა სამუშაოდ არ უშვებდა, მაგრამ გოგონა ხასიათიანი აღმოჩნდა და შინ ჯდომა და არამი ლუკმის ჭამა არ ისურვა.

როცა ლანლანი მინდორში სამუშაოდ გავიდა, და ნიუ ბედნიერებისაგან კინაღამ შეიშალა. ბიჭი უფრო გასაგებად ალაპარაკდა, მარტოდ დარჩენილი კი ჩუმად რადიოდადგმების სიმღერებსაც ღიღინებდა, თუმცა მოტივს ისე ურევდა, ვერც კი მიხვდებოდი რას მღეროდა.

მუდამ ცდილობდა ქალის გვერდით ემუშავა და სულ დახმარებას თავაზობდა. თუ დაავალებდნენ რამეს, ენის ბორძიკით ეუბნებოდა. შენ სადმე მინდორში გაისეირნე, მე კი ორივეს ნაცვლად ვიმუშავებო. ლანლანიც, თავის მხრივ, კარგად ექცეოდა, მეგობრულად ძამიკოს ეძახდა. თუ ვინმე შეუჩნდებოდა, მაშინვე იცავდა. საერთოდაც ქალი ყოველგვარი ტყლარჭვის გარეშე, უბრალოდ იქცეოდა, თუკი სადმე, ფერდობზე წითელ ყვავილს შენიშნავდა, მაშინვე დაიყვირებდა: „აბა, ძამიკო, მომიწყვიტეო", და ბიჭიც ისე გაქანდებოდა, როგორც ჯარისკაცი შეტევის დაწყების ნიშანს რომ გაიგონებს. აბა, ფერდობი რას დააფრთხობდა. როცა მზად იყო ზეცას აფრენილიყო და ქალისთვის ვარსკვლავები დაეკრიფა!

ერთხელაც ალისფერი ყვავილის მოსაწყვეტად ეკლიან ბუჩქებში ფეხშიშველა გადაძვრა და ფეხში ეკალი შეერჭო. მოზრდილი ეკალი ფეხს გვარიანად ტკენდა და ბიჭიც კოჭლობით მოდიოდა.

ლანლანმა ეს შენიშნა და დაჯექი, უთხრა, შემდეგ ქინძისთავი ამოიძრო, მუხლებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეშვა, რბილი, ქალური ხელი თიხითა და ნეხვით მოთხვრილ ფეხზე ფრთხილად წაავლო და ხიჭვი ამოაცალა. გაოგნებულმა და ნიუმ იგრძნო, ცხვირში რაღაც მიხიცინებს, წუთიც და გრძნობის სიჭარბისაგან ალბათ ავტირდებიო.

ის დღე იყო და ის დღე, მინდორში მარტო დარჩებოდა თუ არა, ხშირად ტკბებოდა თავისი ფეხით, რომელსაც წილად ასეთი პატივი ერგო და პატარა ხელის სითბოს ისევ ვგრძნობო, ეჩვენებოდა, იცოდა, რომ ასეთი ბედნიერება აღარ ეღირსებოდა, ერთი წუთითაც არ მოსვლია თავში აზრად ზეციური ფერიის მსგავსი ლანლანი ისევე შემიყვარებს, როგორც მე მიყვარსო, იმასღა ოცნებობდა, ნეტავ სულ გვერდით იცხოვროს და მისი დანახვის საშუალება მქონდესო. რა ბედნიერი იყო, როცა ქალი მინდორში სამუშაოდ გავიდა! თუ ქალი მზე იყო, ბიჭი მთა და მდინარე გახლდათ, დაე, მზე ცაზე ყოფილიყო, თავად კი მიწაზე ეღოლა, სამაგიეროდ ყოველ დღე მის თბილ სხივებში ბანაობა შეეძლო!

მაგრამ ახლა, ჰა და ჰა, ყოველივეს ბოლო მოეღებოდა. საყვარელი ლანლანი ხვალ დილით გაემგზავრებოდა და მდიდარ, ქალაქელ ბიჭთან იცხოვრებდა.

და ნიუ თიხის საწოლში იწვა და ტანჯვით ფიქრობდა, როგორც კი დილით მზე ამოვა, ჩემი გულის მზე სამუდამოდ ჩაესვენებაო.

მთვარის ვერცხლისფერი შუქი ფანჯარაზე აკრულ, გახეულ ქაღალდში იჭრებოდა და ბიჭის უხეშ, გალურჯებულ, ცრემლით დაღარულ სახეს ეცემოდა.

და ნიუმ მძიმედ ამოიოხრა, უცებ წამოჯდა, ფაციფუცით ჩამოიცვა ტანსაცმელი, საწოლიდან გადმოხტა და ჩქარი ნაბიჯით გაჩახჩახებულ ფანჯრებიან, ეულად მდგარი სახლისაკენ გაემართა.

მთვარის მშვენიერი შუქი მიწაზე ვერცხლისწყალივით გაბნეულიყო და ირგვლივ ყველაფერს ეფინებოდა. მდინარიდან სიგრილე მოინევდა და სოფელში იჭრებოდა.

მთვარის შუქით შემოსილ მიწაზე თავშიშველი და მკლავებშიშველი და ნიუ მიაბიჯებდა. მას მხოლოდ უსახელოებო ზედატანი ეცვა, უხეშ, ფართო სახეზე კი უჩვეულო მღელვარება ეტყობოდა. უცებ გადაწყვიტა ლანლანი აუცილებლად უნდა ვნახოო, არც კი დაფიქრებულა, კარგად ვიქცევი თუ ცუდადო, არც ის იცოდა, რას ეტყოდა ან რას ჩაიდენდა. უნდა ენახა, მორჩა და გათავდა!

ლანლანის სახლის წინ მდგარი მანქანა მაშინვე შენიშნა და გული შეუქანდა.

და ნიუ პარტკომის მდივნის სახლის ახალ, მდიდრულ ალაყაფთან შეჩერდა და წითელი ლაქით დაფერილ ფიცრებს მუშტით, არც ძალიან ხმამაღლა, მაგრამ [illegible] ბიჭმად, მიუკაკუნა.

კარი თითქმის მაშინვე გაიღო, ლანლანის დედამ გამოიხედა და რა გინდაო, გაოცებით იკითხა. ბიჭმაც „ერთი წუთით ლანლანი გამოვიდესო, საქმე მაქვსო“, უპასუხა.

ლანლანის დედა შინ შებრუნდა. აფორიაქებული და ნიუ კი ალაყაფს მოშორდა, გზის პირას ნეკერჩხალთან შეჩერდა და ალაყაფს მიაშტერდა.

მალე ლანლანიც გამოჩნდა. ბიჭმა მაშინვე შენიშნა, რომ ქალს სახე სიხარულით უბრწყინავდა. ნაწნავები ახლა მოკლედ შეეკრიჭა. მთელ მის იერში რაღაც საზეიმო სიმშვიდე გამოსჭვიოდა, ახალ, კოხტა ტანზე შემოტმასნილ კაბაში ისეთი ნატიფი ჩანდა, თითქოს სარაიონო თეატრის მსახიობი იყო. გოგონამ ირგვლივ მიმოიხედა, შემდეგ, როგორც იქნა, ნეკერჩხლის ქვეშ მდგარი და ნიუ შეამჩნია და მხიარულად დაიძახა: „ძამიკო ნიუ? საქმე გაქვს ჩემთან? შინ შემოდი!“

— არა, არა, მე... არ შემოვალ, ჯობს შენ მოხვიდე! — ძლივს ამოღერღა ბიჭმა და გული მოეწურა.

ლანლანმა მსუბუქად მოირბინა და სიხარული სახეზე უცებ გაოგნებით შეეცვალა. ქალმა დაკვირვებით შეათვალიერა ეს სოფლელი ბიჭი, ვის გვერდითაც გაიზარდა და ვისაც ასე ხშირად ეთამაშებოდა და კიდევ ერთხელ ჰკითხა:

— ძამიკო ნიუ, ხომ არაფერი მოხდა?

— არა, არაფერი!

ბიჭს ხელები გადაეჭდო, ტუჩისთვის კბილები დაეჭირა და ცდილობდა ცახცახი შეეკავებინა.

— თუ რაიმე გჭირდება, თქვი, ნუ გერიდება! ალბათ იცი, არა?... ხვალ მივემგზავრები! — გოგონა მორცხვად შებრუნდა. მთვარის შუქით შემოსილ ბალს გახედა და პატარძლის მორცხვი ღიმილით გაიღიმა.

ბოლოს და ბოლოს ბიჭმა ენის ბორძიკით ჩაილუღლუღა:

— შენ... რად მიემგზავრები? ნუ წახვალ!

სიტყვა დასრულებული არც ჰქონდა, რომ თავადვე დაფრთხა, ხისკენ მკვეთრად შებრუნდა და გამნარებით ქერქი ააგლიჯა!

ამ სიტყვებმა ლანლანი ისე გააოცა, რომ ბიჭს ოდნავ პირდაღებულმა შეხედა. ჭკვიანი გოგონა მაშინვე მიხვდა, ამ სიტყვებს მილმა რა გრძნობა იმალებოდა და ბიჭის გული რა ტკივილს იტევდა. მის წინ მდგარ და ნიუს იგი დაბნეული შესცქეროდა და რა ექნა, აღარ იცოდა, სული დაუმძიმდა. რა უცნაურია ცხოვრება, რა არ ხდება!

მაინც შეეცადა თავი მოეთოკა, ბიჭის ზურგს მკაცრად შეხედა და ხმაც გაიმკაცრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძამიკო, ნიუ, აბა რას ამბობ? როგორ შეიძლება...

შემდეგ ჩუმად ამოიოხრა და უფრო რბილად დაამატა.

— ძამიკო ნიუ, ყოველთვის პატივს გცემდი, მართალს გეუბნები. კეთილი გული გაქვს და მეც ყოველთვის ძმად მეგულებოდი. შენ ხომ მუდამ მიცავდი. ამას რა დამავიწყებს. ძამიკო ნიუ, შენს გრძნობას მხოლოდ ახლა მივხვდი, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. ამაზე აღარ უნდა იფიქრო, მეც ასე მინდა, შემდეგ, როცა სოფელში ჩამოვალ ხოლმე, ისევ ძმად, მკვიდრ ძმად გიგულებ...

და ნიუ გოგონას ჩუმ სიტყვებს გახევებული უსმენდა. ღრუბელი მთვარეს გადაეფარა, ყოველივე ბინდში ჩაიძირა, სიჩუმე მეფობდა და სადღაც ქვემოთ მხოლოდ მდინარის რაკრაკი ისმოდა.

ბიჭს მსხვილი ტუჩები აუკანკალდა. ჩუმად ამოიოხრა და თქვა:

— რას იზამ, სოფელში ხომ სიღატაკეა, ცხოვრება ჭირს... გაემგზავრე, ლანლან, ოღონდ, თავს გაუფრთხილდი, ქალაქში იმდენი მანქანაა, მანქანის ქვეშ კი არ ჩავარდე...

— ლანლან, — მოისმა ეზოდან დედის მხიარული ხმა, — მოდი, ბოსტნეული შეწვი, ხორცი უკვე დავჭერი!

ლანლანს პასუხი არ გაუცია, ტუჩისთვის კბილი დაეჭირა, თავი ძირს დაეხარა და ფეხით მიწას ჩიჩქნიდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაილუღლუღა:

— ძამიკო ნიუ, ჩემი წასვლის დროა. თუ რამე დაგჭირდეს, ქალაქში მომწერე და ყველაფერს გიშოვი... შინ წადი, ხომ ხედავ, გრილა. არ გაცივდე...

გოგონამ თავი ასწია, ბიჭს ალერსიანად შეხედა და შინ შებრუნდა.

და ნიუ თვალმოუშორებლად შესცქეროდა, როგორ მიეფარა ქალი ალაყაფს, შემდეგ მუხლი მოეკვეთა და ზედ ხის ძირას წაიქცა, თავზე ხელები წაივლო, ალაყაფის წინ გაჩერებულ სატვირთო მანქანას ბოროტად შეხედა და თვალები უცნაურად აენთო.

ცოტა ხანს უძრავად იჯდა, შემდეგ წამოხტა, გზისპირა გალავანს მოზრდილი ქვა მოაგლიჯა, ტუჩზე კბილი დააჭირა და მანქანას ესროლა. გაცოფებულ ბულასავით სატანჯველს საშველი ვერ მოუნახა და თავს ყოველად უდანაშაულო სატვირთო მანქანას დაეახა! როგორ ძულდა ეს ნყეული მანქანა, რომელსაც მისი სიყვარული უნდა ნაეყვანა!

როცა მეორე ქვის სროლა დააპირა, სახლის ალაყაფი გაიღო, ღვინით სახეახურებული ლანლანის მამა გამოვარდა და დაიყვირა:

— რომელი ხარ, შე მამაძაღლო... — შემდეგ და ნიუ იცნო და განაგრძო. — ეგ ბიჭი ღამისას აქ რას აკეთებ?

— რას ვაკეთებ? ამ დამპალ მანქანას ვლესავ!

ამ უაზრო პასუხის გაგონებაზე, გაო მინლოუმ გაიფიქრა ალბათ ეს ბიჭი სიღატაკემ უკიდურესობამდე მიიყვანა და რახან შინ ქორნილი გვაქვს, გადაწყვიტა ხელი მოითბოსო. როგორც ცხოვრებაში გამოცდილ კაცს შეეფერებოდა, ნაბიჯი წინ გადადგა და თანამდებობითა თუ ასაკით უფროსი კაცის ტონით ალაპარაკდა:

— მომისმინე, ნიუ, თუ რაიმე გჭირდება, მითხარი და სიხარულით დაგეხმარები! შენ ხომ ყოველთვის კარგი ბიჭი იყავი, აბა, როგორ შეიძლება ღამღამობით სხვისი მანქანების და თანაც სახელმწიფო მანქანების ლესვა. იქნებ ბრინჯი გაგითავდათ, გულს ნუ გაიტეხ, უქონელთათვის მალე დაარიგებენ. თუკი ახლა არაფერი გაქვთ საჭმელი, ხვალ შემოიარე და ცოტას მოვაცემინებ.

— ძროხის ფუნის ჭამა მირჩევნია, შენგან რაიმეს აღებას, ამ ბოლო წლებში, ხომ სულ დაკარგე სინდისი, ახლა ქალიშვილსაც აუბნიე გზა-კვალი!

მუდამ ჩუმ და ნიუს სახე გალურჯებოდა, თვალები სიბრაზით უელავდა და აშკარად ეტყობოდა, რომ რასაც გინდათ იმას ჩაიდენდა.

გაო მინლოუს არაფერი ესმოდა. ოღონდ ერთი კი ნათელი იყო, ამ ბიჭს იგი მძაფრი სიძულვილით ძულდა.

კაცმა იგრძნო, რომ მის სულშიც აბობოქრდა გაბოროტება, მაგრამ თავს ძალა დააატანა და დათრგუნა. მიხვდა, რომ ჩხუბი თავიდან უნდა აეცილებინა — ასეთ ბუღას ვერ მოერეოდა. ისლა დარჩენოდა ტკბილი სიტყვით დაეწყნარებინა, მაგრამ, აბა, რა სიტყვები უშველიდა? ყველაზე მეტად კი ის არ ესმოდა, რაღა მაინცდამაინც დღეს აეტორღიალა ეს ყმაწვილი, ეს დღე ქორნილით დაიწყო და ღამის პანაშვიდით დასრულებულიყო!

გაო მინლოუმ აღარ იცოდა, რა ექნა და მაინც სცადა, საქმე ტკბილი სიტყვით მოეგვარებინა.

— ნიუ, გენაცვალე, — თქვა და ალერსიანად გაიღიმა, — ასეთი რა დაგიშავე? უფროსი რომც არ ვიყო, მაინც მზადა ვარ, ცხონებული მამაშენის ხათრით დაგეხმარო. მე და მამაშენი ხომ ერთი მემამულის მოჯამაგირეები ვიყავით, მიწის რეფორმაც ერთად გავატარეთ, მუშტსაც ერთად ვიქნევდით, ჩვენ ხომ ნამდვილი ძმები ვიყავით! ახლა ჩვენში პოლიტიკა შეიცვალა, კლასებზე იმდენს აღარ ლაპარაკობენ, მაგრამ უღატაკესი და ღარიბი საშუალო გლეხობა მაინც ახლობლებივით მიყვარს, — ლუღლუღებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტკომის მდივანი და მზერას თავის ერთადერთ მსპენელს არ აშორებდა.

და ნიუს სიბრაზისაგან ტუჩები მოელრიცა და იყვირა:

— ახლობლებივით გიყვარს, არა? ჯანდაბა შენს თავს!

აქ თავი ველარ შეიკავა, ხელი კიდევ ერთ ქვას დასტაცა და მანქანას ესროლა. შუშა ჩაიმსხვრა. ირგვლივ მიმოფანტული ნამსხვრევები გაო მანლოუს ასცდა, მაგრამ და ნიუს გადაპარსული თავი ძლიერ დასერა.

— ო, შე ნაძირალავ, შენ, მთლად აინყვიტე. აღარც ღმერთის გეშინია და აღარც ხელისუფლების. — შეყვირა პარტკომის მდივანმა და შიშით ალაყაფისკენ დაიხია.

მოულოდნელად ლანლანი გამოჩნდა. ფერმიხდილ სახეზე ისეთი გამომეტყველება აღბეჭდოდა, თითქოს ეს-ესაა მწარე წამალი გადაეყლაპოს. გოგონამ მამას წადიო, თხოვა, და ნიუს თავად უკეთ დავაწყნარებო. გაო მინლოუმ ერთხელ კიდევ შეხედა ბულასავით აწყვეტილ ბიჭს, რომელიც ლანლანის წინაშე დატუქსული ბავშვივით თავჩაქინდრული იდგა და გაცლა უმჯობესიაო, გადაწყვიტა.

და ნიუ ქალის წინ იდგა, თავი ჩაეღუნა და თოთებს იმტვრევდა, სახეზე სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა და ამ სისხლის [illegible] კი ცდილობდა.

გოგონამ სისხლი შენიშნა, შეიცხადა და შინისაკენ გაქანდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკან მობრუნდა. თხელი შალის ახალთახალი ბანდი მოიტანა და ბიჭს ჭრილობა შეუხვია. შემდეგ კი ცრემლმორეული ხმით უთხრა:

— და ნიუ, გენაცვალე, ამას ნუ იზამ... ხალხი დაგვცინებს. მე ხომ ვთხოვდები, შენ კი ასეთ აყალმაყალს მართავ, ეს იგივეა, რომ სახეში მომაფურთხო! შენ ხომ ყოველთვის ზრუნავდი ჩემზე, მიცავდი! თუ გინდა მერე მთელი ცხოვრება მლანძღე, ოღონდ დღეს ნუ შემარცხვენ, ეს უკანასკნელი სიკეთე გამოიჩინე...

და ნიუს თვალებიდან ცრემლი წამოსცვივდა და უხეში სახე დაუსველა. ორივრით იტაცა ხელები შეხვეულ თავზე, მიწაზე გაიშოტა და უხმოდ აქვითინდა...

ამ საღამოს შემდეგ, თანასოფლელებმა მალე შენიშნეს, რომ ადრეც ჩუმი და ნიუ, თითქოს დამუნჯდაო, სულ მთლად ჩაჩუმდა. ზოგიერთები იმასაც ხედავდნენ, რომ მთვარიან ღამეებში, სისხლით დალაქული, ქათქათა ბანდით თავშეხვეული ბიჭი გზაზე დაეხეტებოდა, დროდადრო მიწიდან ქვას ამოგლეჯდა და სივრცეში ბრაზით ისროდა...

ვეი იუე

სიყვარული და სიძულვილი

რამდენი ხანია აღარ მიმღერია, აღარც ასაკი მიწყობს ხელს და არც სხვა მიზეზები მაკლია. არადა, ამ ბოლო დროს, მაგნიტოფონის ხმას გავიგონებ თუ არა, მეც „სიყვარულით ავავსოთ მთელი ქვეყანა"-თქო, ვღიღინებ...

ეს სიმღერა... მხოლოდ იმიტომ როდი მომწონს, ლექსი გულს რომ მიჩუყებს, არა, ფიქრებს წამომიშლის ხოლმე და წარსულის მოგონებებიც წამოტივტივდება.

ამ ოცი წლის წინათ, როცა შენბეიში ჩამოვედი, სიმღერის გუნებაზე არავინ იყო. რადიოთი მხოლოდ „რევოლუციურ ოპერებს" გადმოსცემდნენ. ამ ოპერებს, ვინც გინდა, ყველა გიმღერებდა. ირგვლივ მხოლოდ „საძულველ მტერს ყელი გამოღადრეო", გაისმოდა. „სიყვარული" მაშინ არავის ჭირდებოდა და არც დიდად ინონებდნენ, „ოპერათა" გმირები კი, როგორც ერთი, ყველანი უცოლოები ან ქვრივები იყვნენ. ყველაზე მეტად მაშინ სიტყვა „სიძულვილი" იყო გავრცელებული — „კლასობრივი სიძულვილი", „ეროვნული სიძულვილი" და ასე შემდეგ.

სწორედ ამ „სიძულვილით" თავბრუდახვეული და აშლილი, ზურგზე ლოგინწამოკიდებული ჩამოვედი ერთ მივარდნილ სოფელში. გონება არეული, გული კი გაბოროტებული მქონდა. მხოლოდ ქვეყანა კი არა, მეც შევიცვალე.

ჩემს ბავშვობაში ცა ნაცრისფერი და პირქუში როდი იყო, არც თვალნინ რიალებდა ამდენი სისხლისფერ-ნითელი ფერები. მზის სხივებით სავსე სამყარო ოქროსფრად ბრწყინავდა. მაშინ მშობლებთან ერთად უნივერსიტეტის სახლში ვცხოვრობდი, მეზობლად კი ცისფერთვალა, ჩალისფერი თუ ქერათმიანი რამდენიმე ბავშვი ბინადრობდა. მათ შორის ჩემი თანატოლები, ვასია, ნატაშა, მიშა და ზორკაც იყვნენ. მტრედები ერთად მოვაშენეთ და მთელი დღე დავდევდით. მათი ლაღი ფრენა და რაღაც სასნაულით მტრედების ზურგზე დამაგრებულ სასტვენთა გამჭოლი ხმა გვატკბობდა. ნატაშა თან არასოდეს დაგვყავდა, სულ გვეშინოდა ბევრს ვერ ივლის-თქო. ერთხელაც ვასიას მამამ მტრედებისა და ნატაშას გამო ერთად დაგვიცაცხანა. შემდეგ ყველანი სკოლაში წავედით, მაგრამ ერთად გაზრდა აღარ დაგვცალდა. ისინი ერთი მეორეს მიყოლებით შინისაკენ გაემგზავრნენ, სამშობლოს დაუბრუნდ-

ნენ. ამ უფროსების ბრალია ყველაფერი-თქო, ვამბობდით და თანაც გაოგნებულები ვიყავით: მერე რა, რომ უფროსებმა საერთო ენა ვერ გამოძებნეს, ნუთუ ამის გამო ჩვენი ბავშვური მეგობრობა უნდა დარღვეულიყო?

ვერც კი მოვასწარი გაოგნებისათვის დამეღწია თავი, რომ ცხოვრება აირია და სრული ქაოსი გამეფდა. სკოლაში მეცადინეობა შეწყდა, ჩარხები გაჩერდა, ხალხი შეშლილებივით ქუჩებში გაცვივდა, დაუსრულებელი დემონსტრაციები ეწყობოდა და ტრანსპარანტები ფრიალებდა. ჩემი მშობლები ციხეში ჩაყარეს. მართალია, უცხოელებს ისინი მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის გამო ხვდებოდნენ, მაგრამ იმ დროს ათასი პირიც რომ გქონოდა, ვერავის დააჯერებდი. ლოზუნგებითა და მოწოდებებით გახელებულებმა მამაჩემი ისე გალახეს, თვალის ბუდეებიდან სისხლიც კი წასკდა. დედა ხომ პირდაპირ ცემით მიასიკვდილეს. თავად მე, მაშინ ჯერ კიდევ მოზარდი, ყოველ დღე „სულიერი განახლების" წრეში დავდიოდი, საკუთარ თავს ვაკრიტიკებდი და რაღაცას გულწრფელად ვინანიებდი, მაგრამ არაფერი მეშველა. ვერა და ვერ გამეგო ადამიანებს ერთმანეთი ასე რად ძულდათ, ნუთუ ამ ქვეყნად ბრძოლის გარდა სხვა აღარაფერი არსებობდა?

მეც ვისწავლე ქვეყნისათვის გაბოროტებით შეხედვა და კბილის კბილებზე დაჭერა. ამ სიძულვილის ატანაც ვისწავლე. შეურიგებელი გავხდი, საღრენად და საკბენად მუდამ მზად ვიყავი, რაც გინდათ, იმას ჩავიდენდი, ოღონდ დამემტკიცებინა, რომ ვარსებობდი და ძლიერიც გახლდით. შენბეიში არაფერი მომწონდა, გაბოროტებული ხეებს ვამტვრევდი თუ ვაფუჭებდი, პირუტყვსაც ვურტყამდი, ბრიგადის უფროსი დაუსრულებლად მლანძღავდა, მაგრამ ეს საქმეს არ შეელოდა, მაინც სულ ვჩხუბობდი და ბოლოს და ბოლოს ძალაუნებურად უფროსმაც სამუშაოდ სხვებისგან მოშორებით გამგზავნა. ამ დროისათვის ყანები შეითვალა და მეც სიმინდის სადარაჯოდ დამაყენეს. ერთხელაც ყანაში ვიღაცის ღორი შემოვარდა, უნდა შემეყვირა მხოლოდ და გამეგდო. მე კი ამის ნაცვლად ღორს ჩუმად წამოვეპარე და რაღაც რკინის ნაჭერი თავში გამეტებით ჩავცხე. ღორმა იქვე სული გააცხო. ეს ამბავი მაშინვე მეპატრონეს აცნობეს. აღმოჩნდა, რომ ღორი სწორედ იმ გლეხის საკუთრება ყოფილა, ვისთანაც მე საცხოვრებლად მიმამაგრეს. გლეხს ერთი საყვედურიც არ წამოცდენია, გაბოროტება არაფრით გამოუხატავს, იდგა მხოლოდ და ღორს მდუმარედ შესცქეროდა. შემდეგ სახე დაელმიჭა და ჩაილაპარაკა: „საახალწლოდ მეტი არაფერი მაბადია".

ეს ამბავი მთელმა სოფელმა შეიტყო და ხალხიც ბრაზით შემომცქეროდა. „მიყურო? რა, — გულგრილად ვფიქრობდ[illegible] ასე არ ჯობია. ავდგები და ნაკლებ[illegible] შავებ". ეს იყო და ეს. საბოლოოდ მოვეშვი, ავინყვიტე.

თავადაც ვერ გეტყვით, როგორ მოხდა, მაგრამ სახლის მეპატრონესთან ჩემი ურთიერთობა დღითი დღე დაიძაბა, გლეხი ხმას არ მცემდა, არც მე ვაქცევდი ყურადღებას. იგი გაბოროტებით შემომცქეროდა. მე კი სულ მისი ძაღლის გალახვას ვცდილობდი. იმ პერიოდში კლასობრივი რიგების წმენდას მთებშიც შეუდგნენ და გამოძიება ჩემი მასპინძლის საქმითაც დაინტერესდა. იგი „ულატაკესი და ღარიბი საშუალო გლეხების" სიაში ვერ მოხვდა, „კლასობრივად უცხო ელემენტი" გახლდათ. თურმე დეზერტირი ყოფილა. დავწყნარდი, როცა მისი ამბავი გავიგე! თურმე მეც მახასიათებდა კლასობრივი სიფხიზლე და კლასობრივი სიძულვილიც შემეძლო.

ჩემი გაბოროტება ჩაცხრა, თუმცა სიხარული მაინც არ მიგრძვნია. კვლავ დარდიანი და გაოგნებული ვიყავი და რა გზას დავდგომოდი, არ ვიცოდი.

ისევ შეითვალა ხორბალი და მეც სიმინდის ყანაა ვდარაჯობდი ერთხელაც, საღამოს, მინდორში ვთვლემდი და უცებ შრიალი შემომესმა. ძაღლი ავუშვი, იგი სიმინდებში გაშლიგინდა და თითქმის მაშინვე მისი ღრენა და ვიღაცის წრიპინი გავიგონე. ასეთი ხმები ჯერ არასოდეს მსმენოდა. მაშინვე ჯოხს დავტაცე ხელი და ამ ხმის მიმართულებით გავქანდი. ძაღლს დიდი და ჩასუქებული მაჩვი დაეჭირა. ნადავლი, ცხადია, მაშინვე ნავართვი. მაჩვის ხორცს რამდენიმე დღე ძღომამდე ვჭამდი. ამის შემდეგ მაჩვებზე ნადირობა გამიტკბა და როგორც კი თავისუფალი წუთი გამიჩნდებოდა. მაშინვე ძაღლს ავუშვებდი და მინდვრისაკენ მივქროდი.

მაჩვებს უსაქმობის გამო დავდევდი, თან ცხოვრებას ცოტათი ვახალისებდი და თანაც საჭმელს ვშოულობდი. აბა, წარმოიდგინეთ, რა გაოცებული დავრჩებოდი, როცა ერთ მშვენიერ დღეს ბრიგადირმა მოულოდნელად შემაქო და განმიცხადა: კარგია, რომ ძალღონეს არ იშურებ და სახელმწიფო ყანებს ასე იცავო. ამის გაგონებაზე გავწითლდი, მე ხომ მსგავსი არაფერი მიფიქრია. მაგრამ ადამიანი უცნაური არსება ყოფილა. ქებას გაიგონებს თუ არა, მაშინვე მოლღვება. უცებ მომეჩვენა, ამ ბრიგადირზე კარგი კაცი ქვეყნად არ დადის-მეთქი, მან ხომ ჩემთვის თბილი სიტყვა გამოიმეტა. ამის შემდეგ მის დავალებებსაც აღარ ვარიდებდი თავს და ყველა საქმეს მორჩილად ვასრულებდი. ბრიგადირმა, გამოსნორდიო, მითხრა, მთელი სოფელიც გამოსწორებულად მთვლიდა, უცებ ვიგრძენი, რომ სოფელიც შეიცვალა. მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი სიტყვები და მომღიმარი სახეები გაჩნდა.

ზამთარში, სოფლად წარგზავნილი ქალაქელი ახალგაზრდობა ოჯახებს დაუბრუნდა, რათა ახალ წელს ახლობლებთან ერთად შეხვედროდნენ. მე კი არსად წავსულვარ, ჩემი მშობლები ციხეში იახდნენ და მათი ნახვის უფლებას მაინც არავინ მომცემდა.

ბრიგადა ამ დროს აგურს წვავდა. ერთხელაც ღუმელის გასაგრილებლად წყლის ჭავლი მიუშვეს, უყურადღებობის გამო ჭავლი ძალიან ძლიერი აღმოჩნდა და ღუმელიც გაიბზარა. თავდაპირველად ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, მაგრამ როგორც კი აგურების გამოღება დაიწყეს, კედლის ნაწილი ჩამოინგრა და ექვსი კაცი. მათ შორის მეც. ნანგრევებში მოგვიმწყვდია. სიცხისაგან ამოსუნთქვაც კი აღარ შეგვეძლო, გავარვარებული კედლები ისე ხურდა, ოფლი წამიერად ორთქლდებოდა, კანი დაგვისკდა და დღესავით ნათელი იყო, რომ ცოტა ხანში ყველას სული ამოგვხდებოდა. ვილაც უკვე ხმამაღლა ტიროდა. და მოულოდნელად სახურავის ღრიჭოში ჩამოშვებული თოკი გამოჩნდა. აშკარად გადარჩენილები ვიყავით.

თოკი ხელში ჩემს გლეხს ეჭირა. თუმცა სახე შეესიებოდა და დაწვოდა, თუმცა საშინელ სიმხურვალეს უძლებდა, მაინც იმდენ ხანს იდგა, სანამ უკანასკნელი კაცი არ ამოიყვანა და გონებამიხდილი მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიკეცა. რა ამბავი დატრიალდა! ქალები მოსთქვამდნენ. ბავშვები რაღაცას გაჰკიოდნენ, ის კი უმოძრაოდ იწვა, რადგან გონსმოსულსაც განძრევის თავი არ ჰქონდა. ვერაფერი გავიგე: ამ ხალხს შორის მისი ახლობელი ხომ არავინ იყო, პირიქით, ყოველმა მათგანმა გამოძიებას მისი საწინააღმდეგო ჩვენება მისცა, მაშ თავს რიღასთვის იკლავდა?

ავად გავხდი. არ ვიცი, გადავხურდი, თუ სიმხურვალიდან უცებ სიგრილეში რომ გამოვედი, მაშინ გავცივდი. სიცხემ ამიწია. გაცაშლელ საწოლზე მარტო ვიწექი, მშობლებს ვიხსენებდი და ჩუმად ვტიროდი.

ჩემმა გლეხმა სამკურნალო ნახარში და ბრინჯი მომიტანა. შის დანახვაზე ისე ხმამაღლა ავქვითინდი, თითქოს ვილაც ძალიან ახლობელი მესტუმრა. ის კი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და საშინი არაფერი [illegible] გაცივდი, მალე გაგიელ[illegible]

ერთმანეთს გავესაუბრეთ. თავს დამშვიდებულად ვგრძნობ თქვენს წინაშე იმ სისულელეების გამო, რაც ჩავიდინე-მეთქი. მაშინვე გამოვტყდი. მან კი განსაცვიფრებელი სათნოებით მიპასუხა: „სისულელე ვის არ ჩაუდენია. კარგია, რომ მიხვდიო". ამის გაგონებაზე, უფრო მეტად შემრცხვა და გულიც დამიმძიმდა.

იმ საღამოს დიდხანს ვისაუბრეთ. მე შევეკითხე, ნუთუ მართლა დეზერტირი იყავით-მეთქი? არაფერი დაუმალავს, „რას იზამ, ასე მოხდაო", მიპასუხა, როცა ჩვენი ნაწილი ამ სოფელში შემოვიდა. ჩემი ბიძაშვილი მოვძებნე, რომელიც მრავალი წელი არ მენახა, ქმარი ცუდად ექცეოდა და შემომელახა. ქმარმა მიჩივლა, უფროსობამ ჩემი დასჯა გადაწყვიტა და მეც გავიქეცი. მიამბო.

მისმა აღსარებამ გაოგნებული დამტოვა. არადა მისი ბიძაშვილი ახლაც ამ სოფელში ცხოვრობდა, მის ქმარს დამბლა დაეცა და მათ მხოლოდ ჩემი მასპინძელი ინახავდა. მის ქმარზე გაბრაზებული თუ ხარ-მეთქი, შევეკითხე. „კარგა ხანია აღარ ვბრაზობ, თავადაც ხომ დავაშავე. კაცს თავი გავუტეხეო, მიპასუხა: საერთოდ ჩემი მასპინძელი სხვა სოფლიდან იყო, აქ მაშინღა გადმოვიდა, როცა გაიგო, ბიძაშვილის ქმარს დამბლა დაეცა, ვაჟიშვილებმა კი მიატოვესო. „უცხოები ხომ არ არიან, ერთი ოჯახი ვართ. რად უნდა გავბოროტდეო", მითხრა.

იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა. სიყვარულისა და სიძულვილის შეცნობას ვცდილობდი.

რამდენი ათწლეული გავიდა მას შემდეგ. მე კი იმ დროს ისევ ვიხსენებ. ჩემი დამოკიდებულება სამყაროსთან ამ მთიან სოფელში შეიცვალა. უბრალო და გულწრფელი სიყვარულიც აქვე მასწავლეს.

ახლა კი, „სიყვარულით ავავსოთ მთელი ქვეყანა..."-თქო ვლიღინებ და ვფიქრობ: ვეებერთელა სარკეა მსოფლიო, თუ გაბოროტებით ჩაიხედავ, თავადაც ბოროტად შემოგხედავს, თუ გაულიმებ, ღიმილს შეგაგებებს. მისკენ ხელებს თუ გაიშვერ, თავადაც მკლავებს გადაგიშლის.

ეს ჩემი აღმოჩენა როდია. ეს მთიანი სოფელი შენბეის გლეხებისაგან ვისწავლე.

თარგმნა **მანანა მიქელაძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავგადასავალი ლევან გოთუასი

ჩემო კარგებო

27/I—1955 წელი.

გულითადად ყველას სახელდობით და დაუსახელებლად მოგილოცავთ ახალ წელს საუკეთესო სურვილებით.

ესეც მე-20 საუკუნის ორმოცდამეთერთმეტე წელი. ამ ასაკს ჩემი ასაკი რომ მივაზმანოთ, იგი საკმარისად ხანდაზმულ ჭაღაროსნად წარმოგვიდგება. მაგრამ ჩემთან განსხვავებით კაცობრიობა და დრო მარადჟამს ახალგაზრდაა... მე კი დავბერდი.

ჩვენი ბობოქარი საუკუნის ნახევარზე მეტი გზა განვლილია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მას ჯერ კიდევ ვებერთელა შინაგანი ძალა და ცეცხლოვანი საფუარი აქვს დასულდგმულებული და იქნებ მეტიც, ჯერ არ უმჟღავნებია თავისი მთავარსათქმელი, სამშობლოს მრავალი საკითხების მოგვარებაში და დაფუძვნებაში.

ახალი წელი, ეს ჟამი ჩვეულებრივი დღე-ღამის გაყრა სრულიადაც არ არის, ასტრონომიის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა არც უჩვეულო არაფერია. განუზომელი მსოფლიოს მექანიკის კანონებს ძველებურად ემორჩილება, მზე-მზეობს, დედამინა ბრუნავს... ვინ უწყის რამდენი წელია ასე დღევდება და და ღამდება ქვეყანაზე, თუ არ ჩავთვლით ამ ჩრდილო ჯოჯოხეთს, სადაც ყველაფერი შებრუნებულია. მაგრამ წელთაღრიცხვაში მაინც იგივე. შეგნებულ ცხოვრებაში, ტრადიციულად ქცეულ პირობითობას, საერთოდ დიდი მნიშვნელობა და ძალა აქვს — ასეთი დიდი პირობითობაა ახალი წელი.

კაცობრიობის ისტორიაში ოცნებას უდიდესი დამსახურება მიუძღვის, ხოლო ყველაზე აღიარებული ოცნება და კეთილი სურვილების დღე ახალი წლის უხილავი მიჯნა გახლავთ და ამ დღეს ყველა ოცნებობს და ბედნიერია ზღაპრულ ნაცარქექიიდან — მიჯაჭვულ ამირანამდე, ყველა ცოცხალთა და მოაზროვნეთა ჩათვლით.

მეოცნებე კაცი კი ყოველთვის უფრო გულკეთილი და ლმობიერია.

ოხ! რა ძნელია თვალს რომ დაეხუჭავ და მძიმე დროის მაჯის ცემას განაბულად უსმენ, ადამიანის სევდას გაინაპირებ და ფიქრით კეთილ მომავლისაკენ გაიტყორცნები. ახალი წელი ორ წელს ერთბაშად იტევს, ორმაგად ბზინავს შარშანსა და გაისს და მე ვფიქრობ, რომ ხურჯინიც ახალი წლის ღამეს არის გამოთარგული, მასაც ამიტომ აქვს ორი უბე.

მეც მინდა, რომ სამშობლოში ბოლოს და ბოლოს სავსე ხურჯინით მოვიდე მეკვლეთ. ნატვრას ხომ უჩინმაჩინის ქუდის გარდა უხილავი ოცნების ფრთებიც ასხია.

მეც თვალებს რომ დავხუჭავ და ჩემს ცხოვრების სიღრმეში ოცნებით გადავიხედავ, ყველაფერი ისე ირევა, თავბრუ მესხმის და ისევ და ისევ მეხსიერებას და ნებისყოფას ამოვეფარები.

ამ დღეს ვულოცავ ყველა სამშობლოს შვილებს და სხვებს საქართველოსთვის კეთილმსურველს. ჩვენთან სამშობლოს მიღმა გაცამტვერებულ დაკნინებულ ხალხში გულმხურვალე, ალალმართალ მოლოცვებში როგორი კეთილი ნატვრა, სურვილები, ზრახვებია, და რაც მთავარია მომავლის რწმენაა ჩაქსოვილი. დე ასრულდეს ჩვენი ნატვრა-ოცნება, იქნებ გვეღირსოს სამშობლო მოწყურებულებს — სამშობლოში დაბრუნება.

მე მაინც იმედს არ ვკარგავ და მტკიცეთ ვეცდები კიდევ ამ ზრახვების ასასრულებლად.

გკოცნით ბევრს.

თქვენი ლევანი.

ჩემო კარგებო!

20/IV—55 წ.

ეს წერილი გამოვატანე ვერა ლორთქიფანიძეს. მე მეგონა თამარ კილაძე უკან წამოვიდოდა. ჯერ არ სჩანს.

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 6.

ვარ კარგად. მდგომარეობა უცვლელია, ველი ვადის დამთავრებას. ვადას კი სულ მოკლე ხანში ვამთავრებ, ამასთან დაკავშირებით ველავ. სულ ერთი თვის ფარგლებშია.

მდგომარეობა მე პირადათ ასეთი მაქვს, ნარდგენილი ვარ ინვალიდობაზე, მაგრამ ჯერ არ ვარ გაფორმებული. ჩემი ვადის დამთავრებამდე თუ გაფორმდა ეს უფრო მეტი შეესაძლებლობაა საქართველოში დაბრუნებაზე, თუმცა აქ ინვალიდებიც სხედან.

ჩემს საქმეს ის აჩქარებს, რომ ვადა მიმთავრდება. ჩემი განთავისუფლების შესახებ მოსკოვიდან თუ არ მოვიდა პასუხი აქაურ შეკითხვაზე, მაშინ უსათუოდ ვორკუტაში დამტოვებენ კომენდატურასთან მიმაგრებით ეგრეთწოდებულ თავისუფალ გადასახლებაში. ამიტომ ვარჩევ ბანაკში დარჩენას საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

აქედან ყველაზე გზავნიან მოსკოვში შეკითხვას. მით უფრო „Oco"-ს მისჯილთა შესახებ. პასუხამდე მე მაინც ბანაკში დარჩენას ვარჩევ და საბოლოოდ თავისუფლების ლოდინს. ეს საქმეს უფრო დააჩქარებს, ვინაიდან ბანაკისათვის ეს „საგანგაშო მდგომარეობაა", პატიმარი განთავისუფლებაზე უარს ამბობს და კვლავ ბანაკში რჩება. ვფიქრობ ამით შესაძლებელია სასწაულიც მოხდეს. დიდი ამის მორწმუნე არა ვარ, მაგრამ ვვარაუდობ. ასე ვალაგებ ცხოვრებას. თქვენ კი ყველაფერი გაითვალისწინეთ. წიგნები და საერთოდ რასაც გთხოვდით გამომიგზავნეთ. მომწვდა მანდაური ხმები „რეაბილიტაციის" შესახებ. მე ეს როგორლაც ვერ წარმომიდგენია რა დანაშაული მაქვს, რომ რეაბილიტაცია მჭირდება. მთავარია, მე ცოცხალი გადავრჩი, ჩემს თავს კი ახლა მე თვითონ ვუშველი. საკმაოდ ტრაგიკომიკური მდგომარეობაა! თუ ინვალიდობით მომცეს შეღავათი, მაშინ ალბათ დამჭირდება ცნობა მეურვეობის შესახებ. თავის დროზე შემოგითვლით.

მე კვლავ ვმუშაობ მაღაროშიც და ჩემთვისაც — ვწერ. თუ მეღირსა ჩამოსვლა, „ხურჯინს" სავსეს ჩამოვიტან.

აბა, გულითადი მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ.

როგორ არიან დაბრუნებულები? კოტეს წერილი მივიღე ინტიდან.

დანარჩენ ჩვენი ცხოვრების ავკარგს ალბათ ბარათის მომტანი გიამბობთ.

იყავით კარგად.

თქვენი ლევანი.

ჩემო კარგებო!

26/V—55 წ.

დღეს ავიო-ფოსტით ბანაკიდან გამოვგზავნე რუსული წერილი — მეურვეობის ბარათის ნიმუშით, დღეს ვწერ ამ წერილს.

ჩემი მდგომარეობა ასეთია. ვადა [illegible] თავრებ 12/VI—55 წელს. [illegible] რად გამომიცხადეს ეს საბედისწერო დღე. რადგან მოსკოვიდან ჯერ პასუხი ჩემზე არ მიუღიათ, როგორ მოიქცენ, არ იციან. აქაური წესი კი ასეთია. მუდმივად თავისუფალ გადასახლებაში კომენდატურასთან მიმაგრებით ვორკუტაში აგზავნიან ყველას. მე უკვე ვორკუტაში წასვლაზე უარი განვაცხადე იმ საბაბით, რომ ვარ ინვალიდი (ეხლახან გამაფორმეს) მოსკოვის პასუხს მინდა აქვე ბანაკში დაველოდო. თუ მაინც და მაინც ამიხირდნენ, ჩათვლებს უკან დავუბრუნებ საჭირო რაოდენობით და მეტითაც. ჯერ თითქოს და მთანხმდებიან, გამაფრთხილეს მეურვეობის ბარათი გამოიწერეო. ამიტომ მოგწერთ კიდეც.

ჩემთან ახლა ახალი გადახარისხებაა, ამიტომ გასაშვები აღარავის აღარ გვაქვს.

ეხლა მეურვეობის შესახებ უნდა გააფორმოთ ერთი თბილისში, მაგრამ შეიძლება დადებითი პასუხის შემთხვევაშიაც თბილისში არ გამომიშვან, რადგან რესპუბლიკის ცენტრია. ამ გარემოებამ შესაძლოა გაფორმება შეაფერხოს. ამიტომ საჭიროა სადმე რაიონის მისამართითაც, მაგალითად ლანჩხუთი, ჩიბათი, ძიმითი თუ სხვა თბილისთან უფრო მახლობელი რაიონი. ეს აქ ფორმალური მხარეა. მაგრამ აუცილებელი, თინა! თბილისში უმჯობესია შენ სახელზე გააფორმე მეურვეობა თუ ეს რაიმე მიზეზით უხერხულია — მაშინ თამარის ან მზიას სახელზე. იქნებ რაიონში თქვენ ერთერთის სახელზე მოახერხოთ. თუ ვერა და მაშინ ნათესავები ბიძაშვილები მონახეთ.

მეურვეობა სასწრაფოდ გამომიგზავნეთ, გამოგზავნა დეპეშით მაცნობეთ.

ცნობა უსათუოდ შეამოწმებინე სანოტარო კანტორას. თუ რაიონიდან იქნება რაისაბჭოს. მთავარია რომ ღერბიანი ბეჭედი იყოს.

მე ყოველივეს ვიღონებ, მაგრამ მაინც მეეჭვება თბილისში ჩემი ჩამოსვლა. გულითადი მოკითხვა ყველას. როგორ არიან პატარა თამრიკო და დედა მისი? დევი ბიჭი? დედა? და თქვენ სუყველა. ასეთ კრიტიკულ დროს თქვენთან ყოფნა უფრო მძაფრად და სასტიკად მომინდა.

გკოცნით ყველას.

თქვენი ლევანი.

27/VII—55 წელი.

ჩემო კარგებო!

ყველაფერი მიღებული მაქვს, მეურვეობის ქაღალდებიც ყოველ მხრივ და ყველა ვარიანტი (თინა, თამარი) დაწესებულებამაც მიიღო. ახლა საქმე მოსკოვის პასუხზეა და ჩანს ეს არც თუ მალე იქნება. აქ მითხრეს 2 თვე მაინც არის საჭიროო. იქნებ მეტიც.

მაშ მდგომარეობა ასეთი შეიქმნა. ვადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

12/VI გავათავე, აქვე გარეთ მიშვებენ აქაურ კომენდატურაზე მიმაგრებით. როგორც გწერდით, მე უარი განვაცხადე. გადამიყვანეს „მსუბუქი რეჟიმის" ბანაკში. ესე იგი უყარაულოდ გავდივარ სამუშაოზე და დასვენების დღეს შეიძლება ქალაქში ან სხვაგან გასვლა.

ერთი სიტყვით, თუ რამე არ გამოიცვალა და თუ მაინცდამაინც ძალით გარეთ არ გამაგდეს, რამოდენიმე ხანს აქ დავრჩები და აქვე ძველებურად ვიმუშავებ.

თქვენ მანდ ნუ ნერვიულავთ და ნურც აღფრთოვანდებით წაადრევად. მოთმინებით დაველოდოთ შედეგს.

მანდაური ამბები ჩემს ირგვლივ (თეატრიდანაც და მწერალთა კავშირიდანაც) მიამა, მაგრამ პრაქტიკულად შედეგის მქონედ გამოდგება თუ არა ამასაც ვნახავთ. მაინც ჩანს კეთილმსურველი ხალხი არ დალეულა საქართველოში! სანუგეშოა... კეთილი, თუ დავბრუნდი — არც მე მოვალ ხელცარიელი!

მე პირადად კი იმდენი წალმართ-უკულმართობანი ვნახე ცხოვრებაში, სრულიად არ ვოცლავ. ვზივარ ჩემთვის და ვმუშაობ... ხელი მეშლება ზოგ წიგნებისა და საწერ ქაღალდის მიუღებლობის გამო, ასე მივეჩვიე ყველაფერს და სიცოცხლისათვის საქართველოში ასი წლის მოთმინება მაქვს.

ეხლა თქვენი ჩემთან აქ ვორკუტაში ჩამოსვლის შესახებ, ჯერ, რა თქმა უნდა ჩემი საქმე უნდა გაირკვეს, მერე კი თუ საუბედუროდ აქ დავრჩი, უსათუოდ ჩამოდით. ეს კი არის მგზავრობაში გამწარდებით, დიდათ მონატრებული ვართ მზეს, 28/VI დიდი თოვლჭყაპია, მზე ჯერ არ გვინახავს. ჩვენც თავისებური „მზეთუნახავები" გახლავართ!

გავიგე შალვა ღამბაშიძის და ლევან ასათიანის სიკვდილი, მეტად მეწყინა. შალვას შესახებ — თეატრსა და მის ოჯახს ერთად მივწერე სამძიმარი, ალბათ მიღებული ექნებათ. ასეთი კაცის დაკარგვა მარტო თეატრისათვის კი არა, საქართველოსათვისაც დიდი დანაკლისია. პირადათ ჩემთვის კი ნუ იტყვით, ის მარტო ჩემი პიესების გმირი კი არ იყო, არამედ ჩემი ერთგული მეგობარი და საიმედო ქართველი.

ლ. ასათიანის მეუღლე თინა თუ ნახოთ ჩემი ღრმა თანაგრძნობა და გულისტკივილი გადაეცით პატიოსანთა-უპატიოსნეს, ქართველთა უქართველეს მწერალთა-მწერალის გარდაცვალების გამო. დიდათ სამნუხაროა და დასანანი, ბინის მისამართი, რომ ვიცოდე, უსათუოდ მივწერდი. სულ მიდის და მიდის საუკეთესო ხალხი, ჩემი სათაყვანებელი და საიმედო ადამიანები. ვაშა მათ მაინც — ვინც სამშობლოს მიმართ ვალმოხდილი მიდის! ეტყობა მე თუ დავბრუნდი, ბევრს ვინც მე ცოცხალი მგონია, ველარ ვნახავ? ასეთია ცხოვრება... მათ მაგივრად — ბევრს დავაჭაცებულად და ახალდაბადებულად ვიხილავ.

ყველა მომიკითხეთ ,ჩამოუთვლელად — მაგრამ გულითადად.

თქვენი ლევანი.

9/VII ლევანმა მზიას მისწერა საპასუხო წერილი მოსკოვში — უხაროდა რომ მზია სამოგზაუროდ წავიდა. მზია ეხვეწებოდა ლევანს მოსკოვიდან ვორკუტაში ჩამოვალო, რისაც ლევანი წინააღმდეგი იყო — აქ შენი ჩამოსვლა ისიც რამოდენიმე დღით და მით უფრო ახლა, სულ არა ღირსო, ასე რომ კარგად იმოგზაურე და შინ მშვიდობით ჩადი, იქნებ იქ შევხვდეთო.

ჩემო კარგებო!

28/VII—55 წ.

ჩემი ვადა დამთავრდა 12/VI. დღეს კი ისევ გამომიცხადეს ბანაკის დატოვება და კომენდატურასთან შეთანხმებით თავისუფალ გადასახლებაში ქალაქ ვორკუტაში გადასვლა. ესეც ისევ ჩემი ბედის უკუღმა ტრიალია. მე რა თქმა უნდა ასეთ განთავისუფლებაზე უარი განვაცხადე, ისევ დავწერე განცხადება, სანამ მოსკოვიდან ჩემს შესახებ პასუხი არ მოვა ჩათვლები უკან წაიღეთ და მე აქ დამტოვეთო.

ხალხი ციხიდან წასვლაზე ოცნებობს, იბრძვის, მე კი ციხეში დარჩენაზე ვხლაფორთობ, პარადოქსია არა! „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო" სიმწრით ნაანგარიშევ ჩათვლილ დღეებს უკან ვაბრუნებ. ისევ ჩავედი სამუშაოდ ღრმა მაღაროში.

მე ასეთი შეკვეცილი, ფრთებჩამოჭრილი თავისუფლება აღარ მინდა.

პატიმრები, ზედამხედველები და უფროსები გაკვირვებულები და შეწუხებულები შემომცქერიან, ჩემს ჯიუტობას ჭკუაზე შეშლას აბრალებენ „ლევანი ისე მიაჩვიეს ამ ცხოვრებას, რომ თავისუფლად უკვე ველარ იცოცხლებსო", ირონიით ამბობენ ისინი. ჩემ ტრაგი-კომედიას დასცინიან, ასეთი რამე ბანაკის პირობებში არ მომხდარაო. დაპატიმრების კანონი დიდი ასოებითაა დაწერილი პატიმრის საპატიმროდან ძალით გაგდების კანონი კი არ არსებობს. პატიმარი სიხარულით, თვითშეგნებით, თვითნებურად უნდა წავიდეს განთავისუფლების შემდეგ, აქაც ასე ხდება, ეხლა კი მე შევცვალე ყველაფერი. ჩრდილოელი ქართველები შეწუხებულები და აღშფოთებულები მეხვეწებოდნენ და მარწმუნებდნენ — ლევან ქალაქში მაინც სულ სხვაა, ზედამხედველების, ძაღლების, ნომრის, იძულებითი შრომის, დამცირებისა და დაცინვის გარეშე იქნები ჩვენთან ერთად. ჩვენ დაგეხმარებით ყოველმხრივ, უფრო მეტს დასწერ და შენს მწერლობას გააღრმავებ... მე გავჯიუტდი — ეს ხომ ჩემი სამუდამო საქართველოს, თბილისის და თქვენს გარეშე არსებობა იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა ცხოვრება, რომელიც ვგრძნობ თანდათან იფერფლება. ასეთ სიცოცხლეს და თავისუფლებას მით უფრო ახლა უკვე ველარ ავიტან. ინვალიდობაც ხომ იმიტომ მოვიმიზეზე. მართალია გასიებული ფეხებიც დაეხმარა ჩემ დამხმარე ექიმებს ხელმოსაკიდი ჰქონოდათ, თორემ მე ჯანმრთელობის მხრივ კლდესავით მაგარი ვარ სულით, ხორცით თუ ხასიათით.

დიახ „მეტად მძიმე და ძნელი" წლები გადავიტანე, ცხოვრებაში ხშირად სილამაზეს და სიხარულს მწარე სიმახინჯე და ტანჯვა აქვს გადაჯვარედინებული, სწორედ ჩემზეა ნათქვამი. მე სილამაზეზე აბა რას ვიტყვი; ალსავსე ვიყავი სამშობლოს ბუნებით და მისი სიყვარულით. ამაზე ულამაზესი არა წარმომიდგენია რა. სიხარულის მხრივ კი პირადად მე ზღვაში ერთი წვეთი მერგო, თვითონ განსაჯეთ. უსამართლობის, სიმახინჯესთან და ტანჯვასთან კი პირისპირ ბევრი გზის დიდი და მძიმე ჭიდილი შემხვდა და ჩემს ეკლიან გზაზე უხვად გადასატანი.

ბევრი მქონია უმძიმესი წუთებიც, სიცოცხლეც აღარ მინდოდა. თვითმკვლელობამდენაც ვიყავი მისული, მაგრამ გადავლახე ეს საშინელი ზღურბლი სამშობლოს სიყვარულმა, დაუღალავმა შრომამ, გულში მალულად ჩაქსოვილმა იმედის ნაპერწკალმა გადამატანინა ყოველივე.

ჩემი გრძელი ვადის პატიმრობაში რა პროფესია არ შევიძინე დაწყებული მძიმე და ფიზიკური შრომიდან გათავებული საპატიო თანამდებობით. გავინაწილე ტაიგაში ხეტყის მუშის მძიმე ხვედრი, ტუნდრაში — იძულებითი მიწის მუშის გაჭირვება, — უბრალო შავი მუშის მძიმე შრომა პატიმრის ყოფით. შემდეგ კი ჩემმა განათლებამ იმძლავრა — გზა გამიკაფა, გავხდი სანიტარ-დამლაგებელი, გადამწერი, საქმეთა მმართველი, ბუღალტერი, ეკონომისტი, პედაგოგი, ფარმაცევტი, მემალაროე-გამთხრელი, მაღალი ძაბვის მონტიორი. ეს ჩემი ძირითადი პროფესიებია, შიგადაშიგ წვრილმანს რა მოსთვლის. ვიყავი პატიმარი კონცენტრაციული ბანაკის, კატორღელი, დანომრილი, წაშლილი. ვიჯექი სხვა და სხვა სახის „იზოლატორში" რამოდენიმეჯერ „სასიკვდილო საკანში" ჩაბორკილიც, დახურულ ციხეებს ხომ ნუ ჩათვლით — თბილისის, მოსკოვის, სოლოვკების, ნარიმის, ბიისკის. ეტაპებით სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მაწვალეს, ყველაფერს რომ ჩავყევი და გავიხსენე, თვითონ განვცვიფრდი, ნუთუ ყოველივე მე შემხვდა წილად, ენით აუწერელი საკვირველებაა, წარმოდგენაც ძნელი და მე თვითონ მიკვირს, როგორ გაეუძელი და გადავიტანე. ჩემს თავზე მძიმე ზღაპარმა გადაიარა. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია.

ვფიქრობ ერთი ადამიანისთვის ... ზე ბევრია გადასატანად ... მაგრამ ეს მწარე ფაქტია და სინამდვილე. განა მე მარტო ვარ ამისთანა? მილიონობით ხალხია გაწყვეტილ-განადგურებული, ცოცხლად დამარხული, უუფლებოდ დარჩენილი, დაკნინებულ-დაჩაჩანაკებული.

ამის შემდეგ თვითონ განსაჯეთ ამ წყობაზე რა უნდა ითქვას!!..

მე ახლა ხანდაზმული ვარ 50 წლისა. გადატანილი ჭირ-ვარამით მთელ ჩემ ცხოვრებაზე ბევრად უფრო ასაკოვანი და ხანდაზმული. ახლა კი ჩემს თავზე ექსპერიმენტებს ველარ ავიტან. მე მარტო ჩემი სამშობლო მინდა, რომ იქ მერგოს სასუფეველი. ეს რომ ცოტათი ადრე მეთქვა, ალბათ მეც გამანადგურებდნენ, მომსპობდენ, ეხლა კი შეიცვალა მთავრობა, აქაც შერბილდა, ჰოდა იქნებ მეშველოს რამე.

უკვე გავიდა რამდენიმე თვე. ბევრს ჩემსავით უდანაშაულო პატიმარს გაუთავდა 10 წლიანი ვადა და მე მომბაძეს ბევრმა, ჩათვლილი დღეები ჩემსავით უკან დაუბრუნა ბანაკს. ჩვენ ბევრზე ბევრნი აღმოვჩნდით. ამისთანები და უფრო გავთამამდით, მოსკოვიდან ჩვენს შესახებ პასუხი იგვიანებს. ბანაკს კი ხელს აძლევს, მუშა ხელი სჭირდება. ამიტომ ყველანი ყაბულს ვართ. მერე სამუშაოზე გასვლაც შევწყვიტეთ და გაფიცვა მოვაწყეთ.

გაფიცვა ისევ საყოველთაო გახდა. სოლიდარობის მიზნით სხვა პატიმრებიც გაიფიცნენ, შემოგვიერთდნენ. თითქმის ყველა მაღარო გაიფიცა. ისევ წარმოიშვა საგაფიცვო კომიტეტიც. გაფიცვას სათავეში ჩაუდგა ჩვენი მეგობარი იგორ დობროშტანი.

როგორც ყოველთვის ქართველები ისევ მოწინავე ხაზზე აღმოვჩნდით. ვფიქრობ, ეს გაფიცვა უსათუოდ თავისუფლებას მოგვიტანს, თუ სადმე დარჩა სამართალი. თითქოს წინათგრძნობაც ამას მეუბნება. ეხ! რამდენი არასაჭირო ამბავი მოგწერეთ. ჩემ რწმენას გადავუხვიე, მაგრამ საბოლოოდ ჩემი გულისთქმა ვთქვი, გულის ამონაკვნესი მოგწერეთ ეს არის და ეს.

ისე ჯანმრთელად და მხნედ ვარ. მაგრად. ბრძოლის სულისკვეთებით განწყობილი, მომავლის რწმენით გამაგრებული: პატიმრობის ვადის დამთავრებით გათამამებული.

თქვენც მხნედ და მაგრად იყავით ჩემს მომავალს შეეგუეთ.

გისურვებთ ზაფხულის კარგად გატარებას, დასვენებას, გაჯანმრთელებას და მოლოდინს. ვნახოთ?

გკოცნით ყველას,
თქვენი ძმა ლევანი.

ამრიგად 1955 წლის ზაფხულში ვორკუტის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბანაკებში. გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. დაარსდა საგაფიცვო კომიტეტი, რომლის სათავეში იგორ დობროშტანი ჩაუდგა. გაფიცვის ძირითადი მიზეზი მაინც პატიმრების არაადამიანური ცხოვრების პირობები იყო, რის გამოც მასიურად იღუპებოდნენ ადამიანები, ნერს ყოფილი პატიმარი შალვა ჩხეიძე. საგაფიცვო კომიტეტი მოითხოვდა: უკანონოდ დასჯილ და ვადა-დამთავრებულ პატიმართა სამშობლოში დაბრუნებას, ბარაკებში ცხოვრებისა და შრომის მძიმე რეჟიმის შეცვლას, თავისუფალ გადასახლებით ქ. ვორკუტაში პატიმრების ნებაყოფლობით დატოვებას (ვინაიდან ბევრი იყო ისეთი, რომელიც აპირებდა მაღაროებში მუშაობას — მათ არ ჰქონდათ ოჯახი, სახლ-კარი და საერთოდ საცხოვრებელი ადგილი), რაც მთავარია „საგაფიცვო კომიტეტი მოსკოვიდან მთავრობის კომისიის ჩამოსვლას მოითხოვდა, რომელიც ყველა მწვავე საკითხს ადგილზე პატიმრების თანდასწრებით გადაწყვეტდა.

პატიმრები თანდათან გათამამდნენ. ბანაკში აჯანყება გამწვავდა. ადმინისტრაციას აღარავინ არ ემორჩილებოდა. ბანაკის დირექცია ისე დაიბნა, არ იცოდა, რა ზომები მიეღო. ერთ დღეს ისეთი მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, კინაღამ ისევ ცეცხლი და ტყვია დაგვიშინეს, მაგრამ აქ დობროშტანმა და საგაფიცვო კომიტეტის წევრებმა, მათ შორის ლევანმაც იმარჯვესო, იგონებს ყოფილი პატიმარი რეზო ტყავაძე.

ბანაკში უამრავი უცხოელი პატიმარი და ემიგრანტები იყვნენ ტყვედ ჩავარდნილები, თუ ისე გადმობირებული და მერე დაპატიმრებული: გერმანელები, ჩეხები, სამხრეთ უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან, ფრანგები, ბულგარელები, ინგლისელები, მოკლედ რა რჯულისა და ასაკის პატიმარს არ შეხვდებოდი აქ. ისინი უკვე გრძნობდნენ რეჟიმის შერბილებას და მოითხოვდენ გასამართლებას და სამშობლოში დაბრუნებას, ისინიც ერთსულოვნად ჩაებნენ გაფიცვაში.

ბანაკში ყველაფერი აირია, ზედამხედველებსა და პატიმრებს შორის მუშტი-კრივი, შეხლა-შემოხლა გაიმართა. პატიმრებმა იარაღიც ჩაიგდეს ხელში, ძალით განაიარაღეს ზედამხედველები და გუშაგები, მოსკოვიდან კომისია არ სჩანდა. დღეები მძიმედ მიდიოდნენ. გაფიცვა და შიმშილი დღითიდღე მწვავდებოდა. შიმშილობდნენ ქართველებიც, მათ ბორის ლევანიც. დასუსტებული პატიმრები გონებას ჰკარგავდნენ, ცუდად ხდებოდნენ და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაჰყავდათ. ოღონდ ჯანყი არ გამწვავებულიყო და შიმშილი შეწყვეტილიყო, ბანაკის ადმინისტრაცია მზად იყო პატიმრებს მოლაპარაკებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მძიმე სისხლისტვრა [illegible] იგონებს ყოფილი პატიმარი [illegible] ძე. გაფიცულებმა მოითხოვეს მოსკოვში მთავრობასთან მოლაპარაკებლად იგორ დობროშტანი და რამდენიმე პატიმარი გაეგზავნათ, წარმომადგენელთა ჩამოსვლამდე კი შიმშილობა არ შეწყდებოდა. ადმინისტრაცია ამაზეც დათანხმდა. მაგრამ დობროშტანს ამჯერად არ დასჭირდა მოსკოვში გამგზავრება, მეორე დღეს კომისია ჩამოვიდა. მოსკოვიდან ჩამოსულ კომისიის შემადგენლობაში იყვნენ მინსახკომიდან გენერალი ეგოროვი, სსრ კავშირის უშიშროების მინისტრის მოადგილე ხოხლოვი, უმაღლესი საბჭოს სასამართლოს თავმჯდომარე რუდენკო და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

რუდენკომ ძალიან ავტორიტეტულად გამოუცხადა პატიმრებს: კომისია შექმნილია და აქ გამოგზავნილია საბჭოთა კავშირის გენერალური მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ. ყველაფერს ადგილზე გავარკვევთ და იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომელიც სტალინის მძიმე ეპოქას ჰოპყვა მოვეპობთ. შომავალში ეს საშიხელი პოლიტიკური ბანაკებიც აღარ იქნება, ეხლა კი თქვენი საქმეების გარჩევას შეუდგებითო და ყველას გასაკვირველად, ნამდვილად პატიმრების საქმეების გარჩევას შეუდგეს, იგონებს ყოფილი პატიმარი ვანო შევარდნაძე.

მოსკოვის კომისიას ბანაკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. აქ იყვნენ: ბანაკის უფროსი, სასტიკი ჩეკისტი შევჩენკო, გენერალი ვუხტილოვი, შახტის მმართველი დეკტეევი, პოლიტგანყოფილების უფროსი, უხეში ჩეკისტი, საშიში პიროვნება პოპოვი, მე-16 მაღაროს სარემონტო ბრიგადის უფროსი (სადაც ლევანი მუშაობდა უკანასკნელ პერიოდში) ვოლკოვი, შინსახკომელი ვიქტორ ბულბენკო, განსაკუთრებული ნაწილის უფროსი დერევიანკო.

პატიმრები კომისიის განცხადებას აღფრთოვანებით შეხვდნენ, მაგრამ ორჭოფობდნენ კიდეც, ვინაიდან ნდობა მთავრობის მიმართ დაკარგული ჰქონდათ და ამის აღდგენა ახლა არც ისე იოლი იყო, მაინც გადაწყვიტეს გაფიცვის გაგრძელება, შიმშილობა კი შეწყვიტეს.

საგაფიცვო კომიტეტის თავკაცმა, იგორ დობროშტანმა, ამ ყველ მხრივ ვაჟკაცმა და განათლებულმა კაცმა — ყოფილმა ტიტულოვანმა კონტრმზვერავმა, რომელმაც ომის დროს ბევრი საგმირო საქმე გააკეთა, გამარჯვებისათვის, მკაცრად მოსთხოვა კომისიას ყველა პატიმრის სახელით თუ არ გაანთავისუფლებთ უდანაშაულო და ვადა-დამთავრებულ პატიმრებს და ბანაკში საერთოდ არ შეიცვლება არაადამიანური მძიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟიმი, ერთი ჩემი ძახილი და ყველანი ერთობლივ საშინელებას მოვიმოქმედებთ, თქვენც დაგბოცავთ და ჩვენც დავიხოცებითო. ყოფილი პატიმრები სანდრო ჩიკოიძე, დავით კვიტაიშვილი, შოთა შავგულიძე, ვანო შევარდნაძე, რეზო ტყავაძე აღნიშნავენ როგორ აღფრთოვანებული იყვნენ საგაფიცვო კომისიისა და განსაკუთრებით მისი უფროსის იგორ დობროშტანის ასეთი სითამამითა და ვაჟკაცობით. საწყალ პატიმრებს მოთმინება აღარ ჰყოფნიდათ, უმრავლესობა საჩივრებს კომისიის წევრებს ხელში აჩრიდა, დანარჩენები კი რაც ძალი და ღონე გვქონდა ვყვიროდით, შველას, სიმართლის გამარჯვებას და ჩვენი ადამიანური უფლების აღდგენას მოვითხოვდითო, იგონებს ყოფილი პატიმარი ბენო ხაჟალია. დობროშტანმა და საგაფიცვო კომიტეტის სხვა წევრებმა მთავრობის კომისიის წევრების თხოვნა გადმოგვცეს, კომისია გვპირდებოდა, რომ ყველა საქმეს გაარჩევდა, ამისათვის კი საჭირო იყო დრო და პატიმართა სიდინჯე, რათა მუშაობაში ხელი არ შეშლოდათ.

აქვე გაირკვა, ადრე მოსკოვში გაგზავნილი წერილები, საჩივრები და შეკითხვები თურმე იქვე ადგილზე ინახებოდა და მოსკოვამდე არ მიდიოდა. ამიტომაც ყველაფერი უშედეგოდ რჩებოდა. ისიც გაირკვა, რომ ნ. ხრუშჩოვის ხელმოწერილი მთელი რიგი ახალი კანონები, რომლებიც პოლიტპატიმრების შეღავათებს შეეხებოდა გამოუყენებლად, მაგრად იყო ბანაკის სეიფებში ჩაკეტილი.

ამრიგად, კომისიამ გამოარკვია ბანაკის ადმინისტრაციის სასტიკი თვითმმართველობა, დაიწყო ბანაკის ადმინისტრაციისა და ზედამხედველობის მოხსნა-განთავისუფლებაც.

მოსკოვის მთავრობის კომისია ძალიან აქტიურად შეუდგა თავის მუშაობას, შედეგიც გამოჩნდა, დაიწყო პატიმართა კონკრეტულად განთავისუფლება და სამშობლოში დაბრუნება. ბანაკებში იმდენი პატიმარი იყო თავმოყრილი, რომ ყველა საქმის გარჩევას, დიდი დრო ჭირდებოდა, გაფიცვა გრძელდებოდა. არცერთი მაღაროა არ მუშაობდა, ზარალიც დიდი იყო.

მაღაროს ადმინისტრაცია ყოველგვარ შეთანხმებაზე თანხმდებოდა, ოღონდ პატიმრებს მუშაობა დაეწყოთ.

საგაფიცვო კომიტეტმა თავისი მოთხოვნა წამოაყენა, პატიმრები იმ შემთხვევაში შეაჩერებდნენ გაფიცვას და შეუდგებოდნენ მუშაობას თუ მოსკოვში გაიგზავნებოდა მათი წარმომადგენლები, რომელთა შემწეობით შესაძლებელია რაიმე ერთობლივი კანონი გამოსულიყო პოლიტიკური უდანაშაულო პატიმრების ადრეულად განთავისუფლებისათვის. საგაფიცვო კომიტეტსა და ადმინისტრაციას შორის ურთიერთშეთანხმება შესდგა და იგორ დობროშტანი [illegible]ერა.

პატიმრებმა გაფიცვა შეწყვიტეს და მაღაროში სამუშაოდ ჩავიდნენ.

მთავრობის კომისია კი ადგილზე განაგრძობდა მუშაობას.

კომისიამ პირველ რიგში ბანაკს მოაცილა აუტანელი უფროსები, ჩეკისტები და ზედამხედველები, ამას საკმარისად დიდი დრო დასჭირდა, შემდეგ კი პატიმრების საქმეების გარჩევას შეუდგა.

ცოტახანში განთავისუფლებული პატიმრებიც გამოჩნდნენ — შეიძლება სასნაული მოხდეს და მეც დამებედოს მესამეჯერ და ალბათ საბოლოოდ სამშობლოში ჩრდილოეთიდან დაბრუნებაო, იწერებოდა ლევანი...

შიშითა და მუქარით, ტანჯვითა და წვალებით გატეხილმა და ხმაჩაკმენდილმა ხალხმა ახლა, სტალინის და ბერიას სიკვდილის შემდეგ, კომისიასთან ხმა აიმაღლა, გათამამდა და ყველა თავისუფლებას მოითხოვდა. დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, ლევანს კი მოთმინება თანდათან ელეოდა.

— ბევრმა მირჩია კომისიისათვის თვითთხ მიმეკითხა, ვინაიდან არავინ იცოდა რიგი როდის მომინევდა ან კომისია როდის გამომიძახებდა. ისე კი განსაკუთრებული პატიმარი ვიყავი, ვადა დამთავრებული, განთავისუფლებული და ისევ პატიმარი.

ბოლოს ვეღარ შევიკავე თავი, თავისუფლების და სამშობლოში დაბრუნების გრძნობამ ყველაფერს გადასძლია და თვითონ გამიკვირდა როგორ თვითნებურად შევვარდი.

კომისიის წინაშე წარვდექი საშინლად აღელვებული, აფორიაქებული და აღშფოთებული, ძლივს მოვთოკე ჩემი თავი, დავწყნარდი. რუდენკოს და ჩემმა საუბარმა 2 საათს გასტანა. მარტო ჩემს თავგადასავალზე კი არა, ყველაფერზე ვისაუბრეთ. საერთოდ, საბჭოთა კავშირის არასწორ პოლიტიკაზე პოლიტ-პატიმრების მიმართ, კერძოდ უდანაშაულო პოლიტ-პატიმრებზე, ტყვეებზე, ემიგრანტებზე, ბანაკებში არაადამიანური რეჟიმის არსებობაზე, სისასტიკეზე, ჩეკისტების თვითნებობაზე, უდანაშაულო მსხვერპლზე. მოკლედ რა არ ვთქვით, მე სულ ლაპარაკად გადავიქეცი და ბოლოს ისიც დავაყოლე — ურიცხვი გამშრალი, გაშიშვლებული, კახექსიური დაკნინებული და მეობადაკარგული ადამიანი ისეთივე მძიმე სანახავია, როგორც ნალეკილი და გაოხრებული სამყარო. რუდენკო ძალიან ყურადღებით მისმენდა და ჩემი ყოველი სიტყვა მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

რუდენკომ ჩემი საქმე მოიკითხა. ჩემი საქმე აქ არ აღმოჩნდა, მაშინ საერთო სიაში ნახეთო, ბრძანა რუდენკომ. ბევრი ეძებეს ჩემი გვარი, სიები, დავთრები და წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაატრიალეს. საერთო სიაში მე არსად არ ვირიცხებოდი. — ეს ჩვენი პატიმარი არ არის, — განუცხადა რუდენკოს ბანაკის უფროსმა. — როგორც პატიმარი ჩვენთან არსად არ ირიცხებაო.

ეს ცნობა მე ელვასავით მომხვდა. დამიარა თავიდან ფეხებამდე. — როგორ! — არაადამიანური ხმით შევიცხადე მე. — ესე იგი ამდენი წლის მანძილზე მე სრული არარაობა ვიყავი და სიკვდილის შემთხვევაშიც, უბრალოდ არც კი ჩამომწერდნენ. რამდენი ტანჯვა ნვალება აქ გავიარე და როგორც პატიმარი, არ ვირიცხებოდი?! მაშინ რაღა ვიყავი? ესეც ჩემი ბედ-იღბლის კუდის მოქნევა და დაცინვაც იყო. — ამ ამბავმა ჩემზე ნაკლებად არც რუდენკოზე იმოქმედა.

მერე მივხვდი, რაშიც იქნებოდა საქმე. პირველ ხანებში მე ხომ დანომრილი კატორღელი ვიყავი, მერეც რამდენჯერმე დაგვნომრეს, შემდეგ ალბათ აღარ გადამნერეს დავთარში და ასე მექანიკური შეცდომის გამო დავრჩი უკვალოდ ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე.

რუდენკომ იქვე დააბეჭდინა ჩემი განთავისუფლების და სამშობლოში დაბრუნების ბრძანება. ხელი მოანერა, ბეჭედით დაამონმა. ხელი მტკიცედ ჩამომართვა და ღიმილით სამშობლოში კეთილი მგზავრობა მისურვა.

ჩემი განთავისუფლების და სამშობლოში დაბრუნების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ბანაკს. არც მოველოდი ისეთი ოლომტრიალი დატრიალდა, ყველა ჩემკენ სიხარულით გამორბოდა. მილოცავდნენ ბედნიერებას. უხმო სიყვარულით მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ ვაუკაცურ ცრემლს ღვრიდნენ. აღფრთოვანებულმა ქართველებმა, ჩემმა მძიმე დღეების ძმებმა მეც გული ამიჩუყეს, თვალი თვითნებურად ამიცრემლდა, ამისთანა განშორებას არ მოველოდი და ვერ წარმომედგინა.

სიხარულმა ფრთები გაშალა, ოცნებამ ყოველგვარ ზღაპარს გადააჭარბა. ჩემს ირგვლივ შეკრული რკალი თანდათან იზრდებოდა. აქ იყვნენ არამარტო ჩემი მიწის შვილები, ძმები, ქართველები, და ჩაგრული სხვა ერის ხალხი.

ვასკო როლანდი უნგრულად მლოცავდა; პაპა ვესკო რაღაცას სახეგაბრწყინებული ლატვიურად ბურტყუნებდა; ციფალო ანდრია უკრაინულად გაჰკიოდა; კონსკი, პროფესორი ლენინგრადიდან, ხელში თავის მოგროვილ მცირედ ფულს მაჩრიდა სამგზავროდ. მწერალი გრიგორიევი კი საკუთარ ლექსს მიკითხავდა ერთად ყოფნის და მეგობრობის აღსანიშნავად; შარკი დემენტი უნგრულად ბუტბუტებდა. ყველა თავისებურად გამოხატავდა ჩემს ძიმართ თავის მეგობრობას, შემდეგ სულ კაპიკ-კაპიკ უკანასკნელი ფული გაიღეს, სამახსოვროდ საათი მაჩუქეს და გული სულ ამიჩუყეს. ერთ ხანს ეგონა, ფიქრე, რომ ჩემი ადგილი სწორედ აქ არის ნამდვილ ერის შვილებთან, ჭეშმარიტ პატრიოტებთან, სამშობლოს სიყვარულში ცხოვრების დიდი ნაწილი ჩემსავით, რომ აქ ჩაეფერფლათ და არა იქ, საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ მძიმე წყობა და ჩაკეტილ რეჟიმია გამეფებული. მაგრამ იმ ნუთშიეე ისიც გავიფიქრე, მე ნახევრად თავისუფლება სამშობლოში უფრო მარგია და ერს იქ უფრო ნავადგები, ვიდრე საქართველოდან ათასეულ კილომეტრით დაშორებული სრული თავისუფალი. მერე მეც ყველას თავისუფლება და სამშობლოში მალე დაბრუნება ვუსურვე. ეს უდიდესი ოცნება უკვე ოცნების და ზღაპარს კი არ წარმოადგენდა, არამედ რეალური და უტყუარი ფაქტი იყო. ბანაკში ყველგან იყო გაკრული ნ. ხრუშჩოვის ბრძანება, ყველა პოლიტ-პატიმრის თანდათან განთავისუფლების და სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

მეორე დღეს დიდი სითბოთი და კეთილი სურვილებით მე თითქმის მთელმა ბანაკმა გამაცილა.

მატარებელმა სადგურ ინტაში 2 საათი დაჰყო. აქ კი შემხვდნენ ინტის ბანაკის ქართველი პატიმრები ღვინით, საგზლით. ჩემი მეგობრები, ვლადიმერ ვაშაკიძე მეუღლით, მარო ბიბილურით, კოტე ჯავრიშვილი, ამირან მორჩილაძე — ჩვენ წავიქეიფეთ კიდეც.

ასე წამოვედი ვორკუტიდან და ინტიდან დიდად დაიმედებული, გახარებული და ახალგაზრდულ ხილვებში ჩაფლული. უკვე ნელია სიმრავლე შეუმჩნეველად შემოპარული და ხანდაზმული. ბედნიერი ვიყავი, რომ ცხოვრებისაკენ გზა გაეხსნა ყველა ნატანჯ და სასწაულად გადარჩენილ ხალხს და დღეს ეს პატიმრები, ხვალ უკვე თავისუფლები, თავიანთ სამშობლოში, ოჯახებში ახლობლებთან და ნათესავებთან ტკბილად აზუზუნდებოდნენ, იდღეგრძელებდნენ და ჩაეფლობოდნენ კაკობრიობის საკეთილდღეო სამსახურში. გრძელ მგზავრობის ჟამს ხშირად თავში მძიმე აზრიც მომაწვებოდა და მაჯავრებდა, ნუთუ ამდენი უსამართლობის და სიკვდილის ჩამდენი არ დაისჯება? პასუხს არ აგებს? ასე აზრთა ჭიდილით მოსკოვში მშვიდად ჩავედი. ქუჩაში რომ გავედი, ხალხი გაკვირვებით მიყურებდა. ამ ზაფხულის სიცხეში ზამთრის ქურქში და ქეჩის ვალინკებში ვიყავი გამოწყობილი. მეტი არ მქონდა და რას ვიზამდი. პირველი რაც ვადაეწყვიტე, უნივერმაღში შევსულიყავი და ტანსაცმელი შემეძინა. საღამო ხანი იყო. დრო ცოტა მქონდა და ვერაფრის ყიდვა ვერ მოვახერხე. მერე ვიფიქრე სადმე სასტუმროში მოვთავსდები და ცოტა გავსუფთავდები. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ვერც შევძელი, სადაც მივედი, ყველამ უნდობლად შემომხედეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ავუხსენი და საბუთიც ვაჩვენე სასტუმროში მაინც არ შემიშვეს და ძალიან მრისხანედ, მუქარით გამომაგდეს. მართალი გითხრათ არც კი მენყინა, ისევ სადგურს მივაშურე. ღამე ერთ-ერთ სკამზე გავითენე. ეს მე სრულებითაც არ გამიჭირდა.

მეორე დღეს უთენია ცენტრალურ უნივერმაღისაკენ გავსწიე. თბილისში ამ ჩაცმულობით არ მინდოდა გამოჩენა. მგზავრობაში წვერ-ულვაშიც გამეზარდა და მოკლედ კარგი სანახავიც ვიყავი. ხალხს ალბათ ვიღაცა მოხეტიალე „მანანწალა" ვეგონე და გვერდს მივლიდა. მე აღარაფერი მენაღვლებოდა, ძალიან კარგი გუნება-განწყობით ცა ქუდად მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ჯიბეში ხომ თბილისის მატარებლის ბილეთი მედო. ეს იყო ჩემთვის ყველაფერი. ვერა და ვერ ვიყიდე ვერაფერი. ძალიან გამიჭირდა საერთოდ. ყველაფერს გადაჩვეული ვიყავი, ძვირამუშებოდა ამდენი სრულიად სხვაგვარი ხალხი, მაღაზია, ვაჭრობა, რაიმეს არჩევა.

უცებ ღმერთმა გადმომხედა, დახეთ ბედნიერებას, სრულიად შემთხვევით ნაცნობს — ვორკუტის ყოფილ პატიმარს, იგორ მუსაიტოვს შემახვედრა. გადავეხვიეთ ერთმანეთს; ჩვენი შეხვედრა მეტად მგრძნობიარე იყო, ხალხი შემოგვეხვია — ხალხნო, უცებ დაიძახა მან. აღფრთოვანებით, ეს ხომ დიდი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწეა საქართველოდან. დღეს განთავისუფლებული ციხიდან და ეხლა შინ მიდის. ვერ წარმოიდგენთ უცებ ხალხი როგორ შეიცვალა, გვითანაგრძნო და გულით შეიცხადა. ლმობიერად და კეთილად გადმოგვხედა, გამყიდველმა იმწუთშივე 46 ზომის ფეხსაცმელი გააჩინა. იგორმა შემდეგ შარვალ-ხალათიც მაყიდინა. „ლევან! თუ იცი როგორ გიცანი? მე წინდების საყიდლად შემოვირბინე და შორიდან ნაცნობ ქეჩის ვალინკებს მოვკარი თვალი, გამიკვირდა საიდან სადაო, მეც ხომ წლების მანძილზე მეცვა ასეთები, ახლოს წამოვედი და ზემოდ რომ ავიხედე თქვენ დაგინახეთ", მართალი გითხრათ ძალიან გამეხარდა, მერე იგორმა თავის სახლში წამიყვანა, სადაც გავსუფთავდი და გავლამაზდი. დიდი კოხტა მაინც და მაინც არ ვყოფილვარ, მოსკოვში კი ნამდვილი ჩანჩურა გახლდით. გული დამწყვიტა ჩემი სამუზეუმო ვალინკების გადაყრამ. ამ ბევრის მთქმელ ვალინკებს ენა რომ ჰქონოდა მეც და ამ მთავრობასაც სასამართლოში გვიჩივლებდა ასეთი ხანგრძლივი ხმარებისათვის და ამ დღეში ჩაგდებისათვის. მაგრამ არც მისი პატრონი იყო უკეთეს დღეში.

ქურქს კი ასე ადვილად ვერ მოვიცილებ, ისე შემისისხლხორცდა. მან მეტად დიდი და კარგი სამსახური გამიწია [illegible] სამუზეუმოდ, ხან ჩემი ლები იყო, ხან საბანბალიში, ხან კი კოხტა ლაბადაზე უკეთესი, მეცვა და მათბობდა. ქურქი იქ მეტად დიდად საჭირო საგანი გახლდათ. განუმეორებელი (ეს ქურქი ახლაც სასოებით ინახება სახლში).

როგორი დამთხვევა მოხდა. სწორედ იმ დღეს, როდესაც ლევანი მოსკოვში ხეტიალობდა, თინაც მოსკოვში დასეირნობდა — ის მოსკოვის შემოგარენში „სერებრანკაში" ისვენებდა და იქიდან ყოველ დღე ქალაქში დადიოდნენ. მზია ბალტიისპირეთში იყო, დედა სანდრო და მე კი სახლში დავრჩით, დედა ავადმყოფობდა და მისი თბილისიდან გაყვანა ვერ მოხერხდა: 4/VIII მოსკოვიდან ელვა დეპეშა მივიღეთ. ლევანის დავალებით თინა მოსკოვში ჩერნიშევსკის ქუჩაზე, № 29, იგორ მუსაიტოვთან სასწრაფოდ მოვიდესო.

ჩვენც ელვა დეპეშა ვაფრინეთ თინასთან, გვეგონა რომ ეს ლევანის ნაწერების გამოტანასთან იყო დაკავშირებული.

თინამ დეპეშის მიღებისთანავე იგორს მიაკითხა.

კარი სრულიად ახალგაზრდა, მოლიმაჯრე კაცმა გამიღო, სახლში მომიპატიჟა და მითხრა: სწორედ ახლა სადგურიდან მოვედი, თქვენი ძმა ლევანი საქართველოში გავაცილე. მე საშინლად შევკრთი, ამას არ მოველოდი, — ყვებოდა აღელვებული თინა, — კინალამ გული წამივიდა, არ დავიჯერე, დავეჭვდი კიდეც. იგორმა დამამშვიდა, ლევანმა განთავისუფლების ქაღალდი მაჩვენა რუდენკოს ხელმონერით. მერე ლევანთან შეხვედრის ამბავიც მიამბო და მისგან დატოვებული ბარათიც გადმომცა.

თინა! ვიყავი მოსკოვში, გეძებე, მივდივარ თბილისში, მე თვითონ მიკვირს, ისე სწრაფად მოხდა ყოველივე.

შენ ნუ აჩქარდები, კარგად დაისვენე. მე ჯანმრთელად და კარგად ვარ. ლევანი. 5/VIII—55 წ.

შემდეგ ჩვენთან სახლში ატყდა დეპეშების კორიანტელი — ყოველ წუთში სადგურში რეკვა. სანდრო და მე მოსკოვიდან მომავალ ყველა მატარებელს ვხვდებოდით 2 დღის განმავლობაში, ვინაიდან როგორც გვატყობინებდნენ, მატარებელი „85" საერთოდ თბილისში მოსკოვიდან არ ჩამოდიოდა. იგორი და თინა არც იმას გვწერდნენ, ვის უნდა დავხვედროდით.

ეს მატარებელი დამატებითი ყოფილა და სულზე მოვასწარით დახვედრა.

ჩვენი შეხვედრის აღწერა შეუძლებელია. ეს იყო ზღვა სიხარულისა და სიყვარულისა.

დედამ ძლიერ გაიხარა. თინაც რამდენიმე საათში ჩამოფრინდა, მალე მზიაც გაჩნდა. მოკლედ ცოტა ხანში ყველა ისევ სახლში შევგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვდით უზომოდ გახარებულები და ბედნიერები.

ჩვენ მომავალს დიდი იმედით შევცქეროდით, ახლა ვინყებდით დაგვიანებული პირადი ცხოვრების მოგვარებას. ლევანი მიუჯდა თავის საწერ მაგიდას და ძველებურად წერა განაგრძო.

ლევანს გადატანილი მძიმე ცხოვრების გახსენება არ უყვარდა. ის გადასახლების აძბავის მოყოლაშიც ძუნნი იყო. დადგება დრო, როდესაც მე ამის შესახებ დაწვრილებით დავწერ ყველაფერსო, ხშირად ამბობდა. ჯერ კი ამის დაწერა სრული სიმართლით არ შეიძლებაო! სამწუხაროდ ეს არ დასცალდა.

გვინდა მოვიყვანოთ ლევანის ზოგიერთი ბოლოთქმაც.

დიდი ძალა აქვს მეხსიერებას როგორიც მე მაქვს, ხშირად გვეტყოდა ხოლმე ლევანი ხუმრობით, ერთი კალმის მოსმით სრული 22 წელი მხრებიდან ძველი ნაბადივით გადავიგდე. მე მაინც ამ მძიმე წლებს ჩემთვის არ ვთვლი დაკარგულად. ბეკრმა ტანჯვამ და წვალებამ ჩემი კალამი უფრო გაამძაფრა, გაამახვილა. მით უფრო საიდუმლოდ და მალულად დაწერილ-შემონახულმა.

სათანადო ლიტერატურა და მასალა რომ მქონოდა ხელში, ჩემი იმდროინდელი ნაწერები უფრო დახვეწილი და სრულყოფილი იქნებოდა, მაგრამ აქაც სხვაგან ბუდობდა ამ კარგის ცუდი.

ჩემი შფოთიანი ცხოვრების მთელ გზაზე სითბოსთან და სიტკბოსთან შედარებით ბევრად ბევრჯერ უმოწყალოდ განმიცდია ცხოვრების დამსხვრევა. სევდიანი ღიმილი, გულჩათხრობილი მნუხარება, სევდა, დარდი, უნყალობა, გულქვა. უსულგულო სისასტიკე, ულმობელობა. და როგორც მე ვგრძნობ კი არ გავფუჭდი და გავქვავდი, არამედ პირიქით, უფრო მოწყალე, რბილი და მგრძნობიარე გავხდი ყველას მიმართ, განსაკუთრებით კი ვისაც სჭირდებოდა ცხოვრების ფასად გამხნევება, თანაგრძნობა და თანადგომა. დიახ! ამითაც ჩემი იქაური და აქაური ცხოვრებაც გამართლებულია. მე სამშობლოში ცოცხალი რომ დაკბრუნდი და იქ იმ ჯოჯოხეთში სიცოცხლე შევინარჩუნე, შინაგანი გუშანით მოხდა. იქ მთელი ცხოვრების მანძილზე სამშობლოს სიყვარულით გაძსჭვალული სავაე გული, ხელში ძალლა ავიტაცე და სპეტაკად შემოვინახე. ამან კი მკვეთრად დამაჭერინა კალამი ხელში. [illegible] ტურამ, ნერამ, მძიმე შრომამ და ჩემსავით დაჩაგრულთა უშრეტმა ძმობამ, სიცოცხლე შემინარჩუნა. ამიტომ ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან ბარი ბარში ვარ.

ადამიანია მსოფლმხედველობა იმთავითვე დაყოლილ თვისებად მესახებოდა, ეს მამხნევებდა. ჩემი ბობოქარი ცხოვრება ციცინათელასა ჰგავდა, ხან გაბრწყინდებოდა ნათელი სხივით, უფრო ხშირად კი ბნელი სიშავე მოსდევდა. ამ პარადოქსებს მიღმა ჩემში ყოველთვის ღვიოდა მომავლის კეთილი ნაპერწკალი. სიმართლის რწმენა.

სასწაული ცხოვრებაში ერთხელ ხდება, მე კი ბევრზე ბევრჯერ დამებედა, მაგრამ უპირველესს და ძირითადს ორს დავასახელებ. ჯერ ერთი საქართველოში ცოცხალი რომ დავბრუნდი, მე თვითონაც მიკვირს. მეორე კი სასწაულად გადარჩენილი და საიდუმლოდ შემონახული ჩემი ნაწერები, რომლებიც 10 წლის განმავლობაში მწერალთა კავშირის სარდაფებში უპატრონოდ იდო, მეორე დღეს სახლში ისე წამოვიღე, არავინ არ იცოდა და არც არავის საერთოდ ამის შესახებ რაიმე გაეგებოდა.

მე ალბ ვფიქრობ: ცხოვრების სიმახინჯემ და სიყალბემ გვერდი ამიხვია. უსამართლობის ფსკერზე ჩემდაუნებურად შევძელი ხასიათის სიმტკიცე, სულის და ჯანის სისპეტაკე შეურყევლად ჩამომეტანა.

ვაჟკაცის გულმა, გავსილმა სამშობლოს და ერის სიყვარულით, გამარჯვების მომავლის იმედით ყველა სიძნელეს და სიმწარეს უნდა გაუძლოს. ეს კი ერის სწორუპოვარი პიროვნაა.

ჩემი დანაშაულიც ისაა, რომ სამშობლოს სიკეთეს, მის მაჯისცემას, სულისა და ბრძოლისკვეთებას წარსულში, აწმყოში თუ მომავალში ალფრთოვანებით შევიგრძნობდი და შევისისხლხორცებდი, ხოლო ცუდს, ავს, გაყალბებულს, ნაძალადევს ალშფოთებით და შეუნყნარებლად უარვყოფდი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბუნებით კეთილ ერში ყოველთვის იბადება ძალალი ზნეობრივი მორალი, პასუხისმგებლობის გრძნობა და სიბრძნისა და სიკეთის თვალი.

ერი თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის აქტიური მომქმედი და მოძრავი უნდა იყვეს და არა მარტო გუბეში მჯდარი ციყისისხლიანი და მჭვრეტავი.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐ

ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

თბილისი: ტაძრებით, ადამიანებით, აღმართებით, ციხეებით, წარსულით და აწმყოთი, საკუთარი და უცხო თვალებით დანახული.

უბნები, ვიწრო, პროსპექტები, ხეები, შენობები დღითა და ღამით...

მილიციელები თეთრ ხაზზე — ჰაბუკთა თვალებში ღიმილის ნაპერწკლები.

მოყვითალო ვოლგები მომრავლდნენ ქალაქში...

რეპროდუქტორები სდუმან ანძებზე...

ყვითელი ვოლგები, მეწამული ქუდები და მათი პატრონების იმპერატივები...

რა მოხდა!... მოძრაობა გაიზარდა? უბედური შემთხვევები გახშირდა? ადამიანებმა ტყეებში მხეცები გაეუფეს და მათ ნაცვლად გზებზე სიკვდილის მთესველი მანქანები აუშვეს?

რაო?!.. ნუთუ მეცნიერებისა და პროგრესის მტერი ხარ? როგორ არ გესმის, რომ გარდაუვალი პრობლემა ატმოსფეროში ჟანგბადის განუწყვეტელი კლებისა, მეცნიერთა მეოხებით დანერგილი ეს პანიკური შიში მალე გადახაზავს კლასობრივი ზიზღის ყველანაირ სამანებს და ორივე სამყაროს მეცნიერები ერთად მიუსხდებიან ჰადრაკის მაგიდას საჭირბოროტო საკითხებზე თავგანურებული მუშაობის შემდგომ?!

აი, ესეც მეგობრობის ხიდის ექსტრავაგანტური პროექტი... ჰეშმარიტად საინტერესო შედეგი.

მოკლედ მიმიხვდებით! თბილისი თანამედროვე ქალაქს ემსგავსება.

ასფალტის დნობისა და გაბზარვის ტემპერატურა გზათა ტრესტების ბარომეტრში წითელი ხაზებითაა აღნიშნული. მაშინ როდესაც:

ფეხის გულისათვის იგივეა ცვრიანი ბალახი, რაიც თვალისათვის კრიალა კაბადონი ცისა.

ქალაქი ასივდა მასსიევების სასაფლაოებით, სადაც ქვის ყოველი კუბო ერთ სოფელს იტევს. და მაინც... ბავშვის თვალები გაფაციცებით დაეძებენ სივრცეში თაღებს, სვეტებსა და კაპიტელებს.

მასსიევების გორგონამ უმოწყალოდ დაასამარა ფიდიასის უმწიკვლო მზერა. ციებ-ცხელება:

გაზეთის კიოსკებმა ვერ ამოყორეს ცნობისმოყვარეობის გაუმაძღარი სტომაქი: სპორტი!... სპორტი!... სპორტი!...

უპოვართათვის სანახაობას არ იშურებს გულუხვი კეისარი.

ღრიანცელი, კივილი, სტვენა, ზმუილი... ვალპურგიის ღამე შუაგულ ქალაქში.

სტადიონი წერტილია, საიდანაც ათასობით ხორხიდან აღმომსკდარი ზიზღისა და გინების სამუმი ცოფიან რადიუსებად აწყდება ქალაქის კიდეებს.

უმეცარნო, უწყოდეთ: ფეხბურთი მარტოოდენ გასართობი როდია! არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობს „ინტელექტუალური“ ფეხბურთიც.

ფეხბურთი „ხელოვნებაა“.

ფეხბურთი თანამედროვე „ვიზიონერობის“ იშვიათობაა.

დეტალურად ახსოვს ფირანას ათი წლის წინათ გატანილი გოლი.

იგი უნივერსიტეტის პროფესორ №-საც მკაფიოდ აღებეჭდა. ამგვარ ინტიმში შობილი გინებისა თუ აღფრთოვანების შეძახილები „უტყუარი“ საშუალებაა მუშისა და „ინტელიგენტის“ კომუნიკაბელობისა.

გამოხუთულ ოთახებში ეკრანთა წამწამების უსიამო პარპალი „ტკბილი“ მეზობლობის მტკიცე ბალავერია.

ვხედავ სხვაა მათთვის რიცხვების მნიშვნელობა.

შემოდგომიდან გაზაფხულამდე, თამაშიდან თამაშამდე ვაკუუმში იხუთებიან.

იერიქონის საყვირივით ხმას დავარისხებ, ლრიანცელის კორიანტელს დავფარავ, რათა გასმინოთ:

„სტადიონი მტირვალთა გალავანია, ტარანებითა და ვერძებით შესამუსრი.

დააქციეთ კერპი, რომელმაც წარიტაცა გონების სიფხიზლე.

გააცამტვერეთ სიბილწის საკურთხეველი, სადაც ნაცვლად საკმევლის ნელსურნელებისა, ერთა შორის ზიზღის ბალღამი იღვენთება.

იავარჰყავით ბომონი, რომელმაც მოსპო ჭეშმარიტი გმირობის გაგება და მსოფლიო რეკლამის ბაზარზე ცრუგმირები გამოჰფინა.

ამ სიტყვებისათვის ვიცი გავეშებული ბრბო ამკუწავს. მოზვერივით მსხვერპლად მიმცემს თავისსავე ბომონს. უწყინარი სისხლით რისხვას დაიოკებს.

მაგრამ მოთმინება და სიმშვიდე იქონიეთ და უსმინეთ, თუ ეპოკალიპტური ხატი კუპრისფერი მზეცისა გამალებით როგორ ეწევა დომინოს რეკლამას.

განცხადება: ბალღებს ეკრძალებაო დომინოს თამაში, რადგან რახანია ეს თამაში მოზრდილებმა მიისაკუთრეს.

განცხადება მეორე: რკინეულობის მაღაზიაში იყიდება ყველანაირი ლურსმანი...

მეწვრილმანეთა სპეციფიური სუნი...

ქალაქის ჭუჭყი იტვირთა მტკვარმა.

ოდესღაც მწვრილები აკითხავდნენ მესროპას, ხელმარჯვე მეთეგზეს.

კაპრონის ძაფს კონსერვატორის სიცოფით სწყევლიდა მოხუცი.

უბრალო ძაფით კემსავდა ბადეებს.

ნაღვინევი ფანტაზია კინტოს და ყარაჩოხელს აერთებდა მოხუცის მზერაში.

სალომეს ტრფობაშიც ორბელიანს თუ ბაძავდნენ ორიგინალური მიბაძვის მძებნელნი.

ხსოვნაში ჩაგუბებულმა ტკივილმა მუსლიმან ბაგრატოვანთა პლეადა ამოატივტივა.

ჰმ... კომპრომისი... წყეული კომპრომისი.

გოგირდიანი წყალი მტკვარში... გველივით დაგრეხილი ბოლი ჰაშიშისა... შარბათივით დამტკბარი თარსი გამოხედვა... მწვანეთვალა ეშმას ოინები.

მდინარის ღმერთებო!

ვხედავ, ტექნიკის ულმობელი ტორი დაეცა თქვენს მოსარკულ პირისახეს.

ტექნიკა — შუადღის მზეზე ხის ჩეროში პირდაფჩენილი წოლაა დაღეჭილი ნაყოფის მოლოდინში...

ტექნიკა სტომაქში ჩამარხული აზროვნებაა, ღვთაებრივი ათინათის შეურაცხმყოფელი... იგი სამხრეთელი უქნარას სიზმარია ჩრდილოეთში სიბეჯითის ნიღბით აღმოცენებული...

გაიხსენეთ მთავარია სინათლის ცვარმარგალიტით მოოქვილი ზურმუხტოვანი კორდი მცხეთაში... ნათელღებული ყივჩაღები — სავარდეში გადმორგული თვალუწვდენელი სტეპების ეს ველური ყვავილები...

თანამედროვე ადამიანის ნაყოვანებამ კუპრისფრად შეეფერა მტკვარი.

ამ საუკუნის სასწაულებრივი კოსმეტიკაც ველარ ათეთრებს დიდ მდინარეთა ბედის თანაზიარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანკარა გული კი დიდ მდინარეებშიც ნიადაგ ანკარა წყაროებს დაეძებს.

ვის გინახავთ სისხლით აღვსებული მდინარის კალაპოტი?

ახლადგარდაცვლილთა სულების კვირტივით აფეთქება ცის კაბადონზე.

ნატყორცნი ქვისაგან აღძრული წრეები წყლის ზედაპირზე: როგორ გვიგონებს მათი სრბოლა სწრაფვას სულისას გაფართოვდეს, გაარღვიოს სხეულის დილეგი, ვეფხური კამარით აღავსოს ყოველი.

ვისი ნებაა ყოველწლიურად თითო რგოლი რომ ემატება ბერმუხის მერქანს?

ცაში არწივთა ირაოს მჭვრეტი, რომელი ჩასწვდება წრეთბრუნვის მიზნებს ან განზრახვას იმ იდუმალი ხელოვანისას, ზამთრის ღამეში დაორთქლილ მინას ყინულის მაქმანი, ყვავილწნულების და ფოთლების ფანტასტიური კორიანტელი რომ დააქარგა?

სისხლში მოგიზგიზე ცეცხლის საიდუმლო ვინ ამოიკითხა?

სინანულის სახმილით დაფერფლილი კაცის ღმერთობა ვინ იწამა?

ვარსკვლავთა მოციაგე წრეების მშთანთქავი სული ვინ გაიმეცნიერა?

სიონის ემბაზი მომზადება იყო მარტოოდენ...

საქართველოში ქრისტიანული ნათლობის რიტუალი ნიადაგ სულიერ სისხლში განბანვით გვირგვინდებოდა.

სისხლი იღლებოდა სხეულში ხეტიალით, დახშული წრედით, ერთიდაიმავე გათელილ გზებით გულგადალეული... დილეგის დაგდებას, სამყაროს ხილვას მიელტვოდა იგი... მიესწრაფვოდა... ასე იწყებოდა ფერისცვალების ფანტასმაგორია...

შეწირული სისხლით მითიურ წალკოტებში მაისის ვარდები იფერებოდნენ.

გონებისწამღები გარიჟრაჟები ძოწით და პორფირით იმოსებოდნენ.

ოდესღაც მტკვარში ირეკლებოდა ვარსკვლავიანი ღამის მესსა,

ანგელოსთა სულთათანა დამნისლველი ირმის ნახტომის.

ძვირფასი ქვებით დათრთვილული ოქროს გვირგვინი თამარის შუბლზე.

ქერუბიმთა მეტანია დამბადებლისადმი.

უმანკო ბაგით წარმოთქმული ლოცვა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და მართალთა შორის სათნოება"...

გულისგამგმირავია, მტკვარო, ეგ მელანქოლია!

ზეცას რახანია შენს დაწმენდილ სარკეში აღარ ჩაუხედავს...

1973 წელი
აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

მონოლოგი დიალოგიდან

ქართველ მწერალთა ერთ ნაწილს მივმართეთ შეკითხვებით, ვთხოვეთ, გამოთქვათ თავიანთი აზრი ლიტერატურისა და კულტურის, აგრეთვე ცხოვრებასთან მათი მიმართების შესახებ.

რადგან ქართველი მწერლებისათვის ჩვენს მიერ დასმული შეკითხვები თვით პასუხიდანვე თვალსაჩინო, გადავწყვიტეთ, პასუხის გაერთიანება და მათი ცალკეული მონოლოგების ფორმით წარმოდგენა.

ჩვენი ეურნალის წინა ნომრებში გესაუბრათ ალაკი გაწერელია, ჯემალ კარჩხაძე, გურამ გეგეშიძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჩიბილური, ჯანსუღ ნარკვიანი და გრიგოლ აბაშიძე. ამჯერად გთავაზობთ თამაზ ჭილაძის „მონოლოგს".

თქვენს შეკითხვებზე ბევრი ვიფიქრე. ჩემი პასუხიც, სინამდვილეში, მხოლოდ ნამამადალი ფიქრია და არა კონკრეტული პასუხი რომელიმე კონკრეტულ შეკითხვაზე. თუმცა შევეცადე ძალიან არ დავშორებულიყავი თქვენთვის საინტერესო საკითხთა წრეს. ჩემი აზრით, არც დავშორებულვარ. ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემა ზედმეტად ჩავთვალე, რამდენადაც თვითონ კითხვა უკვე პასუხსაც შეიცავდა და ამიტომ ნებისმიერ მოპასუხეზე უკეთ წარმოგვიდგენდა საქმის ვითარებას. ზოგიერთ კითხვას კი მხოლოდ იმიტომ არ ვუპასუხე, რომ ჩემი მხრიდან კადნიერებად მივიჩნიე მასზე რაიმე აზრის გამოთქმა. არსებობს კითხვები, რომლებიც მწერალმა უნდა დაიმსახუროს თავისი შემოქმედებით. ჩემი აზრით, უველა მწერალს მისი შესაფერი კითხვები უნდა დავუსვათ. ზოგიერთ კითხვაზე კი უმჯობესია სხვებმა უპასუხონ, თუნდაც კრიტიკოსებმა, ვიდრე თვითონ მწერალმა. შეგნებულად შევიკავე თავი ერთგვარი „ლიტერატურული მარჩიელობისგანაც". რადგანაც ვერც ამ მეტად საინტერესო და თამამ საქმიანობაში ჩავთვლი ჩემს თავს კომპეტენტურად.

საერთოდ კი, უოველგვარი შეკითხვა, თუნდაც ზრდილობის გულისთვის გადმოგდებული „როგორა ხარ?" უბილავი თოკია, ადამიანებს რომ აკავშირებს. ერთგვარი ეურადღებაა, ზოლიდარობის გამოცხადებაა, რაც ამ გასიპულ პლანეტაზე წონასწორობას გვინარჩუნებს, მიწაზე გვამაგრებს. ზოგჯერ ვფიქრობ, მიწის მიზიდულობასთან ერთად არსებობს მიწის განზიდულობის ძალაც, რომელიც უსასრულობაში, თუნდაც კოსმოსურ წუვდიადში გვეწევა. რათა საამუდამოდ შეგვინარუტოს მარადიული ერთფეროვნების ოკეანეში!

ბევრ დიდ მოაზროვნეს აღუნიშნავს, სანამ კითხვები არსებობს, სიცოცხლე გრძელდებაო. თუნდაც ამიტომ, შეიძლება ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არც კი არსებობდეს. ამას რომ ვამბობ, რომელიმე თქვენი კითხვის უპასუხოდ დატოვებისათვის თავს კი არ ვიმართლებ, არამედ, უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ მოგახსენებთ...

* * *

დრო სავსეა ამბავთა ტალღისებური მდინარეებით და უნაპიროდ, სივრცობრივად შეუზღუდავად მოედინება. ოღონდ მისი მსვლელობა ხელოვნების მიერ მოკცეულია რიტმში, რომელიც არამარტო აწესრიგებს მოძრაობას, არამედ გარკვეულ საზღვრებსაც უდგენს, განსაკუთრებულ აზრს ანიჭებს, უფრო სწორად — პოეზიად გარდაქმნის მას. ეს უკვე უოფითი, ციკლური მონაცვლეობის ლოგიკით აღბეჭდილი დროა, რომლის უსაზღვროების, უკიდეგანო განფენილობის მიუხედავად, მაინც ვგრძნობთ, თუ როგორ მოძრაობს, როგორ გადადის ჯოჯოხეთის ერთი წრიდან მეორეში, სამოთხის წალკოტიდან — უდაბნოში, ფიქრიდან ფიქრში, ჯადოსნური თვისების საღებავივით, იხსნება და უერთდება სურვილთა სიჭრელეს. შეგვიძლია ვთქვათ: პოეზია ჩვენი ცხოვრებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე მდინარის ტოტივით გადმოგდებული მარადისობაა.

პოეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დროის მეტაფიზიკურად აღქმის უნარს. ხაბო-

ლოოდ. ალბა... ამაზეა დამოკიდებული ნაწარმოების სიცოცხლისუნა... -ობა. „დრო, დრო აღნიშნე!" — ეს მოწოდება კალენდარულ სიზუსტეს კი არ მოითხოვს, არამედ სულიერი მდგომარეობის ზუსტად გადმოცემას, რაც უველაზე ნაკლებად, ალბათ, რეალისტური მეთოდით შეიძლება განხორციელდეს. პოლონური წერდა: „როდესაც ადამიანმა მოისურვა სიარულისათვის მიებაძა, მან შექმნა ბორბალი, რომელიც ფეხს არ ჰგავს"-ო. ნამდვილი რეალიზმი სინამდვილის ასახვა კი არ არის, არამედ ახალი სინამდვილის შექმნაა.

* * *

ამქვეყნად არაფერი ისე პირობითი არ არის, როგორც დროს ცნება. ამის შესახებ არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი დიდ მწერლებსა და ფილოსოფოსებს. მართლაც ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, კარგად თუ დავაკვირდებით თუნდაც ხაკუთარ ცხოვრებას, შევამჩნევთ ამ ხუბსტანციის აშკარა და დაუნდობელ, დრამატულსა და მაცდუნებელ პირობითობას. დროს უველა სხვადასხვანაირად აღიქვამს, რადგან დრო იგივე ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი „ხაკუთარი სიმართლე". დრო, როგორც ფილოსოფიური კატეგორია, შეიძლება ითქვას, ხაკმაოდ მახვილგონივრულად ამობსნილი, შესწავლილი და გაანალიზებული, ერთხელ და ხამუდამოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ცნებაა, ერთგვარი ხამუშაო ტერმინი, ხამუშაო იარაღია, უფრო ზუსტად — ხამუშაო ხელსაწყოა ჭეშმარიტების მაძიებელი გონებისათვის. მაგრამ იგივე დრო, უკვე ფილოსოფოსის მოხასხამის გარეშე, ხაშინაო ფლოსტებში ფეხწყაურილი, სრულიად მოულოდნელი უცნაურობებითა და გაურკვევლობებით ხასიათდება. როგორც ვთქვი, დრო უველას სხვა და სხვა ხასით ეკლინება, ანდა სულ უმალავს ხასეს. მაგრამ არის ერთი ისეთი რამ, რაც უველასათვის ხაერთოა, ეს გახლავთ დროის დაუნდობელი, სწრაფი დინება, რაც ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად იქცა კიდეც დღევანდელი კაცობრიობისათვის. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, დრო მხოლოდ მაშინ გადის სწრაფად, როცა უკვე გასულია, მაგრამ მაინც უსათუოდ საინტერესოა ეს ახალი, შემაშფოთებლად ყოფითი დამოკიდებულება დროის ნაკლებობის მიმართ. დროის კრიზისი აღიქმება, როგორც, თუნდაც, ენერგეტიკული კრიზისი...

ერთმა პოეტმა აღნიშნა, პოეზია ხაკუთარი სიმართლის შეცნობაა. თუკი ოდნავ გადავახსვაფერებთ ამ აზრს, შეიძლებოდა გვეთქვა — პოეზია არის ხაკუთარი დროის შეცნობა! მიუხედავად ასეთი, თითქოსდა უცნაური გადასხვაფერებისა, საბოლოო ხამში, ეს ერთი და იგივეა. შენი ხაკუთარი სიმართლე შენი გაანალიზებული ცხოვრებაა, სინამდვილეში და ბუნებაში. სადმი შენი დამოკიდებულება [illegible] ანუ სხვანაირად რომ ვთქვა — შენი ბიოლოგიური არსებობის წიაღში ერთგვარად მოწესრიგებული სისტემის შემჩნევა ან აღმოჩენა.

ხაკუთარი სიმართლე და ხაკუთარი დრო — ეს ორი, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი, უფრო მეტიც — პოლარული ცნებები, ხაკვირველი ძალით ავსებენ და ხსნიან ერთიმეორეს. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა — სინონიმებივით აღიქმებიანო. ე. ი. პოეზია სხვა არაფერია, თუ არა გათვითცნობიერებული, შეცნობილი, შეგრძნობილი დრო!..

ადამიანმა ბოლომდე უნდა შეინარჩუნოს თავისი „ხაკუთარი დრო". ამიტომაც, ისეთი ცნებები, როგორიცაა „გავლილი დრო", „გავლილი ცხოვრება" ხელოვნურად და ყალბად მიმაჩნია. როგორ შეიძლება ცხოვრების თუნდაც უმნიშვნელო ნაწილი გავლილი იყოს და წარსულს ეკუთვნოდეს, ხანამ ადამიანი ცოცხლობს, ხანამ აზროვნებს, რაიმეს ქმნის?!

უდიდეს შვებას გვგვრის და ერთგვარად გვანუგეშებს კიდეც იმის შეგრძნება, რომ დრო უკვალოდ არ გამქრალა, არ ჩაკარგულა მარადისობის ყრუ ოკეანეში, იგი შენშია, შენი პიროვნების წიაღში აუვსია სწორედ მისთვის განკუთვნილი რეზერვუარები, შენში ცოცხლობს, მოქმედებს მახსოვრობად, გამოცდილებად, ტრადიციად, თუ გნებავთ — ახალად გარდაქმნილი.

ვისთვისაც მთელი ცხოვრება — ბავშვობა, სიჭაბუკე, სიჭარმაგე, სიბერე, წელიწადის ოთხი დრო, დღეღამის ოცდაოთხი საათი, საათის ხამოცი წუთი ერთი მთლიანი, უნყვეტი ნაკადია, დინებაა, ბუნებისგან აზრით გამოყოფილი, და, ალბათ ამის გამო, ბუნებასთან კიდევ უფრო მძლავრად დაკავშირებული სიცოცხლისა, შეიძლება ითქვას, ის თავის ჭეშმარიტ, ამქვეყნიურ მოწოდებას, დანიშნულებას ასრულებს: ეს ცხოვრება არის ს რ უ ლ ი! თუ მხატვრულად ვიტყვით, მისი ჯა ხავსია ცოცხალი წყლით და ამიტომაც იქიდან უამრავმა და უამრავმა ადამიანმა შეიძლება მოიკლას წყურვილი.

პიროვნების ასეთი სისრულე გვიგრძვნია დიდი მწერლების, ხაერთოდ, დიდი შემოქმედების თვალჩაუწვდენელი ნაწარმოებების წიაღიდან. სწორედ იქიდან ისმის გამუდმებით ჩვენთვის, ანუ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, გავლილი, დაკარგული, გასული, მაგრამ სინამდვილეში კი მარად ცოცხალი დროის ხმა! და ჩვენც ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, თუ რა უკვდავია და, ამდენად, რა თანამედროვეა უველაფერი ის, რაც კი ჭეშმარიტი გზნებითაა შექმნილი და დიდი ადამიანური იდეით არის შთაგონებული...

ადამიანი იმდენი წლისაა, რამდენსაც მოიცავს მისი „ხაკუთარი დრო", ანუ ადამიანი შეიძლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მთელი კაცობრიობის ბნიხაც კი იყოს და, ამავე დროს, შეიძლება მხოლოდ იმდენის, რამდენსაც მისი პირადი კალენდარი გვაუწყებს. ახლა ადამიანებზე იტყვიან, მათ ვერ შეძლეს თავიანთი ხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიერაა შექმნილი. კლასიკის მაგალითი ამას ყველაზე უკეთ და ცხადად ადასტურებს. შეიძლება სწორედ ამიტომაც, გაცილებით ადვილია, წარსულის დიად ქმნილებებში აღმოაჩინო თანამედროვეობა, ვიდრე ზოგიერთ დღევანდელ ნაწარმოებში...

მეცნიერულ-ტექნიკურ ეპოქაში ადამიანი იხე უცვლ არ იცვლება, როგორც შეიძლებოდა ეფიქრებოდა და, უნდა ითქვას, გვეჩვენება კიდეც. უფრო მეტიც, იგი ფსიქოლოგიურად, ხანდედნიერად, იცვლება ძალიან ნელა. ამასთანავე, ცვლილება არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი უკეთესი ხდება ან სულიერად მდიდრდება.

ულტრათანამედროვე ეროვ და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები არ მოქმედებს აზროვნების, განსაკუთრებით კი მხატვრული აზროვნების ტრადიციულ წესზე. თუნდაც ამიტომ, ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ მომავლის ლიტერატურა ისეთივე იქნება, როგორც აქამდე იყო და პირდაპირ რომ ვთქვა — ხვეხანირად ვერც კი წარმომიდგენია. ამასთანავე, არა მარტო მიგრის მისი ხვეანაირად წარმოდგენა, არამედ გულის სიღრმეში დარწმუნებულიც ვარ, მისი შეცვლა იმდენად, რომ ამის საგანგებოდ აღნიშვნა საჭირო გახდეს — შეუძლებელია! ამიხოვის, რასაკვირველია, მხოლოდ ჩემი პირადი გუნება-განწყობილება ანდა შემოქმედებითი პროცესებისადმი ჩემი კონსერვატორული დამოკიდებულება არაფერს ნიშნავს. მთავარია, რომ მომავლის ლიტერატურის საფუძველიც ინ ხანის მხატვრული აზროვნება იქნება. როგორც აქამდე იყო, დაწყებული, თუნდაც, „გილგამეშიდან", ან ! ხაუკუნის ქართული რომანიდან — დღემდე...

* * *

არ ვიცი, როგორ იგებენ, რა ხელსაწყო არსებობს იმის შესატყობად, კარგავს თუ არა ლიტერატურა ზემოქმედების უნარს ხალხზე, როდის იკლებს ზემოქმედების ტალღა, როდის კი მატულობს! ეროვნულ, ხაიდან გაჩნდა ასეთი სნობისტური, უფრო ზუსტად, სნობისტურ-ნიჰილისტური დამოკიდებულება მწერლობისადმი? მე მგონი, უკვე ერთგვარ პოზიციად ქცეული ამგვარი დამოკიდებულება ლიტერატურისადმი იმათი დამკვიდრებულია, ვინც, მორიდებით რომ ვთქვა, მწერლობაზე მწერალად ბრძანდებიან. ნიჰილიზმით კოპწიაობა და უფრო მეტად კი დაუფიქრებელი ლაპარაკი, იცოცხლეთ, გვიყვარს და გვეზერხება კიდეც. მაგრამ კოპწიაობას არ შეიძლება ყველაზე წმინდა რამ შევწიროთ — ქართული მწერლობა, ჩვენი ეროვნული თვითშემეცნების ხაფუძველთა საფუძველი! არ უნდა დავიიწყოთ, რომ საქართველოში მწერლობა ძველთაგანვე რელიგიური რწმენის ხიშაღლეზე იყო აყვანილი.

პირადად მე, მწამს ქართულ მწერლობას ბევრი წარმატება რომ ელოდ[illegible]ბა. მაგრამ აქვე მინდა ჩემს ნათქვამს დავუმატო: არსებობს წარმატება და ასევე, მის გვერდით, არსებობს ამ წარმატებისადმი დამოკიდებულების, წარმატების მიღების, წარმატების აღიარების პრობლემა, რომელიც, ხვათაშორის, კულტურის ხფეროს განეკუთვნება, უფრო მეტიც — კულტურის ხაერთო დონეზე მეტყველებს. წარმატებას ღრმა პროფესიული ანალიზი ჭირდება. წარმატების ანატომირება რთული და ფაქიზი პროცესია. წარმატება რეალურ კატეგორიად გარდაიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას ორგანულად ეუკავშირებთ ხაერთო ეროვნული წარმატებების რიგს. ამავე დროს, არაფერს იხე არ შეუძლია ჩვენი ნაკლოვანებების ხაჯშკარაზე გამოტანა, გამომზეურება, როგორც წარმატებას.

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე დიდი ნაკლი, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ ლიტერატურახა და მკითხველს შორის შუამავალი ანუ კრიტიკა არ გაგვაჩნია. ჯგულისხმობ არა რამდენიმე ნამდვილად ნიჭიერსა და ხაინტერესო კრიტიკოსს, რომლებიც, ხანდანიერად გვყავს, არამედ, ხაერთო კრიტიკულ პრინციპებს, თუ გნებავთ, კრიტიკულ მოძრაობას, რომელიც მოიცავს და აწესრიგებს. უფრო მეტიც — ცივილიზებულ იერს ანიჭებს მთელ ლიტერატურულ ცხოვრებას. ამასთანავე, ჯგულისხმობ პროფესიულ ეთიკასაც, რადგან ზოგჯერ ჩვენი კრიტიკოსების მთელი შესაძლებლობა და ობიექტურობის პათოსი რომელიმე ცალკეული მწერლისადმი ჭგუფური ანგარიშსწორებით ან ასევე ჭგუფური ბოტა-დიდებით ამოიწურება ხოლმე.

კრიტიკის ყველაზე ხაშიში ხენი აზროვნების ინერციაა, ცხოვრების ხხვა და ხხვა მოვლენის ერთი და იმავე კრიტერიუმებით შეფასება. ჩვენი კრიტიკული აზროვნების ერთფეროვნების, კრიტიკოსთა გამუდმებული შიშისა და ძრწოლვის გამო, ზოგჯერ კი რომელიმე პოლიტიკური ადმინისტრატორის გეგმოვნებისა თუ უგეგმოვნების გაფეტიშების შედეგად, დღეს-დღესაც ქართულ კულტურულ ცხოვრებაში დარღვეულია აუცილებელი წონასწორობა, მეტიტყოდი, დიდი სამართლიანობა, რაც ქართული მწერლობისა და ხელოვნების ხხვა დარგების დაპირისპირებასა და კიდევ უფრო წარმოუდგენელ და დაუშვებელ მტრობაში გამოიხატება.

დღეს ქართული მწერლობა, ღარიბი ნათესავივით, ყველაზე მივარდნილ ადგილას, მშობლიური კულტურის ხხვენში აშლის ალუმინის ხაწოლს. რაცა მას ხელმწიფის ტახტი ეკუთვნის და ეს ყველამ იცის, იქნება ის ეიბის, მხატვრობის, თეატრისა თუ მუსიკის წარმომადგენელი, თუკი ნამდვილი წარმომადგენელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა მედროვე, რომლებითაც სავსეა ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციები.

საბოლოოდ ნელები ჩვენს მწერლობას კარგად აქვს დაცდილი და ამ საუკუნის საბოლოო ნელების დასაწყისშიაც სწორედ მან, თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი ბრწყინვალე ისტორიით გათამამებულმა და ძალამოცემულმა ისევ იკისრა მეწინავე მებრძოლის როლი და მკერდით გაგლიჯა მავთულხლართები, ჩვენს სულიერ ცხოვრებას რომ ერტყა გარს. და თუმცა თავისუფლებას მაინც ვერ მიაღწია (მე არ ვგულისხმობ სულიერ თავისუფლებას, რომელიც მას არასოდეს დაუკარგავს!), რაც მაშინ კი არა, ახლაც ოცნებად რჩება, იმდენი მაინც შეძლო, ჩვენშიც დაენერგა ახალი შემოქმედებითი სულისკვეთება ანუ ტოტალიტარიზმის ბურუსში მომავლისკენ მიმავალი გზის კონტურები შეემჩნია და რაც უნდა იუარონ დღეს იმათ, ვინც ქართულ თეატრსა და კინოს ამეამად მსოფლიოში სახელს უთქვამს, მაინც ვერსად გაექცევიან იმ ფაქტს, რომ მათი დაბადების მოწმობა ქართული მწერლობის მიერ არის გაცემული. მათი ეშეშარიტად მაღალმხატვრული შემოქმედების ხასიათის, თავისებურების განმსაზღვრელი, ფუძემდებლური იდეა აღმოცენებულია ქართული მწერლობიდან, რომლის მიერ საკვირველი, თითქმის გულთმისნური ალღოთი ნაგრძნობი საერთო პლანეტარული სწრაფვა პიროვნული თავისუფლებისაკენ, რკინის ფარდის გადაღმიდან მოსმენილი და თავგანწირული სიჩქარით ჩაწერილი მონის კი არა — ახალი ადამიანის გულის ფეთქვის — ამ ყველაზე დიდებული მუსიკის — პარტიტურა აღმოჩნდა ერთგვარი შემოქმედებითი სტიმული ყველასთვის, ვისაც ახალი აზროვნება ანუ ადამიანურად ცხოვრება ეწადა.

კრიტიკოსის საქმიანობა გარეგნულად იმდენად განსხვავდება მწერლის საქმიანობისაგან, რომ შეიძლება, გაღიზიანებულმა, ისიც კი გაიფიქრო — ამას ჩვენთან რა უნდა! რაც სინამდვილეში ძართლაც გაღიზიანების შედეგი იკნება და ამდენად, უაღრესად მცდარიც. სპორტულ ნავში, რომელსაც მენიჩბეები მართავენ, ეგრეთწოდებული „შემძახებელიც" ანუ ნავკეზელიც უზია. ის, მართალია, ნიჩაბს თითსაც კი არ აკარებს, ეტყობა, მენიჩბეებზე არანაკლებად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. ტუუილად მას ნავში არავინ ჩასვამდა. ახე რომ, მისი ნავში ყოფნა აუცილებელია!

ლიტერატურულ ატმოსფეროს, ლიტერატურულ ცხოვრებას კრიტიკოსები და მწერლები ერთად ვქმნით. როგორიცა ვართ ჩვენ, ისეთივე ლიტერატურული ცხოვრებაც. დროს, უსათუოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ჩვენს საქმიანობაზე და ახდენს კიდეც. მაგრამ თუ ბოლომდე მართლები ვიქნებით, არა იმდენად დროს შეუძლია მოახდინოს გავლენა ჩვენს საქმიანობაზე, რამდენადაც ჩვენს დამოკიდებულებას დროსადმი.

დროს, ჩვენი გაუბედავობისა თუ პასიურობის გამო, ჩვენს საკუთრებად არ ვაქცევთ, ანუ ვერ ვახვრეტთ საკუთარი ცხოვრებისა და დროის დაწყვილებას, სინქრონულობას.

მწერლის მოქალაქეობრივი პოზიციის, მისი პოლიტიკური და კიდევ უფრო მეტი—ეთიკური მრწამსის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს საერთო ლიტერატურული ატმოსფერო, ლიტერატურული ცხოვრება. ჩვენ კი ლიტერატურული ცხოვრება არ გაგვაჩნია. არ არსებობს საზოგადოებრივი აზრი. ეს უბილავი, უმძლავრესი მომწესრიგებელი ადამიანთა კულტურული ურთიერთობებისა და საერთოდ ადამიანური ცხოვრებისა, არ არსებობს იმიტომ, რომ არ არსებობს საზოგადოება! ყველაფერი ვიღონეთ, რომ საზოგადოებაც მოგვესპო და საზოგადოებრივი აზრიც. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენსას მივაღწიეთ კიდეც. საზოგადოება და საბელმწიფო გავაიგივეთ. შესაბამისად გავაიგივეთ საზოგადოებრივი და საბელმწიფოებრივი აზრიც, რაც დამანგრეველი, მომაკვდინებელი აღმოჩნდა საზოგადოებისათვისაც და... აზრისთვისაც! ამ ბოლო დროს სოკოებივით მომრავლებული „საზოგადოებები", რა თქმა უნდა, ოდნავადაც კი ვერ გასწევს იმის მაგივრობას, რაც ჩვენივე ხელით დავანგრიეთ. საერთოდ არაფერს არ შეუძლია მისი მაგივრობა გასწიოს. ამავე დროს, ის აუცილებელი რამ გასალავთ ჩვენი ცხოვრებისათვის — კულტურა მხოლოდ საზოგადოების წიაღში შეიძლება განვითარდეს.

* * *

ყველა ხელობა, რომელსაც ადამიანი მისდევს, ერთნაირად ძნელია. მაგრამ, როდესაც ამას ვამბობ, რატომღაც მახსენდება დიდი კომპოზიტორის ლისტის სიტყვები: „შატობრიანები ხალხს კი არა — ლიტერატურულ სკოლებს ქმნიან"! ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ, შატობრიანებისაგან განსხვავებით, არსებობენ ისეთი მწერლები, რომლებიც ქმნიან ხალხს! მართლაც. ბერძენი ადამიანის სულს მომეროსი ქმნიდა. ინგლისელისას — შექსპირი, ქართველისას — რუსთაველი... ქმნიდნენ რა ადამიანის სულს, ისინი ქმნიდნენ ხალხსაც, რადგან ხალხი წარმოადგენს ადამიანთა ერთობას, სადაც უდიდესი როლი ენიჭება მისი თითოეული წევრის სულიერ რაობას.

ლიტერატურა უსასწაულოდ წარმოუდგენელია. ლიტერატურა სასწაულების საბუყაროა. მუდმივი მოლოდინი სასწაულისა — აი, რა არის მისი მთავარი ნიშანი ნებისმიერი მასშტაბის სასწაული ამ მოლოდინს კიდევ უფრო ამძაფრებს. სასწაულის ასეთი მოლოდინი ჩვენს მწერლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაშიაც შეიმჩნევა. ეს კი იმის მაუწყებელია რომ ნამდვილი მწერლობა გვაქვს. ამგვარად ნაჭარმოებელობში ცხოვრობს ოამდენიმე მწერალი, რომელიც ბანგანაც ყოველ წამს უნდა მოელოდე ხანწაულს...

მაგრამ შეგვიძლია კი ხანწაულის მიღება, ანდა. ოუნდაც, ხანწაულის შემჩნევა? ეი. ეს კი მეტად ხერხიოზული ხაკითხია.

მეორე რუსთაველის დაბადებაზე ვოცნებობთ. რაც, მართლაც, დიადი ხანწაული იქნებოდა. მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვათ, ვინც უკვე გვყავს ანუ პირველი- რუსთაველი, ნამდვილად არსებული ღვთაებრივი პოეტი, იმისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა კი ვიცით?

ჩემთვის ყველაზე დიდი რუსთველოლოგები ქართველი მწერლები არიან — ილია, აკაკი, ვეფ... ჩემი ღრმა რწმენით, რუსთველოლოგიაში ილიას ბაზს რომ გაემარჯვა და არ ნიკო მარიხან (თუმცა, ქედს ვიხრი მისი უზარმაზარი ტალანტისა და ერუდიციის წინაშე!), მეცნიერების ეს დარგი გაცილებით ხაინტერესო და, არ მოვერიდები ამ სიტყვას — ცოცხალი იქნებოდა ჩემს წარმოდგენაში „ვეფხისტყაოსანი" ყოველოვის მიუწვდომელი იყო, თითქოს სხვა, ორიგინალურ ხაუკუროში არსებობდა. ვინც კი ამ პოემაზე რაიმეს წერდა ყველას გმირად ვთვლიდი. სხვათაშორის, დღესაც ასე მიმაჩნია. ჩემს მიერ ამ პოემაზე რაიმეს დაწერაზე ფიქრიც კი ძრწოლვით მაკვლებდა. ეს იყო ხიმაღლის შიშის მსგავსი რამ. და მაინც გულის სიღრმეში გამუდმებით ეფიქრობდი. უფრო სწორად — ვოცნებობდი, როდისმე, ოუნდაც, ხამოცი წლისას, დამეწერა ნარკვევი ამ დიად პოემაზე. ეს ის დროა, როცა ხამოცი წელი ისე შორს გეჩვენება. გგონია, ხაერთოდ არ გეწვევა. 1980 წელს მოხკოვის ერთ-ერთმა გამომცემლობამ შემომთავაზა დამეწერა წიგნი შოთა რუსთაველზე, გამომცემლობას, მადლობასთან ერთად, უარიც შევუთვალე, რადგან მაშინაც ისევ ისე მიუწვდომელი იყო „ვეფხისტყაოსანი" ჩემთვის. მაგრამ ამ ამბიდან ცოტა ხნის მერე უეცრად ვიგრძენი, რომ შიში უკვალოდ გაქრალიყო. არ ვიცი. ეს ცუდი იყო თუ კარგი, მაგრამ ჩემი ძველისძველი ოცნების განხორციელება დავიწყე. ჩემი მიზანი ძალზე მოკრძალებული გახლდათ: მინდოდა, როგორც პოემის ერთ-ერთი მკითხველს, ხვნისთვისაც გამეზიარებინა აღტაცება ამ ნაჭარმოებში გაცხადებული ღვთაებრივი პოეზიით. თანაც ჩანაფიქრის გადადების ფუფუნება აღარ მქონდა — ოცსა და ხამოც წელს შორის მართლაც დიდი განსხვავებაა. მაგრამ ორმოცდაათს და ხამოცს შორის კი ძალიან ცოტა თითქმის არაფერი...

რა შეიძლება დაუპირისპიროს ადამიანმა დროს? ალბათ მხოლოდ ცხოვრება და შემოქმედება. ეს ორი ცნება უერთმანეთოდ წარმოუდგენელია. ადამიანი ვიდრე ცხოვრობ[illegible] ახალგაზრდა. რადგან [illegible] ღიაა — წერს ლექსს, ბნავს მოგზაურობს ლადს. ადგებს ხაბლს და ა. შ. რაც, ალბათ, ამ ხელოვნ ხიკვდილის აქტია. ხიბერე იწყება მაშინ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცხოვრება უფრო ადრე თავდება. ვიდრე ადამიანის ბიოლოგიური არსებობა. ანუ რომ, ასეთი მხოლოდ ბიოლოგიური არსებობის ხაზომია. ცხოვრების ხაზომი თვითონ ადამიანია.

შეიძლება ამიტომაც, ვერაფრით შევეჩვიე ასეთ გამოთქმას — „ახალგაზრდა მწერალი"!

ნიჭიერი ადამიანი, ბავშვიც რომ იყოს, მაინც ჩვენზე უფროსია.

ორტურ რემბოს „ახალგაზრდა შეკსპირს" კი ეძახდნენ. მაგრამ ორავის უთქვამს მის შესახებ „ახალგაზრდა პოეტიათ". მიუხედავად იმისა, რომ ლექსების წერას ოცი წლისამ დაანებოთავი.

რასაკვირველია, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ლიტერატურაში ახალს მხოლოდ ახალგაზრდები ან ქმნიან. ხამდვილი მწერალი მუდამ ახალგაზრდაა. შეიძლება ასეც ითქვას — ახალგაზრდაა ის, ვინც კარგად წერს.

ასევე, ლიტერატურაში არ შეიძლება უარყოფ რაიმე მხოლოდ იმიტომ, რომ ძველია, რადგან ხაკმაოდ ბევრ შემთხვევაში, რაც ლიტერატურაში ძველია — მარადიულია...

მწერალი ყველგან — ცხოვრება იქნება ეს თუ ხვანური წიგნი — ხაკუთარ თავს დაეძებს, უფრო სწორად — ხაკუთარი შეშოქმედების გამოხატვას. თავისი მწერლური გენეალოგიური ხის პაწაწინა, ხვანისთვის შეუმჩნეველ ტოტს...

მწერლისთვის ყველაფერი დღევანდელია, რასაც კი წერს. რადგან მისი დღე და ღამე ოცდათოთ ხაათს კი არ შეიცავს, არამედ მთელ მის ცხოვრებას...

ზოგჯერ ადამიანი ხაკუთარი ხელით შემოიბაზავს თავის გარშემო შემეცნების წრეს, თავისი ნებით შემოიზღუდავს ინტერესების სფეროს. რომლის იქითაც ფეხს აღარ გადადგამს ბოლმე. თავდაცვის ინსტინქტი უკარნახებს, რომ გარეშოს, ხოციალურ-პროფესიული პირობებისა თუ ნაცნობ-მეგობრების ჯგუფის მიერ ტრადიციულად ლიმიტირებული ცოდნის მარაგი ერთგვარი უსაფრთხოების გარანტია მისთვის. ეს იგივეა. შენი ნება-ხურვილით ამოიყო თავი ხულიერად ბრმათა ვეტოში, ძალიან გკვიჩის იმის დაჯერება, რომ ხწავლა მხოლოდ ბავშვების ხაქმე არ არის, რომლებსაც ჩვენთან შედარებით ბევრი დადებითი, მისაბაძი თვისება აქვთ, თუნდაც, ბულწრფელობა. ბავშვებისთვის თამაში იგივე ცხოვრებაა, უფროსები კი თამაშობენ, რათა იცხოვრონ. ამას ისიც შეიძლება დავუმატოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბავშვებისგან, ხალხთან, ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლება...

ჩვენს მწერლობაში „ბანალური, პროვინციული ლიტერატურული პროდუქციის კატასტროფულ ზრდას" მე ვერ ვამჩნევ. თუმცა არ უარვყოფ, რომ ასეთი რამ ნამდვილად არ ხდება. ალბათ, იმიტომ ვერ ვამჩნევ, რომ ასეთი ხაზის ლიტერატურა ჩემთვის არ არსებობს.

ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის ცოტაა, ხვალაშორის, წინათაც ცოტა იყო და მომავალშიც ცოტა იქნება. ხვალაირად შეუძლებელია. ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებს ეძებენ ხოლმე — „წიგნი რამ ომით მოპოვებული". ესეც ერთგვარი კანონია — ნამდვილი ნაწარმოები უნდა ეძებო. კარგია, რომ ეძებ. ამ ძებნა-ძებნაში იზრდები...

ამ ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ყველაზე მეტად მომწონს და მახსოვდიანებს კიდეც ის პუბლიკაციები, რომლებშიაც ახახულია მწერლების უალრესად ადამიანური ურთიერთობანი, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ აზრს, რომ თუკი ვინმეს შეუძლია მეგობრობა, გაგება, თანაგრძნობა, მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი მწერლებსაც უკავიათ. ნამდვილი მწერლები ერთმანეთს არ მტრობენ. პირიქით, ნამდვილ მწერლებს ერთმანეთი უყვართ, ნამდვილი მწერლები ერთმანეთს უფრთხილდებიან.

ხერთოდ, ამ პუბლიკაციებში მხიბლავს ადამიანთა ურთიერთობის კულტურა. ამქვეყნად რომ გაძლო, აუცილებელია გაკვდეს გაგები მეგობარი. არ არსებობს ძალა (დროც კი უმწეოა მის წინაშე!), რომელიც მოერევა თანამოაზრე პოეტთა რომაულ კომორტასავით შეკრულ ჯგუფს, სიყვარულის ფარითა და მახვილით რომ მიიკვლევს გზას გულგრილობით, გაუგებრობით, დაუნდობლობით სავსე გარემოცვაში.

ახე მესახება მეგობრობა ტიციან ტაბიძისა, პაოლო იაშვილისა, ვალერიან გაფრინდაშვილისა...

ხამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მარტოსულ გალაკტიონ ტაბიძეზე, რომელიც ცხოვრობდა განდეგილად, ღატაკად და „უცნაურად", როგორც ბერძენი დიოგენი. ზედმეტია და ალბათ უსვინდისობაც ლაპარაკი მის მიერ ფიზიკურად გადარჩენის მცდელობაზე, პირადი კეთილდღეობის მიზნით მორგებულ ნიღაბზე — ის ცხოვრობდა გაცილებით უარესად და გაცილებით ტანჯულად, ვიდრე ნებისმიერი კატორღელი...

* * *

ჩვენს მწერლურ ხაუფლოში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლეგენდებს. შეიძლება ითქვას, ლეგენდებითაა მოწნული ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება. ეს არის ერთგვარი ... რობითობა, რომელშიაც ჩვენ უფალი ... ბით ვარსებობთ და არა მარტო ... ლეგენდების საფუძველზე მწერლების შემოქმედებასაც კი ვაფასებთ. მწერალთა ცხოვრება, ლეგენდების მიხედვით, გაცილებით უფრო წარმტაცი და მიმზიდველია, რომანტიკულია, ვიდრე სინამდვილეში იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, ცხოვრებისეული ჭოჭოხეთური ხაზინელებანიც კი ხვალაირად აღიქმება, აი, თუნდაც, გარეწარი გამომძიებლის მიერ მოხუცი მწერლისთვის შემოკრული სილა „ან გამწარებული პოეტის მიერ პირში ჩადებული ხანადირო თოფის ლულა.

ახე რომ, არსებობს პოეტის ნამდვილი ცხოვრება და მის პარალელურად არსებობს ლეგენდა პოეტზე.

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების გარკვეულ პერიოდში დამკვიდრებული და თითქმის ხამაგალითოდ იყო ქცეული ბომემური ყაიდის პოეტის ტიპი — შუა ხაუკუნეების ტრუბადურის უზრუნველობითა და რაინდული თვისებებით გამშვენიერებული პიროვნება. პოეტთა ტურნირების გმირი, ექსპრომტებისა და ქალაშბურების დაუზოგველად მფლანგველი, ქართული ხუფრის — ერთდროს მაღალი ზნეობის, მახვილგონიერებისა და კეთილშობილების აღლუმის — გვირგვინოსანი თამადა! ქართულ ხუფრასთან დაკავშირებით, ანდრეი ბელის დღიურში ჩაუწერია: „დავჯექი აღელვებული, ნაღვლიანი, ავდექი მხნე, სიყვარულით გამთბარი".

ამ ჭეშმარიტად ბრწყინვალე თამადა-პოეტებს აღტაცებულ ეპიგონთა მთელი არმია ეხვია გარს და სწორედ მათ — ეპიგონებმა, როგორც მოხალოდნელი იყო, ჩვენს წარმოდგენაში კარგახნით დაამკვიდრეს, თითქმის ხავალდებულოდ და მიხაბაძადაც კი აქციეს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბომემური ყაიდის შემოქმედის ტიპი. ეპიგონი ბომ იმას იღებს, იმას ითვისებს ოსტატის პიროვნული პორტრეტიდან, რაც მისთვის მისაწვდომი და ხელხაყრელია! უფრო მეტიც, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ოსტატის პიროვნება როგორმე მიუსადაგოს, დაამსგავსოს (ანუ დაამდაბლოს და დაამბინჭოს!) იმ ხატს, რომელიც უფრო თავისთვის შეუქმნია, რომლის მიბაძვაც, გამეორებაც მისთვის გაცილებით ადვილია, ვიდრე ზუსტი ახლის გადმოღება, თუკი ეს, ხაერთოდ, შესაძლებელია.

დუკანი, ფაეტონი, არღანი, ხახაში, მეთევზეები, ტივი, დუდუკი, ორთაჭალა — აი, მცირე ნაწილი იმ „პოეტური" რეკვიზიტისა, რომლითაც ეპიგონებმა ჩვენი შემოქმედებითი ხახლი მორთეს. ბევრი ამყვა ამ ცდუნებას, ბევრი დაადგა ამ ადვილად ხავალ გზას. ასეთი განწყობილება ხაკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მისი გამოძახილი დღეხაც კი ისმის.

ლეგენდების წყალობით, ჩვენში ბევრმა ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახა და ახლაც ყურ ხელავს. ზოგი შეგნებულად, ზოგიც კოხების სიბეცის გამო, ნამდვილი სახე მეგობრობისა ორ ხელოვნების ჯაკვით ერთმანეთზე გადებული. ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები დიდებული ქართველი პოეტებისა, მე ვიტყოდი — წამებულებისა, ახალი მიმდინარეობების საკვირველი სიღრმით ნამწყდომებისა და ქართულ სინამდვილეში შემოტანებისა, ქართული სიმბოლიზმის და საერთოდ ახალი ქართული პოეზიის ეროვნულრებული, ტემპერამენტიანი თეორეტიკოსებისა და ფუძემდებლებისა, იღუმალი ძალის მოშიზდლავი პიროვნებებისა, რომლებიც შეგნებიანი იზიდავდნენ არამარტო ქართველს, არამედ მრავალი სხვა ეროვნების ნიჭიერ შემოკრებებსა და მოაზროვნეებს: პოეტებს, ფილოსოფოსებს, მხატვრებს, არტისტებს, ინადირებდნენ მათ გულსა და გონებას, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი ინტელექტით და არა თამდომბითა და ბომბეური ცხოვრებით, ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ ეჩვენებათ ლეგენდებში.

მაგრამ ამ ლეგენდარულ თუ პოეტურ ბინდბუნდში მაინც ცხადად, გამშვლებულ ხატვევარივით, ელავს შემაძრწუნებლად ნამდვილი, ცხოვრებისეული ხმები პოეტებისა, ოუნდაც ასეთი ფრაზა: „მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული ეს ჩემი ტვინი, დახაკცეცი ტვინი ვერანი"! ეს ტალეილიო ხელი პოეტური სტრიქონი, ამავე დროს, ოიოქოს ფანტასტიკური მაგალითიცაა ადამიანის ნათელხილვისა! სხვათაშორის, ქართულ სინამდვილეში ნათელხილვის ბევრი გასოცარი მაგალითი არსებობს და ყველა ზათგანი ტრაგიკულ პიროვნებასთანაა დაკავშირებული. გარა, მართლაც წინასწარმეტყველებასავით არ გაისმის დღეს კოტე მარჯანიშვილის მიერ თავისი ახალგაზრდა კოლეგის მიხამართით ნათქვამი სიტყვები: „მე მსურს ვუთხრა ოთხიოდე სიტყვა ჩემს ახალგაზრდა მეგობარს ამბეტელს... დადგება დრო და ის ბელები, რომლებიც ჯდეს ძნად არიან ჩაგკოლან ქვით, დარცხვენილად დაეშვებიან"!.. ნამდვილი რამ არის ნათქვამი ამ სიტყვებით! რა ხასოცარი დრამა ირეკლება მათ, ერთი შეხედვით, კრიალა ზედაპირზე! წარმოიდგინეთ, რა ძნელი იყო ამის თქმა მარჯანიშვილისათვის, მაგრამ ართქმა მაინც გაცილებით ძნელი იყო ალბათ...

ლეგენდებთან ორკონულადაა დაკავშირებული მწერლის პოპულარობის საკითხი. ლეგენდა პოპულარობიდან იბადება. მაგრამ ისეც ხდება, რომ პოპულარობა ზოგჯერ ლეგენდიდან ამოიზრდება ხოლმე. პოპულარობაა, რა თქმა უნდა, მოდაც უწყობს ხელს. მაგრამ მოდა უაღრესად დროებითი და ხანმოკლეა. თუ რუსეთის მაგალითს მივმართავთ, დღეანდელი ახალგაზრდა ალბათ ძნელად დაიჯერებს, რომ იყო დრო, როცა მწერლები და პოეტები „ეს ტრიადის ვარსკვლავებად" მათს „კონცერტებზე" — მკითხველთან შეხვედრას — „ლუნარეებიც" ეს ივსებოდა, როგორც დღეს კუტუნაის კონცერტზე. ჩემი თაობის ზოგიერთ რუს პოეტს დღეს შემორჩა ეს ტრიადის მხახობის, უფრო ზუსტად — ეს ტრიადის მომღერლის მანერები, რომლებიც დღეს მათ ჩაცმახა თუ ქცევაში მეღავნდება. სამეფნიერო, ქართველ მწერლებსა და პოეტებს არ მიუბაძავთ ჩათოვის, თუმცა ეს იყო ცდები. რაც უმთავრესად ფილარმონიის დიდი დარბაზის „დაპურობაში" გამოიხატებოდა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მიეებაძათ, მაინც, არაფერი გამოვიდოდა, რადგან ამ შემოხვევაში გადამწყვეტი მკითხველია, ლიტერატურისადმი დამოკიდებულების მისი ტრადიციული წესი და არა მწერალთა თუ პოეტთა ნება-სურვილი. მწერლისადმი, საერთოდ, მწერლობისადმი დამოკიდებულება ხალხის ცხოვრების ფსიქოლოგიითაა გაპირობებული. ქართველი მკითხველი კონსერვატორია, რაც მის მაღალ კულტურაზე კი მეტყველებს. მაგრამ მის უპირატესობას სხვა მკითხველთან შედარებით სრულებითაც არ გამოხატავს. ისტორიული ბედისა თუ ბედისწერის გამო. მისი დამოკიდებულება პოეზიისადმი ასეთია. როგორც რელიგიური აკტისადმი — უარსებია სიმარტივეში განიცადოს ირაციონალური ძალის ზემოქმედება, ვიდრე საერთო აღტაცების. კოლექტიური ეგზალტაციის მოხვეწილი და გამშიერებელი გამდეს. ამიტომაცაა, რომ ქართველ მკითხველს საყვარელი პოეტი ყავს და არა პოპულარული. მართალია, ცხოვრების წესის ერთგვარი ცვლილების მიხედვით ეს კანონზომიერებაც ირღვევა ხოლმე, ანუ ჩვენშიაც ჩნდებიან პოპულარული მწერლები და პოეტები. მაგრამ... ძალიან ბანმოკლე ვადით.

პოპულარობა სრულებითაც არ გამოხატავს მწერლის ტალანტს. შესაძლებლობებს. შეიძლება ძალიან სუსტი პოეტი ან მწერალი იყოს პოპულარული დროის გარკვეულ მოხაკვეთში. და ბოლოს — პოპულარული მწერალი შეიძლება საერთოდ მწერალი არ აღმოჩნდეს, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია ჩვენს ცხოვრებას.

ლიტერატურის ავი და კარგი, არა თუ „მასობრივ მკითხველს", ჩემი დრამა რწმენით, პროფესიონალ ლიტერატორებსაც კი ბოლომდე არ ესმით და, თუ სიმართლე გინდათ, არც შეიძლება ესმოდეთ. ლიტერატურა ისეთი რამ გახლავთ, რაც ერთისთვის „ავია", მეორისთვის — „კარგია" და პირიქით. არ შეიძლება ერთი აზრი არსებობდეს. ვგულისხმობ აზრს ნამდვილი ლიტერატურის ნიმუშზე. ოთხიმ ხშირად ისეთ წიგნზე ვმსჯელობთ და ვკამათობთ ხოლმე, რომელსაც ლიტერატურასთან არავითარი საერთო არ გააჩნია. გარდა იმისა, რომ წიგნადაა აკინძული. ამავე დროს ხელიც ამ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თი ხაბის „წიგნებთან" დაკავშირებით იმართება ხოლმე ჩვენში გრანდიოზული განხილვები, თეატრალიზებული შეხვედრები მკითხველებთან — ფილარმონია, ყვავილები, დეკლამატორები. რომლებისთვისაც სულერთია, რას კითხულობენ, პოინერთა სახახლის გუნდები, მშობლიური რაიონებიდან ჩამოტანილი ნაბდები და ბურკინები... ასეთი „წიგნების" ავტორების დიდი საკმოსნური უნარი სერიოზულად გვალაპარაკებს ხოლმე მათ ნამოღვაწარზე. მაგრამ ადრე თუ გვიან ყველაფერი მაინც თავის ადგილას დგება. ასეთი „წიგნები" ლიტერატურის ახალრეზიდან უკვალოდ კრება, როგორც კი მათი ავტორები გავლენას კარგავენ ჩვენს საზოგადოებაში.

ზოგიერთი „მწერალი" საკუთარი შემოქმედების მიმართ იმავე როლს თამაშობს, რასაც ბატარეა — ელექტროფანრისთვის: ბატარეა რომ დაილევა, ანუ როგორც ამბობენ — „დაჯდება", ფანარიც ჩაკრება. „მწერალიც" გარდაიცვლება თუ არა (ღმერთმა ყველა დიდბანს აცოცხლოს — ნიკეიერიცა და უნიკოც!), მისი „წიგნიც" უკვალოდ დაიკარგება ხოლმე. მხოლოდ ავტორის პირადი ზრუნვა, ბრძოლა, თავგამოდება ანიკებდა ასეთ „წიგნს" არსებობის უფლებას. უფრო მეტიც — ასეთი „წიგნი" არამარტო არსებობდა, არამედ, მეტნაკლები წარმატებითაც კი სარგებლობდა და ქმნიდა ილუზიას, რომ ისიც მხატვრული აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა...

პოპულარული მწერალი — პოპულარული მხატვრობისთვის — არსებობს მხოლოდ ობივატელისათვის. პოპულარობის ცნება ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული ობივატელის ცნებასთან. კანტის ნათქვამია, მეცნიერება ჩემთვის სასხვათაშორისო საქმე რომ ყოფილიყო, მაშინ პოპულარობას ადვილად მივაღწევდი. თუმცა ნამდვილი მწერლებიც ყოფილან პოპულარულები, გამონაკლისი ყოველთვის იყო და ალბათ იქნება. მაგრამ მაინც პოპულარობა არასოდეს გამხდარა მწერლის ნამდვილი მნიშვნელობის, რაობის ზუსტი გამომხატველი. პოპულარობით მწერლის მნიშვნელობის დადგენა, ჩემი აზრით, სხვა თუ არაფერი, მკრეხელობაა, თუნდაც, მათი ხსოვნის წინაშე, ვინც მთლად უსახელოდ, ხიმარტოვეში, სიღატაკეში, ყოველგვარი აღიარების გარეშე განვლეს თავიანთი წუთისოფელი.

პოპულარობა ზოგჯერ მწერალს თავგზას აკარგვინებს ხოლმე. იძულებულია წელზე ფები დაიკვრას. მკითხველის ყურადღების ცენტრში რომ დარჩეს, მოდიდან არ გამოვიდეს. ამ დროს იგი აზრთა მპყრობელიდან ოფიციოზის ლაკუცა ფინიად გადაიქცევა ხოლმე.

წარმატება, პოპულარობა დაუნდობელია! თუ სულიერად ძლიერი არა ხარ, შეიძლება მიწასთან გაგახწოროს. იკამდისაც კი მიგიყვანოს. რომ რომელიმე შენთვის ეთნიკურად სხვა ისტორიის, სხვა კულტურის ლებების, სხვა ცხოვრების ბალხს კაცის სწავლებაც კი დაუწყო. თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ, თუ იმ ექსტრემალურ ვითარებაში. ასე მოუსია დღეს ზოგიერთმა თავად დედაენა შეცვლილმა მწერალმა მისგან „თურქმეხებად" მოხალული, ქართველი ბალხისთვის სრულიად უცხო ეთნიკური ჯგუფი საქართველოს...

* * *

მკითხველის ცნება ძალიან ცვალებადია. მასზე დანდობა არ შეიძლება. ერთ ტალღას შენ წიგნი მოსწონს, მეორეს — აღარ, მესამეს აღარც კი ახსოვს. მეოთხეს, შეიძლება, ისევ გაახსენდეს და დაუბრუნდეს შენს წიგნს. ოღონდ ამისთვის ნამდვილი მწერალი უნდა იყო. მხოლოდ ნამდვილ მწერალს შეუძლია დაუცადოს თავის მკითხველს.

მწერალი ერთია, მკითხველი — მრავალი, თანაც, ის მარტო შენს წიგნს კი არ კითხულობს. ღმერთმა დაგვიფაროს, ასე რომ იყოს! მაგრამ მწერალი კი ერთია? არა, რამდენი მკითხველიცაა, იმდენივეა მწერალიც, იმდენნაირად წარსდგება იგი ხვადახვა მკითხველის წინაშე. არავის აინტერესებს ყველასთვის ერთნაირი მწერალი.

ნათქვამია, ერთხა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ ჩახვალო. ასევეა წიგნიც. რომელიც მეორე წაკითხვისას უკვე სხვაა, შენთან ერთად გაზრდილი თუ დაკნინებული. რაც უფრო მეტ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვიძენთ, რაც უფრო მდიდრდება ჩვენი ინტელექტი, მით უფრო მეტ სიმდიდრეს ვპოულობთ ძველ წიგნებში. მკითხველი ბევრ რამეს სწავლობს წიგნისაგან, მაგრამ წიგნიც მკითხველისაგან ბევრ რამეს იძენს. თომას მანის მიერ წაკითხული „ფაუსტი" გაცილებით მნიშვნელოვანი და მდიდარია, ვიდრე ჩვეულებრივი, რიგითი მკითხველის მიერ წაკითხული...

„წიგნი ცოდნის წყაროა"! — ეს ყველაზე გავრცელებული და ბანალური განსაზღვრა წიგნისა ყველაზე ნაკლებად შეეფერება სიმართლეს წიგნის შესახებ. ის, რასაც წიგნი ადამიანს აძლევს (მხატვრულ ლიტერატურას ვგულისხმობ) გაცილებით მნიშვნელოვანი და იდუმალია, ვიდრე ცოდნა ან თუ განებავთ განათლება. წიგნი თუკი რაიმეს აძლევს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს სულიერ სტრუქტურას. ეს შეიძლება სხვანაირადაც ითქვას — უძღებნის ჩვენს სულს ხელის ჩახაკიდს ამაოების ციცაბოებზე.

საერთოდ, მხატვრული ლიტერატურა და პედაგოგიკა ორი სხვა და სხვა სფეროა ადამიანის საქმიანობისა და მათ შორის პარალელების გავლება დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

მწერალი არა მარტო წიგნს წერს, არამედ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის მკითხველსაც ზრდის. სხვანაირად ის შემოქმედი არ იქნება, მკითხველის მიხედვით შეგიძლია იმსჯელო მწერალზედაც. მითხარი, როგორი მკითხველი გყავს და გეტყვი, როგორი მწერალი ყოფილხარ...

იდეალური მკითხველი წარმომიდგენია, როგორც ყოველმხრივ განათლებული, თანამედროვედ მოაზროვნე, კულტურული ადამიანი, რომელსაც ჩემი წიგნი მოსწონს. ვერ დამისახელებთ, არ არსებობს მწერალი, რომელიც იტყოდა—იდეალურ მკითხველად ის მიმაჩნია, ვისაც ჩემი წიგნი არ მოსწონსო...

* * *

შემთხვევითი არ არის, რომ დღეს, როცა ამდენს ვფიქრობთ მომავალზე, ისევ პოეზია გავიხსენეთ. ყოველი ნამდვილად პოეტური ნაწარმოები, ლექსი იქნება ეს თუ მოთხრობა, წარსულს ეხება თუ აწმყოს, მომავალზე ფიქრია, მომავლის დანახვის ცდაა, ერთგვარად, პროგნოზირებაც გახლავთ. ამავე დროს, ეპოქის ხაერთო ტენდენციისაგან წარმოშობილი ჩვენი სწრაფვა სიზუსტისაკენ დაემთხვა პოეზიის ერთ-ერთ მთავარ თვისებას — ს ი ზ უ ს ტ ე ს! თავს ნებას მივცემ და ერთ-ერთ ჩემს სტატიაში გამოთქმულ აზრს გავიმეორებ: პოეზია სიზუსტის გამართლებაა ანუ სიზუსტის სიზუსტეა.

ტოლსტოი წერდა: „მხატვრულობა გაცილებით მეტ სიზუსტეს მოითხოვს, ვიდრე... მეცნიერება"-ო. ჩინელი მხატვარი ცა ბაი ში გვახწავლის: ზუსტად უნდა იცოდე ამა თუ იმ მწერს რამდენი ფეხი აქვს, იმიტომ კი არა, ყველა რომ დახატო, არამედ მიხვდე, რამდენი შეგიძლია გამოტოვო. დაკვირდით, როგორ ესიტყვება ამ გამონათქვამს პოეტური პროზის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის ჰემინგუეის შემოქმედებითი პრინციპი: „წერა არის შლა"! წერა არის ცოდნა! — ასეც შეიძლება განვმარტოთ ეს სენტენცია.

არც ის არის შემთხვევითი, რომ დღეს ბელეტრისტიკის ადგილი მტკიცედ დაიჭირა პოეტურმა პროზამ ანუ ადამიანის ფსიქოლოგიური ხამყაროს, ადამიანის დრამატული მდგომარეობის ზუსტად აღმნიშვნელმა მწერლობის ერთ-ერთმა სახეობამ, რომელიც თავისი მოწოდებით (არსით) მიუახლოვდა ხელოვნების უმაღლეს ფორმას — ლექსს. მაგრამ ამიტომ არ მიუღია „პოეტურის" წოდება, ეს ყველაზე ადვილი და გაუბრალოებული განმარტება იქნებოდა პოეტური პროზის ცნებისა.

თუნდაც ობიექტურობის გულისთვის შეიძლებოდა გაგვეხსენებინა, თუ როგორ გაუკირდა ჩვენს ზოგიერთ კრიტიკოსსა თუ მწერალს ამ თითქოსდა პოლარული ცნებების — პოეზიისა და პროზის — ერთმანეთთან დაკავშირება, უცრო მეტიც — მათი შერწყმა, გაერთიანება.

ამ ოცდაბუთი-ოცდაათი წლის [illegible] ტიკოსები დაუფარავად [illegible] პროზის წინააღმდეგ. მათ სტატიებში იგრძნობოდა შეშფოთება (და არა დაფიქრება!) პოეტური პროზის მომძლავრების გამო (გურამ რჩეულიშვილი, არჩილ სულაკაური, გურამ გეგეშიძე...). მათ თვალწინ ირღვეოდა ეანრების აქამდე მტკიცედ გავლებული და დაკანონებული საზღვრები! რატომღაც არ უფიქრდებოდნენ იმ გარემოებას, რომ ასეთი გრანდიოზული მოვლენა რომელიმე ახალგაზრდა მწერლის ან თუნდაც მთელი თაობის „ცელქობითა" და ეაპრიზით არ შეიძლებოდა აგვეხსნა — ეს იყო დიდი ცხოვრებისეული გარდაქმნა ადამიანის ხულიერ სამყაროში, ახალ ენაზე ამეტყველებული ადამიანის ხული!

„პოეტური პროზის წინააღმდეგ!" — ეს ლოზუნგი იქცა ერთგვარ საბრძოლო მოწოდებად ყველასთვის, ვისაც ხელს აძლევდა ლიტერატურულ აზროვნებაში გამეფებული რუტინა, ტრადიციების ერთგულება კი არა — დოგმა, როგორც უზრუნველი ცხოვრების გარანტია. ამრიგად, ეს მოწოდება, მართალია, გარეგნულად ინარჩუნებდა ტრადიციებისადმი მონაზენური ერთგულებისა და კდემამოსილების იერს, სინამდვილეში იყო (და ეს დრომ დაამტკიცა!) დოგმისა და კონსერვატიზმის აშკარა, თითქმის ბიოლოგიური ინსტინქტისმიერი მხარდაჭერა. ყოველშემთხვევაში, ის ამგვარად გამოიყენეს მათ, ვინც ჩვენი ლიტერატურის ფურცლებზე ცდილობდა ბელეტრისტიკის თვალუწვდენელი, ერთნაირად გაკრეჭილი პლანტაციების გაშენებას. ბელეტრისტიკისა, რომელსაც ჯერ კიდევ მეცხრამეტე ხუუკუნეში უპირისპირებდნენ ხერიოზულ მწერლობას. ამ ბრძოლის შედეგია ის, რომ დღესაც იწერება პროზაული, უფრო ზუსტად — ბელეტრისტიკული ნაწარმოებები, რომლებშიაც პოეზიის ნასახიც კი არ არის, ისევ დაცლილი პოეზიისგან, რომ ხაუოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ბიულეტენს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს. ერთმა იტალიელმა მწერალმა ასეთი პროზაული ნაწარმოები „უმუსიკო ოპერას" შეადარა. როგორც ხედავთ, ასეთი რამ მარტო ადგილობრივი მოვლენა არ ყოფილა.

პოეტურ პროზასთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება და შეხედულება არსებობს. შევეცდები, რამდენიმე მათგანი მაინც შეგახსენოთ, ციტატების ხიუხვეს, ხამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ვერაფრით ავიცილებ თავიდან. ჩემს მიზანს არ შეადგენს რომელიმე შეხედულების კატეგორიული მხარდაჭერის გამოვლენა. ჩემი მიზანია აზრთა ხხვადასხვაობის ლაბირინთში როგორმე ვიპოვო ის ძაფი, შედარებით ობიექტურ პოზიციამდე რომ მიგვიყვანს.

ყველაზე მაქსიმალისტური აზრი პროზისა და პოეზიის ურთიერთკავშირზე სტეფან მალარმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკუთვნის: „ხინამდვილეში პროზა არ არსებობს; არსებობს მხოლოდ მეტნაკლებად მკვეთრად გამოხატული, მეტნაკლებად უფორმო ლექსები. როგორც კი ავტორი ხულიერი მოძრაობის გამოხატვას იწყებს, მაშინვე ჩნდება ლექსების ჩანახატები". აქ საინტერესოა ის მომენტი, რომ მალარმე, ზოგიერთი ჩვენი მწერლის მსგავსად, პოეზიასა და ლექსს ხინონიმებად წარმოიდგენს, რაც, ჩვენი მწერლებისაგან განსხვავებით, მალარმესაგან სრულებითაც არ არის მოულოდნელი, თუკი მის მსოფლმხედველობას გავითვალისწინებთ. მაგრამ ამ შემთხვევაში გაცილებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადამიანის ხულის მოძრაობის აღწერა მალარმეს სამართლიანად პოეზიის კუთვნილებად წარმოუდგენია.

მალარმეს აზრის ინერცია, მართალია ძალიან ხუსტად, მაგრამ მაინც იგრძნობა იაპონელი პროზაიკოსის აკუტაგავა რიუნოსკეს გამონათქვამში: „ეშმარიტი მნიშვნელობით მხოლოდ პოეზიაა ლიტერატურა. კუთვნილი ადგილი პროზას მხოლოდ იმის წყალობით უკავია, თუ რამდენად შეიცავს პოეზიას".

კინორეჟისორი ანდრეი ტარკოვსკი კი წერდა: „პოეზიას ეანრად არ ვთვლი. შემოქმედების ყველა სფეროში შეიძლება იყო პოეტი. უფრო მეტიც, მე ვფიქრობ, ეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის პოეტურია". ეს არის თითქოს იდუმალი, მართალია, დროთა განმავლობაში ხანშეცვლილი, მაგრამ მაინც საგულისხმო აზრთა ეხტადეტა. სისხლისმიერი ნათესაობის გამოჭლენა სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ხალხთა ხელოვანთა შორის.

თუ დავუშვებთ (რაც მეტად ძნელია!), რომ პოეზია არც ლექსს ნიშნავს და არც პოემას, რადგან პოეზიისათვის ისეთივე გამომსახველობითი საშუალებებია, როგორც მოთხრობა თუ რომანი, მაშინ ვიგრძნობთ ამ აზრთა სიღრმეს, განვსაზღვრავთ კიდეც ნამდვილი პროზის რაობას, რომელიც ლიტერატურას განეკუთვნება იმდენად, რამდენადაც „შეიცავს პოეზიას"! ამიტომ არა მარტო პოეტის პროზა იწვევს ღიმილს, როგორც ეს მიღებულია ჩვენი ლიტერატორების გარკვეულ ნაწილში, არამედ ყველაფერი ღიმილის მომგვრელია, სადაც პოეზია არ არის — პოეტის ლექსი, დრამატურგის პიესა, პროზაიკოსის მოთხრობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კრიტიკოსის სტატიაც.

აკუტაგავა კიდევ უფრო შორს მიდის: „რომანი უფრო მეტადაა შემკული ლირიკული ტონებით, ვიდრე თვით ლირიკული ლექსი"! ჩვეულებრივად, რა თქმა უნდა, ამას ვერ გაიგებენ, პროზის განხილვის დროს ამაზე საუბარი დანაშაულადაც კი მიგვაჩნია იმიტომ, რომ, ყველა პროზაულ ნაწარმოებს ვიხილავთ როგორც ბელეტრისტიკის და არა პროზის ნიმუშს.

საკვირველია, რატომ უნდა დაგვეჯერებინა ასე ბრმად, რომ პოეზიის ერთადერთი ენა ლექსია?!

შეიძლება ვინმემ თქვას, აკუტაგავას მოსაზრებები სრულებითაც არ არის ყველასთვის საკამათოდ ბულო და მართალიც იქნება, ოღონდ, გაცილებით ნაკლები ეცოდინება პროზის ბუნების შესახებ.

თომას მანი ამბობდა: „გინა რომანში არ შედის ლირიკა და დრამა ისევე, როგორც დრამაში — ეპოსი და ლირიკა?". ო, ამ თვალსაზრისით, მრავალსა და მრავალ მაგალითს შორის, საინტერესოა ცნობილი რუსი მკვლევარის ეიხენბაუმის დაკვირვება ანა ახმატოვას ლირიკაზე. მკვლევარი სამართლიანად თვლის, რომ ანა ახმატოვას მთლიან შემოქმედებაში ლექსები „დამოუკიდებელი ლირიკული პიესები" კი არ არის, არამედ მოზაიკური ნაწილაკებია, რომლებიც ერთიანდება „რაღაცაში, რომელიც მგავს დიდ რომანს". ამ რომანს კი მკვლევარი „ლირიკულ რომანს" უწოდებს, რომელიც, მისი აზრით, გამოირჩევა დინამიკით — „ლირიკული რომანის დინამიკა"!

სხვათაშორის, ქართველი მწერლებიც საკმაოდ ბევრს ფიქრობდნენ პროზისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. აი, რას ამბობდა კონსტანტინე გამსახურდია: „პოეზია სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ხულის პრიზმაში გატარებული და ამ გზით გაშუქებული სამყარო და ეს ეხება უპირატესად ეპიკასაც". რატომ უპირატესად? — შეიძლება იკითხოს ვინმემ. იმიტომ, რომ ის უფრო „შემკულია ლირიკული ტონებით", ვიდრე ლირიკული ლექსი.

ანდრე მორუა წერდა ვოლტერზე: „თავის მოთხრობებში მან შექმნა ეშმარიტი პოეზიის ნამუშევრები" და ვისაც ვოლტერის პროზა ზერელედ მაინც გადაუკითხავს, დამეთანხმება, რომ ის ოდნავადაც კი არ მოგვაგონებს ლექსს.

საგულისხმოა ესპანელი ანტონიო მაჩადოს აზრიც: „არც პრუსტს, არც ჯოისს არ შეიძლება ეუწოდოთ პოეტები ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ განა ყველა დიდებული პოემა, მთელ ეპოქებს რომ სწვდება, მხოლოდ მგოსნების დაწერილია?"

შეიძლებოდა გაგვეხსენებინა, რომ ეგოგოლის „მკვდარი სულები" ერთ-ერთი ასეთი „დიდებული პოემაა"!

პოეტური პროზის გენეზისის განსაზღვრისათვის სრულებითაც არ არის საკმარო საზღვრებს იქით გადახედვა, როგორც ზოგიერთი იქცევა. რათა, ვაზი გაუსვამ მის უცხო წარმომავლობას. ჩვენ რომ ჩვენივე მწერლობის ისტორია უფრო კარგად ვიცოდეთ, რა თქმა უნდა, ასე არ მოვიქცეოდით. ამასთანავე, ჩემი აზრით, არ გვაწყენდა ზოგიერთი რამ საზღვარგარეთიდანაც რომ გვესწავლა. საერთოდ, მე მგონია, დროა ვისწავლოთ უმთავრესი რამ — ს წ ა ვ ლ ა! ქართული ლიტერატურის მსოფლიო კულტურული გ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცდილების გარეშე, იზოლირებულად წარმოდგენა პროვინციალიზმია და მეტი არაფერი.

პოეტური პროზა ქართული კლასიკური მწერლობის მეტად მნიშვნელოვანი ორგანული ნაწილია. ქართული ბიოგრაფიული მწერლობა, აშკარად ბელეტრისტული ხასიათის ბიზანტიური ბიოგრაფიისაგან განსხვავებით, ბრწყინვალე პოეტური პროზის ნიმუშს წარმოადგენს. მეცხრამეტე საუკუნის ჩვენთვის ასე ძვირფასი პროზა უმეტესწილად პოეტურია ყველა თავისი მონაცემით. გავიხსენოთ, თუნდაც, ილიას შედევრი „ხარჩობელაზედ", ანდა აკაბეგის მღელვარე მოთხრობები. ბოლო ჩვენს საუკუნეში ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჭავჭავიშვილის, კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის ნაწარმოებები არის მაგალითი მაღალი პოეტურობისა, რომლის წყალობითაც ისინი თანამედროვე ევროპული მწერლობის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევების სიმაღლეზე დგანან და კიდევ ერთხელ ამტკიცებენ დიდი ილიას მოსაზრებას ევროპული და ქართული აზროვნების იდენტურობის შესახებ.

ხამოციან წლებში არსებითად დაიწყო აღდგენა და ამდენად გაგრძელება იმ ტრადიციებისა, რომლებიც საკმაო ხნით გაწყვეტილი იყო სოცრეალიზმის ინკუბატორში გამოჩეკილი ბელეტრისტიკის მომძლავრების გამო.

გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე", გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე", იმის დადასტურებაცაა, რომ პოეტური პროზა მხოლოდ ახალგაზრდა მწერლების გატაცება არ იყო, ეს გახლდათ მწერლობის ზუსტი რეაქცია ეპოქის ხულისკვეთებაზე.

ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: განუსაზღვრელია XIX-იანი წლების კულტურული, უფრო კონკრეტულად — ჰუმანისტური რევოლუციის მნიშვნელობა ჩვენი სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის. შეიძლება ითქვას, სწორედ მან განაპირობა და მოამზადა ჩვენი ლტოლვა ადამიანის დაკარგული, დავიწყებული თვისებების გახახსენებლად, აღსადგენად. მან განაპირობა, თუნდაც, ჩვენი დღევანდელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

ამ ბოლო დროს კრიტიკოსთა ნაწერებში, სარეველასავით, წამოძყო თავი ტერმინმა „სენტიმენტალიზმმა", რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ აზრს, რომ „ზედმეტი მგრძნობელობის" გვრცხვენია ან ვერიდებით, თითქოს ვინმემ იცოდეს, რას ნიშნავს ზედმეტი თუ ნაკლები მგრძნობელობა. ხხვათაშორის, წრფელი გრძნობების დამალვა და საკუთარი წრფელი გრძნობების გამო დამორცხვება პროვინციალიზმის უტყუარი ნიშანია. ხაგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კრიტიკოსთა ნაწერებში ამ ბოლო დროს „პოეტური პროზის" ნაცვლად გაჩნდა სრულიად გაუგებარი ტერმინი „ხხვა პროზა". თუმცა სწორედ ამ ტერმინშია თვალნათლივ ასახული და წამოჩენილი კრიტიკოსთა [illegible] უველაფერისადმი, რაც ბელეტრისტიკის კანონებს არ ეშორჩილება.

პროზას არავითარი განსაზღვრა არ ჰირდება არსებობს ნამდვილი პროზა და არსებობს ბელეტრისტიკა. ეს არის და ეს...

* * *

საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია. ეს ალბათ იგივეა — მუუდრო. ხაიმედო თავშეხაფრიდან ამოხვიდე და იერიშზე წახვიდე. გათამაშებული თუ აღგზნებული, უფრო სწორედ — გაბრიყვებული საკუთარი პიროვნების მნიშვნელობის ცრუ წარმოდგენით. ეს თავგანწირვასთან ერთად, ერთგვარი თეატრალური პოზიორობაცაა, რაც, თავისთავად, ბელს გაშლის ბოლომდე გულწრფელი იყო... მაინც შევეცდები. ერთი ორი სიტყვა საკუთარ თავზეც ვთქვა. ხხვათაშორის, ეს ჩემთვისაც ხაინტერესოა.

დავიწყებ იმით, რომ, ხაერთოდ, ძალიან ძნელად, შეიძლება ითქვას, ტანჯვით ვწერ. ძალიან მეშინია სიტყვების. უფრო სწორად — დიდ პატივს ვცემ სიტყვებს. მწამს მათი ირაციონალური ძალისა. ნაწარმოების ტექსტში ზოგჯერ სიტყვებისა და ფრაზების უნებლიე, შემთხვევითი მეზობლობაც კი წარმოქმნის ხოლმე ავტორისაგან დამოუკიდებელ და ავტორის მიერ გაუთვალისწინებელ მბატკვრულ სინამდვილეს. წარმოიქმნება „მიწისქვეშა წყაროები", რომლებიც ზემოქმედებენ ტექსტის „გეოლოგიურ" აღნაგობაზე. სიტყვათა და ფრაზათა ასეთი შემთხვევითი მეზობლობა, უნებლიე კომბინაციები მკითხველს — მისი ფანტაზიისა თუ წარმოსახვის უნარის შესაბამისად — უჩენს ასევე ავტორისაგან გაუთვალისწინებელ განწყობებსა თუ ხილვებს. „ლექსი თვითონ მწერსო" — უთქვამს პოეტს.

დაწერილს შინაურებს ვაკითხებ ხოლმე. თუ მოეწონებათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვაქვეყნებ. რადგან ეს ძალიან იშვიათად ხდება, მეც იშვიათად ვბეჭდავ ჩემს ნაწერებს.

ყველაფერი, რაც კი დამიწერია, ჩვენი დღევანდელი ცხოვრებით არის შთაგონებული. ჩვენს დღევანდელობას ეხება, ჩემი „საკუთარი დროის" ანუ გაჯრებული, შეცნობილი -რსებობის ფრაგმენტებია, რომლებსაც ჩემთვის ერთი იდეა აერთიანებს: ცხოვრების აზრი ადამიანების ურთიერთგაგებაა. ოღონდ, გაგება თანაგრძნობაში არ უნდა აგვერიოს და, ხაერთოდ, არაფერში არ უნდა აგვერიოს ადამიანის ეს დიდებული უნარი. ყველაფერზე მეტად ადამიანს ამ გრძნობის ზედაპირულობა ამცირებს...

შეიძლება ითქვას, მკითხველებს ხაერთოდ არ ეხვდები, თუ არ ჩავთვლით მათ მიერ გამოგზავნილ ბარათებს ანდა ტელეფონით დალაპარაკებას. ეს. ალბათ. ყველაზე უკეთესი ურთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობაა მკითხველებთან, რადგან ამ დროს ისინი თამამები და გულწრფელები არიან. მე არც ტელევიზიით გამოვდივარ. მაგრამ სრულებითაც არ ვამტკიცებ იმ მწერლებს, რომლებიც საჭირისპიროდ იქცევიან და, რასაკვირველია იმათაც, ვინც მკითხველებს ხვდებიან...

არც ერთი კრიტიკოსის შექება არასოდეს გაზვიადებულად არ მომჩვენებია. ეს უბრალოდ შეიძლება აიხსნას — ადამიანი ვარ და იმიტომ! ქება მამხნევებს და რწმენას მინარჩუნებს. ამავე დროს, უფრო თვითკრიტიკულს მხდის საკუთარი თავის მიმართ, გაცილებით უფრო მკაცრი და მომთხოვნი ვხდები. ნახევრად ხუმრობით შეიძლებოდა ისიც მეთქვა — კრიტიკას უფრო მეტად რომ შევექე, შეიძლებოდა ჩემგან ნამდვილად კარგი მწერალი დამდგარიყო. მე არა ვარ აზარტიანი და ჯიბრიანი კაცი, ამიტომ კრიტიკას, რაც უნდა ობიექტური იყოს, არ შეუძლია სასიკეთო ზეგავლენა მოახდინოს ჩემზე. შეცვლილ მაინც ველარაფერს შევცვლი. ჩემი ბუნებრივი მონაცემები, ჩემი პიროვნული თავისებურებანი, ხანდედნიერად თუ სამწუხაროდ, არც ჩემს და, მითუმეტეს, არც კრიტიკოსთა ნება-სურვილს არ ეკვემდებარება.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ მიგემია კრიტიკის უსამართლო, მე ვიტყოდი, უსვინდისო დარტყმები. ამავე დროს, არც ერთი ჩემი კრიტიკოსისთვის, რაც უნდა დიდი უსვინდისობა და უვიცობა გამოეჩინა (ამის საკმაოდ ბევრი მაგალითი არსებობს!), არ მიპასუხია, არც ჩემს კრიტიკოსს არ შევკამათებივარ. არასაკადრის საქციელად მიმაჩნია კრიტიკოსთან დავა საკუთარი ნაწარმოების გამო.

„ბატონ დე მოლიერის ცხოვრებაში" ბულგაკოვი წერს: „... მოლიერი ხანდედნიწერად შეცდა. დაავიწყდა, რომ მწერალი საკუთარ ნაწარმოებთა გამო არანაირ საჭარო დავაში არაფრის დიდებით არ უნდა ჩაებას"...

საგულისხმო სიტყვებია!..

ჩემი შემოქმედების შესახებ ჩემთვის საყურადღებოა ქართველი მკითხველისა და არაქართველი კრიტიკოსის აზრი. ქართველი მკითხველისა იმიტომ, რომ მე, უპირველეს ყოვლისა, მისთვის ვწერ და როცა ვწერ, მის მოთხოვნილებებს ვითვალისწინებ უნებურადაც კი, თუნდაც იმიტომ, რომ მეც ქართველი ვარ. არაქართველი კრიტიკოსის აზრი იმიტომ მაინტერესებს, რომ ის გაცილებით ობიექტურია, ვიდრე ჩემს გვერდით მცხოვრები, ჩემი თანამემამულე კრიტიკოსი. ამაში ჩემმა მწარე გამოცდილებამ დამარწმუნა.

ჩემს ცხოვრებაში საკმაოდ ბევრ ნამდვილ მწერალს შევხვედრივარ. არასოდეს დამავიწყდება მათი გარეგნობა. ისინი იყვნენ ისეთები, როგორც მე წარმომედგინა ანუ ამართლებდნენ თვითეული ჩვენგანის წარმოდგენას მწერალზე. ცხოვრება პოეტის სახეს განსაკუთრებულობა დაღს ასვამს. პოეტის სახეს ცხოვრება [illegible] წავს.

მახსოვს მოწიფეობის დროს. ქუჩაში მოხუცი ხელივით დავუვებოდი ერთ თეთრწვერა, სახენათელ, მოარულ ეკლესიასავით სხივოსან ადამიანს, რომელიც თითქოს, მართლაც შუქსა ჰფენდა არე-მარეს. ეს კაცი გამოიცნიდა რუსთაველის პროსპექტს, მელიქიშვილის ქუჩას და ვაკისკენ გაუყვებოდა გზას. აქ იყრებოდა ჩვენი გზებიც. მოწიწების გამო, მეტს ველარ ვბედავდი გავყოლოდი. კარგანის ბერე შევიტყვეის კაცი ალექსახიდრე ანბაშელი იყო.

არასად იმდენი კეთილი ადამიანი არ მინახავს და არ მეგულება, როგორც ჩვენს მწერლობაში, ვგულისხმობ არა მარტო უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომელთა უმრავლესობაც, სამწუხაროდ, იმეამად ჩვენს შორის აღარ იმყოფება, არამედ ჩემს დღევანდელ კოლეგებსაც.

ზემოთ ვთქვი და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ — ნამდვილი მწერლები ერთმანეთს არ მტრობენ. შეიძლება მათ შორის არსებობდეს ერთგვარი ჯიბრი. შურიც. რაც მეტად ადამიანური რამ გახლავთ. მაგრამ მტრობა კი არა! მხოლოდ მწერლობაში შემთხვევით მოხვედრილი თუ ათახნაირი ბრიკითა და ხაშუალებით მწერლის სახელდარქმეული ლიტერატორი ქმნის დაძაბულობისა და მტრობის განწყობილებას, რაც მისთვის მეტად ხელსაყრელია. რადგან მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეუძლია შეინარჩუნოს მიღწეული. მდგომარეობა. ამავე დროს, შემოქმედებით ორგანიზაციაში არსებული ადმინისტრაციული იერარქია ამძაფრებს ასეთ ვითარებას და ხელოვნების ხამყაროს კიერიერისტული ბრძოლის ახალრეზად გარდაქმნის.

დღეს შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ მწერალთა კავშირის პოეზიის სექციას ერთ დროს გალაკტიონ ტაბიძე თავმჯდომარეობდა. ამ სექციაში არასოდეს ყოფილა ასეთი წესრიგი, არასოდეს ყოფილა ასეთი დალაგებული, სუფთა და საქმიანად გამომზირალი ის კარადა, სადაც დიდი პოეტის მიერ საკუთარი ხელით გულდაგულ აკინძული, აღნუსხული მასალებით სავსე, დანომრილი საჭიდლდელები იწყო. ზუსტად არ მახსოვს, რომელ წიგნში წავიკითხე: ნაპოლეონი თავისი მარშლებისაგან იმითაც განსხვავდებოდა, ბრძოლის დროს უუთებში ყუმბარებს ითვლიდაო...

მოხდა ისე, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ჩემ ლექსების განხილვა დანიშნა. ეს იყო 1955 წელს. ჯერ წიგნი გამოცემული არ მქონდა. ჩემი ლექსები მისი მაღალი ყურადღების ღირსი ალბათ იმის გამო აღმოჩნდა, რომ, ეტყობა, გეგმით რომელიმე დამწყები პოეტის ლექსები უნდა განხილულ, გეგმას კი ერთგულად ასრულებდ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანდრომა რომ დამთავრდა, გალაკტიონ ტაბიძემ სიტყვა წარმოთქვა. ეს არ იყო მზოლოდ სექციის თავმჯდომარის სავალდებულო, საბოლოო, შემაჯამებელი სიტყვა — თითქოს თვითონ პოეზია მეტყველებდა საკუთარი არსის სიდიადეზე, თითქოს თვითონ პოეზია მოძღვრავდა იმათ, ვისაც კი მისი ქვეშევრდომობა საკუთარი ნებით აერჩია...

თუმცა, მაინც და მაინც, დალბინებული ცხოვრება არ მჭონია, ჩემს თავს, როგორც მწერალს, იღბლიანთა რიცხვს მივაწერ ანუ იმათ, ვისაც ასე თუ ისე გაუმართლა კატორღულმა შრომამ (ჩვენი პროფესია ხანგანაირად წარმოუდგენელია!). ამასთანავე, ჩემი საკმაოობა, რაც უნდა მძიმე და ზოგჯერ აუტანელიც კი ყოფილიყო, დიდ სიბარულსაც მანიჭებდა. შეიძლება, ერთადერთ ნამდვილ სიბარულს... ვაკეთებდი იმას, რაც მინდოდა გამეკეთებინა, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი ის გამეკეთებინა, რისი გაკეთებაც მინდოდა. ამასთანავე, გამომიკვეთეს ეს ამრავი ხუსტი ნაწარმოები, უამრავი უმწიფარი, ზოგჯერ უმაწვილური ცდუნებით ნაძალადევად შექმნილი ლექსი შემოტანია კრებულებში. მეჩქარებოდა, მეჩქარებოდა, მეჩქარებოდა ოღონდ სად, არ ვიცოდი. ახლა რომ ვიწყებდე და ეს ჯუა მჭონდეს, რა თქმა უნდა, იმ ლექსებს აღარ შევიტანდი წიგნებში, მაგრამ ახლა რომ ვიწყებდე და ის ჯუა მჭონდეს, საერთოდ ვერ გავბედავდი ლექსის დაბეჭდვას. ჯუა, ეტყობა, იგივე გამოცდილებაა და ღმერთი მას თანდათანობით, ცოტ-ცოტას გვიმატებს... ჩემდა სამწუხაროდ. გულუბრყვილო არა ვარ და მაინც მიუხედავად ასეთი არეული ცხოვრებისა, ასეთი გაფორებული ურთიერთობებისა, დაუნდობლობის, ხისასტიკის თავზარდამცემი მაგალითებისა, მაინც მწამს ადამიანის სიკეთისა, რომელიც ყველაზე მძიმე ვითარებაში სინდისის სახეს იღებს ხოლმე. გვინდა თუ არა, მაინც უნდა დავუგდოთ მას ყური, თორემ, როგორც ცნობილია, არავითარი ტანჯვა-წამება არ შეედრება სინდისის ქენჯნას.

ზოგმა არც კი იცის, რომ კეთილია, რომ პიროობითად თუ შეიძლება ეუწოდოთ მას ადამიანი, რადგან არასოდეს განუცდია მისგან ჩადენილი სიკეთის სიტკბო და სიამე. ღმერთმა, რა საკვირველია, ის ასეთად არ ჩაფიქრა. მისი გაღაგვარება დანაშაულია, რომელიც ყველამ ერთნაირად უნდა გავიზიაროთ...

თუმცა ძალიან ბევრი წიგნი მიყვარს და კიდევ უფრო ბევრი აუცილებლად მიმაჩნია, ჩემთვის მაინც ალბათ ყველაზე ძვირფასი („ვეფხისტყაოსნის" შემდეგ!) ჩემი ბავშვობის წიგნებია: ვაჟას, აკაკის, ილიას ლექსები და მოთხრობები, ჟიულ ვერნის „ხაიდუმლო კუნძული", დიკენსის „დავით კოპერფილდი", ჰიუგოს „ბნელი", მარკ ტვენის „ტომ [illegible] ხავალი"...

როგორ გავაგებინო მთელ სამყაროს, რომ არსებობს შესანიშნავი პოეტი, კეთილი ადამიანი, ბავშვის უკიდეგანო სიმარტივის მომღერალი — შ ი ო მ ღ ვ ი მ ე ლ ი!

ხანდრო ამბეტელმა თქვა: „შიო, როგორც მწერალი, მშობელია მოზარდი ქართველებისა"-ო. განა დღევანდელ ჩვენს ბავშვებზეც ვიტყვით ამას? ხად გაქრა შიო მღვიმელის წიგნი, ეს ძვირფასი საბუთი ჩვენი ადამიანობისა!.. პოლინერის ფრაზა: „სენა მიდის და არ ილევა" ქრისტომათიულადაა ქცეული. მაგრამ დაავკარდით, განა ბევრ პოეტს უთქვამს ჩდინარეზე ასეთი რამ: „და გვწყინს, რომ მიბვალ ჩვენგან შორს გამალებულს ძალიან"!..

ბოლოს და ბოლოს, ადამიანი სულ რამდენიმე წიგნის გარემოცვაში აღმოჩნდება ხოლმე, ანუ მისთვის მოავარი წიგნები თანდათანობით თვითონვე განდევნიან მისი ცხოვრებიდან ხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან წიგნებს დიდი გამოცდისა და შემოწმების მერე. ჩვენთან რჩებიან ყველაზე ძახლობელი სულიერი მეგობრები, როგორც მოხუცი მომკვლელი დები...

მიხარია, როცა ჩემი წიგნი სხვა ენაზე ითარგმნება. ეს სიხარულთან ერთად, იმასაც მიმანიშნებს, რომ ჩემი ფიქრი უდღეური არ ყოფილა, რაც ერთგვარი სტიმულია ჩემთვის. არც იმის შეგრძნებაა ნაკლებად სასიამოვნო, რომ ადამიანები, სადაც უნდა ცხოვრობდნენ, ფიქრითაც ერთმანეთს მგვანან, საერთო ოცნებები აქვთ, რასაც ალბათ ყველაფერზე მეტად უნდა გაფრთხილება.

ხაიდუმლო ძალა, რომელიც ნებისმიერ ნაწარმოებს აუცილებლად და მიმზიდველად აქცევს უცხო ენაზე მოლაპარაკე ადამიანისათვის — პოეზიაა! თუკი, რა თქმა უნდა, თარგმნისას, ანუ ერთი გენეტიკური ხამყაროდან მეორე გენეტიკურ ხამყაროში უნატიფესი მეტაფორული სიხტემის გადანერგვის დროს არ ხდება „ქირურგიული კატასტროფები", რაც უმთავრესად პოეტად არდაბადებულ „ქირურგებს" ანუ მთარგმნელებს ემართებათ.

როცა ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნაზე ვფიქრობ, რატომღაც ფელინის ერთ-ერთი ფილმის ასეთი ეპიზოდი მახსენდება ხოლმე: არქეოლოგებისა თუ მშენებლების მიერ მიკვლეული თუ შემთხვევით აღმოჩენილი ძველისძველი, ალბათ, ანტიკური ხასიათლის ფრესკები, რომლებიც აქამდე მიწისქვეშ, უმაერო სიბნელეში იყო დანთქმული, სინათლის ხხივის კარგელსაგე შეხებაზე კარგავს ფერადოვნებას, გამოსახულებას, ქრება, იკარგება, იშლება ყოველიდან, თითქოს დაფა გადაწმინდესო, მხოლოდ მიწისქვეშა უმაერობა თუ წუვდიადი ინახავდა მათ აქამდე იმ სახით, ისევე სრულყოფილად, როგორც თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის დროზე მხატვარმა შექმნა. ამის მსგავსი რამ ხდება. როდესაც ლიტერატურული ნაწარმოები ერთი ენის წიაღიდან — ლოკალური, ბუნებრივი გარემოდან — მეორე ენის წიაღში — უცხო გარემოში გადაგვაქვს. უკეთეს შემთხვევაში, თუკი გადამტანი ანუ მთარგმნელი თვითონაც შემოქმედია და არა მხოლოდ, თუნდაც, სინქრონისტი, მაშინ ნაწარმოები, ასე თუ იხე, მაინც ინარჩუნებს პოეზიის ნიშუშის იერს, მაგრამ კიდევ ახლავს ორიგინალის ცხოველმყოფელობა, თუმცა, რასაკვირველია, გაცილებით ნაკლები ძალისაა, ვიდრე დედანში იყო; ფრესკები, თუმცა მიმკრალად, მაგრამ ჯერ კიდევ ანათებენ და იტაცებენ ჩვენს თვალსა და გონებას. ასეთია, ვთქვათ, ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი „მამლეტი". ჩემთვის ერთ-ერთი უძვირფასესი წიგნი! ივანე მაჩაბელმა შესძლო ეთარგმნა მთავარი, უფრო სწორად, გადმოეცა შექსპირის სულის ბნკარედი, როგორც პასტერნაკი იტყოდა — „იდუმალებათა სიზუსტე"! მაგრამ ეს მაინც გამონაკლისი და იშვიათი შემთხვევაა. ნაყოფიერ მთარგმნელის, თვითონაც დიდი პოეტის, შრომისა. უმეტეს შემთხვევაში კი, თვალსა და ხელს შუა გამქრალი ფრესკების ნაცვლად, ჩვენ თვითონვე ვხატავთ ცარიელ კედლებზე დედნებს მიმსგავსებულ ახალ ფრესკებს, რომლებიც, ხაბოლოო ჯამში, სტილიზირებული უმწეობაა და მეტი არაფერი...

არც ერთი ჩემი ნაწარმოები ჩემ ნაწარმოებად „ინიციატივით" არ უთარგმნიათ. ბევრმა მწერალი იმიტომ წერს, რაც შეიძლება მეტმა წაიკითხოს მისი ნაწარმოები.

არ შემიძლია გავამართლო მხოლოდ ის მწერალი, რომელიც, აქაო და ბევრმა წაიკითხოს ჩემი ნაწარმოებიო, სხვა ენაზე დაიწყებს წერას...

ყველა ჩემი მთარგმნელი მას მერე გავიცანი, როცა უკვე თარგმნილი და გამოცემული ჰქონდათ ჩემი ლექსები, მოთხრობები თუ ესეები. ბევრს კი, სამწუხაროდ, დღემდე არ ვიცნობ...

* * *

მეკითხებით, კიდევ რომელ დროში, რომელ ეპოქაში ისურვებდით ცხოვრებასო. მწერალი ისედაც სხვა და სხვა დროში, სხვა და სხვა ეპოქაში ცხოვრობს ერთდროულად, ადამიანიდან ადამიანში გადადის მისი ფიქრი.

არსებობს მისტიკური მოძღვრება — მეტემფსიქოზი, რომელიც ირწმუნება, სიკვდილის მერე ადამიანის სული ახლა სხვა ორგანიზმში განაგრძობს სიცოცხლესო. მე მგონი, საერთოდ არ შეიძლება მწერალი იყო, თუკი შენს სულს (ყოველგვარი მისტიკის გარეშე მოგახსენებთ!) სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ადამიანსა თუ, თქვენ წარმოიდგინეთ, თუნდაც, მხეცისა და მცენარის წიაღში არ უცხოვრია...

ესაუბრა კრიტიკოსი აკაკი მინდიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

მწერლობის მოთვინიერება

სამშობლო

ყველა დამონებული ერის მწერლობაში არსებობს თემა — უაზროდ, ხბვიხთვის დაღვრილი სისხლი. ცხადია, არის იგი ქართულ ლიტერატურაშიც. თუ არ ვცდები, პირველად ილია ჭავჭავაძემ დაიჩივლა:

„ესოქვი თუ ვისთვის შენ კი ვსთქვ, ვისთვის
იჩენ სიმარდესა?
შენ რაა, რომ აშმაგებ შენს დაძლეველს
ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართული შენი
არ დაუყურებს,
მეტი შენი თავი ქებით ვაბუკს გულს
არ გიხალისებს!..."
(„სასიჩარი")

მკვლევრები ამბობენ, რომ თავდაპირველად ამ ლექსში ოსმალეთის მაგივრ პეტერბურგი ეფიქრა და სათაურადაც სხვა სახელი რქმევია. მაგრამ ცენზურას აუკრძალავს. ასე იყო თუ არა, ამას არსებითი შინაარსობა არა აქვს; ისედაც ნათელია, რომ ლექსში რუსეთი იგულისხმება და არა ოსმალეთი. ამის სახეთად კმარა თუნდაც ის, რომ ლექსში აწმყო დროა წარმოდგენილი: „შენ რაა, რომ ამშვენებ შენს დამდუპველს ოსმალეთსა?" ყველასათვის ზედმიწევნით ცნობილია, რომ, როცა ეს ლექსი იწერებოდა, მაშინ ქართველი რუსეთს ამშვენებდა და არა ოსმალეთს.

ილიას მიერ დასმულმა პრობლემამ ფართო გამოძახილი ჰპოვა ქართულ მწერლობაში. ყველას კარგად გახსოვთ უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილის) „მამელუკი". ალბათ არ არსებობს ქართველი ბავშვი, ვისაც ეს მოთხრობა წაკითხული არ ჰქონდეს. ყოველი ჩვენთაგანის ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაგვედილია „მამელუკში" აღწერილი ტრაგიკული ამბავი იმ ქართველთა, ვინც ბედუკუღმართობის გამო სხვისთვის ღვრიდა სისხლს.

ქართული მწერლობისათვის ყოველთვის მტკივნეული და მწვავე იყო ალტერნატივა: რისთვის გაეწირა ქართველს თავი — საკუთარი სამშობლოს დასაცავად თუ საქართველოს დამპყრობთა და დამმონებელთა პოლიტიკურ-სამხედრო გეგმების განსახორციელებლად?

ამ მხრივ გამონაკლისს არც XIX-იანი და XX-იანი წლების ლიტერატურა წარმოადგენდა.

„არსენა მარაბდელშიც" სვამს ამ პრობლემას მიხეილ ჯავახიშვილი.

არსენა და მისი რაზმელები ახალციხეში არიან. მიმდინარეობს რუსეთ-თურქეთის ომი. რუსის ჯარი ახალციხეს უტევს და სადაც არის ნამგალა მთვარე მეხეთის მიზგითიდან ჩამოვარდება და რუსული ჯვარი აღიმართება. გაფთრებული ბოცვა-ულეტავ ახალციხის ქუჩებში, მოედნებსა და ეზოებში.

„არსენა უძრავად იდგა კიბის თავზე. მისიანებიც კიბეზე გაბევებულიყვნენ. მარაბდელი ფერწასული იყო. ერთი წარბი მძლავრად უხტოდა და თვითონაც შეუმჩნეველად თრთოდა. მისი ხელი უნებურად აწვალებდა ხანჯალს და ვიღაც უჩინარი ეზოხაკენ ეწეოდა, რამდენჯერმე ფეხიც შეინაცვლა. მაგრამ თავი შეიკავა და ალაგიდან არ დაიძრა. „ვის მივეხმარო? რაღ? რისთვის? — ჰფიქრობდა თავისთვის. — აქეთ ოსმალები და მუსულმანი ქართველები არიან, იქით კი — რუსები და ქართველები. ჩვენ რაღა შუაში ვართ? ესენი ერბოზე გვხრაკავენ, ისინი კი ზეთზე. ორთავ შავ ჭირს წაეყრა. ეს ქართველები კი — ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც — ან ღმერთმა გაატუტუცა, ან რუსები და თათრები ძალით აელეტინებენ ერთმანეთს".

სანამ არსენა ახალციხეში გამართულ საგრო-

გაგრძელება. იხ. „ცნობათობი", № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ეროვნული თვალსაზრისით უყურებდა. ვერ გადაეწყვიტა ჩარეულიყო თუ არა ბრძოლაში, ვისი მხარე დაეჭირა. ოსმალებისა თუ რუსებისა. როცა ომს კლასობრივი კუთხით შეხედა, მაშინ ჩარევა დაასკვნა და გადაეწვა კიდეც ხიხლიან ქარ-ცეცხლში.

„მათ (არსენას რაზმელებს — ა. ბ.) ეს ახალი საომბლოც რომ დაჰკარგოდათ, მაშინ უკ-ლებლივ ყველაფერი დაეკარგებოდათ და მათ-თან ერთად არსენაც დაჰკარგავდა ყველაფერს — ძმადნაფიცებსაც, ცოლშვილსაც. თავისუფლებ-საც და იმ დიდ საქმესაც, რომელმაც მარადის-დან მოიტაცა ის და მხეცივით თუ ჯირიანივით შეაგდო ტყეში. აქაც შემოალაჯებენ მაიორე-ბი და ზაალები, გიგოლები და კუჯატნელები. შემოიჭრებიან და თან შემოათრევენ იქაურ უღელსა და მათრახს, ბატონყმობასა და მონო-ბას“.

კარგად ვხედავთ, რომ უმთავრეს და ძირი-თად დასკვნას — არც ოსმალო და არც რუსი — მწერალი არ აკეთებს. ალტერნატივა ალტერნა-ტივადვე რჩება.

ახლა დემნა შენგელაიას „ბაშკადიკლარშიც“ კითხვა — ვინ არის მართალი, რუსეთის არმიის გენერალი ილია ორბელიანი თუ თურქეთის ჯა-რის ასკერი ჯუონია? — უპასუხოდ რჩება.

ქართულ მწერლობას გაუჭირდა უთუო და უთუმცაო დასკვნის გამოტანა. მიუხედავად იმი-სა, რომ ეროვნული გადაგვარების პრობლემას მტანჯველად განიცდიდა და აწვალებს. თუ ადრე „ნუ გათათრდებით“ ვედრება ისმოდა, ახლა „ნუ გარუსდებით“ მუდარა ქვეითინებს.

მიხ. ჯავახიშვილის პეტრე შევარდნაძე — სოკოლოვის თავგადასავალი („გივი შადური“) — ნათლად გვიჩვენებს, რა მძიმეა ადამიანი-ღმუ-რას ხვედრი. აღარც თაგვებს უნდა იგი და აღარც ჩიტებს. შევარდნაძემ ქართველობა და-კარგა. მაგრამ ვერც რუსად იქცა. მისი სოკო-ლოვობა არ იწამეს.

„მე ჩემი გზა დავლიე მეთქი, აღარც მიზანი ამ ქვეყნად, არც ხალისი, არც მეშკვიდრე, არც სიყვარული, არც სიძულვილი, ან უნარი სიხა-რულისა — თუნდაც დიდი ვარამისა და გოდე-ბისა — არაფერი, აღარაფერი! ძაღლურ სიცო-ცხლეს უშნოდ დავათრევ და თვითონ სიცოცხ-ლეც ჯირიან მძორივით თოკით მიმათრევს“ — მოთქვამს სოკოლოვად გარდაქმნილი შევარდ-ნაძე.

კიდევ უფრო უბედურად ახრულებს სიცო-ცხლეს გარუსებული, ბონდარჩუკად გადაქცე-ული, ქართველი ბარამანდია (დემნა შენგელა-ია — „გურამ ბარამანდია“).

„არ გავჩუმდები, არ გავჩუმდები და ბრა!.. ბონდარჩუკ!.. ბონდარ. გესმის, შე ჯოჯობეთის მაშხალავ, შე ჯალათო, შენა!.. შენი ხაბელით გლეხები ბავშვებს აჩუმებენ!.. შე საფრთხობე-ლავ. შენა!.. და მე გავჩუმდე!.. ბონდარჩუკ!.. ბონდარ!.. პოიტერ!.. განა ეს კაცის სახელია!.. შენ შენი სახელიც კი დაჰკარგე [illegible] ერისთავთ შთამომავალო, თავადო [illegible] ბონდარ!.. პოიტერ!.. ძაღლო!.. ძაღლო!..“[1]

გესლიანად დასცინის გადაგვარებულ ქართველს ცოლი ოქსანა ზნაბენსკაია. ხოლო თავად გუ-რამ ბარამანდია-ბონდარჩუკი არეულ გამოთაუ-ვანებული პორუჩიკს შეხტირის და შესჩივის:

„ — რა ვქნა მე ახლა, ეერდუშკა, რა ვქნა ჩემ ახლა... გამიგონეთ... იქ კავკასიის მთებს გა-დაღმა ჩემი სამშობლოა. მუდამ მწვანე, მუდამ მშვენიერი, ღვინო იღვრება სანუნახელებიდან მთვრალი დიონისო ჭიხვინობს და რქების ურ-ტყამს ქვევრებს. ხდულს მაკარი და ცხოვრობენ იქ ხალხი პურადი, გულადი... მე არ მინდა ვიყო ბონდარჩუკი... ჩემი ცოლის არ იყოს, მე ხომ მეკასრე არა ვარ... მართალია ჩემი ცოლი... მე ძაღლის ხახელი დამარქვეს... მე თავადი ბარა-მანდია ვარ, ბაგრატ დიდის ერისთავის ბარამან-ქველის შთამომავალი და რა მინდა მე ციმბირ-ში... რა მინდა მე ციმბირში?... — დაიძახა მან-გულში მუშტი დირტყა და ტირილი დაიწყო. სტიროდა შტაბს-კაპიტანი ბონდარჩუკი, რომ-ლის სახელი თავზარს სცემდა პარტიზანულ-რევოლუციონურ რაზმებს თავისი არაადამია-ნური სიხასტიერით. მერე თავ[illegible] [illegible] [illegible] [

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია ოსტატურად იყენებდა პროლეტარულ მწერლობას. პროლეტმწერლებს კომპარტია ავალებდა, გაელაშქრა ეროვნული პრობლემის წინააღმდეგ. უარეყოთ იგი, დაეცინათ მისთვის, რაკი პროლეტმწერლობას საკუთარი კონცეფცია არ ჰქონდა და თუთიყუშივით იმეორებდა კომპარტიის დირექტივებს, ბუნებრივია, რომ თავგანწირვით შეერკინა ეროვნულს.

„სანამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის,
მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან
ეიშოვი"[1]

ძმარა სიმშვიდე, მენატრება ვიყო ჩინელი,
რომ ყვითელ ძმებთან ძველებური ხმალით
ვიარო.
ვერ მიმიხვდები, როგორ მინდა ის საშინელი
აღმოსავლური ხალხის ბედი გავიზიარო.
სიბრაზე მახრჩობს, რომ არა ვარ ეჩლა
ჩინელი!"[2]

ალბათ კ. ლორთქიფანიძის ჩინელობის ნატვრამ ათქმევინა გალაკტიონს ირონიული ლექსი:

„ჩემი ეზო და სახლკარი,
რიონი და ჩემი მტკვარი,
არ მიყვარდეს?
მაშინ — რისთვის,
თავს ვიკლავდე
ჩინეთისთვის?
არ ვეტრფოდე საქართველოს,
მის დიდებულ მთას და მდელოს?
ვით ვუშველო სხვის ქვეყანას,
თუ არ ვთხოვნე ჩემი ყანა"?[3]

მაგრამ ასეთი ირონია პროლეტმწერლებს ვერ აფრთხობდა, რაკი უწყოდნენ, რომ დამცველად უკან Красная Армия და Красный Флот-ი ედგათ. ფრიდონ ნაროუშვილი უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა:

„კიდევ მეშჩანი... „ქართული ქალი",
შავ-თმა ხუპუპა, ქართველოსანი.

„ქართული" მიწის, როგორც წუნკალი
დინგით მთხრელი და მისი მგოსანი,
მაშინ, როდესაც ინტერნაციონალს
ფართოდ გაუღეს „ერებმა" კარი,
მე აღარ ვიცი თუ სად თავდება...
და სად იწყება „სომხური მტკვარი".

---

1. კ. ლორთქიფანიძე — „ღიმილი" (ლექსების კრებული), 1927 წ. გვ. 26.

2 კ. ლორთქიფანიძე — „პირველის შემდეგ" (ლექსების კრებული).

3. ნ. აგიაშვილი — „ჭაბუკები დარჩნენ მარად", 1980 წ., გვ. 264.

მოსპო საბღვარი „ტეტ-ა-ტეტ"-ი
გლეხმაც გადაკრა მიჯნის პრობლემა,
მაგრამ პროფესორს აწუხებს ეჩლაც
მიჯნა სომხებთან სად იმყოფება,
თვით პროფესორი ჯავახიშვილი,
და სხვა მრავალი ჯურის „ისტები",
კაციჭამია ლოტეტერშვილი —
პლეადა წუნკალ „შოვინისტების"![1]

რა თქმა უნდა, ეს არ იყო ლიტერატურული პაექრობა, კამათი არგუმენტებით. ეს იყო მუქარა, დაშინება, ცხადი გახდა, თუ მწერლობა გააგრძელებდა ფიქრს, ლაპარაკს ეროვნულ პრობლემაზე, არ დაკმაყოფილდებოდნენ ლანძღვა-გინებით. მიმართავდნენ რეპრესიის, დახჭის უფრო მკაცრ ფორმებს, ფიზიკური გადაგდურების ჩათვლით. ასეც მოხდა. ამიტომ მწერლობამ შეწყვიტა ყოველგვარი ხაუბარი ეროვნულ საკითხზე. მაგრამ სრული დუმილით სამშობლოს ცნების განსაზღვრა არ მოხერხდებოდა. საერთოდ სამშობლოს უარყოფა კომუნისტებს არ სურდათ. მაშინ რუსეთის უარყოფაც მოხდებოდა. საქმე სხვაგვარად გახლდათ: კომუნისტების მიზანი იყო, რომ ქართველებს უარეყოთ საქართველო, როგორც სამშობლო, სომხებს — სომხეთი, აზერბაიჯანელებს — აზერბაიჯანი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგრამ ეს უსამშობლო ხალხები სადღაც ხომ ცხოვრობდნენ? აი, იმ ტერიტორიას, იმ სივრცეს, სადაც ეს უსამშობლო ხალხები ცხოვრობდნენ, რა ერქვა? კომპარტიისაგან მწერლობამ შეაფიო პასუხი მიიღო: ამ ტერიტორიას, ამ სივრცეს, სსრკ (ანუ უფრო სწორად რუსეთის იმპერია) ჰქვია და სამშობლოც ეს არის. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი თუ როშელიმე სხვა ქვეყანა მხოლოდ მცირედი ნაწილია სსრკ-ისა. ამიტომ ამ მცირედს კი არ ვთვლით სამშობლოდ, არამედ — მთლიანად, მთელ სსრკ-ს (ანუ რუსეთის იმპერიას).

როგორც კი სამშობლოს ცნება ესოდენ გაფართოვდა და მთელი სსრკ მოიცვა, წერლობაში გაჩნდა ახალი შეგნება.

კარლო კალაძის ლექსში „გიორგი" აღწერილია ქართველი ჯარისკაცის სიკვდილი მანჯურიაში. იგი ამბობს:

„მე, გიორგი ლომთათიძე,
ჩემ გურიას აქ ვიცავდი".[2]

ეს შეგნება სრულიად ნაწინააღმდეგია ილიას ტკივილისა — „შენ რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა" (წაიკითხე — რუსეთსა). აქ კავშირი წყდება ქართულ კლასიკურ და თანამედროვე მწერლობას შორის. ამ კავშირის

---

1. ფრ. ნაროუშვილი — „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია", 1931 წ., გვ. 27.

2 „ძმაობა", 1936 წ., № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწყვეტა კი ჩვენი ეროვნული ცნობიერების რღვევას იწვევდა. ამ რღვევის ხურათი ლიტერატურაშიც ასახა:

„— ხამშობლოო რომ მეუბნები, რომელი ხამშობლოა ეს თუ კაცი ხარ? გამიგონია, ჩვენი ხამშობლო ერთ დროს გვარიანი დიდი ყოფილა, აგერ, მე, შუა ხათაორეში გადიოდა ხაზღვარი. ტრაპაზონიც კი ჩვენი იყო თურმე. შემდეგ ეს ვრცელი ხამშობლო დაპატარავებულა, დაპატარავებულა და ბოლოს თურმე ხაქმე იქამდე მისულა, რომ ხამშობლოს მხოლოდ ხადადიანოს ვეძახდით. ბაბუაჩემი თურმე იმერეთის მეფეს აგერ ბაბუას ხიდთან ებრძოდა. შემდეგ, შენ კარგად გეცოდინება ეს. ჩვენი ხამშობლოს ხაზღვრები უსაზღვროდ გაფართოვდა და ახლა ხად იწყება ჩვენი ხამშობლო და ხად თავდება კაცმა არ იცის. რომელია ახლა ჩემი ხამშობლო, ეს პატარა ხაკალანდარიო, მთელი ხაბჭოთა კავშირი პოლშის ხაზღვრებიდან ეგერ, მე, იაპონიამდეო. შეიძლება ჩვენი ხამშობლო ხვალ მთელი ევროპა იყოს, ან ისე დაპატარავდეს, კვლავ ხადადიანოს დავუძახოთ ხამშობლო? ეი, რატომ არ მჯერა, ბიძი, მე თქვენი (კომუნისტების — ა. ბ.). თქვენ დღეს ერთს ამბობთ, ხვალ მეორეს. მეტიც, ერთს ამბობთ, მეორეს აკეთებთ და მესაძე გაშოდის".

ასეა დარღვეული ნოდარ წულეისკირის „თეთრაჩელას" პროტაგონისტის გუჩა კალანდარიას ეროვნული ცნობიერება.

ამ დღეში მარტო გუჩა კალანდარია არ არის. ამ დღეშია მთელი ქართველი ხალხი.

ეროვნული ცნობიერების რღვევის შედეგია, რომ ქართველი ხალხის დიდი ნაწილის შეგნებაში კვაჭიზმა გაიმარჯვა. ეს კვაჭი კვაჭანტირაძე არიგებდა ჭკუას ხაქართველოს თავისუფლების მომხრეებს — „ენა, ეროვნული კულტურა, პოლიტიკური უფლება — ჯიმერიონიან! რას ჩაეცივდით ერთ მტკაველ ხაქართველოს, ერთ მუჭა ხალხს! იმ ორმოში ჩავიბრჩვებით. ფრთას ვერ გავწლიან და ხულს ვერ მოვითქვამთ. გადაბმეფდეთ დიდ რუსეთს, მსოფლიოს მეექვსედია, ორას მილიონამდე ხალხი მყავს! თუ შნო, უნარი და ხალისი გაქვთ, ფრთები გაშალეთ და ამ ულეველ სივრცეში ინავარდეთ".[1]

და დანავარდობს დღეს გახეკულიანტებული ხაქართველო თვალუწვდენელ რუსეთში აღმა-დაღმა და ყველა უკადრისი ხაშუალებით ბოქავს ფულებს, აშენებს ეფემერულ კეთილდღეობას და იბრწნება ხულიერად.

კვაჭიზმის ხენით დაავადებულმა ერმა ვერც კი შეამჩნია, როგორ შეურაცხყო სტალინმა ქართველების და სხვა არარუსი ხალხების ნაციონალური თავმოყვარეობა 1941 წელს, როცა რუსეთ-გერმანიის ომი დაიწყო.

1941 წლის 6 ნოემბერს სტალინი ამბობდა:

„და ამ ადამიანებს, რომლებსაც ... პატიოსნება დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ბუოფნით მოუწოდონ დიდი რუსი ერის მოსპობისაკენ, პლეხანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასა და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისაკენ!..."[1]

სტალინს არ უთქვამს, რომ პიტლერი და ნაციხტები მოუწოდებენო რუსთაველის, სულხანსაბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ერის მოსპობისაკენ. არც ე. წ. სსრკ-ში შემავალი სხვა ხალხი (სომხები თუ უკრაინელები, ლიტველები თუ ტაჯიკები, ესტონელები თუ უზბეკები) მოუხსენებია სტალინს. თუმცა ქართველებსაც და სხვებსაც აიძულებდნენ, ისევე თავგადადებული ეომათ, როგორც რუსებს. რატომ დაივიწყა საბჭოელი ხალხის ბელადმა, რუსებს გარდა, სხვა ერები? რა სხვებს ნაციხტები მოსპობით არ ემუქრებოდნენ? თუ სხვების ყოფნა-არყოფნის ხაკითხი სტალინს არ ადარდებდა? ყველა ჭკუათმყოფელისათვის პასუხი გარკვეულია: რუსებს გარდა, სხვა ხალხები იმიტომ არ მოიხსენია, რომ ომი იგი იყო ომი რუსეთისა და გერმანიისა. სხვა ხალხებს აქ მხოლოდ ხაზარბაზნე ხორცის ფუნქცია ენიჭებოდა და მეტი არაფერი.

საბჭოელ ხალხს სტალინი მიმართავდა:

„და ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური ხახე"![2]

კი, მაგრამ დავით აღმაშენებელმა, გიორგი მეხამემ, თამარმა, გიორგი ბრწყინვალემ ან ხომხების, უზბეკების, ყაზახების, ტაჯიკების, ლიტველების და სხვათა გმირებმა რა დააშავეს? განა მათ ვაჟკაცობა, მამაცობა, ხამშობლოს სიყვარული აკლდათ? თუ მთელ საბჭოელ ხალხს უნდა ებრძოლა გერმანელთა წინააღმდეგ, მაშინ იმათ ისტორიას, იმათ წარსულს, იმათ გმირებს რატომ აკრეს ხელი და ღირსი არ გახადეს რუსების ჯვერდით მოხსენიების?

პასუხი ზემოთ უკვე ითქვა და გამეორება ხაჭირო არ არის.

არარუსები რომ რუსეთ-გერმანიის ომის ნამძალადევი მხხვერპლი იყვნენ, ამას მოწმობს ვლადიმერ ხოსიურის ლექსიც — „გიყვარდეს უკრაინა!"

---

1. მის. ჯაფარიშვილი — რჩეული თხზულებანი, ტ. III, 1960 წ., გვ. 249.

---

1. ი. სტალინი — საბჭოთა კავშირის დიდი სამამული ომის შესახებ, 1945 წ., გვ. 26, 38.

2. ი. სტალინი — საბჭოთა კავშირის დიდი სამამული ომის შესახებ, 1945 წ., გვ. 26, 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ლექსი 1944 წელს გამოქვეყნდა. ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო და ლექსიც პატრიოტულ ნაწარმოებად იქნა მონათლული. ხალხთაოდ აღიარეს, რომ იგი ხაბეჭოელ ხალხს ემოციურად ეხმარებოდა გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. განსაკუთრებით უყრაინელებს გულიდან აღტაცებას. მაგრამ გავიდა მცირე დრო. ომი დამთავრდა. ახალი ძალით დაიწყო რუსიფიკაცია. სოსიურას ლექსი უკვე ანტირუსულად აფიერდა. და შედეგმაც არ დააყოვნა. 1951 წლის ორ ივლისს „პრავდამ" დაბეჭდა წერილი — „ლიტერატურაში იდეოლოგიურ დამახინჯებათა წინააღმდეგ". ამ სტატიაში „გიეკვარდეს უკრაინა"! დაგმობილია და განადგურებული როგორც ნაციონალისტური (რაც 1944 წელს პატრიოტული იყო, 1951 წელს ნაციონალისტური გახდა!). „პრავდა" მძვინვარებდა: ლექსში უკრაინა წარმოდგენილიაო განმარტებულად. ხაბეჭოელი ხალხისაგან მოწყვეტილად (რატომ ვერ შეამჩნიეს ეს 1944 წელს?).

1951 წლის 30 ივლისს უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობამ პლენუმი ჩაატარა. სოსიურა დარჯაში გაატარეს. გულგახეთქილმა და თავგზადაკარგულმა პოეტმა, როგორც წესი ავალდებულებდა, ბოდიში მოიხადა: „პრავდის" წერილი, რომელშიც ჩემი ლექსი გაკრიტიკებულია, როგორც ნაციონალისტური ნაწარმოები — აბსოლუტურად მართალია. ამიერიდან მე დავძლევ ჩემს შეცდომებს და ვიყოლ სწორი შემოქმედებითი გზით".

ვგონებ, ძნელი მისახვედრი არ არის რამ გამოიწვია სოსიურას ლექსისადმი დამოკიდებულების ესოდენ რადიკალურად შეცვლა. 1941—1945 წლებში, ომის დროს, რუსებს სჭირდებოდათ, როგორც წყალი, როგორც ჰაერი, დაპყრობილი ხალხების მხარდაჭერა. ამიტომ მათ მისცეს უფლება ეროვნული თავმოყვარეობის გამოვლენისა. ომის შემდეგ კი გამარჯვებულ რუსეთს არა თუ აღარ მოსწონდა დაპყრობილი ხალხების ეროვნული თავმოყვარეობა, არამედ საშიშადაც მიაჩნდა.

ხომ შეიძლებოდა ეროვნული ცნობიერება გამოფხიზლებულიყო და დაენახა, რომ არა მარტო გერმანელია დამპყრობელი და მტერი, არამედ რუსიც.

ხომ შეიძლებოდა მიმხვდარიყვნენ, რომ თუ რუსეთის კომუნისტური იმპერიის პატარა ერებს გადაშენება უნერიათ, მაშინ იქნებ გარუსებას გაგერმანელება, გაინგლისელება ან გაფრანგება სჯობდეს? კაცობრობის კულტურულ და მოაზროვნე ნაწილს მაინც შევერწყმით და ციმბირისა თუ შორეული აღმოსავლეთის ტაიგაში არ აღმოგვხდება ხული.

ხომ შეიძლებოდა, მაგალითად, ქართველებს დიდიხნის წინათ დავიწყებული ანდაზა გახსენებოდათ — გინდა მგელს შევუკამივარ და გინდა მგლისფერ ძალსო.

ეს რომ არ მომხდარიყო ეროვნული თვითშეგნების უმცირესი გამოვლენა [illegible] კვეთეს. ამიტომ მარტო სოსიურას დახჯა არ ეკმაროდა, სხვებიც უნდა მიეყოლებინათ. შრისხანების მტევნები ქართველმა მწერლებმაც მოკრიფეს. დამნაშავის სკამზე აღმოჩნდნენ გალაკტიონ ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, სიმონ ჩიქოვანი, ხარიტონ ვარდოშვილი, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, გრიგოლ აბაშიძე და სხვანი.

კერძოდ გაზეთი „კომუნისტი" სიმონ ჩიქოვანს ასე ასწავლიდა ჭკუას:

„როცა ზოგიერთი ჩვენი მწერალი აცხადებს, „ვინა სთქვა" საბჭოთა საქართველო პატარაა, და ამას ახაბუთებს იმით, რომ აქ არის „დიდი ციხეები", რომ აქ „მთები მთებზეა შედგმული", რომ აქ ისმის „არწივის ფრთების" შრიალი და „ყვირილი ირმის", რომ აქ არის „წყალი მჭუბარი და ხაშიშარი", რომ აქ ჩანს „გორგასალის ნაბიჯი მტკიცე" და სხვა და სხვა, — ეს არ არის ჯანსაღი განწყობილება. ეს ნიშნავს, რომ ამ მწერალს არ ესმის ან არ სურს გაიგოს, თუ მართლაც რატომ არაა საქართველო პატარა და უძლური, არ ესმის ან არ სურს გაიგოს, რომ საქართველოს ძალა და სიდიადე, მისი აუვავების და გაფურჩქვნის წყარო არის დიდი საბჭოთა კავშირი, რომლის განუყოფელ ნაწილსაც ის შეადგენს (სსრკ კონსტიტუციაში კი ეწერა: მოკავშირე რესპუბლიკას სსრკ-დან გასვლის უფლება აქვსო. ძნელად წარმოსადგენია კონსტიტუციური უფლებისა და ნამდვილი მდგომარეობის უფრო მარმონიული შეხმატკბილება — [1]ა. ბ.] არის ხალხთა ხტალინური მეგობრობა, რომელმაც უძლეველი ძალა მისცა საბჭოთა კავშირს უოველ ერს".[1]

ხოლო კოლაუ ნადირაძის დანაშაული ის ყოფილა, რომ ლექსში „მე მიყვარს დილა", თურმე იგი „ერთი სიტყვითაც არ ახსენებს საბჭოთა საქართველოს დამახასიათებელ პეიზაჟებს, ხოლო ძველი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს უხვად იძლევა".[2]

მთლად უბედურ დღეში ჩავარდნილა გალაკტიონ ტაბიძე. მას თურმე „თავის ძველ ლექსში „ეფემერა" გამოყენებული ჰქონდა რაღაც მისტიკური ცნება „ქართული სისხლის" შესახებ. „ეფემერი სისხლის არ არის ჩემში არაქართულიო". 1944 წელს პოეტმა კვლავ გამოაქვეყნა ლექსი შემდეგნაირი რედაქციით: „ეფემერი არ არის ჩემში არაქართული"... ჩვენ ვერ შევეწიოგდებით საკუთარ ნაჭუჭში ამგვარ გამომწყვდევას, როგორსაც გულისხმობს ფორმულა: „ეფემერი

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1951 წ., 20 სექტემბერი. „წიგნიანეე: პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით".

2 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1952 წ., 11 ივლისი. „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები, და მწეოლობის ახალგაზრდა ავტორები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის ჩემში არაქართული". ეს ფორმულა უშუალოდ მოჰქინარეობს ბურუჟაზიული ნაციონალიზმიდან, რომლის „არსია — როგორც „პრავდა" წერდა — მისწრაფება განკერძოებისაკენ, ეროვნული შეზღუდულობის ნაჭუჭში ჩაკეტვისაკენ".[1]

ამგვარი კრიტიკული წერილებიდან ამონაწერებს მეტს ალარ მოვიტან (თუმცა ურიცხვია მათი რაოდენობა). ისედაც გასაგებია და მკაფიო, რაც ხდება. ოღონდ ის კი უნდა ითქვას, რატომ მოუვიდათ ასეთი „შეცდომა" მწერლებს. თურმე იმიტომ, რომ დაავიწყდათ, რა არის საშშობლო. გულმავიწყობის გამო ქართველ მწერლებს საშშობლო ისევ საქართველო ჰგონიათ. ის კი გამორჩენიათ, რომ საშშობლო სსრკ-ია. ამის გახსენება აუცილებელი გამხდარა და გაზეთი „კომუნისტიც" კიდევ ერთხელ და საბოლოოდ მკაცრად აგონებდა „დაბნეულ" მწერლებს:

„როცა ზოგიერთი ჩვენი მწერალი უმღერის საშშობლოს განუყენებულად, გარკვეულად არ ამბობს — რომელ საშშობლოზე აქვს მას ლაპარაკი, არ აღნიშნავს, რომ საშშობლო — ეს არის არა მარტო საქართველო, არამედ მთლიანად დიდი საბჭოთა კავშირი, არ აღნიშნავს, რომ საშშობლო — ეს არის ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომითა და ბრძოლით აშენებული ახალი სოციალისტური ქვეყანა. — ეს არ არის ჯანსაღი განწყობილება. ასეთ გაურკვეველ ნაწარმოებს შეიძლება ხელი მოაწეროს ჩვენმა მტრებმაც ნაციონალისტთა ბანაკიდან".[2]

ცოტა მოგვიანებით „კომუნისტის" განკარგულება გაიმეორა მწერალთა კავშირის მდივანმაც.

„ჩვენი მწერლობა მოწოდებულია უმღეროდეს ჩვენს დიდს მრავალერიან საბჭოთა საშშობლოს. ჩვენს მწერლებს უნდა ახსოვდეთ, რომ საშშობლოს ცნებაში არა მარტო „ერთი მტკვეული" საქართველო იგულისხმება, არამედ მთელი ჩვენი ოვალუწვდენელი ქვეყანა, მოწინავე კაცობრიობის დიდი შუქურა — ჩვენი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო".[3]

ამ განკარგულებებს და ძალდატანებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ქართულმა მწერლობამ რუსული კატეგორიებით დაიწყო აზროვნება.

სევასტი თალაკვაძის რომანში — „ახალი აზვირთება" — ორ რევოლუციონერს ხოფიოს და პართენს, შორის ასეთი საუბარი მიმდინარეობს:

„— ქართველი ქალები საზოგადოდ მორცხვნი, გაუბედავნი, კარჩაკეტილნი და მორჩილნი არიან, ოჯახში და ოჯახს გარეთ ყოველივე იმედს უმეტესად ისინი მამაკაცებზე ამყარებენ... გავრცელებული „ქალური უძლურება" მათ თითქო უდავო კეშმარიტებად უცვნიათ...

— ... მაგალითად, რუსებს ვინა ჰყავთ ეს გაბედული ქალები? — იკითხა ხოფიომ ცნობისმოყვარეობით პატარა პაუზის შემდეგ.

— ვინა ჰყავს რუსებს? არა კმარა ფიგნერი, პეროვსკაია, ვერა ზასულიჩი, ბრეშკო-ბრეკოვსკაია და სხვა კიდევ რამდენი... ესენი ბოლ მსოფლიოში ცნობილი რუსის ქალებია... ჩვენ კი და ჩვენს მეზობელ ერებს იმათი მსგავსი ჯერ არავინ გაგვაჩნია. ჩვენმა ისტორიამ ასეთი არაფერი არ იცის...

— თამარი? თამარ მეფე? თამარ მეფეც ხომ საკვეყნოდ ცნობილი ქართველი ქალია?!

— ის, აბა რას ამბობ ხოფიო! თამარი რა მოსახსენებელი საზოგადო მოღვაწე და მებრძოლი გმირია! თამარ მეფით როგორ შეიძლება ქართველი ქალის დახატვა, მით უფრო ჩარიცხვა მისი რუს გმირ რევოლუციონერ ქალებში?!

— რევოლუციონერი არა, რევოლუციონერების რიცხვში აბა ვინ ჩარიცხავს, მაგრამ ხომ მოეკცა სახელმწიფოს ხათავეში, ხომ გახდა სახელმწიფოს მმართველი ცნობილი ქალი?? ეს ხომ საკვეყნო ფაქტია?!

— ... „ფაქტი" კი, მაგრამ როგორი შინაარსის?.. თამარ მეფე უპირველეს ყოვლისა მეფე იყო, მონარქი იყო, რომელიც შემთხვევამ გახადა სახელმწიფოს ბატონ პატრონად, შთამომავლობის „ბრმა წერამ" წამოასკუპა სამეფო ტახტზე"...[1]

ზნეობრივი გაჯანსაღების მიზნით ქართველ პროზაიკოსი რაღაც რაზმების შექმნას მოითხოვდა და წერდა:

„რაკიღა არსებას სპეტაკ რაზმში, სიმართლისა და ქველობის რაზმში, კიკვიძისა და კორჩაგინის, ჩკალოვისა და გაგარინის, მატროსოვისა და გამცემლიძის, ბარათაშვილისა და ვეფაფშაველას რაზმში ჩაირიცხებით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გახსოვდეთ, რომ ამ გზისა და ამ რაზმის ღალატის უფლება აღარ გაქვთ!"[2]

ქართველი პოეტი ახალგაზრდობას მიმართავს:

„ოფლად, ქალაქად,
მიხდგრად თუ მთებში

---

1 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1952 წ., 12 დეკემბერი. „ნაციონალისტურ ცრურწმენათა ნაშთების შესახებ".

2 გაზ. „კომუნისტი", 1951 წ., 29 სექტემბერი. მოწინავე: „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით".

3 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1952 წ. 11 ივლისი.— „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები და მწერლობის ახალგაზრდა კადრები".

1 ს. თალაკვაძე — „ახალი აზვირთება", 1932 წ., გვ. 19

2 გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1979 წ., 5 ივნვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქარიშხლებურ ზღვასავით იძვრი...
აგჩეროლებია მზისფერ ძარღვებში
ზოიასა და ოლეგის სისხლი"[1]

საქმეში ჩახედული კაცი მაშინვე მიხვდება, რომ ხანიმეშოდ ის მოვიტანე, რაც უცბად მომხვდა ხელში, თორემ რუსული კატეგორიებით აზროვნების მაგალითებს წამდაუწუმ შეხვდებით ქართველი მწერლის თხზულებებში. ეს გახლავთ სწორედ ეროვნული ცნობიერების რღვევის უტყუარი ნიშანი, რადგან ამას ჩვენ ყველანაირად ვაკეთებთ. რუსული კატეგორიებით აზროვნება უკვე მექანიკურად, თავისთავად ხდება. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველა წერდა: „უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ რაზიკოვად ვიწოდებოდი და არა რაზიკაშვილად. იქნებ შეურაცხყოფადაც კი მიმეღო, თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი გვარის დაბოლოვება „ოვით". თუ ასე იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, წარმოგიდგენიათ რა მდგომარეობაა დღეს, როცა რუსმა უკვე მიაღწია იმას, რომ ქართველის ცნობიერება რუსულია? განა ეს გარუსება არ არის?

მიამიტი ადამიანი ალბათ იკითხავს — რატომ? რა არის აქ საგანგაშო? განა არ შეიძლება არაქართული კატეგორიების საშუალებით ეზიაროს ქართველი ამაღლებულსა და მშვენიერს? შეიძლება, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რას ეუბნება დოქტორი ფატენაური კონსტანტინე ხავარსამიძეს: „შექსპირი იმპერიალიზმის ისეთივე დიდი იარაღია ინგლისის ხელში, როგორც ინგლისური კრეისერი".[2] („დიონისოს ღიმილი").

ეროვნული ცნობიერების გაფართოება რომელიმე ერთი უცხო ერის ხელოვნური მონაპოვრის ხარჯზე კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ მთელი კაცობრიობის.

იყო დრო, როცა ამაღლებულისა და მშვენიერის წვდომა, ეროვნული იდეალის ჩამოყალიბებაც და განმტკიცებაც ანტიკური ხამყაროს ისტორიისა და კულტურის საშუალებით ხდებოდა. მაგრამ ეს ალექსანდრე მაკედონელის ან რომის იმპერიის უპირატესობისა და ერთადერთობის პროპაგანდა კი არ იყო, არამედ ანტიკური ისტორია და კულტურა აღიქმებოდა, როგორც საერთო საკაცობრიო მონაპოვარი, როგორც საერთო საკაცობრიო ფასეულობა. ქართველ პროზაიკოსს რაზმების ჩამოყალიბებისას რობესპიერი, გოეთე, ფირდოუსი, ავეტიქ ისაკიანი, ტარას შევჩენკო, გარიბალდი და სხვებიც რომ გახსენებოდა, ეს იქნებოდა ეროვნული ცნობიერების ინტერნაციონალური გაფართოება. მაგრამ როცა მწერლის მეხსიერებიდან მხოლოდ რუსები ამოტივტივდნენ, გასაოცარი ცნობიერების დათრგუნვა და დაბინდა.

როცა ბავშვებს სკოლაში ასწავლიან, რომ ელემენტთა პერიოდული სისტემა მენდელეევმა აღმოაჩინაო და გულმოდგინედ უმალავენ, რომ გერმანელმა ლოთარ მაიერმაც მიაგნო მას სწორედ 1869 წელს, ეს ინტერნაციონალური აღზრდა კი არ არის, არამედ რუსული შოვინიზმის ქადაგებაა.

საბჭოელ ახალგაზრდებს ყურები აქვთ გამოჭედილი ციოლკოვსკის ხსენებით, თუმცა დუმან, რომ იგი პოლონელი იყო. ხოლო არავინ ასწავლის, ვინ იყვნენ რობერტ გოდდარდი და ჰერმან ობერთი, სარაკეტო ტექნიკის მეცნიერი ფუძემდებელნი. საბჭოური რაკეტომშენებლობის წამომწყები რიგელი გერმანელი ფრიდრიხ ცანდლერი გოდდარდისა და ობერთის შრომებით იყო შთაგონებული და არა ციოლკოვსკის კეთილშობილი ზღაპრებით.[1]

როცა ბავშვებს არწმუნებენ, რომ რადიო ალექსანდრე პოპოვმა გამოიგონაო და უმალავენ, რომ რადიოს გამომგონებელი იტალიელი გულიელმო მარკონია, რის გამოც მან 1909 წელს ნობელის პრემიაც მიიღო, ეს ინტერნაციონალური აღზრდა კი არ არის, არამედ რუსული შოვინიზმის ქადაგებაა. ვთქვათ ის, რაც ალ. პოპოვის დამსახურებაა — ანტენის გამოგონება. მაგრამ ამით რუსი როგორ დაკმაყოფილდება. როცა მან ალ. პოპოვზე საგანგებოდ გადაიღო ფილმი, რომელშიც მარკონი შარლატანად არის გამოყვანილი, როცა ხელისუფლება ამას კადრულობს, იგი არა მარტო ტყუილს ამბობს, არამედ ნაძირალობის პროპაგანდასაც ეწევა.

ეს შეცდომა არ არის. ეს პრინციპია, რომლის მიზანია რუსი ერის განსაკუთრებულობის ქადაგება. რუსმა კომუნისტებმა არა მარტო პიროვნების კულტი შექმნეს (მოგეხსენებათ, კულტია სკკპ ცკ ყველა ცოცხალი გენერალური მდივანი), არამედ რუსი ერისაც. ამას სხვაფთი არ ხჭირდება, რამეთუ რუსი ერის კულტის პროპაგანდით არის გაჭედილი პრესა, რადიო, ტელევიზია, მწერლობა, მეცნიერება. არავინ ამცირებს რუსული კულტურის მნიშვნელობას, მაგრამ ისიც ხომ ცხადი ფაქტია, რუსების ღვაწლი კაცობრიობის ხელოვნურ ცხოვრებაში ვერ შეედრება ბერძნების, იტალიელების, გერმანელების, ინგლისელების, ფრანგების, ებრაელების, ინდოელების, ჩინელების და სხვათა ღვაწლს! თავისთავად რომელიმე ერის განსაკუთრებულობის, გამორჩეულობის ქადაგება დანა-

---

1 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1980 წ., პირველი მარტი.

2 კ. გამსახურდია — რჩეული თხზულებანი, ტ. V, 1961 წ., გვ. 376.

1 ციოლკოვსკის შესახებ სიმართლე შეგიძლიათ წაიკითხოთ ლეონიდ ვლადიმიროვის წიგნში Советский космический блеф. — მაინის ფრანკფურტი, 1973 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაულია კაცობრიობის წინაშე, რამეთუ იგი შოვინიზმისა და იმპერიალიზმის საფუძველია. მით უმეტეს, იმ ერისა, რომელსაც ჯერჯერობით თავისთავადი, დამოუკიდებელი, სხვათა მიხაბაძი არაფერი შეუქმნია. მე-18 საუკუნის დიდი რუსული ლიტერატურაც და დღევანდელი კოსმოსური ტექნიკაც ევროპული კულტურის, ტექნიკისა და მეცნიერების გამეორების ცდაა რუსულ ნიადაგზე. მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, ორივე მაინც მეორეულია. მაინც სხვისი ხელიერი ძალით არის შთაგონებული. ამგვარ პირობებში რუსის გამორჩეულობისა და განსაკუთრებულობის ჭადაგება ორმაგი დანაშაულია. იგი სხვას არაფერს მოწმობს იმის გარდა, რომ რუსეთი კომუნისტური იმპერიალიზმის გზას ადგას.

აი, რატომ არის საშიში რუსული კატეგორიებით აზროვნება.

აი, რატომ იწვევს რუსული კატეგორიებით აზროვნება ქართული ეროვნული ცნობიერების რღვევას.

აი, რატომ არის რუსული კატეგორიებით აზროვნება ქართულ კლასიკურ ლიტერატურასთან კავშირის გაწყვეტა (მე-18 საუკუნის ქართულ მწერლობას რუსი არ დაუხატავს ქართველისათვის იდეალად).

ეროვნული ცნობიერება საუკუნეების მანძილზე ყალიბდება. იგი გაპირობებულია ენით, ისტორიით, რელიგიით, ზნე-ჩვეულებით, ფსიქიკით, ტერიტორიით, მსოფლაღქმით, მსოფლგანცდით და ასე შემდეგ. ყველაფერ ამას ეერთიანებს საშშობლოს ცნება. ერთ განუყოფელ მთლიანობად აქცევს. როცა საშშობლოს ცნება ირღვევა (სულერთია, გაფართოებით თუ დავიწროებით), ყველაფერი ეს იშლება, ხალხს ეროვნული კატასტროფა ემუქრება.

თუ საშშობლოს ცნებას გავაფართოვებთ, იმდენი უცხო ელემენტი შემოვა, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება ქაოსად გადაიქცევა. ასევე დაემართება რუსულ ეროვნულ ცნობიერებასაც. არაფერს ნიშნავს, რომ იგი დღეს გაბატონებული ერია. ეროვნული ცნობიერება ბატონსაც ისევე შეიძლება დაერღვეს, როგორც ყმას. თან შესაძლებელია გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე დამონებულს. ამიტომ იშლება დიდი იმპერიები და მათ ადგილას ეროვნული სახელმწიფოები იბადება.

თუ მთელს სსრკ-ს წარმოვიდგენთ საშშობლოდ, მაშინ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში სხვადასხვა ენა შემოვა და აღარ გვეცოდინება, რომელი ენით გამოვლინდება ჩვენი სული. მართალია, რუსი ჩაგვიჩიჩინებს — რუსული ისწავლეთ და ყველა პრობლემა მოგვარდებაო. — მაგრამ რა ვუყოთ 1500-წლიან ხელიერ ცხოვრებას, გამოხატულს ჩვენი ლიტერატურით და ხელოვნებით? ხომ ვერ გავწყვეტთ მასთან კავშირს? თუ ქართული დავივიწყეთ და რუსულად ავლაპარაკდით, ხომ დავკარგეთ ყველაფერი, რაც 1500 წლის მანძილზე შეგვიქმნია? რა ვუყოთ 1500 წლის მანძილზე შეგვიქმნია? რა ვუყოთ ამ ხალხს? ვიღოთ მის მაგიერ? იგი მარტო წარსული არ არის. იგი ჩვენი ხიხლი და ხორცია, რომელიც დღეს აც გვესმის და მარადიულად გვეტკივება. მის ადგილს ჩვენს ცნობიერებაში ვერასოდეს ვერ დაიკავებს ვერც რუსული, ვერც ხომხური, ვერც ტაჯიკური, და ვერც ლიტვური წარსული. მათ ყველას თავისი ადგილი აქვს და ყველას თავისი მემკვიდრე ჰყავს. განა შეიძლება, რომ ოდესმე „ამბავი იგორის ლაშქრობისა" ჩვენთვის ისე ახლობელი გახდეს, როგორც „ვეფხისტყაოსანი"? ეს ხომ ანტიბუნებრივი მოვლენა იქნება? როგორც ვერასდროს ვერ შეიყვარებს ადამიანი დედინაცვალს (რარიგ კეთილშობილიც უნდა იყოს ეს ქალი) იმ სიყვარულით, რა სიყვარულითაც დედა უყვარს, ასევე ვერ შეიყვარებს ქართველი პუშკინს იმ სიყვარულით, რა სიყვარულითაც ვაჟა უყვარს. ასევე დაემართება რუსსაც. როგორც უნდა აფასებდეს და პატივს სცემდეს ვაჟას, არასოდეს ეყვარება იგი პუშკინივით. ეს ბუნების კანონზომიერებით ხდება და მისი დარღვევა არავის ხელეწიფება.

თუ მთელ სსრკ-ს წარმოვიდგენთ საშშობლოდ, მაშინ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში, ვთქვათ, შუა აზიის ისტორია ისევე უნდა დამკვიდრდეს, როგორც საქართველოსი. მერედა, ეს ხომ შეუძლებელია! როგორ უნდა დაიკავოს დავით აღმაშენებლის თუ გიორგი ბრწყინვალის გვერდით ადგილი ჯალალედინმა თუ თემურლენგმა? ეს ხომ ჩვენი ეროვნული დამცირებაა და შეურაცხყოფა? ეს ხომ ჩვენი წარსულის, მისთვის დაღვრილი სისხლის გაბიაბრუებაა? რა თქმა უნდა, ქართველ ხალხს შურისძიების გრძნობა არ ახასრდოებს და იგი დღეს მტრად არ თვლის, თურქმენს, უზბეკს თუ ტაჯიკს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერი დავივიწყეთ და არ გვაწუხებს უზარმაზარი მსხვერპლი, გაღებული შუა აზიიდან მოხულ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ პატიებისა და შენდობის მაღალი გრძნობის სახელით ვთქვით უარი შურისგებაზე. მაგრამ ჯალათისა და ზვარაკის მორიგება აზრად არ მოგვსვლია. როგორ შეიძლება ჩვენ და შუა აზიელებს ერთიანი საშშობლო გვქონდეს, თუ ჩვენი ისტორია მტრობით არის გახლეჩილი და შუაში სისხლის მდინარე მოედინება? ჩვენ შეგვიძლია კეთილი მეზობლები გავხდეთ (ვართ და ვიქნებით კიდეც), რამეთუ ქართველთა არსებობის რწმენაა — „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია", მაგრამ ჩვენ ვერ მივტანთ ერთნაირად ყვავილებს დავით აღმაშენებლისა და თემურლენგის საფლავზე. არც შუა აზიელები გაიკეთებენ ამას.

თუ მთელ სსრკ-ს წარმოვიდგენთ საშშობლოდ, მაშინ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში მაჰმადიანურმა რელიგიამაც (არაფერი რომ არ ვთქვა, შორეულ აღმოსავლეთში ფეხმოკიდე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ბუდიზმზე) უნდა დაიკავოს თავისი ადგილი. როგორ უნდა მოხდეს ეს, როცა ხაჭარ-ოველოს მთელი ცხოვრება ისლამის წინააღმდეგ ბრძოლაა? იმ ისლამის, რომელმაც ჩვენი ეროვ-ნული ხეული გახლიჩა (ქართველთა ერთი ნა-წილის გამაჰმადიანებით) და დღეს თავგამეტე-ბით ვიბრძვით მისი გამთლიანებისათვის. მართა-ლია, სსრკ ათეისტური სახელმწიფოა და რე-ლიგიას არსებითი მნიშვნელობა თითქოს არა აქვს, მაგრამ ეს გარეგნულად არის ასე, თორემ შინაგანად ჯერ კიდევ ქრისტიანი ქრისტიანია და მაჰმადიანი — მაჰმადიანი. როდის გაქრება ეს (ან გაქრება კი ოდესმე?) არავინ უწყის. ამ ეჭვის საფუძველია ისლამური რელიგიის ხელმეორე აღორძინება დღეს.

გარდა ამისა, რელიგია განსაზღვრავს ბალხის სულიერ ცხოვრებას, მის კულტურას. ეს რომ შეიცვალოს და ქრისტიანისა და მაჰმადიანის სულიერი ცხოვრება, კულტურა ერთნაირი გახდეს, ამისათვის საუკუნეებია საჭირო. და ვის ძალუძს იწინასწარმეტყველოს რა მიმართულებით წარიმართება ეს პროცესი, რა შედეგს მოგვცემს იგი.

თუ მთელ სსრკ-ს წარმოვიდგენთ ხამშობლოდ, მაშინ სხვადასხვა ხალხის ფსიქიკაც ერთნაირი უნდა გახდეს. მერედა, რა ძალას შეუძლია ერთნაირი გახადოს ქართველისა და იაკუტის, ქართველისა და ყაზახის, ქართველისა და ბურიატის, ქართველისა და ეხტონელის, მეტს ადარ გავაგრძელებ, ეროვნული ფსიქიკა? უხსოვარი დროიდან ვცხოვრობთ მეზობლად ქართველები და სომხები, მაგრამ ძირეულად განსხვავებულია ჩვენი ეროვნული ფსიქიკა. ამის შედეგია ის მუდმივი წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენს შორის არსებობს. ფსიქიკის განსხვავება' მაშინ შეიძლება მოიშალოს, თუ ერი გადაშენდება. ცოცხალ ერთა შორის ფსიქიკის განსხვავების წაშლა არაფერს ძალუძს. ესეც ბუნების კანონზომიერების ნაყოფია და იმიტომ.'

თუ მთელ სსრკ-ს წარმოვიდგენთ ხამშობლოდ, მაშინ სხვადასხვა ხალხის ფსიქიკა ერთნაირი უნდა გახდეს. რაც აგრეთვე ბუნებრივია და ამდენად შეუძლებელიც. თუმცა ხაუბრის გაგრძელება აღარ არის საჭირო, ისედაც გასაგებია, რისი თქმაც მინდა.

სსრკ შეუძლებელია, ჩაითვალოს ჩვენს ხამშობლოდ. იგი ნაძალადევი გაერთიანებაა ერების. სსრკ ხამშობლოდ გამოცხადებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: რუსეთის კომუნისტურ იმპერიაში მოსახლე ხალხების გარუსება. ეს არა მარტო ანტიეროვნული ქმედებაა, მიმართული არარუსი ხალხების წინააღმდეგ, არამედ ანტიეკოლოგიურიც. იგი გადაშენებით ემუქრება არარუს ერებს. დღეს, როცა მთელი კაცობრიობა იბრძვის ბუნებაში არსებული კანონზომიერების შესანარჩუნებლად, გაუგონარი დანაშაულია დედამიწაზე არსებულ ერთა თანაფარდობის დარღვევა. სსრკ არსებობა და რუსი კომუნისტების მიზანი ამ თანაფარდობის დარღვევისათვის ბრძოლის მკაფიო ნიმუშია. ამიტომ, არა მარტო ამა თუ იმ საბჭოელი ხალხის ეროვნული ინტერესი, არამედ ხამყაროს ეკოლოგიური კანონზომიერება ითხოვს სსრკ დაშლას და ეროვნულ სახელმწიფოების შექმნას. რაც მალე და მშვიდობიანად მოხდება ეს, მით უკეთესი. მით უკეთესი — თავად რუსეთისათვის. ამას უნდა მიხვდეს პროგრესულად მოაზროვნე რუსი, რამეთუ ეროვნული თვალსაზრისით, სსრკ-ში ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა ისევე ემუქრება რუსეთს კატასტროფით, როგორც სხვა ხალხებს.

ასეთ მრავალფეროვან და რთულ საკითხებთან არის გადაჯაჭვული ხამშობლოს პრობლემა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ქართულ (საერთოდ, არარუსი ხალხების) ლიტერატურას აკრძალული აქვს. ვერ ახერხებს ხმის ამოღებას. აიძულებენ კი, რომ სიცრუე იქადაგოს — ხამშობლოდ სსრკ გამოაცხადოს. ნამდვილ პრობლემაზე დუმილი და იძულებითი ტუუილის ხმამაღლა ქადაგება ქართულ მწერლობას ენინს ხდის და აჩლუნგებს მიხადმი ინტერესს.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ფრუიძე

გიორგი ბოჭორიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

გიორგი ბოჭორიძის სახელი ჩვენი თაობის ისტორიკოსთა შორის ლეგენდასავით დადიოდა. ვიცოდით, რომ შემზარავი ბოროტება მოხდა — ეს უნიჭიერესი და საოცრად შრომისმოყვარე კაცი დაღუპეს... მავანი და მავანი მისი ნაშრომებით ჩუმ-ჩუმად სარგებლობდა, გამოცემისათვის კი თავს არავინ იწუხებდა. გადიოდა წლები. აღნიშნული გარემოება ახალგაზრდებს ძალიან გაღიზიანებდა. მაგრამ პრაქტიკულად რომ რაიმე გაგვეკეთებინა, უმწეონი ვიყავით. თვით 60-იან წლებშიც პოლიტიკური ჯანღი თითოეული ჩვენთაგანის გონებას მძიმედ აწვა. უფროსი თაობა დასჯილთა შესახებ საუბარს ერიდებოდა. ეშვის ჭია მაშინაც მღრღნიდა და სიჭარმაგის დროსაც არ მომასვენა: ღმერთო ჩემო, უფროსი თაობიდან ზოგიერთ მათგანს, მეტადრე ვინც სიცოცხლეში კერპად იქცა, სისხლში ხომ არ ჰქონდა ხელები გასვრილი?! მე დღესაც არ ვიცი გიორგი ბოჭორიძის ცოდვა ვის კისერზეა; როცა მოვინდომე, რომ ამ ჭეშმარიტ მამულიშვილზე სტატია ქართულ ენციკლოპედიაში მოთავსებულიყო, წყალქვეშა კლდეების წინააღმდეგობას წავაწყდი, თუმცა ახალგაზრდულმა შემართებამ თავისი გაიტანა, საქმე შეტრიალდა და ენციკლოპედიის საქართველოს ისტორიის მთავარი რედაქციის ხელმძღვანელმა, გურამ მეტრეველმა აქეთ მთხოვა გ. ბოჭორიძეზე ხაენციკლოპედიო წერილი დამეწერა. ახე ვეზიარე გიორგი ბოჭორიძის ტრაგიკულ ბიოგრაფიას და საამაყო ღვაწლს... ამჯერად, ენციკლოპედიის მეორე ტომში (თბილისი, 1977) შეგიძლიათ წაიკითხოთ შემდეგი მოკრძალებული ცნობა:

„ბოჭორიძე გიორგი თადეოზის ძე (20. VIII. 1884, სოფ. ნაციხვარი, ახლან. ახმეტის რ-ნი, — 1939), ქართველი საბჭ. ისტორიკოსი, სწავლობდა თბილ. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს 1905 რევ. გამოსვლებში მონაწილეობისათვის. 1922 დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი. 1921, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მუშაობა დაიწყო საქართვ. ცენტრ. არქივში, შემდეგ საქართ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1928-29 ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ისტ. ნივთებისა და საარქივო მასალის მდიდარ კოლექციას მოუყარა თავი და თბილ. და ქუთ. საცავებს გადასცა მრავალი ხელნაწერი. განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ მიკვლეული ჭვარიხას ეპიგრაფიკული ძეგლი (რაჭა) და თაბორის ოთხთავი (მე-11 ს)" (გვ. 495).

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, გ. ბოჭორიძის შემოქმედება მიტოვებული არ არის, როგორც ვნახეთ მისი „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები" გამოსაქვეყნებლად მზადაა. „თუშეთის" აღდგენასა და გამოცემაზე მუშაობს ეთნოგრაფი ნანული აზიკური, „ისტორიულ საბუთებს" დასაბეჭდად ამზადებს ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ლევან რატიანი. ვიმედოვნებთ სხვა ნაშრომებსაც მოეკვლება და გ. ბოჭორიძის მთელი მემკვიდრეობა მზის სინათლეს იხილავს.

* * *

გიორგი თადეოზის ძე ბოჭორიძე დაიბადა 1884 წლის 20 აგვისტოს თუშეთის სოფელ ნაციხვარში (თიანეთის მაზრა, ამჟამად ახმეტის რაიონი) მღვდლის — თადეოზის ოჯახში.

საქართველოს საისტორიო არქივის გ. ბოჭორიძის ფონდის აღწერილობაზე დართულ ბიოგრაფიაში გ. ბოჭორიძის დაბადების თარიღად 1885 წელია მიჩნეული. ამ წელსვე იმეორებს ვ. გურგენიძე. არც ერთს გათვალისწინებული არა აქვს გ. ბოჭორიძის ჩემს მიერ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული თარიღი (1884 წლის 20 აგვისტო), რომელიც ეურდნობა გ. ბოჭორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის ხელნაწერ ავტობიოგრაფიას (ინახება შვილიშვილის თამაზ ბოკორიძის ოჯახში).

საგვარეულო გადმოცემის მიხედვით გ. ბოკორიძის მამა, თადეოზი ქვემო რაჭის სოფელ ჯვარისის მკვიდრი, გვარად ბოკორიშვილი ყოფილა. მამამისს ივანე რქმევია, ამჟამად ოჯახში სხვა წინაპრის სახელი აღარ იციან. რამ აიძულა თადეოზი მშობლიური რაჭა მიეტოვებინა, ცნობილი არ არის, ვარაუდობენ რომ მან მამაპაპათა საძვალე მცირემიწიანობის, ხელმოკლეობის გამო დათმო. უფრო სარწმუნოდ ჩიგვაჩნია, რომ განსწავლული მოძღვარი თადეოზი თუშეთის სოფელ ნაციხვარში მღვდლად დანიშნა, სადაც დაოჯახდა და დარჩა კიდეც. გვარი ბოკორიძე ამ შემთხვევაში ბოკორიშვილიდანაა ნაწარმოები. თადეოზის ზოგი შთამომავალი ახლაც ბოკორიშვილის გვარს ატარებს.

ახლობლები თადეოზს ახოვან, პირმშვენიერ და ფიზიკურად ძლიერ მამაკაცად ახასიათებენ. მისი თაოსნობით სოფელ ნაციხვარში ეკლესია აუგიათ თუ განუახლებიათ, სველ დუღაბზე მარჯვენა ხელის ანაბეჭდი გაუკეთებია, რომელსაც თურმე ვერავის ხელი ვერ ფარავდა.

თადეოზის მეუღლე, თამარ ქაცაძე ალვანში ულამაზეს ქალად ითვლებოდა. იქ დარჩენილია ხალხური ლექსის ფრაგმენტი:

„თუში ბევრი ყავ მთხოვნელი,
იმერელ ეზმანებოდაო...“

ამრიგად, გ. ბოკორიძეს რაჭისკენ „მიწის ყოვლიც“ ეზიდებოდა. ნიშანდობლივია, რომ მან საკუთარ წინაპართა საცხოვრისში განახორციელა შესანიშნავი მეცნიერული აღმოჩენა — „ჯვარისას ძეგლის“ სახით.

როგორც თამაზ ბოკორიძე გადმოგვცემს, მკვლევარს ჯვარისაში არა თუ მოგვარეები მოუძებნია და გაუცვნია, არამედ „ღვიძლი ბაბუიშვილობაც“. დასანანია, რომ ამის შესახებ გ. ბოკორიძის ნაწერებში ჯერჯერობით ვერაფერს წავაწყდით.

თადეოზი ჯერ ნაციხვარის მღვდელი იყო, შემდეგ კი — ალვანისა. დაკრძალულია ალვანის ეკლესიის ეზოში. მას ოთხი შვილი — სამი ვაჟი (გაბრიელი, გიორგი, გიგლო) და ერთი ქალიშვილი — სიდო ჰყოლია. გიგლო ადრე გარდაცვლილა, გაბრიელს ორი ქალი დარჩა, სწორედ ისინი იწერებიან ბოკორიშვილებად. სიდო ალვანს კიმოთე მურთაზაშვილზე გათხოვილა, იგი შვიდი შვილის დედა გამხდარა. ერთ-ერთი ვაჟი რევაზ მურთაზაშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში იბრძოდა. ეს ის რევაზია, რომელმაც უმაღლესი ვეტერინარული განათლება მიიღო და თუშურ ცხვარზე ორი საგულისხმო გამოკვლევა („თუშურ ცხვარზე პიგმენტის გავრცელების კანონიერება, როგორც მენდელისტური დაყავრების შედეგი“, ტფილისი, „მერძევე-მესაქონლეთა კავშირი“-ს გამომცემლობა, 1929; „თუშური ცხვარ[illegible] ტეტო საფუძვლები“, „მეძინდვრეობა-მესაქონლეთა კავშირი“-ს ლაბორატორიის მასალებით“, ტფილისი, „მეცხვარეობის კოლმეურნეობათა ცენტრი“, 1932) დაბეჭდა. ნიჭიერი მკვლევარი და მამულიშვილი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

ასეთ გარემოში იზრდებოდა და ყალიბდებოდა გიორგი ბოკორიძე, როგორც მეცნიერი და მოქალაქე. იგი 1910 წელს ქაჩრეთში მუშაობის დროს დაოჯახდა ჩაილურელ ანა ევგენის ასულ ქევხიშვილზე. შეეძინათ ვაჟი ვახტანგი და ქალი ნათელა. ვახტანგმა ლენინგრადში მიიღო უმაღლესი საინჟინრო განათლება, ცოლად შეირთო ვალენტინა მიხეილის ასულ ბაქრაძე ზემო რაჭის სოფელ ფარახეთიდან, რის გამოც გ. ბოკორიძე ფრიად მოხარული დარჩენილა, რაჭა და რაჭველები ხომ მას გამორჩეულად უყვარდა. ვახტანგისა და ვალენტინას პირმშო თამაზი (თადეოზი) ბოკორიძეთა მოდგმის ღირსეული გამგრძელებელია.

გ. ბოკორიძის ასულმა ნათელამ უმაღლესი ფილოლოგიური განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, თელავში გათხოვდა და ამჟამად ოჯახით იქ ცხოვრობს.

* * *

ტრადიციული თუშური სოფლის ყოველდღიურობამ და სინამდვილემ თვალის ახელვიხთანავე ახაზრდოვა ნორჩი გიორგის ცნობიერება. ჯერ კიდევ ხელუხლებლად შემონახული ეთნოგრაფიული ყოფითი თავისებურებანი, მთიელთა ძნელი, მაგრამ ჰეროიკით აღსავსე ცხოვრება, ლეგენდები, ცეცხლოვანი ხალხური ლექსები, ბრძნული, დინჯი ზღაპრები, თქმულებანგადმოცემანი, გრანდიოზული სახალხო დღესასწაულები, ხალოცავები და კერის კულტი წვრთნიდნენ და აყალიბებდნენ ცნობისმოყვარე, ნიჭიერი უმაწვილის სულს, ადგილის დედის კალთას შეფარებული უკვე იმ სულისკვეთებით გაიზარდნენ, რომ მამულისათვის შესაფერისი სამსახური გაეწია. ქართული წერა-კითხვა მან ნაციხვარში ხარის ბეჭზე ისწავლა, ხოლო პირველდაწყებითი განათლება თელავის სასწავლებელში მიიღო. შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. გ. ბოკორიძის ცხოვრების ეს მონაკვეთი ჩვენთვის სრულიად უცნობია. ვიცით, რომ ოცი წლის ნვერ-ულვაშ აღდაბენებული ჯაბუკი, ქართველი ერის განთავისუფლებისათვის გულანთებული, გალაღებული ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. იგი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი ხდება. მის გულს ილია ჭავჭავაძის მოძღვრების შემდეგ, ყველაზე მეტად, არჩილ ჯორჯაძის იდეები ესალბუნებოდა და სამშობლოს ხსნისათვის თავს არ იზოგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალი ტრიალებდა. ძველი გეშის ანძასავით ირყეოდა თვითმპყრობელობის ტახტი. ამჯერად რევოლუცია დამარცხდა, თბილისის სემინარიის შავრაზმულ ხელმძღვანელობას არ გამოპარვია გიორგი ბოკორიძის შემართება და მამულისათვის თავდადება, იგი 1905 წელს სემინარიის მეექვსე კლასიდან „მგლის ბილეთით" გარიცხეს.[1] პოლიტიკურად არასანდო ახალგაზრდას რაღა დარჩენოდა, პროფესიონალი რევოლუციონერის ეკლიან გზას უნდა გადმოლოდა. მან სამოქმედო ასპარეზად კახეთი აირჩია და მასწავლებელ გიორგი ბურჭულაძესთან ერთად კახეთის სოფლებს არალეგალური ლიტერატურით ამარაგებდა, ფარულ კრებებს, მიტინგებს აწყობდა. სოფელ ალვანში ახლაც შეხვდებით ღრმა მოხუცს, რომელსაც ცხრაკარაზე გიორგი ბოკორიძის მიერ გამართული ხალხმრავალი ბრბობა ახსოვს:

— საქართველოს თავისი მდიდარი ისტორიით და კულტურით ათასწლეულთა მანძილზე დამსახურებული აქვს დამოუკიდებლობა, რომელიც 1801 წელს უსამართლოდ, ბოროტად და ღალატით წაგვართეს. მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე დროა ეს მუხანათობა მოიშალოს და ქართველმა ხალხმა ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვოსო.

ასეთი იყო გ. ბოკორიძის გამოსვლების დედააზრი. მას ეროვნული თავისუფლების გარდა, სხვა თავისუფლება არ სწამდა. არჩევანი სწორი იყო, ოღონდ ამ მეოცნებე და ძლიერი პიროვნებისათვის პოლიტიკური აქტიურობა ჩოგვიანებით სამედიცინო გახდა...

ცხრაკარაზე გამართული მიტინგის გამო გ. ბოკორიძე თიანეთის მაზრის უფროსთან დაბეჭდეს და ეზმიტის ბოკაულმა მისი დაპატიმრება მოინდომა, მაგრამ დევნილმა თბილისს შეფარა თავი. 1906-7 წლებში იგი უკვე რუსეთშია ჯარისკაცად გამწესებული.

1908 წელს სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ „მგლის ბილეთმა" საშუალება არ მისცა წყნარი ცხოვრება დაეწყო. ზერასხულს სამსახურს არ აძლევდნენ და მსტოვართა მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ამყოფებდნენ. როგორც იქნა მთავრობაში მიღებული კაცი თავდებად იშოვა და სოფელ მატანში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ოღონდ ერთი პირობით: კეთილსაიმედობის მოწმობას წარადგენდა. ბუნებრივია, ასეთი მოწმობა ვერ იშოვა. გამოსავალი სამუშაო ადგილის ხშირ-ხშირად გამოცვლაში ნახა. მოიარა საგარეჯო, უანდაურა... ასე წვალებით მიაღწია 1912 წლამდე. სულით და გულით პატრიოტი, ქართველი ერის მოვირნახული ახალ თაობას მართალ სიტყვას ეუბნებოდა, დამბეზღებლებიც არ ილალატებდნენ. თელავის მაზრის პოლიცია მეტად შეშფოთებული გახდა. ადგილი წარმოსადგენია თვით ბოკორიძე რა დღეში იქნებოდა. იგი „ბომთა-ბარეობამ" და მუდმივმა დევნამ მოიკლა. ბოლოს კვლავ ჯარში გაგზავნა დაუპირეს. ორი ზაფხული სამშვიდრო სამსახურს თავი აარიდა და გაციმბირებას ისევ ანაფორის ჩაცმა არჩია.

1912 წელს სოფელ კაჭრეთის მრევლს ახალგაზრდა მღვდელი გიორგი ბოკორიძე წარუდგა და ღვთისა და მოყვასის ურთიერთსიყვარული უქადაგა. ბევრი მღვდელი გამოუცვლია კაჭრეთს, მაგრამ ქართველ ბალხსა და სამშობლოზე ასე გულმხურვალედ შეყვარებული მოძღვარი არავის მოსწრებია.

* * *

სათნო და მშვიდი ცხოვრების იდილია დიდ ხანს არ გაგრძელებულა. მალე 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ კახეთის მოწმენდილ ცაზედაც დაიკუხა... ანაფორამ ვეღარ შეაჩერა გიორგი ბოკორიძის რევოლუციური იდეებით აჩქარებული ახალგაზრდული სისხლი. ცარიზმის ურჩხული დაემხო, იქნებ დადგა ეამი სამშობლოს განთავისუფლებისა?!

ს. ნანიანის ადგილ „კერცხაზე", სადაც გ. ბოკორიძემ მშვიდობიანი ბაზრობა მოაწყო ამჯერად ახლო-მახლო სოფლების ხუთი ათასზე მეტი მცხოვრები შეყარა და მგზნებარე რევოლუციური მიტინგი გამართა. მოძღვარმა ასე იქადაგა:

— ქრისტიანობის ძირითადი მოძღვრება სიყვარული და დათმობაა, მაგრამ როცა სამშობლოს თავისუფლების ბედი წყდება, მაშინ ჭეშმარიტ მართლმადიდებელს უფლება არა აქვს ლოცვის ამარად დარჩეს. საქართველოს თავისუფლებისათვის ჩვენი ქრისტიანი მღვდელ-მთავრები ლაშქარს ჯვრით, ბმლით და დროშით მიუძღოდნენ. დაე, მონობის უღელის დამხობისათვის დღესაც ასეთი შემართებით გავისარჯოთ!

— გაგვიძეხ და თვით მოსკოვს, გინდ იერუსალიმში გამოგყვებითო! — იყო მრევლის მგრგვინავი ასასუხი.

ყრილობამ ახალ მთავრობას საგანგებო მილოცვით მიესალმა და მხარდაჭერა აღუთქვა. გიორგი ბოკორიძე კაჭრეთის მხარის კომისრად აირჩიეს, მაგრამ იგი გრძნობს, რომ მის სამოქმედო ასპარეზად კაჭრეთი და ნანიანი მეტად მცირეა; მტარვალი რუსეთის მეფე ალარ არსებობს, ამიტომ სახელიერო წოდებისათვის თავის შეფარება არ სჭირდებოდა, მღვდლობას თავი დანება და 1918 წელს ახალგახსნილ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიო დარგზე შეეიდა. ასე გაიცნო მან ეროვნული უნივერსიტეტის დამა-

1 ე. ბერგენიძე, ისტორიკოსი გიორგი ბოკორიძე (დოკუმენტები მოგვითხრობენ), „ალბნელ ისტორიის", ნაკრები, 1986. № 6, გვ. 161

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული. სულმნათი ივანე ჯავახიშვილი, გაიცნო და დედამიწაზე მოვლენილ სახიერ ქრისტედ ჩასთვალა. კავრეთელმა მოძღვარმა საქართველოს სულმდებელი და მოძღვართ-მოძღვარი იპოვნა. მასთან ურთიერთობაში მიხვდა, რომ „პარტიობანა" მისი მოწოდება არ იყო. ყველაფერი უნდა ანაცვალოს ეროვნული ისტორიის სამსახურს. „სამკალი ფრიად არს". მკელია ცოტა. ამიტომ მემატიანის მძიმე, მომქანცველი შრომა უნდა იკისროს. „მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო" — ღვთის პირით მეტყველებდა დიდი ივანე, თან ყოველ ლექციაში მოქმედების მთელ პროგრამას სახავდა.

იგი გატაცებით ეწაფებოდა ცოდნას, ეუფლებოდა ძველ ქართველ მემატიანეთა და მწერალთა მემკვიდრეობას. სწავლობდა ძველსა და ახალ ენებს, სამეცნიერო წვრთნას თვით ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გადიოდა და სტუდენტობიდანვე მეცნიერ-მკვლევარად ყალიბდებოდა. იგი განსაკუთრებით დაოსტატდა ქართულ ეპიგრაფიკასა, ეთნოგრაფიასა და ხელოვნებათმცოდნეობაში. საეკლესიო სიძველეების შემეცნებითად ათვისება ძალიან გაუადვილა სასულიერო განათლებამ და შთამომავლობით მღვდლობამ. მართლაც, ბედის ირონიაა, ქვეყანა რევოლუციურმა აღტკინებამ, ახლისძიებამ და შენებამ მოიცვა, გ. ბოკორიძემ კი თავისი არსებობის მიზნად სიძველეთა გამოვლენა, შესწავლა და დაცვა-შენარჩუნება აქცია. არჩევანი საბედისწერო გამოდგა, მაგრამ ბედისწერის წინააღმდეგ ვინ წასულა?!

გიორგი ბოკორიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1922 წელს დაასრულა, ეს არის ეროვნული უნივერსიტეტის პირველი გამოშვება. საქართველოში აღზრდილი და განათლებული ქართველ მოღვაწეთა პირველი თანავარსკლავედი, რომელთაც სამშობლოს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს. მათ შორის გ. ბოკორიძეს ღირსეული ადგილი უჭირავს.

ხელმოკლე ჭაბუკი უნივერსიტეტში სწავლას — 1918-1921 წლებში, საქმისმწარმოებლად მუშაობას უთავსებდა. იგი მოღვაწეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს, დამფუძნებელი კრების და ბოლოს რევკომის კანცელარიებში. ესეც ბედისწერაა. ქართველი ხალხის გულისძგერა, სიკეთე თუ ჭირვარამი ესმოდა და ახალგაზრდა ისტორიკოსის სულს აკაუებდა. ასეთი გაკაუების შედეგად შესძლო მან საკუთარ თავში უდიდესი თვითპასუხისმგებლობის გამომუშავება და არჩეული საქმის შესრულებისათვის ტიტანური შეუპოვრობა. სხვანაირად ერთი კაცი ასის გასაკეთებელს ვერ ასწევდა, მშობლიური ერისათვის ესოდენ მდიდარ, მრავალფეროვან ფასდაუდებელ საუნჯეს ვერ გადაარჩენდა.

1921 წლის 25 თებერვალი გ. ბოკორიძის ცხოვრების გზის მიხაკციელია. მან პოლიტიკურ მოღვაწეობაზე მთლიანად [illegible] და მთელი თავისი შესაძლებლობანი მეცნიერების სამსახურს მოახმარა. სამუშაოც შესაფერისი აირჩია, საქართველოს ცენტრალურ არქივში იგი ჯერ ინსპექტორად, არქივარიუსად, უფროს არქივარიუსად, 1927 წლიდან ძველ საბუთთა განყოფილების, იგივე სექციის გამგედ მუშაობდა. იყო საქართველოს ცენტრალური არქივის სამეცნიერო საბჭოს და სამეცნიერო-საგამომცემლო კოლეგიის წევრი. მისი თანამდებობა ოფიციალურად ასე აღინიშნებოდა: „ძველი საბუთების არქივის (თბილისი, ლენინის ქ. № 48) გამგე".[1]

მოშურნეთა წყალობით, საბოლოოდ გ. ბოკორიძეს არქივის დატოვება მოუხდა. 1934 წელს ის უკვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, სადაც 1937 წლამდე —დაპატიმრებამდე დარჩა. არქივში მუშაობის დროს გ. ბოკორიძეს ჰქონდა შეთავსება განათლების კომისარიატთან არსებული სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის ხელქვეით არსებულ სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილებაში. ამ განყოფილების ერთ-ერთ ანგარიშში ვკითხულობთ: სამწუხაროდ, განყოფილების მუშაობა ძლიერ შეფერხებულია უსახსრობის გამო. „ძეგლები იღუპება ჩვენს თვალწინ, ფრესკები ირეცხება წვიმისაგან და ხშირად სულ ცოტა თანხაა საკმარისი პირველხარისხოვანი ძეგლების გადასარჩენად. მაგრამ განყოფილებას არა აქვს საშუალება სათანადო ზომები მიიღოს.

განყოფილებას ჰყავს მუდმივი ინსპექტორის თანამდებობის როლში ცენტრარქივის თანამშრომელი გიორგი ბოკორიძე, რომელიც თითქმის მუდმივ მგზავრობაშია, კრებს ნივთებს (უმთავრესად ჯერჯერობით საეკლესიოს, მაგრამ ამასთანავე საერთოდ ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის სხვა ნივთებსაც), რომელთაც შემდეგ განყოფილება ათავსებს ერთ-ერთ მუზეუმში, ღებულობს ადგილობრივ ზომებს ძეგლების დასაცავად და აგრეთვე ახდენს ძეგლების აღრიცხვას".

გ. ბოკორიძემ შეუძლებელი შესძლო. ყველა დაბრკოლება გადალახა (მათ შორის გამიზნული ჩასაფრებანი და მავნებლური ხელისშეშლა) და „ძველი საბუთების არქივს" თანამედროვე, მეცნიერული სახე მისცა. საქართველოს ცენტრალური არქივის საცავებში თავი მოიყარა ეროვნული ისტორიისათვის სასიცოცხლოდ საჭირო წერილობითმა წყაროებმა. 1922-28 წლებში ცენტრარქივში გადმოტანილი იქნა 23 არ-

1 საქართველოს არქივი, წ. II, ცენტრარქივის გამოცემა, სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი მმართველობა. ტფ. 1927, გვ. 192-193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქივი: მეფის ნაცვლის კანცელარიისა (ნაწილი), ტფილისის გაუქმებული ბანკებისა, საერობო კავშირისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, პირველი უბნის მომრიგებელ მოსამართლისა, წითელი ჯვრის საზოგადოებისა, საქართველოს ქალაქთა კავშირისა, რუსეთის ეროვნული საბჭოს არქივის ნაშთი, კავკასიის ბანკისა, მენშევიკების დროის არქივი (სამხედრო კომისარიატიდან), ნოტარიუსებისა (საქალაქო სასამართლოდან), სასინოდო კანტორისა, ეგზარხოსისა, ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისა, საავტომობილო საზოგადოებისა, უბნის სასამართლოებისა და სხვა.

გ. ბოჭორიძის ხელმძღვანელობით, თბილისის რკინიგზის სადგურიდან გადმოტანილი და ცენტრარქივში შენახული იქნა რუსეთიდან დაბრუნებული არქივები: კრასნოდარიდან 4 ვაგონი, სტავროპოლიდან 7 ვაგონი და კავკასიიდან ერთი ვაგონი.

3. გურგენიძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებიდან ერთი საგულისხმო ამონაწერი მოაქვს: საქართველოს ცენტრალური არქივის თანამშრომელმა გიორგი ბოჭორიძემ კახეთიდან ჩამოიტანა და თბილისის უნივერსიტეტის ნუმიზმატიკის კაბინეტს ჩააბარა სპილენძის ფულების დიდი კოლექცია, წონით 23 გირვანქა. ეს განძი მისთვის გადაუცია გურჯაანის სასამართლოს თავმჯდომარეს ილია მბეიძეს. მას ფული ჩამოურთმევია გურჯაანის რკინიგზის სადგურზე ორი თელეველი მეეკვიბისათვის. ამათ აღნიშნული განძი ადგილობრივი ლეკი მკალავისაგან უყიდიათ.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ეს მონაპოვარი წარმოადგენს თამარ მეფის მიერ 1200 წელს მოჭრილ მონეტებს, რომელთაც აქვთ არაბულენოვანი წარწერა:

„დედოფალი დედოფალთა,
მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა,
თამარ, ასული გიორგისა,
მეხიის თაყვანისმცემლისა" (თსუ შრ., 1938, №1, პირველი სერია, გვ. 281-298).

თბილისში საქმეების მოწესრიგების შემდეგ, რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატმა, რომელიც საქართველოში მეცნიერული საქმის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, საქიროდ ჩასთვალა, რომ გ. ბოჭორიძის ძალა და ენერგია პერიფერიებშიაც გამოეყენებინა.

მართლაც გიორგი რესპუბლიკის განათლების კომისარიატმა ყველა საჭირო უფლებებით აღჭურვა და 1923-1926 წლებში თანმიმდევრულად მიავლინა ქართლს, კახეთს, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმსა და სამცხე-ჯავახეთში. მთელი სამი წელიწადი მოგზაურობაში გაატარა. ტრანსპორტის მაშინდელი საშუალებანი ყველას კარგად მოეხსენება. იშვიათად ცხენით, ზშირად კი ფეხით მიდიოდა. მშიერ-მწყურვალი, ხვატსა და უინვაში ღამეს სადმე შეკედლებული ათევდა. სასტუმროების ქსელი რა [illegible] ლაც არ გვივარგა. მაშინ საზოგადო თავშესაფარი საერთოდ არ იყო. გაპარტახებულ სოფლებში საშინელი გაჭირვება და შიმშილი სუფევდა. გარემო მტრული და საშიში იყო. რევოლუციის იდეებით აღფრთოვანებულ „წითლებს" „ძველის" მაძიებლობა ფრიად საეჭვო საქმედ ეჩვენებოდა. ჩხრეკა, დაპატიმრება, დამცირება-შეურაცხყოფა ჩვეულებრივი, ყოველდღიური განსაცდელი გახდა. არჩეული მიზნის სიდიადე რომ არა, ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩანერგილი მამულის რწმენა რომ არა, თვით გიორგი ბოჭორიძეც გატყდებოდა. პოზიციებს დათმობდა და რიგითი არქივარიუსის ან მასწავლებლის მცირე საზრუნავს დასჯერდებოდა. მაგრამ მან მეცნიერის მძიმე შრომა არჩია. წლობით მოგზაურობდა და მიღწეულმა შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

1923 წლიდან 1934 წლამდე გ. ბოჭორიძემ მოგზაურობათა, როგორც თვითონ უწოდებს „გარემბრობის" დროს, აღრიცხა 800 ისტორიულ-მონუმენტური ძეგლი: მოაგროვა: 228 ისტორიული ნივთი, 540 ხელნაწერი წიგნი, 200 ძველი სტამბის წიგნი; 28 წარწერიან-ქანდაკებიანი ქვა (ამათგან 18 თბილისსა და კუთაისში ჩამოიტანა, ხოლო 15 სამცხის ცენტრალურ ადგილებში დააბინავა); შეკრიბა: 3550 სიგელ-გუჯარი და ძველი საბუთი, 10 ტილოზე ნახატი საერო სურათი, სამი კოლექცია ფულებისა, ორი კოლექცია არქეოლოგიური ნივთებისა და სხვა.

ყველა მონაპოვარი, პროფილის მიხედვით, ჩააბარა შემდეგ დაწესებულებებს: თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმს — ისტორიული ნივთები 142 ნომრით, წარწერიან-ქანდაკებიანი ქვები 8 ერთეული; უნივერსიტეტისავე სიძველეთსაცავს — ხელნაწერი წიგნები 78 ცალი. იქვე ნუმიზმატიკურ კაბინეტს — ერთი კოლექცია ფულებისა; საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს — 72 არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ნივთი, 27 ხელნაწერი წიგნი, არქეოლოგიური ნივთების კოლექცია, ფულების ერთი კოლექცია; საქართველოს ცენტრალურ არქივს — 3450 სიგელ-გუჯარი და ძველი საბუთი, 223 ხელნაწერი წიგნი, 200 ძველი სტამბის წიგნი; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს — 10 არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ნივთი, ერთი არქეოლოგიური კოლექცია, ერთი წარწერიანი ქვა; საქართველოს ეროვნულ გალერიას 10 სურათი; ქუთაისის საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმს — 882 ისტორიული ნივთი, 252 ხელნაწერი წიგნი, 100 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთი, სამი წარწერიანი ქვა და სხვა.

გიორგი ბოჭორიძის საქმიანობა, კერძოდ კახეთიდან ისტორიული ღირებულების მქონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივთების ჩამოტანა და დედაქალაქის საცავებში მოთავსება. მაშინდელ გაზეთებში მაღალ დონეზე შეფასდა და ამის შესახებ ფართო საზოგადოებრიობას ეუწყა („კომუნისტი", 1925, № 154, 8 ივლისი, გვ. 3-4).

ვახტანგ გურგენიძე აღნიშნავს, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თხოვნით, გ. ბოჭორიძე სამეცნიერო მასალების შესაკრებად განუწყვეტლივ მოგზაურობდა და შვებულებასაც ამ მიზნით იყენებდა. 1928 წელს მან მოიარა საინგილო — ზაქათალას, ნუხისა და გეოგჩაის მაზრები, 1929 წელს ქართლს ეწვია, კავთურისა და ქსნის ხეობები შეისწავლა, მიუხედავად მოუცლელობისა, იგი მაინც ახერხებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და „ნარკვევების" მთელი სერია შექმნა. ამათგან აღსანიშნავია „გურიის საბუთები" (1572-1815); საქართველოს სხვადასხვა კუთხის ძეგლთა სიები, თბილისის, ქართლის, კახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, საინგილოს ეკლესია-მონასტრების, იქ დაცული ნივთების, ხელნაწერებისა და წიგნების აღწერილობანი; იოანე იალღუზიძის ბიოგრაფიული ნარკვევი და სხვა.

მეტად მნიშვნელოვანია გამოკვლევა თუშეთის შესახებ. ჯერ ერთი, ეს ნაშრომი დაიწერა ალ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, მის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით; მეორე, აქ გადმოცემულია თუშეთის ისტორიის, ყოფის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისა და შინარეწვის, სამეურნეო იარაღების, საოჯახო ხელსახმარის, ავეჯის, მცხოვრებთა წეს-ჩვეულებების, ზეპირსიტყვიერების, დღესასწაულების, სალოცავებისა და სხვათა უძვირფასესი და უნიკალური მონაცემები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ძველად არსებული სოფლების უმეტესობა, სადაც ეს მასალები შეგროვდა, დღეს არ არსებობს, მაშინ უფრო გასაგები გახდება ამ მონოგრაფიის მნიშვნელობა. იგი, სამწუხაროდ, ჯერ არ არის გამოქვეყნებული (შავი პირი დაცულია გ. ბოჭორიძის პირად ფონდში, რომელიც ინახება საქართველოს სსრ ცსსა-ში).

ვ. გურგენიძის დასკვნით, როცა გ. ბოჭორიძის მუშაობას ეცნობი, დაუჯერებლად გეჩვენება, როგორ შესძლო ერთმა კაცმა მოკლე დროში ამდენის გაკეთება. მისი ხელით გადმოღებული ბევრი წარწერა დღეს ერთადერთი წყაროა, ბევრიც დაიკარგა და უფრო მეტიც განადგურდა. წინასწარ ერთის თქმაც შეიძლება: გ. ბოჭორიძის შემდეგ (კახეთს შეეხება ეს, ქართლს, რაჭა-ლეჩხუმს, მესხეთ-ჯავახეთს, თუ საქართველოს რომელიმე კუთხეს) ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხებზე დაწერილი ნაშრომები სრული არ იქნება, თუ არ გამოიყენებთ ამ დიდებული მკვლევარის მოძიებულ და შეგროვებულ მასალებს. მისი, როგორც მეცნიერის ავტორიტეტზე მიუთითებს ... შვილის მიერ დავალებული და მისგანვე მოწონებული ქართული წყაროთმცოდნეობისათვის ესოდენ საჭირო მეთოდური სახელმძღვანელოს — „საბუთების გამოცემის წესის" შედგენა.[1]

ქართველი ხალხის მოძღვარს — სულხან-საბა ორბელიანს, მრავალთა შორის, ერთი გენიალური განმარტება აქვს: „შ ე ბ ი ა რს მწუხარებაი სხვსა კეთილსა ზედა". მოშურნეთა ჩასაფრებისა და ხელისშეშლის მიუხედავად, გ. ბოჭორიძემ შეუძლებელი შესძლო, იმდენი რამ გააკეთა, შესაძლოა ექვთიმე თაყაიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის ღვაწლს შევადაროთ. ჭარმაგობის ასაკში, როდესაც უმაწვილკაცობის, ჭაბუკობის მონაპოვარი მეცნიერული სიბრძნითა და სიმწიფით უნდა გაეაზრებინა, უმუხთლეს, ხიცოცხლეს გამოსალმეს... ამით მოურჩენელი ჭრილობა მიაყენეს ეროვნულ ისტორიას, რაც მოასწრო, საერთო აღიარება მოიპოვა, მეცნიერულ მიმოქცევაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მისმა გამოკვეყნებულმა ნაშრომებმა. ამათგან ერთ-ერთი პირველია „ორი ფიქალწერილი" (საისტორიო მოამბე, 1925, წ. 1, გვ. 176-181). სოფ. მეჯვრისხევში (შიდა ქართლი), ვ. და პ. ფსიტიძეების ოჯახში გ. ბოჭორიძეს უნახავს ქვაზე ნაწერი საბუთები, როგორც თვითონ უწოდებს „ფიქალწერილი"; ფსიტიძეებს ეს წარწერიანი ქვები ჩამოუტანიათ მეჯუდის ბეობაში, მეჯვრისხევის ჩრდილოეთით მდებარე, სოფელ ჭალის-უბნიდან, სადაც მათ მამას ჰქონია ადგილ-მამული და ბინადრობა. ქვები წარწერიანი პირით გარეთ სახლის კედელში ყოფილა ჩატანებული. ფსიტიძეთა წინაპრად, ოჯახში შემონახული გადმოცემის თანახმად, გუდამაყრიდან გადმოსული ეფციაური ითვლება. გ. ბოჭორიძისათვის მათ განუცხადებიათ, რომ „მეფე ვახტანგს ჩვენი მამა-პაპისათვის მამული მიუცია და ეს ამ ქვებზე დაუწერიაო"-ო. ამიტომ აღნიშნულ ქვებს საგვარეულო რელიკვიად თვლიდნენ. გიორგიმ დაარწმუნა ფსიტიძეები, რომ ეს ასომთავრულით და ნუსხახუცურით ნაწერი იშვიათი ძეგლები მხოლოდ საოჯახო ღირებულებისა არ იყო და ისინი მეცნიერების კუთვნილებად აქცია. ასევე მან სოფ. მერეთში (შიდა ქართლი) აღმოაჩინა და მუზეუმს გადასცა მე-18 ს-ის წერილობითი ძეგლი „ფურცელაანთ ქრონიკა, რომელიც „საისტორიო მოამბეში" გამოქვეყნდა (1925, 4. I, გვ. 176-181).

გიორგი ბოჭორიძე ქართული ხელნაწერების მეცნიერული შესწავლის სათავეებთან იდგა, რაც მოკლედაა ახახული საანგარიშო ნაშრომში — „ძველი ქართული საბუთები და ხელნა-

---

1 ვ. გურგენიძე, დას. ნაშრომი, გვ. 165-166.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერი წიგნები" (საქართველოს არქივი, ნ. I. 1926, გვ. 22-28). ამავე ორგანოში დაბეჭდილი „კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა" (1927, ნ. III, გვ. 118-204). დღესაც ამ ტიპის სტატისტიკური აღწერილობათა გამოქვეყნების ნიმუშად რჩება; „ჭვარისას ძეგლი" ეროვნული კულტურის საგანძურში ფასდაუდებელი აღმოჩენაა (საქართველოს არქივი, 1927, ნ. III, გვ. 206-208).

„1925-1927 წწ. გ. ბოჭორიძემ გამოავლინა VII-XI სს. ,ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები: წარწერა ქვაჭვარის კვარცხლბეკზე, სოფ. ნუიისიდან (VII ს.), წარწერა გრიგოლ საკვირველმოქმედის ხატზე სოფ. ჭვარისას ეკლესიიდან (X ს.), ორი ეპიგრაფიკული სიბუთი „ბელი" და „დაწერილი" მეჯუდის ხეობიდან (X ს.), რიგი ნაწარმოებისა რაჭიდან (X-XI სს)".[1]

„რაჭის სიძველეების შესასწავლად და აღსარიცხად, აგრეთვე ზოგიერთი მათგანის შესაკრებად მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარა გ. ბოჭორიძემ 1925-1926 და 1927 წლებში. რაჭაში მოგზაურობის დროს შეკრებილი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი მან გამოსცა „საქართველოს მუზეუმის მოამბის" V, VII და VIII ტომებში. მაგრამ, სანამ რაჭის ქართული ლაპიდარული წარწერების გ. ბოჭორიძის მიერ განხორციელებულ პუბლიკაციას შეეებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ მან 1923-1926 წწ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს აღმოაჩინა და პირველმა შეისწავლა ისეთი უმნიშვნელოვანესი ქართული ეპიგრაფიული ძეგლები, როგორიცაა: 1. ორი წარწერა მეჯუდას ხეობიდან — ა. პელი ცხრაზმისხევის პევისუფალთა და ბ. დაწერილი ზაზისა და თოთისა; 2. საჭაკუბტის წარწერა გრიგოლ საკვირველმოქმედის ხატზე (ხატი თავის მხრივ ჭვრის ბუდის კარს წარმოადგენს). რაჭის სოფელ ' ჭვარისიდან; 3. ნუიისის წარწერა — ჭვარი კონსტანტი სტეფანესა და გუდას ძისა; მთელი რიგი ლაპიდარული წარწერები რაჭიდან, რომელთა შესახებ ქვემოთ აღვნიშნავთ.

წერილების სერიაში — „რაჭის ისტორიული ძეგლები", გ .ბოჭორიძემ გამოსცა რაჭის სოფლების ლაპიდარული წარწერები: პატარა ონის, ბუგეულის, ქედისუბნის, ნიკორწმიდის, გორისუბნის, ბარეულის, მიქარწმიდის, ამბროლაურის, ბოტევის,კორტის, ზემო კრიბის, ნესის (ბარაკონის ღმრთისმშობლის), სხვავის, ველტაეევის, მრავალძის (მთისკალთის), ჭოისუბნის (შროშისუბნის) და სომიწოს ეკლესიებიდან. ზოგიერთი ამ წარწერიდან მან გამოავლინა, მანვე გამოსცა ბევრი მაგალითი. [illegible] ლად. მათ შორის უნდა აღინიშნოს XI ს-ის პირველი ნახევრის წარწერები პატარა ონის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან (ორი წარწერა — სამშენებლო და კანკელისა) და წმ. გიორგის ეკლესიიდან (კარიბჭის სამშენებლო — კახა ერისთავის), მიქარწმიდის ეკლესიის სამშენებლო წარწერა, პელი სოფელ კრიხის — ზემო კრიხის ეკლესიაზე (XI ს-ისა) და სხვა".[1]

* * *

გიორგი ბოჭორიძე არა მარტო ფართო ჰორიზონტის მკვლევარია, რომელსაც საქმის საოცარი სიყვარული, შრომისმოყვარეობა და თავდადება ახასიათებდა, არამედ გულმხურვალე მამულიშვილიც. ის არ ერიდებოდა მტკივნეულ თემებს და საკუთარ აზრს გულწრფელად, შეუფერადებლად გადმოსცემდა. ასეთია მისი ყველა ნაშრომი, განსაკუთრებით კი „ტყვეობა საქართველოში" (სცსსა, გ. ბოჭორიძის პ. ფ. № 1758, ს. № 24 (182) და „სამხრეთ ოსეთი" (იქვე, ს. № 88 (148) და სხვა. იქნებ ესეც გახდა საბაბი 1937 წელს მისი უკანონოდ დაპატიმრებისა და ფიზიკურად მოსპობისა. მკითხველისათვის გ. ბოჭორიძის პოზიცია, რომ ნათელი იყოს, აქვე მთლიანად ვაქვეყნებთ მის „ცნობას" „სამხრეთ ოსეთში მოყოლილი ქართული მოსახლეობის შესახებ":

1. „სამხრეთ ოსეთში მოყოლილია დიდძალი ქართული მოსახლეობა, სახელდობრ:

1. ქ ს ნ ი ს ხ ე ო ბ ა ზ ე 60-ზე მეტი დიდი და პატარა სოფელი (ე. ი. ხეობის 2/3-ზე მეტი ნაწილი): ახალგორი, კორინთა, ახმაჯი, იკოთი, ალევი, ბაზუანთ-კარი, თეფანთ-ციხე, ბოლი, გეგავი, ერედა, ლომისნევი, მორბედაანთ-კარი, ყანჩავეთი, ყანჩაათ-კარი, ძეგლევი, აბრამიანი, ახალბედა, ახლაური, გავაზი დაბაკნეთი, დადიანეთი, დოჩიანთი, ელოიანი, ზოდები, იფნევი, ლევანიანი, მარტიანი, მაჭარაანი, მაბიარეთი, მეწყერი, მოჩალეთი, მუნჯური, მონასტერი, საპორეთი, საძეგური, უკანუბანი, ყველდაბა, სოხთა, შველეთი, ჩიტიანი, ცხავატი, ჭორეისი, ხარბალი, ხორტი (ლაურულეთი), ხუციანი, თინიკაანთ-კარი, კენკაათ-კარი, ლოტვიანთ-კარი, მედელაანთ-კარი, ჭარელთ-კარი, ხოზუეთი, წიფთაური, ბუდაწვერი, მეზევრეთი, გრუა, კორინთა, ქურთა, წირკოლი, ბერკალეთი და სხვ; სულ 1450 კომლი, 8,330 სული.

2. მ ე ჯ უ დ ი ს ხ ე ო ბ ა ზ ე (ცხინვალის რაიონი) 4 სოფელი: დავლიანთ-კარი, ზემო-ველთა, ქვემო-ველთა, ისროლისხევი; სულ 60 კომლი, 324 სული.

---

1 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 17.

1 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. პატარა ლიახვის ხეობაზე (ცხინვალის რაიონი) 14 სოფელი: აწრისხევი, ბელოთი, ბოშური, ვანათი, საცხენისი, დისევი, დმენისი, კულბითი, სნეკვი, ქსუისი, ჭარები, ერედვი, ფრისია, არგვისი; სულ 634 კომლი, 3692 სული.

4. დიდი ლიახვის ხეობაზე (ცხინვალისა და ჯავის რაიონები) 13 სოფელი: ცხინვალი, დგვრისი, თამარაშენი, მამისაანთუბანი, ხეითი, ქვემო-აჩაბეთი, ზემო-აჩაბეთი, ძარწენი, კეხვი, მონასტერი, სვერი, ქემერტი, ქურთა; სულ 1,330 კომლი, 7,448 სული.

5. ფრონეს ხეობაზე (ოქონის (?) რაიონი) 18 სოფელი: ოქონი თიღვა, ალიბანი, ახალშენი, გიორგიწმინდა, ტყისუბანი, ნაბაკევი, ნედლათი, სუნისი, შინდარი, ხუნდისუბანი, ავნევი, არკნეთი, ნული, ლაფანი, ბზისხევი, პატკინეთი, კოლეთი; სულ 855 კომლი, 3,855 სული.

ხუთსავე ხეობაში სულ ერთად: 1,129 კომლი, 23,460 სული.

II. ოსეთში მოყოლილი ქართველები ყოველმხრივ საშინლად შევიწროვებულნი არიან; ისინი აშკარა ტყვეებად გრძნობენ თავს; საქართველოდან სამსახურის საქმეზე მისულ კაცს ისინი თავს ევლებიან და თავიანთ ჭირ-ვარამს ოხვრითა და კვნესით შეხვიენან: „რა გვიყვეს ჩვენმა ძმებმა, ამათ (ე. ი. ოსების) ხელში რად ჩაგვყარეს, განა ჩვენ ქართველები არა ვართო?“ ეუბნება ერთი; „მენშევიკებისგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიგვცეს ჩვენ ამათ ხელშიო“, ამბობს მეორე.

საბჭოთა ტერიტორიაზე, ვგონებ, არცერთი მოსახლეობა არ უნდა იყოს ისე აბუჩად აგდებული და საზოგადო მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებული, როგორც ეს ოსეთის ქართველობაა.

III. მენშევიკების მიერ მიყენებული შევიწროვების ნიადაგზე ოსები აშკარად შურს იძიებენ ქართველებზე. ამას სჩადიან ისინი საბჭოთა ხელისუფლების მთელ სიგრძეზე. მაგრამ აშკარაა, პირღია ქართველჰამიამობას ოსები იჩენენ განკულაკების დროს. განკულაკება ოსეთში ისეთი ფორმით მოხდა, როგორიც არსად არ მომხდარა: ისინი ნაციონალისტები განკულაკებას კი არ აწარმოებდნენ, არამედ თავიანთ ფარულ ნაციონალურ ზრახვებს ახორციელებდნენ: ისინი აშკარად ქართველებს ერეკებოდნენ. შემდეგ, განკულაკებულთ ერთი ხელი ლოგინისა და იმის გარდა, რაც ტანზე ეცვათ, სხვა არაფერი დაანებეს და ყველანი შიშველ-ტიტველნი გამოდევნეს; ბოლოს, მრავალი სომეხთაგანი (განკულაკებული) უკანვე დააბრუნეს, ხოლო ქართველთაგანი კი თითქმის არავინ.

IV. ქართული ენა იდევნება ქართულ სოფლებში: მიწერ-მოწერა და სხვა ჯერ რუსულად სწარმოებდა, ბოლო ახლა, ოსურად, ქართული კი განდევნილია.

V. სამართალი მიდგომითია; ყველაფერში აშკარა გადახრა არის ოსების მხარეს. თვალში ამოღებული კაცისათვის სამართალი არ არსებობს. 1929 წლიდან სასამართლოში საქმის წარმოება, ჩვენების მიცემა და პროცესი ოსურად შემოიღეს. ხოლო ამაზე ადრე — 1928 წელს, ახალგორში, თედეევის დროს, რუსულად უნდა ეოფილიყო დაწერილი; ძლიერ იშვიათი შემთხვევა უნდა დაეშვა, რომ ქართული განცხადება მიეღოთ.

VI. ქართველ ქალზე თარეში და აღვირახსნილობა ფართო მასშტაბით სწარმოებდა: ქალებს იტაცებდნენ და აუპატიურებდნენ; თუ ვერ მოიტაცებდნენ, ოჯახს გადაეკიდებოდნენ და აიძულებდნენ ქალის მიცემას. 1923 წელს თიღვის ერი ქართველს ოსებმა მოსტაცეს ქალი; პატრონმა ბევრი სდია: იჩივლა ცხინვალში, ტფილისში; ვერაფერი გაიგო და სხვა მრავალი.

VII. ადგილ-მამულის მფლობელობის საქმეში უპირატესობა ოსებს ეძლევა.

VIII. გადასახადს პირველ ხანებში მარტო ქართველებს ახდევინებდნენ, ხოლო შემდეგ კი აშკარად ქართველ გლეხებს სტვირთავდნენ.

IX. სკოლებს უხსნიან ოსებს, ქართველებს კი იშვიათად. 1921-1924 წლებში ქართველ მასწავლებლებს ეკვეს-შვიდ თვეს ჯამაგირი არ მისცეს, რის გამოც ბევრი მასწავლებელი იძულებული გახდა სკოლისათვის თავი გაენებებინა და წასულიყო. ამის შემდეგ სკოლაც იკეტებოდა. მოსახლეობა სკოლას თხოულობდა, ეუბნებოდნენ:

— „თუ გინდათ ოსურ სკოლაში ატარეთ შვილები, თუ არა და თქვენთვის სკოლას ვერ გავხსნითო“.

საერთოდ, ოსური სკოლები ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, ქართული კი უნუგეშო მდგომარეობაშია.

ოსური ენა სავალდებულო საგანია ქართულ სკოლებში (შვიდწლედებში), ხოლო ქართულ ენას ოსურ სკოლებში ადგილი არა აქვს (თუმცა პროგრამაში კი უწერიათ). მითუმეტეს, რომ ოსმა მასწავლებლებმა ქართული ენა არ იციან.

ზოგიერთი ოსი თხოულობდა, რომ მისი შვილებისათვის ესწავლებინათ ქართული ენა, როგორც გამოსაყენებელი საგანი, მაგრამ ამაზედ მტკიცე უარი უთხრეს.

წარმოდგენებს ქართულ სკოლებში არავითარ დახმარებას არ უწევენ, რადგან ქართული წარმოდგენები მათთვის სასიამოვნო არ არის.

X. ქართულ სოფლებში კულტურული მშენებლობის ნასახიც არ არის (გადასახადი კი ყველაზე მეტი წილი ამათგან იკრიბება).

XI. მოსამსახურეებად მილიციიდან დაწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სულ ოსებს იღებენ. სომხებს უფრო ძალლევენ ადგილს ვიდრე ქართველებს.

XII. ყველა ზემოხსენებულის ფაქტიური მასალა უამრავია ოსეთის ქართულ სოფლებში მოსახლეობის სტატისტიკური ცნობები ამოღებულია „ს. ხ. ცაკის სორგ. განყ. გამოცემიდან: საქართველოს „ს. ს. რ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1930, ტფილისი".

* * *

მონოგრაფია — „რაჭის ისტორიული ძეგლები" ფრიად თავისებური და ორგინალური ნაშრომია. ავტორი შესავალში აღნიშნავს, რომ „ამით ვიწყებ იმ საისტორიო (უმთავრესად ეპიგრაფიული) მასალების ბეჭდვას, რომელიც აღწერილი იქნა ჩემს მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს 1923-26 წლებში". ე. ი. „რაჭის ისტორიული ძეგლები" ნაწილია იმ ვრცელი სამუშაოსი, რომელიც გ. ბოჭორიძემ შეასრულა. როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, მკვლევარი ისევე დაამუშავებდა სხვა კუთხეების მასალას და მოგვცემდა მონოგრაფიათა მთელ ციკლს, რაც, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

20-იან წლებში ანტირელიგიურმა ბრძოლამ მახინჯი ხასიათი მიიღო. სარწმუნოების მიმართ მტრულად განწყობილი ვანდალები ეკლესიების ნგრევას და განძეულობის დატაცებას შეუდგნენ...

საქართველოში დამკვიდრებული თუ წარმოშობილი უძველესი ჩვეულების თანახმად, ქართველი კაცი რასაც კარგს, არაჩვეულებრივს ნახავდა — ძვირფასეულობას, არქეოლოგიურ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნივთს ან წერილობით ძეგლს, ყველაფერს ხელუხლებლად ეკლესიას ჩაბარებდა, სადაც მას დაიცავდნენ და შთამომავლობას შემოუნახავდნენ. როგორც წესი, ეკლესიიდან ნივთის გატანა მკრეხელობად ითვლებოდა და ამას ავაზაკის გარდა, ვერავინ ჩაიდენდა. ამრიგად, საქართველოს ეკლესიები სიძველეთა საცავებს წარმოადგენდნენ და საუკუნეთა მანძილზე ეროვნულ საუნჯეს საიმედოდ ინახავდნენ. 20-იან წლებში ეს წმინდა ჩვეულება ერთბაშად მოიშალა. ხალხის ისტორიული სიმდიდრე შემზარავი საფრთხის ნინაშე აღმოჩნდა, ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსებულ იქნა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი, რომელიც ეროვნული საგანძურების გადარჩენას შეიცავდა. უკვე ვიცით, რომ კომიტეტის ერთ-ერთი ბურჯთაგანი გიორგი ბოჭორიძე იყო. მანაც დაიწყო მოგზაურობა. ჯერ თელავის მაზრაში იმუშავა, შემდეგ მთელი კახეთი მოიარა, ასევე ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, სამხრეთ-ჯავახეთი, ხაინგილო, ხევი და ა. შ.

„ვინაიდან ხარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდა ძველს ყველაფერს ნთქავდა. სპობდა და აქრობდა, — წერს გ. ბოჭორიძე, ამიტომ მოგზაურობა სწარმოებდა [illegible] ჩქარებული ხასიათით; ელვის სისწრაფით მიხდებოდა გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეში; რევოლუციის ქარცეცხლს ხელიდან ვგლეჯდი მრავალათასწლოვან კულტურულ ნაშთებს; რასაც მივასწრებდი გადარჩენილი იყო, რასაც არა დაღუპული" (სცსსა, გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი, № 1758, ს. № 25 (83). როგორც თვითონ მოსწრებულად შენიშნავს — მეტად მძიმე იყო ეს „გარემხრობა". სამი წელიწადი — 1923 წლის მაისიდან 1926 წლის ზაფხულამდე არ დაუსვენია, თავს არ ზოგავდა როგორმე სიძველეებისათვის ეშველა, მითუმეტეს, არა მარტო ნივთები ნადგურდებოდა, არამედ თვით მონუმენტური ნაგებობანიც. ასეთი საფრთხე საქართველოს თვით მონღოლობისა და თემურლენგობის ჟამს არ ჰქონია.

რევოლუციური აღტკინების შედეგად, რაღაც ამაზრზენად, სტიქიური სიძლიერით ვითარდებოდა მოვლენები. ყარიბი მეცნიერის მხრიდან მართლაც თავგანწირვა იყო ამ დელგმას წინ აღსდგომა, გ. ბოჭორიძეს ჩამოთვლილი აქვს მრავალი საბედისწერო შემთხვევა, როდესაც სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ნაგებობიდან თუ კლდიდან ჩამოვარდნა-დამტვრევა, მდინარეში დახრჩობის საფრთხე და სხვა მისთანანი შედარებით იოლი გადასატანი იყო, ვიდრე გააფთრებულ ბრბოსთან პირისპირ დარჩენა. ასე მაგალითად, 1924 წელს — სისხლის წვიმების ჟამს, გ. ბოჭორიძე მუხრანში ფანატიკოსების წინაშე აღმოჩნდა. ისინი ბოროტ ჭორს აელელვებინა — მავანნი ხატებს აგროვებდნენ და სწვავენო! ასეთნაირად დასახეს საეკლესიო საუნჯის გადასარჩენად მისული მკვლევარი. იგი მისმა მჭევრმეტყველებამ და ვაუკაცურმა შემართებამ იხსნა.

ვინც ადრე გუდამაყარში პირიმზის ხატობაზე ყოფილა, ის დამეთანხმება, თუ რა გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა ამ სახალხო დღესასწაულს. სახატო ნაგებობის აზომვა-შესწავლით გართულმა გ. ბოჭორიძემ ვერ შეამჩნია მლოცველთა ნიაღვარი მის ჩასაქოლად რომ დაიძრა. შემკრთალიყო და გაქცეულიყო, ვერაფერი გადაარჩენდა. სალ კლდესავით დადგა, მომხდურთ ომახიანად განუმარტა მოსვლის მიზანი, გააცნო ვინაობა და გაუგებრობაც მყისვე გაიფანტა.

წილკანში მაინცდამაინც მაშინ მოუწია მისვლა, როცა ეკლესიის ეზოში მრევლი ბობოქრობდა ძირითადი საეკლესიო სიწმინდის — მინანკრიანი ხატის დაკარგვის გამო. აქაც მისმა სიმართლემ და სიმამაცემ იხსნა.

ადგილობრივი საბჭოების ხელისუფალნიც არცთუ იშვიათად ზედმეტად თვლიდნენ გ. ბოჭორიძის „უცნაურ მისიას". ცოცხლები განუკითხავად იღუპებოდნენ და ძეგლებისათვის აღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავინ ფიქრობდა. ამიტომ „აბეზარ მეცნიერს", „მოცლილ კაცს" ან თავიდან იშორებდნენ, ანდა მისი „პიროვნების" კეთილსაიმედოობას დაზუსტებამდე, დამამცირებელ, უპატიო მდგომარეობაში ამყოფებდნენ. ასე იყო თელავში, სიღნაღში, ამბროლაურში, ცაგერში და ა. შ. გ. ბოჭორიძე ყველაფერს იტანდა, გულს არ იტეხდა, თავდაუზოგავი შრომა და უკომპრომისო ბრძოლა მისი სტიქია გახლდათ. შენდობა და პატიებაც შეეძლო.

ჩანაწერებში ასეთი მაგალითებიცაა შემონახული: გ. ბოჭორიძემ ქუთაისში რაჭა-ლეჩხუმიდან და იმერეთიდან ჩამოტანილი უამრავი ეროვნული სიმდიდრე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს უნდა ჩაბაროს. სათანადო დოკუმენტაცია და სიები გადასაბეჭდად მისცა. აღმოჩნდა, რომ ყოველივე ამის დაბეჭდვას სულ ცოტა სამი დღე მაინც დასჭირდებოდა. თბილისში დაბრუნება არ ღირდა, ნაჯაფარს და მოგზაურობით გატანჯულს შეეძლო დაესვენა, მაგრამ არ; და არ მისცა თავს საშველი, ოკრიბაში წავიდა და იქაური ძეგლების მდგომარეობა მიმოიხილა.

სოფელ ოყურეშში (ცაგერის რაიონი) ერასტი ნიკოლოზის ძე არჯევანიძის (ასლანიკაშვილის) ოჯახში გ. ბოჭორიძემ ნახა ბრინჯაოს უნიკალური განძი, რომელიც ერასტის მამას ნიკოს ტყის გაჩეხვისა და ყორეს აღების დროს, ოყურეშის ზემოთ ადგილ ღაჯისძირებში აღმოუჩენია. ერასტისათვის გიორგის საკუთარი ჯიბიდან 10 მანეთი ბედ მიუცია. დანარჩენი თანხის 40 მანეთის გაგზავნას თბილისიდან შეპპირებია. ეს თანხა რომ ეშოვა, მეცნიერს საგანგებო განცხადებით მიუმართავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ივანე ჯავახიშვილისათვის (სცსსა. გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი, № 1753, ს. № 6 (86). სწორედ ამ განცხადებამ შეშოგვინახა ეს ფაქტი. დღეს მსოფლიოში ცნობილია ოყურეშის განძი, როგორც ბრინჯაოს დამუშავების სწორუპოვარი ნიმუში.

უამრავი წინააღმდეგობა შეხვდა, რომ ცაგერის ტაძრის ვაზის ხის კარი დალუპვისაგან გადაერჩინა და სამუზეუმო ექსპონატად ეცქია. მართლაც საკუთარი ხარჯით ეკლესიის კარი გააკეთებინა, მაგრამ შებმას ხელისუფალნი არ ანებებდნენ. ბოლოს ბოჭორიძემ მაინც თავისი გაიტანა.

კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება. თუმცა, ვგონებ, საკმარისია.

1926 წელს გიორგი ბოჭორიძემ სიძველეთა გამოვლენა-დაცვის ღონისძიებანი ძირითადად დაამთავრა. თუ რა შედეგებს მიაღწია, უკვე ვიცით და ამჯერად წერტილს დავუსვამთ. 1926 წლიდან ახალ მოგზაურობებს იწყებს, რომელთა მიზანი უმთავრესად მეცნიერული ხასიათისაა — მონუმენტური ძეგლების აღწერა და განსაკუთრებით ლაპიდარული [illegible] კითხვა-შეკრება. ამასთან დ[illegible] ჭორიძე წერს: „პირველ რიგში დავაყენე რაჭა; ფონ ძეგლები აღვრიცხე ჯერ კიდევ 1925 წელს; 1926 წელს მეორედ მოვიარე რაჭა, აღვწერე ძეგლები და გადავიღე ფოტოგრაფიული სურათები; შემდეგ კვლევის პროცესში საჭირო შეიქმნა ზოგიერთი წარწერის დედანთან შეჯერება; 1927 წელს მესამედ ვიყავი რაჭას".

საკითხის საბოლოოდ შესწავლის შემდეგ, ნაშრომი — „რაჭის ისტორიული ძეგლები" საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე ჯერ მოხსენებად წაიკითხა, ბოლო შემდეგ „საქართველოს მუზეუმის მოამბეში" სამ ნაწილად გამოაქვეყნა (ტომი V, 1930) ტ. VII, 1931-1932, ტ. VIII, 1933-1934-1935). მეოთხე ნაწილი აღარ დაბეჭდილა. საგანგებო ძიების მიუხედავად, მას ვეღარ მივაკვლიეთ და ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ნაშრომის აღდგენა შევძელით საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული შავი ხელნაწერების მიხედვით.

დაუღალავი მკვლევარი კორესპონდენტთა ფართო წრეს ეურდნობოდა. მკითხველს ვთავაზობთ ორ წერილს.

„ტფილისი, ლენინის (ოლღას) ქუჩა № 8. საქართველოს ცენტრარქივი, გიორგი ბოჭორიძეს.

გისურვებ ყოველივე კარგს რომ მბიარულათ ყოფილიყავით სახლობით და ყოველივე მოკეთით.

მივიღე თქვენი ბარათი, ვსცანი რასაც იწერები და ბოდიშს ვიხდი, რომ აქობამდე (ვერ გიპასუხე) წარწერა გადავიღე, ისე როგორც თქვენ იწერებით. მხოლოთ მესამე სტრიქონის ცხრა ასო ძლიერ დაზიანებულია და კარგათ არ ჩანს. ამიტომ სამ ცალად გადავიღე და ისე გიგზავნი.

მასთან ვცადე რამდენადაც შეიძლებოდა იმისივე წარწერა ხელით მიმსგავსებით დამეწერა, რაც ერთ გადაღებულ წარწერაზე არის აღნიშნული და შეიძლება იმანაც გაგიწიოს დახმარება.

იყავით კარგათ.

თქვენი ალიკო დვალი

ს. პატარაანი, 1931 წელი, 1 მარტი". (სცსსა. გ. ბოჭორიძის პ. ფ. № 1753. ს. № 158 (146).

იგივე მისამართზე:

„სალამი გიორგი!

მივიღე თქვენი ბარათი, მაშინვე შევუდექი მოწერილი დავალების აღსრულებას. დათვალიერების დროს აღმოჩნდა რომ მართლაც, კოშკი რომ არის, იმის ახლო აღმოსავლეთით, ერთი 15 საჟენის იქით ყოფილა სასახლის ნანგრევები. აღარ ეტყობა, მაგრამ მოსწრებული ხალხი ამბობს, რომ მათ ეს ნანგრევები ახლოვთ კარგათ ნანგრევები [illegible] ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი შანსია მისი რომ სახალხოს უმთავრესი ნაწილი იყო ქვისა. შეიძლება რომ კაცმა მოახდინოს გათხრა მიწის, რაიმეს უფრო მნიშვნელოვანს წაიწყდეს ამ სახახლის შესახებ. მაგრამ რადგანაც ასეთი ისტორიული ნაშთების გათხრას აუცილებლად სპეცი უნდა დაესწროს, ისე კი მხოლოდ დანაშაულობა იქნება, ამიტომ ჯერჯერობით ამ ცოტაოდენი ცნობით წადით იოლად როგორმე.

ასე და ასე ჩემო გიორგი! იშრომეთ, თქვენს შრომას მოწიწებით დააფასებს მომავალი თაობა. მაპატიეთ თუ მე ვერ მოგაწოდეთ შესაფერისი ცნობა თქვენი ნაშრომის მასალად; დიდად გმადლობთ მამაჩემის მოკითხვისათვის, ძალიან გაეხარდა რომ გაიგო და ნახა თქვენი ბარათი. მოგიკითხავთ თვითონაც მამაშვილური სიყვარულით. აგრეთვე უღრმეს მადლობას გიძღვნით, ძვირფასო ადამიანო, ჩემი „ბედისაგან დაჩაგრული" დის მოკითხვისათვის.

მშვიდობით. თქვენი კეთილისმსურველი ძმა ითონა ფანჯავიძე.

ჩემი მისამართი: რაჭის მაზრა დ. ამბროლაური, შვიდწლ. შრ. სკოლა, ი. ფანჯავიძე. 1/III — 27 წ." (იქვე, ს. № 159 (146).

დამსმენობა-მაბეზღარობის დრო იყო. ბოჭორიძის ირგვლივ. წლების მანძილზე, ობობას ქსელს ბლანდავდნენ, მაგრამ გულკართლი, ალალი და დაუდგრომელი თუში ყველა დაბრკოლებას სძლევდა. მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მოშუღლარი კაცუნები სოროებში შეეძვრინა. მამულის კეთილდღეობაზე გადაგებული, უანგარო, სულითა და ხორცით საეტაკი ვაჟკაცი არავითარ საფრთხეს არ ეპუებოდა, მითუმეტეს პოლიტიკური კარიერა. დათმო და მეშატიანის უმძიმეს შრომას შეუდგა. ობობას ქსელი მაინც თანდათან ვიწროვდებოდა. მოძალადენი ნაშრომებს ჰპარავდნენ ან აშკარად ართმევდნენ, ისიც ლომივით იბრძოლა. დრო იყო ასეთი, სიკვდილ-სიცოცხლის ზარმაც დარეკა. გ. ბოჭორიძეს ავტობიოგრაფიაში საკუთარი ხელით აქვს ჩაწერილი: „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ვიყავიო, თან ნამღვდლევია, მერმე გაკრეკილი..."

1937 წელს დეკემბერში დააპატიმრეს. ორთაჭალის ციხეში გამოკეტეს. მხოლოდ ერთხელ დართეს ნება მეუღლეს, რძალსა და შვილიშვილს ნახვისა. 1939 წელს, შუაღამით, ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით წაიყვანეს.

მალე ოჯახმა მასთან მყოფ პატიმარ ცაგურიას შავი ბარათი მიიღო: სადგურ გუდურმესთან ავაზაკებს (ერთ რუსს და ერთ ქართველს — გორელ აბრამიშვილს) ვაგონში დაუხრჩვიათ და გაუძარცვავთ გიორგი ბოჭორიძე. მაშინ ალავერდობის დღეასწაული ყოფილა კარზე მომდგარი, ასე უთქვამს სიკვდილის წინ გიორგის. შინაურები მისი დაღუპვის თარიღად 1939 წლის 27 სექტემბერს ვარაუდობენ.

შრომამოვლობას საფლავიც არ დარჩა. ამ ამაგდარი კაცისა.

ღვაწლის დაფასებას არასდროს არ მოითხოვდა გიორგი ბოჭორიძე. ლუკმა-პურის შოვნა რომ ძალიან გაუჭირდებოდა, მაშინ თუ დაწერდა არზას და ვინმეს შეაწუხებდა. „წარსდგა მშიერი და ვერა შიშველი" — დასცდა ერთხელ ექვთიმე თაყაიშვილს. მთელი თავისი ცხოვრება შიმშილობასა ან შიმშილის ზღვარზე იყო გიორგი ბოჭორიძეც. უკანასკნელ პერანგს იხდიდა და ეროვნულ საცავებს რუდუნებით მატებდა შუმ, თავანკარა ისტორიულ ფასეულობებს. სამაგიეროდ, ილიასავით, თანამემამულეთაგან მოწამეობრივი სიკვდილი ერგო მას. ბუნებრივია, შთამომავლობამ სამშობლოსათვის დამაშვრალს ღვაწლი უნდა დაუფასოს. უპირველეს ყოვლისა, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა უნდა გამოიცეს, შემდეგ უდროოდ დაღუპული მეცნიერის უკვდავყოფისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. ამის თავდებია გიორგი ბოჭორიძის მიერ გადარჩენილი სასულიერო საგანძურები და წმინდა ტაძარი საუნჯეთა აღწერილობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირODIONI ოქროპირიძე

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ისტორიისათვის

ჟურნალ „მნათობის" გასული წლის მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა სინგილოს ყოფილი ბლაღოჩინის[1] იროდიონ ოქროპირიძის ჩანაწერებიდან მომზადებული მასალა სინგილოში ქრისტიანობის შესახებ. ამის შემდეგ ბლაღოჩინის შვილიშვილმა, ქალბატონმა ნუნუ ოქროპირიძემ მომძღვნა და გადმომცა პაპის ჩანაწერები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საკითხებზე. ამ ჩანაწერებიდან გთავაზობთ ერთ მცირე მონაკვეთს[2].

ბლაღოჩინის ჩანაწერებიდან, რომელიც უფრო საშინაო დღიურების სახით არის წარმოდგენილი, ამოვიღე ღირებული მასალა, რაც ჩვენი ერის გულს ესაუბრება და შემდეგი სახით ვთავაზობ მკითხველს. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ ძველ ჩანაწერებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძღერადობა, რადგან ის ფასეული მასალა, რაც იმ ჩანაწერებშია გაბნეული, შეტად საინტერესო და აქტუალურია ქართველი ერის სულიერი ამაღლებისათვის, ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის მის ეროვნულიუნ ბრძოლაში.

გიორგი გოჩიტიშვილი

* * *

1905 წელს საქართველოს სამღვდელოებამ სინოდიდა და ეკზარხოსის ხელინაალმდეგო კრება მოაწყო და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მოითხოვა. საჩივარი გავგზავნეთ ეკზარხოს ალექსიზე და ხემინარიის რექტორზე იმის შესახებ, რომ ჩვენი სამღვდელოების კრება კაზაკებმა დაარბიეს. მათრახის ცემით გაგვრეკეს. ამის გამო ეკზარხოსი და რექტორი რუსეთში გადაიყვანეს და ეკზარხოსად დაგვინიშნეს ნიკონი, რომელსაც სიხასტიკისათვის რუსეთში სახულიერო ეანდარმს ეძახდნენ. ნიკონმა 1907 წლის დეკემბერში საეპარქიო კრება მოიწვია, სინგილოსა და ვანათის სამლაღოჩინოდან მე და იოანე ლუკიანოვი (ლუკაშვილი) ავგირჩიეს. გადავწყვიტეთ თბილისში ერთად წავსულიყავით, მაგრამ მეორე დღეს დიდი თოვლი მოვიდა, თანაც ქარ-ბუქი ადგა და ვეღარ წავედით. კრებაზე ერთი დღით დავიგვიანეთ. მომდევნო დღეს თბილისში ჩასულებს რკინიგზის სადგურზე რამდენიმე ნაამბანაგალი მღვდელი დაგვიხვდა. საყვედურით ამიკლეს: სადა ხარ, ადამიანო, მთელი სამღვდელოება შენ გიცდის. კრების თავმჯდომარედ შენ გვინდიხარ. გუშინ რომ არ მოხვედი, არჩევანი დღეისათვის გადავდეთო. რუსებს და ბერძნებს ბაკოს ბლაღოჩინის ივანიცკის არჩევა უნდოდათ. მაგრამ ჩვენ არ ვქენით. ახლა ამიტომ გამოგვგზავნეს შენს შესახვედრადო. ჩემზე უკეთესი ვერავინ ნახეთ-მეთქი, რომ ვუთხარი, თავპატიჟს ნუ იდებო. მიპასუხეს, ახლა მაგის დრო არ არის, ხვები მთავრობას ელაქუცებიან. შენ კი სათქმელს პირდაპირ იტყვიო.

კრებამ თავმჯდომარის ეხარჩევად ორი კანდიდატურა დაასახელა. კენჭისყრის შედეგად მე ამირჩიეს, ივანიცკი, ეს წმინდაწყლის ნაციონალისტი, კრებიდან გაიპარა. ეკზარხოსისათვის იმდენი ტყუილი რამეები ეამბნა, რომ არც ერთ ქართველს ის ფიქრადაც არ მოგვხვლია.

კრებაზე განსახილველ საკითხთა შორის ხინოდმა დააყენა საკითხი ხემინარიის ძველი შენობის ხინოდისათვის გადაცემის შესახებ. ხა

---

1. ბლაღოჩინი — (ძვ.) მღვდელი, რომელიც განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საქმეს.

2. ბლაღოჩინ იროდიონ ოქროპირიძის ნაშრომი „სინგილოს..." დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს ჟ. „მნათობი", 1989 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლად კი სემინარიისათვის გვთავაზობდა საბურთალოზე აგებულ ახალ შენობას. ამ საკითხის განხილვისას სამღვდელოების აზრი ორად გაიყო. რუსები და ბერძნები იმაზე იდგნენ, რომ ახალი შენობა უფრო შესაფერისი იყო როგორც სემინარიის, ისე უმაღლესი სასწავლებლისათვის. ამასთან, იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ძველი შენობა სემინარიისათვის უკვე შეუფერებელიც არისო, რადგან იქ „იარმარკა" ახლოს არის და მუდმივი ხმაურიაო. ქართველი სამღვდელოება კი იმას ფიქრობდა, რომ თუ 1905 წელს აღძრული საკითხი ხინოდიდან ქართული ეკლესიის გამოყოფის შესახებ გამარჯვებით დამთავრდებოდა, სემინარიის შენობა საუკეთესო წყარო იქნებოდა სასულიერო მსახურთა ცხოვრებისათვის. შენობას გავაქირავებდით და შევქმნიდით ეკლესიის მსახურთა საარსებო ფონდს. მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი უადგილო იყო. ჩვენ სასულიერო კონსტიტორიის ტიპიკონიდან ავიღეთ 41-ე მუხლი და მასში მოცემულ დევიზს ჩავჰიდეთ ხელი. იქ ნათქვამი იყო, რომ „ხინოდი მოვალეა ყველა ეპარქიაში თავისი სახსრებით ააგოს შენობა სასულიერო სემინარიისათვის. თუ საქართველოს სამივე ეპარქია: ქართლ-კახეთის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოსი ხანთლის შემოსავლის 25 პროცენტს ხინოდს მისცემდა, მას შესაძლებლობა მიეცემოდა, რომ თბილისში, კუთაისსა და გურია-სამეგრელოში (ზუგდიდში ან ფოთში) გაეხსნა სასულიერო სემინარია.

როცა ჩვენი ეს მოსაზრებანი ეკზარქოსს ნიკონს წარვუდგინეთ დასამტკიცებლად, ძლიერ გაბრაზდა. მაგრამ როცა ჩვენი მოსაზრების არსი გულდასმით განვუმარტე, გვითხრა რომ ამ საკითხს მე ვერ გადავწყვეტ. ხინოდს უნდა წარვუდგინო განკარგულების გასაცემად. ეს აზრი გავაცან სამღვდელოთა კრებას და დავუმატე, რაკი ეგრეა ხინოდისაგან ისიც უნდა მოვითხოვოთ, რომ ჩვენი მრევლი ქართველები არიან და წირვა-ლოცვაც მათს მშობლიურ ენაზე სრულდება. ამიტომ საჭიროება მოითხოვს, რომ სამღვდელოების კანდიდატების მომზადება და ყველა საღვთისმეტყველო საგნის სწავლება ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, რადგან რუსულ ენაზე სწავლა მიღებულ ჩვენს მღვდელდიაკვნებს თავის მრევლთან უძნელდებათ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვისა და კადაგება-მოძღვრების ჩატარება. ეს არის იმის ძირითადი მიზეზი, რომ ჩვენი სამღვდელოება რჯულის დამცველთა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას და ხარწმუნოება ეცემა.

სამღვდელოების კრებამ ეს წინადადება მიიღო, საფუძვლიანად დაამუშავა და ნიკონს წარუდგინა, ის აუკრძალა: „გამოდის, რომ სემინარიის მთელი ხელმძღვანელობა უნდა შეეცვალოთ. მითხარით ახა, სადა გაქვთ საღვთისმეტყველო საგნების სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, რომ იმით ვასწავლოთ?! ამასთან, ნარიაში მარტო ქართველები ბომ არ სწავლობენ? რა ვუყოთ რუსებს, ბერძნებს, ოსებს, ებრაელებს? მაშ, იმათთვისაც ცალკე სემინარიები უნდა დავაარსოთ? აქვს ხინოდს ამის შეძლება?"

მე ვუპასუხე, თქვენო მეუფეებავ, თქვენ ნება დაგვრთეთ ქართულ ენაზე სწავლებისა და სახელმძღვანელოების საქმესაც თანდათან მოვაგვარებთ-მეთქი. სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ქართველი მოძღვრებიც გვყავს და მასწავლებლებად სიამოვნებით იმუშავებენ-მეთქი. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს ეპარქიებს ქართული ეპარქიები ეწოდება და არა რუსული, თქვენო მეუფეებავ, თქვენც ხომ საქართველოს ეკზარხოსი, ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსი გეწოდებათ და არა რუსეთისა?

ნიკონმა მოთმინება დაკარგა და მიუკვირა: კრებაზე გატანილ კითხვათა სიაში ეგ კითხვა არ იყო მოხსენიებული და რა უფლებით მიყენებთ ახლა. ამიტომ თქვენი ეს დადგენილება უკანონოა და მისაღები არ არისო.

ნიკონი მეორე წელიწადს მოკვდა, მაგრამ ძიებისათვის გაურკვეველი დარჩა, ვინ და რატომ მოკლა.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ მძვინვარე რეაქცია ერსაც და ბერსაც მწვავედ მობვდა, მაგრამ ქართველ სამღვდელოებას დაწყებული წმინდა საქმისათვის არ უღალატია. საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისათვის ხინოდის ტყვეობიდან და უკან არ დაუბრუნია ავტოკეფალიის მოპოვებისათვის ბრძოლაში. თუმცა საჭიროებისამებრ მოქმედების ტაქტიკას ცვლიდა, ხინოდს უარი უთხრა სემინარიის ძველი შენობის გაცვლაზე და ახალი შენობაც დაიხიკუთრა, როგორც მისმა კანონიერმა მფლობელმა და ხინოდს ისიც კი დაავალა, რომ ქართულ ეპარქიებში ორი სემინარიისათვის შენობა აეგო. ეს იყო დამატებითი ღონისძიება იმ პეტიციისა, რომელიც ქართველმა სამღვდელოებამ 1905 წელს გაგზავნა სასულიერო იერარქიის უმაღლეს ინსტანციაში, რომელიც ითხოვდა საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას ხინოდის ტყვეობიდან. მართალია, ქართველმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ თუ ქართული ეკლესია ავტოკეფალიას მიიღებდა, რუსეთის ხაზინა ქართული ეკლესიისათვის ჩამორთმეულ მამულებს აღარ დაუბრუნებდა, არც ჯამაგირს მისცემდა ქართული ეკლესიის კათალიკოსს და მის სამმართველო ორგანოებს, მაგრამ ქართული სული რუსულ ჩარჩოებში ვეღარ ტეულიუო. ის თავისუფლებას მოითხოვდა და ამრიგად, უკან დაბეგა თავისი ერის ღალატად მიაჩნდა.

ნიკონმა თავის სიცოცხლეში ისე აურია საქართველოს სამღვდელოების საქმე, რომ ჩვენი პეტიციის განხილვა ავტოკეფალიის შესახებ ათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელინგის გაკეთებულიყო. ქართველი ხალხვდელოება კი მეცადინეობას არ აკლებდა ამ საქმეს. ბეჭდავდა წერილებს როგორც საკანტატო ქალაქის, ისე ადგილობრივ რუსულ პრესაში. ამან მიიტანა უმაღლესი მთავრობის ყურადღება და ჩვენი ავტოკეფალიის საკითხი სინოდს გადაეცა განსახილველად. ამ უკანასკნელმა თავისთან დაიბარა საქართველოს ეპისკოპოსები ლეონიდე და კირიონი. ისინი დამაჯერებლად უმტკიცებდნენ სინოდს, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ბიზანტიის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის თანაბრად დამოუკიდებელი და თვითმართველი იყო. მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ სამხედრო ძალის მუქარით რუსეთის სინოდმა დაიპყრო, თუმცა ეს არ ეკადრებოდა მართლმადიდებელ თვითმართველ ქართულ ეკლესიას მართლმადიდებელი რუსული ეკლესიისაგან. ეს უკანონო მოქმედება იყო. მაგრამ სინოდის წევრებმა ქვა შეაგდეს და თავი შეუშვირეს. საკითხი უპასუხოდ დატოვეს. ჩვენი ეპისკოპოსების განმარტების სინამდვილის დასადასტურებლად, იმის თაობაზე რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე დამოუკიდებელი ეკლესია ჰქონდა, მოიწვიეს აკადემიკოსი ნიკო მარი და პროფესორები: ალექსანდრე ცაგარელი და ალექსანდრე ბახანაშვილი, რომელთაც ისტორიული ფაქტებით დაადასტურეს ჩვენი ეპისკოპოსების განმარტება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლად არსებობის შესახებ.

ნიკონის საკვდილის შემდეგ სინოდმა ნიკოლოზი დანიშნა ეკზარხოსად. მის მოსვლას დიდი ზარზეიმით შეხვდა სამოქალაქო მთავრობა და გენერლობა. ხალხვდელოებამ კი ბოიკოტი გამოუცხადეთ. ეკლესიაში ჯვარზე მოხვევის დროს მას წერილობით გადაეცით ჩვენი აზრი და შეგვატყობინეთ, რომ სინოდისაგან გამოგზავნილი უცხო ეროვნების მოხელეს არც დავემორჩილებით და არც კანონიერ მმართველად ვცნობთ. მართლაც, ამის შემდეგ მასთან ხალხვდელოთაგან არავინ მიდიოდა, არც რამის ხათხოვნელად და არც ხასულიერო საქმეზე. ამასთან, ნიკოლოზის კანცელარიის ყველა მოწერილობას უშედეგოდ, უპასუხოდ ვტოვებდით.

ერთხელ ეპარქიის მეთვალყურემ, ხამრეკლო სკოლების მეთვალყურეების, გამგეებისა და რჯულის მასწავლებლების კრება მოიწვია. როცა კრება დამთავრდა ეპარქიის მეთვალყურემ გვითხრა: ახალი ეკზარხოსის ნიკოლოზის მიერ დავალებული მაქვს, გთხოვოთ, რომ მასთან მიბრძანდეთ და აუხსნათ თუ გაგზავნილი პეტიციით რას თხოულობთ. ამასთან რა მიზეზით უცხადებთ ბოიკოტს ეკზარქოსს? ჩვენ მოვითათბირეთ და ვაცნობეთ, რომ შევხვდებოდით. გარეგნული ქმაყოფილებით მიგვიღო და გვითხრა: მე ჩემით არ მითხოვია აქ გამოგზავნა. სინოდმა თვითონ გამომგზავნა. [illegible] გამოჩენილ ეპარქიაში. [illegible] ცი. თუ რა ბედი აქ. ახლის არავინ მეკარებით. ძარტო ვარ დარჩენილი.

ქრისტეანიერო ძმანო, გთხოვთ გამაგებინოთ თქვენი საჭიროებანი, რომ გავეერკვე და საქმის შესაფერისად წარვმართო ჩემი მოშობა. — გულწრფელად გვობოდა.

ავუხსენით, რომ ჩვენი ეკლესია ფიზიკური ძალის დაწოლით დაატუვეეს და ხამწყოს ალარაფერს გვეკითხებიან. ისე გვინიშნავენ მწყემს, უცხოსა და ჩვენი ადათ-წესების არმცოდნეს. მას ჩვენი სატკივარისა არა გაეგებარა და არც ჩვენ გვესმის მისი. ვეძებთ მწყემსსა კეთილსა, რომელიც გვიცნობს და ჩვენც ვიცნობდეთ მას. ამრიგად, ჩვენი მოთხოვნა მხოლოდ ეს არის, რომ მწყემსმან კეთილმან დასდოს თავი თვისი ერისათვის. ახლა კი ჩვენთვის ეს მიუწვდომელი იქნება. რადგან ხარწმუნოებაში რუსული პოლიტიკის გატარება ქართველობაში ხარწმუნოების დაცემას გამოიწვევს.

ნიკოლოზი ამ საკითხში გვითანგრძობდა და ამ გარემოების გამო თავის საძსახურს ჩვენს რეგიონში შეუსაბამოდ თვლიდა. ამის გამო ზემდგომ ხელისუფალთ თხოვდა აქედან გამოვიხუფლებას და მართლაც, რამდენიმე თვის შემდეგ შეა რუსეთში გადაიყვანეს სამოღვაწეოდ.

ნიკოლოზის ნაცვლად მალე დაგვინიშნეს ვინმე პალადი, რომელიც ცდილობდა ჩვენთვის თავი მოეწონებინა, მაგრამ არ გამოუდიოდა. ისიც მალე გადაიყვანეს ისევ რუსეთში და ჩვენთან ინოკენტი გამოგზავნეს. ის იყო ქართველების დაუძინებელი მტერი, მაგრამ თავაზიანი მზაკვრული ფიკრების განმარტიელება არ დასცალდა. ის მალე გარდაიცვალა და ჩვენთან სამოღვაწეოდ მოვიდა ახალი ეკზარხოსი ალექსანდრი, ის იყო მეტად გამოცდილი და გონიერი დიპლომატი. ჩვენთან არსებული მოსაგვარებელი საკითხების გასარკვევად და ხალხვდელოების გასაცნობად საეპარქიო კრება მოიწვია. ხალხვდელოებამ ამ კრების თავმჯდომარედ ამირჩია.

ამ კრების მოწვევას დაეთმობა კავკასიაში ახალი მეფისნაცვლის დანიშვნაც. იმპერატორის ბიძა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ამ პოსტზე გამოეგზავნებინათ და ჩვენი კრების მოწვევა რომ გაეგო, მასზე დასწრების სურვილი გამოეთქვა ეს ჩვენ კრების მოწვევის წინა დღეს გავიგეთ და ხალხვდელოებამ გადავწყვიტეთ, — კრების დაწყების წინ მისთვის მიგვეფლოცა ჩვენს ქვეყანაში მისი უდიდებულოსების დანიშვნა. ალგვეთქვა ერთგულება. კრების მსვლელობის დროს კი მისთვის გადაეცნო ჩვენი პეტიციის გაგზავნის შესახებ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე.

ჩვენი ეს გადაწყვეტილება ეკზარხოსმაც მოიწონა და გვითხრა ჯერ აუდენცია უნდა ითხოვოთ, მერე კი ადრესი მიართვითო. ამ საქმეში

შუამავლობა თვითონვე იკისრა. მეორე დღეს ეკზარხოსმა შეგვატყობინა, რომ ხვალ დღის ორ საათზე შედგება აუდიენცია მეფისნაცვალთანო. გამოგზავნეთ თქვენი დეპუტაცია და მე გავუძღვებიო. სამღვდელოების დავალებით მეფისნაცვლისათვის უნდა მოგვეხსენებინა, რომ ათ წელიწადზე მეტია, რაც უმაღლესი სასულიერო ინსტიტუტში პეტიცია გავაგზავნეთ და დღემდე არავითარი პასუხი არ მიგვიღია. ამიტომ გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ იმპერატორთან, რომ დაგვიბრუნონ საქართველოს ეკლესიის თავისუფლება. ეკზარხოსმა ეს რომ გაიგო, მითხრა, რომ მას მე მხოლოდ თქვენი მილოცვა ვთხოვე და არა საჩივარი. ახლა ესეც რომ წარვუდგინო, გამოდის რომ მის წინაშე ვითვალთმაქცე. მოვატყუე. თქვენ კი მე მომატყუეთ.

ამის პასუხად მოვახსენე, რომ ჩვენ წინასწარ ამის განზრახვა არ გვქონია, მაგრამ როცა მეფისნაცვალთან შეხვედრაზე ვსაუბრობდით, იქ ბუნებრივად წამოიკრა საკითხი — მეფისნაცვალმა რომ გვკითხოს, რა საკითხები გაქვთ მოსაგვარებელი, რა ვუპასუხოთო და გადავწყვიტეთ, მისთვის გაგვეცნო ჩვენს მიერ გაგზავნილი პეტიციის საკითხი.

მართალია, პლატონი ნაწყენი დარჩა, მაგრამ მითხრა, რომ მაგ საქმეს ისევ მე გამოვასწორებო. როცა მეფისნაცვალი კაბინეტში შევა, შენ ყუვები და თქვენი პეტიციის ამბავს იქ მოვახსენებო. მე უარი ვუთხარი. — ჩვენმა სამღვდელოებამ მე დამავალა დანიელოზ ნიკოლოზიზის ძეს პირადად უნდა მოვახსენო-მეთქი. პლატონმა იწყინა, არ მენდობითო. მაშინ ამბანაგებმაც მითხრეს, ვენდოთო.

აუდიენციაზე დანიშნული დროისათვის გავემგზავრეთ. მეფისნაცვალი ჩვენს შესახვედრად გამობრძანდა და მოგვესალმა. მადლობა მოვახსენეთ. მეფისნაცვალი რამდენიმე სასიკეთო სიტყვას დაგვპირდა. თავი დაგვიკრა. გამოგვეთხოვა და კაბინეტში შევიდა.

მეხამე დღეს გაზეთში წავიკითხე, რომ ქართველი სამღვდელოების კრებამ მეფისნაცვალს თხოვა შუამდგომლობა ხელმწიფე-იმპერატორთან, რომ გაგვაგებინოს პასუხი ჩვენს მიერ გაგზავნილ პეტიციაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მეორე დღეს ეკზარხოსს ვკითხე, თუ რა პასუხი გასცა მეფისნაცვალმა ჩვენი პეტიციის შესახებ. მეფისნაცვალმა თქვენი თხოვნა არ მიიღო, მითხრა, რომ თუ პეტიცია უკვე გაგზავნილია უმაღლეს ინსტანციაში, ახლა ჩემი ჩარევა უხერხულია. პასუხს თვითონ ხელმწიფისაგან მიიღებენო.

ორი კვირის შემდეგ მივიღე ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მარშლის, კოტა აფხაზის დეპეშა. თბილისში მიბარებდა. ჩავედი. მარშალმა მითხრა, რომ პეტერბურგის გაზეთებში წერილი უოფილა დაბეჭდილი თქვენი სამღვდელოების კრების შესახებ, სადაც მეფისნაცვალს ხელმწიფე-იმპერატორთან შუამდგომლობა თხოვდით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ გაგზავნილ პეტიციაზე პასუხის შეტყობინების თაობაზე. მაგრამ ეკზარხოსს ის თხოვნა მეფისნაცვლისათვის არ გადაუცია. ამ ამბავს ხელმწიფის ყურამდე მიუღწევია და ახლა მეფისნაცვალს თხოვენ. შეატყობინოს, ამ საქმის ვითარება. იმერეთის სამღვდელოების ასეთივე თხოვნასაც არ მიუღწევია მეფისნაცვლამდე. ახლა მე და იმერეთის მარშალ ნიკორაძეს მეფისნაცვლის სახახლიდან გვთხოვენ. უხერხული მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ ეკზარხოსიც და მეფისნაცვალიც. ამიტომ თქვენი კრების დადგენილება ხელახლა უნდა მისცეთ ეკზარხოსს და ის დაუყოვნებლივ გადასცემს მეფისნაცვალს. იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენელიც აქ არის ჩამოსული. ხვალ ერთად შედით ეკზარხოსთან და გადაეცით თქვენი თხოვნაო. მერე კი ჩვენ ორივე მარშალი შევალთ ეკზარხოსთან და მოვთხოვთ, თქვენი თხოვნა დაუყოვნებლივ გადასცეს მეფისნაცვალს.

უკან მობრუნებულმა ვიპოვე ის დადგენილება. გადავწერე. შევხვდი იმერეთის წარმომადგენელს. ერთად შევედით ეკზარხოსთან და ჩვენი კრებების დადგენილებები გადავეცით. დაგვპირდა, ახლა კი დროა ამის გადაცემისა და გადავცემო. ჩვენს შემდეგ ეკზარხოსთან მალე შევიდნენ მარშლები და აიძულეს დადგენილებები დროულად გადაეცა მეფის ნაცვლისათვის. ამის მიუხედავად ჩვენ იმედი აღარ გვქონდა, რომ სინოდი ჩვენს თხოვნას დაკმაყოფილებდა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას ცნობდა.

დიდი ხანი აღარ გასულა, რომ ეკზარხოსი საქართველოდან წავიდა და თავის ადგილას ბაკოს რუსი ეპისკოპოსი დატოვა.

ჩვენს ამ ხაშვილიშვილო მოთხოვნაში ქართველმა ინტელიგენციამ და თავადაზნაურობამ თანადგომა გაგვიწია. სამღვდელოებამ მათი მხარდაჭერა დიდ იმედად დავიხახეთ და თბილისში სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრება მოვიწვიეთ. საქართველოს ეკლესიის თავისუფლება გამოვაცხადეთ და ეპისკოპოსი ლეონიდი კათალიკოსის დროებითი მოსაყდრედ ვაღიარეთ, რადგან კათალიკოსის არჩევა ჯერ ნაადრევი იყო. ამისათვის კიდევ უნდა მოგვეწვია მთელი საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც დაესწრებოდა საქართველოს ყველა კუთხის სასულიერო და საერო წარმომადგენლობა. ამას კი დრო და გულმოდგინედ მომზადება სჭირდებოდა. კათალიკოსად ახარჩევ კანდიდატებად დავასახელეთ ეპისკოპოსები ლეონიდ და კირიონი. არჩევნები კი სექტემბრისათვის დავნიშნეთ. საეროო კრების მოწვევაც მაშინ განვიზრახეთ. ახლა კი ყველა ეპისკოპოსის თანამწირველობით ლეონიდი მიტროპო-

ლიტის ხახელწოდებით, ჩვენი ნებით წავიყვანეთ და ეკზარბოსის სახახლეში დავაბინავეთ. ბაკოელი ეპისკოპოსი, ეკზარბოსის მოადგილედ რომ იყო დატოვილი, ბაკოშივე დაბრუნდა.

როგორც გადავწყვიტეთ ხეკტემბერში მოვიწვიეთ საეკლესიო კრება. ორიოლის ეპარქიიდან დასახსწრებად ჩამოვიდა ეპისკოპოსი კირიონი, საქართველოს უველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ერისა და ხამღვდელოების წარმომადგენლები. კრება სიონის ტაძარში გავმართეთ. მას თავმჯდომარეობდა თბილისის ქალაქის თავის მოადგილე გიორგი ეურული. კენჭისყრისას ლეონიდეზე ხამი კენჭით მეტი ამოუვიდა კირიონს და კათალიკოსად ის ავირჩიეთ. მისი კურთხევა მცხეთაში ხვეტიცხოვლობის დღეს დავაფიქსირეთ. საქართველოს ეპარქიის ეპისკოპოსები იმავე კრებაზე ავირჩიეთ. ამრიგად, იმერეთის ეპისკოპოსად ავირჩიეთ ნაზარი, გურიახამეგრელოსი — დავითი, კახეთისა (ბოდბისა) — პროხორი, აფხაზეთისა (სოხუმი) — ამბროსი და ქართლისა (გორი-ურბნისი) — ანტონი.

რაკი ქართული ეკლესიის თავისუფლება გამოვაცხადეთ, ხალხშიც გაიდგა ხმა, რომ ქართული ეკლესიის [illegible] ქართველოს თავისუფლებაც მოპყოლოდა. ამ ამბრმა მალე გაიდგა ფეხვი მთელს ერში და მომწიფდა. მას ხალხი უკვე დაუფარავად ამბობდა. ხვეტიცხოვლის დღეობაზე, როცა ეპისკოპოსი კირიონი კათალიკოსად ვაკურთხეთ, ამრიგად, ხვეტიცხოვლის ეს დღესასწაული მთელი ერის დიდი დღესასწაული იყო.

ჯერ კიდევ რუსეთის მძლავრი მონარქიის დროს, ქართველმა ხაზოგადოებამ, მშვიდობიანი გზით სინოდს ხელიდან გამოგლიჯა ქართული ეკლესიის თავისუფლება. მას მალე მოპყვა საქართველოს სრული თავისუფლება.

ქართველი ხამღვდელოება ეკლესიისა და თავისი ხამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წინა რიგებში მიუძღვოდა თავის ერსა და მრევლს. მას არც თავისი ერისათვის უღალატია და არც თავისი მოწოდებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მონარქიის დროს ძალზე მძიმე ხულიერ და მატერიალურ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინა ჩხარტიშვილი

„მოქცევაი ქართლისაის“ ერთი ანაქრონიზმის შესახებ

(„შუშანიკ იწამა ცურტავს“)

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიულ ქრონიკაში ვხვდებით ერთ პარადოქსულ ანაქრონიზმს: შუშანიკის მარტვილობა, ვახტანგ გორგასლის ეპოქის მაგიერ, ვახტანგის შემდგომ, რიგით მეხუთე მეფის, ბაკურის ხანასთანაა დაკავშირებული.

„მოქცევაჲ ქართლისაჲდან“ ეს შეცდომა გადადის „ქართლის ცხოვრებაში“, მახ იმეორებენ ვახუშტი და ანტონ კათალიკოსი. აქ, ამ შედარებით გვიანდელ ძეგლებში, აღნიშნული უზუსტობის მიზეზის მითითება იოლია — ესაა ისტორიული ტრადიციისადმი ნდობა, რაც თხზულებიდან თხზულებამდე სულ უფრო მტკიცდება, რადგან ყოველი ახალი განმეორება დადასტურების და, ამგვარად, აზრის ჭეშმარიტების ილუზიას ქმნის, მაგრამ როგორ გაჩნდა ესოდენ სერიოზული ლაფსუსი თვით „მოქცევაჲ ქართლისაჲში?“

ანაქრონიზმმა დიდი ხანია მიიქცია სპეციალისტთა უურადღება და იგი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, როგორც საისტორიო წყაროს, უარყოფითი შეფასების ერთ-ერთ საბუთადაც კი იქცა ზოგიერთი მკვლევრისათვის. ასე, მაგალითად, ბოლნისის ხიონის აგების დროის განსაზღვრასთან დაკავშირებულ პოლემიკაში იმ მკვლევრებს, რომლებიც ტაძრის ადრეული დათარიღებისათვის იშველიებდნენ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ქართლის ცხოვრებას“, ნ. ლომოური მიუთითებს აღნიშნულ თხზულებათა დაბალ წყაროთმცოდნეობით ღირებულებაზე როგორც კონტრარგუმენტზე. ამ აზრის ხაილუსტრაციოდ კი ახახელებს ტექსტში აღნიშნული ფაქტის არასწორ ქრონოლოგიურ ლოკალიზაციას: „საერთოდაც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რა ხასიათის წყაროებთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე.. ორივე თხზულებაში მრავლად გვხვდება უზუსტობანი, ანაქრონიზმები... საკმარისია: დავასახელოთ თუნდაც ჩვენ საკითხთან ახლოს მდგომი მოვლენის ახახვა „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და ჯუანშერის თხზულებაში: როგორც ცნობილია, ორივე წყაროში შუშანიკის მარტვილობა გადატანილია VI ს-ში, ბაკურ მეფის ხანაში. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ თვით ამ ბაკურის მეფობის რეალურობა ფრიად საეჭვოა (?, მ. ჩ.), ასეთი ცნობილი მოვლენის თითქმის ერთი საუკუნის ქრონოლოგიური დარღვევით გადმოცემა იმის მოწმობაა, რამდენად არასრულყოფილი წყაროებით სარგებლობდნენ ზოგჯერ ჩვენი მემატიანეები...“ (ლომოური ნ. ბოლნისის ხიონის საკითხისათვის, მაცნე, ისტ. სერია, 1984, № 3, გვ. 116—117).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ანაქრონიზმი შეიძლება საქართველოს ისტორიის წყაროების ბაზის საერთო კრიტიკასთან აღმოჩნდეს დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ზემოთ დასმული კონკრეტული საკითხის კვლევას, გარკვეული თვალსაზრისით, ზოგადქართველოლოგიური მნიშვნელობაც ენიჭება.

ვიდრე კვლევას შევუდგებოდეთ, ორიოდე სიტყვა თვით ძეგლზე. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, როგორც ამას სათაურიც მიუთითებს, ძირითადად ქართლის ისტორიის გარკვეულ ფაქტს — გაქრისტიანებას ეძღვნება. თუმც მისი შინაარსი გაცილებით ფართოა, აქ ქართლის ისტორიაცაა მოცემული ძვ. წ. IV საუკუნიდან. ეს ისტორია წამოდგენილია ქრონიკის სახით. ტიპოლოგიურად ერთგვაროვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტებით: უმაღლესი საერო (ქრისტიანიზაციის შემდეგ სასულიეროც) იერარქები, სახელმწიფო მასშტაბის (კერპთა, ციხეთა, ტაძართა) მშენებლობანი. თხრობა ქართლის მოქცევის შესახებ კი აღნიშნულ ძეგლში მოცემულია ქართველთა განმანათლებლის — ნინოს „ცხოვრების" მცირე და ვრცელი რედაქციებით. პირველი მათგანი ქრონიკაშია ჩართული. ქრონოლოგიურად შესაბამის ადგილას, ხოლო მეორე ერთვის ქრონიკას.

ძეგლის შექმნა უკავშირდება V ს. II ნახევარს. სწორედ ამ პერიოდის ამბებთან (ქართლში კათალიკოსობის შემოღების) დაკავშირებულ ცნობებზე წყდებოდა თავდაპირველად ქრონიკის ტექსტი. შემდგომში, თხზულების რედაქტირებისას, ტექსტი შეივსო ჯერ VII ს. შუა ხანებში, მერე — IX ს.-ში. ამასთან, VII ს. შევსება ხერხოზული ისტორიოგრაფიული მუშაობის ნაყოფად წარმოგვიდგება. ქრონიკის სტილის შენარჩუნებით, ე. ი. ლაკონურად, ფაქტების მკაცრი შერჩევით, დამატებულ ნაწილში მოცემულია VI—VII სს. ქართლის ისტორიის უწყვეტი ქარგა, რაც შეეხება IX ს.-ის რედაქციას, ქრონიკისათვის ის იყო საკმაოდ ზერელე. გამოიხატა ტექსტისათვის საერო და სასულიერო იერარქთა მარტოოდენ სიების დამატებაში (აღნიშნულის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩხარტიშვილი მ. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, თბ., 1987; აგრეთვე კვლევითი ნაწილი წიგნისა „მოქცევაჲ ქართლისაჲ. თარგმანი ძველი ქართულიდან ე. თაყაიშვილისა. ტექსტის რედაქციული დამუშავება, გამოკვლევა და კომენტარები მ. ჩხარტიშვილისა.—თბ., 1989, გვ. 11-19, რუს. ენაზე).

ცნობა შუშანიკის შესახებ უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ძირითად, ე. ი. V ს. II ნახევარში შექმნილ ნაწილში, არის კი ქრონიკის იმ მონაკვეთში, რომელიც დამატებულ იქნა VII ს. შუა ხანებში. მაშასადამე, ანაქრონიზმი ახასიათებს არა პროტოძეგლს, არამედ მის ნარედაქტირებ ვარიანტს. რედაქტირებისას მისი გაჩენა, ცხადია, გამოიწვია იმან, რომ თავის დროზე, V ს. II ნახევარში, როცა ძეგლი შედგა ეს, შედგენის თანადროული ფაქტის შესახები ცნობა, მასში არ იქნა შეტანილი, როგორც არშეტანას, ასევე შემდგომში ცნობის ჩართვის აუცილებლობის გაჩენას, ცხადია, აქვს თავისი საფუძველი.

„მოქცევაჲ „ქართლისაჲში" წარმოდგენილი ფაქტების ტიპი (უმაღლესი საერო და სასულიერო პირები, მშენებლობანი)განპირობებული იყო ხანგრძლივი, გარკვეულწილად წარმართობიდან მომდინარე ისტორიოგრაფიული ტრადიციით. პიროვნების თავგანწირვა რწმენისათვის კი არატიპიური მოვლენა იყო ამ დროისათვის. შუშანიკს ბომ საქართველოში სულ ერთი წინამორბედი — მოწამე — მყავდა. ამის ისტორიული აზროვნება ჯერ კიდევ ვერ აფასებდა მარტვილობას, როგორც ისტორიოგრაფიული ფასეულობის მქონე ფენომენს. გამოსარიცხი არაა, ცხადია, სხვა მიზეზიც. მაგალითად, შესაძლოა შეშანიკი — ქართლის ერთ-ერთი მხარის გუგარეთის მმართველის მეუღლე რანგით არ ჩაითვალა ქართლის უმაღლეს საერო და სასულიერო პირთა გვერდით და თანაბრად მოხსენების ღირსად.

ისტორიოგრაფიულ შეხედულებებში ცვლილებების გამოვე. მოგვიანებით შუშანიკის შესახებ ცნობის არარსებობა, შესაძლოა, სარეზად იქნა აღქმული, როგორც ცნობილია, VI ს.-ში ქართლში მოდიან ასურელი მამები, რომლებიც ქვეყანაში ნინოს მოღვაწეობის შემდეგ ჯერ კიდევ შემორჩენილ წარმართობის გადმონაშთებს ებრძვიან. მათი საქმიანობა ქართული ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიის მიერ შეფასებულია როგორც განმანათლებლური. ბუნებრივია, რომ ამ დროიდან ქართლის მოქცევა გაიაზრონ როგორც პროცესი და ამის გამო ნინოს შემდეგ მოღვაწე წმინდანთა შესახებ ცნობებიც აუცილებელი გახდეს ძეგლისათვის, რომლის მიზანია ქართლის მოქცევის ისტორიის აღწერა. მხედველობიდან გამოსარიცხავი არაა ცვლილებანიც პოლიტიკური ცხოვრების სფეროში: VII საუკუნის დასაწყისისათვის ქართლის ცენტრალური ხელისუფლების ენერგიული რელიგიურ-ეროვნული პოლიტიკის შედეგად (ალექსიძე ზ. ადრეშუასაუკუნეობრივი კავკასიისა და საქართველოს იდეოლოგიისა და კულტურის პრობლემები — თბ., 1983, გვ. 28, რუს. ენაზე). გუგარეთის ერთგვარი განკერძოებულობა, რომელიც წარსულში უკ ხოელთა ხელში ხანგრძლივი ყოფნის გამო მას კვლავ შერჩენოდა, საბოლოოდ ისპობა და ეს მხარე ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის განუყოფელ ნაწილად იქცევა. ამის შედეგად კი, ცხადია, შუშანიკის ღვაწლი განსაკუთრებული სიმკვეთრით იძენს საერთოქართულ ეღერადობას და ქართველთა მოქცევის ისტორიისათვისაც აუცილებელი ეპიზოდი ხდება.

ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: მარტვილობიდან თითქმის საუკუნენახევრის შემდგომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" რედაქტორი, გარკვეულ მიზეზთა გამო, შეეცდება ამ ფაქტის შესახებ ცნობით გაამდიდროს ქრონიკის თხრობა, მაგრამ ცდება მისი ქრონოლოგიური ლოკალიზაციისას. სწორედ ესაა აღნიშნული უზუსტობის არსი: ცნობისათვის ქრონოლოგიური ადგილის ნანაცვლება.

ანაქრონიზმის წარმოშობის მიზეზის გარკვევას შეეცადა ნ. ჯანაშია, რომელმაც მიუთითა V და VI საუკუნეებში ერთდროულად მოღვაწე ისტორიულ პირთა წყვილის სახელების

ეროვნული ბიბლიოთეკა

(არშუშა პატრიარქისა და ვარდან მამიკონიანის) დაპირისპირებაზე. მკვლევრის აზრით, ლაფუსა შუშანიკის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით, სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს: „შუშანიკის მარტვილობის ქრონოლოგიის გაგებაში აღრეული იმან გამოიწვია, რომ ვარსქენი და შუშანიკი... ერთი საუკუნით უფრო გვიანდელ არშუშასა და ვარდანის შვილებად იქნენ მიჩნეულნი" (ჯანაშია ნ., „შუშანიკის წამება", ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბ., 1988, გვ. 78).

მაგრამ პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა ნიშნავს, რომ აღრეული მოხდა გარკვეული წყაროთმცოდნეობითი ძიებების შედეგად, ეპოქათა შინაარსობლივი მიმსგავსების საფუძველზე. ეს კი გულისხმობს, რომ VII ს.-ის შუა ხანებში მცხოვრები რედაქტორისათვის უცნობი იყო შუშანიკის მოღვაწეობის რეალური ქრონოლოგია. მაგრამ ასეთი აზრის დაშვება შეუძლებელია, რადგან ამ საუკუნის დასაწყისში, როგორც ეს ქართველ და სომეხ საეკლესიო იერარქთა შორის გამართული პოლემიკური მიმოწერის მასალებიდან ჩანს, ქართლში კარგად იცოდნენ შუშანიკის ცხოვრების ხანა, რასაც შენიშნავს ნ. ჯანაშიაც (იხ. იქვე, გვ. 66, 74). ასე რომ, როგორ ცნობიერად ამ დროისათვის ამგვარი შეცდომის დაშვება გამორიცხულია. ადგილის წანაცვლება უნდა მომხდარიყო შემთხვევით, მექანიკურად, ე. ი. არა ეპოქების არსებითი (შინაარსობლივი) დამსგავსებით, არამედ ტექსტის შესაბამისი მონაკვეთების ფორმალური ერთგვარობის მოჩვენების საფუძველზე აღნიშნულის გათვალისწინებით უპირველესი ჩანს, გულდასმით შედარდეს ქრონიკის ტექსტის ორივე ადგილი სწორედ გარეგნული თვალსაზრისით.

როგორც თავიდანვე შეიძლებოდა გვევარაუდა, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეფის, ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის შესახებ ფაქტებით შედარებით მდიდარი (რაოდენადაც ქრონიკის ეანრი ამის საშუალებას იძლევა) თხრობა, არა ჰგავს ბაკურის მმართველობის მწირ აღწერილობას. ერთი შეხედვით ტექსტის განსახლველ მონაკვეთებს, არაფერი აქვთ საერთო. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ დავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ორივე ეს მონაკვეთი შეიძლება განისაზღვროს ერთგვარად, ანუ ვთქვათ, ერთი და იმავე სივრცითი კოორდინატით, კერძოდ, როგორც ადგილი კათალიკოსთა მსგავსი წყვილის (ერთ შემთხვევაში ესენი არიან ხამოველ და პეტრე, მეორე შემთხვევაში — ხამოველ და სიმონ-პეტრე) წინ.

ქვემოთ თვალსაჩინოებისათვის მოგვაქვს „მოქცევაი ქართლისაის" ტექსტის შესაბამისი მონაკვეთები. მრავალი წერტილითა და ფრჩხილებითაა მონიშნული ის ადგილი, სადაც უნდა იყოს ცნობა შუშანიკის შესახებ. ხაზგასმულია თვით ცნობა და ზემოთ აღნიშნულ სასულიერო პირთა სახელები.

I. „და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გორგასალი და მთავარებისკოპოსი იყო ოველ. მაშინ წარიყვანეს ვახტანგ ხვარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა. და მთავარებისკოპოსი იყო მიქაელ. და მან მიამთხვა ფერეკი პირსა მეფისასას ვახტანგს. ხოლო მეფემან წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოსი. ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი და თანა ჰყვანდა მას ხამოველ მონაზონი, წმიდაჲ და ღირსი. და აღაშენა ჭუემოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან და დასუა პეტრე კათალიკოზი. და ეს იყო ქართლის მოქცევითგან რ ო წელსა. მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარებისკოპოსნი ათცამეტნი. ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე (. . . . . .)

და ამისა შემდგომად მეფობდა დაჩი უფარმელი და კათალიკოზი იყო სამოველ. და მისა ზე ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ-წმინდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს. და კათალიკოზი იყო პეტრე" (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 93—94).

II. „და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ და კათალიკოზი იყო მაკარი. და მისა ზევე ვარქსენ პიტიახში იყო და შუშანიკ იწამა ცშრტავს. და მისა შემდგომად კათალიკოზი იყო ხამოველ და მერე ხიმონ-პეტრე" (იქვე, გვ. 94).

კათალიკოსთა ხაზგასმული ორი წყვილის მეორე წევრები (პეტრე და სიმონ-პეტრე), ძართალია, ერთმანეთს ზუსტად არ თანხვდებიან, მაგრამ ახალი აღქმის საფუძველზე მათ შორის იბმება მტკიცე ასოციაციური კავშირი, რაც აღრევის ალბათობას ქმნის. საქმე შემდეგშია: თავის ერთ-ერთ მოწაფეს, სიმონს ქრისტემ უწოდა პეტრე — კლდე (მათე, 4:18); ამის გამო სახარებაში ეს პიროვნება იხსენიება არა მარტო როგორც სიმონი (მათე, 10:2), არამედ როგორც პეტრე (მათე, 26:69) და სიმონ-პეტრე (მათე, 16:16). ანუ რომ, თუმც კათალიკოსთა ზემოთ მითითებული წყვილი ფაქტობრივად იდენტური არ არის, აგრეთვეულ პირობებში წყვილი „ხამოველ და პეტრე" ქრისტიანი მწერლის მეხსიერებაში შეიძლება აღდგეს როგორც „ხამოველ და სიმონ-პეტრე" (მეხსიერებაში სახელისა მცდარი რეპროდუქციისას ფავისუფალ. ასოციაციის მნიშვნელობის შესახებ იხ. (Фрейд З. Психология обыденной жизни. — Психология бессознательного, М., 1990. с. 202—304).

ამ ფაქტის გაცნობიერების უმალ ჩნდებ: მიხვედრა: „ხამოველ, რომელსაც მოხდევს პეტრე", ტექსტში ცნობის ხათანადო ადგილას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამად მონიშნული ორიენტირია: ამ ორიენტირის აღრევა მსგავს წყვილთან („ხამოველ, რომელსაც მოხდევს სიმონ—პეტრე") განაპირობებს ცნობისათვის ადგილის წანაცვლებას, ე. ი. წარმოშობს ანაქრონიზმს!

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" ისტორიულ ქრონიკაში თარიღები მოცემული არ არის. ამიტომ ცნობის ქრონოლოგიური ლოკალიზაცია ბუნებრივია მომხდარიყო უმაღლესი საერო ან სასულიერო პირის მიხედვით, „ხამოველ, რომელსაც მოხდევს პეტრე", აკმაყოფილებს ორიენტირისათვის აუცილებელ მოთხოვნას — განუმეორებელობას (როგორც ვოქვით, მეორე წყვილი მსგავსია და არა იდენტური). ამიტომ ამ ნიშნით ტექსტში ორიენტირება რაციონალური ჩანს. თუმც, ამასთან, უთუოდ წამოიჭრება დაეჭვების კითხვა: აღნიშნული მიზნით რატომ ვახტანგ გორგასლის სახელი არ იქნა შერჩეული, ის ხომ აშკარად უფრო მოსახერხებელი ორიენტირია?

„შუშანიკის მარტვილობაში", ე. ი. წყაროში, რომლიდანაც შუშანიკის შესახებ ცნობები უნდა ამოეკრიბა „მოქცევაჲ ქართლისაჲ" რედაქტორს, გუგარელი დედოფლის მოწამეობრივი აღსასრულის თანამედროვე ქართლის მეფე დასახელებული არაა. ამის გამო ბუნებრივია, რომ ძველ ქართველ მწიგნობარს მისთვის საინტერესო ცნობის ქრონოლოგიური ლოკალიზაცია ვახტანგ გორგასლის სახელის მიხედვით არ მოეხდინა. საორიენტაციოდ ან უთარიღო ქრონიკაში მას ამგვარ სიტუაციაში რჩებოდა ქართლის უმაღლესი სასულიერო პირი. როგორც ვხედავთ, შეარჩია კიდეც ასეთი— ხამოელ კათალიკოსი. მაგრამ, თუ ზემოთ გამოთქმული დაკვირვება სწორია, ამგვარი არჩევანის საფუძველს ისევ წყარო, ე. ი. „შუშანიკის მარტვილობა" უნდა იძლეოდეს. ანუ სხვაგვარად: აქ მოხსენიებული უნდა იყოს აღნიშნული სასულიერო ! იერარქი. არის კი? ამ საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი წინა მსჯელობის შემოწმებისათვის.

„შუშანიკის მარტვილობაში" რამდენიმე სასულიერო პირია დასახელებული. თვით ავტორის, ე. ი. იაკობ ხუცესის გარდა, აქ ვხვდებით აფოცს — პატიახშის სახლის ეპისკოპოსს, იოანე ეპისკოპოსს, სამუელს. ეს უკანასკნელი მოიხსენიება როგორც „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ", „იაკობ, აფოცი და იოვანე აშკარად აღგილობრივი„ ე. ი. საპიტიახშის მნიშვნელობის სასულიერო პირები არიან „მოქცევაჲ ქართლისაჲში", ცხადია, ისინი ვერ მოხვდებოდნენ. მაგრამ ვინ არის ხამოელი, „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ"?

სპეციალისტთა ნაწილი თვლის, რომ „თავი „ეპისკოპოსთაჲ" „კათალიკოსის" ეკვივალენტურია და ამ საფუძველზე აიგივებენ კიდეც „შუშანიკის მარტვილობაში" ნახსენებ ხამოელს ქართლის მეორე კათალიკოსთან [illegible] ლის შესახებ ცნობები. „მოქ[illegible] გარდა, არის „ქართლის ცხოვრებაშიც". უკანასკნელ ხანებში გ. გ. მამულიამ, რომელმაც გაიზიარა ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ მ. თარხნიშვილის მიერ გამოთქმული აზრი, მიუთითა, რომ ამგვარი იდენტიფიკაცია შეუძლებელია ქრონოლოგიური შეუსაბამობის გამო: მკვლევარს მხედველობაში აქვს შემდეგი გარემოება: „შუშანიკის მარტვილობაში" ხამოელი ეპისკოპოსთა თავად იხსენიება უკვე V ს. 70-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით: „მოქცევაჲ ქართლისაჲს" „ქართლის ცხოვრების" მიხედვით კი ხამოელი კათალიკოსი გახდა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. VI ს. დასაწყისში (მამულია გ. გ., ვახტანგ გორგასლის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ, მაცნე ისტ. სერია, 1990, № 1, გვ. 3).

ეს დაკვირვება მართებულია იმ შემთხვევაში თუ „თავი ეპისკოპოსთაჲ" „კათალიკოსის" ეკვივალენტურია. მაგრამ მაგრამ ხაქმე ისაა, რომ მათი გათანაბრება შეცდომაა. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ რომელიმე ქრისტიან მწერალს, მით უმეტეს სასულიერო პირს (იაკობ ცურტაველი კი ასეთი არის) ქართული ეკლესიის იერარქი — ქართლის კათალიკოსი— მოეხსენებინა ტიტულის გარეშე, უბრალოდ, როგორც „თავი ეპისკოპოსთაჲ" (ანალოგიისათვის: განა აზრად მოუვა დღეს ვინმეს სრულიად ხაქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II იმ ხაბამით, რომ იგი რეალურად ეპისკოპოსთა მეთაურია „თავი ეპისკოპოსთაჲ უწოდოს!).

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ, მართალია, არასწორია ტრადიციული ხაბუთიანობით (ე. ი. „თავი ეპისკოპოსთაჲ" და „კათალიკოსის" გათანაბრებით) აღნიშნულ წყაროებში მოხსენიებულ ხამოელთა იდენტიფიკაცია, მაგრამ ასევე არასწორია ამ მცდარი ხაბუთიანობის კრიტიკით აღნიშნულ პირთა გაიგივების შესაძლებლობის უარყოფაც.

ხამოელი „მოქცევაჲ ქართლისაჲში" ადრეც, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროსაც იხსენიება, მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ არ იყო კათალიკოსი. ეს ის ხამოელია, ქართლის პირველ კათალიკოსს პეტრეს რომ ჩამოუვა ხაბერძნეთიდან: „თანა ჰყვანდა მას ხამოველ მონაზონი, წმიდაჲ და ღირსი" (იხ. ზემოთ) ვახტანგი მას ადრევე იცნობდა. ამიტომ იყო, რომ მისი წარმოგზავნა პერსონალურად იკისრა: „შეუთუალა, რათა კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფით წარმოივლინენ. მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოსად და სამუელ ეპისკოპოსად, და სხუანი ვინცა სთნდნენ" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197, ხაზი ჩვენია. მ. ჩ.).

შეიძლებოდა კი „მოქცევაჲ ქართლისაჲს" რედაქტორს ეფიქრა, რომ ხამოელი თავის მოღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწეობის კათალიკოსამდელ პერიოდში (ესაა შუშანიკის ცხოვრების წლების თანადროული ხანა) არის სწორედ ის სამოველი, რომელსაც იაკობ ცურტაველი იხსენიებს, როგორც ეპისკოპოსთა თავს?

როგორც ირკვევა, შეიძლებოდა, ხაქმე ის ის არის, რომ „სამოველ მონაზონი, წმიდაჲ და ღირსი“, ვახტანგ გორგასალმა დანარჩენი ეპისკოპოსებისაგან გამოირჩია იმითაც, რომ მცხეთის ხაეპისკოპოსოს მეთაურად დასვა „ბოლო მცხეთას ჴეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა ხუეტი ცხოველი.. და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და: სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე ხაეპისკოპოსოსა“ (იქვე, გვ. 198. ხაზი ჩვენია). მცხეთის ეპისკოპოსი კი პირველია ქართლის ეპისკოპოსებს შორის, იგი იწოდებოდა მთავარეპისკოპოსად (ქსე, ტ. 7, სტატია „მცხეთის ხაეპისკოპოსი“). ეს კი იგივეა, რაც „თავი ეპისკოპოსთაჲ“. ამგვარად, სამოელი კათალიკოსობამდე ყოფილა მთავარეპისკოპოსი (სამოელის მთავარეპისკოპოსობა შენიშნულია ლიტერატურაში, კოსრეიძე ა., მიქაელი. „ახალგაზრდა ივერიელი“ 1990, № 47.)

ა. ბოგვერაძეც ამაბვილებს ყურადღებას სამოელის მოღვაწეობის ადრეულ, ე. ი. კათალიკოსობამდელ პერიოდზე, თუმც უარყოფს მის მცხეთელობას. ამ თვალსაზრისისაკენ მკვლევარს უბიძგებს შემდეგი გარემოებანი: ა) „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით, სამოელი ფარულად იღწვის შუშანიკის დასახმარებლად, ე. ი. სამოელი პიტიახშს დაკვემდებარებული ეპისკოპოსია, ე. ი. მცხეთელი არაა; ბ) შუშანიკის გასაჭირზე სამოელის რეაგირება იმდენად მყისიერია, მისი რეზიდენცია სადღაც იქვე უნდა იყოს და არა შორს —მცხეთაში. აღნიშნულის საფუძველზე მკვლევარი თვლის, რომ კათალიკოსობამდე სამოელი იყო ბოლნელი (ბოგვერაძე, ა., ძიებანი I ს.-ის საქართველოს ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის სერია, 1985, № 4, გვ. 159—160).

ეს შეხედულება, როგორც ვნახეთ, ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრების“ ხავსებით ცალსახა ცნობას სამოელის მცხეთელობის შესახებ. ამიტომ მისი გაზიარება შეუძლებლად მიგვაჩნია. მით უმეტეს, რომ ამ ცნობისადმი ეჭვის საფუძველს მითითებული ფაქტები არ იძლევა. არავითარი გადაულახავი მანძილი, მაშინდელი სატრანსპორტო საშუალებებითაც კი, მცხეთასა და ხაპიტიახშოს შორის არ არის. თანაც, თხზულებაში ამ შემთხვევაში დრო საათობით გაზომილი სულაც არა ჩანს. რაც შეეხება სამოელის ფარულ მოქმედებას, აქ შემდეგი ვითარება გვაქვს: სამოელის ფარული მხარდაჭერა შუშანიკს აქვს მისი მოღვაწეობის დასაწყისში (ძვ. ქარ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1, გვ. 18). ეს ის პერიოდია, როცა შუშანიკის პროტესტს არ მიუღია ფართო ვედრადობა, რომ [illegible] და ვარსქენის უთანხმოებასაც [illegible] ჩამოსცილებია ოჯახური კონფლიქტის ელფერი. შუშანიკი ამ დროს ქმრის სახლშია. ამიტომ საქმეში აშკარა ჩარევა იმ რანგის სახელიერო პირისათვის, როგორც სამოელია, უბრალოდ, უხერხულია ეთიკური თვალსაზრისით. ეს რომ ასეა და რომ თავის სიმპათიებს შუშანიკისადმი სამოელის ვარსქენის შიშით სულაც არ მალავს, კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან: სამოელი „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ“ აშკარად მიდის მომაკვდავი შუშანიკის სანახავად (იქვე, გვ. 27). ამ დროს შუშანიკის მოღვაწეობას უკვე დიდი ხაზოგადოებრივი რეზონანსი აქვს. სამოელის თანაგრძნობა პიტიახშის ოჯახურ საქმეებში ჩარევად აღარ ჩაითვლება.

ამგვარად, ამ სამოელის მცხეთელ ეპისკოპოსად მიჩნევას არაფერი უშლის ხელს. ამიტომ „მოქცევაი ქართლისაის“ რედაქტორს სრული საფუძველი ჰქონდა შუშანიკის წამება სამოელის მოღვაწეობის ადრეული პერიოდისათვის დაეკავშირებინა. ეს კი ტექსტში არის ადგილი სამოელის კათოლიკოსობის წინ. ამგვარად, ცხადი ხდება ორიენტირის შერჩევის ლოგიკა უნდა ითქვას, რომ რედაქტორის აზრთა მიმდინარეობა სრულიად ბუნებრივია სამოელის მთავარეპისკოპოსობის პერიოდში მომხდარ ფაქტს იგი განსაზღვრავს, როგორც ფაქტს სამოელის კათალიკოსობამდელს.

როგორც აღინიშნა, შეცდომა გამოიწვია ორიენტირის მექანიკურმა აღრევამ. ცდომილებას ადგილი ჰქონდა ფაქტობრივად ორჯერ: პირველად მწიგნობარს „გულს გადაუყვა“ კათალიკოსთა მოხიშნული წყვილი, მეორედ არაზუსტად აღდგინა იგი მეხსიერებაში, რომ არა ეს მეორე შეცდომა, პირველი საბოლოოდ გამოაშკარავდებოდა და გასწორდებოდა.

ასეთია შუშანიკთან დაკავშირებული ანაქრონიზმის წარმოშობის მექანიზმი ზოგადად. როგორც ვნახეთ, ლაფსუსი აღმოცენდა რამდენიმე შემთხვევითი ფაქტის უცნაური ზედდებით. ამიტომ მისი, როგორც ინდივიდუალური, კერძო მოვლენის განზოგადება გამართლებული არ არის ტექსტის VII ს-ში დამატებული მონაკვეთისთვისაც. მით უფრო მისი გავრცელება არ შეიძლება ძეგლის თავდაპირველ ვარიანტზე და, რაღა თქმა უნდა, არც მთლიანად ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის უარყოფითი შეფასებისათვის გამოდგება საფუძვლად.

ასე რომ, მიუხედავად ამ ანაქრონიზმისა, „მოქცევაი ქართლისაის“ წყაროთმცოდნეობითი ღირებულება არ მცირდება. ხაქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემის, მათ შორის, ბოლნისის ხიონის დათრიღების პრობლემის გადაწყვეტისას სპეციალისტებს შეუძლიათ დაეყრდნონ ამ მნიშვნელოვანი წყაროს მონაცემებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალისტრატე ცინცაძე

ჩემი დაკითხვა

სიამოვნებით უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ჩვენი ცხოვრების ახლო წარსულიდან გამოქვეყნდა და ქვეყნდება თანამედროვე საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ფაქტები. საარქივო დოკუმენტები: გასულ წელს ჟურნალ „მნათობში" (1989 წ. № 9) დაისტამბა ვ. გურგენიძისა და ი. ახუაშვილის პუბლიკაციით ქართული სამღვდელოების მიერ გენუის კონფერენციაზე (1923 წ.) გაგზავნილი მემორანდუმის თაობაზე დაპატიმრებულთა სასამართლო პროცესის ოქმი. ამ უკანასკნელში აქცენტი გადატანილია, და ეს სავსებით ლოგიკურია, კათალიკოზ-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) დაკითხვაზე. თუმცაღა მასში სხვა მონაწილეთა, მათ შორის კათალიკოზ-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის, დაკითხვის შინაარსიცაა მოკლედ მოთხრობილი. უფრო ადრე ამავე ჟურნალში (№ 10, 1988 წ.) ა. მინდიაშვილის პუბლიკაციით გამოქვეყნდა სასამართლო პროცესზე კათალიკოს ამბროსის მიერ წარმოთქმული მეტად საინტერესო სიტყვა — სათაურით „მე ჩემი ვალი მოვიხადე".

ქართული სამღვდელოების ერთი ნაწილი, პატრიარქი ამბროსის მეთაურობით 1923 წელს დაიპატიმრეს და მათ წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. სასამართლო შედგა 1924 წ. მარტში. სამწუხაროდ, საზოგადოებამ ამ პროცესის შესახებ ძალზე ცოტა იცის, ამიტომ ყოველი ახალი ფაქტის გამომზეურება სასურველი და აუცილებელია.

კათალიკოზ-პატრიარქის კ. ცინცაძის პირად საარქივო ფონდში, რომელიც კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, დაცულია ამ პროცესთან დაკავშირებული საყურადღებო და მნიშვნელოვანი მასალა: ა. საბრალდებო დასკვნის ის ნაწილი, რომელიც ამბროსის და კალისტრატეს (განსაკუთრებით ამ უკანასკნელს) შეეხება; ბ. სასამართლოს განაჩენი, რომელიც თავის დროზე გაზეთებში („კომუნისტი" და „მუშა") გამოქვეყნდა (დაისტამბა „მნათობშიც") და გ. კალისტრატე ცინცაძის დაკითხვის ოქმი.

განსვენებულ პატრიარქს დაკითხვის ჩანაწერები გაუკეთებია საკანში დაბრუნების უმალ, 1924 წ. 12—15 მარტს. ჩანაწერები შესრულებულია ფანქრით. ჩვეულებრივ რვეულში; ავტორი ფოტოგრაფიული სიზუსტით აღადგენს დაკითხვას და უშუალო შთაბეჭდილებით ადგენს დოკუმენტს. მოგვიანებით კალისტრატე ცინცაძეს თავისი ჩანაწერები კვლავ გადაუწერია და მე-12 დამატებად დაურთავს სხვა მეტად საინტერესო შრომისთვის, რომლის სათაურია: „მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან (მასალები)". ეს უკანასკნელი „მოგონება" კ. ცინცაძემ დაწერა 1926 წლის დეკემბრის 26—27-ში შემდგარი ქუთაისის საეკლესიო ყრილობის გამო.

კ. ცინცაძის დაკითხვის ჩანაწერები ავსებს უკვე დასტამბულ მასალას და იძლევა შესაძლებლობას უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ 66 წლის წინათ შემდგარი სასამართლო პროცესი, შევიცნოთ ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილის პოზიცია გასაბჭოებისა და სხვა კონკრეტული საკითხის მიმართ.

მიხეილ ჯავთარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, გ. ჩხეიძე. წევრები ვ. წივწივაძე და გ. რთველაძე. ბრალმდებელი ნ. ოკუჯავა. მ. მაჭავარიანი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი ა. ერქომაიშვილი. 1924 წ., მარტის 12.

თავმჯდომარე: როდის ხართ თქვენ არჩეული საკ. სბჭოს წევრად?

— 1917, 1920 და 1921 წლებში, სამივე საეკლესიო კრების მიერ.

თავმჯ.: როდის გაეცანით თქვენ კათალიკოს ამბროსის მიერ გენუას კონფერენციაზე გაგზავნილ მემორანდუმს?

— მაშინ, როდესაც ის დაისტამბა სბჭოთა პრესაში, წავიკითხე „Правда Грузия"-ში.

ნ. ოკუჯავა: რა აზრისა ხართ თქვენ მემორანდუმის გაგზავნაზე?

— რადგანაც საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ჩემს აზრს, ერთის მხრით, ხოლო მეორის — მემორანდუმი გაგზავნილია ჩემი მღვდელმთავრის, მისი უწმიდესობის მიერ, რომლის მოქმედებას მე, საეკლესიო კანონის ძალით, ვერ დავიწუნებ და, მაშასადამე, ვერც მოვიწონებ — ამისთვის გთხოვთ, ბ. თავმჯდომარევ, მომცეთ ნება, არ გავსცე პასუხი შემკითხველს, არ შევიდე ჩემი მამათმთავრის მოქმედების განსჯაში.

თავმჯდ.: ეს თქვენი უფლებაა, თქვენ შეგიძლიათ არ გასცეთ პასუხი არც ერთ შეკითხვაზე.

ა. ერქომაიშვილი: სამღვდელოებას აქვს თუ არა უფლება, ჩაერიოს პოლიტიკურ საქმეებში?

— ეს საკითხი არ არის საბოლოოდ გადაჭრილი. პირადად მე ვფიქრობ, რომ სამღვდელო პირი არ უნდა ერეოდეს წმინდა პოლიტიკურ საქმეებში, მაგრამ ყველა ასე არა ფიქრობს.

ა. ერქ.: ვინ, მაგალითად?

— ჩემი ყოფილი მასწავლებელი, ცნობილი პროფესორი დეკანოზი პავლე სვეტლოვი.

ა. ერქ.: ალბათ ის ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებზედ, ან საღვთო წერილზედ.

— დიახ.

თავმჯდ.: (ერქომაიშვილს): დაანებეთ თავი, ეს საქმეს არ შეეხება.

ა. ერქ.: თქვენ იცნობთ ილია შუბლაძეს?

— კარგად.

ა. ერქ.: როგორი მდივანია ის?

— ჩინებული.

ა. ერქ.: ი. შუბლაძის მიერ დაწერილ საკათოლიკოზო სბჭოს სხდომის ოქმში, სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ, თქვენ ხედავთ რაიმე შეცდომას თუ არა?

— არა.

ა. ერქ.: მაშ თქვენ თანახმა ხართ იმ ოქმში გამოთქმული აზრისა?

— ოქმზედ ხელი მოვაწერე, და მოვაწერე სრული შეგნებით, მაშასადამე, სავსებით ვიზიარებ იმ აზრს, რომელიც ოქმშია გამოთქმული.

ა. ერქ.: მაშ, მოახსენეთ უზენაეს სასამართლოს, რად იყო საკათალიკოზო სბჭო წინააღმდეგი სამხედრო ტაძრის მთავრობისათვის გადაცემაზე?

— საკათალიკოზო სბჭოს აზრადაც არ მოხვლია, წინააღმდეგი ყოფილიყო მთავრობისათვის სამხედრო ტაძრის გადაცემისა.

ა. ერქ.: მაშ რას ნიშნავს ს. სბჭოს დადგენილება: საკათალიკოზო სბჭო არ ცნობს საჭიროდ გადასცეს სამხედრო ტაძარი მთავრობას, და არც წარგზავნის წარმომადგენლებსო?

— მაგის მსგავსი საკ. სბჭოს არაფერი დაუდგენია. საკ. სბჭომ გამოიტანა შემდეგი განჩინება, რომელიც პატივისცემით წარუდგინა მთავრობას: „მოხსენდეს მთავრობას, რომ ს. სბჭო ძალისა გამო დეკრეტისა № 21 ვერ ცნობს თავისთვის შესაძლებლად დასთმოს ტფილისის წმიდის გიორგის (ყოფილი სამხედრო) ტაძარი არა სარწმუნოებრივ და ღვთისმსახურებრივ მიზნებისათვის და, ამის გამო, ვერც წარგზავნის შინაგან საქმეთა კომისარიატში თავის წარმომადგენელთ აღნიშნულის ტაძრის ჩასაბარებლად. რაც შეეხება ტაძრის გასაღებს, ის ინახება ამ ტაძრის წინამძღვართან". დიახ, ს. სბჭო ვერ ცნობდა თავისთვის შესაძლებლად, დაეთმო ტაძარი არა სარწუნეობრივ და ღვთისმსახურებრივ მიზნებისათვის... მაგრამ ამავე დროს საკ. სბჭომ უბრძანა ტაძრის წინამძღვარს დეკ. თოთიბაძეს, მიერთმია გასაღები მთავრობის წარმომადგენლისათვის, როცა ეს უკანასკნელი მოითხოვდა მას. სად არის აქ წინააღმდეგობა მთავრობის მიმართ?

ნ. მაჭავარიანი: რა განსხვავებაა „არ ცნობს" და „ვერ ცნობს" შორის?

— დიდი, ბატონო, ძალიან დიდი. პირველ შემთხვევაში ბრძანების არ შესრულებაა წინააღმდეგობის გაწევის ხურვილით გამოწვეული, მეორე შემთხვევაში კი — ბრძანების შესრულების შეუძლებლობაა, ფიზიკურისა თუ ზნეობრივი მიზეზის მიერ წარმოშობილი. მაგალითად „არ ავდგები" და „ვერ ავდგები".

ა. ერქ.: რატომ ვერ ცნობდა ს. სბჭო შესაძლებლად წარმომადგენლების წარგზავნას?

— ზნეობრივ მოსაზრებათა გამო! ს. სბჭოს არ შეეძლო ყოფილიყო, თავის წარმომადგენლების სახით, იქ, სადაც შელახული იქნებოდა მისი სინიდისი, მისი წმიდათა წმიდა, არ შეეძლო გამხდარიყო, თავის საკუთარი ნებით, მოწმედ იმ წმიდა ტრაპეზის მოშლა-დანგრევისა.

ოთმელხაც ის მოკრძალებით თაყვანისცემდა. ეს შეეძლებლობა ბევრ უფრო მართებული იყო, რომ ის სავსებით გამოვდინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის 1921 წლის № 21 დეკრეტისაგან, რომლის მეოთხე მუხლით უზრუნველყოფილია საქართველოს მოქალაქის სინიდისის შეულახველობა.

ა. ერ.: თუ საკ. ხაბეჭო ვერ ცნობდა თავისავის შესაძლებლად, დასწრებოდა ეკლესიის ტრაპეზის მოშლას, რაღათ ავალებდა იგი დეკ. თოთიბაძეს დასწრებოდა ამ მოშლას?

— საკ. ხაბეჭოს დეკ. თოთიბაძისათვის ეს არც დაუვალებია.

ა. ერ.: მაშ, საკათ. ხაბეჭოს დადგენილება მღვდლებისთვის ხავალდებულო არ არის?

— გთხოვთ, განმიმარტოთ, კონკრეტული შემთხვევა გაქვთ სახეში, თუ ხაზოგადოდ ბრძანებთ?

ა. ერ.: სახეში მაქვს კონკრეტული შემთხვევა: დეკ. თოთიბაძე იყო თუ არა ვალდებული, შეესრულებინა საკათალიკოზო ხაბეჭოს დადგენილება?

— უეჭველად ვალდებული იყო, შეესრულებინა საკათალიკოზო ხაბეჭოს დადგენილება.

ა. ერ.: მაშ, დეკ. თოთიბაძე უნდა დასწრებოდა ტაძრის ჩაბარებას, თუ არა?

— ეს დამოკიდებული იყო დეკ. თოთიბაძის შეგნებაზე, სინდისზე.

ა. ერ.: მაშ, რა იყო ხავალდებულო დეკ. თოთიბაძისათვის?

— ის, რაც დავალა მას საკ. ხაბეჭომ: მიერთმია მთავრობის წარმომადგენლისათვის ტაძრის გასაღები, რაც მან ხავსებით შეასრულა.

ა. ერ.: დეკ. თოთიბაძე ხომ წინამძღვარი იყო სამხედრო ტაძრის, — უნდა დასწრებოდა თუ არა იგი ეკლესიისა და მისი ნივთების ჩაბარებას.

— ეს დამოკიდებული იყო დეკ. თოთიბაძის სინდისზე, — ნებას მისცემდა სინდისი — დასწრებოდა, არ მისცემდა ნებას — არ დასწრებოდა.

ა. ერ.: — გამოდის, რომ საკ. ხაბეჭოს დადგენილება არ ყოფილა ხავალდებულო დეკ. თოთიბაძისათვის?

— მე უკვე ორჯერ მოგახსენეთ ჩემი პასუხი... ბ. თავმჯდომარეო, დამიხსენით მეხამეჯერ პასუხის მიცემისაგან ერთსა და იმავე შეკითხვაზე: არც მე ვარ ემაწვილი და არც ჩემი შეკითხველია მაინცდამაინც ახალგაზრდა.

თავმჯდომარე (ერქომაიშვილს): აკი მოგცათ პასუხი — თოთიბაძე ვალდებული იყო მიერთმია ვისთვისაც ჯერ არს გასაღები, — ხოლო დასწრებოდა ეკლესიის ჩაბარებას, თუ არა — ეს მისი სინდისის საქმე იყოო, დაანებეთ თავი, რაღა გინდათ მეტი?

ა. ერ.: ტაძარი ჯერ ხომ კიდევ დეკ. თოთიბაძის ხელში იყო და რატომ არ უნდა დასწრებოდა იგი ჩაბარებას?

— თუ მაინცა და მაინც ჩემგან და არა ბატ. თოთიბაძისაგან განებავთ მიიღოთ პასუხი ამ საკითხზედ — მოგახსენებთ: თოთიბაძეს იბარებდნენ ტაძრის ჩაბარებაზედ დასასწრებლად იანვრის 12-ის ათი საათისათვის. ტაძარი კი მას ჩამორთმეული ჰქონდა ფაქტიურად იანვრის შვიდს, დღის 1-2 საათზედ, წირვის გათავების შემდეგ. საქმე ამნაირად იყო: იანვრის 7, შობა დღეს, წირვის გათავებისას, როცა ტაძარი სავსე იყო მლოცველებით, ეკლესიაში შევიდნენ ქუდით თავზე და პაპიროსით პირში თოფით შეიარაღებული ახალგაზრდები და აქაიქ დაჰყარეს პროკლამაციები, სხვათა შორის, დაიწყეს შობის ხატზედაც. რომელიც ტაძრის შუა ადგილას ესვენა ანალოგიაზედ. ეკლესიაში შეიქმნა აურ-ზაური, ზოგიერთა მანდილოსნებს გულიც კი შეუწუხდათ. მიუხედავად ამისა, შეიარაღებულნი განაგრძობდენ ეკლესიაში ხმაურობას, რითაც ხელს უშლიდნენ ღვთისმსახურებას. ამის გამო ეკლესიის წინამძღვარი იძულებული შეიქმნა, გაეგზავნა თავისი თანაშემწე დეკ. კონტრიძე მილიციაში, დახმარების აღმოსაჩენად. მილიცია მართლაც მოვიდა. მაგრამ დაგვიანებით, მაშინ, როცა ღვთისმსახურება გათავებული იყო და ხალხი უკვე გამოსული იყო ტაძრიდან... იმავე დღეს (იანვრის 7), საღამოს ხუთ საათზედ დეკ. თოთიბაძე მიდიოდა ეკლესიაში საღამოს ლოცვის შესასრულებლად. მაგრამ ტაძრის ეზოში ვერ შევიდა: ალაყაფის კარები დაკეტილი დაუხვდა. იქვე მდგომმა შეიარაღებულმა გუშაგმა არ შეუშვა ეკლესიის წინამძღვარი ეზოში და თანაც გამოუცხადა: სულერთია, ეკლესიაში ვერ შეხვალთ, იგი დაბეჭდილია. მართლაცდა იმ ღამეს (ტაძრის ეზოში კომსომოლებმა გადაიხადეს თავიანთი „შობა") გალავანში შეხულებმა ხაკუთარის თვალით ნახეს, რომ ტაძრის კარები დაბეჭდილი იყო და ეს ბეჭედი არ აუხსნიათ არც მეორე დღეს და არც შემდეგ, ჩვენს დატუსაღებამდე. იანვრის 8, დილის 10-11 საათზე მე თვითონ დავინახე, რომ ტაძრის გუმბათის ჯვარს შემოახვიეს წითელი დოლბანდი და გალავნისა და ეკლესიის კარებზედ გამოკიდებული იყო (იანვრის 7 საღამოს მიმაგრებული) წითელი ბაირაღები და სხვადასხვა ღვთის საგმობი შინაარსის წარწერებიანი ლენტები და განცხადებები. თავისთავად ცხადია, რომ შეიარაღებული გუშაგი არ უშვებდა ეკლესიის ეზოში მღვდლებსა და მორწმუნეებს. ამრიგად, ტაძარი და ყოველივე ის ქონება, რომელიც ტაძარში იყო, ფაქტიურად ჩამოერთვა დეკ. თოთიბაძეს იანვრის შვიდს, ე. ი. მაშინ, როცა ჯერ კიდევ ძალაში იყო დეკრეტის № 21 მეთხუთმეტე მუხლი და არ არსებობდა დადგენილება № 88, ტაძრის კომსომოლებისათვის გადაცემის შესახებ: ეს დადგენილება გამოქვეყნებული იყო მხოლოდ იანვრის 10... ამის შემდეგ, მიბრძანეთ, რა აზრი ექნებოდა დეკ. თოთიბაძის დასწრებას იანვრის 12 მიწვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზე?

ა. ერ.: თუ ტაძარი ფაქტიურად ადარ იყო დეკ. თოთიბაძის განკარგულებაში, იურიდიულად ხომ მაინც მის განკარგულებაში იყო იგი?

— არა, ტაძარი არც იურიდიულად იყო დეკ. თოთიბაძის განკარგულებაში.

ა. ერ.: მაშ. ვის განკარგულებაში იყო სამხედრო ტაძარი იურიდიულად იანვრის 12-?

1921 წლის № 21 დეკრეტის შემდეგ იურიდიულად ყველა ტაძრები და მათი ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს და იმყოფება სახკოთა ჩელისუფლების განკარგულებაში. ტაძრები მხოლოდ ფაქტიურად არის მორწმუნეთა და მღვდლების ხელში, — იანვრის 12 კი სამხედრო ტაძარი დეკ. თოთიბაძის ხელში არც ფაქტიურად იყო და არც იურიდიულად.

რ თ ვ ე ლ ა ძ ე: თქვენ წარჩინებული მღვდელი ხართ, ბატონ. სიბეჭის წევრი 1917 წლიდან, — მოახსენეთ უზენაეს სასამართლოს, რატომ არ მიგიწვიათ კათ. ამბროსიმ მემორანდუმის დაწერის დროს?

— უნდა მოგახსენოთ, რომ მე ძალიან პატარა და წარჩინებისგან შორს მყოფი მღვდელი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ბატ. სიბეჭის წევრი გახლავარ 1917 წლიდან, ხოლო, რისთვის არ მიმიწვია კათ. — პატრიარქმა მემორანდუმის დაწერის დროს, ვერარას მოგახსენებთ დანამდვილებით, მისი უწმიდესობა აქ ბრძანდება — მკითხეთ მას და ის ბრძანებს. თუ რატომ არ მიმიწვია, მე კი ვგონებ, რომ საჭიროდ არა სთვლიდა ჩემს დახმარებას... თითონ ჩემზე უკეთესი წერა იცის...

რ თ ვ ე ლ ა ძ ე: ბატ. სიბეჭის იმ კრებას, რომელზედაც კ-ს ამბროსიმ გააკეთა მოხსენება, ცნობა მაქვს, მემორანდუმი უკვე მიუღიათ გენუის კონფერენციაზეო, თქვენ რატომ ვერ დაესწარით, — ავად იყავით, თუ საქმემ რაიმეს შეგიშალათ ხელი?

— ირკვევა, რომ კათოლიკოზ-პატრიარქს ამ საგანზედ საუბარი აქონია ორ ადამიანთან, ე. ი. ყოფილან სულ ხმნი, ეს კი კრება არ არის, ვინაიდან კრების კვორუმია...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: თქვენ პირდაპირ უპასუხეთ, დაესწარით კრებას, თუ არა? ხაჭირო არ არის კვორუმზედ ლაპარაკი...

— ბ. თავმჯდომარევ, თუ კვორუმი არ იყო, კრება ხაიდან იქნებოდა? იმ კერძო ბაზის კი მე არ დავსწრებივარ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ეგრე.

ვ. წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე: მოახსენეთ უზენაეს სასამართლოს: კათოლიკოსი ხომ თავია ხამღვდელოების...

— არა მხოლოდ ხამღვდელოების, არამედ ეკლ...

ვ. წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე: მოითმინეთ, მოითმინეთ, ნუ გავიწყდებათ, რომ აქ უზენაესი სასამართლოა (აკაკუნებს მაგიდაზე ფანქარს).

— ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რომ აქ უზენაესი სასამართლოა. გთხოვთ [illegible] მიგვარდებით.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: [illegible]

— როგორც ხედავთ, ფანქარს [illegible]

ვ. წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე: [illegible] ეკლესიის [illegible] ხამღვდელოებას არ გაასამართლა [illegible] პოლიტიკაში ჩარევისათვის?

— ხაკითხი ეხლა უფრო სწორად არის დაყენებული: კათოლიკოსი თავია [illegible] ხამღვდელოების, არამედ ეკლესიის. რომელიც შედგება მორწმუნეთა და ხამღვდელოებისაგან. ხამღვდელოების ნაწილი ვართ ჩვენ. ვინც აი აქ ვზივართ, ხოლო მორწმუნეთა ნაწილი ყველა თქვენ. ვინც ამ დარბაზში ბრძანდებით — კათოლიკოსის გასამართლება კი შეუძლია [illegible] ხალხურ ხაეკლესიო კრებას. [illegible] ყართველოს მორწმუნეთა და ხამღვდელოების წარმომადგენელი და ასევე ის შემოჩვევაში, თუ კათოლიკოსმა უდალატა ზნეობისა და ხარწმუნოების დოგმატებს. ან კიდევ ხაეკლესიო დისციპლინის ძირითად პრინციპებს. პოლიტიკაში ჩარევისათვის კი თუ ასეთი შეხვედრა ექნება ადგილი. ვერ გასამართლებს კათოლიკოზ-პატრიარქს (გახსოვთ ბრალდება ამ ფაბად, რომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან). ვერც ხაეკლესიო კრება. ამგვარ ჩარევისთვის კათოლიკოზ-პატრიარქი, რაგორც ხელმძღვანელი რესპუბლიკის მოქალაქე, ექვემდებარება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქობას და მის სასამართლოს.

ვ. წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე: შეუძლიან, თუ არა მღვდელს შეიტანოს ხაჩივარი კათოლიკოზზე?

— შეუძლიან ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, მაგრამ ეს ხაჩივარი უნდა მიართვას [illegible] კათოლიკოზს.

ვ. წ ი ვ წ ი ვ ა ძ ე: კათოლიკოზ ამბროსის [illegible] მორანდუმი პოლიტიკური შინაარსისა, [illegible] ალურისა?

— ეს მკითხველზედ არის დამოკიდებული. პოლიტიკოსს ის პოლიტიკურ აქტად შეუძლია ჩასთვალოს, მორალისტს კი — მორალურად. არსებობს წმიდა მორალური მცნება: „არა კაცს კვლა", რომელიც მორალისტების აზრით მოსახწონი და ხავალდებულოა, ხოლო პოლიტიკოსთა აზრით — არც მოსაწონია და არც ხავალდებულო.

ნ. ო ქ უ ჯ ა ვ ა: შეეძლო თუ არა კათოლიკოზ ამბროსის, როგორც ს. ხაბჭოს თავმჯდომარეს, გაეგზავნა მემორანდუმი ხაბჭოს დაუკითხავად?

— არა, არ შეეძლო: ამის უფლება „ხალხურ ხიო დებულებებით" კათოლიკოზს არა აქვს მინიჭებული.

ნ. ო ქ უ ჯ ა ვ ა: მაშ, რა უფლებით გაგზავნა მან მემორანდუმი გენუის კონფერენციაზე?

— როგორც ჩანს, — კათოლიკოზ-პატრიარქის უფლებით.

ჩემი პასუხის ცხადსაყოფელად უნდა მოგახსენოთ შემდეგი: კათოლიკოზ-პატრიარქი შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილია ხამგვარი უფლება-მოვალეობით, — ის არის ეპარქიის მმართველი მღვდელთმთავარი, საკათოლიკოზო საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს ეკლესიის საკეთმპყრობელი მამათმთავარი და კათოლიკოზ-პატრიარქი. „საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებით", რომელიც გამომუშავებულ-განხილულია ხამს ხაეკლესიო კრებაზე, ჩამოყალიბებულია კათოლიკოზ-პატრიარქის უფლება-მოვალეობანი, როგორც ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრისა და საკათოლიკოზო ხაბჭოს თავმჯდომარისა, ხოლო, როგორც ეკლესიის საკეთმპყრობელი მამათმთავარი და კათოლიკოს-პატრიარქი, ის „დებულების" ფარგლებს გარეშე დგას, ამ შემთხვევაში ის მოქმედებს საკუთარი სინდისისა და მოვალეობის შეგნების მიხედვით: ამ უფლებით კათოლიკოზ-პარტიარქები ხარგებლობდენ ძველად და ხარგებლობენ ახლაც...

ა. ერქომაიშვილი: მთავრობის მიერ გამოცემული კანონები უნდა შეახრულოს ხამღვდელოებამ თუ არა?

— საკითხი თეორიული ხასიათისაა, თუ...

ე. ერქომაიშვილი: უფრო თეორიულის.

— ხამღვდელოებამ, როგორც სხვა მოქალაქეებმაც, უეჭველად უნდა შეახრულოს მთავრობის მიერ გამოცემული კანონები, რომელნიცა არ ეწინააღმდეგებიან ღვთისმცნებახა და მორწმუნეთა სინდისს.

ა. ერქ.: მაშ, მთავრობამ რომ გამოხცეს ღვთის მცნებისა და სინდისის — როგორც თქვენ გესმით ეს — საწინააღმდეგო კანონები, თქვენ არ შეახრულებთ მათ?

— მადლობა ღმერთს, ჩვენ ჯერ არა გვყავს ასეთი მთავრობა, რომელსაც...

ა. ერქომაიშვილი (წამოდგება ფეხზე და მიმართავს თავმჯდომარეს): აქ მთავრობის ავ-კარგიანობაზე ლაპარაკობენ, რაც დაუშვებელია.

თავმჯდომარე მანიშნებს თვალებით ა. ერქომაიშვილზე.

— ...გამოეცეს ღვთისმცნებისა და სინდისის საწინააღმდეგო კანონი, პირიქით, — დეკრეტი 21 ხავსებით უზრუნველყოფს რწმენისა და სინდისის თავისუფლებას.

ა. ერქ.: წარმოვიდგინოთ, რომ გამოვიდა ასეთი კანონი.

— არ ვიცი, როგორ მოიქცეოდნენ სხვები მაგრამ მე კი ასე მოვიქცეოდი: მოკრძალებით და პატივისცემით მოვახსენებდი მთავრობას, თუ რატომ ვერ (და არა „არ") ვასრულებ მის მიერ გამოცემულ კანონს, და ვსთხოვდი, განვეთავისუფლებინე ამ კანონის შესრულებისაგან. თუ მთავრობა შეიწუნარებდა ჩემს თხოვნას, ხომ კარგი — თუ არა და — განვემზადებოდი ჯვარზედ ხაცმელად...

ა. ერქ.: რა საჭირო იყო ქონების წიგნის შავადაც წარმოება?

— აქ ცოტა გაუგებრობაა. მოგეხსენებათ, აწინდელი ქვაშვეთის ტაძარი [illegible] ახლა. ხაჭირო შეიქმნა ახალი ტაძრის (თვით შენობის) აღწერა და ეს აღწერილობა ჯერ დაიწერა შავად, ცალკე ფურცლებზე, მერე კი გადაიწერა ზონარ-გაყრილ და ბეჭედ-დასმულ ოფიციალურ წიგნში. ამ ახალ წიგნში ჯერ არ არის ხავსებით გადატანილ-გადაწერილი ეკლესიის ქონება ძველი წიგნიდან, იმ წიგნიდან, რომელიც შედგენილია 1900 წელში და წარმოადგენს ძველის 1904 წელში დაშლილის ეკლესის (შენობის) აღწერილობას. თავისთავად ცხადია, რომ ახალ წიგნში შეტანილი და შესატანი ხაეკლესიო ქონება იგივეა, რომელიც უკვე შეტანილია ძველ წიგნში. დღეს ორივე ეს წიგნები აქ არის...

ა. ერქ.: ფულის შემოხავალ-გასავალი ამ წიგნებში არ იწერება?

— არა, ფულის შემოხავალ-გასავალი იწერება ცალკე წიგნში — დავთარში.

ა. ერქ.: ამ შემოხავალ-გასავლის დავთრის ხათვის შავი დავთარი რაღათ გინდოდათ?

— ცხოვრებამ და გამოცდილებამ მიმიყვანა ამ შავი დავთრის წარმოების ხაჭიროებამდე. მე მაქვს ეს დავთრები 1893 წლითგან. იმ ეკლესიაში, სადაც მე ვიყავ თავდაპირველად გამწესებული, არ დამხვდა რამდენიმე წლის შემოხავალ-გასავლის დავთრები. ამან გამოიწვია არა ხამართლიანი მითქმა-მოთქმა გარდაცვალებული ადამიანის შესახებ. შავი დაკარები რომ ყოფილიყო, ამ მოვლენას ადგილი არ ექნებოდა ამის გამო და ამის შემდეგ, მე არა მაქვს ხურვილი, რომ რომელიმე უხაქმო ადამიანმა თქვას: დეკანოზმა ცინცაძემ 10 მანეთი მოიპარაო. ეს კი შესაძლებელია ჩვენს დროში, მით უმეტეს,რომ დავთრის დაკარგვა არ არის შეუძლებელი: დახრულების შემდეგ, დავთარი იგზავნება ხაბოლოო რევიზიისათვის ხეკანარიო კანცელარიაში. ამ რევიზიის შემდეგ ხანდახან დავთარი აღარ ბრუნდება ხოლმე ეკლესიაში...

ა ერქ.: ხომ შეიძლება, რომ შავ დავთარში ამოიშალოს რაიმე, ან ჩაემატოს?

— ეს დამოკიდებულია იმაზე, ვის როგორი ჩვეულება აქვს... რაც შეეხება ჩემს შავ დავთარს, ერთი იმათგანი მანდ არის. — შეიცავს შემოხავალ-გასავალს 1917 წლიდან. განიხილეთ და დარწმუნდით, რამდენად ხაფუძვლიანია თქვენი ეჭვები...

ა. ერქ.: ნუთუ 1922 წლის ნოემბერსა და დეკემბერში იმდენად მოუცლელი იყავით, რომ ვერ იშოვეთ დრო გეანგარიშნათ ფულის შემოხავალ-გასავალი და რატომ აღნიშნულ თვეების ანგარიში არ არის მოთავსებული იმავე წლის წიგნში?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ხაანგარიშო თვედ ჩვენ ხშირად ვთვლით ორსა (და ხანდისხან) სამ თვესაც, — ეს წიგნიდანაც ჩანს. 1922 წლის ნოემბერ-დეკემბრის (და არა ნოემბრისა და დეკემბრის) შემოხავალ-გასავალი 1923 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვრის პირველ რიცხვებში ხავსებით ნაანგარიშევი და შავ წიგნში — დავთარში შეტანილი მქონდა. შობის წინა და შემდეგ (შობა ხომ იანვრის 7 იყო) დღეებში ეკლესიაში და მრევლში ბევრი ხალხეები მქონდა — ვინც ეკლესიურ ცხოვრებას მთლად არ დაშორებია, მისთვის ჩემი სიტყვები გასაგები იქმნება და ვერ ჩავიგდე ხელში თავისუფალი დრო (საკმაო იყო სულ ერთი საათი), რომ ანგარიში შავი წიგნიდან გადამეტანა თეთრში. იანვრის 12-ის საღამოს ნახევარი ანგარიში უკვე გადატანილი მქონდა თეთრ წიგნში, წიგნები და გასამართლებელი ხაბუთები მაგიდაზე ეწყო, მაგრამ... ანგარიშის დამთავრება არ დამცალდა: მეც და ჩემი წიგნებიც იმ საღამოს დატუსალებულ ვიქმენით საგანგებო კომისიის თანამშრომლის მიერ... მაშასადამე, დროს უქონლობა შეეხება არა ორ თვეს, არამედ შობის ახლო დღეებს. რაც შეეხება საკითხს: რატომ ნოემბერ-დეკემბრის ანგარიშები შეტანილია ახალ წიგნში და არა იმავე დავთარში, ეს აიხსნება შემდეგით: შეხავალ-გასავლის ანგარიშისათვის ყოველ-წლივ ვიძენდი ხოლმე საეპარქიო კანცელარიიდან ცალკე დავთარს — ერთი წლისათვის. 1921 წლის გასულს ამა წლის დავთარში იმდენი დაუწერავი ფურცლები აღმოჩნდა, რომ ჩემი აზრით ხრულებით ხაკმარისი იქმნებოდა 1922 წლისთვისაც. გავითვალისწინე რა ქაღალდის სიძვირე, ამავე დავთარში განვაგრძე 1922 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის წერა. ფურცლები გვეყო ოქტომბრის გასულამდე. ამისთვის ნოემბერ-დეკემბრის ანგარიშების ჩაწერა დავიწყე ახალ დავთარში, რომელშიაც უნდა მოთავსებულიყო 1923 წლის შემოსავალ-გასავალიც. ეს დავთრები ახლა აქ არის.

ნ. ოკუჯავა: რას იტყვით თქვენ მემორანდუმში აღნიშნულ „ფაქტების" — კულტურის დაცემისა, ჩამოსახლების, ქონების გაზიდვისა და სხვ. შესახებ?

— დღეს შესრულდება სწორედ თოთხმეტი თვე, რაც გამომწყვდეული ვარ ოთხკედელშუა, ამისთვის რა ხდება ციხის გარეთ მე ძალიან ცოტა ვიცი. გამონაკლისის სახედ, შემიძლია ამოვნებით აღვნიშნო მხოლოდ ერთი რამ: ამ დღეებში ციხეში შემოვიდა ახლად და ლამაზად გამოცემული შინაარსიანი რამდენიმე ქართული წიგნი...

ნ. ოკუჯავა: მე გეკითხებით იმ დროის შესახებ, როცა თქვენ ჯერ კიდევ არ იყავით დატუსაღებული.

— დანამდვილებით ვერას გეტყვით, არ მქონდა საშვალება მედევნებინა თვალ-ყური.

თავმჯდომარე: ასე რომ, თქვენ ამის შესახებ არა იცით რა დანამდვილებით?

— დიახ, დანამდვილებით არა ვიცი რა...

თავმჯდომარე. დაბრძანდით.

— ბ. თავმჯდომარევ, შეიძლება მივიღო განმარტება ორიოდე საკითხის შესახებ?

თავმჯდომარე: ვისგან?

— თუ შეიძლება, თქვენგან.

თავმჯდომარე: ინებეთ!

— დასკვნით დადგენილებაში სწერია, ვითომც მე მეჩვენებიოს, რომ მემორანდუმი თავის შინაარსით იყოს მორალური და რელიგიური ხასიათისა და ვითომც ჩვენების დროს დავბნეულვარ...

თავმჯდომარე: ხელი ხომ არ გიწერიეთ ჩვენებაზე?

— უბედურებაც ის არის, რომ მე ამ საკითხის შესახებ არც დაუკითხივარ ვისმეს და არც ოქმია შეყენებული... ცხადია, რომ ხელი არ მეკნება მოწერილი არ არსებულ ჩვენებაზე...

თავმჯდომარე: მაშ ეს როგორ მოხდა? (მიხედავს ბრალმდებელს).

— დიახ, მეც ეგ მაწუხებს. მაგრამ ეს ერთი. ახლა მეორე...

თავმჯდომარე: მოითმინეთ, თქვენ შემდეგში მოგეცემათ სიტყვა და მაშინ მოახსენეთ ხასამართლოს ის, რის თქმაც ეხლა გნებავთ. დაბრძანდით.

— ვემორჩილები თქვენს განკარგულებას, თუმცა...

თავმჯდომარე: დაბრძანდით, დაბრძანდით.

მეტეხი. 1924. III. 12—15.

P. S. დაცულია ავტორისეული სტილი და ორთოგრაფია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ გოგიბერიძე

ბრძოლა სამშობლოსათვის

ნაწილი III

მზადება აჯანყებისათვის

1924 წელს 2 თებერვალს გურიაში შესდგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამაზრო კონფერენცია. ამ დღეს დელეგატებმა პირველად მოისმინეს თბილისიდან ჩამოსულ, ციხიდან ახლად განთავისუფლებულ ვანო ღლონტის პირით, ცენტრალური კომიტეტის და დამკომის პრინციპიალური გადაწყვეტილება აჯანყების მოწყობის შესახებ. ეს იყო მხოლოდ ცნობისათვის და არავითარი განკარგულება ამ ცნობას თან არ ახლდა. ეს ცნობა სამაზრო და სარაიონო პარტიულ და სამხედრო პასუხისმგებელ პირებს არ გასცილებია და ხალხმა ამის შესახებ ჩვენის მხრივ არაფერი იცოდა. მაგრამ 1924 წლის გაზაფხულის თვეებში მოხდა ისეთი ფაქტები, როგორიც იყო საზღვარგარეთიდან ხალხის ჩამოსვლა. ჩვენს წინააღმდეგ კამპანიის გაჩაღება, და აგრეთვე რეპრესიების გაძლიერება. ყოველივე ამან მთელ საქართველოში განსაკუთრებული დაბიმული სულიერი მდგომარეობა შექმნა და არავინ იცოდა, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში.

გურიის სამაზრო კომიტეტი და სამხედრო შტაბი გაეცნო მდგომარეობას საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ვალიკო ჯუღელის საშუალებით, რომელმაც დაპყო გურიაში დაახლოებით ერთი თვე. ამ ხნის განმავლობაში ჯუღელი ეცნობოდა გურიის მდგომარეობას, ნაწილ-ნაწილად პასუხისმგებელ პირების ნახვით და ბოლოს, მის თბილისში წასვლის წინ, დანიშნულ ვადაზედ მოხდა გურიის კომიტეტის და სამაზრო და სარაიონო შტაბების წარმომადგენელთა კრება. ამ კრებაზედ ჯუღელმა გააკეთა მოხსენება მისი და ხხვების ჩამოსვლის შესახებ. მისი სიტყვით, მათი ჩამოსვლა გამოწვეული იყო იმ წერილებით, რომელთაც საზღვარგარეთელი ხელმძღვანელობა ღებულობდა დამკომისაგან. დამკომი, ამბობდა ჯუღელი, გვაცნობს რა საქართველოს მდგომარეობას, საჭიროდ სცნობს შეიარაღებული ბრძოლის დაწყებას და შესაძლებლად მიაჩნია პირველ დაკვრაზედ საქართველოს განთავისუფლება, იმ იმედით, რომ საზღვარგარეთ მყოფი მთავრობა შესძლებს თავის მხრივ, მორალური და ქონებრივი დახმარების აღმოჩენას, აჯანყების პირველსავე დღეებში. ჩემი და ჩემი ამხანაგების მოვალეობა გამოიხატება სწორედ იმაში, რომ ადგილობრივად გამოვარკვიოთ, მართლა შეუძლია თუ არა საქართველოს თავის ძალებით თავისი თავის განთავისუფლება. რაც შეეხება საზღვარგარეთიდან რაიმე დახმარების მიღებას, მან ამის შესახებ სიტყვასიტყვით განაცხადა შემდეგი: არავითარი დახმარების იმედი საზღვარგარეთიდან ჩვენ არ უნდა გვქონდეს აჯანყების მოხდენამდის და თუ ჩვენ, აჯანყებით პირველსავე დაკვრაზედ განვთავისუფლდებით, და დაახლოებით ერთ თვეს შევძლებთ მტერს გაუმკლავდეთ, ამ ხნის განმავლობაში ჩვენები აუცილებლად რამეს მოახერხებენ"-ო. საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ჯუღელმა იმაზე მეტი ვერაფერი გვითხრა, რაც ჩვენ თვითონ ვიცოდით: რუსეთს ამ დროს არავითარი საშინაო და საგარეო გართულება არ ჰქონია და არც არავინ ეძებდა რაიმე საბაბს მასთან შესაბმელად. ჩვენის მხრივ, ჩვენ მას გავაცანით ჩვენი აზრი აჯანყების შესახებ. რამდენადაც ჩვენ ვიცნობდით საქართველოს მდგომარეობას, ჩვენ არ გვქონდა დიდი იმედები ერთი დაკვრით გამარჯვებისა და მით

დასასრული იხ. „მნათობი", № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტეს, შემდეგ ერთ თვეს რუსეთთან პირისპირ გაძლებისა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ის კუბანელები, სადაც ნაწილობრივ აჯანყებებს უკვე ჰქონდა ადგილი, იმდენად განადგურებულნი იყვნენ, რომ ვერავითარ საგრძნობ ძალას ვეღარ მოგვცემდნენ ახალ აჯანყებისათვის, და ეს ჩვენი აზრი სავსებით გამართლდა აგვისტოს დღეებში. რაც შეეხება ქალაქებს და განსაკუთრებით კი თბილისს, იქ ჩვენს ეკვებს ფანტავდა ის რწმენა, რომ დამკომი არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებდა მოძრაობას, თუ მას არ ექნებოდა დიდი შანსები იქ უეჭველი გამარჯვებისა. ჩვენის მხრივ, ჩვენ არავითარ გავლენის მოხდენას არ ვცდილობდით დამკომზედ აჯანყების საწინააღმდეგოდ ან სასარგებლოდ, და სრული სიმშვიდით ველოდით მის განკარგულებებს. ორივე მხრიდან აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ჯუღელმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ აჯანყება არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა, სანამ ის პირადად არ გაეცნობოდა თბილისის და ჩოლოყაშვილის რაზმების მდგომარეობას. აჯანყების დამარცხების შემდეგ მტრები და ბევრი მოყვრებიც ლაპარაკობდნენ იმ დაპირებების შესახებ, რომელიც ვითომ ჩვენ მივიღეთ საზღვარგარეთიდან. ჩემი სინდისის წინაშე ვაცხადებ და ამისი მოწამენი არიან მთელი მაზრის მაშინდელი ხელმძღვანელები, რომ ჯუღელს არ უთქვამს ერთი ღერი სიტყვა იმაზედ მეტი, რაც ზემოთ მოვიხსენიე. ჯუღელის განცხადების შემდეგ, თვითეულს ჩვენთაგანს შეგვიქმნა შთაბეჭდილება, რომ აჯანყება ან სრულიად არ მოხდებოდა, ან ჯერ კიდევ ის შორეული საკითხი იყო. თვით აჯანყების შესახებ საერთოდ საქართველოს მასშტაბით ჩვენ არ გვილაპარაკია, მხოლოდ აღვნიშნეთ ის რომ, თუ აჯანყება მოხდებოდა, აუცილებელ პირობად მიგვაჩნდა პირველსავე რიგში თბილისის აღება.

თავის მხრივ ჯუღელი ვერ ბედავდა რაიმე გარკვეული აზრის გამოთქმას, ვინაიდან ის არ იყო გაცნობილი მთელი საქართველოს მდგომარეობას, მაგრამ გურიაში მოქმედების შესახებ კამათის დროს, ის იმ აზრისა იყო, რომ მოძრაობა დაწყებულიყო თემებში, შემდეგ გადასულიყო რაიონებში და იქიდან მაზრაში, ესე იგი ქვევიდან ზევით, მაშინ როდესაც ჩვენ ყველას ეს გეგმა მიუღებლად მიგვაჩნდა. ჩვენის აზრით, როგორც მთელ საქართველოში, ისე გურიაშიც, ჩვენ პირველად ცენტრებზედ უნდა დაგვერტყა. საერთოდ ამ დღეს ჩვენ უფრო ზოგადი ხასიათის ბაასი გვქონდა, ვინაიდან იმ საღამოსვე ჯუღელი უნდა წასულიყო თბილისში და ჩვენ კი მეორე დღეს უნდა გამოგვემშვიდობინა ადგილობრივად ხახელმძღვანელო გეგმა. ეს ასეც მოხდა, ვალიკოს წასვლის გადადება შეუძლებელი იყო, ის დაგვემშვიდობა და წავიდა გურიიდან [illegible] დეგ აღარასოდეს აღარ გვენახა.

მეორე დღეს კრებაზედ ჩვენ შევუდექით დაწვრილებით გურიაში სამოქმედო გეგმის გამომუშავებას. ამ კრებას დაესწრენ გურიის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სალუქვაძე, სამხედრო შტაბის თავმჯდომარე პოლკოვნიკი ვანო ცომაია, ორივე ორგანიზაციის რამოდენიმე წევრი, სარაიონო შტაბების წარმომადგენლები და რამოდენიმე შეიარაღებული დეკანილი. ჩვენი და მტრის ძალების დაფასების შემდეგ, იმის გათვალისწინებით, თუ რა ცვლილება შეიძლებოდა მომხდარიყო ამ მდგომარეობაში, ან რა პირობებში შეიძლებოდა აჯანყების დაწყების ბრძანების მიღება, რომ არაფერი შემთხვევის ანბანარა არ დარჩენილიყო, ჩვენ გამოვიმუშავეთ ორი გეგმა:

1) ოზურგეთის აღება პირველსავე ღამეს, საამისოდ მთელი მაზრიდან გამოყოფილ ძალებით და ყველა რაიონებზედ თავდასხმა; ამ პუნქტების აღებისთანავე, თემების გაწმენდა იმ ძალების საშუალებით, რომლებიც ჩვენ აღრიცხვაში მეორე რიგის რაზმელებათ გვყავდა აღნიშნული; პირველი რიგის რაზმელების მიხმარება საერთო მდგომარეობის მიხედვით ბათუმის თუ ქუთაისის მიმართულებით.

ტექნიკურად ეს გეგმა ასე უნდა შესრულებულიყო: თვით ოზურგეთის რაიონს, რომელიც სხვებთან შედარებით მეტის მეტად დაზარალებული და ხუსტი იყო და ამოცანა კი ყველაზედ ძნელი ჰქონდა, არ შეეძლო ქალაქის აღება. ამიტომ გადაწყდა შემდეგი: თვითეული რაიონი გამოჰყოფდა ოზურგეთისათვის 50 კაცს, რაც შეადგენდა 150 კაცს, ორი ლუიხის ტყვიის-მფრქვეველით; ამას დაემატებოდა თვით ოზურგეთის რაიონის ხალხი. ეს ძალა ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნდა მოულოდნელი თავდასხმით ოზურგეთის ასაღებად. თუ ამნაირად ოზურგეთის ძალების გამოყოფა არ მოხერხდებოდა, სახეში გვქონდა მეორე საშუალება, რომელიც ჩოხატაურის რაიონს უნდა მოეცა და რომლის ავტორი ს. მათითაიშვილი იყო. ჩოხატაურის რაიონი მდიდარი იყო ხალხით და იარაღით. განსაკუთრებით კარგი მოწყობილი იყო ორი გუნდი: ერთი სურების და მეორე ხიდისთავის. მათითაიშვილის აზრით სურების გუნდს დაევალებოდა თავისი რაიონის უყურადღებოდ დატოვება და ჩოხატაურში ჩამოსვლა პირველი დაკვრისათვის. ეს სავსებით შესაძლებელი იყო ჩვენ მიერ გამოანგარიშებულ დროს, მანძილის და სავალი გზის მდგომარეობის მიხედვით. ეს საშუალება ანთავისუფლებდა ხიდისთავის გუნდს, რომელიც მთლიანად მიყვანილი იქნებოდა ოზურგეთზედ.

2) მეორე გეგმა იყო: თავდასხმა რაიონებზედ, გაწმენდა მაზრის და შეერთებული ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით ოზურგეთზე წასვლა. ეს გეგმა მიღებული იყო იმ შემთხვევისათვის, თუ დროს უქონლობა ან მტრის მიერ წინასწარ მიღებული ზომები შეუძლებელს გახდიდნენ პირველი გეგმის შესრულებას.

ეს მეორე გეგმა არ მოითხოვდა იმდენ წინასწარ მზადებას, რამდენსაც პირველი და ამიტომ უველა რაიონებს მიეცათ ამოცანები პირველი გეგმის მიხედვით. სამხედრო ხელმძღვანელად მთელს მაზრაში დანიშნული იყო ვანო ცომაია, რომელიც, დღიდან საქართველოს დაპყრობისა, არალეგალურად ცხოვრობდა, იცნობდა მთელ მაზრას საუცხოოდ და იყო ჩვენი სამხედრო შტაბის სულის ჩამდგმელი. ამ დადგენილების გამოტანის შემდეგ უველანი წავიდნენ თავიანთ რაიონებში. სალუქვაძე და ცომაია კი წავიდნენ ოზურგეთის მიმართულებით იქაური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

ოზურგეთის რაიონში იმალებოდა შეიარაღებულ დეენილთა ერთი პატარა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარმენ ჭანუყვაძე და რომელმაც ასე სამწუხაროდ გაითქვა თავი ემიგრაციაში. ამ პიროვნებამ არა ერთი ზარალი მიაყენა ჩვენს საქმეს საერთოდ და კერძოდ ჩვენს აჯანყებასაც, ამიტომ იძულებული ვარ რამდენიმე სიტყვით შევჩერდე მასზედ. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალებისა და საერთოდ ფრონტის დაღვევის შემდეგ, ჭანუყვაძე დაბრუნდა თავის სახლში და რამოდენიმე ხნის შემდეგ შევიდა სამსახურში სახალხო გვარდიაში, როგორც ოფიცერი. სამსახურში ის ცნობილი იყო როგორც პირადად უოჩადი და დისციპლინის მკონე ოფიცერი, მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედების დროს ინიციატივას მოკლებული. მაშინდელ აფორიაქებულ მდგომარეობაში, პირადი პასუხისმგებლობის წინაშე, ის უცბად კარგავდა წონასწორობას და კერძო ცხოვრებაში წყნარი და დინჯი, ის ხდებოდა ხაშინლად ანჩხლი და დაბნეული, უველასათვის აუტანელი, ეს მისი ნაკლი უველამ იცოდა და ამიტომ ერიდებოდნენ მის მარტოდ ყოფნაზე მიშვებას. გურიაში ბოლშევიკების მიერ მოწყობილ გამოხვლეების ჩაქრობის შემდეგ, მან მიიღო მონაწილეობა სხვებთან ერთად ხასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. აი, ამიტომ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის გახდა დეენილი და შეუდგა სხვებთან ერთად იარაღით ხელში მალვას, ვინაიდან ის დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მას დახვრეტდა. პირველ ხანებში ის ამ მდგომარეობას ადვილად ურიგდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სხვებთან ერთად მისი ოჯახი რამოდენიმეჯელ დაზარალდა და თან საქართველოს განთავისუფლება ახლოს არ ჩანდა, მას დაეჩემდა მეტად [illegible] ლობა. პირველად ეს მბოლოდ [illegible] მა ამხანაგებმა შეამჩნიეს, რომელთაც ხშირად ის უმიზეზოდ ეჩხუბებოდა და იყო შემთხვევები, რომ იარაღითაც გაიწია ზოგიერთ მათგანზედ. შემდეგში სხვა ამხანაგებთან და პარტიულ პასუხისმგებელ პირებთანაც დაიწყო ჩივილი თავის მდგომარეობაზედ და მისი ოჯახის შეწუხებაზედ. სრულიად არ უნდოდა ანგარიშს სხვების მდგომარეობას, ამბობდა, რომ ის არასოდეს რომელიმე პარტიის მიმდევარი არ ყოფილა და შემთხვეეეთ გაეგება ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ერთი სიტყვით ის ნანობდა, რომ ბარიკადების აქეთა მხარეზედ მოხვდა და ამით თავისი ცხოვრება დაღუპა. ამხანაგები ხედავდნენ ყოველივე ამას და ერიდებოდნენ მის გაღიზიანებას. მიუხედავად იმისა, რომ ჭონებრივად მისი ოჯახი უველაზედ უკეთესად იყო, და ორი მისი ძმები ხამსახურში იყვნენ (ერთი მათგანი წითელი კურსანტი), ჩვენი ორგანიზაცია მას განსაკუთრებით ანგარიშს უწევდა და უველაზედ მეტად მას ეხმარებოდა. ამ მხრივ ის გურიის უველა დეენილებში განსაკუთრებული იყო და მისი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ხშირად ისეთ საქმეზედაც უძახოდნენ, სადაც სხვები უფრო გამოსადეგი იყვნენ. როგორც ოზურგეთის რაიონის მცხოვრები, მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა თუ აჯანყება მოხდებოდა, იმ რაიონში ხელმძღვანელობა მას დაკისრებოდა. სამაზრო შტაბი კი არ სცნობდა მას ამ მეტად საპასუხისმგებლო რაიონში ხელმძღვანელობის ღირსად და ცდილობდა დეენშნა იქ უფრო სავარგისი ოფიცერი, ისე რომ ჭანუყვაძეს თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო და რაც უფრო სახიფათო იყო, გაჯავრებულს რაიმე სისულელე არ ჩაედინა. ამდენად სახიფათო კაცად მიაჩნდა ის შტაბს და სწორედ ამ საკითხის მოსაწესრიგებლად გაემგზავრენ ოზურგეთის რაიონში სალუქვაძე და ცომაია. ეს მგზავრობა ჩვენთვის კატასტროფიულად დამთავრდა: ცომაია და სალუქვაძე დაიჭირეს ჩეკისტებმა. მათ გაქცევა ცადეს, ცომაია დახვრეს ფეხში და ორთავენი ისევ შეიპყრეს. დღეს შეუძლებელია ამ მოვლენაზედ ფარდის ახდა გასაგებ მიზეზების გამო, მაგრამ შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვსთქვა, რომ ეს უბედურება მოუვა ჭანუყვაძის ჯიუტობას, განზე გადგომას და ამეზარი ბავშვივით მუდამ მუქარას და საყვედურებს. რასაკვირველია, არავის არ უფიქრია მაშინ და არც დღეს, რომ ის იმ დროს პოლიტიკურად საეჭვო პირი იყო, ან ამ მარცხთან რაიმე პირდაპირი კავშირი ჰქონდა.

სალუქვაძის და ცომაიას ჩავარდნა უდრიდა ჩვენთვის უველა იმ ზარალს, რაც სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის მანძილზე განვიცადეთ. პირველი იყო გურიის კომიტეტის ჯერ წევრი და შემდეგ თავმჯდომარე. ამ ხნის განმავლობაში მთელი მუშაობა მის თვალწინ და შემდეგ მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მთელი პარტიული ორგანიზაციების ძაფები მის ხელში იყრიდნენ თავს, თავის გამოცდილებით და ავტორიტეტით, მტკიცე, ურყევი ნებისყოფით ის წარმოადგენდა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების სულსა და გულს. ასევე აფასებდა მას ჩეკა, მაგრამ მიუხედავად ათასგვარი ზომებისა, ის აჭამდის უვნებლად დამრჩა. მის ხელშეუხებლობაში ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით და მისი დაკერა პირდაპირ თავზარდამცემი დარჩა ჩვენთვის. მდგომარეობას ის ართულებდა, რომ თავიდანვე მისი თანამშრომლები მასთან აღარ იყვნენ: ზემოხსენებული ვანო ღლონტი ხელახლავ დაკერილი იყო, მეორე მისი ამხანაგი ვასო ჩიტაიშვილი, რომელიც დაპყრობის შემდეგ ერთვნულ ნიადაგზედ აღზრდილ და დამწიფებულ ახალგაზრდობის თვალი იყო, ცენტრალური კომიტეტის განკარგულებით გადაყვანილი იყო ბათუმში არალეგარული მუშაობის საწარმოებლად. ასე თავმომძვრალი და კიდევ მეტი დარჩა სამხედრო ორგანიზაცია. ვანო ცომაია დაპყრობის დღიდანვე საშინლად დევნილი, არალეგალურად ცხოვრობდა. იცნობდა მთელს გურიას პირადად, როგორც ჩვენებს ისე მტერს, შესწავლილი ჰქონდა ყოველმხრივ ჩვენი და მტრის მდგომარეობა, სამხედრო მუშაობის დაწყების დღიდანვე იყო მისი ხელმძღვანელი. მთელი ჩვენი იმედები მასზედ იყო დამყარებული, ვინაიდან ზემოხსენებული თვისებების გამო მისი შემცვლელი ჩვენ არავინ გვყავდა. (პოლკოვნიკი ვიქტორ ინწკირველი, რომელიც ჩვენთვის ერთ დროს დიდი იმედი იყო, არალეგალური ცხოვრების დროს ტიფით ავად გახდა და გარდაიცვალა 1922 წელში). ადგილი ხაქმე არ იყო ასეთი ხალხის უცბათ შეცვლა, მაგრამ პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა მაინც უკეთესი იყო. იმ წამსვე სათანადო ორგანოები ჩაუდგნენ ხაქმეს სათავეში, თვით სალუქვაძის ადგილი კი დაიკირა ერთმა გურიის კომიტეტის წევრმა, გურიისათვის ახალმა კაცმა, რომელიც თუმცა გურიის ორგანიზაციებს პირადად ცოტას იცნობდა, მაგრამ ისე ერთობ დიდი ცოდნისა და გამოცდილების პირი იყო. აჯანყების წინა კვირეებში ეს პირი ხაქმეებს ეცნობოდა და ხავხებით კიდევ არ იყო მზად იმ ამოცანების შესახებედრად, რაც ჩვენ აჯანყებამ დაგვიყენა წინ. ცომაიას შეცვლა კი ჩვენთვის სრულიად შეუძლებელი დარჩა. ადგილობრივად მომუშავე ოფიცრები მხოლოდ თავიანთ რაიონებს იცნობდნენ, და საერთოდ, მაზრის მასშტაბით ხელმძღვანელობისათვის ხაჭირო იყო ცოდნასთან ერთად სამხედრო ხარისხი და ავტორიტეტი.

ამ მიზნით გურიის კომიტეტმა, სამხედრო შტაბთან შეთანხმებით, მიმართა ცენტრს, გამოეგზავნა გურიაში ვინმე ცნობილი სამხედრო პირი. ეს აუცილებელი იყო მით უმეტეს იმიტომ, რომ ცენტრი ჩვენ გურიის განთავისუფლების გარდა გვავალებდა ამოცანად თუ წინასწარ არა, აჯანყების პირველ დღიდანვე სასწრაფოდ ბათომის დაბმარებას, ესე იგი ჩვენი მოძრაობა მაზრით არ უნდა განსაზღვრულიყო და მას უფრო ფართე ხასიათი ჰქონოდა. ხაამისოდ ცენტრმა გურიაში გამოგზავნა გენერალი ყარალაშვილი, რომელიც ხაუბედურად პირველად ბათუმში ჩავიდა, იქვე დაატუსაღეს და დახვრიტეს აჯანყების პირველ დღეებში.

ამ უბედურებებს ზედ ერთვოდა ისიც, რომ ვალიკო ჯუღელი დატუსაღებულ იქმნა თბილისში, რამაც დიდი გავლენა იქონია ჩვენზედ იმ მხრივ, რომ ეს მარცხი მოწმობდა ცენტრში მომუშავე ორგანიზაციების ხისუსტეს, ჩეკის მიერ ჩვენი მზადების ცოდნას და ფართე მასაში კი ყოველივე ეს ქმნიდა მეტის მეტად გაურკვეველ მდგომარეობას. ჩვენგან ხალხმა არაფერი იცოდა, მას კითხვებზე პასუხს ვერ ვაძლევდით და მტრის გაზეთები კი ათას არასაიმედო ეკვებს ბადებდნენ. ამავე დროს მთელ მაზრაში ხელისუფლება დღე და ღამ ფეხზედ იდგა, მთელი სოფლები გაკრული იყო, ხდებოდა მათი ძალების დაგროვება რაიონებში, ხაიდუმლოდ პარტიული კრებები და სხვა, რაც აშკარად მოწმობდა მათ მზადებას რაღაცა განსაკუთრებული მოვლენისათვის. ყველა ეს ჩვენი მარცხი ერთი მხრივ, და მტრის მზადება, მეორე მხრივ, ჩვენ გვაძლევდა საბუთს გვეფიქრა, რომ აჯანყება აღარ მობდებოდა ან გადაიდებოდა მაინც უფრო სხვა დროისათვის. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ მაინც მზად ვიყავით ყოველივე შემთხვევისათვის. ამ ორჭოფულ მდგომარეობას ბოლო მოუღო თბილისიდან დამკომის მიერ გამოგზავნილი კაცის ჩამოხვლამ.

აგვისტოს 20-ს გურიის კომიტეტს ეხტუმრა თბილისიდან დამკომის მიერ გამოგზავნილი კაცი, გარკვეული დავალებებით. ის ცნობა, რაც მაშინ ამ პიროვნებამ გურიის კომიტეტს მიაწოდა, აჯანყების დამარცხების შემდეგ განმეორებულ იქმნა მის მიერვე უფრო მრავალრიცხოვან ამხანაგების წინაშე. მან გადმოგვცა შემდეგი:

„აჯანყების წინა ხანებში მე ვიჯექი ციხეში, ციხიდგან გამოსვლისას გავიგე, რომ დამკომი აპირებდა აჯანყების მოწყობას. ვიცნობდი რა ხაქართველოს ხაშინაო და ხაგარეო მდგომარეობას, ეს ნაბიჯი მიმაჩნდა უდიდეს შეცდომად და ერის დაღუპვად. შევეცადე ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომარიულების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას სახელზედ დავწერე უკანასკნელი მიმართვის წერილი ამ სათაურით: „ვაი დამარცხებულთა", სადაც ერთბელ კიდევ მოვაგონებდი მათ მათი ნაბიჯის სიმძიმეს, დამარცხების აუცილებლობას და ხაშინელ მსხვერპლს, რომელიც ამ დამარცხებას მოჰყვებოდა. მაინც არაფერი გამოვიდა და პასუხად მიეიღე, რომ აჯანყების მოწყობას აღარაფერი ხელს აღარ შეუშლიდა. დავინახე რა ჩემი ცდის უნაყოფობა, განვუცხადე უფროს ამხანაგებს, რომ მიუხედავად ჩემი პირადი შეხედულებისა, განზედ გადგომას და აჯანყების გარედან ცქერას მირჩევნია ქართველ ხალხთან ერთად ვიყო მის უბედურებაშიც და თუ საჭირო ვარ, მომიხმარეთქო. ამ ჩემი განცხადების შემდეგ მომცეს დავალება წამოვსულიყავი გურიაში და პოლიტიკური ხელმძღვანელობა გამეწია აჯანყებისათვის. წამოსვლის წინ დამკომი კატეგორიულად დამპირდა, რომ აჯანყების დატას მე მივიღებდი ერთი კვირით წინ და რომ დამკომს ურყევი გადაწყვეტილება ჰქონდა პირველსავე რიგში თბილისისათვის დაერტყა და ის აეღო. ამ ჩემი მოხსენებას შემდეგ მე შევეკითხე გურიის კომიტეტს ადგილობრივი და მახლობელი ქალაქების და მაზრების მდგომარეობის შესახებ. მათი პასუხის და მათ მიერ დასმული კითხვების შემდეგ, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდის, რომ ჩვენი აჯანყება წინასწარ განწირული იყო და შევეცადეთ ერთბელ კიდევ მიგვემართა დამკომისათვის, მოეხსნა ან გადაედო აჯანყება. ამ მიზნით გავგზავნეთ თბილისში სპეციალური კურიერი, რომელმაც მხოლოდ დამკომის ერთი წევრის ნახვა მოასწრო, ვინაიდან სხვები უკვე ქალაქგარეთ გასულიყვნენ. ეს კაცი დაბრუნდა გურიაში 27 აგვისტოს, რასაკვირველია უპასუხოდ.

28 აგვისტოს კი ნაშუადღევის პირველ საათზედ, მოვიდა სპეციალური კურიერი, რომელმაც მოგვიტანა აჯანყების დაწყების ბრძანება და დატა... 28 აგვისტო! მიუხედავად იმ დაპირებისა, რაც დამკომმა მე მომცა ჩემი წამოსვლის წინ!"

ბათომიდან მომავალი გენერალი ფურცელაძე დატუსაღებულ იქმნა. ადგილობრივი კაცი, ოფიცერი, რომელიც უკანასკნელი შემთხვევისათვის, მისი სურვილის წინააღმდეგ, გურიის კომიტეტს ჰყავდა მხედველობაში გურიის აჯანყების ხელმძღვანელოდ, რჩება თავის რაიონში, დროს უკონლობის გამო, წინასწარ გამომუშავებული გეგმა № 1, რჩება განუხორციელებელი, და ძალა უნებურად, გურიის სამხედრო ორგანიზაციას უხდება მოქმედება თანახმად № 2 გეგმისა, ესე იგი, რაიონებზედ თავდასხმა პირველად და შემდეგ [illegible] ლი ძალებით ოზურგეთზედ [illegible] ღება.

ნაწილი IV

აგვისტოს აჯანყება გურიაში

ვალიკო ჯუღელის გურიაში ყოფნის დროს მომხდარ სამაზრო პარტიული კომიტეტის და სამხედრო ხელმძღვანელების გაერთიანებულ კრების შემდეგ ყოველივე მიწერ-მოწერას დამკომთან აწარმოებდა სამაზრო პარტიული კომიტეტი, სამხედრო სარაიონო ხელმძღვანელები კი დაბრუნდნენ თავიანთ რაიონებში და უცდიდნენ მდგომარეობის განვითარებას.

როგორც ვიცით, გურია ჩვენ გაყოფილი გვყავდა სამ სამხედრო რაიონად: ჩოხატაური, ლანჩხუთი და ოზურგეთი.

ჩოხატაურის რაიონი:

ამ რაიონში შედიოდნენ კომუნისტური ადმინისტრატიული წყობის მიხედვით შემდეგი რაიონები: ნაგომარი, ხიდისთავი, ჩოხატაური, საკამია-სერი, სურები და რკინის გზის ხადგური საჯავახო. ყველა ეს რაიონები გამაგრებული იყვნენ ისე, როგორც ზევით აღვწერე კომუნისტების საადმინისტრაციო აპარატი. კერძოთ ჩოხატაურის რაიონი იყო ყველაზედ უფრო ძლიერი კომუნისტების რიცხვით, აგრეთვე რამოდენიმე მთის თემებით, რომელთა მოსახლეობაც მთლიანად კომუნისტური იყო და ცნობილი იყო ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის დროიდან, როგორც კომუნისტური ხელისუფლებისათვის თავდადებული.

ლანჩხუთის რაიონი:

ამ რაიონს შეადგენდა ნიგოითის მთის ორივე მხრის კალთებზედ მდებარე გურიის ნაწილი, მდინარე სუფსით და ჩოხატაურის რაიონით განსაზღვრული. ცენტრი ქ. ლანჩხუთი, აკეთის და სუფსის რაიონი და მთელი რკინის გზის ბაზი საჯავახოდან სუფსის ხადგურამდის. გარდა ადგილობრივი კომუნისტური პარტიის წევრებისა და მუდმივი ადმინისტრაციისა, ამ რაიონს ექცეოდა მთავრობისაგან განსაკუთრებული ყურადღება, რკინის გზის თავისუფალ მოძრაობის უზრუნველ-საყოფად. საჭიროების დროს ეს რაიონი ყველაზედ სახწრაფოდ მიიღებდა დახმარებას ბათომიდან თუ სამტრედიიდან. ამ ხაზზედ, ამ ორ ქალაქს შორის მუდმივად დადიოდა ორი ჯავშნოსანი მატარებელი.

ოზურგეთის რაიონი.

ოზურგეთის რაიონი, რომელიც მასში შემავალ თემებით გარს ერტყუოდა ქალაქ ოზურგეთს, დაკავშირებული იყო აგრეთვე ქობულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის რაიონის ქართველ მუსულმანობასთან. რკინიგზის ხაზის ჩათვლით, გარდა ყველა თემში არსებულ საადმინისტრაციო და პარტიულ აპარატისა, ქალაქი ოზურგეთი იყო მაზრის ცენტრი. მთელი ზემოხსენებული ძალებით და აგრეთვე რუსის ჯარის ორი გუნდით და ორი ზარბაზნით.

ოზურგეთის სარაიონო შტაბს, თუ აჯანყება მოხდებოდა თანახმად მეორე გეგმისა, ევალებოდა თემების განთავისუფლებისთანავე ოზურგეთზედ მისვლა. იქ მყოფი ძალების შეჩერება მანამდე, სანამ სხვა რაიონებიდგან ჩვენი ძალები არ მოიყრიდნენ თავს.

ჩოხატაურის რაიონში ადგილობრივი შტაბის ორი წევრი დიდი ხანია იარაღით ხელში არალეგალურად ცხოვრობდა. მათთან ერთად იყო შესამე პირი ს. მათითაიშვილი, რომელიც შედიოდა სამაზრო სამხედრო შტაბში და იყო ტაქტიური ხელმძღვანელი მთელი აღმოსავლეთ გურიაში წარმოებულ მუშაობისა. უკანასკნელ ზემოხსენებულ კრებიდან დაბრუნების შემდეგ, ერთი შტაბის წევრი წავიდა თავის სოფელში, სადაც მას დაესხნენ თავზედ სხვა ადგილობრივ დევნილებთან ერთად, და ის იძულებული გახდა გაწეულიყო უფრო შორს, გურია-იმერეთის ერთს მოსაზღვრე სოფელში. იმავე დღეებში, ს. მათითაიშვილი, მუდამ ჯანმრთელი, გახდა ციებით საშინლად ავად და რამოდენიმე დღეში ისე დასუსტდა, რომ თავისი იარაღის ტარებაც კი აღარ შეეძლო. საგანგებო გახდა განსაკუთრებული სიფრთხილის დაკერა, ვინაიდგან სერგო მათითაიშვილს, ისე როგორც თეოფილე მუსაშავრიას, კომუნისტური ხელისუფლება განსაკუთრებით ეძებდა და არავითარ ხარჯს და მხვერპლს არ ერიდებოდა მის მოსახპობად. აჯანყების წინ კომუნისტებმა საშინლად გააძლიერეს რეპრესიები, და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დღეში ჩაგვაგდო სერგო მათითაიშვილის ავადმყოფობამ: ყოველდღე ბინის ცვლა, მისი ხელით ტარება, მუდმივი დარაჯობა, უძილობა და ნერვიულობა. აჯანყების შემდეგ, არტაანიდგან ერთად ვიმგზავრეთ ჩვენ და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთმა ჯგუფმა ლელო ჩიქოვანის მეთაურობით, და მათითაიშვილი ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მთელი ამ რაიონის გაწმენდა იკისრა ს. მათითაიშვილმა. ამ საღამოს ის გაეშურება ამ რაიონში და მის განკარგულებაში რჩება მხოლოდ ერთი დღე 28 აგვისტო, რომ მან მოახწროს თვით ჩოხატაურის ამღებ ძალის დაგროვება და ამოდენა მანძილზედ გაჭიმულ სოფლებზედ ცნობების მიწოდება. ვინაიდან ძალების გამოსაყვანად დრო არ გვყოფნის, ჩვენ გადავწყვიტეთ დავეცეთ ყველა რაიონს, მიუხედავად ხალხის სიმცირისა, და ასეთივე ბრძანებები დავუგზავნოთ ყველა თემის ხელმძღვანელებს.

მე წილად მხვდა ნაგომრის რაიონი. ჩემს განკარგულებაშია. სამი თემი: ბუკნარი, ასკანა და თვით ნაგომარი, ერთი ლუისის ტყვიის-მფრქვეველით ნაგომარის აღებისთანავე მე კავშირი უნდა დავიპირო სუფსის გაღმა მყოფ სამაზრო ცენტრთან და დამკომის რწმუნებულთან და ჩემს ქვევით ოზურგეთის რაიონთან, კავშირი ჩემსა, ბიდისთავსა და ჩოხატაურს შორის.

27 აგვისტოს ნახევარი დღე მთელ საუკუნეთ გვეჩვენება. როგორც იქმნა დაღამდა და დავცილდით ერთმანეთს. მე წავედი ჩემი რაიონის განაპირა სოფელში, სადაც უნდა შევუდგე მზადებას ჩემი ამოცანის შესასრულებლად. 28 აგვისტოს დილით გამოვიძახე ასკანის, ბუკნარისა და ნაგომრის რწმუნებულები, მივეცი თვითეულს განკარგულებები ხალხის გამოსაყვანად, დავუნიშნე დრო და ადგილი, თუ სად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. გაუგებრობის ასაცილებლად თვითეულ მათგანს მივეცი თითო მეგზური, რომლებიც წინასწარ დღითი გავგზავნე იმ ადგილების დასათვალიერებლად, თუ სად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს ღამით. სამხედრო წყობა გუნდისა უკვე წინასწარ არის გამომუშავებული...

ნაგომრის რწმუნებულის საშუალებით თვით დაბა ნაგომარში მყავს ორი კაცი, რომელთაც დაღამებამდის ორხელ მაცნობეს ყველაფერი, თუ რა ხდებოდა იქ.

წინასწარი და დღევანდელი განმეორებული ზვერვის საშუალებით ვიცი, თუ რამდენი კაცია მილიციის სამმართველოში, რამდენი კაცი იცავს ფოსტას, რამდენი დარაჯია საპარკეზედ, ოზურგეთიდგან და ჩოხატაურიდგან მომავალ გზებზედ, რამდენი შეიარაღებული კომუნისტია შიგ ბაზარში, ვინ სად წევს, ვინ სად იმყოფება ბაზარს გარეთ სოფელში. ამ ცნობების მიხედვით ყველასათვის მისაცემი ამოცანები მიჩენილი მაქვს და დამრჩა მხოლოდ თავის მოყრისას მოკლედ ავუხსნა თვითეულს თავისი მოვალეობა.

დილით გამოძახებულს და თემებში დაბრუნებულ რწმუნებულებს ვუბრძანე საღამომდის მაცნობონ, თუ რამდენი კაცი ინახულეს, რომ ვიცოდე წინასწარ, თუ [illegible] რწმუნებულები თვითეულად ყველან აღრიცხვაზედ აუვანილ ჯარისკაცებს და მოკლედ აძლევენ ბრძანებას, დანიშნულ დროზედ მივიდნენ ამა თუ იმ ადგილას, იქ ერთდება პატარა ჯგუფი 4—5 კაცისაგან შემდგარი, ეს ჯგუფები ერთდებიან ერთად და მხოლოდ მაშინ ღებულობენ ცნობას აჯანყების შესახებ. მანამდე კი ყველა მათგანს თავისი თავი მგონია უბრალო საქმეზედ გამოძახებული, რაზედაც ისინი დაჩვეულნი არიან არალეგალური მუშაობის დროს.

ამის შემდეგ დავიბარე ორი კაცი ადგილობრივ მეორეხარისხოვან რაზმელების რიცხვიდგან და მივეცი განკარგულება: დაამზადონ ხალხი და როგორც კი ნაგომრიდან თოფის ხმას გაიგონებენ, დაესხნან თავს თემის სამმართველოს, მოაწყონ იმ წამსვე ადგილობრივი მართველობა, აცნობონ ხალხს აჯანყების დაწყება, მოაწყონ ფრონტისათვის სურსათ სანოვაგის და სახანიტარო ნივთების მოწოდება, განაიარაღონ და დაატუსაღონ ყველა კომუნისტები და საეკვო პირები. გამოგზავნონ ფრონტზედ ის რაზმელები, ვინც უდროობის გამო ვერ გამოვიყვანეთ პირველ დაძახებისთანავე. ასევე მოიქცეოდნენ ყველა თემებში დარჩენილი მეორე ხარისხის რაზმელები. ყველა ეს პირები, რომლებიც მე ამ დღეს ვინახულე, თითქმის ოთხი წლის განმავლობაში ჩემი ნაცნობები იყვნენ და ყველა მათი თვისებები და სამშობლოსათვის თავდადება ვიცოდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ასეთი დიდი მოვლენის წინაშე, ყველა მათგანი ჩემთვის უდიდესს ამოცანას წარმოადგენდა: რას იტყვის ეს ხალხი, ოთხი წლის რეპრესიებით წელში გატეხილი, მშიერი, ტანზე შემოცვეთილი, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი, დაუანგული თოფით და სულ რამოდენიმე საეკვო ვაზნით შეიარაღებული, როცა მე მათ ვეტყვი, რომ ამაღამ საბჭოთა ხელისუფლებას და მის ზურგში მდგომ, დაუნდობელ რუსის ჯარს უნდა დავეჯახოთ?

უნდა ვსთქვა მათდა და საქართველოს სახახელოდ: არც ერთ მათგანს ერთი საეკვო საკითხი არ დაუსვამს, არც ერთს არ უკითხავს, თუ რის იმედით ვაწყობთ აჯანყებას და რამდენი შანსია გამარჯვებისა. ყველა მათგანი მხოლოდ მისი ამოცანის კოხტად შესრულებაზე ფიქრობდა, მხოლოდ ამის შესახებ მოითხოვდა განმარტებებს, ყველას ისე ეჭირა თავი, როგორც რამოდენიმე წლით ყაზარმებში გაწვრთნილ მხედრებს. სხვა და სხვა მდგომარეობის, განათლების თუ ხნის ხალხს, ყველას ერთი გადაწყვეტილება ეწერა სახეზედ: სამშობლოს განთავისუფლება, ამისათვის ბრძოლა. აი აქ გამოჩნდა ნაყოფი იმ შრომისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციები აწარმოებდნენ გურიაში ოთხი წლის განმავლობაში. ამ პარტიის ხელმძღვანელების შეხედულება, რომ ეროვნული ბრძოლისათვის საჭიროა მთელი ხალხის დარაზმვა თვითეული პიროვნების მომზადებით და არა რამოდენიმე ყოჩაღ პიროვნებებზედ იმედის დამყარება, აქ ხავსებით გამართლდა.

საჭირო განკარგულებების გაცემის შემდეგ, ვუცდიდი მხოლოდ დაღამებას, რომ დანიშნულ ალაგას წავსულიყავით რაზმელებთან შესახვედრად. იმ დღეს მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გარდა ჩემს მიერ გამოძახებული პირებისა, ჩვენი მზადება არავინ იცოდა. მეორე დღეს კი გაირკვა შემდეგი: იმ პატარა კუთხეში, სადაც მე ვიყავი გაჩერებული, რამდენიმე ოჯახი სახლობდა, ყველა ჩვენი ხალხი. რამოდენიმე ახალგაზრდა ამ ოჯახებიდგან ჩემთან მყავდა შიკრიკებად. გავაფრთხილე ყველანი, სახლში არაფერი ეთქვათ. მიუხედავად ამისა, მათ ოჯახებს ყველას გაეგო ჩვენი მზადება აჯანყებისათვის. ეს ამბავი მათთვის უაღრესად სახიხარულო იყო, ვინაიდან ისინი დარწმუნებული იყვნენ იმაშიდ, რომ თუ ჩვენ აჯანყებას მოვაწყობდით, ალბათ საამისო იმედებიც გვქონდა გამარჯვებისა. მოსულიყვნენ ყველა იმ კუთხეში მცხოვრებ საიმედო ოჯახებში და დაეწყოთ სურსათ-სანოვაგის მზადება მთელი გუნდისათვის. რასაკვირველია, მათი დისციპლინა ისეთი იყო, რომ ჩვენს წრეს გარეთ, ეს არ გასულა და მტერს არაფერი გაუგია.

მოხუცი დედები და ქალიშვილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მუშაობაში, ამზადებდნენ რაც კი ჰქონდათ და ჩვენ გამოგვადგებოდა. ერთმა ღარიბმა ოჯახმა, მოხუცმა დედამამამ, თავისი ოთხი შვილი საქმეში ჩაბეს და სამშობლოს სამსახურში გამოგზავნეს! ვისაც! იმ დროს ეს ხალხი არ უნახავს, მათთვის შეუძლებელია წარმოდგენა, თუ როგორ ყველა უბრალო გლები უდიდეს ისტორიულ პიროვნებას ჰგავდა. თითქოს ეს ის ხალხი არ იყო, რომელიც სულ ათიოდე წლის წინათ ყველაფერს იმით ზომავდა, თუ მისი შვილი სად იყო და რა „გამოსარჩენ" ადგილს მსახურობდა, ეს ის ხალხი აღარ იყო, რომელიც 1918 წელს გურიის კარზედ მოსულ ოსმალების წინაშე მიტინგს მართავდა, ესენი ჩვენი ძმებია თუ მტრებიო? ეს ის ხალხი აღარ იყო, რომელიც დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ თავს იმით ინუგეშებდა, რომ ჩვენში ბოლოს და ბოლოს „ბოლშევიკები" მოვიდნენო. ეს უკვე დამწიფებული, შეგნებული ერი იყო, თავისი ინტერესების მცოდნე და თავის იდეალისაკენ ურყევად მიმავალი.

* * *

28 აგვისტო მშვენიერი დღე იყო, დილიდან საღამომდის ცაზედ ერთი ღრუბელი არ ყოფილა. ამ კუთხიდან ადამიანი დიდებულ სურათს ხედავს, როცა მზე შავ ზღვას ამოეფარება და მთელი ბათომ-ქობულეთის ნაპირი წითლად შეიღებება, თითქოს მთელ შავი ზღვის პირს ცამდის ცეცხლი უკიდიაო. ეს დღე ძველი სტილით მარიობაა, საქართველოც ხომ ლეგენდის მიხედვით ღვთის მშობელს ერგო წილად! გურიაში დღეს ბევრ სოფლებში ამ დღეობას დღესასწაულობენ, ზოგან ქეიფია, ზოგან წარმოდგენები, ჩვეულებრივად მთავრობის ჯინაზედ, ძველებურად იხდიან ამ დღესასწაულს. დროს უქონლობის გარდა, ესეც არის მიზეზი იმისა, რომ ბევრი რაზმელის ნახვა არ ხერხდება. მაგრამ მეორე მხრივ, ეს ჩვენს მზადებას ჰფარავს. დღეს მშვიდათ თავდება ეს დღე, მაგრამ ვინ იცის როგორი იქნება მისი მომდევნი? ბედნიერია ის, ვინც ჩვენ მოგვყვება, ვინც უსიტყვოდ გვენდობა, ვისაც სწამს, რომ ჩვენ მათ სასაკლაოზედ ტყვილა უბრალოთ არ წავიყვანთ... მაგრამ ჩვენ, რომელთაც ყველაფერი ვიცით, ჩვენი მდგომარეობა შინ და გარედ, ათას ეჭვებში გახვეულნი, ასეთი პასუხისმგებლობის წინაშე? მაგრამ ჩვენც ხომ ჩვენს უფროსებს ვენდობით, ვიცით რომ გავიმარჯვებთ თუ არა, მაინც უნდა ვეკვეთოთ მტერს, მტერს რომელიც სულ ერთია ნელნელა გვსპობს. ოთხი წლის ტანჯვა, ათასგვარი შეურაცხყოფის ატანა, ყველაფრის მოთმენა, დღეს კი საშუალება გვაქვს მტერს პირის-პირ დავუდგეთ, ჩვენც ვესროლოთ, თვითონაც ვნახოთ დაჩოქილი და ამ სურვილს ათასს იმედს ვაბამთ, ისე, როგორც ყველა მებრძოლმა ბრძოლის დაწყების წინ უნდა იფიქროს, გაიჟღინთოს იმ აზრით, რომ ჩვენი მიზნის მიღწევა ჩვენს გამბედაობაზედ და სიმტკიცეზედ არის დამოკიდებული.

როცა დაღამდა, წავედით იმ ალაგას, სადაც ჩვენ პატარა საწყობი გვქონდა მოწყობილი. ამოვიღეთ ერთი ლუისის ტყვიის-მფრქვეველი და 8 თოფი, დავურიგეთ ვისაც თოფი არ ჰქონდათ, შემდეგ გავსწიეთ მთავარ შესახვედრ ადგილისაკენ. დავბანაკდით იქ, დავაყენეთ დარაჯები და დავუწყეთ ცდა სხვა და სხვა მხრიდან მომავალ რაზმელებს. შუაღამისას უკვე ყველანი მოგროვდნენ. ხელმძღვანელებმა გადმოგვცეს, რომ ვინც კი სახლში ნახეს, არავის უარი არ უთქვამს და ყველანი წამოვიდნენო ერთი ათეულის უფროსი ავად იყო ციებით, ხაშინელი სიცხე ჰქონდა, მაგრამ უფროსის რჩევას არ დაუჯერა, სოფელში არ დარჩა, ადგა ლოგინიდგან და ტილოთი თავშეხვეული, ხელში ჯოხით და მხარზე თოფით გამოუძღვა თავის ათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულს. აქ მათ ერთხელ კიდევ ვუთხარი მოკლედ, რაც საჭირო იყო.

როცა დანიშნული დრო მოვიდა, , გავსწიეთ ნაგომრისაკენ ჩვეულებრივი საამისო სამხედრო წყობით. ნაგომართან მიახლოვებისას, ჩვენ გავიყავით ყველა თავ-თავის ადგილზე წასასვლელად. ნაწილი დავტოვეთ ბაზრის პირდაპირ ერთ პატარა მაღლობზედ, თან დავუტოვე ტყვიის მფრქვეველი და ვუბრძანე, ყველას კავშირი მასთან დაეჭირათ. მე კი 12 რაზმელით წავედი ბაზრისაკენ. მილიციის სამმართველო მოთავსებული იყო სართულიან სახლში, და მე ვიცოდი, რომ მილიციელების ერთ ნაწილს, ვინც სადარაჯოზე არ იყო, ეძინათ იქ. იმ შენობის ახლოს იყო აგრეთვე ფოსტა. ხუთი კაცით მე უნდა შევეკრძნილიყავი მილიციის სამმართველოში, სანამ ისინი გაიღვიძებდნენ, და დანარჩენი ექვსი კაცი ერთი ზემდეგის მეთაურობით აიღებდა ფოსტას. თითქმის ერთი კილომეტრის მანძილიდან ბაზრამდის სულ სიმინდის ყანებში მოგვიხდა სიარული, და შიუხედავად სიფრთხილისა, მაინც ჩალის შრიალმა ხმაურობა გამოიწვია, რასაც მოჰყვა ყველა ეზოებიდან ძაღლების ყეფა. ჩვენ ნაბიჯს მოვუჩქარეთ და ის იყო ბაზრის გასწვრივ გაყოლებულ მაღალ ღობეს მივეტანეთ, რომ ხიდისთავში გავარდა პირველი თოფი და გაჩაღდა მაგარი სროლა. ჩვენ კიდევ ღობეზედ არ ვიყავით გადასული, რომ ხიდისთავის სროლის ხმაზედ გაღვიძებული მილიციელები, გამოცვივდნენ აივანზედ და შეგვამჩნიეს თუ არა, დაგვიწყეს სროლა. ჩვენ თორმეტივემ ერთად ვუპასუხეთ ქვევიდან, ისინი დარჩნენ გამომწყვდეულნი ზემო სართულში ჩიტებივით. ამავე დროს ტყვიის მფრქვეველმა ერთი თეფში მიაცალა შენობას. ჩვენც გადავხტით ღობეზე და შევცვივდით სამმართველოში. მილიციელებმა დაყარეს იარაღი და დატუსაღებულ იქმნენ. გაგვეკეცა მხოლოდ ერთი კაცი, პარტკომის მდივანი, რომელიც გადახტა უკანა კარებიდან, ჩაჯდა ნავში, გავიდა სუფსის გაღმა და შეიაშურა თავის სოფელს, სადაც მისვლისთანავე ჩვენებმა დაატუსაღეს. ყველაფერი ეს ერთს წუთში მოხდა, მაშინვე ერთი კაცით გავიქეცი ფოსტაში, რომელიც უკვე აეღოთ ჩვენებს, ყველა იქ მყოფი კომუნისტები ჩვენს ზემდეგს მიეყუდებინა კედელზედ და გაუჩერებლივ აყვირებდა: „თავისუფალ ხალართველოს გაუმარჯოს!". სრული დილის სამი საათი იყო, როცა პორტში შევედი. ფოსტაზე მისვლისას ერთ ჩვენს რაზმელს დაენახა, რომ ტელეგრაფისტი ფოსტის აპარატთან იყო, ესროლა თოფი და გაეფუჭებინა აპარატი. ტელეგრაფისტი კი იქვე ეგდო გულწასული და მაგიდაზედ იდო ახლად მიღებული ტელეფონოგრამა. ეს ტელეფონოგრამა იყო ახალი იმ ბრძანებისა, რომელიც [illegible] მთავრობას მიეღო აჯარისტანის სამხედრო კომისარიატისაგან, რომელიც უბრძანებდა ყველა სამაზრო და სარაიონო ადმინისტრაციას, მომზადებულიყვნენ ორ დღეში რეგულიარული ჯარების მისაღებად. განსაკუთრებით განმეორებული იყო, დაეცლევინებინათ კერძო მცხოვრებთათვის მოზრდილი შენობები ჯარის საჭიროებისათვის.

ჩვენ იმ დროს კიდევ არ ვიცოდით, თუ ჭიათურა ერთი დღით ადრე გამოვიდა და გვეგონა, რომ მთავრობის წინასწარ მიღებულ ზომებს ჩვენ დავასწარით. მეორე დღესვე ეს ტელეფონოგრამა გადავეცი დამკომის რწმუნებულს.

სანამ ჩვენ მილიციის სამმართველოს და ფოსტას ავიღებდით, ყველა ჯგუფმა თავისი ამოცანა კოხტად შეასრულა და ამრიგად ნაგომარი ჩავიგდეთ ხელში. ის კომუნისტები, რომლებიც თავიანთ ოჯახებში იყვნენ, სროლით გამოღვიძებულნი, თანახმად ჩვეულებისა, მორბოდნენ ბაზრისკენ და საამისოდ ყველა შემოსავალთან დატოვებული რაზმელები ატუსაღებედნენ მათ. წამსვე მოეწყო ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც შეუდგა თავის საქმიანობას. ცოტა ხანში კიდევაც გათენდა და მე გავგზავნე შიკრიკები ხიდისთავში, ჩობატაურში მათითაიშვილთან და აკეთში, სადაც იყო სამაზრო კომიტეტი და დამკომის რწმუნებული. ჩემს რაიონში, თემებში დარჩენილმა ხალხმა შეასრულა მისი მოვალეობა და განაიარაღა ადგილობრივი კომუნისტები, ზოგმა მათგანმა მოასწრო ტყეებში გაქცევა, მაგრამ ისინი დატუსაღებულ იქნენ შემდეგ დღეებში.

ჩობატაურის რაიონში წავიდა მათითაიშვილი. 28 აგვისტოს მან დაგზავნა ცნობები სურებში, საკაპია-სერზედ, საჯავახოში და შეუდგა ჩობატაურის ამღებ ძალების შეგროვებას. სურებში სამხედრო ხელმძღვანელად იყო ერთი დევნილი ოფიცერი, რომელიც თავის პატარა ჯგუფით იმალებოდა სურების ზემოთ მთებში და აჯანყების ცნობა მან მიიღო ღამით 29 აგვისტოს, სწორედ სამ სათზედ, როცა, ბრძანების თანახმად, მას შეტევა უნდა დაეწყო. ის დაეშვა სოფელში თავისი ჯგუფით და ერთსა და იმავე დროს დაუწყო ღვიძება ჩვენს რაზმელებსა და მტერსაც: მიდიოდა ოჯახში, გაიღვიძებდა კაცს, ჩვენიანს უბრძანებდა გამოეტანა თოფი და გაჰყოლოდა მას, კომუნისტს კი ჰკრიდა იარაღს და ატუსაღებდა. ამრიგად მან მთელი სურების რაიონი გასწმინდა, დაატუსაღა ყველა იქ მყოფი კომუნისტი, მოაწყო ადგილობრივი ხელისუფლება და დაეშვა ქვემოთ ჩობატაურში. სადაც ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მშვენივრად გაწყობილ გუნდით მოვიდა ნაშუადღევის ხუთ საათზედ.

საკამია-ხერის რაიონის აღება მიენდო ერთ ოფიცერს, რომელსაც პირადად მთელ თავის იარაღად მხოლოდ ერთი ნაგანი ჰქონდა ოთხი ვაზნით. ამ რაიონში ამ დღეს თითქმის ყველა ოჯახში სტუმრობა იყო, და ჩვენს კაცს ერთ ალაგას მოქეიფე კომუნისტებთანაც კი მოუწია შეჩერება. ბევრი მიზეზების გამო მან ვერ მოახერხა საკმაო ხალხის დაგროვება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანიშნულ ვადაზედ დაესხა სარაიონო სამმართველოს, სადაც მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. შეტაკებაში დაიჭრა რამოდენიმე კაცი, ჩვენებმა დასტოვეს სამმართველო აუღებელი, შეუდგნენ ბელაბლა ხალხის დაგროვებას და დილას უ კ ვე გასწმინდეს მთელი რაიონი და სამმართველოც აიღეს.

საჯავახოში ჩვენს ორგანიზაციას ევალებოდა რკინის გზის ხაზის გაფუჭება საჭიროების დროს. მაგრამ ცნობის გვიან მიღების გამო, მათ ეს ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ მოიყარეს თავი და განაიარაღეს თავიანთი სოფლები.

თვით ჩობატაურს მიადგა მათითაიშვილი, მაგრამ სანამ შიგ შევიდოდნენ, დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზედ, მდინარე ხუფსის ახლო გორაკებზედ ჩვენები წააწყდნენ კომუნისტების რაზმს, ზემოხსენებულ სამსონ ჭანიშვილის შეთაურობით. მოხდა შეტაკება, კომუნისტებმა ისარგებლეს ღამის სიბნელით და გაიფანტნენ ყანებში, ჩვენებმა კი გასწიეს ჩობატაურისაკენ. მაგრამ ამ სროლამ გააფრთხილა იქ მყოფი კომუნისტების ძალა, რომელიც რიცხვით ყველა რაიონს სჯარობდა და ჰქონდა ორი მძიმე ტყვის-მფრქვეველი. მიუხედავად ამისა ჩვენები მაინც შევიდნენ ბაზარში, აიღეს უოსტა. მილიციის სამმართველო, სხვა და სხვა პარტიული დაწესებულებები და დაატუსაღეს მრავალი კომუნისტი. ნაწილი კომუნისტებისა კი გამაგრდა გიმნაზიის ქვის შენობაში. ჩვენები, ხალხისა და ვაზნების სიმცირის გამო, უცდიდნენ გათენებას მათზედ მისასვლელად.

მთელს ამ ზემო გურიის თემებში, მიუხედავად ცნობების გვიან მიღებისა, ყველგან ჩვენმა რაზმელებმა გამოიჩინეს იშვიათი თამსნობა და გაწმინდეს თავიანთი კუთხეები. სოფამაღლებაში კომუნისტებს დიდი ზეიმი და ღამის წარმოდგენა ჰქონდათ. ამ შემთხვევისათვის მათ ოზურგეთიდან ამოეყვანათ სამხედრო ორკესტრი, რომელიც კომუნისტებთან ერთად დაატუსაღეს ჩვენებმა. ამ სოფელში სულ ორმა კაცმა დაიწყო მოძრაობა. ისინი ყრიდნენ იარაღს კომუნისტებს თვითეულად და აიარაღებდნენ ჩვენებს. ბოლოს დაესხნენ თავზედ კომუნისტების ზეიმს და სულ [illegible] ნი დაატუსაღეს. ეს ორკესტრი [illegible] ჩობატაურში ჩამოიყვანეს. ვიღაცამ „დიდების" ნოტები მოსახა. გადასწერეს და ხალამოს უკვე ჩვენს მხარეზედ ჩვენს ეროვნულ ბიმნს უკრავდნენ. ასე ყოჩაღად მოიქცა ხალხი ყველა სოფელში, მაგრამ დროის უქონლობამ გამოიწვია ის, რომ ბევრი კომუნისტი გაიქცა სხვა და სხვა სოფლებიდგან და მათ იწყეს დაგროვება იქ. სადაც მოსახლეობა მათი ერთგული იყო შედარებით.

ხიდისთავში ჩვენებისათვის გაეწიათ მაგარი წინააღმდეგობა, მაგრამ ის მაინც აღებულ იქმნა და ჩვენები შეუდგნენ მთელი რაიონის (8 სოფელია) გაწმენდას.

ამრიგად, ზემო გურიაში 29 აგვისტოს დილით მდგომარეობა იყო ასეთი:

სრულიად აღებული იყო შემდეგი რაიონები: ნაგომარი, ხიდისთავი, სურები, საკამიაბერი და ამ რაიონებში შემავალი სოფლები. დატუსაღებული იყო უმრავლესობა კომუნისტებისა, მხოლოდ სხვა და სხვა რაიონებიდან გაქცეულნი კომუნისტები იყრიდნენ თავს ერკეთის და ბევის თემში, სადაც მათ დიდძალი ხალხი ჰყავდათ და საიდანაც ისინი ემუქრებოდნენ მთელი გურიის აჯანყებულთა ზურგს. ჩობატაურში გამაგრებულმა კომუნისტების ერთმა ნაწილმა მოახერხა გაქცევა და მათ თავი შეაფარეს ნიგოითის მთის კალთებს. რკინიგზის გზაზედ იმერეთის მხრივ ამყოფებოდა მხოლოდ პატარა ჯგუფი ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციისა.

ამნაირად, მათითაიშვილის წინაშე დაისვა სამი ამოცანა:

1) მოსპობა იმ კომუნისტური რაზმის, რომელიც ერკეთში და ბევში გამაგრდა და ამ თემების გაწმენდა.

2) მოსპობა ჩობატაურიდგან გაქცეულ რაზმისა.

3) განსაკუთრებული ნაწილის გაგზავნა საჯავახოში იმერეთთან კავშირის გასაბმელად, თუ იქაც აჯანყება სწარმოებდა, და თუ არა, საჯავახოს მხრივ გურიის უზრუნველყოფა სამტრედიაში მყოფ რუსის ჯარის მოსალოდნელ შეტევისაგან. გარდა ამ სამი მთავარი ამოცანისა, ყველა იმ საკითხების მოწესრიგება, რასაც ადგილობრივი მდგომარეობა მოითხოვდა.

პირველი ამოცანა მათითაიშვილმა მიანდო ხიდისთავიდგან გამოძახებულ გუნდს. ამ გუნდმა იბრძოლა დიდებულად და მიუხედავად კომუნისტებმის რიცხვობრივი და შეიარაღებითი უპირატესობისა, დაამარცხა ისინი და გასწმინდა ორივე თემი. ამის შემდეგ ეს გუნდი გაიგზავნა საჯავახოში მესამე ამოცანის შესასრულებლად. საჯავახოში მისვლისთანავე ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდმა აიღო სადგური, და იმ წამსვე მოემწყვდა. ერთი მხრივ ჯავშნოსანის და მეორე მხრივ იმერეთიდან რიონზედ ბორანით გამოსულ კომუნისტების რაზმის ცეცხლში. აქ საშინელი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ორივე მხრივ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 50-მდე იყო. ამ შეტაკებაში მოკლეს, სულ რამოდენიმე წუთის განმავლობაში ხიდისთაველი ძმები ევგენი და თეოფილე ცხოიძეები, ორთავენი დიდი ომიდგან ზემდეგები და წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვებულნი. ჩოხატაურის რაიონის შტაბის წევრი, რომელიც იარაღით ჩვენთან იმალებოდა და შემთხვევით აჯანყების წინ დაგვცილდა, ეხლა ამათთან იყო. თვითონაც ოფიცერი, იშვიათი უოჩაღი კაცი, ხელჩართულ ბრძოლაში კომუნისტებმა ძირს დასცეს და დაჭერა მოუნდომეს, მაგრამ მან ქვემოდან „პარაბელუმით" ორი კაცი მოკლა და ამ დროს სხვებმაც მოუსწრეს. ჩვენებმა ჯავშნოსანის ცეცხლს ვეღარ გაუძლეს, სადგური დასტოვეს და იქვე გორაკზედ გამაგრდნენ. 30 აგვისტოს დილიდან 2 სექტემბრის დაღამებამდის, ეს ხალხი, მიუხედავად ზარბაზნის და ტყვიისმფრქვეველის ცეცხლისა, აქედან ვერ არეკეს. მათ იცოდნენ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ იქ ყოფნას მთელი გურიისათვის და სანამ აჯანყება არ დამთავრდა, თავისი პოზიციებიდან ფეხი არ დასძრეს. მიუხედავად მრავალ დაჭრილ-მოკლულებისა და თითქმის სრულიად უვაზნობისა. კომუნისტებს რომ ეს ფრონტი გაერღვიათ, მთელი აჯანყებული გურიის რაზმები, ქვემო გურიაში მომქმედნი, მათ რკალში მოქცეოდნენ.

მეორე ამოცანის შესრულება მიენდო ჩოხატაურელ ოფიცერს, რომელმაც სდია კომუნისტებს, გაფანტა მათი რაზმი, ზოგი დაატუსაღა და ამით საშუალება მოუხსნა მათ ჩვენთვის ზარალის მოტანისა. აჯანყების დამთავრებამდის ისინი არსად აღარ გამოჩენილან.

ჩოხატაურიდგან გაგზავნილ იქმნა აგრეთვე ცნობა ბახმაროზედ, სადაც ჩვენებმა დაატუსაღეს ყველა იქ მყოფი კომუნისტი და განიარაღეს ხაძოვრების მეთვალყურე კომუნისტების რაზმი. ყველა ამ საქმეების მოგვარებამ მოითხოვა დიდი დრო და ამან გამოიწვია მათითაიშვილის დაგვიანება ქვემო გურიაში ჩამოსასვლელად.

29 აგვისტოს დილით ხიდისთავში, ჩოხატაურში და აკეთში ცნობების დაგზავნის შემდეგ, მე დავტოვე ნაგომარში ახლად შექმნილი ხელისუფლება და წავედი ოზურგეთის მიმართულებით ნასაკირალისაკენ. ოზურგეთზედ წასასვლელად ზემო გურიის და ლანჩხუთის რაიონებიდგან ძალების მოსვლის მოლოდინში, მე მოვადხინე ზვერვა ოზურგოის მიმართულებით და გავგზავნე ხალხი ოზურგეთში მომქმედ ჩვენს ნაწილებთან. ფაქტიურად ეს ნაწილი ჩემი გუნდისა და დავბრუნდი ნაგომარზედ, სადაც უკვე დამხვდნენ სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე და დამკომის რწმუნებული. მათ გადავეცი რაც ვიცოდი ზემო გურიისა და ოზურგეთის რაიონის შესახებ. მათაც გადმომცენ რაც იცოდნენ. ორთავენი ძალიან შეწუხებულნი იყვნენ იმის გამო, რომ უდროობის მიზეზით, არა თუ № 1 გეგმა არ შესრულდა, არამედ № 2-ეც არ იყო ჯერ განხორციელებული სავსებით. ესე იგი ქ. ოზურგეთი ჯერ კიდევ მხოლოდ იქაურების ანაბარად იყო მიტოვებული. განსაკუთრებით სწუხდა დამკომის რწმუნებული იმის გამო, რომ არ მოხერხდა ოზურგეთში შიგნიდან დარტყმა. მდგომარეობის ყოველ მხრივ გაშუქების შემდეგ, საერთოდ გურიაში პირველი ნაბიჯი დამაკმაყოფილებლად მიაჩნდათ. მაგრამ საჭირო იყო მეორე ნაბიჯის გადადგმა, ესე იგი თავიანთ რაიონებში ჩაბმულ ძალების გამოყვანა და ერთად ოზურგეთზე მისვლა. ამ მიზნით კომიტეტის თავმჯდომარემ და დამკომის რწმუნებულმა შექმნეს ეგრედ წოდებული სამხედრო ცენტრი, შემდეგი შემადგენლობით: ს. მათითაიშვილი, რომელიც ჩოხატაურში იმყოფებოდა, მუხაშავრია, რომელიც ლანჩხუთში იმყოფებოდა, და ერთი პირიც ოზურგეთის რაიონიდგან. ეს გადაწყვეტილება იმ წამსვე ეცნობა მათ კატეგორიული მოთხოვნით, რომ დაეტოვებინათ მცირე რაზმები თავიანთ რაიონებში და სასწრაფოდ ჩამოსულიყვნენ ნასაკირალზედ, სადაც მოეწყობოდა ოზურგეთზედ შეტევის ცენტრი.

თვით ოზურგეთის მდგომარეობა ამ დღეს იყო შემდეგი:

აჯანყების ბრძანება ოზურგეთის რაიონის შტაბმა მიიღო 27 აგვისტოს ნაშუადღევის სამ საათზედ. შტაბმა იქაური დევნილების ჯგუფთან ერთად, ს. ჭანუყვაძის უფროსობით, გამოიმუშავა გეგმა თავისი ამოცანის შესახრულებლად. ესე იგი, ბახვის, შემოქმედის, ლიხაურის და სხვა თემების განთავისუფლება და ოზურგეთზედ მისვლა და გამაგრება, სანამ სხვა რაიონები მოუსწრებდნენ. ამ რაიონმა ეს ამოცანა ჩინებულად შეასრულა. 29 აგვისტოს, დილის 5 საათზედ. უკვე ზემოხსენებული თემები და ყველა ოზურგეთის ახლო მდებარე სოფლები განთავისუფლებულ იქმნენ. დატუსაღებულ იქმნა ყველა კომუნისტი, გაეკცათ მხოლოდ ერთი ჩეკისტი ლიხაურიდან. (ამ მოძრაობის დროს დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ახალგაზრდა სევერიანე თოიძემ, რომელიც რამოდენიმე წლის შემდეგ ვაჟკაცურად დაეცა ჩეკისტებთან ბრძოლაში.) დაგროვილი ძალებით ისინი მივიდნენ ოზურგეთზედ და გაშალეს ფრონტი ს. ექადიის მხრივ.

ამ ამბებმა და ცენტრთან და რაიონებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან მოწყვეტამ, ოზურგეთში მყოფი რუს-ქართველი კომუნისტები ხაშურლად დაებნია, ვერავითარი ინიციატივა მათ ვერ გამოიჩინეს და ქალაქს გარეთ გამოსვლა ვერ გაბედეს. ქობულეთის რაიონთან პირველ დღეს კავშირის გაბმა არ მოხერხდა და 29-ს კი უკვე გვიანი იყო იმ რაიონში რამეზედ ფიქრი, ვინაიდან ბათომში არაფერი მოხდა. ეს ამბავი ოზურგეთის რაიონს მოუტანა ბათომიდან გამოქცეულმა ორმა პირმა, აგრეთვე ყველა ის ჩავარდნები და უბედურება, რაც მათ იცოდნენ. რასაკვირველია ამ ამბებმა ყველაზედ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს, მაგრამ ბრძოლაზედ ხელი არავის აუღია და ყველანი, უცდიდნენ სხვა რაიონების მოსვლას ოზურგეთის ასაღებად.

* * *

ლანჩხუთის რაიონის მთელი ხელმძღვანელობა თითქმის არალეგალურად ცხოვრობდა და უკანასკნელად მათთან ჰქონდათ ბინა სამაზრო კომიტეტს და დამკომის კაცს. ცნობის მიღებისთანავე მათ გაანაწილეს თავიანთი უბნები, ყველა თემები, რაიონები და რკინის გზის სადგური. ლანჩხუთის აღება დაეკვალა ოფიცერ შ-ძეს, თეოფილე მუხაშავრიას თანხლებით. ამავე დროს ეს ოფიცერი დაინიშნა მთელს მაზრაში სამხედრო ხელმძღვანელად და ლანჩხუთის აღებისთანავე უნდა გადმოსულიყო ზემო გურიაში თავის მოვალეობის ასასრულებლად. უდროობის და ადგილ მდებარეობის მიხედვით, ამათაც ცუდს პირობებში მოუხდათ მოქმედება. მაგრამ მაინც თავიანთი ამოცანა შეასრულეს. მთელი ეს მხარე გასწმინდეს, მრავალი კომუნისტი დაატუსაღეს და აიღეს ლანჩხუთი, სუფსა და სხვა დაბა-სადგურები. მხოლოდ ლანჩხუთში, ისე როგორც ჩობატაურში, კომუნისტების ერთი ნაწილი გამაგრდა ერთ ჭვის შენობაში, საიდანაც ისინი განაგრძობდნენ სროლას. ჩვენებმა მიუჩინეს მათ რამდენიმე დარაჯი და დატოვეს, თვითონ კი მთელი ყურადღება მიაქციეს რკინის გზის ხაზს. ამ ხაზზედ მოქმედებდა ორი ჯავშნოსანი და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მათი შემოტევა ლანჩხუთზედ. ჩვენებმა სცადეს რკინის გზის გაფუჭება, ზოგს ადგილას ვაგონებიც გადაყარეს, მაგრამ ეს საკმაო არ აღმოჩნდა და ჯავშნოსნები განაგრძობდნენ მოქმედებას: ერთი უტევდა საჯავახოს და მეორე იცავდა ბათომის ხაზს.

სუფსაში, რკინის გზის ტელეგრაფით ჩვენებმა მოისმინეს ბრძანება ხაშურში მდგომ რუსის ჯარის უფროსისა, რომელიც უბრძანებდა სამტრედიაში მყოფ თავის ნაწილს, დაეწყო მოქმედება აჯანყებულ გურიის წინააღმდეგ. ბათომში და ფოთში სიწყნარე იყო, სამტრედიიდგან მტერი გვემუქრებოდა. მაგრამ ამას არ შეუშინებივართ: ყველას გულ[illegible] აღების იმედი ტრიალებდა. აი [illegible] ობაში მოუსწრო ლანჩხუთლებს. ცნობამ სამხედრო ცენტრის შექმნის შესახებ და ბრძანებამ დაუყოვნებლივ წამოსულიყვნენ ნაგომრისაკენ ოზურგეთზედ წასასვლელად. ასეთი იყო 29 აგვისტის მთელი გურიის მდგომარეობა.

30 აგვისტოს დილით ლანჩხუთლები წამოვიდნენ ნაგომრისაკენ და მოვიდნენ ნასაკირალზედ ნაშუადღევს. დაიგვიანა ჩობატაურმა, ისინი მოვიდნენ მხოლოდ საღამოს და იმ წამსვე გაიმართა სამხედრო საბჭოს კრება რომელსაც დაესწრო ახლად შექმნილი სამხედრო ცენტრის სამივე წევრი, სამაზრო კომიტეტი, დამკომის რწმუნებული, სამხედრო ხელმძღვანელობისათვის გამზადებული შ-ძე, რამოდენიმე ადგილობრივად მყოფ ნაწილების ოფიცრები და ბათომიდან მოსული პოლკოვნიკი X.

ამ დროს დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა ჩვენთვის გარკვეული იყო, ჩვენ არ ვიცოდით, რა ხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ბედი, ვიცოდით უკვე, რომ ადგილობრივი ძალების გარდა, ჩვენ საქმე დაგვირჩებოდა გარედან მოსულ რუს-ქართველ ძალებთან და ორ ჯავშნოსანთან.

თვით ოზურგეთის მდგომარეობა ასეთი იყო: 29 აგვისტოს მთელი დღის სიჩუმის შემდეგ, ოზურგეთში მყოფმა ყველა ძალებმა და რუსის ჯარმა, რომელსაც მოემატა ჯავშნოსანი მატარებელი, მხოლოდ 30 აგვისტოს ნაშუადღევს დაიწყო შეტევა ჩვენებზედ ექადიის ხაზზედ. მთელი დღის ზარბაზნების და ტყვიის მფრქვეველის ცეცხლის შემდეგ, ჩვენებმა, ვაზნებ გამოლეულებმა და მარტოდ დარჩენილებმა, დაიხიეს მაკვანეთის ხაზზედ — შემოქმედისაკენ. ლიხაური და ექადია ჩაიგდეს ხელში კომუნისტებმა. ამავე დღეს ბათომიდგან მოსულმა ჯარმა ჩაიგდო ხელში სუფსა. ჩვენებმა გადმოიარეს ნიგოითის ქედი, თან მოყავდათ ყველა ტყვეები.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, თავბირზედ გადაწყდა ოზურგეთზედ შეტევა. მისი აღება და გამომუშავებულ იქმნა საამისო გეგმა. შ-ძე დამტკიცდა ხელმძღვანელად.

სურების გუნდს, სამხედრო საბჭოს წევრის მუხაშავრიას თანხლებით, დაეკვალა წასვლა სიროულ-ჯუმათის მიმართულებით, ამ სოფლების ხელ-ახლა აღება, ნიგოითის მთაზედ გადმოსულ კომუნისტების გადარეკა და ამ მხარის ადგილობრივი ძალებით გამაგრება. ამის შემდეგ შემობრუნება და ოზურგეთზედ შეტევა მოდინახეს მხრიდან, საერთო შეტევისათვის დანიშნულ დროს.

ლანჩხუთის ორ გუნდს და ერთს ნაგომრისას დაეკვალა მდინარე ნატანებზედ გასვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ზურგში მოკცეოდა იმ რაზმს, რომელიც მოხდევდა ჭანუყვაძეს და რომელიც იდგა ს. ცხემლის-ხიდში. ჭანუყვაძეს ეცნობა ეს გეგმა და ებრძანა, არავითარ შემთხვევაში არ დაეცა უკან და ემოქმედნა ამ გეგმის მიხედვით.

ამ ორი ამოცანის შესრულების შემდეგ, ეს ნაწილები შეადგენდნენ ჩვენს მარცხენა და მარჯვენა ფრთას და ცენტრი, რომელიც ნახაკირალზედ იდგა, შეუტევდა მათთან ერთად ოზურგეთს. ამ გეგმის მიხედვით ოზურგეთი უნდა აგვეღო ღამით 1 სექტემბერს. 31 აგვისტო მოუნდა მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებას და 1 სექტემბერს დილით დაიწყო ჩვენი მოქმედება ამ გეგმის მიხედვით.

სურების გუნდმა შეასრულა თავისი ამოცანა, გაანთავისუფლა სიროული და ჯუმათი. გაამაგრა ნიგოითის ქედი, ხელ-ახლა დაატუსაღა განთავისუფლებული კომუნისტები და თვითონ მობრუნდა ოზურგეთისაკენ, თავის ბრძანების მეორე ნაწილის შესასრულებლად.

ასე არ მოხდა მარცხნივ, ცხემლის-ხიდთან. იმ დროს როცა შემომრები ნაწილები გავიდნენ მდინარე ნატანებზედ, ჭანუყვაძემ ჩვენთვის უცნობებლად დასტოვა თავისი პოზიციები და შეუდგა ს. ბაღდადის სიმაღლეებს. მისი სიტყვით, მან ეს ჩაიდინა იმიტომ, რომ მისი ცნობების თანახმად, ოზურგეთს მოემატა ბათომიდგან ახლად მოსული ჩონის ნაწილები, რომლებიც სასწრაფოდ გამოექანენ შემოქმედ-ასკანა-ბასილეთის მიმართულებით, ესე იგი, გვივლიდნენ მარცხნიდან და ამ პირობებში, ცარიელი თოფებით შეტევაზე გადასვლა მე სისულელედ მიმაჩნდა. მიუხედავად ამ მიზეზებისა, მან დიდი საუვედური მიიღო შ-ძისაგან და ამან გამოიწვია მათში პირადი უთანხმოება.

როგორც კი ჭანუყვაძემ დაიბია უკან, ოზურგეთიდგან მაშინვე გადაიტანეს გაძლიერებული ზარბაზნის ცეცხლი ბაღდადის სიმაღლეებზედ და ამავე დროს მოწინავე ბაზებისაკენ გაგზავნეს ახალი ნაწილები. ამრიგად, ჩვენი შემომრები ნაწილები მოექცნენ ორ ცეცხლში და მათი გამოსვლა რაღაც იღბალს უნდა მიეწეროს. ამ რაიონში ჩვენ მოქმედება გვიხდებოდა მეტად ცუდ პირობებში: მთელი ეს რაიონი დაფარული იყო მაღალი სიმინდის უანებით და თხმელის ბშირი ჭალებით. თითქმის ყველა გლეხის ეზოს მაღალი ქვის ყორე აქვს შემოვლებული და ყოველივე ეს ძალიან აძნელებდა მხედველობას და ჯარის წესიერად მოხმარებას. ვაზნები სულ ცოტა გვქონდა: ჩემს გუნდში მაგალითად 70 კაცზედ იყო სულ 800 ვაზნა და ისიც არა ხაიმედო. ჩვენი იმედი, ჩვენი მოქმედების მოულოდნელობა იყო. აქამდე დაჭერილ კომუნისტებს სულ ცოტა ვაზნები აღმოაჩნდათ და როცა ასეთი პოზიციებ[illegible] ლი ბრძოლა გაიმართა, [illegible] ხაშინელი შეიქმნა.

ჭანუყვაძის მიერ მიღებული ცნობები ჩვენ თითქმის იმავე დროს შევამოწმეთ და მართალი აღმოჩნდა. ეს ნაწილები დიდი სისწრაფით მიიწევდნენ წინ, ჩვენი გზის მოხაკრელად მარცხენა ფრთიდან, თან დარწმუნებულნი მთელს საქართველოში აჯანყების ჩაქრობაში, ხაშინელი სიმხეცეს იჩენდნენ: პირველივე ტყვეები 11 კაცი გაუსამართლებლად დახვრიტეს. ეხლა უკვე ჩვენც ვიცოდით ჩვენი ჭჯანყების ბედი და ისიც, თუ რა მოგველოდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან. ჩვენ დაგვრჩენოდა მხოლოდ ჩვენი თავის ძვირად გაყიდვა.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩვენი ხელმძღვანელობა დინჯად მოიქცა: 1 სექტემბერს საღამოს, მოხდა ახალი საბჭედრო თათბირი და გადაწყდა უკან დახევა. მაგრამ საჭირო იყო ამის ისე მოწყობა, რომ არეულობა არ მომხდარიყო და რამოდენიმე ჩვენი ნაწილი მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. მთელ ბალხს დიდებულად ეპირა თავი. ყველა ნაწილები იხევდნენ უკან დანიშნულ მიმართულებით და თან მიყავდათ ტყვე კომუნისტები. ოზურგეთლებმა ჭანუყვაძის მეთაურობით და მათთან შეერთებულმა აკეთის ერთმა გუნდმა პ. თოხაძის მეთაურობით დაიხიეს ბრძოლით ხიდისთავისაკენ ახკანა-ბასილეთ-ჭაკვეთის ხაზით. ოზურგეთის ქვემოთ მყოფ სოფლებში ჩვენს ნაწილებს ეცნობა საერთო მდგომარეობა და თუ როგორ წამოსულიყვნენ ზემო გურიაში ჩვენთან შესაერთებლად.

ოზურგეთისაკენ მყოფ სურების გუნდს გაეგზავნა ასეთივე ცნობა. ეს გუნდი ყველაზედ მოწყვეტილი დარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრძოლით კომუნისტების ორს ცეცხლში გავიდა, მთელი აღმოსავლეთი გურია გადაკრა და რამოდენიმე დღის შემდეგ შეუერთდა სხვა ნაწილებს ბახმაროს მთებზედ. ჩვენმა ცენტრმა დაიხია ნაგომრისაკენ, სადაც ის მივიდა დილით. ჩვენ არ დაგვრჩენია უკან არც ერთი რაზმელი, არ დაგვიწყებია არც ერთი დარაჯის მოხსნა და არ დაგვიტოვებია არც ერთი ტყვე.

2 სექტემბერს დილით მდგომარეობა იყო ასეთი:

1. ოზურგეთიდან მოგვდევდნენ იქაური ნაწილები ხშირი ზარბაზნის ცეცხლით.

2. მარცხენა ფრთას მოხდევდა ბათომიდან მოსული ჩონის ნაწილები, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენთვის გზის მოკრას.

3. ლანჩხუთიდგან გადმოიარა თბილისიდან მოსულმა ჯარმა და შეეცადა გაყოლოდა მთის კალთებს, რომ შესულიყო ჩვენზედ ადრე ჩობატაურში, და ამნაირად გაესკვნათ რკალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს უკან. ამ ჯარის მოწინავე ნაწილებმა, ხოფლებში შემოსვლისას, პირველსავე ოჯახში დახვრიტეს ორი მოწყალე და მოხუცი მამა, რომელიც მათ გადაეფარა თავზედ. რუსები ხაშინლად გამხეცებულნი იყვნენ და არ ინდობდნენ არავის, მოსახლეობა გარბოდა მათ მოახლოებაზედ.

ამ დილით ნაგომარზედ გამოპყვეს ერთი ნაწილი ხუფსის გაღმა გახაგზავნად, რომ ლანჩხუთიდგან მომავალი ძალა დროებით შეეჩერებინათ, მაგრამ ჩვენ კიდევ ნავში ვიყავით, რომ ლანჩხუთიდან გადმოტანილ ზარბაზნებით დაგვიწყეს შრაპნელების ხროლა. ეს ბრძანება მოიხსნა და ჩვენ გავეშურეთ, ნაწილი ჩოხატაურისაკენ და უფრო დიდი ნაწილი შ-ძის მეთაურობით ხიდისთავისაკენ, სადაც იყო დაგროვილი მთელი ჩვენი ტყვეები და ქვემო გურიიდან გამოქცეული ხალხი. საჭირო იყო უველაფრის პატრონობა: ჯარის კვება, ჭანუყვაძეზედ მიშველება მტრის ნაწილების შესაჩერებლად, ტყვეების წაყვანა და უიარაღოდ მყოფი ხალხისათვის გზის ჩვენება, ვინაიდან ჩვენს ჯართან ერთად ბევრი მამა-კაცი და ბევრი ქალები მოდიოდნენ. ჩვენი მიზანი იყო უველა ამ ხალხის და ტყვეების გაყვანა ჩვენთან ერთად მთებში, რომ ხალხი არ ჩავარდნოდათ ჩვენს წინააღმდეგ მომქმედ ჯარებს. თუ ამას შევსძლებდით, იმედი გვქონდა, რომ ბრძოლების გათავების შემდეგ, უფრო ნელი ხასიათის იქნებოდნენ მთავრობის რეპრესიები.

ხიდისთავში სამაზრო ცენტრს შეედგინა კომიტეტი ტყვეებში პასუხისმგებელ კომუნისტების ასარჩევად. ჩვენი აღრიცხვით მთლად გურიაში ჩვენ გვყავდა დატყვევებული 1800 კაცი. ყველა ესენი 2 სექტემბერს იმყოფებოდნენ ხიდისთავში და ჩოხატაურში. ამ რიცხვიდან კომისიამ ამოარჩია 38 კაცი: ცენტრალური მთავრობის წევრი ანდრო დოლიძე, ობოლაძის რეპრესიებმა დროს გურიის აღმასკომის თავმჯდომარე, ხალხის მხვრეტელი ხუთეულის შემქმნელი და მისი თავმჯდომარე, ამ ხუთეულის რამოდენიმე წევრი, ცნობილი ჩეკისტი რუსი პოლშინი, ჩეკის გამომძიებელნი, მილიციის უფროსები, მათ შორის ფიჩხის-ჯვარის გმირი ჭანიშვილი, თითქმის უველა ის პირები, ვინც 4 წლის განმავლობაში გურიის ხალხი ხვრიტა, თვითეული მათგანის სინდისზედ რამოდენიმე კაცის სიცოცხლე იყო ცოდვად. ეს ხალხი გამოყვეს ცალკე და გადაწყვიტეს მათი მძევლებად წაყვანა. მე მივიღე ბრძანება მათი ციხიდან გამოყვანის და დანიშნულ ადგილას წაყვანის შესახებ. ამოვარჩიე ჩემს გუნდში ხაუკეთესო რაზმელები, გამოვიყვანე ტუსაღები ციხიდან, მივაკარი ორ-ორი ხელებ[illegible] ერთმანეთზედ და გაუდექით გზას. ამათ[illegible]ია ერთი ყოველად ხაზინლარი პიროვ[illegible]ნისტი ნინიძე, რომელიც დიდ ომის[illegible]ყო, ფები ჰქონდა მოტეხილი. შემეცოდა და ჩემს ცხენზედ [illegible] უველას ფერი დაკარგული ჰქონდა [illegible] ჰზედავდნენ, რომ ჩვენ დავმარცხდით და ფიქრობდნენ, რომ ჩვენ მათ დავხვრეტდით. ჩემი მხლებელი ჯარისკაცები წინასწარ გავაფრთხილე, რომ ტუსაღებისათვის არავითარი შეურაცყოფა არ მიეყენებინათ. მართლაც, არც ერთი სიტყვა მათთვის არავის არ უთქვამს: ჩვენ გაუდექით ნაჩვენებ გზას.

ჩემი წამოსვლის შემდეგ ხიდისთავში მოხდა შემდეგი. ჩვენმა ხელმძღვანელებმა მიიღეს ზომები ჯარის, უიარაღო ხალხის და ტუსაღების ხაევაკუაციოდ ხიდისთავიდგან ჩოხატაურისაკენ. გაიგზავნა დამხმარე ძალა ხიდისთავის ზემოდ ს. ჭაჭიეთის მაღლობებზედ ჩვენ ნაწილებთან შესაერთებლად და აქ მოხდა უკანასკნელი მაგარი შეტაკება ბათომიდგან მოსულ ჩონის ნაწილებთან და რუსებთან. აქ განსაკუთრებით დაზარალდა ლანჩხუთის გუნდი, რომელსაც მოუკლეს რამოდენიმე კაცი. აქ ბრძოლა კიდევ გათავებული არ იყო, რომ ხიდისთავს მოადგნენ ოზურგეთის მხრიდან მოსული რუხის ნაწილები და დაუშინეს ტყვიის-მფრქვეველები ბაზარში დარჩენილებს და აგრეთვე მდინარე გუბაზოულზედ ახლად გამოსულ ჩვენს ნაწილებს, რომლებიც ნელ-ნელა იხევდნენ უკან ხოფელ ახალშენ-ჯვარცხმით ჩოხატაურისაკენ. აქაც მოკლეს და დახვრეს რამოდენიმე ათეული კაცი, ჩვენს და რუსების მხრივაც. ხიდისთავში სროლის გაჩაღებით ჭაჭიეთში მებრძოლ ჩვენს ნაწილებს მოეკრათ ზურგი და მათ იბრუნეს პირი ს. მეწიეთისაკენ, შეუდგნენ მთის კალთებს და უბრძოლველად იარეს ხურებ ბახმაროს მთებამდის, სადაც შემდეგ დღეებში ისინი შეუერთდნენ ჩვენს გაფანტულ ნაწილებს.

ჩოხატაურისაკენ მიმავალმა ჩვენმა ნაწილებმა გაშალეს ფრონტი ს. ჯვარცხმის მაღლობებზედ. ეს იყო ორ სექტემბერს, დაახლოებით 18 საათზედ. ნაგომრიდან მათითაიშვილის და სხვების მეთაურობით ჩოხატაურისაკენ წამოსული ხალხი შეუერთდა აქ ჩვენებს, სადაც ამ დროს იმყოფებოდა მთელი ჩვენი ხელმძღვანელობა: გურიის კომიტეტი, დამკომის წარმომადგენელი, ხამხედრო საბჭო, შ—ძე და იერე კაჭაკაძე, რომელიც 29 აგვისტოდან ლიხაურელებთან იყო და მათთან ერთად იბრძოდა. როგორც გუნდის უფროსი. სწორედ ამ დროს. მე ჩემი ტუსაღებით, მივაღწიე ს. გუთურს, სადაც დაპირების თანახმად უნდა დამხვედროდა საგანგებოდ ამისათვის გამოყოფილი ნაწილი, რომელიც ჩაიბარებდა ტყვეებს და მე კი უნდა დავბრუნებულიყავი ფრონტზედ. დანიშნულ ადგილას არავინ არ დამხვდა, მოვათავსე ტუსაღები ერთი გლეხის ეზოში, დავაყენე დარაჯები და გავგზავნე კაცი ჩოხატაურში საქმის გამოსარკვევად და დავუწყე ცდა მის მოსვლის. ადგილობრივი მცხოვრებლები, ხალხში დარჩენილი ქალები და მოხუცები მოგროვდნენ ჩვენს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩშემო. მაგ უკვე იცოდნენ, რომ ჩვენ დავმარ-
ცხდით და ჩვენთვის ხაშინელი ტანჯვა იყო მა-
თი ნაღვლიანი სახეების ცქერა. არც ერთი ხა-
ყვედურის ჩოჩეცვა მათგან არ გვსმენია, არავის
არ უკითხავს, თუ სად და რა დღეში იყო ამ
სოფლიდან ფრონტზედ წასული ხალხი. მე პირადად
უფრო ადვილად ავიტანდი ამ ხალხისაგან ხაყ-
ვედურებს, თუნდაც წინააღმდეგობას, და ეს
იმიტომ, რომ ვიცოდი, თურა დღე მოელოდა ამ
ხაწყალ ხალხს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ
თავიანთი ქვეყნის თავისუფლება უნდოდათ...
ჩვენ ძალზედ დაღლილები ვიყავით, მათ მოგვი-
ტანეს წყალი, დაგვბანეს ხელ-პირი, ფეხები, გა-
მოგვიცვალეს წუღა-ქალამნები და შეუდგნენ
სახეწრაფოდ სადილის მზადებას. თან მთხოვეს
ნებართვა ტუსაღებისთვისაც მიეტანათ ხაჭმელი.
მე გავითვალისწინე მომავალი და დავთანხმდი.
კიდევ მეტი, სადილი პირველად ტუსაღებს ვა-
ჭამეთ და შემდეგ ჩვენ ვისადილეთ რიგ-რიგო-
ბით. კომუნისტები არ მოელოდნენ ასეთ მოპ-
ყრობას და ლაჩრებს თვალებზეც სიხარულის
ცრემლი ადგათ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თა-
ვისუფალ საქართველოს და ჩვენს ლოცვაში.
ილოცებოდნენ, როგორც მესენაკე მონაზვნები...
თუ როგორ გადაუხადეს მათ ამ სოფელს პატ-
ივისცემა, ამაზედ ქვემოდ.

ჩემი გაგზავნილი კაცი დაბრუნდა ჩოხატაუ-
რიდგან და მას თან მოყვა გურიის კომიტეტის
ერთი წევრი ა. ვ. მათ გამაცნეს რა ხდებოდა
ჩოხატაურში და თან გადმომცეს, რომ არავინ
არ მოვა ტუსაღების წასაყვანად და არც არა-
ვითარი განკარგულება მათ შესახებ არ ვიცი-
თო. ვინაიდგან ყველა პასუხისმგებელი ხალხი
იმ დროს ფრონტზედ იყო ს. ჯვარცხმაში. ამავე
დროს მივიღე მათითაიშვილის ბრძანება, წავ-
ხულიყავი მასთან ჯვარცხმაში. იმ წამსვე წავიყ-
ვანე ტუსაღები ჩოხატაურში, ჩავაბარე იქ ად-
გილობრივ ადმინისტრაციას, კერძოდ ხატუსა-
ღოში მოსათავსებლად და მე გავსწიე ჯვარ-
ცხმისაკენ. გზაში მზვდებოდა ახობით ტუსა-
ღები, რომლებიც ჩვენებს მოპყავდათ ჩიდისთა-
ვიდგან. ყველანი ხაშინლად შეშინებულნი იყვ-
ნენ, თუმცა უკვე იცოდნენ, რომ აჯანყება და-
მარცხდა, მაგრამ რადგანაც ჩვენ მათ არ ვხტო-
ვებდით, ალბათ ფიქრობდნენ, რომ უკანასკნელ
წუთებში ჩვენ მათ დავხვრეტდით. ხოფ. ჯვარც-
ხმაში მოხდა პატარა შეტაკება რუსის მოწინავე
ნაწილებთან და ჩვენ დავიხიეთ ჩოხატაურისკენ,
მოვაწყვეთ ხადარაჯოები მის მაღლობებზე მდი-
ნარე სუფსის პირას და შევედით დაბაში. ეს
იყო ორი სექტემბერი, ხალამო.

ამ ხნის განმავლობაში, 29 აგვისტოდგან 2 სე-
ქტემბრის ხალამომდე, ჩვენები იდგნენ ხაჯავა-
ხოში მთის კალთებზედ და არ უშვებდნენ
მტერს. აქ მყოფმა ჩვენმა ნაწილებმა გამოიჩი-
ნეს უდიდესი ვაჟკაცობა ამ ხუთი დღის განუ-
წყვეტელ ბრძოლაში, არ მოიხსნენ აქედან და
ამით გვიხსნეს ჩვენ რუსის ჯარის შემოვლისა-
გან. ჩვენი ჩოხატაურში მი[illegible]
ტემბერს ხალამოს, მა[illegible]
ჩვენ ამ ღამის გავსწევდით ხურებისაკენ და
მალაც შეიძლოო მოხსნილიყვნენ და წამოხული-
ყვნენ ხაჯამა-სერით ხასწრაფოდ, რომ შემოგ-
ვერთებოდნენ ჩვენ პირდაპირ ზემო-სურებში
ამ ღამეს მტერი ჯვარცხმას არ გამოხცილებია.
ასევე შეჩერდა ოზურგეთიდგან მომავალი ნა-
წილები ბერეეთულში და ლანჩხუთიდგან გად-
მოსული რუსის ნაწილები ჩოხატაურის ქვემო
სოფლებში. ვინაიდგან აქამდის მათი ცდა ჩვენთ-
ვის რკალის შემორტყმისა უნაყოფოდ ჩატარ-
და, მათ ალბათ შეაჩერეს შემოტევა იმ იმედით
რომ ხაჯავახოს ხაზს გაარღვევდნენ მათი ნაწი-
ლები და შემოგვიალიდნენ ზურგში. მაგრამ ჩვენ
დავსტოვეთ ჩოხატაური იმ ღამესვე. ხაჯავახო-
ში ჩვენები მოიხსნენ მხოლოდ ჩვენი ბრძანების
მიღების შემდეგ და ამრიგად ჩვენ გავუსხლ-
ტით მტერს ხელიდან.

ჩოხატაურიდგან სურებისაკენ წასვლის წინ
ჩვენს შტაბში დაისვა კითხვა ტუსეების შესახებ.
მათი წაყვანა ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო და
არც იყო ხაჭირო. ამასთანავე, ბევრი პირისაგან
შემოტანილ იქნა შტაბში პირადი თხოვნები მთა-
ვარი კომუნისტების დახვრეტის შესახებ. ეს ხა-
კითხი მეტად მწვავე იყო. მე აქ არ მიმაჩნია
ხაჭიროდ ყველაფრის თქმა, რაც იქ ითქვა. მო-
კლედ კი გადაწყდა: არავინ არ დაიხვრიტოს.
ამის შემდეგ კიდევ მოითხოვეს რამოდენიმე პი-
რებმა უფლება, გამოეყვანათ ციხიდან რამოდე-
ნიმე კომუნისტი მაინც, თავისი ჯალათობით
ცნობილნი, მაგრამ შტაბმა ამაზედაც უარი უთ-
ხრა და რომ თავის ნებით ვინმეს ეს დახვრეტე-
ბი არ მოეწყოს, მიბრძანეს მე, ამომერჩია აჯან-
ყებულებში უბრალო რაზმელები და დამეყენე-
ბინა ისინი დარაჯად, ხატუსაღოებზედ. ეს და-
რაჯები უნდა დარჩენილიყვნენ იქვე რუსის ჯა-
რის შემოსვლამდე, იმ იმედით, რომ თავის
მხრივ კომუნისტები მათ დაინდობდნენ ამ პა-
ტივისცემისათვის. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ამ
დროს არ ვიცოდით, თუ რა ზღვა სისხლი დაეკიეს
ჩვენმა მტრებმა საქართველოს სხვა ნაწილებში.
ეს რომ ხალხს ცოდნოდა, ჩვენ მათ ვერაფრით
ვერ გავაჩერებდით, თავის დახვრეტის მოლო-
დინში ყველა შეეცდებოდა უწინ ეს ტუსეები
მაინც მოეხპო.

3 სექტემბერს შუადღისას ავედით სურებში.
მთელი ეს ვიწრო ხევი გაჭედილი იყო მთები-
სკენ მიმავალი ჯარით და უიარაღო ხალხით,
მოწყფეებით და ქალებით. საჭირო იყო ამ მთე-
ბისაკენ მიმავალი ხალხის პატრონობა, მეგზუ-
რების მიცემა, საგზლის დამზადება და დარიგე-
ბა, თუ რომელი კუთხის ხალხი სად გაჩერებუ-
ლიყო და ეცადათ, თუ რა გზ-ს დაადგებოდა
გამარჯვებული. ხელისუფლება

ყოველივე ამის შესრულე' [illegible] დიდი ხამსა-
ხური გაგვიწია ხურების მცვ[illegible] ვა. მათი
შვილები, ორი გუნდი ქვემო[illegible] ო და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩენილი და მათი ბედი არავინ იცოდა. მთელ სოფლებში უმეტესობას მხოლოდ ქალები შეადგენდნენ. მათი ქცევა ყველა ქართველი ქალისათვის საამაყო იქნება: გვივლიდნენ ყველას, გეიმზადებდნენ საგზლებს, აძლევდნენ ხალხს ფეხსაცმელს, ტანისამოსს, ამხნევებდნენ ყოველ მხრივ. ქაცებმა იკისრეს მეგზურობა და ამრიგად მთელი ჩვენი ხალხი გავიდნენ მთებზედ მთელი გურიის გასწვრივ და იქიდგან უცდიდნენ მდგომარეობის გარკვევას.

თვით ჩვენი ხელმძღვანელობა მოთავსდა ერთ მთაზედ და იქიდგან გაგზავნა შიკრიკები, იმერეთში ამბერკი ადეიშვილთან და მეორე მხრივ ოსმალეთში საზღვარ გარეთთან კავშირის აღსადგენად. სურებშივე შემოგვიერთდა იმერეთიდგან გადმოსული ვლასა მგელაძე და გადმოგვცა, რაც იცოდა იქაური ამბების შესახებ. მისი მოსვლა ჩვენთვის დიდად სასიხარულო იყო, ყველა მას შემოეხვია და თვითონაც თავისებური ცეცხლით ანთებული სიტყვებით ამხნევებდა ყველას და აგონებდა მათ მაღალ პატრიოტულ მოვალეობას. როცა სავსებით ტიტველ მთებზედ გავედით, ჩვენს თავზედ გადაფრინდა ავიონი, ისროლა ტყვიის-მფრქვეველისაგან და ჩამოყარა ძირს ფურცლები, რომლითაც დამკომი ყველა აჯანყებულებს აცნობდა აჯანყების დამარცხებას და მოუწოდებდა იარაღის ჩაბარებას და მორჩილებას...

ამ ეპიზოდის შემდეგ ჩვენს ჯგუფს შემოგვეფეთა ახალციხიდან გურიის წინააღმდეგ წამოყვანილი ხომეს კომუნისტების გუნდი ქართველების მეთაურობით. ჩვენ მოვემზადეთ მათდა ღირსეულად შესახვედრად, მაგრამ მათ აგვიარეს გვერდი და წავიდნენ სხვა მიმართულებით. აგრეთვე შესცილდნენ სხვა ჩვენი ნაწილები აჭარიდგან ბახმაროში ჩამოყვანილ კომუნისტების რაზმს.

გამარჯვებული ხაოკუპაციო ხელისუფლება 8 სექტემბერს შემოვიდა ჩოხატაურში და ოთხს კი ჯარის ნაწილები ამოვიდნენ სურებში. ციხეებიდგან განთავისუფლებული კომუნისტები დაუბრუნდნენ თავიანთ სოფლებს და სხვებთან ერთად შეუდგნენ თავისებურ საქმიანობას. გურია მებრძოლი ხალხისაგან დაცლილი იყო, მაგრამ მაინც გაავსეს დარჩენილებისაგან სატუსაღლები. შეუდგნენ შურის ძიებას მათ მიმართ, ვინც აშკარად რაიმე დახმარებას უწევდა აჯანყებულთ, დაატუსაღეს მოზრდილი მოწაფეები და მიუვეს ხელი ათასგვარ ცილის წამებას აჯანყებულების მიმართ. გუშინ ჩვენს ხელში მყოფი და შიშისაგან მტირალი კომუნისტები. ისინი, ვინც აჯანყებამდის ორ-ორ მაუზერს ატარებდნენ და აჯანყების დროს კი მოწაფეებმა და ქალებმა განაიარაღეს, ეხლა ლომებად იქცნენ ჩოხატაურში მოკლეს ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცინცაძე იარაღის ჩაბარების შემდეგ. ს. ხიდისთავში, ბათომიდგან ამოსულ ჩეკისტებთან ერთად. პოლშინის და ფეხ მოტეხილ ნინიძის მეთაურობით ეს ადგილი მდინარე გუბაზოულის [illegible] დაც უნდა გაემართათ ხალხის ხვრეტა. ეი ამ დროს მოუსწრო მათ ფ. მახარაძემ და ორჯონიკიძემ. მახარაძე აჯანყების წინ გურიაში იყო თავის სახლში. აჯანყების დაწყების წინ ადგილობრივმა ორგანიზაციამ დაავალა რამოდენიმე მის ახლო მცხოვრებ ჩვენს რაზმელებს თვალყური ედევნებინათ მისთვის და პირველხავე თოფის გავარდნასთან ერთად დაეტუსაღებინათ. ეს ასეც მოხდა, მაგრამ სხვა საქმეებით გატაცებულმა რაიონის ხელმძღვანელობამ ამ წამშივე არ მიაშურეს მას. როგორც ვფიქრობ, მახარაძემ მოახერხა მისი დარაჯები, მისივე მეზობლები დაერწმუნებინა ჩვენი განზრახვის უნაყოფობაში და ურჩია მათ გაეშვათ ის. ის გაშვებულ იქნა და რამოდენიმე მისი კაცის თანხლებით, ვინაიდგან ოზურგეთის გზები ჩვენებს ეკირათ, დაადგა მთის გზებს და აჭარის მხრით ჩავიდა ბათუმში. ჩვენებს ის დატუსაღებული ეგონათ და ეს ამბავი მხოლოდ 23 აგვისტოს საღამოს გაიგეს, როცა ყოველივე ზომის მიღება უკვე გვიან იყო.

აჯანყებამ გურიაში გამოააშკარავა, რომ მთელი მაზრა, გარდა კომუნისტებისა, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგი იყო. გარდა ბრძოლაში მოკლულ ხალხისა, ჩვენ არ დაგვიბვრეტია არც ერთი კაცი, პირიქით, ხელი შევუშალეთ ყოველგვარ შურის ძიებას კერძო ნიადაგზედ, არავითარ ექსცესებს ჩვენის მხრივ არსად ადგილი არა ჰქონია. მთელს მაზრაში კომუნისტების ლაშქარი გამოდგა მეტის მეტად ლაჩარი და ჩვენ 1800 კაცი დავატუსაღეთ, და ეს ის ხალხი, ვინც აჯანყებამდის საბჭოთა მთავრობას თავის თავდადებულ გმირებად მიაჩნდა. კიდევ მეტი, ჩვენი გამოსვლის შემდეგ, ადგილობრივმა კომუნისტებმა ჩოხატაურში გაიტაცეს საკონელი კოოპერატივიდგან იმ იმედით, რომ ეს აჯანყებულებს დაბრალდებოდა. მაგრამ მთავრობა ხედავდა, რომ ჩვენ არსაიდან ერთი შუა ოდიც კი საბუთის გაუცემლად არ წაგვიღია, და მართლაც, ეს ნაძარცვი კომუნისტებს აღმოუჩინეს და რამოდენიმე მათგანი დატუსაღებულ იქმნა.

თავისიანების ქცევით უკმაყოფილო მთავრობამ ბევრი მათგანი მოხსნა თავიანთი ადგილებიდან. აჯანყების დროს, გარდა კ. ოზურგეთისა, მთელი გურია თავისუფალი რესპუბლიკა იყო. ჩვენი წესწყობილება მოქმედებდა ყველა თავისი ფუნქციებით. ყველა სოფლებში ხდებოდა თავისუფალი მიტინგები, სადაც ხალხთან ერთად მოდიოდა მშვენივრად დაწყობილი მოწაფეები, თავიანთი მასწავლებლებით, წარსულში დახვრეტილთა ოჯახები. კრებებზედ გამოდიოდნენ ყოფილი „ლიკვიდატორები" და თავიანთ წარსულ ცოდვებს ინანიებდნენ. თვით დატუსაღებულ კომუნისტებში გაჩნდა ერთმანეთის დასმენა. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასწრებდნენ დაბეზღებას, ჩუმი ჯაშუშების გამოშკარავებას. ერთი სიტყვით, მთავრობამ აშკარად დაინახა და დააფასა, თუ ვინ უდგა მას მხარში და ვინ იყო მისი მტერი.

გურიაში შეთქმულთა აჯანყება კი არ მომხდარა, ეს იყო მთელი რევოლუცია და, ქ. ოზურგეთის გამოკლებით, მთელი გურიის მიწაწყალზედ ხაქართველოს რესპუბლიკის დროშა თავისუფლად ფრიალებდა.

ეხლა ყველაფერი გათავდა:

ხაქართველო დამარცხდა, ჯალათებმა რამდენიმე ათასი კაცი დახვრიტეს, დამკომმა სიხსლის ღვრის შეჩერების მიზნით ცნობილი მოწოდება გამოუშვა. თვით გურიაში რამოდენიმე ათეული კაცი მოკვდა ბრძოლაში და 8 კაცი იქმნა დახვრეტილი. ამას გარდა, ხაქართველოს ხხვა ქალაქებში დაიხვრიტა რამოდენიმე ასეული გურული და ყველა სოფლებში გლოვა გაიხმა. ადგილობრივად მებრძოლნი კი მთლიანად იარაღით ტყეში იყვნენ გახიზნულნი, დახვრეტის შიშით მთავრობას აღარ ენდობოდნენ. სოფლებში განადგურებული იყო მოსული ჯარების მიერ ყანები და ვენახები, და რაც დარჩა, ეხლა სწორედ ჰირნახულის აღების დროს, უპატრონოდ იყო, ვინაიდგან ხალხი ტყედ იყო.

მთავრობამ გაუწია ანგარიში ყოველივე ამას და შეუდგა აჯანყებულთა შემორიგებას. მოხსნეს სოფლებიდგან ჩეკისტები, ვინც ხალხს დაახვრეტად ამზადებდა. გაანთავისუფლეს ტუსაღები, გამოაცხადეს თითქოს სრული ამნისტია მათთვის, ვინც კი გამოცხადდებოდა და ჩაბარებდა იარაღს. ხალხიც დაადგა ამ გზას და დაუბრუნდა თავიანთ ოჯახებს. დავრჩით არალეგალურად ისევ ჩვენ, ძველი დევნილები, მაზრის პარტიული ხელმძღვანელობა და ჩვენთან ვლახა მგელაძე და დამკომის წარმომადგენელი.

რამოდენიმე პატარ-პატარა ჯგუფი ასევე ინახავდა თავს გურიის ხხვა კუთხეებში. ჩვენს წინააღმდეგ მთავრობამ დასტოვა მთის სოფლებში რუსის ჯარის ნაწილები.

მე არა მაქვს მიზნად ავსწერო ყველა ის ხასიათდადული ფაქტები, რასაც გურიაში ჰქონდა ადგილი აჯანყების დროს. მოხუცები, ბავშვები, ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი, ჯარის კაცი და ოფიცერი, ხულ ყველა ისეთ ხულიერ სიმაღლეზედ იყვნენ ასულნი, რომ ვერავითარი შეოცნებე ამაზედ მეტს ვერ ისურვებდა.

თვით ხამხედრო მოქმედება შეიძლება დაფასდეს შემდეგ ნაირად:

1) აჯანყებამდის ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ჩვენ ძალებს უფრო მცირედ აცნობდა დამკომს, ვინემ ეს სინამდვილეში იყო. თუ ის ყოყმანობდა აჯანყების ხაკითხში, ეს იმიტომ, რომ იცნობდა ხაქართველოს ხაშინაო და ხაგარეო მდგომარეობას და არ ჰქონდა გამარჯვების იმედი.

2) თვით გურიისათვის გამზადებული პირველი გეგმა არ შესრულდა უდროობის გამო და ამის პასუხისმგებლობა ხავსებით დამკომს ეკისრება.

3). ამავე მიზეზით და გურიის ბოგულივ ბა თომ-ფოთ-ხამტრედიაში ხიწყნარის გამო და იქიდან მოსული მტრის შემოტევით დაგვიანდა მეორე გეგმის შესრულებაც.

4). როცა მეორე გეგმის შესახრულებლად ჩვენი ძალები გავაერთიანეთ, ჩვენ უკვე გარკვეული ვიყავით საერთოდ აჯანყების დამარცხებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც წავედით შეტევაზედ, რომელიც ჩაიშალა იმის გამო, რაც ამ ბრძოლების აღწერის დროს დავახახელეთ.

5). როცა ბრძოლაში ხაქმე კარგად მიდის, ლაჩრებიც კი გმირებად იქცევიან, და პირიქით, წაგებულ ბრძოლის შემდეგ ღირსეულად უკან დახევა დიდებულად გაწყობილ ჯარებსაც კი უჭირთ.. მიუხედავად ამისა, ჩვენ უტყვიოდ მხოლოდ ფეხოსანი კავშირის მქონე, ხამი მხრიდან მტრის ზარბაზნების და ტყვიის-მფრქვევლების ცეცხლში გახვეული, ხამი დღის განმავლობაში ვებრძოლეთ მტერს, მივეცით რამოდენიმე მაგარი შეტაკება, დავიბიეთ მწყობრად. არ დაგვიტოვებია არც ერთი ტყვე, არ დაგვრჩენია არც ერთი კაცი, გავედით ხამშვიდობოზედ, დავტოვეთ მტერი პირში ჩალა გამოვლებული და ამის შემდეგ ვუპატრონეთ ხალხს.

ასე დათავდა ჩვენი აჯანყება.

ხულ რამოდენიმე დღის შემდეგ, როცა გურიაში ჯერ კიდევ ჯარები იდგა, ჩვენ გავგზავნეთ კაცი ცნობებით თბილისში. მოხსენება, გადასაგზავნად სოციალ დემოკრატიული პარტიის ცეკას ხახელზედ. შეადგინეს კომიტეტის თავმჯდომარემ და დამკომის წარმომადგენელმა; როგორც პარტიულმა ხალხმა, მათ უურადღება უფრო ხალხის ხულისკვეთებას და წმინდა მშვიდობიან პარტიული ორგანიზაციების მოქმედებას მიაქციეს. შეიძლება ეს ბუნებრივიც იყო ამ პირობებში: მტერი თავის პრესაში მხოლოდ თავდების და ხასულიერო წოდების გამოხვლებზე სწერდა. მაგრამ აქ, უცხოეთში, ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ, როცა ეროვნულმა მთავრობამ ყველა კუთხის ხალხისაგან, რამოდენიმე პირები გამოიწვია პარიზში მოხსენებისათვის, აქაც ისეთივე შინაარსის მოხსენება გაეკეთებინათ, და ამან გამოიწვია ბატონ ნოე ჟორდანიას მიერ თავის პატარა წიგნაკში ახ ნაჩქარევი დაფასება გურიის აჯანყებისა, რომელიც სრულიად უსამართლო და მიუღებელია ყველა იმათთვის, ვინც ამ აჯანყებას იცნობს, ვინც ამ დროს ბათომში, ფოთში ან ხამტრედიაში იყო და თავისი უურებით იხმენდა ხამი დღის განმავლობაში ზარბაზნების განუწყვეტლივ ხროლას, ვინც თვითონ ჩედავდა თბილისიდგან და ბათომიდგან გურიაში მომავალ რუსების ეშელონებს.

ჩვენი გაგზავნილი კაცი დაეშვა ქვემო გურიაში, გაიარა ის უვნებლად და დაუკავშირდა თბილისს. პირველი ცნობა, რომელიც თბილისმა მიიღო აჯანყების შემდეგ პროვინციიდგან, იყო ჩვენი ბარათი. ჩვენი გაგზავნილი კაცის ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოხტად გახვლა მოწმობდა იმას, რომ სოფლებში ჩვენი ორგანიზაციები კვლავ აღსდგნენ და მაშახადამე, ხალხი ხულიერად მაგრად იყო.

* * *

მაგრამ თავზარდამცემი იყო ჩვენთვის პასუხი, რომელიც მივიღეთ თბილისიდგან: მხოლოდ მაშინ მივიღეთ მთელი შეკვრა გაზეთებისა დახვრეტილების სიებით და ცეკას ცნობა დახვრეტილთა დაახლოებითი რიცხვით. ამ ამბავმა ბევრი ნაღველი, ბევრი სინანული და საუკეთესო გამოიწვია უფროსებისადმი, რომ ჩვენც არ დავხვრიტეთ სამშობლოს მოღალატენი. უკვე გვიანი იყო...

პირველ ხანებში გურიას დახვრეტები ახალდა ადგილობრივად, მაგრამ ის ხალხი, ვინც მაშინ მტერს ებრძოდა, ხაბეოთა ხელისუფლებამ სხვა ხერხით გაანადგურა: ათი წელია მას შემდეგ რაც გურიიდგან ასობით იგზავნება ხალხი ციმბირში; 3-4-5 წელიც კი ციმბირში ყოფნა... ვინ იცის, რამდენი წმინდა ხაფლავი გაითხარა იქ ქართველი კაცისა! ის დარაჯები, რომლებიც ჩოხატაურში კომუნისტებს მცველად დავუტოვეთ, გადაასახლეს და უმეტესობამ ციმბირში დალია სული. ის ოჯახები, სადაც 3-5 კომუნისტს სადილი დაუმზადეს, ქალიან კაციანად რამოდენიმე წელი ციმბირში ამყოფეს. ბევრს მობუც მამას, რამოდენიმე წელი ციმბირში მყოფს, სახლში დავაკაცებული შვილი ციმბირში აახლეს, ერთი თუ მეორე ხაშუალებით, იმ თაობას, ვისაც თავისუფლება ახსოვს, სპობენ, სპობენ იმათაც კი, ვისაც ეს პირადად არ ახსოვს, მაგრამ ვინც სამშობლოს დამპყრობელებთან ბრძოლაში ოჯახის სხვა წევრი დაკარგა.

ტყუილი იმედია! ჯალათები ქართველ ერს თავის მეობას ვეღარ დაავიწყებენ. ამის საბუთია ყველაფერი ის, რაც დღეს საქართველოში ხდება და რასაც თვით მტრები აღიარებენ. საქართველომ მხოლოდ იარაღი გამოიცვალა და არა სული.

ქართველი ერის ისტორია, ეს მუდმივი, შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის [illegible] ფლებისათვის. ჩვენს წარსულში [illegible] ნია შავი დღეები. როცა ქართველი ერის მოხპობაზედ იყო მისული. და ამ დროს ერთი ნაწილი ქართველებისა მტერთან შეგუების გზას ადგებოდა, ხან სპარსელობდა, ხან კი თურქობდა, ხან მონგოლი იყო და ხან რუსი და ყოველივე ამას უდიდეს, გონიერ ხერხად სთვლიდა, თავი ერის მხსნელად მოქონდათ. ქართველი ერი რომ ამ პოლიტიკას გაჰყოლოდა, დღეს ჩვენ ყველაფერი ვიკნებოდით გარდა ქართველებისა. ხაბედნიეროდ იყო კიდევ სხვა ქართველობა: „გიჟი", „უანგარიშო". „წინდაუხედავი", მუდამ შეთქმული, მუდამ აჯანყებული, მოუსვენარი, მტრის რიცხვისაგან თითქმის მუდამ ძლეული, მაგრამ მაინც გაუტეხელი... აი ამ ხალხს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ კი არ მოვისპეთ, არამედ ჩვენი მტრების მოხპობას და დაგლახებას მოვეხწარით.

1921—1924 წლებში საქართველოს ასეთი ხალხი უძღოდა წინ, ასეთმა ხალხმა დაჰკრა უძლიერეს მტერს, ასეთმა ხალხმა მორეცხა საქართველოს გუშინდელი ხირცხვილი... და ჩაპყარა ხამუდამო ხაფუძველი, საკუთარი ძვლებით და სისხლით შედუღებული, ხულიერად მკვდრეთით აღმდგარ ეროვნულ საქართველოსი.

აი ამ ხაზომით უნდა მიუდგეთ ჩვენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას და მის მომწყობთ. ვინც ამ შეხედულებას იზიარებს. მან იცის, რომ ჩვენი მომავალი ბრწყინვალეა, რომ საქართველო მიიღებს იმას, რისიც ღირსია ის, რომ „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი, სიბარულად შეეცვლება ამდენი ხნის გახაჭირი".

* * *

P. S. მე აქ აღვსწერე ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ აჯანყების დროს. შეიძლებოდა თუ არა მეტის გაკეთება, ან თუ ვინ რა შეცდომა ჩაიდინა, ეს მეორე საკითხია და ამაზედ კი — თავისუფალ საქართველოში.

ხ. ბ.

1935 წელი. აგვისტო ქ. სენ-კლუ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები

პატივცემულო ამხ. გია!

სალამი! მე, 88 წლის მოხუცმა, ოთხი თვის განმავლობაში დავწერე დიდი კრიტიკული მონოგრაფია (500 გვერდამდე) ასეთი სათაურით: „ლეო ქიაჩელის შემოქმედება მისი მოკლე ბიოგრაფიით". შევეცადე ვრცლად, ობიექტურად, მიუდგომლად შემეფასებინა ეს შემოქმედება. ჩემი განზრახვის და სურვილის შესამოწმებლად ეს ნაშრომი თვითონ მწერალს გავუგზავნე, ლეონს, როგორც თვითონ წერს, „შეუნელებელი ინტერესით" წაუკითხავს ნაშრომი და პირველ მაისს ტკბილ საჩუქრად გამომიგზავნა წერილი, რომლის ასლს გიგზავნით თქვენ, როგორც ნიკიერს ახალგაზრდა თანამოკალმეს. გთხოვთ წაიკითხოთ და წააკითხოთ ზოგიერთ იმ „ურწმუნო თომებსაც", რომლებსაც ძველები არარად მიაჩნიათ და ძველი ებრაელებივით (ქრისტეს შესახებ) გაიძახიან: „ნაზარეთიდან აბა, რა სიკეთე უნდა გამოვიდესო".

უნიკიერესი შემოქმედის და ევროპიულად განათლების ინტელიგენტის ხმა და შეფასება, ჩემის აზრით, ცოტა რამეზე მაინც მეტყველებს.

ამ ჩემს უკანასკნელ მონოგრაფიას „უკანასკნელი „ბედის სიმღერა" ვუწოდე.

კმარა, რაც „ვიჩხერკედელავე" და „ვჯლაბნე". დეე, ინავარდონ ახლებმა! „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასა!"

მე „ძველს" ერთი დიდად ფეხმოკიდებული ახალი ტრადიცია არ მომწონს. ეს ის ფაქტია, რომ რუსეთში და ჩვენშიაც წყალწყალა, მოკლე, უშინაარსო, არაფრის მთქმელ რეცენზიამ ეურნალ-გაზეთებიდან (და საერთოდ) განდევნა სერიოზული, ვრცელი კრიტიკული მონოგრაფია. ამან დააკნინა კრიტიკა, ფასი, მნიშვნელობა და გავლენა დაუკარგა ისე, რომ დღეს იმის დამტკიცება გახდა საჭიროდ, რომ კრიტიკოსიც მწერალია.

და ეს მეტამორფოზა მოხდა დიდი კრიტიკოსების: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევის, აპოლონ გრიგორიევის, ზაიცევის, ანტონინვინოვის და სხვ. სამშობლოში!

ჩვენშიაც მე-19 საუკუნეში ლიტერატურული კრიტიკა უფრო ვრცელი, სერიოზული პრინციპული, მიუკერძოებელი იყო, ვინემ დღეს.

როგორც თქვენც კარგად იცით, მე-19 საუკუნეში კრიტიკას და კრიტიკოსს დიდი დაფასება ქონდა რუსეთში. რუსულმა კრიტიკამ განაპირობა მე-19 საუკუნის შესანიშნავ რუსულ ლიტერატურის ზრდა და განვითარება. რუსეთის პროგრესულ ეურნალებში პირველი ადგილი ეთმობოდა დიდს, ვრცელს 100-200 გვერდიან კრიტიკულ წერილებს: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის კრიტიკული წერილები და მათი გაგრძელება იბეჭდებოდა ეურნალის რამოდენიმე ნომერში ზედიზედ. ეს ეურნალს სახელს მატებდა, პოპულარულად ზრდიდა. ბელინსკის ვეებერთელა წერილები, სხვათა შორის, «Литературные мечтания» და დობროლუბოვის «Темное царство», და «Луч света в темном царстве» ეურნალებში დაიბეჭდა. მათი წერილები წიგნებად გამოსვლას არ უცდიდნენ. ეურნალები ქმნიდნენ კრიტიკის და კრიტიკოსების პოპულარობას და ავტორიტეტს.

ასე იყო მე-19 საუკ. ჩვენშიაც. ქართული ეურნალები (მაგ. „განათლება") მთელ რიგ ნომრებში ბეჭდავდნენ დიდ კრიტიკულ მონოგრაფიებს და მათ გაგრძელებებს.

არცთუ ეურნალები, გაზეთებიც („ივერია", „ცნობის ფურცელი", „სახალხო გაზეთი", „საქართველო", „კოლხიდა", „თემი". ხუთ, ექვს, შვიდ, რვა ფელეტონებად ბეჭდავდნენ კრიტიკულ წერილებს. მკითხველები ამას პლუსად უთვლიდნენ რედაქციებს, ვინაიდან კარგად ესმოდათ კრიტიკის მნიშვნელობა.

და ეს კარგი, სასარგებლო და აზრიანი ტრადიცია განქრა!

მე ამ სამწუხარო მოვლენას მივაქციე ყურადღება და ჩემი აზრი-შეხედულება გამოვხ-

---

მწერალი, კრიტიკოსი გია მარგველაშვილი, რომელიც იმჟამად ეურ. „მნათობში" მუშაობდა. კრიტიკის განყოფილების გამგედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვი რამდენიმე წერილში: „კრიტიკოსი და მწერალი", უკანასკნელ წერილს წარუმძღვარე გორკის სიტყვები: **«Критик интелектуально должен стоять выше писателя»** ეს წერილები გავგზავნე „ლიტერატურულ გაზეთში", მაგრამ რედაქციამ დაბეჭდვა არ ინება. საკითხი კი ჩემის აზრით, აუცილებლად სადისკუსიოა.

კარგი! მე ძველს არ მისმინეს. ამოიღეთ ხმა თქვენ ახალმა, ნიჭიერმა კრიტიკოსებმა, რომლებსაც გამეფებული ტრადიცია უბრალო რეცენზენტებად გიპირებთ გადაქცევას (ზოგიერთი, მართლაც, გადააქციეთ. კო. მაგალითად, თქვენ დასვით, „მნათობის" რედაქტორის და სარედაქციო კოლეგიის წინაშე. რომ კრიტიკას ჟურნალში დაეთმოს ისეთი ადგილი, როგორც მას ძველად ეკავა **«Современник»** და **«Отечественные записки»**-ში, ან „ევერიაში", „ცნობის ფურცელში", ეურნალ „განათლებაში".

დასვით საკითხი: რა მოსაზრებით, რა ანგარიშით ეთმობა „მნათობში", მაგალითად, პროზას (რომანებს, მოთხრობებს) და პოეზიას ჟურნალის 92,5 პროცენტი და ერთი მესამედი პატარა რეცენზიას? რად ეძლევა დავიწყებას, რატომ არის უგულვებელყოფილი მწერლის და მწერლობის აღმზრდელ და დამკვიდრებელ კრიტიკას და კრიტიკოს ასეთი პაწაწკინტელა თავშესაფარი ბოლოში, დერეფანში? დასვით საკითხი მწვავედ: მოითხოვეთ კუთვნილი ადგილი.

დაწერეთ დიდი, საყურადღებო, ყველასათვის მოსაწონი, ნიჭიერად გაფორმებული მონოგრაფია და მისთვის დაათმობინეთ მეტი ადგილი, სათვის განკუთვნილი ადგილი!

ამისათვის, რასაკვირველია, დაგჭირდებათ ბრძოლა, მართლის თქმა, გაბედული სიტყვა, ურჩობის გამომჟღავნებაც! ნუ შეგეშინდებათ: **«посмейте свое суждение иметь»** ნუ შეუშინდებით იმას, რომ თქვენ როგორც გრიბოედოვის მოლჩალინი **«в чинах небольших!»**

თუ თქვენი გაიტანეთ, ხაშვილიშვილო საქმეს იზამთ!

თუ შინაურობაში ვერ მოხერხდა გარდატეხის მოხდენა, გადაიტანეთ ეს საკითხი სადისკუსიოდ გაზეთებში.

ბრძოლის უნარს ნუ ჩაიკრობთ ახალგაზრდები!

ახალგაზრდებს არ უნდა დაგჭირდეთ 80 წლის მოხუცის ასეთ მოწოდება!

მაპატიეთ, რომ ასეთი გრძელი წერილის წაკითხვით ძვირფას დროს რომ გართმევთ. მაგრამ არა უშავს რა: წაიკითხეთ, შეიძლება ამ ჩემს მოხუცებულობის ბუზღუნში მართალი ხმაც ისმოდეს.

დაუფიქრდით!

პატივისცემით იპ. ვართაგვა

1960 4/5 60

გ. ტაბიძის ქუჩა, № 3/5.

P. S. მე ვიცნობ ახალგაზრდა ჩვენს კრიტიკოსებს. კარგი იქნება, რომ თუ თქვენ ახალგაზრდა კოლეგებს გააცნობთ ამ ჩემს სურვილს და მოწოდებას.

იპ. ვართ.

ასლი ლეო ქიაჩელის წერილისა

დიდად პატივცემულო, იპოლიტე!

შეუნელებელი ინტერესით წავიკითხე თქვენი ვრცელი მონოგრაფია ჩემ შემოქმედებაზე, გაჟღენთილი ჩემი პიროვნებისა და შემოქმედებისადმი პატივისცემითა და სიყვარულით, როგორც თქვენ ბრძანეთ, შესანიშნავი ნაშრომია. ყოველი ეშმარიტი კრიტიკოსი ასეთი მიდგომით უნდა არჩევდეს ავტორს, სულ ერთია, დიდი იქნება ის თუ პატარა, ვინაიდან გარეშე სიყვარულისა და პატივისცემის, არ არსებობს ნამდვილი დაფასება შემოქმედისა.

მადლობელი ვარ თქვენი.

მე თქვენი ნაშრომის კითხვის დაწყებისთანავე ვიგრძენი მისი ღირსება და ეს გრძნობა ბოლომდე არ შემნელებია.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასეთი სისავსით და სიღრმეში ჩაწვდომით გარჩევა ჩემი შემოქმედებისა ჩვენს კრიტიკაში არ შემხვედრია. თქვენს მახვილ ყურადღებას არ გამორჩენია ჩემი ნაწარმოებების არც ერთი ცოტად თუ ბევრად აღსანიშნავი მხატვრული შტრიხი, ჩვენი ქვეყნის ადამიანებისა და ბუნების ამსახველი.

კვლავ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ბატონო იპოლიტე, რომ ასეთი აღმატებით შეამკეთ ჩემი პატარა შემოქმედება და მის ღირსებათა გამოსაჩენად არ დაიშურეთ თქვენი დიდი გამოცდილება, კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობის ხანგრძლივი მუშაობით შეძენილი, რასაც ამ შემთხვევაში ემატება ზედმიწევნით ცოდნა იმ კუთხისა, საიდანაც ჩემი მოთხრობისა და რომანების პერსონაჟები არიან. თქვენი თვალის წყალობით „სისხლში", მაგალითად, აქამდე ჩვენს კრიტიკაში თითქმის შეუმჩნეველი სალომე და მაიკო იძენენ სრულყოფილი მხატვრული სახეების ღირსებას. ასევე ითქმის რევოლუციონერ გოგიაზე ამავე რომანში, რომელიც თქვენს მონოგრაფიაში მთავარ გმირების გვერდით გაკავთ დაყენებული. გარდა „სისხლისა", სხვა ჩემს ნაწერებსაც ემატება სოციალური აზრი და მხატვრული სიმკვეთრე, თქვენი გონებამახვილი ანალიზის წყალობით, როგორც მაგალითად „მაკი ანბასა", თვითონ მთის კაცსაც, მის შვილს ჯოტოს, მწყემსს მანუჩარს, ლიას და მაცი ზურუბაიას. ერთი სიტყვით, თქვენი ნაშრომი აფართოებს ჩემი შემოქმედების მხატვრულ მოცულობას და ამდი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დრეᲑს მის იდეურ და ემოციურ მხარეს.

პატივცემულო ბატონო იპოლიტე, მაპატიეთ, რომ ჩემი აზრის მოწოდება თქვენს ნაშრომზე ასე დამიგვიანდა. მაგრამ ავი მოხუცებულობა მჭირს და ხშირი სულისხუთვა მინახევრებს შრომის უნარს, უფრო ადრე ვერ შევძელი.

კვლავად მიიღეთ ჩემი დიდი მადლობა [illegible] შესანიშნავი მონოგრაფიისათვის ჩემს შემოქმედებაზე.

მარად თქვენი პატივისმცემელი ლეო ქიაჩელი.

2/5—60 წ.

პუბლიკაცია მოამზადა
თამარ ანდღულაძემ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის—93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-18 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17; 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 27. 07. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 09. 90 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$. ქაღალდის ფორმატი 70×108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58. ტირაჟი 30.700. შეკვ. 1703. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა მ. კოსტავას ქ. № 14.

689/426

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

გამოიწერეთ ჟურნალი „მნათობი“!

ჟურნალ „მნათობის“ 1990 წლის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში დასრულდება „ახალი აღთქმის“ სრული ტექსტის გეჰდვა. თუმცა საქართველოს საპატრიარქომ წელს გამოსცა თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ბიბლია“. „მნათობის“ პუბლიკაციამ მაინც მკითხველთა დიდი მხარდაჭერა და კმაყოფილება გამოიწვია. ამას მოწმობს რედაქციაში მოსული მადლობის წერილები, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ, მათთვის, ვისაც 1990 წელს „მნათობი“ არ გამოუწერია, ჟურნალის წლევანდელი ნომრები ძნელი საშოვნელი გახდა.

1991 წლის პირველი ნომრიდან ვიწყებთ თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ძველი აღთქმის“ გეჰდვას.

გირჩევთ: დროულად გამოიწეროთ ჟურნალი „მნათობი“!

ჟურნალის საცალო გაყიდვა 1991 წელს უფრო შეზღუდული იქნება და ამიტომ მოგიწევთ ცალკეული ნომრების ძებნა ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში.

ჟურნალში ძირითადი ადგილი, როგორც ყოველთვის, დაეთმობა თანამედროვე ქართველი მწერლების საუკეთესო ქმნილებებს: ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს, ფართოდ იქნება გაშუქებული ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მიღწევები, პოლიტიკური ცხოვრების ასპექტები.

„მნათობზე“ ხელმოწერის გაფორმება შეუზღუდავად შეიძლება „სოიუზპეჩატის“ ნებისმიერ განყოფილებაში.

წინასწარ გიხდით მადლობას ნდობისა და ერთგულებისათვის.

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ